

სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში

1

ტომი პირველი

დიდი პარლევარული
რევოლუციის მომზადება.

(ომის დასაწყისიდან 1917 წ. ოქტომბრის დასაწყისამდე)





თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი.

გუჩუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინაღუ.

1.

ო ვ ი.


ღთას ცხრაას თოთხმეტი წლის ოც ივლისს მეფე ნიკოლოზ II გამოაქვეყნა მანიფესტი ომის შესახებ. მოუშკალ ყანების ნაპირებზე, სასოფლო გზების მტვერით სულშებუთულნი, რუსეთის არმიის პოლკები გერმანიის საზღვრისაკენ მიეშურებოდნენ. მობილიზაცია კიდეც არ დამთავრებულიყო. ზარბაზნები უწესრიგოდ იდგნენ მოედნებზე არსენალებთან. არტილერიის გადაზიდვის საშუალება არ გააჩნდათ. სოფლებსა და სტანიცებში გახურებული მკის დროს ახალგაზრდობას პირდაპირ სამუშაოდან გასაწვევი პუნქტებისაკენ მიერეკებოდნენ. მაგრამ მეფე ხელშეკრულებებით იყო დაკავშირებული საფრანგეთთან. პარიზის ბანკირებისაგან მან მილიარდიანი სესხები მიიღო.

თანახმად სამხედრო შეთანხმებებისა, ნიკოლოზს თავისი არმიები გერმანიის წინააღმდეგ შეტევაზე უნდა გადაეყვანა ომის გამოცხადების მეთოთხმეტე დღეს.

დასავლეთში გერმანიის კორპუსები შეუწყავეზლად მიეჭანებოდნენ ბელგიაზე და გამალებით უახლოვდებოდნენ პარიზს. იქიდან პეტროგრადში მოჰქროდა პანიკური მოთხოვნები — ჩქარა გაილაშქრეთ გერმანიის წინააღმდეგო.

ოცდაათ ივლისს რუსეთის სამხედრო აგენტი პარიზში სასწრაფოდ მოახსენებდა უმაღლესი სარდლობის ბანაკს:

„საეჭვოა, რომ საფრანგეთის არმიებმა უახლოეს მომავალში შესძლონ შეტევაზე გადასვლა. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მე მოველი მათს ნელ-



მსოფლიო ომისათვის მომზადება. 1914 წლის ივლისი პეტერბურგში. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ პუანკარეს ჩამოსვლა რუსეთში.

ნელა უკანდახევას... ომის მთელი წარმატება სახსებით დამოკიდებულია ჩვენს მოქმედებაზე უახლოეს კვირებში და რუსეთის ფრონტისაკენ გერმანიის კორპუსების გადატყორცნაზე“¹.

ამაოდ სთვლიდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი გენერალი ჟილინსკი, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში შეტევა უეჭველად მარცხით დამთავრდებოდა, ამაოდ ურჩევდა შტაბის უფროსი გენერალი იანუშკევიჩი — არ გადასულიყვნენ დაუყოვნებლივ იერიშზე — პარიზიდან აჩქარდნენ. საფრანგეთის ელჩი მორის პალეოლოგი მოსვენებას არ აძლევდა სამინისტროს და მოითხოვდა რუსეთის არმიების შეტევაზე გადასვლას. და 31 ივლისს მთავარსარდალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ, მეფის ბიძამ, რომელსაც პეტსახელად „დიდ ნიკოლოზს“ ეძახდნენ, აცნობა პალეოლოგს, ვილნოს და ვარშავის არმიები შეტევას დაიწყებენ „ხვალ დილით, გარიჟრაჟზე“².

რუსეთის მოუმზადებელი არმიები გერმანიაში შეიჭრნენ.

კაიზერი ვილჰელმი, რომელიც რუსეთის გენერლებისაგან ასეთ სისწრაფეს არ მოელოდა, იძულებული გახდა შეენელებინა პარიზზე ლაშქრობა. გერმანიის მთავარმა სარდლობამ აღმოსავლეთის ფრონტზე გადასტყორცნა გვარდიის სარეზერვო კორპუსი და XI მსროლელი კორპუსი კავალერიის მე-2 დივიზიითურთ. ჯერ კიდევ ამ მაშველი ძალების მისვლამდე გერმანიის პოლკები შეტევაზე გადავიდნენ და უკუაგდეს რუსები. დასავლეთის ფრონტიდან გადმოტყორცნილმა ხუთმა დივიზიამ შემდეგში მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ

პრუსიაში რუსეთის არმიის საბოლოო განადგურებაში. მეფის არმიას მოუკლეს 20 ათასზე მეტი კაცი და ტყვედ წაიყვანეს 90 ათასი, მან მთელი არტილერია დაჰკარგა. ორ კორპუსს — XIII და XVI — გერმანელები გარსშემოერთყენენ და მთლიანად ხელში ჩაიგდეს. მაგრამ პარიზი გადარჩა. ჯერ კიდევ აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლის დამთავრებამდე პალეოლოგმა 29 აგვისტოს თავის დღიურში ჩასწერა:

„ბრძოლა... გააფთრებით გრძელდება. როგორც არ უნდა იყოს საბოლოო შედეგი, საკმარისია უკვე ის, რომ ბრძოლა გრძელდება, რათა ინგლისის და საფრანგეთის ჯარებმა მოასწრონ ზურგში გადაჯგუფება და წინ წაწევა“¹.

„საბოლოო შედეგი“ იყო რუსეთის არმიების დაღუპვა, მაგრამ მეფემ თავისი ხელშეკრულება შეასრულა: საფრანგეთის ოქრო მან აანაზღაურა მშრომელთა სისხლითა და სიცოცხლით. რუსეთის არმიების განადგურების დღეს — 30 აგვისტოს — საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი ეუბნებოდა პალეოლოგს:

„სამსონოვის არმია მოსპობილია... ჩვენ უნდა გაგველო ეს მსხვერპლი. საფრანგეთისათვის“².

1914 წლის ომში რუსეთის ცარიზმი გამოვიდა როგორც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის მიერ დაჭირავებული. რუსეთი ფაქტიურად დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნახევრადკოლონიას წარმოადგენდა. რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეურმა ბელადმა, კადეტმა მილიუკოვმა კი აღიარა შემდეგში, რომ გერმანიასთან ომში რუსეთი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა იარაღი იყო. ომის ათი წლის თავზე მილიუკოვი ემიგრანტულ ფურცელში წერდა:



1914 წ. ივლისი პეტერბურგში. რევოლუციური ბარიკადები ვიბორგის მხარეზე. ა. ვლადიმეროვის სურათიდან.

„მე არ მოველოდი მაშინ, რომ რუსეთი ისე ძალღონის მოუტყრებლად მილიონობით თავის შვილებს გაგზავნიდა სანგრებში სხვისი საქმისათვის“¹.

თვითმპყრობელობა და მის ზურგს უკან მდგომი ბურჟუაზია და მემამულენი მით უფრო ხალისიანად მიჰყვებოდნენ სადავეზე უცხოეთის კაპიტალს, რომ მათ ზურგში სწრაფად იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა. 1912 წლის ლენის ამბები და მათი მძლავრი გამოხმაურება მთელ ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური ქარიშხლის მრისხანე წინამორბედი იყო. გაფიცვები ბაქოში ომის წინააღმდეგ და პეტერბურგის 1914 წლის გაფიცვები, როდესაც ქუჩებში კვლავ გაჩნდა ბარიკადები, უკვე თვით ქარიშხლის დასაწყისი იყო. 1905 წლის რევოლუციის აჩრდილმა ჩაჰხედა თვალებში ცარიზმს ბარიკადებიდან, რომლებმაც ქალაქების ქუჩები გადახერგა. მეფის ბევრი უმაღლესი მოხელე შიშით მოცული წინასწარმეტყველებდა, მომავალი რევოლუცია 1905 წელზე გაცილებით უფრო შორს წავაო. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ნ. დურნოვო ნიკოლოზ II-ს ომის დაწყების წინ სწერდა:

„პოლიტიკური რევოლუცია რუსეთში შეუძლებელია, და ყოველი რევოლუციური მოძრაობა აუცილებლად სოციალისტურ მოძრაობად გადაიქცევა“².

ჰგზავნიდა რა სასიკვდილოდ თავის ხალხს „სხვისი საქმისათვის“, თვითმპყრობელობა იმედოვნებდა სისხლისაგან დაეცალა იგი, შეეფერხებინა რევოლუციური ენერჯის ზრდა.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრნა, რომ რუსეთის გაბატონებული კლასები მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში მხოლოდ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის გულის მოსაგებად ჩაებნენ, რომ რუსეთის ბურჟუაზია თავის იმპერიალისტურ მიზნებს არ ისახავდა. ომში მონაწილეობა სავსებით შეესაბამებოდა მეფის რუსეთის გაბატონებულ კლასთა ინტერესებს. კაპიტალიზმის ის სტადია, რომელსაც იმპერიალიზმი ეწოდება, რუსეთში ჯერ კიდევ ომამდე ჩამოყალიბდა: მონოპოლისტური კაპიტალიზმი უკვე თამაშობდა რუსეთის ეკონომიკაში წამყვან როლს. მაგრამ, ხელმძღვანელობდა რა ქვეყანას ეკონომიურად, ბურჟუაზია არ მართავდა ქვეყანას პოლიტიკურად: მართავდა თვითმპყრობელობა — მემამულე-მებატონეთა წარმომადგენელი.

ბურჟუაზია მინცლამაინც არ ჩქარობდა გადაეჭრა ეს წინააღმდეგობა თავის ეკონომიურ სიმძლავრესა და პოლიტიკურ უძლურებას შორის. მის ინტერესებში როდი შედიოდა გადამჭრელი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან. ბურჟუაზიის ზურგში პროლეტარიატი იდგა უკვე ჩამოყალიბებული, როგორც კლასი. 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებით გამდიდრებული, პროლეტარიატი მიდიოდა ახალი გამარჯვებისაკენ ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. თავის ხელში ძალაუფლების აღება და თვითმპყრობელობის უკუგდება იმას მოასწავებდა რუსეთის ბურჟუაზიისათვის, რომ პირისპირ აღმოჩენილიყო მუშათა კლასთან. 1905 წელმა უკვე ცხადყო, თუ რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ასეთი ჭიდილი. თვითმპყრობელობა თავისი სამხედრო-პოლიციური აპარატით საიმედო საფარს წარმოადგენდა ბურჟუაზიისათვის პროლეტარიატის თავდასხმისაგან. როგორც ლენინი სწერდა,



ახე მიმდინარეობდა მობილიზაცია მეფის რუსეთში.

„იმდენად დიდად ესაჭიროება მათ ცარიზში თავისი პოლიციურ-ბიუროკრატიული და სამხედრო ძალებით პროლეტარიატისა და გლეხობის წინააღმდეგ, რომ მათ არ შეუძლიათ მიისწრაფოდნენ ცარიზმის მოსპობისაკენ“¹.

მეტეცი — რუსეთის კაპიტალიზმის ჩამოყალიბება დაიწყო იმ პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმი დასავლეთში უკვე დიდი ხნის გაფურჩქნეილი იყო და მოასწრო ხელთ ეგდო ყველა საუკეთესო ადგილი მზის ქვეშ. ახალგაზრდა მტაცებელს არ შეეძლო კონკურენცია გაეწია ისეთი ნაცადი ყაჩაღებისათვის, როგორც იყვნენ ინგლისისა და გერმანიის იმპერიალისტები. იმისათვის, რომ ხელსაყრელ ბაზრებამდე როგორმე მიედწია, საჭირო იყო მაგარი მკლავები და მძიმე მუშტები. სწორედ თვითმპყრობელობას მოეპოვებოდა ეს მუშტები და თავისი არმიებით გზას უკავადედა ბურჟუაზიას ახალი ბაზრებისაკენ. რუსეთის იმპერიალისტები გალიციისაკენ იწვდიდნენ ხელს. რუსეთის კაპიტალისტები მიისწრაფოდნენ დაემორჩილებინათ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, მათ კონსტანტინოპოლი სჭირდებოდათ. რუსეთის იმპერიალისტთა ჟურნალი „პრომიშლენოსტ ი ტორგოვლია“ 1912 წლის დეკემბერში ახლო აღმოსავლეთის სრუტეებზე სწერდა, რომ ამ უკანასკნელთა „საეპქრო თავისუფლება“ აუცილებელია საქონლის საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის თვალსაზრისით.

„ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია იცხოვროს იმ მუდმივი შიშის ქვეშ, რომ ჩვენი საცხოვრებელი ბინის „შემოსავლელი კარის გასაღები“ არ დაეარდეს თურქეთის სუსტი ხელიდან და არ აღმოჩნდეს სხვა უფრო ღონიერ ხელში, რომლის ნებასურვილზე იქნება დამოკიდებული დაგვსაჯოს თუ შეგვიწყნაროს“².

ბრძოლა ახალი ბაზრებისა და ახალი კოლონიებისათვის, „კარის გასაღებისათვის“ აერთიანებდა თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიას. თუ მტკიცედ მო-

იღამადა ფეხს სრუტეებში, რუსეთის იმპერიალიზმს შეეძლო ხელში სჭეროდა დუნაის ნაპირის ქვეყნები — ბულგარეთი, რუმინეთი. ახასიათებდა რა რუსეთსა და გერმანიას შორის ბრძოლის მიზანს, ლენინი ამბობდა:

„რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ამოცანა... მოკლედ ასე შეიძლება გამოიხატოს: ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით დაამარცხოს გერმანია ევროპაში, რათა გაძარცოს ავსტრია (წაართვას გალიცია) და თურქეთი (წაართვას სომხეთი და განსაკუთრებით კონსტანტინოპოლი)“¹.

მეფის მანიფესტს ომის შესახებ ბურჟუაზია ალტაცებით შეხვდა. სასახლისაკენ პატრიოტული მსვლელობები მიიმართებოდნენ. ბურჟუაზიულმა ორგანიზაციებმა „ტახტს“ უამრავი უქვეშევრდომილესი დეპეშებით მიმართეს. გაზეთები გაჰკიოდნენ „მეფის ერთობაზე ხალხთან“. დაჩოქილი სტუდენტები მღეროდნენ „ღმერთო, ჰვარციდე მეფესა“.

ოცდაათ ივლისს მოსკოვში საფუძველი ჩაეყარა ერობათა სრულიად-რუსეთის კავშირის ორგანიზაციას, ერთი კვირის შემდეგ შეიქმნა ქალაქთა სრულიად-რუსეთის კავშირი — ორივე იმ მიზნით, რომ დახმარებოდნენ თვით-მპყრობელობას გერმანიაზე გამარჯვებაში.

ცარიზმმა ომი დაიწყო ზარების გუგუნში და მემამულეებისა და ბურჟუაზიის მისალმებათა საზეიმო ხმაურში.

მაგრამ ომის მსვლელობამ მალე მოშხამა ალტაცებული განწყობილება. სახამ გერმანიის მთავარი ძალები გართული იყვნენ საომარი ოპერაციებით დასავლეთში, რუსეთის არმიებმა ვითომ გამოასწორეს თავისი პირველი მარცხი აღმოსავლეთ პრუსიაში. 1914 წლის 21 აგვისტოს გალიციაში მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ ქალაქი ლვოვი, ხოლო 1915 წლის 9 მარტს — მტრის უდიდესი ციხესიმაგრე პერემიშლი. რუსეთის ჯარებმა კარპატებამდე მიადწიეს, ამიერკავკასიაში კი არზრუმამდე უკუაქციეს თურქები, რომლებიც გერმანიის მხარეზე ომობდნენ. მაგრამ გამარჯვების ზეიმი ხანმოკლე გამოდგა. სამხედრო უწყების თავიდან ბოლომდე დამპალმა გამყიდველმა აპარატმა ყუმბარები არ მოაძინა. მოუქნელი გენერლები არტილერიისა და რეზერვებს მიწოდებას ვერ ასწრებდნენ. გერმანიის და ავსტრიის ჯარებმა სწრაფად დაიბრუნეს დაკარგული ოლქები. 1915 წლის 25 აპრილს გერმანელებმა ლიბავა აიღეს და რიგას შეუქმნეს საფრთხე. ავსტრიელებმა 20 მაისს პერემიშლი დაიბრუნეს, 9 ივლისს კი რუსებმა ლვოვი დასტოვეს. ივლისის განმავლობაში გერმანელებმა ხელთ იგდეს რუსეთის ყველა ციხესიმაგრე პოლონეთში, 23-ს დაეცა ვარშავა. დაჰკარგეს რა პოლონეთი, რუსეთის ჯარებმა ლიტვაც დასტოვეს.

ფრონტზე განადგურებას ზურგში ნგრევა დაემატა.

ბურჟუაზიის პატრიოტული ალტაცება შესცვალა „პატრიოტულმა შეშფოთებამ“², როგორც სთქვა მილიუკოვმა სახელმწიფო სათათბიროს 1915 წლის 19 ივლისის სხდომაზე. ფრონტზე დამარცხებამ დაარღვია „მეფის ერთობა“ კაპიტალისტებთან.

იმპერიალისტურმა ომმა მკვეთრად შესცვალა ძალთა თანაფარდობაც გაბატონებულ კლასებს შორის. ნაძარცვმა სამხედრო მოგებამ გაადიდა ქვეყანაში ბუ-



ასე ჰქონდათ გერმანიის იმპერიალისტებს წარმოდევნილი ევროპის გაჯანაწი-
ლება ომის შემდეგ. კარკიატურა ბორ. ეფიმიოვისა.

რუკა ამოღებულია წიგნიდან: „Illustrierte Geschichte der Deutschen Revolution.
Internationaler Arbeiter-Verlag, Berlin“.

უფაზიის ეკონომიური სიმძლავრე და მნიშვნელობა. ოფიციალური „ვესტნიკ ფინანსოვ“-ის გამოანგარიშებით მარტო 142 ყველაზე მნიშვნელოვან საფეიქრო საწარმოში კაპიტალისტთა მოგება 1913 წლის 60 მილიონიდან გაიზარდა 1915 წელს 174 მილიონამდე. სელის მრეწველობამ 1915 წელს ერთი-სამად მეტი მოგება მიიღო, ვიდრე ომამდე¹. ხოლო კაპიტალისტებისათვის შეწერილი გადასახადი იმავე „ვესტნიკ ფინანსოვ“-ის ცნობებით შეადგენდა სულ უფრო-დაუფრო დაკლებულ პროცენტს საერთო მოგებასთან შეფარდებით.


ბურჟუაზიის ეკონომიური სიმძლავრის ზრდასთან ერთად მისი პოლიტიკური მნიშვნელობაც მატულობდა. თვითმპყრობელობა იძულებული გახდა მიეცა იმის ნებართვა, რომ დაარსებულყო მთელი რიგი საზოგადოებანი, რომელნიც ეხმარებოდნენ მას ომისათვის სახსრების მოზილიზაციაში, როგორც იყო ერობათა და ქალაქთა კავშირი. 1915 წლის ზაფხულში წარმოიშვა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები, რომელთა მეშვეობით ხდებოდა სამხედრო შეკვეთების განაწილება. ყოველივე ამან ფართო შესაძლებლობა გადაუშალა ბურჟუაზიას დარაზმულიყო და პოლიტიკურად განმტკიცებულყო. ბურჟუაზია დღითიდღე უფრო დაჟინებით და აშკარად პრესაში და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით აცხადებდა, რომ თვითმპყრობელობა მცირე ანგარიშს უწევდა მის ინტერესებს. საზეიმო ბანკეტებზე სულ უფროდაუფრო ხშირად ფრთხილი გადაკრული სიტყვებით მიუთითებდნენ მეფის „თვითმპყრობელობაზე“. ზოგი ღვინოთა თაევზებურული, აშკარადაც კი ლაბარაკობდა თვითმპყრობელის ძალაუფლების შეზღუდვაზე. უდიდესმა მრეწველმა პ. რიაბუშინსკიმ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების სასწრაფო თათბირზე 1915 წლის აგვისტოში განაცხადა:

„დროა ჩვენმა ქვეყანამ შეიტყოს, რომ ჩვენ უძლურნი ვართ რაიმე გავაკეთოთ იმ დამოკიდებულების პირობებში, რომელსაც იჩენს ჩვენდამი თვით მთავრობა, რომელიც ჯეროვან სიმაღლეზე ვერა დგას. ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ მუშაობის შესაძლებლობა მოგვეცეს, რაკი ამ პასუხისმგებლობას გვაკისრებენ... ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით მმართველი ძალაუფლების მოწყობას, ვინაიდან ხელისუფლება თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე ვერ დგას“².

ბურჟუაზიამ მოითხოვა „ნდობის სამინისტროს“ შექმნა — ისეთი მინისტრების დანიშვნა, რომლებსაც ქვეყანა ენდობოდა. 1915 წლის 18 აგვისტოს მოსკოვის ქალაქის სათათბიროს საგანგებო სხდომამ გამოსთქვა ის აზრი, რომ

„შეიქმნას საზოგადოების ნდობით ძლიერი და ერთსულოვანი მთავრობა, რომლის სათავეშიაც უნდა იდგეს ისეთი პირი, ვისაც ქვეყანა ენდობა“³.

ქალაქის სათათბიროს ამ რეზოლუციას შეუერთდნენ მოსკოვის ვაჭართა საზოგადოება, პეტროგრადის ვაჭრები, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობების საბჭო, პეტროგრადის ქალაქის სათათბირო და მთელი რიგი ადგილობრივი სათათბიროები. „ნდობის სამინისტროს“ შექმნა მთელი



პურიშკევიჩი.

კარიკატურა ბორ. ეფიშვილისა.

პირთაგან ბევრი მართლაც შევიდნენ მთავრობის შემადგენლობაში. მაგრამ გაცილებით უფრო გვიან, როდესაც რევოლუციამ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია დააყენა¹.

ბურჟუაზიის შემფოთება ოპოზიციური ხასიათის რეზოლუციებით როდი განისაზღვრა. მეფესთან კონფლიქტში სახელმწიფო სათაბიროს ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა პარტიებმა გადასწყვიტეს გაეერთიანებინათ თავისი ძალები. 22 აგვისტოს შეიკრა ეგრეთწოდებული პროგრესიული ბლოკი.

1912 წელს არჩეული IV სახელმწიფო სათაბირო წარმოადგენდა მებატონე-მემამულეთა და ბურჟუაზიის ზედაფენის ბლოკის ინტერესებს, ამასთან პირველთ უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ ბლოკში. ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდნენ მემარჯვენენი: სახელმწიფო სათაბიროს 410 დეპუტატიდან მემარჯვენეები (ნაციონალისტები, ნაციონალისტ-პროგრესისტები, ზომიერი მემარჯვენენი და სხვ.) 170 კაცი ითვლებოდა. ისინი ეყრდნობოდნენ შავრაზმულ „რუსი ხალხის კავშირს“, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წელს მოეწყო ყველაზე რეაქციული ელემენტებისაგან: მემამულეებისა, სახლთმფლობელებისა, პოლიციის მოხელეებისა და წვრილი ვაჭრებისაგან. მეშინებისა და ბოსიაკებისაგან ჰკრეფდნენ მებრძოლ რაზმებს, ეგრეთწოდებულ „შე რაზმებს“. „კავშირის“ პროგრამა: მეფის მტკიცე, შეუზღუდავი ძალაუფლება, ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერია, არავითარი დათმობა ჩაგრულ ეროვნებებს. გლეხები და მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენები რომ მიემხროთ, შავრაზმელებმა თავის პროგრამაში შეიტანეს მთელი რიგი დემაგო-

ბურჟუაზიისათვის ლოზუნგი გახდა. რია-ბუშინკის გაზეთში „უტრო როსსიი“ სათაურით „თავდაცვის კაბინეტი“, გამოქვეყნდა იმ პირთა სია, რომლებიც თავალისწინებული იყვნენ „ნდობის სამინისტროს“ შემადგენლობაში: პრემიერ-მინისტრი—მ. ვ. როძიანკო; შინაგან საქმეთა მინისტრი—ა. ი. გუჩკოვი; საგარეო საქმეთა მინისტრი—პ. ნ. მილიუკოვი; ფინანსთა მინისტრი—ა. ი. შინგარიოვი; გზათა—ნ. ვ. ნეკრასოვი; ვაჭრობისა და მრეწველობის—ა. ი. კონოვლოვი; მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარმმართველი ა. ვ. კრივოშეინი; სამხედრო მინისტრი—ა. ა. პოლივანოვი; საზღვაო მინისტრი—ნ. ვ. სავიჩი; სახელმწიფო კონტროლიორი—ი. ნ. ეტრემოვი; სინოდის ობერ-პროკურორი—ვ. ნ. ლეოვი; იუსტიციის მინისტრი—ვ. ა. მაკლაკოვი; სახალხო განათლების მინისტრი—გრაფი პ. ნ. იგნატიევი. დასახელებულ

გიური მოთხოვნები: მიწანაკლებ გლეხებისათვის ნაღვლების გადიდება, ყველა შრომელ კლასთა უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრება. „კავშირი“ აწყობდა სასაღილოებს, საჩაიეებს, სადაც მონარქიული პროპაგანდა სწარმოებდა, არიგებდა სახელმწიფოსაგან უხვად მიღებულ ფულს. „კავშირის“ ძირითადი ამოცანა იყო რევოლუციასთან ბრძოლა, ხოლო ბრძოლის მთავარი მეოოდები — პოგრომები, რომლებიც ხელისუფლების დახმარებით ეწყობოდა, ქურდული მკვლელობანი, ანტისემიტური წასისიანება და არარუს ეროვნებათა დევნა. თვითმპყრობელობა შვერაზმელებს საესებოთ უპერდა მხარს. თვით ნიკოლოზ II-მა მიიღო „კავშირელთა“ დელეგაცია, საზოგადოების წევრად შევიდა და „კავშირის“ ნიშანი გაიკეთა. „კავშირის“ ხელმძღვანელი იყო მსხვილი ბესარაბიელი მემამულე ვ. მ. პურიშკევიჩი, რომელმაც თავისი კარიერა დაიწყო განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ პოლიციის უმძვინვარეს უფროს ვ. კ. პლევესთან. საპოგრომო სიტყვებმა, რეაქციულმა საქმიანობამ, „ინოროდცების“ აღვირახსნილმა დევნამ პურიშკევიჩის სახელი ბნელეთის მოციქულობისა და ბატონყმური ჩაგვრის სიმბოლოდ გახადა. „კავშირის“ მეორე გამორჩენილი მოღვაწე იყო ნ. ე. მარკოვი მეორე — კურსკის გუბერნიის მემამულე, რომელიც წარმოადგენდა უკიდურეს მემარჯვენეებს, „ზუბრებს“, როგორც მათ საზოგადოებაში უწოდებდნენ. მარკოვი მეორეზე შეიძლება იგივე ითქვას, რასაც სწერდა გოგოლი „მკედარი სულების“ ერთერთ გამორჩე: „ნოზდრიოვი ერთგვარად ისტორიული ადამიანი იყო. არცერთ შეკრებილობაზე, სადაც კი იგი იყო, საქმე უისტორიოდ არ ჩაივლიდა, რაიმე ისტორია უთუოდ მოხდებოდა: ან ჟანდარმები გაიყვანდნენ დარბაზიდან, ან თავისივე მეგობრები იძულებულნი გახდებოდნენ გარეთ გაეგდოთ“¹. ყველა სკანდალი სათათბიროში და ცემა-ტყეპაც კი, რაც დეპუტატებს შორის ხდებოდა ხოლმე, დაკავშირებული იყო მარკოვი მეორის — თვითმპყრობელობის თავგამოდებული დამცველის სახელთან.



მილიუკოვი. კარიკატურა ბორ. ეფიშოვისა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ „კავშირის“ მნიშვნელობამ იკლო, და მემარჯვენეთა შორის ხელმძღვანელი როლი „გაერთიანებული თა-

ვადანაურობის საბჭოზე“ გადავიდა. მაგრამ შავრაზმული „კავშირი“ არსებობას განაგრძობდა, ლეზულობდა სახსრებს მთავრობისაგან და პოლიტიკურ სცენაზე ჩნდებოდა, როგორც კი ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდებოდა.

უკიდურეს მემარჯვენეთა გარდა სათათბიროში ერთგვარ როლს თამაშობდა ნაციონალისტი ვ. ვ. შულგინი — დეპუტატი ვოლინის გუბერნიიდან, ერობის მოღვაწე, შავრაზმული გაზეთის „კიეველიანინის“ რედაქტორი.

სათათბიროში მემარჯვენეებთან ახლოს იდგნენ ოქტიაბრისტები, ანუ „17 ოქტომბრის კავშირი“, — დაახლოვებით ასი დეპუტატი, რომლებიც წარმოადგენდნენ მსხვილი სამრეწველო კაპიტალისა და კაპიტალისტურად მოსაქმე მსხვილ მემამულეთა ინტერესებს. ოქტიაბრისტებს მემარჯვენეთაგან ჰყოფდა მხოლოდ აღიარება 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტისა, სადაც მეფე ზოგიერთ თავისუფლებას და სახელმწიფო სათათბიროს დაჰპირდა ხალხს. მაგრამ ჯერ კიდევ 1906 წელს ოქტიაბრისტებმა განმარტეს, „თვითმპყრობელის ტიტული“ არ ეწინააღმდეგება 17 ოქტომბრის მანიფესტს და კონსტიტუციურ მონარქიასო. ოქტიაბრისტები სავსებით უჭერდნენ მხარს მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ისინი მონურად მისდევდნენ ყოველ მის ნაბიჯს; მემარტყენე პრესაში მათ „მთავრობის უკანასკნელი განკარგულების პარტია“ დაარქვეს. სათათბიროში ოქტიაბრისტები მთავრობის პარტიას წარმოადგენდნენ. მხოლოდ ომის მეორე წლისათვის, როდესაც გამოირკვა მეფის სრული უუნარობა გამარჯვებამდე მიეყვანა ომი, ოქტიაბრისტები ოპოზიციაში გადავიდნენ. ოქტიაბრისტთა ბელადი, ორგანიზატორი იყო ა. ი. გუჩკოვი, მოსკოველი სახლთმფლობელი და მსხვილი მრეწველი. იგი ცოცხალი და ენერგიული კაცი იყო, ახალგაზრდობაში მოხალისედ იბრძოდა ბურების მხარეზე ინგლისელთა წინააღმდეგ, მონაწილეობას იღებდა მაკედონელი ჩეტნიკების აჯანყებაში. წითელი ჯვრის რაზმით მონაწილეობას იღებდა რუსეთის ომში იაპონიასთან. 1905 წლის რევოლუციის დროს დააარსა „17 ოქტომბრის კავშირი“ და ხელმძღვანელობდა რეაქციულ ბურჟუაზიას. III სახელმწიფო სათათბიროში, როგორც მისი თავმჯდომარე, იგი ასულდგმულებდა თვითმპყრობელობის იმპერიალისტურ პოლიტიკას. ომის დროს იგი ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. გუჩკოვმა ენერგიული საქმიანობა გააჩაღა ომის „საბოლოო გამარჯვებამდე“ მისაყვანად. კომისიებში და თათბირებზე იგი არაერთხელ აკრიტიკებდა იმ გენერლების მოუქნელობასა და გამყიდველობას, რომელნიც არმიას საომარ მასალებს აწვდიდნენ. თვითმპყრობელობისაგან იგი მოითხოვდა მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებას თავდაცვაზე მომუშავე ბურჟუაზიული ორგანიზაციებისათვის. გუჩკოვი ხშირად მიდიოდა ფრონტზე და აბამდა კავშირს მეთაურთა შემადგენლობის ზედაფენასთან. ნიკოლოზის თვალში, რომელიც ყველას, ვინც ოქტიაბრისტებზე მემარტყენე იყო, „ანარქისტებად“ სთვლიდა, სამხედრო საქმეებში გუჩკოვის აქტიურად ჩარევა ამ კაცს თითქმის „რევოლუციონერს“ ხდიდა. დედოფალს არაერთხელ მიუწერია ქმრისთვის, გუჩკოვი უნდა „ჩამოვახრჩოთო“¹, და ნატრობდა, ეგებ „რკინიგზაზე მომხდარმა მძიმე უბედურებამ“² მოუსპოს მას სიცოცხლეო.

ოქტიანბრისტა მეორე ხელმძღვანელი იყო მ. ვ. როძიანკო — ვეებერთელა მამულების პატრონი ეკატერინოსლავის გუბერნიაში. IV სახელმწიფო სათათ-ბიროს თავმჯდომარედ ყოფნისას იგი მხარს უჭერდა თვითმპყრობელობის რე-აქციულ პოლიტიკას. როცა ცარიზმის პირველ დამარცხებათა შემდეგ ოქტია-ბრისტებმა უკმაყოფილების გამოთქმა დაიწყეს, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ა. მაკლაკოვი 1915 წლის 27 აპრილს სწერდა ნიკოლოზს:

„როძიანკო, თქვენო უდიდებულესობავ, მხოლოდ შემსრულებელია — ზვიადი და უკუყო, მის უკან კი დგანან მისი ხელმძღვანელი — ბატონი გუჩკოვები, თავადი ლვოვები და სხვანი, რომელნიც სისტემატურად მი-დიან თავისი მიზნისაკენ. რაში მდგომარეობს ეს მიზანი? დააბნელონ თქვე-ნი დიდების შუქი, თქვენო უდიდებულესობავ, და შეასუსტონ თვითმპყრო-ბელობის წმინდა, ძველადგანვე და რუსეთში მუდამ მხსნელი იდეის მნიშ-ველობის ძალა“¹.

რიცხვით შემდეგ ფრაქციას წარმოადგენდნენ კადეტები — 50-ზე მეტი დე-პუტატი, ხოლო თუ მათთან ახლო მდგომ პროგრესისტებსაც ვიანგარიშებთ, რომლებსაც ლენინმა „ოქტიანბრისტებისა და კადეტების ნარე-ვი“² უწოდა, მაშინ დაახლოვებით ასიც. კადეტები, ანუ კონსტიტუციურ-დე-მოკრატიული პარტია, — ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკური წარმომდ-გენლები იყვნენ. პარტია მოეწყო ჯერ კიდევ 1905 წელს ერობის მემარცხენე მოღვაწეთაგან, ბურჟუაზიულ ინტელიგენტთაგან, ადვოკატთაგან, პროფესორ-თაგან და სხვ. თავისი მოღვაწეობის მანძილზე კადეტებმა მთელი რიგი საინტე-რესო ცვლილებები განვლეს. პირველი რევოლუციის დროს ლენინმა კადეტები ასე დაახასიათა:

„ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ რომელიმე განსაზღვრულ კლას-თან დაუკავშირებელი, მაგრამ სავსებით ბურჟუაზიული თავისი შემადგენ-ლობით, თავისი ხასიათით, თავისი იდეალებით, ეს პარტია მერყეობს დე-მოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასა და მსხვილი ბურჟუაზიის კონტრარევი-ლუციურ ელემენტებს შორის. ამ პარტიის სოციალურ დასაყრდენს წარ-მოადგენს, ერთი მხრით, ქალაქის მასობრივი ობიექტელი... ხოლო მეორე მხრით, ლიბერალური მემამულე“³.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ კადეტები კიდევ უფრო გამემარჯვენ-დნენ. II ყრილობაზე 1906 წელს მათ თავიანთ პროგრამაში შეიტანეს ახალი პუნქტი:

„რუსეთი კონსტიტუციური და საპარლამენტო მონარქია უნდა იყოს“⁴.

ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა კადეტებისათვის ეწოდებინათ კონსტიტუ-ციურ-მონარქიული პარტია. მიწის საკითხში ისინი ილაშქრებდნენ მემამ-ულეების ადგილ-მამულების კონფისკაციის წინააღმდეგ. მხარს უჭერ-დნენ „გასხვისებას სამართლიანი შეფასებით“. არსებითად, წარმოადგენდნენ რა ბურჟუაზიულ პარტიას, ისინი მხოლოდ სახელწოდებით ცდილობდნენ შეე-ნარჩუნებინათ მასების მხარდაჭერა, რისთვისაც III ყრილობაზე „ხალხის თავი-


სუფლები“ პარტიის „ტიტული“ მიიღეს. ნამდვილად კი კადეტებს უნდოდათ ისე გაენაწილებინათ ძალაუფლება მეფესთან და მებატონე-მემამულეებთან, რომ საძირკვლამდე არ დაენგრიათ მათი ძალაუფლება და ხალხისათვის არ მიეცათ ძალაუფლება. ლიბერალებს მასობრივი მოძრაობისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე რეაქციისა. სწორედ ამით აისხნება, თუ რატომ იყვნენ ლიბერალები პოლიტიკურად უძლურნი, მაშინ როდესაც ეკონომიურად ძალას წარმოადგენდნენ. ბოლოსდაბოლოს კადეტები გადაიქცნენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის პარტიად, რომელიც აშკარად უჭერდა მხარს თვითმპყრობელობის მტაცებელურ საგარეო პოლიტიკას. ოქტიაბრისტებისაგან მათ მხოლოდ უფრო ოპორტიუნი ფრაზები განასხვავებდა. სახელმწიფო სათათბიროში კადეტები ერთსულოვნად მუშაობდნენ ოქტიაბრისტებთან ერთად. ასეთი ერთიანობის მაგალითს წარმოადგენს სათათბიროს სამხედრო-საზღვაო კომისიის თავმჯდომარედ კადეტ ა. ი. შინგარიოვის ერთხმად არჩევა. ოქტიაბრისტები პირდაპირ იმით ხსნიდნენ ამ შემთხვევაში ხმის მიცემას, რომ კადეტები უფრო ენამეტყველნი არიანო. ნაცოინალისტი ა. ი. სავენკო შინგარიოვის არჩევის თაობაზე ამბობდა:

„არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა, როდესაც კონტროლისა და კრიტიკის ფუნქციების შესრულება დამოუკიდებელ ოპოზიციას უკეთესად შეუძლია, ვიდრე იმ პარტიებს, რომელნიც დროდადრო სცოდადნენ ზედმეტი მლოქვენელობით ხელისუფლების წინაშე. ამიტომ ა. ი. შინგარიოვი თავის პოსტზე შეიძლება უბადლო აღმოჩნდეს“¹.

ლენინმა წინათაც იწინასწარმეტყველა კადეტების დაასლოვება ოქტიაბრისტებთან:

„ოქტიაბრისტი — ეს არის კადეტი, რომელიც საქმიან ცხოვრებაში იყენებს თავის ბურჟუაზიულ თეორიებს. კადეტი — ეს არის ოქტიაბრისტი. რომელიც მუშათა და გლეხთა ძარცვისაგან თავისუფალ საათებში ოცნებობს იდეალურ ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე. ოქტიაბრისტი ცოტაოდენს კიდევ ისწავლის საპარლამენტო მოქცევას და პოლიტიკურ ფარისევლობას დემოკრატიზაციის თამაშში. კადეტი ცოტაოდენს კიდევ ისწავლის საქმიან ბურჟუაზიულ გეშეფტმანერობას, და ისინი შეერთდებიან, აუცილებლად და უეპველად შეერთდებიან“².

კადეტთა პარტიის ლიდერი იყო პ. ნ. მილიუტკოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ისტორიის დარგში. I სახელმწიფო სათათბიროში კადეტებს იგი დასახული ჰყავდათ პასუხისმგებელი სამინისტროს პრემიერად. დიდი ორატორი და საერთაშორისო ურთიერთობათა მცოდნე, მილიუტკოვი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველაზე გამოჩენილი იდეური ბელადი იყო. მისმა ხშირმა სტატიებმა და სიტყვებმა გალიციის, სომხეთის და განსაკუთრებით შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდების შესახებ „მილიუტკოვ-დარდანელსკის“ სახელწოდება მოუპოვეს მას. კადეტების სხვა გამოჩენილი ლიდერები იყვნენ: ვ. ა. მაკლაკოვი — გამოჩენილი მოსკოველი ადვოკატი, ფ. ი. როდინევი — თავადზნაურობის წინამძღოლი ტვერის გუბერნიის ერთერთ მაზრაში, ა. ი. შინგარიოვი — ექიმი და საერობო მოღვაწე.



სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციასთან ანგარიშის გასწორება. სხდომის დარბაზიდან ბოქაულს გაჰყავს დეპუტატი-ბოლშევიკი გ. ი. პეტროვსკი.

სწორედ ეს სამი დიდი ჯგუფი — მემარჯვენენი, ოქტიაბრისტები და ლიბერალები — წარმოადგენდნენ სათათბიროს, ვინაიდან არჩევნების სისტემა ისე იყო აგებული, რომ მემამულენი და ბურჟუაზია უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ. პროლეტარიატს სულ ხუთი დეპუტატი-ბოლშევიკი ჰყავდა. მაგრამ ისინი ყველანი - გ. ი. პეტროვსკი, მ. კ. მურანოვი, ა. ე. ბადაევი, ფ. ნ. სამოილოვი და ნ. რ. შაგოვი — 1914 წლის ნოემბერშივე დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ ციმბირში გადაასახლეს.

წვრილი ბურჟუაზია წარმოდგენილი იყო 10 ტრუდოვიკითა და 6 მენშევიკით. ტრუდოვიკებმა, ანუ „შრომის ჯგუფმა“, ამოცანად დაისახეს გაეერთიანებინათ „ხალხის ყველა მშრომელი კლასი: გლეხობა, ფაბრიკა-ქარხნების მუშები, აგრეთვე ინტელიგენტი მშრომელი“¹ კაპიტალიზმის შენარჩუნების საფუძველზე. ისტორიაში ტრუდოვიკები შევიდნენ, როგორც ავტორები აგრა-რული კანონისა, ეგრეთწოდებული „104-ის პროექტისა“, რომელიც მოითხოვდა შრომითი ნორმის შემოღებას მიწის განაწილებისას. ტრუდოვიკები წინააღმდეგი იყვნენ მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და გამოსასყიდელს სთავაზობდნენ მემამულეებს გასასხვისებელი მიწისათვის, რაც ტრუდოვიკებს კადეტებთან აახლოებდა. სათათბიროში ტრუდოვიკები კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის მერყეობდნენ, ხოლო როდესაც ესერებმა თავისი ფრაქცია შეადგინეს და „ჯგუფი“ მიატოვეს, ტრუდოვიკები საბოლოოდ მოექცნენ კადეტების გავლენის ქვეშ. ტრუდოვიკების ბელადი IV სახელმწიფო სათათბიროში ა. ფ. კერენსკი იყო. განსაკუთრებულ ტემპერამენტიანი ორატორი, მკვეთრი და სწრაფვიანი, კერენსკიმ სახელი გაითქვა, როგორც დამცველმა მთელ რიგ პოლიტიკურ პროცესებში. სათათბიროში იგი ხშირად გამოდიოდა სიტყვებით,

რომლებშიაც მთავრობის ღონისძიებებს აკრიტიკებდა. მის საადვოკატო მისაღებ ოთახში შეიძლება გლახების წარმომადგენლებს, რომლებიც სთხოვდნენ მას გამოსულიყო ამათუიმ სასამართლო პროცესში აგრარულ უწყსრიგობათა თაობაზე. სათათბიროში ბოლშევიკთა დაპატიმრების შემდეგ კერენსკი ყველაზე მემარცხენე დეპუტატად ეჩვენებოდათ. რევოლუციონერად სთვლიდნენ მას მემარჯვენენი და ოქტიაბრისტები, აგრეთვე ოხრანაკც. ნამდვილად კი კერენსკი წვრილბურჟუაზიული დემოკრატი იყო. „ხალხის“ სახელს ფიცულობდა, ხალხზე ლაპარაკობდა, თავისი ხალხმოყვარეობა საჯაროდ გამოჰქონდა, მაგრამ ხალხი ისტორიის მამოძრავებელ ძალად არ მიაჩნდა. ნერვიული იყო, მალე აენთებოდა, მაგრამ კიდევ უფრო მალე ჩაიფერფლებოდა და იბნეოდა ხოლმე, რაიმე პოლიტიკური საყრდენები არ გააჩნდა, ხოლო თავს ესერად სთვლიდა და თავმჯდომარეობდა ტრუდოვიკთა ფრაქციაში, რომელშიც არათუ სოციალისტებს არ უწყობდნენ თავს, არამედ პროგრამულადაც კი არ ილაშქრებდნენ მონარქიის წინააღმდეგ. იგი მუდმივად არ მისდევდა მასებში მუშაობას და მიდრეკილება ჰქონდა ლიბერალური ჯგუფებისაკენ, სადაც იყო მისი აზრით მოძრაობის ცენტრი. ავადმყოფური თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა მის ბუნებაში შეერთებული იყო აქტიურობასთან, პოზის, ექსტის სიყვარულთან. იგი აშკარად უპერდა მხარს იმპერიალისტურ ომს, აღიარებდა მეფის რუსეთის სამხედრო ძლიერების საჭიროებას და უდიერად ილაშქრებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. კერენსკის არაერთხელ უკისრნია ბურჟუაზიისა და მუშათა ზოგიერთი ჯგუფის შემარიგებლის როლი. ასე. მაგალითად, 1915 წლის სექტემბერში, როდესაც მუშები მენშევიკების გავლენით გამოცხადდნენ ქალაქთა კავშირის ყრილობაზე და ითხოვეს „სათათბირო ხმით“ მაინც დაეშვათ ისინი ამ ყრილობაზე, მათთან გამოვიდა კერენსკი. მან წინადადება მისცა მუშებს შეეწყვიტათ გაფიცვა, რომელსაც „სეროიზული მნიშვნელობა არა აქვს“, „შესდგომოდნენ თავის შინაგან ორგანიზაციას“, მაშინ „ლიბერალური ბურჟუაზია ვერ გაბედავს უარყოფის თქვენი მონაწილეობა პოლიტიკურ თათბირებში“. რევოლუციამდე ბევრად უფრო ადრე კერენსკი უკვე ვარჯიშობდა შემთანხმებლის, ბურჟუაზიის ინტერესებისათვის ბურჟუაზიისა და მშრომელთა შემარიგებლის როლში — იმ როლში, რომელიც ამ პოლიტიკურმა აქტიორმა 1917 წელს ითამაშა.

პარტია, რომელსაც შემდეგში თავის თავს აკუთვნებდა კერენსკი, ესერების — სოციალისტ-რევოლუციონერების — პარტია, 1902 წელს ჩამოყალიბდა. ამ წლის გაზაფხულზე უკრაინაში და ნაწილობრივ პოვოლჩიეში ხანგრძლივი მიწყნარების შემდეგ გაჩაღდა გლახთა პირველი ფართო მოძრაობა. გლახთა გამოსვლამ გამოხმაურება ჰპოვა წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში, რომელმაც თვალნათლივ დაინახა აჯანყებული მასები, რაც აკლდათ ნაროდნიკებს 70-იან წლებში. კვლავ აღორძინდა ნაროდნიკული იდეები და იმედები. გლახობაში ნაროდნიკულ-ესერული ელემენტები რევოლუციის მთავარ დასაყრდენს ხედავდნენ. ობშინა (თემი), რომელიც თვითმპყრობელობამ სოფლად გადასახადების აკრფის გასაადვილებლად დასტოვა, სოციალიზმის ჩანასახად მიაჩნდათ. წვრილი მესაყუთრის მისწრაფებას — ყოველგვარი გაჭირვების საფა-

სურით შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებელი მეურნეობა, ასაღებდნენ კაპიტალიზმთან ბრძოლის წარმატებით შესაძლებლობად. აქედან ის დასკვნა გამოაკავდით, რომ რუსეთს შეუძლია გვერდი აუაროს კაპიტალიზმს და პირდაპირ სოციალიზმზე გადავიდეს. ნაროდნიკული ჯგუფების ნაშთები გაერთიანდნენ ერთ პარტიად, რომელიც სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით თავს უწოდებდა „ყველა მშრომელთა“ — მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის პარტიას.

ესერებს უნდოდათ უმთავრესად გლეხობის პარტია ყოფილიყვნენ. ძირითად მუშაობას ისინი სოფლად აწარმოებდნენ და ეწეოდნენ აგიტაციას „მიწის სოციალიზაციისათვის“, ანუ, როგორც ისინი განმარტავდნენ.

„მისი გამორიცხვისათვის სასაქონლო ბრუნვიდან და მისი გადაქცევისათვის ცალკე პირთა ან ჯგუფთა კერძო საკუთრებიდან საერთო-სახალხო კუთვნილებად“¹.

თავის მომხრედ გლეხობა რომ შეენარჩუნებინა, ესერების პარტია თავისი წარმოშობიდანვე ჩქმალავდა კლასობრივ ფენებად დაშლას სოფლად და ამტკიცებდა, რომ სოფლის პროლეტარიატსა და „დამოუკიდებელ მიწათმოქმედთა“ შორის პრინციპული განსხვავება არ არისო: „ისინი გაერთიანებულ უნდა იქნან მშრომელი გლეხობის ერთ კატეგორიად“. ეს სავსებით შეესაბამებოდა კულაკობის ინტერესებს. კულაკებიც თავის გამოსვლებს „მშრომელი სოფლის“ სახელით ფარავდნენ და ყოველნაირად უარპყოფდნენ გლეხობაში სხვადასხვა კლასების არსებობას. სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ აავსო კულაკობამ 1917 წლის რევოლუციის დროს ესერთა რიგები.

ბრძოლის ძირითად მეთოდად ესერებს ინდივიდუალური ტერორი მიაჩნდათ. თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში მათ მოახერხეს მოხდინათ რამდენიმე ტერორისტული აქტი: სტეპან ბალმაშევმა მოკლა შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი, პეტრე კარპოვიჩმა — სახალხო განათლების მინისტრი ბოგოლუპოვი, ეგორ საზონოვმა — შინაგან საქმეთა მინისტრი პლევე. ივანე კალიაევმა ბოძებით ააფეთქა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს-ძე. ერთეულთა ამ მამაცმა ჭიდილმა მეფის ჯალათებთან განსაკუთრებული შარავანდედით შემოსა პარტია რევოლუციური ინტელიგენციის თვალში. მაგრამ ტერორისტულმა პრაქტიკამ მალე ცხადჰყო მთელი თავისი უმიზნობა. მოკლულ მოძალადეს დაუყოვნებლივ სცვლიდა მეფის მეორე მსახური, წინანდელზე უკეთესი კი არა, არამედ ხშირად უარესიც. ტერორმა მასობრივი მოძრაობა ვერ გამოიწვია, არამედ, პირიქით, შეასუსტა იგი, ვინაიდან ინდივიდუალური ტერორის პოლიტიკა და პრაქტიკა გამოდიან აქტიური „გმირებასა“ და გმირთაგან საგმირო საქმეების მომლოდინე პასიური „ბრბოს“ ნაროდნიკული თეორიიდან. ხოლო ასეთი თეორია და პრაქტიკა გამორიცხავს მასების აქტივიზაციის ყოველგვარ შესაძლებლობას, მასობრივი პარტიის შექმნისა და მასობრივი რევოლუციური მოძრაობის შესაძლებლობას. ამასთან პოლიციამ მალე მოახერხა ჩაყენებინა თავისი კაცი — პროვოკატორი ინჟინერი ე. ფ. აზუფი — ესერთა პარტიის წებრძოლი ტერორისტული ორგანიზაციის სათავეში. ამით ტერორი პოლი-

ციის კონტროლ ქვეშ მოექცა. აზეფი პარტიის სრულუფლებიანი გამგებელი გახდა. იგი ახდენდა ცენტრალური კომიტეტის წევრთა შერჩევას. 1908 წელს აზეფის პროვოკაციული მუშაობის გამოააშკარაებამ სრული გახრწნა შეიტანა ესერთა რიგებში.

თავისი ბურჟუაზიული ბუნება ესერთა პარტიამ ჯერ კიდევ 1905 — 1907 წლების რევოლუციის დროს გამოიჩინა. უკვე მაშინ გამოიჩინეს ესერებმა მძრველები — შეთანხმება დაედოთ ხოლმე კადეტებთან. I სათათბიროში ისინი ტრუდოვიკთა შემადგენლობაში შევიდნენ. II სათათბიროში მეფის პრემიერმა პ. ა. სტოლიპინმა სამართალში მისცა სოციალ-დემოკრატების ფრაქცია, მაგრამ ესერებისათვის ხელი არ უხლია.

ჯერ კიდევ 1906 წელს ესერთა I ყრილობაზე პარტიაში სხვადასხვა მიმდინარეობები დაისახა. მემარჯვენეებმა ტერორისა და აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრეს. შემოდგომაზე მემარჯვენენი საბოლოოდ გამოეყვნენ პარტიას და შექქნეს თავისი ნახევრადკადეტური „შრომითი სახალხო-სოციალისტური პარტია“. „სახალხო სოციალისტებმა“ უარპყვეს რესპუბლიკაზე ფიქრი, აუცილებლად აღიარეს გამოსასყიდელის მიცემა იმ მიწაში, რომელიც გლეხებისათვის უნდა გაეხვისებინათ, და ბლოკი შექპრეს კადეტებთან. პარტიის ლიდერი იყო ა. ვ. პეშხონოვი. რომელიც სასურსათო საქმის მინისტრი გახდა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ.

იმავე I ყრილობაზე გამოიყო „მემარცხენე“ ფრთაც და შექქნა განსაკუთრებული ნახევრადანარქისტული პარტია — ესერ-მაქსიმალისტებისა. მაქსიმალისტები მაშინვე, 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, მოითხოვდნენ არა მარტო „მიწის სოციალიზაციას“, არამედ ფაბრიკებისა და ქარხნების დაუყოვნებლივ „სოციალიზაციასაც“. მაგრამ ეს მოთხოვნები მხოლოდ ნიღაბი იყო, რომელიც მაქსიმალისტთა ბურჟუაზიულ ბუნებას ფარავდა. ისინი წინადადებას იძლეოდნენ ტერორი გამხდარიყო ბრძოლის ძირითად საშუალებად. შემდეგში მაქსიმალისტები გადაგვარდნენ ბანდიტ-„ექსპროპრიატორთა“ უპრინციპო, მასებში ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულ ჯგუფად.

პარტიის დაშლა ამით არ დამთავრებულა. ომის დროს ესერები კიდევ რამდენიმე ჯგუფად გაიყვნენ. ზოგი მათგანი უსიტყუოდ მოითხოვდა ომისათვის მხარისდაჭერას. ამ ჯგუფს კერენსკის გარდა ეკუთვნოდა ნ. დ. ავქსენტიევი — ესერთა ერთერთი ბელადი. მან პარიზში დაიწყო ჟურნალ „პრიზივის“ გამოცემა, სადაც აგიტაციას ეწეოდა მეფის რუსეთის თავდაცვისათვის. სხვები თავს ინტერნაციონალისტებად სთვლიდნენ, სიტყვიერად ობორონცების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ნამდვილად კი მათთან ერთ პარტიაში რჩებოდნენ. იდეური ხელმძღვანელი „ინტერნაციონალისტ“-ესერებისა, რომელნიც ორ სკამზე ჯდომას ცდილობდნენ, ვ. მ. ჩერნოვი იყო.

მენშევიკ-სოციალ-დემოკრატები IV სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში ერთიან შემჭიდროებულ ორგანიზაციას არ წარმოადგენდნენ. ისინი მთელ რიგ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად იყოფოდნენ. უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე იდგა გ. ვ. პლუხანოვა, რომელიც მემარჯვენე ესერებთან ნ. დ. ავქსენტიევსა



„ომი, ჩემო ბავშვებო, ჩვენს ქონებას იცავს უცხოელებისაგან. კარიკატურა იტალიურ გაზეთ „Avanti“-დან.



„ომის ნაყოფი“. კარიკატურა სკარლატინისა იტალიურ გაზეთ „Avanti“-დან.



„ჩვენ კიდევ გავუსწორდებით ერთმანეთს“. კარიკატურა კუპკია ფრანგულ ჟურნალ „L'assiette au beurre“-დან.

და ი. ი. ბუნაკოვთან ერთად გამოდიოდა. ომის დასაწყისში პლენანოვმა რუსეთის მუშებს მიმართა წერილით, რომელშიაც ამტკიცებდა, რუსეთი თავდაცვითს ომს აწარმოებს და ამიტომ მუშების ამოცანაა — სამშობლო დაიცვანო. კადეტები ალტაცებით შეხვდნენ პლენანოვის გამოსვლას. მილიუკოვმა განაცხადა, პლენანოვმა „თავისი ჩვეულებრივი ოსტატობით“ დაამტკიცა განსხვავება ინგლისის და გერმანიის იმპერიალიზმს შორის, თავდაცვითსა და შეტევითს ომს შორისო.

პლენანოვს მიჰყვებოდნენ ობორონცები კ. ა. გვოზდოვი, პ. პ. მასლოვი, ა. ნ. პორტრესოვი, რომლებმაც იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის აშკარა მხარდაჭერა მოითხოვეს. ისინი მხარს უჭერდნენ მუშათა ჯგუფების მოწყობას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ. რუსეთის მუშები ბურჟუაზიასთან ერთიანი ფრონტის მომხრენი, სამოქალაქო ზავის მომხრენი არიანო. გვოზდოვი ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან არსებული მუშათა ჯგუფის თავმჯდომარე იყო, მკაფრად ილაშქრებდა სავაფიეცო ბრძოლის წინააღმდეგ. რომელიც მისი აზრით ასუსტებდა მუშათა კლასს და დეზორგანიზაცია შეჰქონდა ქვეყანაში, და შეხმატკილვულად მუშაობდა გუჩკოვთან. „მე დიდი სიმპატიებითა და ნდობით ვეკიდებოდი გვოზდოვსო“¹, ამბობდა მის შესახებ გუჩკოვი. მენშევიკებმა 1917 წლის რევოლუციის დროს გვოზდოვი შრომის მინისტრის პოსტზე წამოაყენეს.

უფრო „მარცხნივ“ იდგა მენშევიკური „ცენტრი“, რომელსაც მეთაურობდნენ ფ. ი. დანი, ი. გ. წერეთელი, და სათათბიროს ფრაქცია — ნ. ს. ჩხეიძე, ა. ი. ჩხეკელი, მ. ი. სკობელევი. „ცენტრი“ რევოლუციურ ფრაზას ეფარებოდა, საქმით კი ობორონცებს უჭერდა მხარს. მენშევიკების „მარცხენა“ ფლაგზე იდგნენ მარტოვი და ოდნავ უფრო მარცხნივ — ტროცკი. ომის პირველ პერიოდში ტროცკი მარტოვთან ერთად პარიზში სცემდა ვახეთ „ნაშე სლოვოს“. აკრიტიკებდა ბოლშევიკურ ტაქტიკას. „გაპიშველებს“ უწოდებდა ბოლშევიკებს, მოუწოდებდა ობორონცებთან ერთიანობისაკენ. რომელნიც ომის მომხრენი იყვნენ.

„ცენტრს“ და „მემარცხენე“ მენშევიკებს ეზინოდათ აშკარა ობორონცული პოზიცია დაეჭირათ. სათათბიროში ჩხეიძემ, ისევე როგორც კერენსკიმ თავი შეიკავა მეფის სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემისაგან. ლენინი ფრაქციის ამ ქცევას იმით ხსნიდა, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მუშების მხრივ აღშფოთების გრივალს გამოიწვევდა თავის წინააღმდეგო“².

პოლიტიკურ პრაქტიკაში. მიუხედავად ობორონცების კრიტიკისა. „მემარცხენე“ მენშევიკებიც და „ცენტრიც“ ხელს უწყობდნენ რუსეთის ბურჟუაზიის აშკარა აგენტებს. როდესაც ვანდერველდემ, II ინტერნაციონალის ერთერთმა ზელადმა, წერილით მიმართა სათათბიროს მენშევიკურ ფრაქციას და ურჩევდა მათ გამოსულიყვნენ მეფის რუსეთის დასაცავად გერმანიის წინააღმდეგ, ჩხეიძემ და მისმა თანამებრძოლებმა უპასუხეს:

„ამ ომში თქვენი საქმე არის მართალი საქმე თავდაცვისა იმ საშიშროებათა წინააღმდეგ, რომელნიც ემუქრებიან დემოკრატიულ თავისუფლებებს

და პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას პრუსიის იუნკრობის აგრესიული პოლიტიკის მხრით... ჩვენ წინააღმდეგობას არ ვუწევთ ომს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მივაპყროთ თქვენი ყურადღება იმის აუცილებლობას, რომ ახლავე ემზადოთ ენერგიული წინააღმდეგობის გასაწევად დიდ სახელმწიფოთა მტაცებლური პოლიტიკისათვის, რომელიც ამჟამად უკვე ისახება“¹.

ყველა ეს „მემარცხენე“ ნაროდნიკულ-ესერული და მენშევიკურ-სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები — ჩერნოვის ჯგუფით და მაქსიმალისტებით დაწყებული და მარტოვისა და ტროცკის ჯგუფით დამთავრებული — მიუხედავად თავისი რევოლუციური ფრაზეოლოგიისა, არსებითად წარმოადგენდნენ მემარცხენე წვრილბურჟუაზიულ ფრთას ბურჟუაზიული დემოკრატიისას, რომელიც კაპიტალიზმის შენარჩუნებისა და „გაუმჯობესების“ მომხრე იყო: ისინი ყველანი უარყოფდნენ რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. გამოდიოდნენ რუსეთის სოციალისტურად გარდაქმნის წინააღმდეგ, იცავდნენ ერთობას იმპერიალისტური ომის მომხრე ობორონცებთან, ილაშქრებდნენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ბოლშევიკური ლოზუნგის წინააღმდეგ, აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ნავარაუდევე იყო იმპერიალისტურ ომში მეფის მთავრობის დამარცხებაზე, ერთიანი ფრონტით აწარმოებდნენ ბრძოლას ლენინის პარტიის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ.

ერთადერთი რევოლუციური პროლეტარულ-სოციალისტური პარტია რუსეთში ბოლშევიკთა პარტია იყო. იყვნენ რა ფორმალურად ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მენშევიკებთან ერთად, ბოლშევიკები ფაქტიურად დამოუკიდებელ პარტიას შეადგენდნენ უკვე 1905 წლიდან, ხოლო 1912 წლიდან მათ ფორმალურად გასწყვიტეს კავშირი მენშევიკებთან, პარტიიდან განდევნეს მათი მემარჯვენე ლიდერები და ცალკე ბოლშევიკურ პარტიად ჩამოყალიბდნენ. ბოლშევიკური პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც პროლეტარიატის ჰეგემონიას აღიარებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და მისი სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ძირითად პირობად. ის იყო ერთადერთი პარტია, რომელიც აღიარებდა რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას და რომელსაც ჰქონდა თავისი რევოლუციური კონკრეტული პლატფორმა ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გარდამავალი პერიოდისათვის. ის იყო ერთადერთი პარტია, რომელიც ბოლომდე იბრძოდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, იდგა იმპერიალისტურ ომში მეფის მთავრობის დამარცხების თვალსაზრისზე, ატარებდა ფრონტზე დამძობილების პოლიტიკას, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა შოვინიზმისა და ობორონცობის წინააღმდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის და ატარებდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგს. ბოლშევიკური პარტიის ლიდერი და შემქმნელი იყო ლენინი. ბოლშევიკურ პარტიას სახელმწიფო სათათბიროში ჰყავდა თავისი ფრაქცია მუშა დეპუტატებისაგან, რომლებიც არჩეული იყვნენ მუშათა

კლასის მიერ მუშათა კურიიდან. სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკთა ფრაქცია 1914 წლის ნოემბერში დააპატიმრა მეფის მთავრობამ და შემდეგ აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლა.

მტაცებლური ომი გაჩაღებული იყო, სწარმოებდა სხვისი ტერიტორიის თავშეუკავებელი და უსირცხვილო დაპყრობა, მენშევიკები კი მხოლოდ იმისკენ მოუწოდებდნენ, რომ „ემზადეთ“ „დასახული მტაცებლური ტაქტიკის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. მილიუკოვისა და გუჩკოვისათვის საკმარისი იყო, რომ მენშევიკები „წინააღმდეგობას არ უწევდნენ ომს“. გონებაფიზიკურად ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა იცოდნენ, რომ პრაქტიკაში „წინააღმდეგობის გაუწევლობა“ „ხელის შეწყობას“ უდრის.

სწორედ ასეც მოხდა პროგრესიული ბლოკის შექმნისას. მის შემადგენლობაში შევიდნენ თითქმის ყველა ბურჟუაზიული პარტიები — ოქტიაბრისტები. კადეტები პროგრესისტებითურთ, ზომიერ-მემარჯვენეთა ნაწილი, ნაციონალისტთა ეგრეთწოდებული პროგრესიული ჯგუფი და ცენტრის ფრაქცია. არ შესულან მხოლოდ ტრუდოვიკები, მენშევიკები და უკიდურესი მემარჯვენენი. მაგრამ ორივე პირველი ჯგუფი ძალიან თანაგრძნობით მოეკიდა ბლოკს, ჩხიძემ კი აღუთქვა, რომ მხარს დაუჭერდა ბლოკის ყველა „პროგრესიულ“ ნაბიჯს. ერთადერთი, რასაც მოითხოვდა ჩხიძე ბლოკისაგან, ეს იყო ის, რომ „უფრო ახლო დამდგარიყო ხალხთან“, მაგრამ თუ რით შეიძლებოდა ეს გამოხატულიყო, ეს კი აღარ განმარტა მენშევიკთა ხელმძღვანელმა.

პროგრესიული ბლოკის პროგრამა გამოიხატებოდა იმაში, რომ „შექმნილიყო გაერთიანებული მთავრობა ქვეყნის ნდობით აღჭურვილი პირებისაგან“. ამ მთავრობის ამოცანა უნდა ყოფილიყო

„გონივრული და თანმიმდევრული პოლიტიკა. მიმართული შინაგანი მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ და ეროვნებათა და კლასთა შორის შუღლის აღმოფხვრისაკენ“¹.

ბურჟუაზიის მოთხოვნები განსაკუთრებით თავმდაბლური იყო. ლაპარაკი არ ყოფილა არამც თუ იმაზე, რომ მისთვის ძალაუფლება გაეზარებინათ. არამედ არც პასუხისმგებელ სამინისტროზე. მოითხოვდნენ მხოლოდ რამდენიმე ისეთი მინისტრის დანიშვნას, რომლებიც ბურჟუაზიის ნდობით სარგებლობდნენ, და ბურჟუაზიული ოპორტუნისტებისადმი უფრო მომთმენ დამოკიდებულებას. ბლოკის პროგრამაში იყო კიდევ მოთხოვნები პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულთათვის მსჯავრდადებულთა ნაწილობრივი ამნისტიის შესახებ, პოლონეთის ავტონომიის კანონის დამუშავება, შემარიგებელი პოლიტიკა ფინეთის საკითხში, ებრაელთათვის არსებულ შეზღუდვათა გაუქმების გზაზე დადგომა, პროფესიული კავშირების საქმიანობისა და მუშათა პრესის ლეგალიზაცია ადღგენა — ყოფილივე იმისათვის, რომ მაქსიმალურად ეროვნებათა ბურჟუაზიის და თუნდაც მშრომელთა ჩამორჩენილი ნაწილის მხარდაჭერისათვის.

მაგრამ ბურჟუაზიის ეს ლაპობავე გამოწვევად ეჩვენებოდა თვითმპყრობელობას, რომელიც დიდხანია გადაეჩვია „უაზრო ოცნებებს“, — ასე უწოდა

ნიკოლოზ II-მ თავისი მეფობის ჯერ კიდევ პირველ დღეებში ლიბერალთა ცდებს — შესწორებები შეეტანათ მის რეჟიმში. თვითმპყრობელობამ გამოწვევა მიიღო.

„არავის არ ესაჭიროება მათი აზრი — უმჯობესია კანალიზაციის საკითხებზე იმუშაონო“¹,

გაბრაზებულად და გესლიანად სწერდა დედოფალი ნიკოლოზს 1905 წლის 28 აგვისტოს მოსკოვის ქალაქის სათათბიროს შესახებ, რომელმაც იგივე მოთხოვნები წამოაყენა, რაც პროგრესიულმა ბლოკმა. ხოლო ცოტა უფრო ადრე დედოფალი სწერდა:

„რუსეთი, მაღლობა ღმერთს, კონსტიტუციური ქვეყანა არ არის, თუმცა ეს საზიზღარი ქმნილებანი ცდილობენ როლი ითამაშონ და იმ საქმეებში ჩაერიონ, რომელთა შეხებას ვერ ბედავენ“².

პროგრესიული ბლოკის წინააღმდეგ გაილაშქრეს მემარჯვენეებმა. მებატონე-მემამულეებმა. „რუსი ხალხის კავშირმა“ პოპოლარული მოწოდებით მიმართა „რუს ადამიანთ“ „სრულიად-რუსეთის თვითმპყრობელის უფლებათა დამცირების“ წინააღმდეგ სამოქმედოთ.

შავრაზმული პრესა მოუწოდებდა მთავრობას არ დაეთმო სათათბიროს უმრავლესობისათვის. სათათბიროში მემარჯვენეებმა გადასწყვიტეს შეექმნათ განსაკუთრებული „საინფორმაცია ბიურო“ პროგრესიული ბლოკის დასაპირდაპირებლად. მაგრამ ისინი მეტისმეტად ცოტანი აღმოჩნდნენ. რადგან ძალა არ შესწევდათ ებრძოლნათ ბლოკთან სათათბიროს შიგნით, მემარჯვენეებმა დაიწყეს კბმპანია სათათბიროს გარეკისათვის. „გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს“ თავმჯდომარე ა. პ. სტრუკოვი გამოვიდა წერილით, რომელშიაც მოითხოვდა სათათბიროს საქმიანობის შეწყვეტას. მთელი რიგი ქალაქების მონარქიული ორგანიზაციები შეუერთდნენ გაერთიანებული თავადაზნაურობის მოთხოვნას. ისინიც მოუწოდებდნენ თვითმპყრობელობას შეწყვიტა დათმობანი და მიეღო სასწრაფო ზომები ძალაუფლებას განმტკიცებისათვის.

მაგრამ მთავრობას თვითონაც არ ეძინა. უწინარეს ყოვლისა ნიკოლოზმა დედოფლის ზეგავლენით გადასწყვიტა დაეთხოვნა „დიდი“ ნიკოლოზი და პირადად ჩასდგომოდა სათავეში არმიას. მეფის ბიძისათვის ვერასაგზით ვერ ეპატიებინათ მისი მონაწილეობა სათათბიროს შექმნაში. კარისკაცები უამბობდნენ ვიტეს, რომელიც 1905 წელს პრემიერ-მინისტრად იყო, რომ 1905 წლის ოქტომბრის ბოლოქრულ დღეებში „დიდმა“ ნიკოლოზმა, რომელსაც სამხედრო დიქტატორად სახავდნენ, რევოლუციური აიღო და იმის მუქარით, რომ „პატარა“ ნიკოლოზის კაბინეტში თავს მოიკლავდა, აიძულა იგი ხელი მოეწერინებია მანიფესტზე სათათბიროს მოწვევისა და თავისუფლებათა შესახებ.

„ჩვენ ჯერ კიდევ მომზადებულნი არა ვართ კონსტიტუციური მთავრობისათვის. ნიკოლოზსა და ვიტეს მიუძღვით ბრალი იმაში, რომ სათათბირო არსებობს, შენ კი მან საზრუნავი მეტი მოგიტანა, ვიდრე სიხარული“³,

სახელმწიფო სათათბირო დაიხსნა. აი როგორ გადმოგვცემს მწრალი ოქმი სათათბიროს დათხოვნის სურათს:

„სხდომა იხსნება ნაშუადღევს 2 საათსა და 51 წუთზე მ. ვ. როძიანკოს თავმჯდომარეობით.

თ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ე. სახელმწიფო სათათბიროს სხდომას გახსნილად ვაცხადებ. წინადადებას ვაძლეე სახელმწიფო სათათბიროს ფეხზე ადგომით მოისმინოს უმაღლესი უქაზი. (ყველანი ფეხზე დგებიან.)

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს თ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ი ს ა მ ხ ა ნ ა გ ი კ რ ო ტ ო კ ო ვ ე ი. „უქაზი უმართებულესი სენატისადმი. ძირითად სახელმწიფო კანონთა 99 მუხლის საფუძველზე ებრძანებთ: სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შესწყდეს ამა წლის 3 სექტემბრიდან და დაეწინააღმდეგოს მისი განახლების ვადა შესაბამისად ჩვენი ბრძანებისა. რომელიც მიეცა უმართებულეს სენატს 1915 წლის 11 იანვარს. არაუგვიანეს 1915 წლის ნოემბრისა განსაკუთრებულ გარემოებათა მიხედვით. უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს გასცეს ჯეროვანი განკარგულება ამის შესრულებისათვის. დედანზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით მოწერილია: „ნიკოლოზი“. მეფის სარდლობის ბანაკი. 1915 წლის 30 აგვისტოს“.

თ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ე. ხელმწიფე იმპერატორს „ურა!“ („ურას“ ხანგრძლივი ძახლი.) სახელმწიფო სათათბიროს სხდომას დახურულად ვაცხადებ. (სხდომა იხურება ნაშუადღევს 2 საათსა და 53 წუთზე)“.

ორ წუთში ყველაფერი გათავდა. ჯერ კიდევ გუშინ ბურჟუაზიული დეპუტატები მეფის მინისტრების გადადგომას მოითხოვდნენ. დღეს კი თვითონ მორჩილად „ურას“ შესძახდნენ იმათ. ვინც მათ ერეკებოდა.

2.

გ ბ რ მ ვ ა.

ბურჟუაზია „მუხლმოყრილ ბუნტს“ არ გასცოლებია. მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1916 წლის მეორე ნახევარში. როდესაც საესებით იჩინათაი ომისაგან გამოწვეულმა და გამწვავებულმა წინააღმდეგობებმა.

ომის ლახვარი განსაკუთრებით გამანადგურებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის. უწინარეს ყოვლისა თავი იჩინა ქვეყნის სუსტმა მომზადებამ ამ მსოფლიო ომისათვის. რუსეთის სამხედრო მრეწველობის ტექნიკური ჩამორჩენლობა ყველა უკანასკნელ ომში იჩენდა თავს. ყირიმის ომში (1854 წ.) ნიკოლოზ I-მა ინგლის-საფრანგეთის კოალიციის წინააღმდეგ გამოიყვანა არმია, რომელშიაც ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი კაჟიანი თოფებით იყო შეიარაღებული. ჯარისკაცისათვის სროლის შესასწავლად წელიწადში გათვალისწინებული იყო მხოლოდ 10 საბრძოლო ვაზნა, მაგრამ ამის გაცემაც მხოლოდ ქალაქებში ხდებოდა. თავდაცვითი სიმარეანი სევისტოპოლში ინგროდნენ მათზე დადგმული ზარბაზნების შენჯღრევისაგან. რუსეთ-თურქეთის 1877 წლის ომში გენერლებმა, გამოდიოდნენ რა იქიდან, რომ „ცეცხლსასროლი იარაღი თვითდაცვას შეეფერება, ცივი კი — თავგანწირვასა“, — ბერდანის შორსმსრო-

ლელ შაშხანას მხოლოდ 600 ნაბიჯის სამიზნო გაუკეთეს. გენერლები თავის უნიკობას ამართლებდნენ ძველი თქმულებით: ტყვია სულელია, ხიშტი ყოჩაღიო. რუსეთის ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდიოდათ თურქთა ცეცხლისაგან, მაშინ როდესაც თურქებს მოწინააღმდეგის ცეცხლი მცირე ზიანს აყენებდა. ასეთივე მდგომარეობა იყო არტილერიაში. სამხედრო მრეწველობა ჯერ კიდევ 170-იან წლებში არტილერიას აწვდიდა სპილენძის ზარბაზნებს, რომლებსაც სუსტი მუხტი და ყუმბარების მცირე დაწყებითი სისწრაფე ჰქონდა. თურქეთის არმია შეიარაღებული იყო კრუპის ქარხნებში დამზადებული ფოლადის ზარბაზნებით. როდესაც ალექსანდრე II-ის რუსეთი ისევ, როგორც ნიკოლოზ I-ის იმპერია, დაეჯახა სრულებითაც არა მოწინავე ქვეყნის არმიას, არამედ მხოლოდ მოწინავე ქვეყნების მიერ გაწვრთნილსა და შეიარაღებულს, მან გამოააშკარავა თავისი სამხედრო ძალისა და სოციალ-ეკონომიური სისტემის მთელი სიღამპლე.

1904 — 1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომმა საბოლოოდ ჩამოგლიჯა საფარველი რუსეთის მოჩვენებითს სიმძლავრეს. თუ ყოიომის ომში ინგლის-საფრანგეთის კოალიციას წელიწადი დასჭირდა სევასტოპოლის ციხესიმაგრის ასაღებად. პატარა იაპონიამ რვა თვეში ხელთ იგდო პორტ-არტური, რომელსაც სიმძლავრით ექვს სევასტოპოლს უთანაბრებდნენ.

„შეღებილი კუბო — აი რა აღმოჩნდა თვითმპყრობელობა საგარეო დაცვის დარგში“¹, სწერდა ლენინი 1905 წლის ანკარაში.

მსოფლიო ომსაც მეფის რუსეთი მოუმზადებელი შეხვდა. სამხედრო უწყების „შორსმჭვრეტი“ ხელმძღვანელნი ფიქრობდნენ. რომ ომი ოთხი-ექვსი თვის მეტს არ გასტანდა. სამხედრო მინისტრი და მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსი გენერალი კუზმინ-კარაეაევი სთვლიდნენ. რომ მასალების მარაგის დამზადების დამთავრებისას და არშიაში მისი გაგზავნის შემდეგ „მუშაობაში ერთგვარი შენელება მოხდება“². მარაგი საკმარისი აღმოჩნდა ომის მხოლოდ პირველი ოთხი თვისათვის. მალე რუსეთის არმია აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ ჰქონდა ყუმბარები. შაშხანები. ვაზნები და არ გააჩნდა შესაძლებლობა მოკლე ვადაში მელო ისინი. ახალწვეულთა გასაწვრთნელად შაშხანები არ ჰყოფნიდათ. ფრონტზე მავშელი ძალები შეუიარაღებელი იგზავნებოდა.

აქ საქმე მარტო წინდაუხედავ პოლიტიკაში როდი იყო. ომის წარმოება შეიძლებოდა არა „მარაგის“, არამედ განუწყვეტლივ მზარდი სამხედრო მრეწველობის მეოხებით. მაგრამ მეფის ძველ ბიუროკრატებს ბურჟუაზიის გაძლიერებისა ეშინოდათ და არ უნდოდათ მრეწველობა ჩაებათ არმიის მომარაგებაში. ექვს წელიწადზე მეტი იჯდა გენერალი სუხომლინოვი სამხედრო მინისტრის სავარძელში (1909 — 1915 წწ.), მაგრამ ვერაფერი ვერ ისწავლა სამხედრო საქმეში. სამაგიეროდ ის გაეხვია გერმანიის გენერალური შტაბის ჯაშუშების სქელ ბაღეში. ომისათვის მზადების ხუთი წლისა და ომის ერთი წლის განმავლობაში გამოუაშკარავებელი რჩებოდა არმიის შიგ გულში დაბუღებული ღალატი. სამხედრო უწყება ასეთი მინისტრის მეთაურობით მხოლოდ აძლიერებდა ნგრევას. სუხომლინოვს „დამარცხებათა გენერალი“ უწოდეს.

მხოლოდ 1915 წლის ზაფხულში, როდესაც ცუდად შეიარაღებული არმია უწესრიგოდ იხედა უკან ფრონტიდან, თვითმპყრობელობამ გადასწყვიტა შესდგომოდა მრეწველობის მობილიზაციას. 1915 წლის 17 აგვისტოს გამოქვეყნდა კანონი თავდაცვის, ტვირთზიდვის, სათბობისა და სურსათის საკითხებზე განსაკუთრებული თათბირების შექმნის შესახებ. მოუწოდებდა რა ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ემუშავნათ არმიის მომარაგებისათვის. ნიკოლოზ II თათბირის საზეიმო გახსნაზე 22 აგვისტოს ამბობდა:

„ეს ამოცანა ამიერიდან თქვენ მოგენლოთ, ბატონებო“¹.

თათბირებმა, რომლებსაც სათავეში მინისტრები უდგნენ, ფართო რწმუნებები მიიღეს. თავდაცვის საკითხების თათბირი უშუალოდ უზენაეს ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

„არავითარ მშართველ ადგილს ან პირს არ შეეძლო მიეცა მისთვის მიწერილობანი და მოეთხოვნა ანგარიშები“².

თათბირი. ბრძენული ჰქონდა უფლება:

„ეწარმოებინა დამზადება ყველა საშუალებით... თანხის შეუზღუდავად“³.

ფართო ღონისძიებებმა ვერ უშველა სამხედრო წარმოების მოწყობას. გენერალ მანიკოვსკის მოწმობით, რომელიც 1915 წელს მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსი იყო,

„ჩვენი არმიის საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფის საქმე მაინც არა თუ იმ ტემპით არ წავიდა წინ, რომელიც გათვალისწინებული იყო მისი (თათბირის. რ. ე. დ.). შექმნისას, არამედ პირიქით, ბევრი მხრით უფრო ცუდად წავიდა“⁴.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის საკითხების თათბირის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ეაკრობისა და მრეწველობის მინისტრი თავადი შახოვსკოი და ორი მისი წინამოადგილე. ამ „მომწესრიგებელმა“ ორგანიზაციამ სამხედრო მრეწველობისა და მისი მობილიზაციის შესაძლებლობათა სრული უცოდინარობა გამოიჩინა. მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა თათბირში თავისი მდგომარეობა გამოიყენეს დიდი შეკვეთების მიღებისა და „ორგანიზებული სპეკულაციისათვის“.

„სამდიუმინანი შრაპნელი იყო ის პირველი გემრიელი ლუქმა, რომლისთვისაც კბილები აუკაწყაწდა ყველა ტურასო“⁵, სწერდა გენერალი მანიკოვსკი.

ასევე უნაყოფო იყო მოქმედება სხვა თათბირებისა: სათბობის, სურსათისა და ტვირთზიდვის საკითხებზე. ამ ორგანიზაციებში ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ჩინოვიკები. „ხელს უწყობდნენ რა“ თავდაცვას, ერთმანეთსა სდებდნენ ბრალს ბნელ საქმეებში და გულმოდგინედ იღებდნენ ჭრთამებს. მოხმარებისა და წარმოების რეგულირების უბადრუკი ცდები აწყდებოდა ძირ-გამომპალ ბიუროკრატიულ აპარატს და მის უნიკო ხელმძღვანელებს. 1915

წლის ნოემბერში გზათა მინისტრმა ა. ფ. ტრეპოვმა გადასწყვიტა მოახლოვებულ შიმშილს შებრძოლებოდა რკინიგზის მოძრაობის რეგულირებით. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ექვსი დღით შესწყდა სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა მოსკოვსა და პეტროგრადს შორის სატახტო ქალაქის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ არავინ არ იზრუნა იმისათვის, რომ მოეწესრიგებინა მოსკოვში პროდუქტების შეტანა. მთავრობამ სამგზავრო მიმოსვლა კი შეაჩერა. მაგრამ სატახტო ქალაქისაკენ ცარიელ სააქონლო ვაგონებს მიერეკებოდა. ასეთივე „წარმატებით“ დამთავრდა ცდები მოგვარებინათ საწარმოებისათვის სათბობი მასალისა და ნედლეულის მიწოდება. ქვანახშირისა და ნავთის მოპოვება ეცემოდა. დანგრეული ტრანსპორტი შეშის მიზიდვას ვეღარ ასწრებდა. სამხედრო მრეწველობას უკვე 1915 წლის დასაწყისიდან სულ ი ეხუთებოდა სათბობის ნაკლებობისაგან. 1915 წლის ოქტომბერში სათბობის საკითხების განსაკუთრებულმა თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება სათბობის მარაგის რეკვიზიციის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მთელი ბურჟუაზია გააფთრებული წინააღმდეგობით შეხვდა. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით თათბირზე ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 14 სმით 10-ის წინააღმდეგ. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ზონაში სათბობის რეკვიზიციის გატარება სამხედრო ხელისუფლების დახმარებით სცადეს. ამ ცდას სატყუო მრეწველობის ყრილობათა საბჭომ იმ მუქარით უპასუხა, რომ ხე-ტყის დამზადებას შესწყვიტდა.

სანამ ბურჟუაზია საბოტაჟს უწყევდა წარმოებისა და მოხმარების, ხოლო რაც მთავარია — შემოსავლის რეგულირებისაკენ მიმართულ ყოველ ნაბიჯს, ნიკოლოზის მინისტრები ნგრევის დამნაშავეებს ერთმანეთის უწყებებში დაეძებდნენ. მინისტრთა საბჭოს ერთობ სხდომაზე 1916 წლის ივნისში იხალავდნენ იმ საკითხს, რომ წესიერად არ იყო დაყენებული არმიისთვის ქვანახშირის, რკინისა და სურსათის მიწოდება. შტიურჰერის მოწმობით, რომელიც მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, გზათა მინისტრ ტრეპოვს შეტაკება მოუხდა მრეწველობის მინისტრ შახოვსკოისთან.

— ქარხნებში ქვანახშირის საკმაო რაოდენობა არ არისო — განაცხადა გზათა მინისტრმა.

ქვანახშირი კი შახოვსკოის გამგებლობაშიაო.


— დიად. ჰე ქვანახშირი მაჭეს, მაგრამ თქვენ ვაგონებს არ იძლევიანო, — უპასუხებს შახოვსკოი.

— შე ვაგონებს იმატომ არ ვიძლევი, რომ სამხედრო სამინისტრომ წარმო ყველა ვაგონი... და უკან აღარაფერს გზავნისო.

ამ საუბარს უკვე თვით მინისტრ-თავმჯდომარემ დაუმატა:

„იყო ვაგონების ასეთი გაქცევა, ხოლო ახლად მოსული ვაგონები რომ დაგვეძრა. სხვა ვაგონები ყრილებიდან უნდა გადაგვეყარათ“.

ბრძეზივით დაბოროლებდნენ მინისტრები თავისი უწყებებზე გარშემო დევრ გაეგოთ. თუ რა ხდებოდა და როგორ უნდა ებრძოლნათ ნგრევასთან.



„ბრმებივით დაბორილებდნენ მინისტრები თავისი უწყებების გარშემო“.

კარიკატურა კუკრინიქსისა.

კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის და გლეხური მოსახლეობის მობილიზაცია იმ ზომით, როგორც ეს მოწინავე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა შესძლეს. ნახევრადბატონყმური და დაქსაქსული სოფლის მეურნეობის საქონლიანობა საგრძნობად ნაძალადევი იყო. გლეხს ფული სჭირდებოდა იმისათვის, რომ მემამულისათვის გადაეხადა მიწის სიჯარო ქირა. გლეხს ფულს ჰქაჩავდა ცარიზმის საგადასახადო პრესიც. ომის წლებში გლეხური მეურნეობის საქონლიანობა მძაფრად დაეცა. სოფლებიდან არმიაში წაიყვანეს მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი ნაწილი — ქალაქთან ერთად დაახლოვებით 16 მილიონი კაცი, ანუ სრულ ასაკოვან მამაკაცთა საერთო რიცხვის 47 პროცენტი. ბურჟუაზიის ერთერთმა ბელადმა ბებლიკოვმა პირდაპირ განაცხადა, რუსეთი უმთავრესად თავის შვილთა სისხლით აწარმოებს ომს, და არა ომისთვის დაგროვილი ან მოპოვებული კაპიტალებით. ომის ყოველ წელს სოფლის მეურნეობა ჰკარგავდა თავის საწარმოო საშუალებათა მნიშვნელოვან ნაწილს. მთავრობა ახდენდა ცხენების, საზარცე პირუტყვის, მოკაზმულობის რეკვიზიციას. „გულმოდგინე“ მოხელეები ახერხებდნენ ისე ჩაეტარებინათ რეკვიზიციები, რომ არმიას მნიშვნელოვანი სარგებელი არ ენახა. ორიოლის გუბერნატორი 1916 წლის დასაწყისში იტყობინებოდა, თუ როგორ მოქმედებდნენ მთავრობის აჯენტები, რომელნიც მოსახლეობას მეწველ პირუტყვს ართმევდნენ მაშინ, როდესაც მსუქანი ბერძი პირუტყვი სასპეკულაციოდ იგზავნებოდა.

„ისინი იმის რეკვიზიციას ახდენდნენ, რის რეკვიზიციაც ყველაზე ადვილი იყო. — განაცხადა სიძვირის საკითხებზე მოწვეულ თათბირზე ვ. მიხაილოვსკიმ. — ის მარაგი, რომელიც მოხერხებულად იყო დამალული და ეკონომიურად უფრო ძლიერ წრეებს ეკუთვნოდა, როგორც სჩანს. არავითარ რეკვიზიციას არ განიცდიდა“¹.

ნგრევამ თავი იჩინა ცარიზმის ეკონომიური დასაყრდენის — ნახევრადბატონყმური მემამულური მიწათმფლობელობის რღვევითაც. შემცირდა მისი ყველაზე აშკარა ფორმა — მიწის იჯარით გაცემა გლეხებზე. სიჯარო ქირა უკვე ომის დასაწყისში დაახლოვებით ერთი მესამედით შემცირდა.

თვით მემამულეთა მეურნეობაც მცირდებოდა. გამუდმებული მობილიზაციები ძირს უთხრიდა მას, რადგან მუშა-ხელს ართმევდა. ლტოლვილთა და სამხედრო ტყვეთა გამოყენება მუშა-ხელის დანაკლისის $\frac{1}{10}$ მეტს ვერ ანაზღაურებდა. ევროპის რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მუშათა დანაკლისი იგრძნობოდა: 1914 წელს 14 გუბერნიაში 44-დან (ყველა ევროპული გუბერნიის 32 პროცენტი), 1915 წელს 36 გუბერნიაში (82 პროცენტი), 1916 წელს კი ევროპის რუსეთის 44-ვე გუბერნიაში მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობა იყო. ომამდე სამუშაო ხელფასი იმ რაიონებში, სადაც მუშა-ხელი გარესამუშაოზე მიდიოდა, საგრძნობად უფრო დაბალი იყო, ვიდრე იმ რაიონებში, სადაც მუშა-ხელი მიდიოდა. 1915 წლიდან დაწყებული, იგი თითქმის გათანაბრდა. ეს მოწმობს სასოფლო-სამეურნეო მუშათა ნაკლებობას იმ რაიონებშიაც, საიდანაც მუშა-ხელი გარესამუშაოზე გადიოდა. მუშა-ხელის ნაკლებობა მეურნეობის საერთო

რღვევასთან დაკავშირებით აჩქარებდა ნახევრადბატონყმური მემამულური მრწათმფლობელობის დაშლას. ამ დაშლამ სოფლის მეურნეობის საერთო და-
ცემასაც კი გაუსწრო.

ნგრევა მოედო არა მარტო ნახევრადბატონყმურ მიწათმფლობელობას.
ომმა მრეწველობასაც დაარტყა.

გასამსედროებული კაპიტალისტური მეურნეობა ფრიად რთულ სურათს
წარმოადგენდა. ომით გამოწვეულ ნგრევას ერთხანს აღმავლობის მატყუარა
მოჩვენებითობით ფარავდნენ. ომმა გამოიწვია თავდაცვაზე მომუშავე მრეწვე-
ლობის გაფართოება. სწორედ ამან შექმნა მოჩვენებითი აღმავლობა. პრო-
დუქციის საერთო ღირებულება 1913 წლის 5 620 მილიონიდან 1916 წელს
6 831 მილიონამდე გაიზარდა. სამხედრო პროდუქციის ამ ზრდის უკან იმაღე-
ბოდა მრეწველობის ძირითადი დარგების დაცემა. იმ საწარმოებმა, რომლებიც
„თავდაცვისათვის“ არ მუშაობდნენ, 1916 წელს წარმოება 21,9 პროცენტით
წეამცირეს, მაგრამ მალე თავდაცვითი მრეწველობის აღმავლობაც შესწვდა,
უმთავრესად, სათბობი მასალისა და ლითონის ნაკლებობის გამო. ომის დაწყე-
ბიდან ორი წლის შემდეგ ქვანახშირის ამოღება დონბასში გაკვირვებით იღგა
ომამდელ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ მუშების რიცხვი 1913 წლის 168
ათასიდან 1916 წელს 235 ათასამდე გადიდდა. ომამდე თვიური მოპოვება ერთ
პუნჯზე დონბასში 12,2 ტონას შეადგენდა, 1915/16 წელს — 11,3. 1916 წლის
ზამთარში კი — 9,26 ტონას. მინისტრი შახოვსკოი იძულებული გახდა ელიარე-
ბინა, რომ შრომის ნაყოფიერების დაცემა აიხსნება

„ს ა მ ა დ ნ ე თ ა მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ი ს გ ა უ ა რ ე ს ე ბ ი თ . რ ა დ გ ა ნ შ ე-
უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ქ ვ ა ნ ა ხ შ ი რ ი ს ა მ ო ს ა ლ ე ბ ა დ ს ა ქ ი რ ო მ ა ნ ქ ა ნ ა თ ა და მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო-
ბ ა თ ა თ ა ვ ი ს დ რ ო ზ ე შ ე კ ე თ ე ბ ა ო “ # .

სათბობი მასალის ნაკლებობის გამო ჩერდებოდნენ ქარხნები. მცორდებოდა
პურის ცხობა. მცხოვრებლები ღობეებსა და ავეჯს სწვავდნენ.

სათბობის ნაკლებობასთან ერთად თავს იჩენდა ლითონის ნაკლებობაც.
1916 წელს 36 ბრძმედი ჩაქრა. ლითონის განაწილება ბარათებით დაიწყეს.
1916 წლის დამლევისათვის ქარხნები თავდაცვითი მრეწველობისათვის აუცი-
ლებელი ლითონის მხოლოდ ნახევარს იძლეოდნენ.

ყველაზე მკაფიოდ და აშკარად მეურნეობის რღვევამ თავი იჩინა ტრან-
სპორტზე. ტრანსპორტის კრიზისმა გასამხედროებული მეურნეობის განვითარე-
ბის საერთო ხასიათი ასახა. ჯერ ხდებოდა ტვირთზიდვის აღმავლობა. ზრდა.
მაგრამ ეს აღმავლობა აშკარად არასაკმარისი იყო ომის საჭიროებათა სრულად
დაკმაყოფილებისათვის. ტვირთზიდვის ზრდასთან ერთად კატასტროფულად
მატულობდა გადაუზიდავი ტვირთების რაოდენობა. უკვე 1914 წლის მეორე ნა-
ხევარში იგი 84 ათას ვაგონს შეადგენდა. 1916 წლის პირველ ნახევარში გადაუზი-
დავი ტვირთების გორა 127 ათას ვაგონამდე გაიზარდა. 1916 წლის 15 ივლისს
გენერალი ალექსეევი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსი, მეფისად-
მი წარდგენილ მოხსენებითს ბარათში სწერდა:

„ამჟამად არ არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი დარგი, სადაც საგრძნობი არ იყოს სერიოზული შერყევა ტრანსპორტის საჭიროების დაუკმაყოფილებლობის გამო... საშუალოდ თავდაცვაზე მომუშავე ქარხნები დაკმაყოფილებულნი არიან ტრანსპორტით თავისი საჭიროების მხოლოდ 50 — 60 პროცენტით, პეტროგრადის რაიონისათვის კი აუცილებელი 18½ მილიონი ფუთის ნაცკლად გზათა მინისტრის განცხადებით შეიძლება გადაზიდულ იქნას მხოლოდ 8 მილიონი. ასეთ პირობებში არათუ უაზროა ქარხნების ნაყოფიერების გადიდება, არამედ ახლანდელი მუშაობის შემცირებაც მოგვიხდება“¹.

ქვეყნის მეურნეობა დაშლილი იყო მთელ რიგ მეტად თუ ნაკლებად იზოლირებულ რაიონებად. ეს სპობდა შრომის საზოგადოებრივი განაწილების წარმატებებს, რომლებიც მიღწეული იყო კაპიტალისტური განვითარებით, და მრავალი ათწლედიდ უკან სწევდა მეფის რუსეთს. ასე. მაგალითად, ქვეყნის საშემოდგომო ფასების გადაქარბება ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქის მეზობელი რაიონების ფასებთან შედარებით შეადგენდა (პროცენტობით):

საშუალოდ 1914 წელს	19
„ 1915 „	39
„ 1916 „	57

1916 წლისათვის ფასების გადამეტება პურის გადაზიდვის სიძნელეთა გამო ერთი-სამად გაიზარდა.

ტრანსპორტის დაშლამ მძაფრად გაამწვავა სასურსათო კრიზისი. ცუდდ მომუშავე რკინიგზები კვების პროდუქტების ნაკლებობას ჰქმნიდნენ უკვე იმ დროს. როდესაც ქვეყანაში კიდევ იყო პურის მარაგი წარსული წლების მოსავლიდან. დაახლოებით მილიარდი ფუთი პურის მარაგი ვერ გადაეზიდათ მოხმარების რაიონებში. ამ ნიადაგზე სწრაფად იზრდებოდა სპეკულაცია პურიით. მიწათმოქმედების მინისტრმა რიტინმა 1916 წლის შემოდგომაზე უკიდურესი ზომის მიღებაც კი გაბედა: პურის იძულებითი გაწერა გამოაცხადა. რიტინი ბიუროკრატის ტიპური წარმომადგენელი იყო. მან საუცხოო ბიუროკრატული სკოლა გაიარა — 1905 წლის რევოლუციის შემდეგ იგი სათავეში უდგას სხვადასხვა დეპარტამენტებს მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის დარგში, მაგრამ სტოლიპინური მიწათმოწყობის პრაქტიკამ ვერ უშველა მას პურის გაწერის განხორციელებაში. ცდა კრახით დამთავრდა. პურის მიღება ვერ მოხერხდა. მომხმარებელი ცენტრების სასაქონლო საწყობები სწრაფად დაცარიელდა. 1915 წლის შემოდგომაზე ქალაქები მშვიერ ულუფაზე ისხდნენ. არმია სასურსათო ნორმის მხოლოდ ნახევარს ღებულობდა.

ბაზრის რღვევა და სპეკულაცია ფულის მიმოქცევის მოშლას აძლიერებდა. ოქრო ომის დასაწყისშივე გაქპრა მიმოქცევიდან. ხარჯები წლითი-წლობით იზრდებოდა. სახელმწიფო გასაყალი მეტი იყო შემოსავალზე (პროცენტობით):

1914 წ.	39-ით
1915 „	74 „
1916 „	76 „

ქალაქის ფულს სულ მეტი და მეტი რაოდენობით ბეკდავდნენ. მანეთი ეცემოდა. კრედიტს ძირი ეთხრებოდა. კრედიტის ძირის გამოთხრა, თავის მხრივ, აძლიერებდა ბაზრის რღვევას.

ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში მოყვანილია მონაცემები ომის შედეგად „სახალხო ქონების“ რღვევაზე. ამ მონაცემების მიხედვით, ომის დასასრულისათვის (1919 წ.) რუსეთმა დაჰკარგა 60 პროცენტი იმისა, რაც 1913 წელს ჰქონდა, მაშინ როდესაც ინგლისის დანაქარგი შეადგენდა 15 პროცენტს, საფრანგეთისა — 31-ს, გერმანიისა — 33-ს, ავსტრია-უნგრეთისა — 41-ს. მხოლოდ იაპონიამ და ამერიკამ გაადიდეს თავისი „სახალხო ქონება“, რომელიც, თუმცაღა, ისევე ნაკლებად ეკუთვნის კაპიტალისტურ ქვეყნებში ხალხს, როგორც „სახალხო შემოსავალი“.

თუ ყველა ქონების ერთობლივობის შემცირება ყველაზე მეტი იყო რუსეთში, შეურწმობის რღვევაც იქ უფრო სწრაფი ტემპითა ხდებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში.

მეურწმობის სასტიკი რღვევის შედეგი იყო ვალუტის მკვეთრი გაუფასურება; დოლარის მიმართ ეს გაუფასურება შეადგენდა (პროცენტობით):

	1915 წ.	1918 წ
იაპონიაში	+0	+ 1
ინგლისში	- 3	- 2
საფრანგეთში	- 8	-12
იტალიაში	-16	-20
გერმანიაში	-16	-23
ავსტრია-უნგრეთში	-27	-33
რუსეთში	-29	-40

ვალუტის დაცემის ტემპები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა იყო. ოქროს დონეზე იგი რჩებოდა იაპონიაში და ამ დონის ახლოს—ინგლისში. ყველაზე მეტად გაუფასურებული აღმოჩნდა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ვალუტები. გაცილებით ნაკლებად — ორ-სამჯერ — გაუფასურდა გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის ვალუტები.

შერთებული შტატები, იაპონია, ინგლისი მხოლოდ სხვის ტერიტორიებზე აწარმოებდნენ ომს. იტალია ისე დარჩა, რომ საომარი მოქმედება მას თითქმის არ შეეხებია. გერმანიის ის ნაწილი, რომლის ოკუპაცია მოკავშირეებმა მოახდინეს, დიდი არ იყო. მეფის რუსეთის ის ადგილები, რომლებიც მტერმა დაიკავა, ბევრად აღემატებოდა თავისი აბსოლუტური სიდიდითაც და ქვეყნისათვის თავისი მნიშვნელობითაც ყველა იმ ტერიტორიას, რაც ავსტრიასა და საფრანგეთს წაართვის.

რუსეთი მკვეთრად გამოერჩეოდა საომარი მოქმედების ფრონტის ვეებერთელა სიგრძით. რუსეთის ფრონტის ხაზი რამდენჯერმე უფრო გრძელი იყო სხვა სახელმწიფოთა ფრონტის ხაზებზე. რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის მრავალ-

ვალმილიონიანმა არმიებმა რამდენჯერმე გაიარეს წინ და უკან საომარ მოქმედებათა აღმოსავლეთ ადგილების უზარმაზარ ტერიტორიაზე. სამხედრო ოპერაციების სამანევრო ხასიათის გამო ნგრევა განსაკუთრებით დიდი იყო არა მარტო სამხედრო მოქმედების ადგილებში, არამედ მათ მოსაზღვრე ოლქებშიაც, რომლებმაც ევაკუაციების დამოუკველი გავლენა განიცადეს. მეფის რუსეთში ევაკუაციები მოედო 500 ათასზე მეტ კვადრატულ კილომეტრს 25 მილიონი მოსახლეობით, ე. ი. ქვეყნის მოსახლეობის მეშვიდედ ნაწილს. სამი მილიონი კაცი აპყარეს სამკვიდრო ადგილებიდან და ზურგში გადასტყორცნეს. ლტოლვილთა ათასიან ბრბოებს მოჰქონდათ დეზორგანიზაცია, პანიკა, და მთელ საშურნეო ორგანიზმს არღვევდნენ. წინააღმდეგ საფრანგეთისა, სადაც ოკუპაციამ და ევაკუაციამ მხოლოდ ერთხელ გადაიარა — 1914 წლის აგვისტოში, და ტერიტორიის მცირე ნაწილს მოედო, მეფის რუსეთი მთელი ომის განმავლობაში განიცდიდა შერყევებს ოკუპაციებისა და ევაკუაციებისაგან.

რაკი თავისი ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო თავდაცვისათვის მთელი მეურნეობის მობილიზაცია ვერ მოახერხა, რუსეთს დახმარების მისაღებად მოკავშირეებისათვის უნდა მიემართა.

მოკავშირეების მიერ გახსნილი კრედიტების სიდიდე თვიდან თვე იზრდებოდა. დაახლოებით რვა მილიარდი მანეთი მიიღო მთავრობამ. რუსეთის ვალებმა ომის დროს თითქმის ერთი-ორად გადააპარბა მთელ ომამდელ დავალიანებას — მიიღწია 7 745.9 მილიონს 4 066 მილიონის ნაცვლად. კრედიტები თვალსაჩინოდ აღემატებოდა რუსეთის მიერ მოკავშირე სახელმწიფოებში განაწილებული შეკვეთების თანხას. შეკვეთების გარდა საჭირო იყო სახელმწიფო სესხების პროცენტების გადახდა, ნეიტრალურ ქვეყნებში, უმთავრესად იაპონიასა და ამერიკაში, მიცემულ შეკვეთათა ღირებულების გასტუმრება.

სესხები კიდევ უფრო აძლიერებდა რუსეთის დამოკიდებულებას მოკავშირეებისაგან. ინგლისი ფაქტიურად განსაზღვრავდა კრედიტების ხარჯვის ხასიათს. კრედიტების უზრუნველსაყოფად მოკავშირეები ოქროს ჰქაჩავდნენ რუსეთიდან. 1916 წლის მაისში ფინანსთა მინისტრი ბარკი სწერდა:

„კრედიტის განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობები, რომლებსაც დღეს ინგლისი გვთავაზობს, მოწმობს იმას, რომ ომთან დაკავშირებულ მოვლენათა შემდგომ განვითარებასთან ერთად რუსეთის კრედიტი მარტო მოკავშირე სახელმწიფოებთან სულ უფრო გაძნელებული ხდება და ჩვენი სრული ფინანსური დამოკიდებულება მოკავშირეებისაგან უალრესად მძიმეა“¹.


თვითმპყრობელი მთავრობის მინისტრიც კი იძულებული გახდა ელიარებინა რუსეთის ნახევრადკოლონიური დამოკიდებულების გაძლიერება ომის განმავლობაში. მეფის ძველი ბიუროკრატი მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავდა: ახალი სესხების დადებას სხვა ადგილას — ამერიკის იმპერიალისტებთან.

ცენტრალურ სახელმწიფოებთან ომმა რუსეთი მიიყვანა საგარეო სამეურნეო კავშირის მკვეთრ გაწყვეტასთან. საზღვარგარეთ შესყიდული საქონლის ნახევარი ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან მოდიოდა. რუსეთის ექსპორტის და-

ახლოებით შესამედი ამავე ქვეყნებში მიიმართებოდა. დანარჩენი ქვეყნების ურთიერთობა გერმანიასთან და ავსტრიასთან გაცილებით უფრო სუსტი იყო, და ბუნებრივია, რომ ამ ურთიერთობის შეწყვეტას ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისთვისაც კი ასეთი გამანადგურებელი შედეგები არ ჰქონია. რუსეთში მოხდა სამეურნეო კავშირების დარღვევა არა მარტო ცენტრალურ სახელმწიფოებთან: კავშირი უცერად გაწყდა თითქმის მთელ მსოფლიოსთან. სახმელეთო საზღვარი ევროპასთან გარდა შეეცია-ნორვეგიისა და სავაქრო მნიშვნელობას მოკლებული რუმინეთისა, საიდანაც არსად არ შეიძლებოდა გასვლა გარდა რუმინეთისა — დახურული აღმოჩნდა. ბალტიის ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნაგები ბატონობდნენ. ომში თურქეთის ჩაბმის შემდეგ ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა შავ ზღვაზე. ყველა ამ საზღვრებით 1913 წელს გადიოდა ვატიანის $\frac{1}{10}$ და შემოტანის $\frac{5}{6}$.

ომის დროს მეფის რუსეთის კავშირი გარეშე მსოფლიოსთან დაეკიდა ციმბირის დიდი გზის წვირილ ძაფზე. რომლის სიგრძე 8 ათას კილომეტრს შეადგენდა. ერთადერთი გასავალი ზღვაზე ამ გზას ელადივასტოკში ჰქონდა — მურმანსკის რკინიგზა მხოლოდ 1917 წლის დამლევს დამთავრდა. ამის დამატებით ზაფხულის თვეებში კავშირი შენარჩუნებული იყო არხანგელსკის მეშვეობით. რომელიც ცენტრთან დაკავშირებული იყო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზით. ეს ხაზი კი ფართო ლიანდაგზე მხოლოდ 1916 წელს გადააკეთეს. არხანგელსკი ვათვალისწინებული იყო მცირე ტვირთების გატარებისათვის. თუ რამდენად არასაკმარისი იყო ამ რკინიგზის ტვირთის გამტარუნარიანობა. შეიძლება განვსაჯოთ იქიდან, რომ ეწყობოდა საქონლის გადატანა ქაპანზოდით. როგორც ივანე მრისხანის დროს. საქაპანო ტრანსპორტით ეზიდებოდნენ საქონელს ტრაქტით არხანგელსკიდან ვოლოგდამდე და შემდეგ ვოლოგდიდან პეტროგრადამდე — დაახლოებით 1200 კილომეტრზე. რომიანკო სწერდა:

„ჯერ კიდევ ომის დასაწყისში სათათბიროში შემოდიოდა ცნობები. ტვირთების გამოზიდვა ვიწროლიანდაგიანი გზით არხანგელსკიდან ძალიან გაძნელებულია, ნავსადგური კი ტვირთებით აივსო. ამერიკიდან. ინგლისიდან და საფრანგეთიდან მიღებულ შეკვეთილ საქონელს გორებად აწყობდნენ და ქვეყნის შიგნით ვერ შემოქონდათ. ომის პირველ დღეებშივე ლიტვინოვ-ფალინსკიმ გაკვაფრთხილა. რომ არხანგელსკის ნავსადგური საინელ მდგომარეობაში იყო. ინგლისიდან მოველოდით დიდძალ ქვანახშირს პეტროგრადის ქარხნებისათვის. მაგრამ ამ ქვანახშირის დასაწყობი ადგილიც კი არსად იყო. მიუხედავად იმისა. რომ არხანგელსკი ერთადერთი სამხედრო ნავსადგური იყო. რომელიც მოკავშირეებთან გვაერთებდა. მას თითქმის ყურადღებას არ აქცევდნენ. განსაკუთრებული თათბირის ერთერთ პირველ სხდომაზევე საქირო ვანდა არხანგელსკის შესახებ აღგვეძრა საკითხი და შევეკითხოდით მინისტრებს. თუ რა ჰქონდათ მათ განზრახული. მინისტრები სუბომარინოვის. რუხლოვისა და შახოვსკოის სახით ან ფორმალური წერილობითი პასუხებით გვისტუმრებდნენ. ან სიტყვიერ დაპირებებს იძლეოდნენ. ნამდვილად კი არავითარ ნაბიჯს არ დგამდნენ. ამავე დროს კი 1915 წლის ზაფხულის დამლევისათვის ტვირთების რაოდენობა იმდენად დიდი



ფრონტიპირა ზოლში. დაზარეული ფაბრიკები.

იყო. რომ მიწაზე დაწყობილი ყუთები ზემოდან დალაგებული ტვირთების სიმძიმით პილდაპირ მიწაში ეფლობოდა“¹.

ინგრეოდა საიმპერატორო რუსეთის მთელი ვეება შენობაც. ომის ხარჯები მისაოია შეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა. ომის პირველი სამი წლის განმავლობაში. ქვეყანამ დახარჯა 1913 წლის შემოსავლის მთელი ერთობლივობის 167 პროცენტი. მაშინ როდესაც საფრანგეთმა დახარჯა 105 პროცენტი. ინგლისმა — 130 პროცენტი. მხოლოდ ავსტრია-უნგრეთში მიაღწია ამ ხარჯებმა 160 პროცენტს.

ომის სიმძიმე უდიდესი ძალით დაატყდა რუსეთს. ძალთა დაძაბვის 30 თვე? გამოიწვია ქვეყანაში მრეწველობის რღვევა, სოფლის მეურნეობის დაცემა, ტრანსპორტის კრიზისი, შიმშილობა.

„ზურგში ჩვენ უძღურნი ვართ ან თითქმის უძღურნი.. — სწერდა გუბკოვი 1916 წლის აგვისტოში გენერალ ალექსეევს, უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსს. — ჩვენი ბრძოლის ხერხები ორღესულია და ხალხის მასების, განსაკუთრებით მუშათა მასების, აღგზნებული განწყობილებისას, შეიძლება გახდეს ისეთი ხანძრის პირველ ნაპერწყლად, რომლის არც ზომის გათვალისწინება და არც მისი ლოკალიზება არავის არ შეუძლია“².

ომი მთელი თავისი სიმძიმით მუშებსა და გლეხებს დააწვა მხრებზე. მასებს სულ უფროდაუფრო ეღებოდა რევოლუციური აღშფოთება. ქვეყანა აფეთქების წინ იყო. იმპერიალისტური ომი რევოლუციის მძლავრი დამჩქარებელი გამოდგა.

გაქირვებისა და რევოლუციური აღზრდის იმავე სკოლას გადიოდა არმია. სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა და აურაცხელი დანაკლისი თვალს უხელდა ძოკუყუბულთ. მილიონობით დახოცილებმა და დასახიჩრებულებმა უღმობელი სისასტიკით გამოააშკარავეს ომის ნამდვილი აზრი, მისი მტაცებლური ხასიათი. ხოცვა-ჟლეტის მძიმე კოშმარს აუტანელი მატერიალური გაქირვებაც ემატებოდა. ტალახითა და სიბინძურით სავსე სანგრები, ცხელი საქმლის უქონლობა. პურის ნაკლებობა, ტილები — ასეთია ფრონტის ცხოვრების საერთო სურათი.

„იცი, რა მდგომარეობაა პოზიციაზე? — ეკითხულობთ ჯარისკაცთა ერთ მრავალ და მრავალ დამახასიათებელ წერილთაგანში. — სანგრებში ვდგევართ. ცივა, ტალახია, პარაზიტები იკბინებიან, საქმელს დღე-ღამეში ერთხელ გვიძლევენ საღამოს 10 საათზე, ისიც შევ ოსპს, ისეთს, რომ ღორიც არ შეესაძმს. პირდაპირ შიმშილით შეიძლება მოკვდე...“¹.

ცუდად შეიარაღებული არმია. რომელსაც უნიჟო გენერლები ხელმძღვანელობდნენ და გამყიდველი ინტენდანტები სძარცვავდნენ, ზედიზედ მარცხდებოდა. მას არ გააჩნდა თავისი თავის რწმენა, არ ჰქონდა ნდობა თავისი მეთაურებისადმი. არ იცოდა რისთვის ილუპებოდნენ მილიონები, მოუშზადებელი. მშიგრი და ფეხშიშველი იყო და მოწინააღმდეგეს უტოვებდა ქალაქებს, მთელ ოლქებს. ათეულ ათასობით ტყვეებს.

მძიმე დამარცხებანი აბოროტებდნენ ჯარისკაცებს. მასებში მწიფდებოდა უკმაყოფილება, რომელიც გადადიოდა ყრუ მღელვარებაში, შემდეგ კი აქტიურ გამოსვლებშიაც. ჯარისკაცები სწყველიდნენ უთაურობასა და არევიდარევის. და უარს ამბობდნენ ბრძანებათა შესრულებაზე, არ გადადიოდნენ შეტევაზე. ბრძოლას გაურბოდნენ.

„აქ არმიაში დიდი მღელვარებაა. — იწერებოდნენ ჩრდილოეთის ფრონტიდან. — მეტისმეტად მოსწყინდათ ბრძოლა. უკვე რამდენჯერმე უბრძანეს შეტევაზე გადასვლა, მაგრამ ჯარისკაცები სანგრებიდან არ გამოდიან. მორჩა და გათავდა, ასე რომ შეტევას თავს ანებებენ“².

მეორე ჯარისკაცი იმავე ფრონტის მე-408 ქვეითი კუზნეცის პოლიდან იუწყებოდა:

„მე შეტევაზე ოთხჯერ ვიყავი. მაგრამ არაფერი არ გამოვიდა: არ გადავიდნენ ჩვენი პოლკები შეტევაზე. ზოგი წავიდა. ზოგი კი სანგრებიდან არ გამოვიდა, ასე რომ აღარც მე გამოვედი სანგრებიდან“³.

მეფის ცენზორების ცნობებით, რომელნიც ჯარისკაცთა წერილებსა ხსნიდნენ. ავტორთა 60 პროცენტზე მეტი სწერდა პორაჟენტულ განწყობილებათა განუხრელ ზრდაზე. ჯარისკაცები ფრონტიდან გარბოდნენ, ტყვედ ნებდებოდნენ ან თვითონ ირტყამდნენ ტყვიას ხელებში, ფეხებში, რომ ლაზარეთში დაწოლილიყვნენ.



რუსი ჯარისკაცები ლაშქრობაში.

ომის შემადარწუნებელ საშინელებათა გამო დეზერტირებად გარბოდნენ. ცხოვრობდნენ მუდმივი დევნის პირობებში, ყოველ წუთს პოლიციის ხელში ჩაგარდნის შიშით. და მაინც ფრონტზე ყოფნას იმას ამჯობინებდნენ, რომ ყოფილიყვნენ ნახევრადმშვიერი დეზერტირებად, რომლებზედაც, როგორც მხეცებზე, საველე ჟანდარმები ნადირობდნენ.

1916 წელს რუსეთის არმია უკვე მილიონ-ნახევარზე მეტ დეზერტირს ითვლიდა.

ჯარისკაცთა ისედაც მძიმე მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა ოფიცერთა თვითნებობის გამო. ცვირ-პირის მტვრევა და მუდმივი სასჯელის საფრთხე ყოველ ნაბიჯზე სდარაჯობდა ჯარისკაცს. სჯიდნენ სულ მცირე დანაშაულისთვის. სცემდნენ სამსახურში შეცდომის დაშვებისთვის, ცვირპირს ამტვრევდნენ დროზე სალამის მიუტყმლობისთვის, ვოდკის მიუტანლობისათვის. ასახიჩრებდნენ სიმთვრალეში, სისხლს ადენდნენ სიფხიზლეშიც, ჯარისკაცზე იყრიდნენ ჯავრს თავისი შეცდომებისათვის. „ჯარისკაცის სახე დაირასა ჰგავს: რაც მაგრა დაჰკრავ, გული მით უფრო გაგიმხიარულდება“, გესლიანი ირონიით ამბობდნენ ჯარისკაცები არმიაში გამეფებული ცემატყეპის გამო.

მეფის ოხრანკის მიერ ათასობით დაკავებულ წერილებში მოთხრობილია ჯარისკაცის ცხოვრების საშინელება და გაჭირვება:

„რაც მეტს ცხოვრობ — მით უარესია. ჩვენი უფროსები გვახჩობენ, უკანასკნელ წვეთობით გვწოვენ სისხლს, რომელიც ძალიან ცოტალა დაგვჩა. ვინ მოესწრება იმ დროს, რომ ყოველივე ამას ბოლო მოეღოს...“².

აი სტრიქონები მეორე წერილიდან, რომელსაც ამაოდ ელოდა სევდით გულმოკლული დედა:

„ძვირფასო დედილო, უმჯობესი იყო არ გაგეჩინე. უმჯობესი იყო პატარაობისას წყალში დაგეხრჩე, ისე ვიტანჯები ახლა“³.

სულ უფროდაუფრო განშირდა ჯარისკაცების მიერ სასტრუქ უფროსებთან ანგარიშის გასწორების წემთხვევები. საძულველი ოფიცრები ბრძოლაში იღუპებოდნენ, თავისივე ჯარისკაცების ტყვიებით განგმირულნი.

მწერალმა ლ. ვოიტოლოვსკიმ, რომელიც თვალყურს ადევნებდა არმიის ცხოვრებას, ჩაიწერა ჯარისკაცის სიმღერა, სადაც მკაფიოდ გადმოცემულია მთელი სიძულველი ოფიცრებისადმი:

ეჰ, გაუიქრები მე თოფით ხელში.
ვით უსახლკარო, ბნელ უღრან ტყეში!
წაეალ, ვიჯერებ მე გულს სამგვარად —
გავუსწორდები კამანდირს ჩქარა:
თოფს დავემიზნებ — უტყვი, პირქუში,
ტყვიას მოვარტყამ შიგ კაკალ გულში.
ჩვენო უფროსო, ბოროტო ძაღლო,
იყავ წყითული და მოკვდი ახლა!⁴

ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევებში ანგარიშის გამსწორებელნი აღმოუჩენელნი რჩებოდნენ. ოფიცრებს ჰკლავდნენ არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგ-ნიაცი, სათადარიგო ათასეულებში. ძველი დისციპლინის საფუძველი — შიში უფროსთა წინაშე — ჰქრებოდა. არმიაში გახშირდა შემთხვევები ჯარისკაცთა პირდაპირი გამოსვლებისა თავისი მეთაურების წინააღმდეგ და ისიც არა სათითოოდ. ნაცვლად უშედეგო ინდივიდუალური აღშფოთებებისა და პროტესტებისა, რომლებიც ჩვეულებრივად ტრაგიკულად თავდებოდა, ჯარისკაცთა მასებმა კოლექტიურად იწყეს მოქმედება. თავისებური „გაფიცვები“ უკვე არაერთხელ ედებოდა მთელ პოლკებსა და დივიზიებს. ჯარისკაცთა ერთერთი მრავალ წერილთაგანი ასე მოგვითხრობს 1916 წელს ფრონტზე მომხდარ ასეთ გაფიცვაზე:

„ეს გაფიცვა დივიზიის უფროსმა გაიგო. მოვიდა პოლკში და ვერცერთი ოფიცერი თავის ადგილას ვერ ნახა. ისინი სადღაც დამალულიყვნენ. მხოლოდ ერთი ოფიცერი-პოდპორუჩიკი იპოვა თავის ადგილზე, აიძულა იგი პოლკს ჩასდგომოდა სათავეში და უბრძანა იმ წუთსვე იერიშზე გადასულიყო. მაგრამ აქაც ყველა ასეულმა უარი სთქვა წასვლაზე. და თან ყვიროდნენ: „საქმელი მოგვეცი. ტანსა და ფეხს ჩაგვაცვი. თორემ არ ვიბრძობებთ ან ყველანი ტყვედ წავალთ“. საქმე სერიოზული და კრიტიკულიც იყო. ეს რომ მტერს გაეგო. ყველას შიშველი ხელებით წაგვიყვანდა. ჩვენი პოლკის შემდეგ გაიფიცა ცარიოვის პოლკი. მერე კი ჩვენი დივიზიის სხვა პოლკებიც. ჩვენი დივიზიის ერთი პოლკის ორი ათასეული მთლიანად ნებაყოფლობით წავიდა ტყვედ... უნდოდათ ყველა ჯარისკაცი დაეხვრიტათ. უნდოდათ ჩაშოერთმიათ შაშხანები, ბომბები და სხვა იარაღი. მაგრამ ჯარისკაცებმა არ მისცეს, ამასთან სხვა დივიზიებიც გაიფიცნენ. ასე რომ დამხვრეტიც აღარავინ იყო: ყველა გაიფიცა... ან კი როგორ არ გაიფიცებინან — თითქმის ფეხშიშველი, მშიერი და შიშველი დადიან. რომ შეხედო. გული გეტკინება“¹.

არმიის რღვევას არანაკლებ შეუწყო ხელი აგრეთვე მის მეთაურთა შემადგენლობის შიგნით მომხდარმა კლასობრივმა ცვლილებებმა. ოფიცერთა კორპუსი წარმოადგენდა რჩეულ, მებრძოლ. „ტახტის“ ერთგულ, კლასობრივი ნათესაობით მტკიცედ შედუღებულ ორგანიზაციას. უმთავრესად შემამულეთა კლასიდან. მეფის მთავრობა გულმოდგინედ იცავდა ოფიცერთა შემადგენლობას რაზნოჩინცებით შევსებისაგან. თვითონ ოფიცრობა ებრძოდა თავის წრეში დაბალი კლასებიდან გამოსულთა შესვლას. მაგრამ ომმა შეარყია ამ კარჩაკეტილი ჯგუფის საყრდენები. კადრის შემადგენლობამ დიდი დანაკლისი განიცადა ომის პირველ თვეებშივე. მათი ადგილი თანდათანობით დაიკავეს სხვა ფენებიდან გამოსულებმა. ძველი კასტა რაზნოჩინცებიდან გამოსულ პროპორშიკთა ზღვაში გაითქვითა. ოფიცრებმა ადვოკატთა, მასწავლებელთა, ჩინოვნიკთა წრიდან, სწავლადამთავრებელმა სემინარისტებმა, გიმნაზიელებმა, მობილიზებულმა სტუდენტებმა აავსეს მეთაურთა რიგები. ძველები ახლებს აშკარა ზიზღითა და მტრობით შეხვდნენ. ოფიცრობის დემოკრატიზაციამ გააძლიერა



სანგრები ბრძოლის შემდეგ.

დაქსაქსულობა მეთაურთა შემადგენლობაში და, თავის მხრივ, გაალრმავე წინააღმდეგობანი არშიაში.

ადამიანთა სიცოცხლის უაზროდ გაყვლეტამ. უფროსთა ველურმა თვითნებობამ, უნიკო სარდლობამ. ქაოსმა და ცხოვრების შიმში პირობებმა ყველაზე ხაშორჩენილი ჯარისკაცები გამოაღვიდა. ომი ზოგს შეძრწუნებასა და სასოწარკვეთილებას უქმნიდა. ზოგს კი — სურვილს ეპოვნათ გამოსავალი, ეპოვნათ უაზრო სისხლისღვრის დამნაშავენი.

პატრიოტული პრესა, რომელიც ყვეთელი ღვარივით მოედო არმიას, პირველ ხანებში ახერხებდა ჯარისკაცთა ყრუ გაბოროტება „მტრისადმი“ სიძულვილის ჩვეულებრივი კალაპოტით წარემართნა. ყოველ დამარცხებას, ყოველ მცირეოდენ მარცხს ხსნიდნენ საგარეო მტრის — გერმანელებისა — და „შინაური მტრის“ — ებრაელთა ხრიკებით. პოგრომების ტალღამ ფრონტზე აღგავა ასეულობით ებრაელთა დაბები. გააჩანავა. სამკვიდრო ადგილებიდან შორს უცნობ ადგილებში გარეკა ათეულ ათასობით ლტოლვილნი. ჯარისკაცებს განსაკუთრებული ნიშანიც კი ჰქონდათ: „ბრძანებაში ისევ ებრაელ ჯაშუშებზე სწერენ, — მაშასადამე. უკან დავიხვეთო“, გესლიანად ოხუნჯობდნენ ნაწილებში.

სხვა ჯარისკაცებში ომმა გამოიწვია ბურჟუაზიისა და მთავრობისადმი სიძულვილის გრძნობა. რაც უფრო ჭიანურდებოდა ომი, მით უფრო ძლიერად იზრდებოდა გაბოროტება გაბატონებული კლასების წინააღმდეგ. ამ სტიქიურ პროცესში ორგანიზებულობა ბოლშევიკთა პარტიას შეჰქონდა.


მეფის მთავრობის მიერ კანონგარეშე დაყენებულნი, ბოლშევიკები განსაკუთრებული თავგანწირვით ეწეოდნენ მუშაობას არშიაში. იქ, სადაც გაბოროტებულ ჯარისკაცს მაგრად ეჭირა შაშხანა და არ იცოდა ვის დასხმობდა თავს,

ბოლშევიკები უნარიანად წარმართავდნენ მის აღშფოთებას მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. იქ, სადაც გამხეცებადმდე მიყვანა იჯარისკაცები „ინოროდებზე“ უმიზნო ძალადობაში ეძებდნენ გამოსავალს, ბოლშევიკები ეწეოდნენ ინტერნაციონალისტურ აგიტაციას, რომელსაც უპირისპირებდნენ ცარიზმისა და ნაციონალისტების ბნელეთის მოციქულობას. სასოწარკვეთილების სტიქიურ აფეთქებას ბოლშევიკები თავგამოდებული მუშაობით აქცევდნენ ორგანიზებულ გამოსვლად ხელისუფლების წინააღმდეგ. ბოლშევიკები, რომლებსაც ოხრანკა სდევნიდა, რომლებსაც მართო პარტიისადმი კუთვნილებისათვის სამხედრო საველე სასამართლოზე გადასცემდნენ ხოლმე, შეუდრეკლად ასრულებდნენ რევოლუციურ მებრძოლთა მოვალეობას.

მეფის მთავრობა „კრამოლასთან“ ბრძოლაში ფართოდ იყენებდა „უკმაყოფილოთა გაგზავნას“ ფრონტზე. საკმარისი იყო აზრის გამოთქმა ქარხანაში მუშაობის მძიმე პირობების წინააღმდეგ, რომ მეპატრონე ან ოსტატი მუშის გვარს ჩაინიშნავდა. ხვალ კი მას უკვე სამხედრო უფროსთან იბარებდნენ და „სამარშო ასეულებში“ გზავნიდნენ. ამ „უკმაყოფილოთა“ რიცხვში უწინარეს ყოვლისა ისინი ხვდებოდნენ, ვისზედაც ეპკი შეჰქონდათ. რომ ბოლშევიკებთან ახლოს იდგნენ. მეფის ბეცმა მთავრობამ უკვე ომის დასაწყისში მობილიზაცია უყო და არმიაში გაგზავნა სამრეწველო მუშათა, სულ უკანასკნელი, 40 პროცენტი. გარდა ამისა, არმიისა და ფლოტის რიგებში ცოტანი როდი იყვნენ 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილენი, ცოტანი როდი იყვნენ მთავრობის მიერ ომის დასაწყისშივე დახურული ბოლშევიკური „პრადვის“ ყოფილი მკითხველნი. ამ წრეში ბოლშევიკური პარტია ერთგულ პროპაგანდისტებს შოულობდა და მათი დახმარებით სულ უფროდაუფრო ღრმად იჭრებოდა ჯარისკაცთა მასაში.

მიუხედავად მთავრობის ტერორისა, ბოლშევიკურმა პარტიამ მოახერხა სამხედრო ორგანიზაციების შექმნა არმიის მთელ რიგ ზურგის ნაწილებში. აქ მუშაობა გაადვილებული იყო ადგილობრივი პროლეტარების გავლენით. პეტროგრადში, მოსკოვში, სმოლენსკში, კიევში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში, სარატოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სამარაში, ცარიცინში, ეკატერინბურგში, ტვერში, ბაქოში, ბათუმში, თბილისში, ქუთაისში. ლატიშთა მხარეში — ყველგან დაძაბული მუშაობა იყო გაჩაღებული. ნარიმის გადასახლებიდან ბოლშევიკების გაწვევამ ჯარში შესაძლებელი გახადა ტომსკში საკმაოდ ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის შექმნა. ზურგის ნაწილებზე დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე ჯარისკაცების ურთიერთობას ჯარის გარეთ ადგილობრივ ბოლშევიკებთან და ბოლშევიკურად განწყობილ პროლეტარებთან. ქვეყანაში დაწყებული მუშათა გაფიცვები ცხადყოფდნენ ჯარისკაცთა მასისათვის, რომ შესაძლებელი იყო რევოლუციური გამოსავალი. აი ტიპიური სურათი მუშათა რევოლუციური ბრძოლის გავლენისა ჯარისკაცებზე:

„მრავალრიცხოვანი დემონსტრაციების დროს 9 იანვრის დღეს (1916 წ. რ ე დ.) იყო შემთხვევები დემონსტრანტების შეხვედრისა ჯარისკაცებთან.



დამშობილება.

ნახ. ი. ელადიმოროვისა.

ასე. მაგალითად. ვიბორგის გზატკეცილზე მუშები ხედებოდნენ მორტორიან ქარაენებს, რომლებითაც ჯარისკაცები მიჰყავდათ. ხდებოდა ერთმანეთისადმი მეგობრულად მისალმება. წითელი დროშების დანახვისას ჯარისკაცები ქულებს იხდიდნენ და შესძახოდნენ: „ურა“, „ძირს ომი“ და სხვ. 10 იანვარს სალამოს სამსსონიევის დიდი პროსპექტით მიდიოდა მუშა-ქალთა, მუშათა და ჯარისკაცთა უზარმაზარი კოლონა... პოლიცია მთელი ამ ხნის განმავლობაში განზე იდგა... ათასზე მეტი კაცისაგან შემდგარ მასაში 300—400 ჯარისკაცის ყოფნა პოლიციაზე „დამამშვიდებლად“ მოქმედებდა... დემონსტრაციამ ერთ საათზე მეტს გასტანა“¹.

თუ რა განსაკუთრებული ენერჯია და თავგანწირვა გამოიჩინა ბოლშევიკთა პარტიამ არმიის გარეგოლუციონერებისათვის ბრძოლაში, ეს შეიძლება განვსაჯოთ მეფის პოლიციის ერთერთი იმ შეფასების მიხედვით, რომელსაც იგი ბევრჯერ იძლეოდა, პოლიციისა, რომელიც ამაოდ ცდილობდა აღმოეფხვრა რევოლუციური ორგანიზაცია:

„ლენინელებმა, რომლებმაც გაბატონებული მნიშვნელობა მოიპოვეს პარტიაში და რომლებსაც რუსეთში არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა უდიდესი უმრავლესობა მისდევს, ომის დაწყებიდან თავიანთ ყველაზე დიდ ცენტრებში (პეტროგრადი, მოსკოვი, კიევი, ხარკოვი, ტულა, კოსტრომა, ვლადიმირის გუბერნია, სამარა) გამოუშვეს რევოლუციური მოწოდებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა ომის შეწყვეტის, არსებული მთავრობის დამხობისა და რესპუბლიკის მოწყობის მოთხოვნით. ამასთან ლენინელთა ამ მუშაობას ხელშეასხებდნენ შედეგად მოჰყვა მუშების მიერ გაფიცვებისა და უწყსრიგობის მოწყობა“¹.

ბოლშევიკები მიდიოდნენ ჯარისკაცებთან ლენინის მიერ შემუშავებული ნათელი პროგრამით, მკაფიო და გასაგები ლოზუნგებით, რომლებიც ყველაზე მტკიცენულ და საჭირობოროტო საკითხებს აშუქებდნენ. ეყრდნობოდნენ რა ჯარისკაცთა უკმაყოფილებას, დაუცხრომელ მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ, ააშკარავებდნენ რა ცემა-ტყეპის რეჟიმს, მეთაურთა გამცემლობასა და უნიკობას, ბოლშევიკებს ფრთხილად, მაგრამ დაჟინებით მიჰყავდათ ახლად გაღვიძებული ჯარისკაცები რევოლუციური მოქმედების პროგრამასთან.

„თანამედროვე იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა ერთადერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგია“² —

ასე დაახასიათა რევოლუციური ბრძოლის პროგრამა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტმა, რომელიც 1914 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნდა. მხოლოდ ამ გზით შეიძლოთ პროლეტარიატსა და მშრომელთ თავი დაეღწიათ ომის სასიკვდილო რკალიდან, მხოლოდ ასეთ გარდაქმნაში უნდა ეძებნათ ვამოსავალი იმ ჩიხიდან, სადაც მოაქციეს ქვეყანა ბურჟუაზიამ და მისმა ლაქებმა — მენშევიკებმა და ესერებმა.

მაგრამ ასეთი პროგრამა განსაზღვრულ რევოლუციურ მოქმედებას მოითხოვდა, და ლენინმა მიუთითა, თუ სახელდობრ რის კეთება იყო საჭირო:

„რევოლუცია ომის დროს არის სამოქალაქო ომი, ხოლო მთავრობათა ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, ერთი მხრით, გაადვილებულია მთავრობათა სამხედრო მარცხებით („დამარცხებით“), ხოლო მეორე მხრით, შეუძლებელია საქმით მისწრაფოდ ასეთი გადაქცევისაკენ ისე, რომ ამით დამარცხებას არ უწყობდეს ხელს“³.

მეორე ადგილას ლენინი სწერდა:

„...სამოქალაქო ზავის“ ნამდვილი. არა სიტყვიერი გაწყვეტის, კლასობრივი ბრძოლის აღიარების ერთადერთ პოლიტიკას წარმოადგენს პოლიტიკა პროლეტარიატის მიერ თავისი მთავრობისა და თავისი ბურჟუაზიის სტან-

ლეთა გამოყენებისათვის და მხოდისათვის. ხოლო ამას არ შეიძლება მიადწირო, ამისკენ არ შეიძლება მიიწრაფოდეს, თუ არ გსურს თავისი მთავრობის დამარცხება, თუ ხელს არ უწყობ ასეთ დამარცხებას“¹.

თავისი მთავრობის დამარცხების ლოზუნგი წამყვანი ლოზუნგია ბოლშევიკურ ტაქტიკაში იმპერიალისტური ომის დროს. ბოლშევიკების ამოცანა იყო ფართოდ გამოეყენებინათ სამხედრო დისციპლინის დაცემა, რაც არმიასა და ქვეყანაში გავრცელდა. და პორაქენცული განწყობილებანი მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციური აქტივობის გაძლიერებისათვის. საჭირო იყო ჯარისკაცთა მასებში იმ შეგნების დანერგვა, რომ იმპერიალისტური „სამშობლოს“ ინტერესები და მშრომელთა ინტერესები ერთმანეთის საწინააღმდეგოა, რომ აუცილებელია იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. ეს, რა თქმა უნდა, არ მოასწავებდა. როგორც ტროცკისტები ცდილობდნენ „გადაკვირი“ აღენიშნათ“, გერმანიის იმპერიალიზმისათვის დახმარების გაწყევას, რუსეთში ხიდების აფეთქებას და სხვ. ეს მოასწავებდა მეფის მონარქიის — ყველაზე ბარბაროსული მთავრობის, ევროპისა და აზიის მოსახლეობის ვეებერთელა მასის სულის შემხუთავის — ძალებისათვის ძირის გამოთხრას. ეს მოასწავებდა თავგამოდებულ მუშაობას არმიის რევოლუციური რღვევისათვის. მასების რევოლუციურად ამოძრავებისათვის, მოასწავებდა რევოლუციური ბრძოლის განგრძობას და გამწვავებას იმპერიალისტური ომის პირობებში. აი რატომ ასე გადაქრით ილაშქრებდნენ ამ ლოზუნგის წინააღმდეგ რუსეთის ყველა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები: კადეტები. ტრუდოვიკები, ესერები და ყველა ჯურის მენშევიკები, მათ შორის ტროცკიც. პლენანოვი ბოლშევიკური ლოზუნგის შესახებ სწერდა:

„რუსეთის დამარცხება... შეანელებს მის ეკონომიურ განვითარებას და მასსადაც, მისი მუშათა მოძრაობის ზრდასაცო“².

ხოლო ტროცკი ამბობდა. რუსეთის დამარცხება გერმანიის გამარჯვებას ნიშნავსო. ამასთან იგი უხეზად ამახინჯებდა ლენინის ლოზუნგს, მალავდა, რომ ლენინი ამ ლოზუნგს აყენებდა არა მარტო რუსეთის რევოლუციონერებისათვის. არამედ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური პარტიებისათვის.

თავისი მთავრობის დამარცხების ლოზუნგის წინააღმდეგ იბრძოდნენ არა მარტო აშკარა სოციალ-გამცემლები და ტროცკის ტიპის ცენტრისტები — მას ჩვენი პარტიის შემარჯვენე და „მომემარცხენო“ ელემენტებიც უარპყოფდნენ. ასე, მაგალითად, ომის დასაწყისში სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის თათბირზე ოზერკაში ყველაზე მსხვილი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კამენევი აკრიტიკებდა პორაქენცობის ლენინურ ლოზუნგს. კამენევი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რუსეთისათვის ომის მარცხით დამთავრება სასურველი არ იქნება მუშათა მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისითო.

როდესაც იგი მეფის სსამართლოში მისცეს სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებთან ერთად, იგი კვლავ შეეცადა გამიჯნოდა პარტიას პორაქენცობის საკითხში.

სწორედ ასევე რუს ემიგრანტთა ჯგუფი, რომელსაც ბუხარინი¹ ხელმძღვანელობდა და რომელიც „მარცხნიდან“ აკრიტიკებდა ლენინს, თავის თეზისებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს ჯგუფი კატეგორიულად უარპყოფდა

„რუსეთისათვის ეგრეთწოდებული „რუსეთის დამარცხების“ ლოზუნგის წამოყენებას“;

და აღნიშნავდა

„ამ მიმართულებით პრაქტიკული აგიტაციის აბსოლუტურ შეუძლებლობას“².

თავისი მთავრობის დამარცხების ლოზუნგთან უაღრესად მკიდროდ იყო დაკავშირებული ბოლშევიკური ლოზუნგი მოწინააღმდეგე იმპერიალისტური არმიების ჯარისკაცთა და დემობილების შესახებ. ხედავდა რა დამშობილების სტიქიურად წარმოშობას, ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მასების ამ რევოლუციური ინიციატივის განვითარებას. ლენინმა სპეციალური სტატია უძღვნა საფრანგეთ-გერმანიის ფრონტზე მომხდარი დამშობილების მთელ ზოგ შემთხვევებს, რომლებიც გერმანულმა, ინგლისურმა და შვეიცარულმა გაზეთებმა მოიყვანეს.

რუსეთის ფრონტზედაც დამშობილების სულ უფროდაუფრო განსიერებულმა შემთხვევებმა საშუალება მისცეს ბოლშევიკთა პარტიას წამოეყენებინა და დემობილება როგორც პრაქტიკული ლოზუნგი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის ბრძოლაში.

გენერალთა თათბირზე 1916 წლის დეკემბერში არმიების სარდლებს ათეულობით მოჰყავდათ არმიის დაშლის, რღვევის საბუთები. დეზერტირობა, პოზიციებიდან მთელი პოლკების წასვლა, იერიშზე გადასვლაზე უარის თქმა, ოფიცრებთან ანგარიშის გასწორება და განსაკუთრებით დამშობილება — ყოველივე ეს აშკარად იყო 1916 წლის დამღევისათვის. გენერლების მიერ დახატულ სურათი ოდნავაც არ განსხვავდება იმისგან, რასაც გვიამბობს აესტრიის ფრონტზე მდგომარეობის შესახებ მეფის არმიის ყოფილი ჯარისკაცი პ. ა. კარნაუხოვი:

„ფრონტზე 1916 წლის ზამთარში სიწყნარე იყო. მოწინავე ხაზზე ხდებოდა ხოლმე, რომ ჯარისკაცები მოწინააღმდეგეს რომ დაინახავდნენ, აღარ ესროდნენ მას. ამითვე გვიბასუსხებდნენ აესტრიელებიც. ზოგჯერ აესტრიელები გვიძახოდნენ: „პანე! გაათავეთ ომი!“ და თავისთან ეძახდნენ რუსებს, რუსები კი აესტრიელებს. ჩვენს უბანზე ჯერ კიდევ 1916 წლის ოქტომბრიდან დაიწყო დამშობილება მტერთან, რისთვისაც კარგა მაგრა გვხვდებოდა ოფიცრებისაგან, იანვარში კი დამშობილება ჩვენთან უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ჩვენი ჯარისკაცები სხვადასხვა ნივთებს უცვლიდნენ მოწინააღმდეგეს, აძლევდნენ პურს, შაქარს და ლებულობდნენ დანას, სამართებელს“³.

დამშობილების რევოლუციური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ამტკიცებდა მშრომელთა ინტერნაციონალური ერთობის შეგნებას სანგრების ორივე მხარეზე, იწვევდა უძლიერეს კლასობრივ დაყოფას ოფიცრებსა და

ჯარისკაცებს შორის, არყევდა იმპერიალისტური არმიების ძალას და ანეთარებდა მისწრაფებას ზაეისაკენ.

ბოლშევიკური პარტიის თავგანწირულმა ბრძოლამ არმიის მზარდი რღვევის ფონზე სწრაფი შედეგები გამოიღო.

4.

მეფის რუსეთი — ხალხთა საპყრობილე.

ომმა მკვეთრი გავლენა იქონია ჩაგრულ ეროვნებათა მდგომარეობაზეც. მეფის რუსეთს ლენინმა „ხალხთა საპყრობილე“ უწოდა. ეს ამომწურავი სისრულითა და მკაფიოებით განსაზღვრავდა „რუსეთის სახელმწიფოს“ მრავალრიცხოვან ეროვნებათა ცხოვრებას.

თვითმპყრობელობის დროს მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ ყველა მშრომელნიც, მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი იყო არარუს ეროვნებათა, ანუ როგორც მაშინ მათ ზიზლით უწოდებდნენ, „ინოროდცების“ მშრომელთა მდგომარეობა. მათი ეკონომიური ექსპლოატაცია ძლიერდებოდა უსასტიკესი ნაციონალური ჩაგვრით. ის უბადრუკი უფლებებიც კი, რომლებითაც მშრომელი რუსები სარგებლობდნენ, უსაზღვროდ შეკვეცილი იყო ჩაგრული ეროვნებებისათვის. პოლიტიკური უფლებობა, ადმინისტრაციული თვითნებობა და კულტურული ჩაგვრა მიჰქონდა თვითმპყრობელობას დამონებული ხალხებისათვის.

რუსეთის მეფეთა პოლიტიკა მკაფიოდ გამოხატულ დამპყრობ ხასიათს ატარებს.

XVI — XVII საუკუნეებში რუსეთის ცარიზმი. გამოხატავდა რა გაბატონებულ კლასთა ინტერესებს. იწყებს ფართო სამხედრო ლაშქრობებს აღმოსავლეთისაკენ. იგი მწარცველ ტორს ადებს შუა და ქვემო პოვოლჟიეს მიწებს, ანხორციელებს ციმბირის დაპყრობას. აღწევს დიდ ოკეანეს. იჭრება უკრაინის მარცხენა მხარის ველებში. კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს თავადაზნაურობის, სავაჭრო და წარმოშობის პროცესში მყოფი სამრეწველო კაპიტალის ინტერესები პეტრე I-ის სამხედრო გეგმებში, — იგი ცდილობდა „მტკიცედ მოედგა ფეხი“ ბალტიას, შავი და კასპიის ზღვების ნაპირებზე. მის დროს დაპყრობილ იქნა ახლანდელი ესტონეთის რაიონები, ლატვიისა და ფინეთის ნაწილები, კასპიის ზღვის კავკასიის სანაპირო. ეკატერინე II-მ რუსეთს შემოუერთა შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო, ყირიმი, მარჯვენა მხარის უკრაინა. ბელორუსია, ლიტვა და კურლანდია. ალექსანდრე I-მა წაართვა შვედებს ფინეთი. თურქებს — ბესარაბია და ნაპოლეონთან ომის შემდეგ მიიღო პოლონეთის ნაწილი ვარშავეითურთ. მის დროსვე რუსეთმა ფეხი მოიდგა საქართველოში და დაიწყო მრავალწლოვანი ომი კავკასიის მთიელთა დამონებისათვის. ეს ომი ნიკოლოზ I-ის მეფობის მთელ მანძილზეც გრძელდებოდა. ალექსანდრე II-მ დაამთავრა კავკასიის დაპყრობა. წაართვა ჩინეთს ამურის ნაპირისა და უსურის მხარეები, ევებერთელა ტერიტორიები დაიპყრო შუა-აზიაში. რუსეთის მეფეთაგან უკანასკნელმა, ნიკოლოზ II-მ, ვანაგრძო რა თავისი მამაპაპის პოლიტიკა, ჯერ

სცადა განეხორციელებინა მანჯურისა და კორეის შემოერთება, შემდეგ კი მსოფლიო ომში ჩაება და მიზნად ისახავდა კონსტანტინოპოლის, თურქეთის სომხეთის, ჩრდილო-სპარსეთისა და გალიციის დაპყრობას...

ორთავიანი არწივის თვალბედითი აჩრდილი დასტრიალებდა თავს იმპერიის ვეებერთელა სივრცეს ბალტიკის ნაპირებიდან კავკასიონის მწვერვალებამდე და უკრაინის მზაური ველებიდან შუა-აზიის ქვიშნარ უდაბნოებამდე და შორეული აღმოსავლეთის სოკებამდე.

რუსეთის ცარიზმის ყოველი ნაბიჯი, ისევე როგორც ევროპის ყველა ბურჟუაზიულ მთავრობათა მოქმედება, აღნიშნული იყო ცეცხლით, სისხლითა და ძალადობით. სილატაქე და უსაზღვრო უბედურება თან სდევდა კაპიტალიზმის ძლევაშის მსვლელობას კავკასიის აულებში, თურქესტანის ყიშლალებში და პოვოლჩიეს ფინთა და თურქთა სოფლებში.


წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მეფის მთავრობა დაპყრობილი ოლქების ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანად მოსპობასა და გადასახლებას არ ერიდებოდა. ათეულობით აყვავებული მთიელთა აულები ნანგრევებად და ნაკარტუტად აქციეს. ხეობები დაბურული იყო ხანძრების კვამლით. ჰკათავდნენ ტყეებს, მიწასთან ასწორებდნენ სოფლებს. ჰქელავდნენ ნათესებს, იტაცებდნენ მთიელთა ქონებას თვით საოჯახო ავეჯეულობამდე.

მკვიდრი მოსახლეობისათვის წართმეულ მიწებს რუს ოფიცრებს, მემამულეებსა და კულაკებს ურიგებდნენ. მებატონეთა ათასობით უმდიდრესი მამულები იქმნებოდა ვოლგის ნაპირებზე ბაშკირებისათვის წართმეულ მიწებზე; მეფეთა და მთავართა ვეებერთელა უმდიდრესი მამულები იქმნებოდა კავკასიაში, ყირიში, შუა-აზიაში. დამონებულ ოლქებში ამ „საადგილმამულო რეფორმის“ გატარებას თან სდევდა ბატონყმობის დანერგვა. პეტრე I-მა შემოიღო იგი ბალტიის მხარეში, ეკატერინე II-მ უკრაინაში, ნიკოლოზ I გულმოდგინედ ამაგრებდა მას კავკასიაში.

მეფის გენერლის კვალზე დაპყრობილ რაიონებში მიდიოდა რუსი მემამულე. მიეშურებოდნენ ფაბრიკანტი და ვაქარი. ნაციონალური ოლქები რუსი ჯარისკაცებით, ჟანდარმებით, ჩინოფნიკებით ივსებოდა. მათთან ერთად მიდიოდა იქ მართლმადიდებელი ხუცესიც, რომელიც ჯვარით განამტკიცებდა ხოლმე ხიშტისა და ოქროს უფლებას.

სამხედრო ძალადობასა და ავაზაკობას კიდევ უფრო საშინელი ეკონომიური ჩავრა სცვლიდა. შემოერთებული რაიონები კაპიტალიზმის კოლონიებად იქცეოდნენ და განვითარების გზაზე დამდგარი რუსეთის მრეწველობისათვის ნედლეულისა და სათბობის მთავარ მიმწოდებლად ხდებოდნენ. უკრაინამ მისცა მას დონეის ქვანახშირი და კრივოროჟიეს მადანი, კავკასიამ — ნავთი. შუა-აზიამ — ბამბა და სხვ.

ძველებური ციხესიმაგრეების ნაცვლად, რომლებიც ბასტიონებითა და ზარბაზნებით იყვნენ აღჭურვილნი. შენდებოდა მემამულეთა სასახლეები, კულაკთა ხუტორები, კაპიტალისტთა ფაბრიკები. ხოლო მათ გვერდით ათასობით, ათათასობით იზრდებოდა „უფლის“ ეკლესიები და ხელმწიფის სამიკიტნოები. მეფის სამიკიტნოებში ვოდკით აბრუებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ეკლე-



„ორთავიანი არწივის თვალბედითი აჩრდილი დასტრიალებდა თავს იმპერიის
ვეებერთელა სივრცეს“.

ნახ. ნ. რადლოვისა.

სიებში საკმევებს აკმევდნენ და ლოცვებს ადავლებდნენ „თეთრი მეფის“ კოლონიზატორული პოლიტიკის წარმატებისათვის. ხუცესთა მრავალრიცხოვანი არმია გულმოდგინედ შრომობდა, რათა „ველურთა“ გონებაში მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობის საფუძვლები ჩაენერგა.

ავტბული ეკლესიები ნაციონალური მოსახლეობის დამატებითი ძარცვის იარაღად იქცეოდნენ. ახალმონათლულ „ინოროდებს“ მართლმადიდებლობას აჩვევდნენ ჯარიმებით აღსარებაზე გამოუცხადებლობისათვის, ლოცვების უცოდინარობისათვის, საეკლესიო წესების შეუსრულებლობისათვის და სხვ.

ჩაგრულ ეროვნებათა შორის ქრისტიანობის ქადაგება სავსებით ალვირახსნილ და ცინიკურ ხასიათს ატარებდა. ციმბირის ნახევრადველურ ხალხთა შორის მისიონერთა რელიგიურ-საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდები ხშირად პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა.

სოფელში რომ ჩავიდოდა. მისიონერი თავის ქადაგებას „პატივით“ იწყებდა. არიგებდა პატარ-პატარა საჩუქრებს: ჯვრებს. პატარა ხატებს, თამბაქოს და სხვ. თუ ეს არ უშველიდა. იგი ხანგრძლივად ჩადგებოდა ურჩებთან და უფრო „გადამკრელ“ ზომებს იღებდა მათ წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს მისიონერს იქამდე მიჰყავდა მოსასლოება. რომ მისიონერის წინააღმდეგ მუქარის ხმები გაისმოდა ხოლმე. მაშინ დამნაშავეებს ხელს სტაცებდნენ. ქონებას ჩამოართმევდნენ. საპყრობილეში ჩასვამდნენ.

ციმბირის ტომთა შორის პირველი ქრისტიანი განმანათლებლები იყვნენ გაქცეული. მაწანწალა ბერები, რომლებმაც ლოცვასთან და ნაკურთხ წყალთან ერთად ციმბირის ტუნდრებში არაყი და სიფილისი შეიტანეს.

ადგილობრივ მკვიდრ მონადირეთა გალოთების სისტემას ფართოდ იყენებდნენ შემდეგშიც. იმ პერიოდში. როდესაც მოქმედებდა „მართლმადიდებელი მისიონერული საზოგადოება“—ვევებრთელა საწარმო 200 ათასი მან. ძირითადი კაპიტალით. ასეთი „ქრისტიანული“ მზრუნველობისაგან უკანასკნელ წლებში ომის წინ ციმბირის ტომების გადაშენება საშინელი სისწრაფით ხდებოდა.

სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში აწვა უსაშინელესი საეკლესიო ჩაგვრის უღელი რუსეთის მუსლიმან ხალხებსაც. რელიგიურ დევნას, მეჩეთების დახურვას (მარტო ყაზანის ეპისკოპოსმა ლუკამ — 1738 — 1755 წ. — თათართა მხარეში 418 მეჩეთი დაანგრია 535-დან) თან სდევდა მუსლიმანებისათვის ბავშვების ძალდატანებით წართმევა სამრევლო სკოლებში მისაბარებლად.

პოვოლჩიეს ფინ-თურქ ტომთა შორის რუსული განათლება დაიწყო ყაზანში სასულთნო აკადემიის დაარსებით. მართლმადიდებელ მისიონერთა კადრებს ყაზანის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტიც ამზადებდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის უკანასკნელი დროის ერთერთ ყველაზე დამახასიათებელ აქტს წარმოადგენს სახალხო განათლების მინისტრ გრაფ ი. ი. ტოლსტოის მიერ გამოცემული კანონი — „1906 წლის 31 მარტის წესები“. კანონი აღნიშნავდა იმის აუცილებლობას, რომ „მეცნიერების“ შემწეობით გაეძლიერებინათ დამონებულ ხალხებში „საერთო სამშობლოს“ სიყვარული, და ყველა სკოლაში „ინოროდებისათვის“ რუსული ენის სავალდებულო სწავლებას აწესებდა. მაგრამ რუსული სახელმწიფო სკოლა ამ მოვალეობას ტოლს-

ტოის კანონის გამოცემამდეც კეთილსინდისიერად ასრულებდა. პოლონეთში ჯერ კიდევ 1863 წლის აჯანყების შემდეგ დაიხურა ყველა ნაციონალური უნივერსიტეტები და გიმნაზიები და ისინი რუსული სკოლებით შეიცვალა; აკრძალული იყო პოლონურ ენაზე ხმაშემაღლა და პარაკი საზოგადოებრივ ადგილებში — დაწესებულებებში, მალაზიებში, ქუჩებში.

ასეთსავე ჩაგვრას განიცდიდა უკრაინა. თვით სიტყვა „უკრაინა“ კრამოლურად აღიარეს და შესცვალეს „მლოროსიის“ სახელწოდებით. დაშვებული არ იყო უკრაინულ ენაზე წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვა, აკრძალული იყო დედა-ენის სწავლება კერძო სკოლებშიც კი და მისი გამოყენება საჯარო გამოსვლებში. ჩაგვრის შედეგებმა უაღრესად დამლუპველი გავლენა იქონია უკრაინელი ხალხის კულტურაზე. რუსეთთან შეერთებამდე უკრაინა კულტურულად ველიკოროსიაზე მაღლა იდგა. წარსული საუკუნის დამლევისათვის უკრაინული გუბერნიები წერა-კითხვის უცოდინარობის მხრივ მეფის რუსეთისთვისაც კი განსაკვივრებელ პროცენტს იძლეოდნენ.

არმიისა და სახელმწიფო აპარატის — რუსული სახელმწიფო სკოლისა და მართლმადიდებელი რელიგიის — დახმარებით მეფის მთავრობა უღმობელად ანხორციელებდა საყოველთაო რუსიფიკაციას. ის გარემოება, რომ დამონებულ ხალხთა უმრავლესობა კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებებს წარმოადგენდა, მხოლოდ აადვილებდა ამ ამოცანას. მაგრამ იმ შემთხვევებშიაც კი, როდესაც რუსეთის იმპერიალიზმი ეჯახებოდა ისეთ ეროვნებებს, რომელნიც თავისი ეკონომიური და კულტურული დონით ველიკოროსებზე დაბლა კი არა, არამედ ზოგჯერ უფრო მაღლა იდგნენ (როგორც, მაგალითად, პოლონელები, ფინები, ესტონელები, ლატიშები, ნაწილობრივ ქართველები, სომხები, უკრაინელები და სხვ.). ეს ხელს არ უშლიდა მას იმავე მძვინვარებითა და შეურიგებლობით გაეტარებინა რუსიფიკაცია. ალექსანდრე I-მა ფინეთი რომ ჩაიგდო ხელში, დაპირდა შეენარჩუნებინა იქ წოდებრივი თვითმმართველობა, რომლითაც ფინეთი შვეციასთან სარგებლობდა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ თანდათანობით შოახდინა ამ ავტონომიის ლიკვიდაცია და გადასწყვიტა გაეთანაბრებინა ფინეთი უფლებობის მხრივ მთელ დანარჩენ სახელმწიფოსთან. პოლონეთი უკვე დიდხანია მოქცეული იყო მეფის უანდარმის ქუსლის ქვეშ. კულმოკვეცილი რეფორმაც კი, რომელიც ეგრეთწოდებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (ერობებისა და საქალაქო საბჭოების) შექმნით გატარდა, პოლონეთზე არ ვრცელდებოდა. პოლონეთს არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მიუღია. პოლონელებისათვის შემოღებული იყო მრავალრიცხოვანი უფლებრივი შეზღუდვანი სახელმწიფო სამსახურში და არმიამში.

განსაკუთრებით უფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მეფის რუსეთში ებრაელები. მათ შეზღუდული ჰქონდათ ბინადრობისა და თავისუფალი მოძრაობის უფლება. გამოწვევის შეადგენდნენ მხოლოდ მდიდარი ებრაელები — პირველი გილდიის ვაჭრები — და უნივერსიტეტდამთავრებული პირები. კლასობრივი პოლიტიკა, რომელსაც მეფის მთავრობა ნაციონალურ საკითხშიც ატარებდა, გამოხატულებას პოულობდა ზოგიერთ შეღავათში, რასაც მოსახლეობის მქონებელ ფენებს აძლევდნენ. მაგრამ გაბატონებულ რუს ბურჟუას-

თან და შემამულესთან შედარებით ებრაელი ან სომეხი ვაჭარი მაინც უუფლებოდ გრძობდა თავს. სკოლაში შესვლა ებრაელებისათვის შეზღუდული იყო ნორმით, სახელმწიფო სამსახურში და რკინიგზებზე მათ სრულებით არ იღებდნენ და სხვ. ებრაელი მოსახლეობის ბინადრობისათვის გამოყოფილი იყო ეგრეთწოდებული „მკვიდრი ბინადრობის ხაზი“. პოლონეთის, ლიტვის, ბელორუსიის და ნაწილობრივ უკრაინის გუბერნიების ქალაქებსა და დაბებში თავმოყრილი ებრაელთა მასები წყვედიად მოცულ სილატაკისთვის იყვნენ განწირულნი.


ადგილობრივ ნაციონალურ მოსახლეობას მეფის ხელისუფალნი ყოველად უსირცხვილოდ ყვლეფდნენ. ქრთამების სისტემა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საერთოდ მეფის რუსეთში, არაჩვეულებრივად ვრცელდებოდა შორეულ განაპირა მხარეებში. გაუმაძლარ ჩინოვნიკთა ხრები კალიასავით ნთქავდნენ ჩაგრული ერების მშრომელთა უკანასკნელ ნამცეცებს. შუა-აზიაში რუსეთის კოლონიზაციის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის გადასახადები 3—4-ჯერ გაიზარდა, ცალკეულ შემთხვევებში კი 15-ჯერაც. მოსახლეობა გადაშენების გზას ადგა. იქ, სადაც რუსების მისვლამდე 45 სოფელი იყო 956 კომლი მოსახლეობით, კოლონიზაციის ოცი წლის შემდეგ დარჩა მხოლოდ 36 სოფელი 817 კომლით, რომელთაგან 225 დაცარიელებული იყო. ამას მოგვითხრობენ მოგზაურნი, რომლებმაც წარსული საუკუნის დამლევს ინახულეს უზბეკებით დასახლებული რაიონები. ცხადია, ისინი ოდნავი სისრულითაც არ გვიხატავენ იმ საშინელებელთა სურათს, რაც მეფის კოლონიებში ზდებოდა: მეფის ცეზურა ამას არ დაუშვებდა. მაგრამ ისინიც კი იხსენიებენ ადგილობრივ მკვიდრთა უღმობელ სისხლისმღერელ ჩაზშობას მათი აღშფოთების ყოველი ოდნავი ცდისათვის. მთელ ყიშლალებს ნაცარტუტად აქცევდნენ, მეზობლად რომ ერთი მოკლული რუსი ენახათ.

ერთი რუსი ოფიცერი, რომელიც 1910 წელს აჯანყებას აქრობდა კატაქურგანში, სრულიად უსირცხვილოდ აცხადებს თავის ბრძანებაში, რომ

„რუსი ჯარისკაცის ერთი ლანჩა უფრო ძვირფასია, უბედური სართების (უზბეკების) ათას თავზეო“¹.

და ასეთი ბრძანებები „ფრაზად“ როდი რჩებოდა. ამას მოწმობს ანდიჟანის მოსახლეობასთან უღმობელი გასწორება.

1898 წელს იფეთქა აჯანყებამ მაშინდელი ფერგანის ოლქის უზბეკებს შორის. მას სათავეში უდგა რელიგიის ადგილობრივი ბელადი დუქჩი იშანი, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. 17—18 მაისისთვის ღამით დანებით, რკინის კომბლებითა და კეტებით შეიარაღებულ ადგილობრივ მცხოვრებთა რაზმი თავს დაესხა ჯარისკაცთა ყაზარმებს ანდიჟანში. მოკლულ იქნა 19 ჯარისკაცი. მაგრამ მეფის ჯარებმა მალე მოახერხეს აჯანყების ჩაქრობა. უზბეკები ასობით გასწყვიტეს, ისეთებიც კი, ვინც გამოსვლაში მონაწილეობას არ იღებდა. მიწასთან გაასწორეს ყველა ის ყიშლალი, სადაც აჯანყების ხელმძღვანელნი ცხოვრობდნენ, და მოშიშვლებულ ადგილზე მათ ნაცვლად რუსების სოფლები ააშენეს. ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც 130



ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა შუა აზიაში. მეფის გენერლების ჩაპოსვლა.

ათასი მანეთით განსაზღვრეს, საჯარო ვაჭრობით ჰყიდდნენ არა მარტო მსჯავრდადებულთა, არამედ მათ ნათესავთა ქონებასაც. 18 კაცი ჩამოახრჩეს, 362-ს შიუსაჯეს საკატორლო სამუშაოები ოთხიდან ოც წლამდე.

გასაკვირველი არ არის, რომ შუა-აზიის, ისევე როგორც სხვა კოლონიების ხალხები ძრწოდნენ „რუსის სახელის“ წინაშე. მეფის ადმინისტრაციის თვითეული უმნიშვნელო წარმომადგენელი უკანასკნელ გოროდოვოიმდე, ხელქვეით „ველურთა“ სრულ მეუფედ გრძნობდა თავს. მართვაგამგებობის მთელი სისტემა წარმართული იყო ნაციონალური ჩაგვრისათვის აუცილებელი პირობების შენარჩუნებისა და დაცვისაკენ. ხელისუფლებაც და ეკლესიაც ურჩევდნენ რუს მოსახლეობას ადამიანად არ ჩაეთვალნათ „მოუნათლავი ინოროდცი“.

რუსეთის მთავრობა, აგრარული რევოლუციის თავიდან ასაცილებლად, ცდილობდა ჩაგრულ ხალხთა ხარჯზე დაეკმაყოფილებინა თავის გლეხთა ნაწილის აგრარული საჭიროებანი. კოლონიებს საექსპლოატაციოდ და საძარცვად ამოევდნენ კულაკ-გლეხებსა და კაზაკებს.

ამასთან ერთად განაპირა მხარეებში გადასახლებული გლეხებისა და კაზაკებისაგან თვითმპყრობელობა დასაყრდენსა ჰქმნიდა მკვიდრ ნაციონალურ მოსახლეობასთან საბრძოლველად.

მემამულური ზედაფენა, რომელიც წარმოდგენილი იყო „რუსი ხალხის კავშირით“, „ნაციონალისტებითა“ და სხვებით, სამხედრო წრეებთან, ბიუროკრა-

ტიასთან და მონარქისტულ პრესასთან („ზემშინი“, „რუსსკოე ზნამია“. „ნოვოე ვრემია“, „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, ხარკოვის „იუენი კრაი“, თბილისის „კავკაზი“, „კიეველიანინი“ და სხვა გაზეთები) ერთად გააფთრებულ ნაციონალისტურ კამპანიას ანეთარებდნენ ყველა „ინოროდცების“ წინააღმდეგ, ხოლო განსაკუთრებით გულმოდგინედ აღვივებდნენ ანტიემიტიზმს, აწყობდნენ ებრაელთა პოგრომებს უკრაინაში, სომეხ-თურქთა ელექტას ამიერ-კავკასიაში და სხვ. მთავრობა თავის მხრივ აქეზებდა ნაციონალურ შუღლს ცალკეულ ხალხთა შორის. მათი ერთმანეთზე წასისიანებით ცარიზმი ამაგრებდა თავის ბატონობას ჩაგრულ ეროვნებებზე, თავიდან იცლებდა მათი გაერთიანების შესაძლებლობას, რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა ერთიანი ინტერნაციონალური ფრონტის შექმნის შესაძლებლობას.

ცარიზმის პოლიტიკა ჩაგრულ ეროვნებათა შორის გამოიხატებოდა რომის ძველი პოლარტიკური ლოზუნგით: „გაპყავ და იბატონე“.

რუსეთის იმპერიის მთელ მოსახლეობა მკვეთრად იყო გამიჯნული ორ ბანაკად: ერთი მხრით იდგნენ ველიკორუსები, რომლებსაც ყოველნაირად შთაბრუნებდნენ, რომ ისინი პრივილეგიურ დიდმპყრობელ ერს წარმოადგენენ, ხოლო მეორე მხრით — დამოკიდებული, არასრულუფლებიანი ხალხები.

გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“, რომელსაც სუვოზინი სცემდა და რომელიც შავრაზმულ პრესაშიაც კი გამოერჩეოდა განსაკუთრებული ფანტიკოსობით ნაციონალური შუღლის გაღვივებაში და რუსეთის თვითმპყრობელობის განმტკიცების ქადაგებაში, „სრულიად-რუსეთის ნაციონალური კავშირის“ პარტიის ერთერთი ლიდერი სწერდა:

„ჩვენ, მოწყალეებითა ღვთისათა, რუს ხალხს, დიდისა და მცირისა და თეთრისა რუსეთის მპყრობელს, ეს პყრობა მიგვაჩნია ღვთის განსაკუთრებულ მოწყალეობად, რომელიც ვალდებული ვართ დეაფასოთ და რომელიც მოწოდებული ვართ ყოველნაირად დავიცვათ. ჩვენ, რუსებს, ტყუილად როდი გვხვდა ეს ბატონობა... მოპოვებულ მეფურ უფლებათა ხელაღებით. განუსჯელად გაზიარება დაპყრობილი პატარა ხალხებისათვის — რა არის აქ გონიერული, გვითხარით ღვთის გულისათვის? პირიქით, ეს უდიდესი პოლიტიკური უგუნურებაა და წარმოადგენს ისტორიულ ბედოვლათობას, საცხებით იმის მსგავსს, როგორც ვაქრებში „ამილოს განებივრებული ზვიღები“, მილიონს რომ მიიღებენ, ლაქიებში და გარყენილ ქალებში იწყებენ მის გაბნევას. თვით ბუნებამ დააწინაურა რუსთა ტომი მრავალ სხვათა შორის, როგორც ყველაზე მაგარი და ნიჭიერი. თვით ისტორიამ დაამტკიცა პატარა ტომთა უთანასწორობა ჩვენთან“¹.

დიდმპყრობელურ-ნაციონალისტური მიზანდასახულობანი ყველაზე მკაფიოდ გამოემჟღავნა შავრაზმული „რუსი ხალხის კავშირის“ პროგრამაში. იქ ნათქვამი იყო:

„რუს ერს, რუსეთის მიწაწყლის შემკრებს, რომელმაც შექმნა დიდი და მძლავრი სახელმწიფო, უპირატესი მნიშვნელობა ეკუთვნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში... ყველა დაწესებულებანი რუსეთის სახელმწიფოისა ერთიანდებიან მტკიცე მისწრაფე-

ბაში — განუხრელად დაიცვან სიდიადე რუსეთისა და უპირატესი უფლებანი რუსი ერისა, მაგრამ კანონიერების მკაცრ საფუძვლებზე, რათა ჩვენს სამშობლოში მცხოვრებ მრავალ „ინოვაციებს“ საპატიოდ და საბედნიეროდ მიაჩნდეთ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა და არ უმძიმდეთ თავისი დამოკიდებული მდგომარეობა...“¹

შეგარანებულა ნაციონალურ პოლიტიკას სავსებით იწონებდნენ ოქტიაბრისტთა და „ნაციონალისტთა“ პარტიები. „ნაციონალისტთა“ პარტიის პროგრამის პირველ პუნქტად აღნიშნული იყო

„რუსეთის სახელმწიფოებრივობის განმტკიცება თვითმპყრობელი ხელი-სუფლების საფუძვლებზე“².

უფრო ზომიერი ბურჟუაზიული პარტიები, როგორც იყვნენ კადეტები, რომელნიც „სახალხო თავისუფლების“ პარტიას უწოდებდნენ თავს, და სხვები, რომლებიც ასახავდნენ კაპიტალისტურ მემამულეთა და სამრეწველო კაპიტალის, განსაკუთრებით მსუბუქი ინდუსტრიის ინტერესებს, ე. ი. იმ ჯგუფებისას, რომლებსაც სხვებზე მეტად ესაჭიროებოდათ საშინაო ბაზარი, მისწრაფობდნენ მიედწიათ თავიანთი ნაციონალისტური მიზნებისათვის ჩაგრულ ეროვნებათა ბურჟუაზიული ელემენტებისადმი ზოგიერთი გარეგნული დათმობის გზით. მაგრამ. რა თქმა უნდა, ამ პარტიებსაც დაუშვებლად მიაჩნდათ რაიმე მერყეობა რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობისა და სხვისი მიწაწყლის შემდგომი დაპყრობის საკითხში. „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ლოზუნგი საერთო იყო მთელი ბურჟუაზიული ბანაკისათვის.

ლენინი, ლაპარაკობდა რა კადეტთა პოზიციაზე ნაციონალურ საკითხში, სვამდა კითხვას, რით განსხვავდებიან ისინი „ნოვოე ვრემიას“ და კომპ. ნაციონალიზმისა და შოვინიზმისაგან, და უპასუხებდა:

„მხოლოდ თეთრი ხელთათმანებითა და უფრო დიპლომატიურად ფრთხილი გამოთქმებით. მაგრამ შოვინიზმი თეთრ ხელთათმანებშიაც და უაღრესად დახვეწილ გამოთქმებშიაც საზიზლარია“³.

ეგრეთწოდებული სოციალისტური პარტიები, რომელნიც სიტყვიერად აღიარებდნენ ჩაგრულ ეროვნებათა თვითგაპორკევეის უფლებას, საქმით ასევე იცავდნენ რუსეთის სახელმწიფოს ხელშეუხებელ მთლიანობას. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელიც სიტყვიერად მხარს უჭერდა სახელმწიფოს აგებას ფედერატიულ საფუძვლებზე, ამავე დროს სახელმწიფოდ გამოყოფის არავითარ უფლებას არ აძლევდა ერებს და ნაციონალური საკითხის გადაჭრას კულტურისა და ენის სფეროთი განსაზღვრავდა.

რუსეთის ფარგლებში არსებული ნაციონალისტური პარტიები — „პოლონეთის პარტია სოციალისტებისა“ პოლონელთა შორის, „დამნაკუტუნის“ სომეხთა შორის, „ბუნდი“ ებრაელთა შორის და სხვ. — იძლეოდნენ ნაციონალური საკითხის საერთოდ ბურჟუაზიულ გაშუქებას და მხარს უჭერდნენ მუშათა კლასის ორგანიზაციის დაყოფას ეროვნებათა მიხედვით. მათ ეს საკითხი დაჰყავდათ თავისი ეროვნების ვიწრო პრობლემებამდე, ვამოხატავდნენ რა წერილ-

ბურჟუაზიული ფენის შეხედულებებს და ამახინჯებდნენ რა ინტერნაციონალურ პროლეტარულ ხაზს. ნაციონალური საკითხის ერთერთი ასეთი „გადაქრა“ იყო „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ პროექტი. ეს პროექტი ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენეს, მას მხარი დაუჭირა ებრაელთა „ბუნდმა“, ხოლო მენშევიკთა, მათ შორის კავკასიელ მენშევიკთა, შორის მას თანაგრძნობით შეხვდნენ; იგი იმით განისაზღვრებოდა, რომ ბოლშევიკურ ლოზუნგს ერის თვითგამორკვევის შესახებ თვით გამოყოფამდე — სცვლიდა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ლოზუნგით, რომელიც ჰგულისხმობდა განსაკუთრებული საერთოსახელმწიფოებრივი ნაციონალური კავშირების მოწყობას თავისი ეროვნების სასკოლო, კულტურული და სხვა საქმეების სახელმძღვანელოდ.

სტალინი აღნიშნავდა, რომ „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიით“

„ერთიანი კლასობრივი მოძრაობა ცალკეულ ნაციონალურ ნაკადულეზად იყოფა... ავრცილებს რა სხვადასხვა ეროვნების მუშათა ურთიერთისადმი უნდობლობისა და განკერძოების მაენე იდეებს“¹.

ამავე დროს „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია“ წარმოადგენდა კლასთა შორის გაერთიანების ლოზუნგის ქადაგებას. ასე დეზერტირობდნენ მენშევიკები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერნაციონალური პოზიციებიდან ნაციონალურ საკითხშიაც.

ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, იმუშაებდნენ რა თავის ნაციონალურ პოლიტიკას, ითვალისწინებდნენ ნაციონალური საკითხის უდიდეს მნიშვნელობას პროლეტარული რევოლუციისათვის, განსაკუთრებით რუსეთის პირობებში, სადაც არარუსი ეროვნებანი მოსახლეობის უმრავლესობას (56.7 პროცენტს) წარმოადგენდნენ, ველიკორუსები კი — უმცირესობას (43,3 პროცენტს). ბოლშევიკთა პარტია მთელ ძალ-ღონეს ხმარობდა, რომ არ დაეშვა გათიშვა რუს პროლეტარიატსა და სხვა ეროვნებათა მუშებს შორის.

ლენინმა და სტალინმა მოგვცეს ამომწურავი კრიტიკა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების პროგრამებისა ნაციონალურ საკითხში. ბოლშევიკურმა პარტიულმა კონფერენციამ 1913 წლის სექტემბერში — ეგრეთწოდებულმა „ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს, ანუ ზაფხულის თათბირმა“ — დაადასტურა პარტიის ძირითადი დასახულობა ნაციონალურ საკითხში — მშრომელთა ინტერნაციონალური დაახლოვების შესახებ, — და აღნიშნა, რომ

„მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვენ მოცემული სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეერთებას ერთიან პროლეტარულ — პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერატიულ-საგანმანათლებლო და სხვ. ორგანიზაციებში.

რაც შეეხება მეფის მონარქიის მიერ ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას, სოციალ-დემოკრატიული პარტია აუცილებლად უნდა იცავდეს ამ უფლებას... ამას მოითხოვს... თავისუფლების საქმე თვით ველიკორუსი მოსახლეობისა, რომელსაც არ შეუძლია შექმნას დემოკრატიული სახელმწიფო,

თუ აღმოვხვებით არ იქნა შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმი, რომელსაც იცავენ ნაციონალურ მოძრაობათა სისხლისმღვრელი ჩანშობის ტრადიციით და სისტემატურად ზრდიან არა მარტო მეფის მონარქია და ყველა რეაქციული პარტიები, არამედ მონარქიის წინაშე მონურად ქედ-მობრლი ველიკორუსული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, განსაკუთრებით კონტრევოლუციის ეპოქაში“¹.

ასეთი იყო ლენინურ-სტალინური დასახულობანა ნაციონალურ საკითხში. იმპერიალისტურ ომამდე ბურჟუაზიულ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არ წამოუყენებია რუსეთისაგან თავისი ერების გამოყოფის პირდაპირი ამოცანა.

ომმა რუსეთის არმიის აშკარად დასახული დამარცხებით წარმოშვა ძლიერი სეპარატისტული მისწრაფებანი ბურჟუაზიული ნაციონალისტური ჯგუფების წრეში. ცენტრიდანულმა ძალებმა თანდათან უპირატესობა მოიპოვეს. ერთი მხრით, ნაციონალური მოთმინების ფიალა აივსო, ხოლო მეორე მხრით — საგრძნობი განხა, რომ „ხალხთა საპყრობილეზე“ დაკიდებულმა საკეტებმა სიმაგრე დაჰკარგეს და რომ საკმარისი მიწოლით შეიძლებოდა მათგან სამუდამოდ თავის დაღწევა.

ნაციონალურ განაპირა მხარეებში დაიწყო რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული მღელვარება. შუა აზიაში 1916 წელს ეს მღელვარება გადაიქცა დიდ აჯანყებად, რომელიც მოედო არა მარტო კაზახებს, რომელთაც რევოლუციამდე ყირგიზებს უწოდებდნენ, არამედ სტებების მხარეში (კაზახსტანში) და თურქესტანში მოსახლე თითქმის ყველა ხალხს.

გაძლიერდა ბურჟუაზიულ სეპარატისტთა საქმიანობა პოლონელთა, ფინთა და უკრაინელთა შორის, რომლებმაც ნაციონალისტური სამოქმედო პროგრამა შეიმუშავეს. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოცოცხლდა ლიტველთა, ამიერ-კავკასიის ეროვნებათა შორისაც და სხვ. უკიდურესად გამწვავდა საერთო ნაციონალური მოთხოვნებიც, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერიალისტური ომი ბურჟუაზიამ გამოაცხადა ვითომდა სუსტი ერების დასაცავ ომად.

რუსეთისაგან გამოყოფის მისწრაფებებმა გამოხატულება ჰპოვეს ნაციონალისტ-სეპარატისტთა საზღვარგარეთული ყრილობებზე. მოწყობაში. შეიქმნა „რუსეთის ხალხთა ლიგა“, რომელმაც 1916 წლის მაისში კოლექტიური საჩივრით მიმართა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონს და ახასიათებდა ეროვნებათა მძიმე მდგომარეობას რუსეთში.

რუსეთის ერებს შორის წარმოშობილ სეპარატისტულ მისწრაფებებს სეროოზულად უწევდნენ ანგარიშს მეომარი მხარეები. თვითიული მათგანი ცდილობდა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა ეს მოძრაობა. აი რას სწერდა ომის დროს საფრანგეთის ცნობილი მოღვაწე პიერ შანტრელი პრემიერ კლემანსოს:

„ბერლინი ყოველნაირად უწყობს ხელს სეპარატისტულ მოძრაობებს იმისათვის, რომ აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური და ეკონომიური კლო

ენტები შექმნას თავისთვის. ანტანტას სრული საფუძველი აქვს გერმანიის პარალელურად იმოქმედოს, რომ ამ მუშაობის ნაყოფი წაართვას მას. ერთიანი და განუყოფელი რუსეთი გათავდა. საფრანგეთი უნდა ჩაერიოს, რათა გარდაჰქმნას იგი ფედერაციად ხელშეკრულების დამდებ ნაწილთა ნებნაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე. ანტანტის სახელმწიფოებრივმა ადამიანებმა უნდა შეიგნონ, რომ გერმანიას სამი ან ოთხი დედა-ქალაქის დაძლევა უფრო გაუჭირდება, ვიდრე ერთი პეტერბურგისა“¹.

ჩაგრული ეროვნებანი სერიოზულ რეზერვს წარმოადგენენ მოქმედი არმიების ცოცხალი ძალით შესასებად. ისინი იყვნენ ომის ის დაბეჩავებული მონები, რომლებსაც თვით ბურჟუაზია ცინიკური გულახდილობით „საზარბაზნე ხორცს“ უწოდებდა.

იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის ფარისევლურად გამოცხადება „საღმრთო ომად სუსტი ერების განთავისუფლებისათვის“ მეომარ მხარეთა ბურჟუაზიას სჭირდებოდა, რათა მოეპოვებინა ჩაგრულ ერთა და კოლონიების მოსახლეობის მხარდაჭერა და დაეცა მათში მოწინააღმდეგე მხარის ავტორიტეტი. გერმანია, მაგალითად, ცდილობდა აჯანყებები გამოეწვია ირლანდიაში და ანტანტის ქვეყნების კოლონიებში. ანტანტა თავის მხრივ ჩეხებს, პოლონელებს და სხვ. ამხედრებდა გერმანიის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა საერთო გამწვავების ფონზე ძალიან მაღლა სწევდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღებს. ეს მოძრაობა ხდებოდა ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ, ხოლო ადგილ-ადგილ რევოლუციურ ფაქტორადაც.

მონარქიული რეჟიმის ერთერთი ძირითადი იდეოლოგიური საყრდენი — „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“ — ამ დროისთვის უკვე ძლიერ შერყეული იყო ომთან დაკავშირებულ მოვლენათა მთელი მსვლელობით, რომლებმაც მოამზადეს და გააადვილეს რევოლუციის წარმატება.

5.

ორი შემთავლება.

არმიის რღვევა ძირმომპალი პოლიცურის წყობილების საერთო დაშლის მხოლოდ ყველაზე მკაფიო მაჩვენებელი იყო. სამეფო კარი, რომელიც რომანოვთა მთელი ისტორიის მანძილზე ინტრიგათა, მოსყიდვათა, ფარულ მკვლევლობათა ასპარეზი იყო, აშკარად გახდა ვიგინდარათა და ბნელ კომბინატორთა თავშესაფარად. სსსახლის კარზე უდიდეს როლს თამაშობდა გრიგოლ რასპუტინი, რომელმაც თავისი ნამდვილი გვარი ნოვიხად შეიცვალა. ტიუმენის მაზრის სოფელ პოკროვსკოეს გლეხი; იგი ახალგაზრდობაში მონასტრებში დაწაწალებ-

და, ტრიალებდა ფარისეველთა, მწირთა, სალოსთა შორის. მალე თვითონაც დაიწყო „წინასწარმეტყველება“ და თავის გარშემო თავს უყრიდა ქადაგად დავარდნილებს. სოფელში მას „გრიშა-წინასწარმხილველი“ დაარქვეს. ხმებმა ახალი „წმინდანის“ შესახებ მიაღწია პეტროგრადამდე, სადაც დიდკაცობის მთელ რიგ სალონებში ფართოდ იყო გავრცელებული რელიგიური ობსკურანტიზმი. რასპუტინი სატახტო ქალაქში გაიწვიეს. არცთუ უჭკუო, გაქნილი, მუჟიკი სწრაფად შეეგუა უმაღლესი წრეების ფარისეველურ პირობებს.

ბრწყინვალე ოჯახებში რასპუტინის მიპატივებაზე ცილობა იყო გამართული. ისტერიულ დედაბრებზე და გულნაჯერ, მოწყენილ ქალბატონებზე გროლი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ს. პ. ბელუცკიმ, რომელიც თავისი თანამდებობის მიხედვით თვალყურს ადევნებდა „წმინდა მოხუცს“ და ამასთან ერთად თავისი კარიერის ინტერესებისათვის იყენებდა მის გავლენას, რეკლამაციის შემდეგ აღიარა, რომ რასპუტინი ჰიპნოზის გაკვეთილებს იღებდა. დიდკაცობის წრეებში ერთმანეთს უამბობდნენ რასპუტინის „წმინდანობას“ მაგალითებს, ჰყვებოდნენ, რომ მას ავადმყოფთა განკურნების საკვირველი ნიჭი ჰქონდა. რასპუტინი სასახლის კარზე მიიწვიეს. ტახტის მემკვიდრე შეპყრობილი იყო გემოფილით — სისხლის მუღმივი დენით — ავადმყოფობით, რომლის წინააღმდეგ მედიცინა ჯერჯერობით უძლურია. ცრუმორწმუნე დედოფალი მიმართავდა მწირთა, ჰიპნოტიზიორთა დახმარებას, დაჰყავდა შვილი წმინდანთა ნეშტის სამთხვევად. ისტერიანი ქალის ამ ავადმყოფურ მიდრეკილებას ოსტატურად იყენებდა რასპუტინი, რომელმაც შთააგონა დედოფალს, რომ მის ულოცავად მემკვიდრე მოკვდებოდა. რასპუტინმა უდიდესი გავლენა მოიპოვა სასახლის კარზე. დედოფალი მის შესახებ ქმარს ასე სწერდა:

„ძვირფასო, მერწმუნე, შენ უნდა უსმენდე ჩვენი მეგობრის რჩევას. იგი ესოდენ მხურვალედ დღედაღამ, ლოცულობს შენთვის. იგი გიცავდა იქ, სადაც შენ იყავი... მხოლოდ უნდა უსმენდე, ენდობოდე და რჩევაჰ ჰკითხავდე — არ უნდა ფიქრობდე, რომ მან რაიმე არ იცის. ღმერთი ყველაფერს უცხადებს მას“².

რასპუტინი თავისი კაცი გახდა სამეფო კარზე, მისი ბინა სასესე იყო სხვადასხვა აფერისტებითა და ბნელი კომპინატორებით. რასპუტინი მინისტრებს უგზავნიდა თხოვნებს კონცესიის ან თანამდებობის მიცემის შესახებ უვიცი ბართებით: „მილაი, სდელია...“ არც ერთი ახალი დანიშვნა არ ჩაივლიდა ისე, რომ ამაში მონაწილეობა არ მიეღო „მეფის მელამპრესს“. როგორც ამ „წმინდანს“ უწოდეს. როდესაც საჭირო იყო შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშვნა. დედოფალი სწერდა ნიკოლოზს:

„ჩემო საყვარელო, ა. (ვირუბოვა — დედოფლის დაახლოვებული და რასპუტინის ერთერთი ყველაზე თავგამოდებული მიმდევარა. რ ე დ.) ეს-ეს არის ნაზა ან დრონიკოვი და ხვოსტოვი — ამ უკანასკნელმა საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. (მე კი მას არ ვიცნობ და ამიტომ არ

ვიცი, რა ვთქვა.) იგი ძალიან ერთგულია შენი, ა-ს დინჯად და კარგად ესაუბრა ჩვენს მეგობარზე“¹.

„მეგობრის“ შესახებ კარგი აზრის გამოთქმა საკმარისი იყო, რომ ა. ნ. ხვოსტოვი შინაგან საქმეთა მინისტრად წამოსკუტებულიყო.

რასპუტინშინა ბინძური სენივით გამჯდარი ჰქონდა მეფის რეჟიმს, მაგრამ რასპუტინი სასახლის კარზე სრულებითაც არ იყო მარტო. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა წამოსწიეს მისი ფიგურა, რათა დაეფარათ, რომ მთელი სასახლის ხროვა საზიზღარ, სიცოცხლითვე გახრწნილ ბანდას წარმოადგენდა. სასახლის კარზე წარმატებით „მოღვაწეობდნენ“ ისეთი ტიპები, როგორიც იყო თავადი მ. მ. ანდრონიკოვა, სპეკულანტი, ყოველნაირ გაბერილ წამოწყებათა და დიდ მომგებიან ოპერაციათა ორგანიზატორა — ასეთი იყო. მაგალითად, სამხედრო მინისტრ სუხოლინოვის ხელის შეწყობით შუა-აზიაში სარწყავი მიწების ყიდვა. რასპუტინის ერთერთი მდივანი მანასევიჩ-მანუილოვი, პოლიციის საიდუმლო აგენტი. რეაქციულ გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომელი, იმდენად უსირცხვილოდ სჩადიოდა აფიორებსა და მექრთამეობას, რომ პოლიციაც კი იძულებული გახდა დაეპატიმრებინა იგი. მაგრამ საქმეში დედოფალი ჩაერია. 1916 წლის 10 დეკემბერს იგი ნიკოლოზს სწერდა:

„მ ა ნ უ ი ლ ო ვ ი ს საქმეს გთხოვ დააწერო „საქმე შესწყდეს“ და გადაუგზავნო იგი იუსტიციის მინისტრს. ბ ა ტ ი უ შ ი ნ ი, რომლის ხელშეიძინა იყო მთელი ეს საქმე, ახლა თვითონ გამოცხადდა ა-სთან (ვირუბოვასთან. რ ე დ.) და სთხოვა მას ამ საქმის შეწყვეტა, ვინაიდან იგი, ბოლოსდაბოლოს, დარწმუნდა, რომ ეს ბინძური ისტორიაა. იმ მიზნით დაწყებული, რომ ჩვენს მეგობარს აენონ“².


არა რასპუტინი, არამედ რასპუტინშინა — ობსკურანტიზმი, ფანატოზი, გონებრივი უბადრუკობა და მორალური გახრწნა, რამაც რასპუტინში მხოლოდ ყველაზე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა, — აი რა ახასიათებდა რომანოვთა რეჟიმს.

მზარდ კატასტროფას ცარიზმმა დაუპირდაპირა მხოლოდ ახალი რეპრესიები და ისედაც კატორღული წესების გაძლიერება. გარეკეს პროფესიული კავშირების უკანასკნელი ნაშთები. სამრეწველო ქალაქებს უღმობელად სწმენდნენ რევოლუციურობის მხრივ „საეკვო ელემენტებასაგან“. საპრობილეები გაქედილი იყო. მაგრამ მინისტრები თავს ვერ ართმევდნენ ნგრევას. დაიწყეს მათი გადაყენება. დაიწყო მინისტრთა ოთურმა. ომის ორი წლის მანძილზე შეიცვალა მინისტრთა საბჭოს ოთხი თავმჯდომარე — ი. ლ. გორემიკინი, ბ. ვ. შტიურმერი, ა. ფ. ტრეპოვი, ნ. დ. გოლიცინი. — ექვსი შინაგან საქმეთა მინისტრი. სამი — სამხედრო, სამი — საგარეო საქმეთა. ისინი გამოჩნდებოდნენ, ცოტა ხანს ლანდივით დადიოდნენ დედამიწაზე და ჰქვებოდნენ. ამას ეწოდებოდა „მინისტრთა ოთურმა“. მინისტრთა საბჭოს ირონიულად „კუვირკ-კოლეგის“ („კირამალა-კოლეგის“) უწოდებდნენ. პორტფელების განაწილება დამოკიდებული იყო ბნელ ვიგინდარათა რეკომენდაციებზე, იმაზე. თუ რა აზრს გამო-

სთქვამდა „ვარსკვლავთ პალატა“, როგორც რასპუტინის წრეს უწოდებდნენ. ხშირად სხვა მოტივებიც თამაშობდა როლს. დედოფალი ნიკოლოზს რომ სთხოვდა დაენიშნა შტიურმერი მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ, სწერდა მას, ახალ კანდიდატს თავი „ს ა ე ს ე ბ ი თ ს ა ლ ი ა ქ ე ს ო“¹. ნ. ა. მაკლაკოვი, როგორც მან თვითონ აღიარა, შემდეგი საბაბით დანიშნეს შინაგან საქმეთა მინისტრად: როდესაც ნიკოლოზი სტოლიპინის მკვლელობის შემდეგ კიევიდან ჩერნიგოვში ჩავიდა, სადაც მაკლაკოვი გუბერნატორად იყო, იქ „საუცხოო ამინდი იღდა და კარგი, მხნე შინაგან საქმეობილება იყო“². გუბერნატორმა ყურადღება მიიქცია. მაკლაკოვი ძალიან საჭირო კაცი იყო სასახლის წრეებში: მამალივით ყვირილი იცოდა, „შე-



რასპუტინი მეფის მსახურთა შორის. მარცხნივ — თავადი პუტიატინი, მარჯვნივ — პოლკოვნიკი ლომანი, ცარსკოსელსკის სასახლის კომენდანტი.



რასპუტინის ბარათი შინაგან საქმეთა მინისტრ ზვოსტოვს.

ყვარებულ ავახას“ და სხვა ცხოველებს ბაძავდა. ეს მასხრული თვისებები საქმარისი გახდა, რომ მას მინისტროის პორტფელი მიეღო.

საქვს არაფერი შეელოდა: არც მინისტრთა ხშირი სალტო-მორტალე (გადაყენება) და არც „მეგობრის“ „დღედაღამ“ ლოცვები. ქვეყანა და არმია სულ უფრო-დაუფრო რევოლუციონერადებოდნენ. ძველი წინააღმდეგობანი ახალი ძალით ღვივდებოდნენ და დღითიდღე ჰქმნიდნენ და აგროვებდნენ რევოლუციური სიტუაციის ელემენტებს.

საერთო ნგრევამ განსაკუთრებული ძალით ჰპოვა გამოხატულება 1916 წლის შემოდგომის სასურსათო კრიზისში. მკვეთრად დაეცა პურის მიზიდვა. პეტროგრადი ყოველდღე მისთვის საჭირო ევაგონების მხოლოდ მესამედს ღებულობდა. სასურსათო

მალაჩიბთან ვეებერთელი რიგები გაიზარდა. გათენებამდე ბევრად უფრო ადრე იყრიდნენ თავს, მთელ ლამეებს რიგებში ატარებდნენ, დილით კი შშიერა



„უფილნი“ — ნიკოლოზ II და მისი მინისტრები.

კარიაკატურა მოორისა.

ულუფა მომლოდინეთა მხოლოდ ნაწილს ხედებოდა. დაუსრულებელი კუდები მიტინგების როლს თამაშობდნენ და რევოლუციური პროკლამაციების მაგიერობას ეწოდნენ. აქვე ვადასცემდნენ ერთმანეთს ახალ ამბებს. ხშირად გამოდიოდნენ აგიტატორები და განუმარტავდნენ ხალხს, თუ ვინ შექმნა სიძნელენი სურსათის საქმეში. ფართო მასების განწყობილება სწრაფად იწვევდა მალსა. პერმის ჟანდარმერიის უფროსი 1916 წლის 18 ოქტომბერს იტყობინებოდა:

„შეშფოთებული განწყობილებაა; საკმარისია მხოლოდ ბიძგი, რომ სიძვირით აღშფოთებული მოსახლეობა აშკარა მღელვარებაზე გადავიდეს“¹.

მოსკოვის ოხრანკის უფროსი 20 ოქტომბერს იტყობინებოდა:

„კრიზისის დღეებში მასების დაძაბვა მოსკოვში იმ ზომამდე მიდის, რომ უნდა მოველოდეთ, რომ ეს დაძაბვა შეიძლება მთელ რიგ შიმშილ-ცესებად იქცეს“².

მთავრობამ ვითომც სცადა დაშოშმინება შეეტანა ხალხში. მიწათმოქმედების მინისტრი ვრაფი ა. ა. ბობრინსკი გამოვიდა ახსნა-განმარტებებით, მაგრამ მეგაზეთებთან მისმა საუბრებმა მხოლოდ საბაბი მისცა ახალ მღელვარებას. მასებმა შეიტყეს, რომ სასურსათო პოლიტიკას აწარმოებდა დიდი შემამულე, შაქრის ცნობილი მექარხნე. მილიონერი, ხალხისთვის უცხო და მტრულად განწყობილი.

ბოლშევიკთა პარტიან, მიუხედავად მთელი რიგი დაპატიმრებებისა, რამაც ცნობილი ხელმძღვანელები მოსწყვიტა მის რიგებს, — სულ ცოტა ხნის წინათ, 1916 წლის 20 — 21 ივლისის ღამით, დაპატიმრებულ იქნა 30 კაცი, მათ შორის პეტერბურგის კომიტეტის წევრები, — შემოდგომისათვის აღადგინა თავისი ორ-



რიგი პურის ღუქანთან.

ნახ. ვახრამევისა.

განიზაციები და ფართოდ გააჩაღა მუშაობა. ქარხნებში ბოლშევიკური წრე-
ები გამოცოცხლდნენ. ცალკეული წრეები რაიონულ ორგანიზაციებად შე-
ერთდნენ. გაძლიერდა რევოლუციური ლიტერატურის გავრცელება. შუა ოქ-
ტომბერს სატახტო ქალაქში გამოვიდა ფურცელი „პეტერბურგის პროლეტა-
რიატისადმი“; ბოლშევიკთა პეტერბურგის კომიტეტი აღნიშნავდა:

„ცხოვრება დღითიდღე ძნელი ხდება... ომს მილიონობით დახოცილთა
გარდა... მოაქვს სხვა უბედურობანიც: სასურსათო კრიზისი და მასთან და-
კავშირებული სიძვირე. „მეფე-შიშვილის“ საშინელი აჩრდილი... კვლავ
მრისხანედ უახლოვდება ევროპას... კმარა მოთმენა და ღუმელი! სიძვირე
რომ მოსპოთ და მოახლოებულ შიმშილს გადაურჩეთ, უნდა იბრძოლოთ
ომის წინააღმდეგ, ძალადობისა და მტაცებლობის მთელი სისტემის წინა-
აღმდეგ“¹.

პარტიის მოწოდება მხურვალე ნიადაგზე დაეცა. 17 ოქტომბერს გაიფიცა
ქარხანა „რენო“ ვიბორგის მხარეზე. მუშები სხვა საწარმოებისაყენ დაიძრნენ.
მალე სამსსონიევის პროსპექტი დემონსტრანტთა მასით გაიქედა. მე-181 პოლ-
კის ყაზარმებთან პოლიციას უნდოდა აგიტატორი დაეპატიმრებინა, მაგრამ მა-
სამ დაიცვა იგი. ჯარისკაცები ყაზარმებიდან გამოიცილდნენ და გოროდოვოვს
ქვები დაუშინეს. გამოიწვიეს პოლკის მეთაური. აღელვებულმა მუშებმა და
ჯარისკაცებმა ავტომობილი დაამსხვრიეს და პოლკოვნიკი დასქრეს. გვიან ლა-
მით ოფიცრებმა პოლკის სასწავლო კომანდა გამოიწვიეს. იგი ყაზარმებსა და
დემონსტრანტებს შუა ჩადგა. მაგრამ მიუხედავად სამჯერ მიცემული ბრძანე-

ბისა ხალხს სროლა არ აუტეხა. ცხენებით მოცვივდნენ ყაზახები. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, შეიარაღებული ჯარისკაცებისა შეეშინდათ. მუშები წაივინდნენ სხვა ქარხნებში, რომ იქაც მოეხსნათ მუშები სამუშაოდან. მეორე დღეს ვიბორგის მხარის საწარმოთა უმრავლესობა გაათფიცა. ქარხნები სამ-ოთხ დღეს არ მუშაობდნენ.

ბალტიის ფლოტში ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნისათვის დაპატიმრებულ მატროსთა გასამართლება 25—26 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო. ბოლშევიკებმა მოუწოდეს პეტროგრაძის პროლეტარებს პროტესტი განეცხადებინათ მეფის სასამართლოს წინააღმდეგ. 25 ოქტომბერს სატახტო ქალაქის ქუჩებში რამდენიმე ათეული ათასი მუშა გამოვიდა სიმღერებითა და პლაკატებით: „თირს ომი! ძირს სიკვდილით დასჯა!“ პოლიციამ ვერ მოახერხა დემონსტრაციის წათელვა. მთელ დღეს ქალაქის სხვადასხვა რაიონებში გამოსვლები ხდებოდა. სულ ოქტომბერში მთელ საბელმწიფოში გაფიცული იყო დაახლოებით 187 ათასი — ოთხჯერ მეტი, ვიდრე წინა თვეში (სექტემბერში 47 ათასი), და ბევრჯერ მეტი, ვიდრე ომის რომელიმე პერიოდში. მაგრამ საქმე მართო საგაფიცკო ტალღის ზრდაში როდი იყო: ოქტომბრის გაფიცვები მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ და სწორედ იმ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდნენ, რომელიც პოლიციას საფეხებით ლიკვიდირებული ეგონა. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი იკვეზნიდა ამ ლიკვიდაციას შინაგან საქმეთა მინისტრისათვის წარდგენილ ნაგვიანვე მოხსენებაში. 30 ოქტომბერს, როდესაც მინისტრი კითხულობდა მოხსენებას ბოლშევიკური პარტიის განადგურების შესახებ. მის ხელში იყო აგრეთვე ცნობები ისეთი მასშტაბის ახალ გაფიცვასა და დემონსტრაციაზე, როგორც 1914 წლიდან აღარ გაეგონათ. განსაკუთრებით ის აშფოთებდა გაბატონებულ კლასებს, რომ მუშებმა მოძრაობაში ჯარისკაცების ჩათრევაც დაიწყეს.

ბურჟუაზიამ, გრძნობდა რა მომავალ ქარიშხალს. თვითმპყრობელობას დაუკაკუნა კარზე. ახლა ბურჟუაზიას თვითმპყრობელობა ესაქიროებოდა არა მართო იმისათვის, რომ განეგრძო ომი გამარჯვებამდე, არამედ რევოლუციასთან საბრძოლველად. კადეტები შეშფოთებით აღნიშნავდნენ რევოლუციის სწრაფ ზრდას. კადეტთა პარტიის მოსკოვის კომიტეტის 23 სექტემბრის სხდომაზე, კადეტთა თვალსაჩინო ხელმძღვანელი კიშკინი ამტკიცებდა. უნიჭო მთავრობამ ქუყანა რევოლუციამდე მიიყვანაო. კიშკინს იმედი ჰქონდა, რომ ეს ვარემოება კადეტებისაკენ მოაბრუნებდა მთავრობას. აიძულებდა თვითმპყრობელობას დათმობებზე წასულიყო. 1916 წლის 23—24 ოქტომბერს მოსკოვში შესდგა კადეტთა პარტიის კონფერენცია. ოხრანკის აღიარებითაც კი. რაოლი! აგენტები ესწრებოდნენ კონფერენციას. მან „რევოლუციის წინაშე უზომო შიში“ გამოიჩინა. მილიუკოვი იძლიოდა გაფრთხილებას „რევოლუციური ინსტინქტების“ წაქეზების წინააღმდეგ:

„ჩვენნი ამოცანა იქნება არა ბოლო მოეულოთ მთავრობას, რაც ანარქიისათვის მხარდაჭერის მომასწავებელი იქნებოდა, არამედ მივცეთ მას სრულიად ახალი შინაარსი, ე. ი. მკვერად დავაფუძნოთ უფლებრივი კონსტიტუციური წყობილება. ა ი რ ა ტ ო მ ა რ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი — მ თ ა ე -

რობასთან ბრძოლაში, მიუხედავად ყოველივესი, ზო-
მიერების გრძნობას ვიცავდეთ“¹.

ასე ლაპარაკობდნენ კადეტები, და იმავე პოზიციას დაადგა სახელმწიფო
სათათბიროს მთელი პროგრესიული ბლოკი. ცოტა ხნის წინანდელი ოპოზი-
ციონერები ლაპარაკობდნენ უკვე არა მთავრობასთან ბრძოლაზე ომის გული-
სათვის, არამედ მთავრობისათვის დახმარების გაწევაზე რევოლუციასთან ბრძო-
ლაში. მაგრამ მონარქია თავს ველარც ერთს ართმევდა და ველარც მეორეს.
ფრონტზე მძიმე დამარცხებებმა ცხადპყვეს, რომ ცარიზმს არ შესწევდა უნარი
ეწარმოებინა ძლევამოსილი ომი. განუწყვეტლივ მზარდი ნგრევა მოწმობდა მის
უძლურებას — გამოეყვანა ქვეყანა ჩიხიდან. გამოიძრკვა თუ არა პეტროგრადის
25—26 ოქტომბრის გაფიცვის მასშტაბი და ხასიათი, ბურჟუაზია სხვა, უფრო
შტიციე ენით ალაპარაკდა. მემარჯვენე დეპუტატი შულგინი 3 ნოემბერს სა-
ხელმწიფო სათათბიროში გამოვიდა სიტყვით:

„ჩვენ მოვითმენდით, ასე ვთქვათ, უკანასკნელ ზღვრამდე. და თუ ამ-
ჟამად გამოვდივართ სრულიად პირდაპირ და აშკარად ამ ხელისუფლების
შკვეთრი დაგმობით, თუ მის წინააღმდეგ ბრძოლის დროშას აღვმართავთ,
ეს არის მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც ზღვრამდე მივედით, იმიტომ
რომ ისეთი რამეები მოხდა, რომლების ატანა შეუძლებელია“².

იმავე სხდომაზე გამოვიდა კადეტი მაკლაკოვი, რომელმაც განაცხადა:

„ჩვენ, ბატონებო, ამ მთავრობასთან მუშაობა აღარ შეგვიძლია, ჩვენ
მას მხოლოდ ხელს შევეუშლით, ისევე როგორც იგი შეგვიშლის ხელს, მაგ-
რამ საერთო მუშაობა ყოველად შეუძლებელი გახდა, და დაე აირჩიონ: ჩვენ
თუ ეს მთავრობა“³.

ცოტა უფრო ადრე — 1 ნოემბერს — სათათბიროში გამოვიდა მილიუკოვი.
აუწყა რა სხდომას მთელი რიგი კონკრეტული ფაქტები მთავრობის უმარჯვო.
გამყიდველი პრაქტიკიდან, მილიუკოვი თვითეულ შემთხვევაში სევამდა კითხვას:
„რა არის ეს — სისულელე თუ ღალატით?“⁴. კადეტთა ლიდერი მკაცრად
აკრიტიკებდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შტიურმერს, ბრალს სდებდა რა
მას რუსეთის ინტერესების ღალატში. მილიუკოვი ლაპარაკობდა ტახტის გარ-
შემო მყოფ „ბნელ ძალებზე“⁵. იგი ძალიან ფრთხილი ფორმით ლაპარაკობდა
გამცემლობაზე მთლად ზედაფენაში, გადაკერით მიუთითებდა რა დედოფალ-
ზე, რომელსაც ხალხის ხმა ბრალს სდებდა გერმანელებისადმი თანაგრძნობა-
ში. მილიუკოვის სიტყვის ცენტრალური პუნქტი იყო: მთავრობას არ ძალუძს
აწარმოოს ომი საბოლოო გამარჯვებამდე. მთელი პროგრესიული ბლოკის სა-
ხელით გამოვიდა ს. შიდლოვსკი ოფიციალური განცხადებით:

„ამჟამად ჩვენ კვლავ ვიძალღებთ ხმას უკვე არა იმისათვის, რომ გა-
გაფრთხილოთ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, არამედ იმისათვის, რომ
ვთქვათ: მთავრობას ახლანდელი თავისი შემადგენლობით არ ძალუძს თავი
გაართვას ამ საფრთხეს“... და უნდა „დაუთმოს ადგილი ისეთ პირებს, რომელ-
ნიც გაეროთიანებული არიან მიმდინარე მომენტის ამოცანათა ერთნაირი გა-

გებით და მზად არიან თავის მოღვაწეობაში დაეყრდნონ სახელმწიფო სა-
თათბიროს უმრავლესობას და ცხოვრებაში გაატარონ მისი პროგრამა“¹.

ბურჟუაზია „ნდობის სამინისტროს“ კი აღარ მოითხოვდა, არამედ პასუხის-
მგებელ სამინისტროს, ე. ი. სათათბიროს წინაშე მთლიანად პასუხისმგებელს.
ასეთი მთავრობა ოპოზიციის ლიდერების აზრით შესძლებდა ჩაეჭრო რევო-
ლუცია და განეგრძო ომი.

რარიგ მკვეთრადაც არ გამოდიოდა ბურჟუაზია თვითმპყრობელობის წინა-
აღმდეგ, იგი მაინც ყოველნაირად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბრძოლის სიმ-
წეავე რევოლუციის საფრთხით აიხსნებოდა. იგივე შუღლანი სათათბიროში
ამბობდა:

„ასეთი ბრძოლა არის ერთადერთი საშუალება თავიდან ავიცილოთ ის,
რისაც შესაძლოა ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს, — თავიდან ავიცი-
ლოთ ანარქია და უხელისუფლებობა“².

პროგრესიული ბლოკის გამოსვლამ უკიდურეს მემარჯვენეებს შორისაც
ჰპოვა მხარდაჭერა. პურიშვეიჩი მკაცრად აკრიტიკებდა მთავრობას და ქვეყ-
ნის მშართველ „ბნელ ძალებს“³. სახელმწიფო საბჭომაც კი, სადაც ტანტის
ყველაზე ერთგულ ადამიანთა შერჩევა ხდებოდა, — ჩინოსან რეაქციონერთა ამ
პალატამაც კი 22 ნოემბერს მიიღო რეზოლუცია სამინისტროს შეცვლის შე-
სახებ⁴. გაერთიანებული თავადაზნაურობის ყრილობაც კი ალაპარაკდა „ბნელ
ძალებზე“ და ახალი მთავრობის შექმნაზე. მართალია, თავადაზნაურთა რეზო-
ლუცია აღნიშნავდა, ახალი სამინისტრო მხოლოდ მონარქის წინაშე უნდა იყოს.
პასუხისმგებელიო⁵, მაგრამ ამ სახითაც ყრილობის გამოსვლა მოწმობდა გან-
ხეთქილებას მშართველ ზედაფენასა და მის კლასობრივ მეგობართა განსაზღვ-
რულ ნაწილს შორის. 1915 წლის შემოდგომაზე პროგრესიულ ბლოკს გააფთ-
რებული წინააღმდეგობით შეხვდნენ ისინი, ვინც 1916 წლის შემოდგომაზე მის.
შოთხოვნებს იმეორებდა, — იმდენად ირყეოდა ნიადაგი ქვეყნის გაბატონებულ
კლასთა ფეხთქვეშ.

თვითმპყრობელობა აღმოჩნდა შემდეგი არჩევანის წინაშე: ან განეგრძო.
ომი და საქმე ჰქონებოდა მუშათა და გლეხთა აჯანყებასთან, ანდა მშვიდო-
ბიანად მორიგებოდა გერმანელებს და ამით შეენელებინა რევოლუციური უკ-
მაყოფილება. ამ უქანასკნელ შემთხვევაში ცარიზმი წააწყდებოდა ბურჟუაზიის.
წინააღმდეგობას, ვინაიდან ბურჟუაზიას ომი ესაქიროებოდა, როგორც მოგების
დაუშრეტელი წყარო, როგორც გზა ახალი ბაზრების დაპყრობისათვის. მეფემ
და მისმა მახლობლებმა გადასწყვიტეს ბოლო მოეღოთ ომისათვის, ვინაიდან
ფიქრობდნენ, რომ ბურჟუაზიის ოპოზიციის დაძლევა მაინც უფრო ადვილი
იქნებოდა, ვიდრე მასების აჯანყებისა.

მაგრამ თავისი განზრახვის ამკარად გამოცხადება სახიფათო იყო: მეტის-
მეტად აღელვებული იყვნენ ბურჟუაზიული წრეები, ამასთან მოკავშირენიც
უკვე დიდხანია თანდათან გაძლიერებული უნდობლობით ადევნებდნენ თვალ-
ყურს თვითმპყრობელობის პოლიტიკას.

რუსეთის ბურჟუაზიას ომის დროს არაერთხელ უცდია მიემართნა ინგლის-
საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის საჩივრით „პატრიოტულ“ მუშაობაში შე-

ვაროველის გამო. უცხოეთის კაპიტალისტებს აინტერესებდათ არა მარტო მეფის არმია, ურომლისოდაც ფიქრიც ზედმეტი იყო გერმანიაზე გამარჯვების შესახებ. მთელ რიგ დარგებში — მეტალურგიულში, ქიმიურში — რუსეთის მრეწველობის მეტი ნაწილი უცხოეთის კაპიტალს ეკუთვნოდა. ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზია დაინტერესებული იყო შეუფერხებელი მომგებიანი „მუშაობით თავდაცვისათვის“. 1916 წლის მარტის დამლევს როძიანკომ მიიღო მიწვევა ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათაგან — გაეგზავნა სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია უცხოეთის თავდაცვითი მრეწველობის მუშაობის გასაცნობად. 1916 წლის გაზაფხულზე მთელი რიგი დებუტატები, მათ შორის მილიუკოვი, პროტოპოპოვი, საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. იქიდან, თავის მხრივ. 1916 წლის აპრილში ჩამოვიდნენ უცხოეთის მთავრობათა წარმომადგენელნი. ჩამოვიდნენ ალბერ ტომა, II ინტერნაციონალის თვალსაჩინო მოღვაწე. და ვივიანი — ორიენი „სოციალისტები“, საფრანგეთის სამინისტროს წევრები. ნიკოლოზი საგულდაგულოდ მოამზადეს დელეგატებთან შესახვედრად, დაარწმუნეს რა იგი, რომ თუმცა ისინი სოციალისტები არიან, მაგრამ მთელ თავის ძალღონეს იმპერიალისტური სამშობლოს თავდაცვის საქმესა სწირავენო. აი რა დახასიათება მისცა ერთ მათგანს საფრანგეთის პრეზიდენტმა პუანკარემ, რომელსაც „პუანკარე-ომს“ უწოდებდნენ მკვეთრად გამოხატული იმპერიალისტური პოლიტიკისათვის:

„ალბერ ტომა, სახელმწიფო მდივნისა და სამხედრო მომარაგების მინისტრის თანაშემწე, საოცარი უნარითა და დაუღალავე გულმოდგინებით ხელმძღვანელობდა საფრანგეთში საარტილერიო ზარბაზნებისა და ყუმბარების წარმოებას... მან ხელი შეუწყო საფრანგეთში იმ წარმოების განვითარებას, რომელიც, სამწუხაროდ, ფრიად უმნიშვნელო იყო და ასეთივე რჩება დღემდე ჩვენს მოკავშირე ქვეყნებში. მან შესძლო ამ მიზნისათვის სახელმწიფოსა და კერძო მრეწველობის ინიციატივის ერთ მთლიან ღონისძიებად გაერთიანება; მან უზრუნველყო მეწარმეთა და მუშათა საიმედო დახმარების მიღება, და აი უკვე მრავალი თვეა, რაც ქვეყნის ყველა საწარმოო ძალები მისწრაფის ჩვენი სამხედრო საქურველის გადიდებისაკენ...“¹.

ეს იყო მთელი II ინტერნაციონალისათვის მიცემული ატესტატი იმპერიალისმისადმი ერთგული სამსახურისათვის.

ალბერ ტომა იმისათვის ჩამოვიდა რუსეთში, რომ უზრუნველყო თავდაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესება და საფრანგეთში 400 ათასი რუსი ჯარისკაცის გაგზავნა. ტომამ და ვივიანმა 1916 წლის 17 მაისამდე დაჰყვეს რუსეთში. მათ დაათვალიერეს სამხედრო საწარმოები, ესაუბრებოდნენ უდიდეს კაპიტალისტებს, გენერლებს, იმპერატორს, და ცდილობდნენ თავდაცვითი მრეწველობის მუშაობაში არსებული ყველა დაბრკოლების აღმოფხვრას. ფრანგმა „სოციალისტებმა“ სცადეს მუშებისთვისაც მიეცათ რჩევა-დარიგება, მაგრამ აქ მათ ისეთი მიღება გაუმართეს, რომ ტომამ საჭიროდ ჩასთვალა თვითმპყრობელობისათვის ერჩია მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომების მიღება. ალბერ

ტომამ, როგორც პალეოლოგი იუწყება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. შტიურმერს განუცხადა:

„თქვენი ქარხნები საკმაოდ დაძაბულად არ მუშაობენ, მათ შეუძლიათ ათჯერ მეტი გამოიმუშაონ. საჭიროა მუშების მილიტარიზაცია“¹.

რუსეთის მეფეს, რომელიც ისედაც განთქმული იყო პროლეტარიატის ველური ექსპლუატაციით, II ინტერნაციონალის ლიდერები წინადადებას აძლევდნენ სამხედრო მონებად ექცია მუშები.

ინგლისის ელჩი ჯორჯ ბიუკენენი არაერთხელ მიუთითებდა ნიკოლოზს ქვეყნის მძიმე მდგომარეობაზე. რაც მეტ დამარცხებას განიცდიდა რუსეთი. ინგლისის ელჩის „რჩევანი“ მით უფრო დაყინებული ხდებოდა. ბიუკენი პირდაპირ დასდევდა მეფეს და ატყობინებდა მას ყველა წვრილმან ფაქტს. რომელიც კი შეიძლებოდა ინგლისისათვის არახელსაყრელად მიეჩნია. ინგლისის ელჩის ქცევა რუსეთში ბევრით არაფრით განსხვავდებოდა მისი ამხანაგების ქცევისაგან საღდაც სიამში. ნიკოლოზმა, ბოლოს, წონასწორობა დაჰკარგა ამ მუდმივი მითითებებისაგან. მან დაიწყო ელჩის მიღება არა უბრალოდ, ჩვეულებრივად, არამედ სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილმა, რითაც გადაკერით მიუთითებდა, რომ ბიუკენენს სავსებით ოფიციალურად უნდა დაეჭირა თავი და თავი შეეკავებინა „რჩევათაგან“. ნიკოლოზის გადაკრულმა მითითებამ მიზანს ვერ მიაღწია. პირიქით, ბიუკენენი პირდაპირ მუქარაზე გადავიდა. როდესაც ნიკოლოზმა შესცვალა სავარეო საქმეთა მინისტრი ს. დ. საზონოვი და მის ადგილზე ბ. ვ. შტიურმერი დასვა, რომელიც გერმანიასთან ზავის დადების მომხრედ ითვლებოდა, ბიუკენენმა დეპეშით შეატყობინა ლონდონში:

„ყველა ცნობების მიხედვით, იგი (შტიურმერი. რ ე დ.) გულში გერმანოფილია. ამასთანავე, როგორც თავგამოდებულ რეაქციონერს, მას დედოფალთან ერთად სურს ხელუხლებლად შეინარჩუნოს თვითმპყრობელობა... თუ იმპერატორმა თავისი ახლანდელი რეაქციონერი მრჩეველებისათვის ყურისგდება განაგრძო, ვშიშობ, რომ რევოლუცია გარდუვალა“².

ბიუკენენის ფრანგმა კოლეგამ კიდევ უფრო მკვეთრად გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება ნიკოლოზის პოლიტიკისადმი. მორის პალეოლოგი თავის შემუარებში ძალიან ხშირად ადარებდა თავს საფრანგეთის ელჩ შეტარდის. რომელიც, როგორც ცნობილია, XVIII საუკუნეში ელისაბედ პეტრეს-ასულს ეხმარებოდა მმართველ ანა ლეოპოლდის-ასულისათვის ტახტის წართმევაში: საზონოვის შეცვლამ პალეოლოგს მეორე ისტორიული შედარება გაახსენა. საფრანგეთის ელჩმა თავის დღიურში ჩასწერა შემდეგი საუბარი დიდ კნინა მარიამ პავლეს-ასულთან:

„რა ვქნათ?.. აი უკვე 15 დღეა მთელ ჩვენ ძალღონეს იმის ცდას ვანდომებთ, რომ დაუშტკიცოთ მას (ნიკოლოზ II-ს. რ ე დ.), რომ იგი ლუპავს დინასტიას, ლუპავს რუსეთს, რომ მისი მეფობა... მალე კატასტროფით დამთავრდება. მას არაფერი არ უნდა მოისმინოს. ეს ტრაგედიაა... მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილთ კოლექტიურ მმართველს — საიმპერატორო გვარეულობის გამოსვლას...“

შემოფარგლება თუ არა საქმე პლატონიური მიმართით?..

ჩვენ მღუმარენი შევცქერით ერთმანეთს. ის ხვდება, რომ მე მხედველობაში მაქვს პავლე I-ის დრამა, იმიტომ რომ იგი თავზარდაცემული მიპასუხებს:

— ღმერთო ჩემო! რა მოხდება?..“¹.

ელჩი მეფის მკვლელობასაც არ ერიდებოდა, როდესაც მას ეგონა, რომ ნიკოლოზი საკმაოდ მტკიცედ არ იცავდა მოკავშირეთაღმი ერთგულებას.

ასეთ პირობებში თვითმპყრობელობას უკიდურესი სიფრთხილე უნდა დაეცვა თავის გეგმებში. 10 ნოემბერს მეფემ დაითხოვა შტიურმერა, რომელსაც ლალატში სდებდნენ ბრალს, და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ა. ფ. ტრეპოვი, სწორედ პეტერბურგის იმ გენერალ გუბერნატორის ძმა, რომელმაც 1905 წლის რევოლუციის დროს გასცა ცნობილი ბრძანება: „ვაზნები არ დაზოგოთ“. ტრეპოვი შეილი იყო პეტერბურგის ქალაქის უფროსისა, რომელსაც 1878 წლის 24 იანვარს ვ. ზასულჩიმა ესროლა. ტრეპოვი, პოლტავის გუბერნიის დიდი მიწათმფლობელი, დაკავშირებული იყო სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატთან თავისი წინანდელი მუშაობით მთავრობაში. 19 ნოემბერს ახალი თავმჯდომარე წარუდგა სათათბიროს და მაშინვე გამოაცხადა, მოკავშირენი კონსტანტინოპოლს რუსეთს მისცემენო.

„რუსმა ხალხმა უნდა იცოდეს, რისთვის ღვრის თავის სისხლსო“², დასძინა ტრეპოვმა, ატყობინებდა რა მემამულეებსა და ბურჟუაზიას ახალ სასიამოვნო ცნობას.

ფიქრობდნენ, რომ ეს დათმობანი დროებით დააშოშმინებდა აღელვებულ დეპუტატებს, შემდეგში კი კვლავ შესაძლებელი იქნებოდა სხევანაირი კურსის აღება. როდესაც ნიკოლოზი ნიშნავდა ტრეპოვს, რომელსაც ნდობით არ შეხვდნენ სასახლის კარზე, იგი დედოფალს ამშვიდებდა:

„საზიზღარია საქმე გქონდეს კაცთან, რომელიც არ გიყვარს და რომელსაც არ ენდობი... მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიხატო მისი მოადგილე, შემდეგ კი გააგდო იგი, როდესაც ის ბინძურ საქმეს გააკეთებს, — მე ვგულისხმობ — ვადავაყენო იგი, როდესაც იგი სათათბიროს დახურავს. დაე მთელი პასუხისმგებლობა და ყველა სიძნელე მას დააწევს მხრებზე და არა იმას, ვინც მის ადგილს დაიკავრს“³.

მეფის ხროვის შეთქმულება შემდეგში მდგომარეობდა: განზრახული იყო აეკრძალათ „კავშირები“, როგორც ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს უწოდებდნენ მთავრობის წრებში, გაერეკათ სახელმწიფო სათათბირო, აერჩიათ ახალი, საესებით „მოშიანურებული“, ერთი „სრულყოფილებიანი პირის“ ხელში მოქცევათ ძალაუფლების მთელი სისრულე, დაედოთ სეპარატიული ზავი გერმანიასთან და თავს დასტებოდნენ რევოლუციას.

გერმანიასთან ზავის დადების გზებს უკვე დიდხანია სინჯავდნენ. ჯერ კიდევ 1915 წელს, როდესაც რუსეთის არმია გალიციიდან გამოიძვრა, პეტროგრადში მოვიდა წერილები რუსეთის დედოფლის ფრეილინა მ. ა. ვასილიკოვასაგან ავსტრიიდან, სადაც იგი მუდმივად ცხოვრობდა თავის მამულში. ვა-

სილჩიკოვა, როგორც ეს ხშირად იყო ხოლმე უმაღლეს წრეებში. ენათესავე-ბოდა მთელ რიგ გერმანელ არისტოკრატებს და რუს უმაღლეს მოხელეებს. მას სასახლის კარზედაც იცნობდნენ. ფრეილინამ ვილჰელმის სახელით სამი წე-რილი გამოუგზავნა ნიკოლოზს ზავის წინადადებით, შემდეგ კი, დეკემბერში, თვითონაც მოვიდა სატახტო ქალაქში და ცდილობდა მეფესთან მოლაპარაკე-ბას. ხმებმა სეპარატიული ზავის შესახებ საზოგადოებამდე მიალწია, და იძუ-ლებული გახდნენ ვასილჩიკოვა სატახტო ქალაქიდან გაეძევიებინათ. 1915 წლის აპრილში დედოფალმა მიიღო წერილი თავისი ძმისგან — ჰესენის ჰერცოგის-გან, რომელიც წინადადებას იძლეოდა დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის შე-სახებ. ჰერცოგმა პასუხს აღარ დაუცადა და სტოკჰოლმში გაგზავნა რწმუნე-ბული კაცი თვითმპყრობელობის რომელიმე წარმომადგენელთან შესახვედრად. დედოფალი ასე სწერდა თავისი ძმის შესახებ ნიკოლოზს:

„მას დაებადა გეგმა კერძოდ გაეგზავნა სტოკჰოლმში რწმუნებული პირი, რომელიც იქ შეხვედებოდა შენგან გაგზავნილ (კერძოდ) კაცს, და ისინი შესძლებდნენ მოეგვარებინათ ბევრი დროებითი სიძნელე... ერნიმ (ასე ეძახდნენ ოჯახურ წრეში ჰერცოგს. რ ე დ.) უკვე გაგზავნა იქ 28-ისა-თვის (ორი დღის წინათ, მე კი მხოლოდ დღეს გავიგე ეს) ერთი პირი, რო-მელსაც შეუძლია მხოლოდ ერთ კვირას დაჰყოს იქ. — მე დაუყოვნებლივ მიეწერე პასუხი და გაუუგზავნე ამ კაცს, ვუთხარი რა მას, რომ შენ ჯერ კიდევ არ დაბრუნებულხარ და რომ მან არ იცადოს, და რომ თუმცა ზავი ყველას სწყურია. მაგრამ დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა“¹.

მეფის ნათესავეები ოჯახური წესით სწყვეტდნენ ხალხთა ბედილბალს.

1916 წელს კვლავ რამდენჯერმე შეეცადნენ დაეწყოთ გერმანიასთან მო-ლაპარაკება ზავის შესახებ. ივლისში სტოკჰოლმში მოხდა გერმანიის წარმო-მადგენლის ვარბურგის შეხვედრა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგ პროტოპოპოვთან, რომელიც სათათბიროს დელეგაციასთან ერთად საზღვარგარეთ იყო. საუბარში ვარბურგმა გადასცა ის პირობები, რომლებზეც გერმანია თანახმა იყო დაედო ზავი.

რუსეთში რომ დაბრუნდა, პროტოპოპოვმა სათათბიროს წრეებს შეატყო-ბინა თავისი საუბარი. ნიკოლოზმა შეიტყო პროტოპოპოვის სტოკჰოლმის საუბ-რის ამბავი და დაუყოვნებლივ დაიბარა იგი სასახლეში. სათათბიროში. რო-გორც მილიუკოვმა აღიარა, შეეშინდათ, „ეს წინადადება (ვარბურგისა. რ ე დ.) სერიოზულად არ მიიღონ“. მილიუკოვი სთხოვდა პროტოპოპოვს მთელი ეს ინციდენტი მიეჩნია „ტურისტის შემთხვევით ეპიზოდად და ამ ფორმით გა-დაეცა“² ნიკოლოზისათვის. მაგრამ პროტოპოპოვმა, როგორც ეტყობა, იყო-და, თუ როგორ ეამებინა მეფისათვის. „მე ვგრძნობდი, რომ იგი ძალიან კმა-ყოფილი დარჩა ჩემი მოხსენებით“³, ამბობდა პროტოპოპოვი დაკითხვაზე 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. იგი არ შემცდარა: 18 სექტემბერს ის, რას-პუტინის წინადადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველად დანიშნეს. ამ შემთხვევაში ნიკოლოზს ორმაგი ანგარიში ჰქონდა. პროტოპოპოვი, სათათ-ბიროს თავმჯდომარის ამხანაგი, რომელიც ოქტიაბრისტიად ირიცხებოდა, მე-

ტალურგიული მრეწველობის ყრილობათა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ე. ი. მას მკვიდრი კავშირი ჰქონდა სამრეწველო წრეებთან და მსხვილი მფლობელი იყო — სიმბირსკის გუბერნიაში დაახლოებით 5 ათასი დესეტინა მიწა ჰქონდა. მეფეს ეგონა, რომ პროტოპოპოვის მინისტრად დანიშნვით ხიდი გასდო ბურჟუაზიასთან დასაკავშირებლად. მეორე მხრით, პროტოპოპოვმა — რასპუტინის კაცმა — თავი გამოიჩინა სეპარატიული ზავის მომხრედ. რაც ხელსაყრელ კანდიდატად ხდიდა მას მეფის პოლიტიკის გასატარებლად.

პროტოპოპოვის დანიშვნამ გამოიწვია წინანდელი სათათბიროსეული მეგობრების სიძულელი მისდამი. პროტოპოპოვს სდევნიდნენ, ჭორიკანობდნენ მასზე. მეტი ზიზლით ლაპარაკობდნენ, ვიდრე სხვა მინისტრებზე, მაგრამ არა პირადი თვისებების გამო, — პროტოპოპოვი მეფის დამქაშების მიერ დაყენებულ სხვა პირებზე უარესი არ იყო — არამედ იმიტომ, რომ იგი დასთანხმდა მინისტრობაზე იმ მომენტში, როდესაც სათათბიროს კონფლიქტი ჰქონდა ნიკოლოსთან, და მეტადრე მისი შეხედულებების გამო ზავის საკითხში.

ინთავისუფლებდა რა ხელეის საგარეო საქმეში, თვითმპყრობელობა სწრაფად ანხორციელებდა თავის გეგმებს ქვეყნის შიგნითაც. 9 დეკემბერს დაიხურა ქალაქთა და ერობათა კავშირის ყრილობები. კრძალავდნენ ისეთ კრებებს, რომლებსაც პოლიტიკასთან აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. 11 დეკემბერს აკრძალეს პერიოდული პრესის მოღვაწეთა საზოგადოების კრებები, შემდეგ კი — ბავშვის ექიმთა საზოგადოებისა.

ბურჟუაზიულმა ორგანიზაციებმა პროტესტები მიაყარეს სათათბიროს, მაგრამ 17 დეკემბერს თვითმპყრობელობამ სათათბიროს მუშაობა 12 იანვრამდე შესწყვიტა. ამ წნის განმავლობაში იმედი ჰქონდათ დაემთავრებინათ ყველა ლონისძიებანი ახალი სათათბიროს არჩევნებისათვის. გეგმის დეტალები შეიმუშავა უოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ნ. ხვოსტოვმა ჯერ კიდევ 1915 წლის ოქტომბერში. ხვოსტოვი წინათ გუბერნატორად იყო ვოლოგდაში და ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც მან მოახერხა სათათბიროში მემარჯვენეი გაეყვანა. სწორედ არჩევნების ამ „სპეციალისტს“ დაავალეს პროექტის მომზადება. მინისტრის განკარგულებაში 8 მილიონი მანეთი გასცეს პრესის მოსასყიდად, ლიტერატურის გამოსაცემად. სტამბების დასაქირავებლად. კიოსკებისა და კინოების მოსაწყობად. ხვოსტოვმა მოასწრო დაახლოებით მილიონ-ნახევარი მანეთის მიღება, რაზედაც რევოლუციის შემდეგ ვერავითარი ხელწერილები ვერ წარადგინა — მეტი ნაწილი პირადად მინისტრს ჩაუვარდა ხელში. ხვოსტოვმა შეადგინა ნაკრები ცნობა თვითეულ გუბერნიაში არჩევნების შესაძლებელი შედეგის შესახებ. მომავალი სათათბიროს შემადგენლობის შესახებ ამ ცნობაში ნათქვამი იყო:

„დასაშვებია მემარჯვენე ოქტაბრისტები და სასურველია უფრო კონსერვატიული ჯგუფებიო“⁴.

ახალ სათათბიროში დასაშვებად მიაჩნდათ მხოლოდ რომიანკოს ტიპის დეპუტატები, მაგრამ სასურველად სთვლიდნენ მარჯვენა მემორეს და „რუსი ხალხის კავშირის“ მის მსგავს წევრებს. იმედი ჰქონდათ ასეთი შედეგებისათვის

მიეღწიათ მსხვილ მიწათმფლობელ თავადაზნაურობასა და სამღვდლოებაზე დაყრდნობით. ასე, მაგალითად, ტვერის გუბერნიის შესახებ ეწერა:

„მემარცხენეებსა და ოქტიაბრისტებს უნდა დაეუპირდაპიროთ აშკარად შემარჯვენენი სამღვდლოებასთან კავშირში“⁴.

ტამბოვის გუბერნიის შესახებ:

„მემარცხენე ჯგუფების გაუენებლობა შეიძლება მხოლოდ სამღვდლოების დახმარებით. იგი ნაკლებად საიმედოა, მაგრამ მისი ხელში დაქვერა შეუძლია არქიელს, რომელმაც მას ამოცანად უნდა დაუსახოს — არ გაუშვას მემარცხენენი“⁵.

როდესაც პროექტის პრაქტიკულად გატარების საკითხი დადგა. გაიხსენეს ნ. ა. მაკლაკოვი, სწორედ ის, რომელიც ისე კარგად ბაძავდა „შეყვარებულ ავაზას“. ნიკოლოზ II-მ დაავალა მას პროტოპოპოვთან ერთად, რომელიც დეკემბერში წინაგან საქმეთა მინისტრად დაამტკიცეს, შეედგინა მანიფესტი სათათბიროს დათხოვნის შესახებ. გახარებულმა, რომ ავაზის წაბაძევაზე უფრო „სასარგებლო“ მოღვაწეობისათვის მიიწვიეს, მაკლაკოვმა სამადლობელი წერილი მისწერა მეფეს. ამ წერილიდან შეიძლება გავიგოთ, თუ რა ფართო გეგმას ისახავდა თვითმპყრობელობა. მაკლაკოვი სწერდა:

„ეს მთელი მინისტრთა საბჭოს საქმე უნდა იყოს, და არ შეიძლება მარტო შინაგან საქმეთა მინისტრი შეეპყიდოთ მთელ იმ რუსეთს, რომელსაც თავგზა აქვს აბნეული. ხელისუფლება უნდა იყოს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შემპყრობეული, დარწმუნებული, შედუღებული ერთი მიზნით — ალადგისოს სახელმწიფო წესრიგი რადაც უნდა დაუჯდეს, და დარწმუნებული იყოს გამარჯვებაში შინაგან მტერზე, რომელიც დიდხანია ხდება საგარეო მტერზე უფრო საშიშიც, უფრო გაბოროტებულიც და უფრო თავხედიც“⁶.

ის აზრი. რომ შინაგანი მტერი უფრო საშიშია გარეშეზე, რომ თავისი ქვეშევრდომები უფრო მავნეა მტერზე. ხელმძღვანელობდა კარის ხროვას მთელ თავის საქმიანობაში.

თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა მ ზ ა დ ი ყ ო .

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მაკლაკოვმა თავისი წერილი 9 თებერვალს დასწერა, ხოლო უკვე 13 თებერვალს ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ჩერნინმა მიიღო რუსეთიდან წინადადება ზავის შესახებ. აი რას სწერდა იგი:

„26 თებერვალს (ახალი სტილით. რედ.) ჩემთან გამოცხადდა ერთი პიროვნება, რომელმაც წარმომიდგინა საბუთი, საიდანაც სჩანდა, რომ იგი ერთი ნეიტრალური სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო. მან შემატყობინა, რომ დავალებული ჰქონდა ეცნობებინა ჩემთვის, რომ ჩვენთან მეომარი სახელმწიფოანი ან ყოველ შემთხვევაში ერთი მათგანი მზად არიან დასდონ ჩვენთან ზავი და რომ ამ ზავის პირობები ჩვენთვის ხელსაყრელი იქნებოდა... მე ერთ წუთსაც არ შემპარვია ეკვი იმაში, რომ

საქმე რუსეთის შეეზებოდა, და ჩემმა თანამოსაუბრემ ჩემი მოსაზრება დაა-
დასტურა“¹.

თვითმპყრობელობა მტკიცედ ადგა ერთხელევე აღებულ კურსს.

პირველმა ბუნდოვანმა ცნობებმა სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის ახალი
შებრუნების შესახებ უკვე ყალბზე შეაყენა ბურჟუაზია. მოკავშირე იმპერია-
ლისტებმა სავსებით დაუჭირეს მას მხარი. რუსეთის მიერ სეპარატიული ზავის
დადება კიბოების ქვეშ აყენებდა გერმანიაზე გამარჯვების შესაძლებლობას. რუ-
სეთის არმია ზოკავდა მოწინააღმდეგის უზარმაზარ ძალებს, და თამაშიდან
მისი გამოსვლა მოკავშირე იმპერიალისტთა მთელი ანგარიშების არეკას მოას-
წავებდა.

ბურჟუაზიამ, რომელსაც მოკავშირეებმა დაუჭირეს მხარი, გადასწყვიტა სა-
სახლის ვადატრიალების გზით გაეახალგაზრდავებინა დაჩაჩანაკებული თვით-
მპყრობელობა — შეეცვალა უნიჭო მეფე და დაესვა მეორე — თავისი კაცი.
მთელი გეგმა ისე იყო ნაგარაუდევრი, რომ, ომის შეუწყვეტლად, გაეძლიერე-
ბინათ ბრძოლა მოახლოვებული რევოლუციის წინააღმდეგ. სატახტო ქალაქში
შეიქმნა ორი ფარული წრე. პირველში მეტნაწილად სამხედრო პირები შე-
დიოდნენ, გვარდიის ოფიცრები. თვალსაჩინო როლს თამაშობდა იქ გენერალი
კრიმოვი, რომელიც ცნობილი გახდა უკვე რევოლუციის შემდეგ როგორც გე-
ნერალ კორნილოვის გამოსვლის თანამონაწილე.

მომავალი მინისტრი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შემდგარ
პირველ მთავრობაში ტერეშჩენკო თავის მოგონებებში გენერალ კრიმოვის შე-
სახებ ამბობს:

„მას და მის მეგობრებს შეგნებული ჰქონდათ. რომ თუ სახელმწიფო
გადატრიალების ხელმძღვანელობას არ იკისრებდნენ, ამას ხალხის მასები მო-
ახდენდნენ, და მშვენიერად ესმოდათ, თუ რა შედეგები და რა დამლუპვე-
ლი ანარქია შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას.

მაგრამ უფრო ფრთხილი პირები ირწმუნებოდნენ. ჯერ კიდევ დრო არ
დამდგარაო. გავიდა იანვარი, ნახევარი თებერვალი. ბოლოს ნაცად პოლი-
ტიკოსთა ბრძნული სიტყვები უკვე დამაჯერებელი აღარ იყო ჩვენთვის, და
იმ პირობითი ენით, რომელსაც ჩვენს ურთიერთობაში ეხმარობდით, გენერა-
ლი კრიმოვი მარტის პირველ რიცხვებში გამოწვეულ იქნა პეტროგრადში
რუმინეთიდან, მაგრამ უკვე გვიანდა იყო“².

რომიანკოს მოგონებების მიხედვით მოლაპარაკება გუჩკოვის ბინაზე ხდე-
ბოდა. საფინანსო და სამრეწველო წრეების ტუზებმა იცოდნენ, რომ შეთქმუ-
ლებას იწონებდნენ გენერლები ალექსეევი, რუხსკი. ბრუსილოვი. ამავე დროს
სწორედ ამავე მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა პეტროგრადის გვარ-
დიის პოლკების ოფიცრობაშიაც. ოფიცრებთან პურიშკევიჩი იყო დაკავშირე-
ბული. მეორე წრე სათათბიროს მოღვაწეთაგან შესდგებოდა. მილიუკოვი 1917
წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აღიარებდა:

„დროებითი მთავრობის პირველი შემადგენლობის წევრთა მნიშვნელო-

ვანი ნაწილი მონაწილეობას იღებდა ამ მეორე წრის თათბირებში. ხოლო ზოგიერთმა... პირველის არსებობაც იცოდაო“⁴.

შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ ნიკოლოზი ჩამოეგდოთ, დედოფალი მონასტერში გაეგზავნათ, იმპერატორად დაესვათ მცირეწლოვანი ალექსი, ხოლო მის სრულწლოვანობამდე ფაქტიურ მმართველად, რეგენტად, დაენიშნათ დიდი მთავარი მინეილ ალექსანდრეს-ძე, მეფის ძმა. სასახლის გადატრიალების პირველ ნაბიჯად დასახული იყო რასპუტინის მოკვლა. ღამით 17 — 18 დეკემბრისთვის რასპუტინი თავად ფელიქს იუსუპოვის ბინაზე მიიწვიეს, სადაც პურიშკევიჩმა ბინის პატრონთან და დიდ მთავარ დიმიტრი პავლეს-ძესთან ერთად რევოლუციის ექვსი ტყვიით ბოლო მოუღეს „წმინდანს“.

მაღალწარჩინებულ შეთქმულთ, იმ წრიდან გამოსულთ, რომელმაც რასპუტინიშინა შექმნა და გამოზარდა, იღუმალი იმედი ჰქონდათ, ამ მკვლელობის შემდეგ სამეფო კარი გონს მოვაო. ნიკოლოზს, მიმართედნენ მისი ნათესავები და მიუთითებდნენ, რომ მას დალუპისაკენ მიჰყავდა თავისი თავი და ყველა თავისი მახლობელიც. მაგრამ მეფემ უმაღლესი სარდლობის ბანაკი მიატოვა და სატახტო ქალაქს მიაშურა. აქ გადასწყდა განეგრძოთ გეგმის შესრულება. მხოლოდ პროტოპოპოვის წინადადებით შეიტანეს ერთი ცვლილება: სათათბირო ჯერ კიდევ არ გაერეკათ. 6 იანვარს გამოქვეყნდა ნიკოლოზის უქაზი სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს მუშაობის განახლების 14 თებერვლამდე გადადების შესახებ. იმდენად ბურჟუაზიული ზედაფენების აღელვებისა კი არ ეშინოდათ, რამდენადაც ქვედა ფენებში რევოლუციის სწრაფი მომწიფებისა: სათათბიროს გარეკვა პროტოპოპოვის აზრით შეიძლებოდა მასების გამოსვლის ლეგალური საბაზი გამხდარყო.

მუშაობის ახალი გადადება დეპუტატებმა კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანოს „რეჩის“ სიტყვით მიიჩნიეს სათათბიროს წინააღმდეგ მთავრობის ლაშქრობის დამთავრებად. ჩაჩუმებულმა ბურჟუაზიულმა შეთქმულებმა, თავის მხრივ, შეთქმულების მომზადება დააჩქარეს. როძიანკომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან კერძო საუბრით შეიტყო, რომ ნიკოლოზმა უკვე ხელი მოაწერა სამ უქაზს ისე, რომ მათი გამოქვეყნების თარიღი არ დაუსვამს: პირველი იყო სათათბიროს სრული დათხოვნის შესახებ, მეორე — მისი მუშაობის ომის დამთავრებამდე გადადებისა და მესამე — მუშაობის განუსაზღვრელი დროით შეწყვეტის შესახებ. სათათბიროს თავმჯდომარემ ტელეგრაფით გაიწვია პეტროგრადში მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ზაზილევსკი, გაერთიანებული თავადაზნაურობის ყრილობის თავმჯდომარე ა. დ. სამარინი, პეტროგრადის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი სომოვი. მოსკოვიდან გაიწვიეს საერობო კავშირისაგან თავადი გ. ე. ლვოვი, რომელსაც სხვებზე უფრო ხშირად ასახელებდნენ ახალი მთავრობის პრემიერად. ძ. ვ. ჩელნოკოვი — ქალაქთა კავშირიდან და ა. ი. კონოვალოვი — მრეწველთა და ფაბრიკანტთა ყრილობიდან. განზრახული იყო, რომ სამარინი თავადაზნაურობის სახელით აუდიენციას გამოსთხოვდა მეფეს და სცდიდა თვალი აეხილნა მისთვის არსებულ მდგომარეობაზე. 19 იანვარს განზრახული ჰქონდათ

გაერთიანებული თავდაზნაურობის ყრილობის მოწვევა. ამავე დროს ფარულ წრეში 1917 წლის თებერვალში გადასწყვიტეს, როგორც გუჩკოვი იუწყებოდა საგამომძიებლო კომისიაში უკვე თებერვლის რევოლუციის შემდეგ,

„ხელთ ეგდოთ გზაში უმაღლესი სარდლობის ბანაკსა და ცარსკოე სელოს შორის იმპერატორის მატარებელი, აქმულებინათ იმპერატორი გადამდგარიყო, შემდეგ ერთდროულად იმ სამხედრო ნაწილების საშუალებით, რომლებიც აქ პეტროგრადში საიმედონი იყვნენ, დაეპატიმრებინათ არსებული მთავრობა და შემდეგ უკვე გამოეცხადებინათ როგორც გადატრიალების ამბავი, ისე ის პირები, რომელნიც მთავრობას ჩაუდგებოდნენ სათავეში. ამრიგად... საქმე ექნებოდათ არა მთელ არმიასთან, არამედ მის ძალიან მცირე ნაწილთან“¹.

მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატიას, ისევე როგორც რუსეთის ბურჟუაზიის ბელადებს, მიაჩნდა, რომ მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებით შეიძლებოდა რევოლუციის თავიდან აცილება და რუსეთის „გადარჩენა“.

ინგლისის ელჩი ჯორჯ ბიუკენენი თავის მოგონებებში აღიარებს, რომ შეთქმულნი მასთან საელჩოში იხილავდნენ გადატრიალების საკითხს.

„სასახლის გადატრიალებაზე, — სწერს იგი თავის მეგობარებში, — აშკარად მსჯელობდნენ, და საელჩოში სადილზე ერთერთმა ჩემმა რუსმა მეგობარმა, რომელსაც მალაღი ადგილი ეჭირა მთავრობაში. მაცნობა, საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, მოკლული იქნებიან იმპერატორიც და დედოფალიც თუ მხოლოდ ეს უკანასკნელი“².

ასე გამოიყურებოდა თავდაზნაურულ-ბურჟუაზიული ზედაფენების შეთქმულება.

საკმარისია ბიუკენენის ეს აღიარება, რათა დამტკიცებულად ჩავთვალოთ არა მხოლოდ ის, რომ მან იცოდა შეთქმულების არსებობა, არამედ ისიც, რომ ის მონაწილეობას იღებდა ამ შეთქმულებაში. უეჭველია, რომ მოკავშირე სახელმწიფოს ელჩი, რომელსაც შეტყობილი ჰქონდა იმ იმპერატორის მკვლელობის შესაძლებლობა, ვისთანაც იგი თავისი მეფის წარმომადგენლად იყო, და შეთქმულებს ჰფარავდა, შეთქმულების მონაწილე იყო. ბიუკენენი გულახდულად მოგვითხრობს, რომ

„რუსმა მეგობარმა, რომელიც შემდეგში დროებითი მთავრობის წევრი იყო, შეატყობინა მას — აღდგომის წინ გადატრიალება მზადდებოდა“³.

ორი შეთქმულება — ორივე რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით — მომწიფდა; მათი მონაწილენი ჩქარობდნენ შეესრულებინათ თავისი გეგმები მასების დაუხმარებლად და მანამდე, სანამ მთელ ამ პოლიტიკაში ხალხი გაერყევოდა. მაგრამ რევოლუციამ დაასწრო თვითმპყრობელობის იერიშსაც და სასახლის გადატრიალებასაც: სანამ ბურჟუაზია და თვითმპყრობელობა ერთმანეთს ედავიდარაბებოდნენ, მათ წინააღმდეგ ქუჩაში გამოვიდნენ მუშები და გლეხები, რომლებსაც ბურჟუაზიაც სძულდათ და ცარიზმიც.

1916 წლის ოქტომბრის გაფიცვათა ტალღის შემდეგ მუშათა მოძრაობაში ერთგვარი სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ 40 ათასზე დაბლა გაფიცულთა რიცხვს არც ნოემბერში დაუწევია და არც დეკემბერში. მკვეთრი აღმავლობა დაიწყო 1917 წელს. სუსხიანმა ზამთარმა ახალი გაჭირვება მოუტანა მუშებსა და შრომელთ. პეტროგრადსა და მოსკოვში პურის შეტანა თითქმის სრულებით შესწყდა. ფართო მოხმარების საგნების ფასებმა სწრაფად აიწია. რიგებში საპროტესტო გამოსვლები ვახშირდა. უკვე არაერთხელ გაანადგურეს ხოლმე პურის სავაჭროები. ამასთან განსაკუთრებულ აქტივობას ქალები იჩენდნენ. ოხრანკა თავის იანვრის მოხსენებებში მინისტრისადმი აღნიშნავდა:

„ოჯახების დედები, დუქნებთან რიგებში დაუსრულებლად დგომით დაქანცულნი, თავიანთი ნახევრადმშვიერი და ავადმყოფი ბავშვების ცქერით დატანჯულნი, შეიძლება ითქვას, ამჟამად გაცილებით უფრო ახლოს დგანან რევოლუციასთან, ვიდრე ბატონი მილიუკოვები, როდიჩეევი და კომპ., და, რა თქმა უნდა, ისინი გაცილებით უფრო საშიში არიან, ვინაიდან საწვავი მასალის იმ საწყობს წარმოადგენენ, რომლისთვისაც ერთი ნაპერწკალი კმარა, რომ ხანძარმა იფეთქოს“¹.

იანვარში გაფიცვები დაიწყო 9-ს, 1905 წელს მუშათა დემონსტრაციის დახვერტის დღეს. წინაღულს ბოლშევიკთა პეტერბურგის კომიტეტი მოუწოდებდა მუშებს გამოსულიყვნენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებით. ბოლშევიკთა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ასეთივე დირექტივა მისცა მოსკოვს. 9 იანვარს ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში მუშებმა მიტინგები მოაწყვეს. ქუჩებში წითელი დროშებით გამოვიდნენ. პეტროგრადში ვიბორგისა და ნარვის რაიონებში თითქმის არცერთი საწარმო არ მუშაობდა. პეტროგრადის გარდა მუშათა დემონსტრაციები მოხდა მოსკოვში, ბაქოში, ნიჟნი-ნოვგოროდში. მოსკოვში მუშების მესამედი გაფიცული იყო. ბოლშევიკთა მოსკოვის კომიტეტმა ტვერის ბულვარზე მოაწყო დემონსტრაცია ორი ათასი კაცის მონაწილეობით. მაგრამ ცხენოსანმა პოლიციამ გააჟანტა შეკრებილნი. დღის 3 საათისათვის მუშების ჯგუფი გამოჩნდა სათეატრო მოედანზე წითელი დროშებითა და მათზე წარწერილი ლოზუნგებით: „ძირს ომი!“ დემონსტრაცია მალე ათას კაცამდე გაიზარდა და ოხოტნი რიადისაკენ დაიძრა. მოიქრა ცხენოსანი პოლიცია და წმალამოწვილი დაერია მასას. პოლიცია ყველგან სასტიკად უსწორდებოდა გაფიცულთ. ბევრნი დააპატიმრეს. ბევრი მუშა სამხედრო უფროსთან გაგზავნეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გაფიცვებმა კვლავ იფეთქა. იანვრის განმავლობაში მთელ სახელმწიფოში გაფიცული იყო 200 ათასზე მეტი მუშა — ასეთი გაფიცვები ომის მთელი დროის განმავლობაში არ უოფალა. სატახტო ქალაქებში მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. ქალაქებში ათასნაირი ხმები დადიოდა. მცხოვრებლები პროდუქტებს იშვადებდნენ მოძრაობის შეწყვეტის შემთხვევისათვის.

„საყოველთაო გაფიცვის იდეა, — იტყობინებოდა პოლიცია, — დღითიდღე ახალ მომხრეებს იძენს და პოპულარული ხდება, როგორც იყო იგი 1905 წელსაც“².

ქალაქში მოძრაობას სოფლის ღარიბნიც შეუერთდნენ. განუწყვეტელმა მობილიზაციებმა და პირუტყვის მუღმივმა რეკვიზიციებმა საბოლოოდ გააჩანაგა მშრომელ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის შეურნეობა. სამრეწველო კრიზისმა ასანთი, ნათი, მარილი მოუსპო სოფელს. პური ძლივს ეყოთ შუა ზამთრამდე. ახალი ძალით იფეთქა სიძულვილმა მემამულისა და კულაკისადმი. მთელი რიგი რაიონებიდან მოდიოდა ცნობები ომის წინააღმდეგ მკვეთრი მოძრაობის შესახებ.

„მთავრობა ყველას ვერ ჩამოახჩობს, გერმანელები კი ყველას დახოცვას ან დასახიჩრებას შესძლებენო“¹,

ამბობდნენ სოფლებში და მოუწოდებდნენ უარი განეცხადებინათ არმიაში წასვლაზე. პოლიციის ნაკრები ცნობები სოფლად არსებული განწყობილების შესახებ სულ უფროდაუფრო ხშირად ადარებენ მას 1905 — 1906 წლების განწყობილებას.

მეფის მთავრობამ გადაქრით უარი განაცხადა დათმობაზე წასულიყო არათუ ლიბერალური ბურჟუაზიის, არამედ სასახლის წრეების მიმართაც, რომელიც მზად იყვნენ წაელიბერალებინათ საშიშროების ჟამს. ცარიზმმა მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინა. პოლიციელები გარნიზონის პოლკებიდან წამოდებული ტყვიამფრქვევებით შეაიარაღეს. ოხრანკის აგენტები მიუსიეს „ყველა საექვოს“ შესაპყრობად. ხელსა სტაცებდნენ ყველას, ხშირად თავისს სხვისგან ველარ არჩევდნენ. 27 იანვრის წინაღამეს დააპატიმრეს ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან არსებული მუშათა ჯგუფის წევრები — მენშევიკები გვოზდიოვი, ბროდო და სხვები. სულ თერთმეტი კაცი. ჯგუფს ბრალსა სდებდნენ იმაში. რომ იგი ამზადებდა მუშათა დემონსტრაციას 14 თებერვლისათვის და

„მიზნად ისახავდა რუსეთის გადაქცევას სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკადო“².

ხუთ თებერვალს გამოსცეს ბრძანება ჩრდილოეთის ფრონტიდან პეტროგრადის სამხედრო ოლქის განსაკუთრებულ ერთეულად გამოყოფის შესახებ. ოლქის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ს. ს. ხაბალოვი უაღრესად ფართო რწმუნებებით აღჭურვეს. მთავრობა რევოლუციასთან უღმობელი ბრძოლის პოზიციას დაადგა.

რევოლუციური ქარიშხლის პირველი ნიშნებისთანავე ლიბერალურ ბურჟუაზიაში სრული არევე-დარევა მოხდა. მისწყდა ლაპარაკი სასახლის გადატრიალებაზე. „ძალაუნებურად რევოლუციონერები“ მზად იყვნენ წასულიყვნენ „ოთახის“ რევოლუციაზე მასების მონაწილეობის გარეშე. ხალხის მასები კი უეცრად ქუჩაში გამოჩნდნენ. სათათბიროს მოლაყბებებს ლაპარაკიც აღარ უნდოდათ მოესმინათ თვითმპყრობელობაზე რაიმე სერიოზული ზემოქმედების მოხდენის შესახებ. ცოტახნის წინანდელმა შეთქმულებმა თავისი უახლოესი მოკავშირენიც კი გასცეს. მუშათა ჯგუფის დაპატიმრების მეორე დღეს შესდგა ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზე-



მუშათა დემონსტრაციის გარეკვა დიდ თეატრთან მოსკოვში 1917 წლის იანვარში.

ნახ. გ. სავიციასა.

დაც ა. ი. გუჩკოვსა და ა. ი. კონოვალოვს დაევალით — ეთხოვნათ მთავრობისათვის დაპატიმრებულთა ბედის შემსუბუქება. მენშევიკებს საუცხოო ატესტაცია მისცეს:

„არის მთელი რიგი ფაქტები. რომლებითაც მტკიცდება, რომ სხვადასხვა რაიონების მთელ რიგ ქარხნებზე მუშათა ჯგუფის ზეგავლენის წყალობით თავიდან აცილებულ იქნა მუშებსა და ადმინისტრაციას შორის წამოპრილი მწვავე კონფლიქტები“¹.

მაგრამ არავითარ გადამჭრელ ნაბიჯს არ სდგამდნენ. პირიქით, 29 იანვარს კომიტეტის ბიუროს შემდეგ სხდომაზე, სადაც ესწრებოდნენ ოაზნიციის ბელადებიც სათათბიროს წევრებიდან. მილიუკოვი ცინიკურად გაემიჯნა მუშათა ჯგუფის საქმიანობას და გაილაშქრა „ხალხის სტიქიის აშუების“ წინააღმდეგ. პროფესორი მილიუკოვი ევედრებოდა მუშებს არ გასულიყვნენ ქუჩაში; არ აპყლოდნენ „პროვოკაციას“. იგი მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ იმ დემონსტრაციისგანაც კი, რომლის მოწყობას მენშევიკები აპირებდნენ სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს — 14 თებერვალს. ბურჟუაზია ურჩევდა მუშებს თავი შეეკავებინათ გამოსვლებისაგან, ხოლო ამავე დროს ემუდარებოდა მეფეს ანგარიში გაეწია სახელმწიფო სათათბიროსათვის: პატარა-პატარა დათმობებით უნდოდათ თავიდან აეცილებინათ ხალხის უფრო გადამჭრელი მოთხოვნები.

დაფრთხალი ბურჟუაზიის მანევრებს წერილობრივადი პარტიები ფარავდნენ. მენშევიკების თვალსაზრისით ბურჟუაზიულ რევოლუციას მხოლოდ ბურჟუაზია შეიძლება ჩასდგომოდა სათავეში. ამისათვის ბურჟუაზიას ოდნავ უნდა წავუბიძგოთ ხოლმეო. მენშევიკები მოუწოდებდნენ მუშებს გამოსულიყვნენ 14 თებერვალს ქუჩაში სათათბიროს დასაცავად. დემონსტრანტებს ურჩევდნენ შეკრებილიყვნენ თავრიდის სასახლესთან — სათათბიროს სხდომათა ადგილთან. 29 იანვრის სწორედ იმ თათბირზე, რომელზედაც მილიუკოვი იყო, ჩხეიძეც გამოვიდა. მენშევიკთა ლიდერი უსაყვედურებდა ბურჟუაზიის ლიდერს, რომ იგი კულში მისჩანჩალებდა მოვლენებს.

„ეს ლახვარია მუშათა კლასისათვის, მაგრამ იცოდეთ, რომ მუშების დალუპვას თქვენი დალუპვაც მოჰყვებაო“¹,

ამინებდა ჩხეიძე ბურჟუაზიას და უბიძგებდა მას უფრო გადამქრელი ბრძოლისაკენ მეფესთან. მენშევიკთა ლეგალური ცენტრი მუშათა ჯგუფისა და სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქციის სახით რევოლუციური ხანძრის ჩამქრობთა როლში გამოდიოდა. როდესაც გამოირკვა, რომ ვაფიცვა შეიარაღებულ აჯანყებად იქცეოდა, მენშევიკებმა მოუწოდეს მუშებს არათუ იარაღის გამოყენებაზე აეღოთ ხელი, არამედ დემონსტრაციებისგანაც შეეკავებინათ თავი.

რევოლუციის გამცემა იმავე როლს თამაშობდნენ ესერთა ჯგუფებიც. კერენსკი ურჩევდა ბურჟუაზიას მეტი გამბედაობა გამოეჩინა. სათათბიროს გახსნის შემდეგ იგი ამბობდა:

„თუ თქვენ ჩვენს ქვეყანასთან ხართ, თუ თქვენ გესმით, რომ ძველ ხელისუფლებას და მის მსახურთ არ შეუძლიათ გამოიყვანონ რუსეთი შექმნილი კრიზისიდან, მაშინ გარკვევით უნდა გამოაცხადოთ თავი არა მარტო სიტყვიერად, არამედ საქმიანაც სახელმწიფოს დაუყოვნებლივ განთავისუფლების მომხრეებად და დაუყოვნებლივ გადახვიდეთ სიტყვიდან საქმეზე“².

კერენსკის, ისევე როგორც ჩხეიძეს, სწამდა, რომ ბურჟუაზიას თვითმპყრობელობასთან ნამდვილი ბრძოლის უნარი შესწევდა. ესერები მენშევიკების კვალდაკვალ ევედრებოდნენ ბურჟუაზიას ხელში აეღო მოძრაობის ხელმძღვანელობა და ამით თავიდან აეცილებინა რევოლუციური გრიგალი.

ბოლშევიკთა პარტიას თებერვლის რევოლუციამ ორგანიზაციულად შესუსტებულს მოუსწრო. ბევრი ორგანიზაცია განადგურებული იყო. ყველაზე მოჩინილი მუშაკები გადასახლებაში, კატორღაში, ემიგრაციაში იყვნენ. ლენინს შვეიცარიაში ეხუთებოდა სული. სტალინი შორს ციმბირში, ენისეის მხარის ტურუხანსკში იყო გადასახლებული. იქვე გადასახლებული იყო სვერდლოვიც.

მაგრამ თვითმპყრობელობამ ვერ მოახერხა ბოლშევიკური პარტიის გატეხა. ვერ მოახერხა მასებთან მისი კავშირის გაწყვეტა. ერთგულნი მარქსიზმის ძირითადი დებულებისა — მუდამ მასებთან, მუდამ მასების სათავეში — ბოლშევიკები ფრონტზე და ზურგში, ცენტრსა და პროვინციაში თავგანწირულად მეთაურობდნენ მებრძოლ პროლეტარიატს. საპრობილეებში ჩასმულთა, კატორღაში გაგზავნილთა ადგილზე დგებოდნენ ახალი ამხანაგები, დანაკლსა

შესავსებად ახალ-ახალი ძალები მოდიოდნენ. ბოლშევიკებმა ისიც კი მოახერხეს, რომ რუსეთში შეენარჩუნებინათ ხელმძღვანელი ცენტრი — ცენტრალური კომიტეტის ბიურო, სადაც ერთერთ ხელმძღვანელად ვ. მ. მოლოტოვი შედიოდა. ბოლშევიკური პარტიის გმირულმა ბრძოლამ თავისი შედეგები გამოიღო, მიუხედავად გაუგონარი ტერორისა. ბოლშევიზმის სულიკვეთებით აღზრდილ მოწინავე მუშებს რევოლუციური მგზნებარება შეჰქონდათ ყოველდღიურ პოლიტიკურ ბრძოლაში. ბოლშევიკთა იდეოლოგია სიცოცხლობდა მუშათა კლასში, იგი ამოძრავებდა მასებს თავიანთი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის. მხოლოდ ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მასებს ცარიზმის დამხობისაკენ შეიარაღებული ბრძოლის გზით.

წინააღმდეგ მენშევიკებისა, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს გაემართათ დემონსტრაცია სათათბიროს დასაცავად მისი გახსნის დღეს, ბოლშევიკები დემონსტრაციას ამზადებდნენ 10 თებერვლისათვის, სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის გასამართლების წლისთავზე. პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა ჯერ კიდევ 6 თებერვალს გაავრცელა ფურცლები, რომლებითაც გამოხვლისაკენ მოუწოდებდა მუშებს. 10 თებერვალს ქარხნების ნაწილი გაჩერებული იყო, მერე ნაწილი მხოლოდ სადილობამდე მუშაობდა. გაიმართა მიტინგები, პარტიამ 10 ათასი ფურცელი გაავრცელა. ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს მონაწილეობა შიელოთ 14 თებერვლის გაფიცვაში და თავისი ლოზუნგებით ჩაეტარებინათ იგი. ამ დღეს პეტროგრადში გაფიცული იყო 60 საწარმო რამდენიმე ათეული ათასი მუშით. პუტილოველები გამოვიდნენ წითელი დროშებით: „ძირს თვითმპყრობელობა! ძირს ომი!“ ვიბორგის რაიონის მუშები რევოლუციური სიმღერებით მიდიოდნენ ლიტეინი პროსპექტით. პოლიციამ სცადა ხელი შეეშალნა, მაგრამ უკუგდებულ იქნა. ქარხნებში მიტინგები იყო გამართული.

ლოზუნგები „სათათბიროს დასაცავად“ არ ყოფილა. გაფიცვა და დემონსტრაცია ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჩატარდა.



თავი მეორე.

თებაკვლის ბუჩუქაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია.

1.

აჯანყება საბახტო ქალაქში.

გაფიცვა მძლავრად ჩაღებოდა. მაგრამ იგი არ სწყვეტდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითად საკითხს — თვითმპყრობელობის დამხობას. იგი ამოძრავებდა და ამზადებდა მასებს ბრძოლის უმაღლესი ფორმისათვის — შეიარაღებული აჯანყებისათვის, ცხადპყოფდა, თუ რამდენად მომწიფდა რევოლუცია. ძველ რეჟიმს ლახვარი ჩასცა არა გაფიცვამ. თვითმპყრობელობა შემუსრა მუშათა და მათთან შეერთებულ ჯარისკაცთა საერთო გამოსვლამ.

თვითმპყრობელობის დამხობაში გადაწყვეტი როლი ითამაშა პეტროგრადმა, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი პროლეტარი იყო თავმოყრილი. 1917 წლის 18 თებერვალს გაიფიცა პუტილოვის ქარხნის ერთერთი სახელოსნო. ყველა საამქროში შესდგა მიტინგები. მუშებმა აირჩიეს დელეგაცია დირექციისათვის მოთხოვნების წარსადგენად. დირექტორი დათხოვნით დაემუქრა მუშებს. 22 თებერვალს ქარხანა დაიხურა. მეორე დღეს 20 ათასი პუტილოველი დაიძრა ქალაქისაკენ. წინაღღეს პეტროგრადში ძლიერი მღელვარება მოხდა სურსათის ნიადაგზე. პუტილოველების გამოჩენამ თითქოს ცეცხლზე ნავთი დაასხა. 23 თებერვალს მუშა-ქალის საერთაშორისო დღე იყო. ზოლშევიკთა პარტიამ გაფიცვისაკენ მოუწოდა მუშებს. გაფიცული იყო დაახლოვებით 90 ათასი მუშა. დღისით პეტროგრადის გარეუბნები დემონსტრანტების ხელში იყო. მასაში მუშა-ქალები სკარბობდნენ. ქალები სტოვებდნენ რიგებს, სადაც საათობით იღვნენ პურისათვის, და გაფიცულებს უერთდებოდნენ. დემონსტრანტები არა მარტო

თვითონ იყვნენ გაფიცულნი — ისინი სხვებსაც ხსნიდნენ სამუშაოდან. მუშების ვებერთელა მასა შემოერთდა სავაზნე ქარხანას, სადაც სამუშაოდან მოხსნა ხუთი ათასი კაცი. გამოსვლები მიმდინარეობდა ლოზუნგით „პური!“ უკვე საკმაოდ ბევრი იყო წითელი დროშები რევოლუციურა ლოზუნგებით, განსაკუთრებით ვიბორგის რაიონში, სადაც ბოლშევიკურმა კომიტეტმა ენერგიული მუშაობა გააჩაღა. როგორც პოლიცია იტყობინებოდა, დაახლოებით დღის 3 საათზე ოთხი ათასამდე კაცი შემოიქრა ვიბორგის მხრიდან სამპსონიევის ხიდით და ტროიციის მოედანი აავსო. მასაში ორატორები გამოჩნდნენ. ცხენოსანი და ქვეითი გოროდოვები ფანტავდნენ დემონსტრაციებს. მუშები ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი არ იყვნენ, რომ პოლიცია უკუეჭკიათ და რეპრესიების პასუხად ანადგურებდნენ პურის სავაჭროებს, სცემდნენ უფრო თავგამოდებულ გოროდოვებს.

სალამოს შეიკრიბა ვიბორგის რაიონის ბოლშევიკური კომიტეტი. დაადგინეს განეგრძოთ გაფიცვა და გადაეჭკიათ იგი საყოველთაო გაფიცვად.

მეორე დღეს, 24 თებერვალს, დემონსტრაციები ახალი ძალით განახლდა. გაფიცვა ფართოვდებოდა. უკვე 200 ათასამდე კაცი იყო გაფიცული. ხიდებზე საგულშაგოები იდგნენ, მაგრამ მუშები ყინულზე გადადიოდნენ. დემონსტრანტებმა განაპირა უბნებიდან წითელი დროშებით მიაშურეს ცენტრს — ნევის პროსპექტს. პოლიცია რომ ერთ ადგილას გაჰვანტავდა, ისინი მყისვე იკრიბებოდნენ მეორე ადგილას. რევოლუციური სიმღერები, შეძახილები „ძირს მეფე!“, „პური!“ განუწყვეტლივ გაისმოდა ნევის პროსპექტზე.

რადგან ჯარების კეთილსამედობა ჯერ კიდევ არ იყო შემოწმებული, მათ ფრთხილად აბამდნენ მოქმედებაში: მთელმა რიგმა ცალკეულმა შემთხვევებმა ცხადპყო, რომ ისინი უკვე გამოდიოდნენ მორჩილებიდან. ვასილიევის კუნძულზე კაზაკთა პატრულმა უარი უთხრა დახმარებაზე პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს, რომელსაც მასა შემორტყმოდა გარს: ზნამენსკის მოედანზე ხალხის მასამ ცხენოსანი გოროდოვები გარეკა. ყაზახები კი ამ დროს სრულ უმოქმედობას იჩენდნენ.

ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაადგინა ჯარისკაცები ჩაება აქტიურ ბრძოლაში.

წინა დღის ამბები მომეტებული ძალით განმეორდა პეტროგრადის ქუჩებში 25 თებერვალს. დაქსაქსული გაფიცვები საყოველთაო გაფიცვად იქცეოდნენ. მუშების შეტაკებები პოლიციასთან სულ უფროდაუფრო გააფთრებული ხდებოდა. მუშები უკვე არათუ თავს იცავდნენ. არამედ შეტევაზეც გადადიოდნენ, მთელ რიგ შემთხვევებში ჭრილობებს აყენებდნენ და ხოცავდნენ პოლიციის რაზმების მეთაურებს. მაგრამ ის გარემოება, რომ დემონსტრანტებს იარაღი არ ჰქონდათ, უპირატესობას აძლევდა პოლიციას. სალამოსათვის პოლიციამ ქუჩების განთავისუფლება და ერთგვარი „წესრიგის“ დამყარებაც კი მოახერხა. სამხედრო ოლქის სარდალმა ხაბალოვმა გამოაცხადა, მუშები 28 თებერვალს, სამშაბათს, მუშაობას უნდა შეუდგნენო, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალწვეულნი, რომელთაც სამხედრო სამსახურში წაყვანა გადადებული აქვთ, ფრონტზე გაიგზავნიანო.

თვითმპყრობელობის ძლიერება. თითქოს, კიდევ არ იყო შერყეული, მაგრამ უკვე გამოჩნდა მისი დამსხვრევის მრისხანე ნიშნები. ეს ის შემთხვევები იყო, როცა ჯარები უარს ეუბნებოდნენ დახმარებაზე პოლიციას და პირდაპირ მის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ. ყაზანის ტაძართან დონის კაზაკთა მე-4 პოლკის ოცეულმა გაანთავისუფლა შეპყრობილი მოქალაქენი და სცემა გოროდოვოებს. რომელნიც იმ ეზოს იცავდნენ, სადაც დაპატიმრებულები ჰყავდათ. ვიბორგის მხარეზე დონის 1-ლი პოლკის კაზაკებმა უკან დაიხიეს და ნაკრები რაზმის მეთაური პოლკოვნიკი შალფეევი და გოროდოვოები ხალხის პირასპირ მიატოვეს. ზნამენსკის მოედანზე კაზაკებმა უკან დაახვეინეს პოლიციელებს, რომელნიც მიტინგის გარეკას ცდილობდნენ, ამასთან მოკლულ იქნა ბოქაული კრილოვი. სხვებზე ადრე სწორედ ის კაზაკები გადავიდნენ მუამბოხეთა მხარეზე, რომელთა პეტროგრადში დატოვებას ყოველნაირად ცდილობდნენ მეფის მახლობლნი და ამის შესახებ დაეა ჰქონდათ უმალღესი სარდლობის ბანაკთან.

არმიის ურჩობის პირველ გამოვლინებებზე ასე მოგვითხრობს წითელგვარდიელი პ. დ. სკურატოვი, პუტილოვის ქარხნის მუშა:

„ჩვენ დავირახმეთ ბოგომოლოვსკაიას ბოლოში მცირე ჯგუფად, 300—400 კაცი, შემდეგ კი, როდესაც პეტერპოლის გზატკეცილზე გამოვედით. ძუშების ვეებერთელა მასა შემოგვიერთდა. ჯოხებს წითელი ხელსახოცები გავუკეთეთ — გაჩნდა წითელი დროშა — და „მარსელიოზის“ სიმღერით დავიძარით ნარვის კიშკრისკენ. უშაკოვის ქუჩამდე რომ მივედით, შემოგვიტია პოლიციის ცხენოსანმა რაზმმა, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ გვირტყამდა და იძულებული გავხდით გავფანტულიყავით... ნარვის კიშკართან კვლავ ათასობით მოიყარეს თავი პუტილოველებმა და ქიშურის ქარხნის მუშებმა. გადავწყვიტეთ ორგანიზაციული ხასიათი მიგვეცა მსვლელობისათვის. წინ ვინც იყო, ხელი-ხელს ჩაჰკიდეს და ისე მიდიოდნენ... საღვთაიდან ნევის პროსპექტისაკენ გადავუხვიეთ თუ არა, დაეინახეთ. რომ ანიჩკოვის სასახლიდან ჩვენს წინააღმდეგ ხმალამოწვდილი ცხენოსანთა ესკადრონი მოაქენებდა. გზა მივეით და მათ ჩვენს შორის გაიარეს. ორგანიზებულად შევძახეთ „ურა“, მაგრამ მათ არავითარი პასუხი არ გაუციათ.

ლიტენინი პროსპექტამდე რომ მივედით, ვიბორგის რაიონის მუშებს შევხვდით და მათთან ერთად განეგრძეთ მსვლელობა ზნამენსკის მოედნისაკენ. იქ საერთო მიტინგი გაიმართა. ამ დროს ბალაბინის სასტუმროს უკანა მხრიდან გამოვარდა პოლიციის ცხენოსანი რაზმი, და წინ მყოფმა ბოქაულმა მხარეზე ხმალი დაჰკრა ქალს, რომელსაც დროშა მიჰქონდა — ეს ქალი ჩვენი ქარხნის სააედმყოფო სალაროში მუშაობდა. ბოქაულს წასვლა აღარ დასცალდა — ცხენიდან გადმოვიღეთ, წვათრიეთ და ფონტანკაში გადავისროლეთ. „ცენტრალური სასტუმროს“ მხრიდან ლიგოვკაზე კაზაკები მოაქენებდნენ, მაშინ გოროდოვოები გაბრუნდნენ და სუვოროვის პროსპექტით უკან წავიდნენ, კაზაკები კი ჩვენს უკან წამოვიდნენ.

ჩვენ ვმსჯელობდით, თუ რას ნიშნავდა, რომ ჯარებს შორის შეუთანხმებლობა დაიწყო და გამოგვყავდა დასკვნა: მაშასადამე, რევოლუციამ გაიმარჯვა-თქო“¹.

მაგრამ ასეთი დასკვნის გამოყვანა ნაადრევი იყო. ჯარები კიდევ მოქმედებდნენ პოლიციასთან ერთად. დღის ბოლოსათვის პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალმა ხაბალოვმა უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსს აცნობა: „ბრბო გაფანტულია“. სალამოს ხაბალოვმა უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან მიიღო განკარგულება:

„გიბრძანებ ხვალვე შესწყვიტოთ სატახტო ქალაქში უწყსრიგობა, რომელიც დაუშვებელია გერმანიასთან და ავსტრიასთან ომის მძიმე პერიოდში. ნიკოლოზ II“¹.

მეფის ბრძანებამ ააღიღვა ხაბალოვი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საგამომძიებლო კომისიაში დაკითხვაზე მან აღიარა:

„ამ დეპეშამ — როგორ გითხრათ? — გულახდილად და მართლად რომ მოვიქცე: კეტრით დამკრა თავში... როგორ შევეწყვიტო ხვალვე? ნათქვამია: „ხვალვეო“... რა ვქნა? როგორ შევეწყვიტო? როდესაც ამბობდნენ: „პური მოგვეცითო“, — მივეცით პური, და გათავდა. მაგრამ როდესაც დროშებზე წარწერა „ძირს თვითმპყრობელობა“, რალა პური დააწყენარებს? მაშ რა ვქნა? მეფემ მიბრძანა. უნდა ვესროლოთ“².

ხაბალოვმა პოლკების მეთაურობასა და პოლიციის უბნების უფროსებს უბრძანა, სამეზის გაფრთხილების შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღი იხმარეთო. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსეევმა განკარგულება მისცა ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტების მთავარსარდლებს დაუყოვნებლივ მოემზადებინათ პეტროგრადში გასაგზავნად თითო ბრიგადა ცხენოსანი ჯარი. იგი პირდაპირი მავთულით ელაპარაკებოდა ჩრდილოეთის ფრონტის შტაბის უფროსს:

„მომენტი მრისხანეა, და საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს საიმედო ჯარების ჩამოსვლის დასაჩქარებლად. ამაში მდგომარეობს ჩვენი შემდეგი მერმისის საკითხი“³.

ოხრანკის განყოფილება ამას არ დასჯერდა და ღამით 25—26 თებერვლისთვის პეტროგრადის ყველა საპყრობილე აავსო ოდნავად მინც საეკვო ელემენტებით. დააპატიმრეს ბოლშევიკთა პეტერბურგის კომიტეტის ხუთი წევრიც. ბრძოლის ხელმძღვანელობა ბოლშევიკთა ვიბორგის რაიონული კომიტეტის ხელში გადავიდა. მასობრივი დაპატიმრებებით, ფრონტიდან შეიარაღებული მაშველი ძალის გამოწვევით ემზადებოდა ცარიზმი რევოლუციის შესახვედრად.

26 თებერვლის დღე თითქოს უფრო სიწყნარით დაიწყო, ვიდრე წინა დღეები. კვირა იყო, და მუშები უფრო გვიან გამოვიდნენ ქალაქში, ვიდრე წინა დღეს. ქუჩებს სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. გარეგნული დაწყენარებით შეცდომაში შეყვანილმა ხაბალოვმა მორიგი ძლევისმამუწყებელი დეპეშით აცნობა უმაღლესი სარდლობის ბანაკს:

„დღეს, 26 თებერვალს, დილიდან ქალაქში სიწყნარეა“⁴.

მთავრობის ჯარები ქალაქის ცენტრში იყვნენ თავმოყრილნი. მაღალი სახლების სახურავებზე, პოლიციის საუბნო სამმართველოებში გამზადებული ტყვიამფრქვევები იდგა. მეფის ხელისუფალთა გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვედროდნენ მუშებს. ნევა იზოლირებული იყო მუშათა რაიონებისაგან პოლიციელთა და სამხედრო საგულშაოებით. შუადღისათვის ქალაქის ცენტრისაკენ — ნევის პროსპექტისაკენ — თანდათანობით შეკრა იწყეს მრავალრიცხოვანმა დემონსტრანტებმა, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ.

ქარხნები ნევის პროსპექტისაკენ მიდიოდნენ, მიისწრაფოდნენ შეკბომდნენ მტერს სატახტო ქალაქის შიგ გულში. მათ უღმობელი ცეცხლით შეხვდნენ. ნევის პროსპექტზე გავლა არ შეიძლებოდა. მთელ დღეს სროლა იყო.

ვოლინის პოლკის სასწავლო კომანდის ერთერთი ჯარისკაცი ასე გვიამბობს ვოლინელთა მონაწილეობას მუშათა დემონსტრაციის დახვერტაში:

„აი კომანდა უკვე ადგილზეა. მუშებმა ნიკოლოზის ვაგზლის მთელი მოედანი დაიკავეს. ჯარისკაცებს ჯერ კიდევ მაინც იმედი აქვთ. რომ ისინი მხოლოდ საჩვენებლად, დასაშინებლად გამოიწვიეს. მაგრამ ვაგზლის საათზე საათის ისარმა თორმეტს რომ მიადწია, ჯარისკაცთა ექვები გაიფანტა — უბრძანეს ესროლონ. გაისმა ერთბაში სროლა. მუშები ყოველი მხრისაკენ მიაწყდნენ. პირველ სროლას თითქმის არავინ დაუზიანებია: ჯარისკაცები თითქოს ერთმანეთს პირობა მისცესო, მაღლა ისროდნენ. მაგრამ აი აკაკანდა ტყვიამფრქვევი, რომელიც ოფიცრებმა მიმართეს ხალხის წინააღმდეგ, და მუშათა სისხლით შეიღება თოვლით დაფარული მოედანი. ხალხმა უწყსრიგოდ მიაშურა ეზოებს, თან ერთმანეთს ფეხქვეშ სთელავდნენ. ცხენოსანი ჟანდარმერია შეუდგა პოზიციიდან უკუგდებული „მტრის“ დევნას, და ამ დევნამ გვიან ლამემდე გასტანა. მხოლოდ შაშინ წაიყვანეს ჯარის ნაწილები ყაზარმებში. ჩვენი კომანდა შტაბს-კაპიტან ლაშკევიჩის ხელმძღვანელობით ლამის სრულ პირველ საათზე დაბრუნდა ყაზარმაში“.

ოხრანკის განყოფილების ცნობით მარტო ზნამენსკის მოედანზე ამ დღეს პოლიციამ აპკრიფა 40-მდე მოკლული და დაახლოვებით ამდენივე დაქრილი, იმათ გარდა, რომლებიც დემონსტრანტებმა თან წაიღეს.

სიწყნარით დაწყებული 26 თებერვლის დღე აშკარა სამოქალაქო ომით დამთავრდა. დამახასიათებელია, რომ პავლოვის პოლკის სათადარიგო ათასეულის მე-4 ასეულმა. მუშათა დახვერტაში თავისი პოლკის სასწავლო კომანდის მონაწილეობით: აღშფოთებულმა, სროლა აუტეხა ცხენოსანი გოროდოვების რაზმს. რადგან ამ ასეულს სხვა ნაწილებმა მხარი არ დაუჭირეს, იგი გასტეხეს და იარაღი დააყრევინეს — მხოლოდ 21 კაცი შაშხანებით წავიდა აჯანყებულ ხალხთან. ოფიცრებმა 19 მეთაური დაიჭირეს. დაპატიმრებულნი პეტრე-პავლეს ციხის ტრუბუცკოი ბასტიონში ჩასვეს. მათ დახვერტა მოელოდა.

სამოქალაქო ომის პირველი დღე ცარიზმის გამარჯვებით დამთავრდა.

სალამოს ქალაქი გაწმენდილი იყო დემონსტრანტებისაგან — „უმაღლესი ბრძანება“ ამ შემთხვევაშიაც შესრულებულ იქნა.



„მუშები და განსაკუთრებით მუშა-ქალები მკიდრო
რკალივით გარსშემოერთმოდნენ ხოლმე ჯარისკაცებს.

ნახ. ა. ვანციანისა.

მაგრამ თვითმპყრობელობის დამცველებმა ვერ შეამჩნიეს მუშათა მასის გავლენა ჯარებზე, რომელნიც დემონსტრანტებს ესროდნენ. პროლეტარიატის რევოლუციური ზეგავლენა გაცილებით უფრო მაღალი იყო თვითმპყრობელობის მიერ მიღწეულ გამარჯვებაზე. ჯარისკაცების გაბოროტება თავიანთ მეთაურთა წინააღმდეგ ყოველი ახალი გასროლის შემდეგ იზრდებოდა. სწორედ ეს ვერ შეამჩნიეს „გამარჯვებულებმა“, იმდენად შეჩვეული იყვნენ ისინი ჯარისკაცთა სიძულვილს.

პროლეტარიატმა ფართოდ გამოიყენა 1905 წლის რევოლუციის ძირითადი გაკვეთილი — ჯარისათვის ბრძოლის აუცილებლობა. მუშები და განსაკუთრებით მუშა-ქალები მკიდრო რკალივით გარს შემოერთმოდნენ ხოლმე ჯარისკაცებს. ისინი ხელს უტაცებდნენ ჯარისკაცებს ხიშტებზე და ურჩევდნენ თავის ძმებს არ ჩაეხრჩოთ რევოლუცია მუშათა სისხლში. ჯარისკაცები ერთეულებად და პატარა-პატარა ჯგუფებად სცილდებოდნენ საერთო მასას. აჯანყებულნი მხურვალედ აგონებდნენ მათ. ცოტა ხნის წინათ მობილიზებული ჯარისკაცები — სატახტო ქალაქის გარნიზონის მეტი ნაწილი მე-2 თანრიგის მოლაშქრეთაგან ან უკანასკნელი გაწვევის ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა — მწვავედ განიცდიდნენ მუშათა აღელვებას. ჯარისკაცები მოლუშულად იდგნენ და სდუმდნენ, შეწუხებულნი იბრუნებდნენ პირს მოწოლილი მასისაგან, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ რევოლუციური განწყობილება მათაც ედებოდა. ზოგიერთი ჯარისკაცი უკვე ცდილობდა თავი დაეცვა საყვედურებისა და ბრალდებებისა-

გან. ზოგი გაბოროტებით მიუთითებდა ოფიცრებზე, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ უმწურო ხალხის დახვეწაში. სხვები პირდაპირ ურჩევდნენ, უფრო მაგრად მოგვაწვეითო, და დაცილილ შაშხანებს უჩვენებდნენ.

პროლეტარათა სიმტკიცესა და თავგანწირულებას რყევა შეჰქონდა ჯარში, თანაგრძნობას იწვევდა ჯარისკაცებში.

პავლოველთა ადვილად ჩახშობამ თავისი ძალის რწმენა შესძინა მეფის ხელისუფალთ. შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოპოვი გულზე მოშვებით სწერდა მეფეს:

„ჯარები გულმოდგინედ მოქმედებდნენ, გამონაკლისს შეადგენს პავლოვის პოლკის მე-4 ევაკუირებული ასეულის დამოუკიდებლად გამოსვლა“¹. მოხსენების ბოლოს პროტოპოპოვი თავხედურად სტყუოდა:

„27 თებერვალს მუშების ნაწილს განზრახული აქვს მუშაობას შეუღესო“².

ეს გულდაჯერებული სიტყუე მოწმობდა, თუ რამდენად ნაკლებად ერკვეოდნენ გონებალუნგი ჯანდარმები გაჩაღებულ მოვლენებში.

გათავხედებულმა მეფის სატრაპებმა საჩქაროდ უკან წაიღეს ის უმნიშვნელო დათმობებიც, რომლებზეც წინა დღეებში წავიდნენ. პეტროგრადის ქალაქის უფროსმა გააუქმა თავისი გადაწყვეტილება სასურსათო საქმის ქალაქის სათათბიროსათვის გადაცემის შესახებ. სახელმწიფო სათათბირო, რომლის სხდომებზე მოელოდნენ შეკითხვას 26 თებერვალს მომხდარ დახვეწათა შესახებ. მეფის ბრძანებით დაითხოვეს. ეს უქაზი გამზადებული იყო ჯერ კიდევ 1916 წლის ნოემბერში. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვალიცინს რომ გადასცა იგი, მეფემ უთხრა:

„შეინახეთ თქვენთან, ხოლო როცა საჭირო იქნება, გამოაყენეთო“³.

მინისტრები ტყუილად ჩქარობდნენ. სახელმწიფო სათათბირო ამ შფოთიან დღეებში გულს იოხებდა შეკითხვებით მთავრობისადმი, მაგრამ არა დახვეწათა გამო. არამედ პეტროგრადში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ. მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის დაფრთხალ წარმომადგენელთ — როდიჩეის, კერენსკის, ჩხეიძეს. — ყურებში თითი დაეცოთ და თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს არ ესმოდათ ქუჩებში ხალხის დახვეწა, და თავის მორიგ შელოცვებს წარმოსთქვამდნენ ცარიზმის მისამართით. მოპოლიტიკანო ინტელიგენტები გონებადაბნეულნი დარბოდნენ ბინიდან ბინაში — უქანასკნელი „ახალი ამბების“ გასაგებად.

სხვებზე რამდენადმე უკეთ ესმოდა მოვლენათა სიღრმე და ტრაგიკულობა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკოს. როძიანკომ, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მონარქიასთან, ალლოთი იგრძნო, რომ დადგა მონარქიის სრული დამხობის ეამი. იგი ევედრებოდა ნიკოლოზ II-ს შეექმნა ახალი, ქვეყნის „ნდობით“ აღჭურვილი მთავრობა.

„ყოველგვარი დაყოვნება სიკვდილს უღრის, — ტელეგრაფით მოახსენებდა იგი მეფეს. — ვევედრები ღმერთს, რომ ამ ეამს პასუხისმგებლობა გვირგვინოსანს არ დაეკისროსო“⁴.

მაგრამ მეფემ თავიდან მოიშორა ზედმეტად ერთგული მსახური. დეპეშის პასუხად ნიკოლოზმა სასახლის მინისტრს ფრედერიკს აცნობა:

„ამ ბლენძმა რომიანკომ კვლავ მომწერა სხვადასხვა სისულელე, რაზე-
დაც მას პასუხსაც არ ვაეცემ“².

2.

თბაქვლის რევოლუციის გამარჯვება.

სანამ ზევით გაპარჯვებულნი ზეიმობდნენ, რევოლუციის დანაკარგებს ითვ-
ლიდნენ და ახალი იერიშისათვის ძალებს იკრებდნენ, ძირს გაჰალებული მუ-
შაობა სწარმოებდა. მუშები ქარხნიდან ქარხანაში გადადიოდნენ და დაწვრი-
ლებით გადასცემდნენ სისხლიან ამბებს. დღისით მომხდარ დახვერტათა მოწმე-
ნი მოუთხრობდნენ უნდარძოთა ველურ მძვინვარებაზე, და სიძულვილს უნერ-
გავდნენ მსმენელთ, უღვივებდნენ მგზნებარე სურვილს ანგარიში გაესწორები-
ნათ ჯალათებთან. მუშა-ქალები, რომლებსაც დემონსტრაციის შემუსვრის
სცენები ენახათ, ახალი ბრძოლისათვის აღაფრთოვანებდნენ თავის ძმებსა და
ქმრებს.

ლამით ყაზარმებში ყრუ მღელვარება იყო. ჯარისკაცები ერთმანეთს უზია-
რებდნენ განვლილი დღის შთაბეჭდილებებს და სულ უფროდაუფრო ნათლად
ერკვეოდნენ მიმდინარე ამბების ხასიათში.

ამ გახურებულ რევოლუციურ ბრძოლათა დღეებში ბოლშევიკები ყველგან—
ფაბრიკებსა და ქარხნებში, ყაზარმებსა და ქუჩებში — დაულალავად ეწეოდნენ
აგიტაციას და მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ, აერთიანებდნენ და რაზმავდნენ
მუშებსა და ჯარისკაცებს. ოხრანკის მიერ განადგურებულ ხელმძღვანელ ცენტ-
რებს მოწვევტილნი, ბოლშევიკები ჰქმნიდნენ ადგილობრივ ცენტრებს საწარ-
მოებში, სწრაფად აბამდნენ კავშირს. გადასცემდნენ მუშებს თავიანთ სიმამა-
ცეს და გამარჯვების რწმენას.

„მე აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი გამოსვლის წინადღეს, ე. ი. ლამით
25 თებერვლისთვის, — მოგვითხრობს პეტროგრადელი მუშა, რომელიც გა-
ფიცავს მონაწილეობის გამო არმიაში გაიწვიეს. — ჯარისკაცთა თათბირ-
ზე დაეადგინეთ შევერთებოდით მუშებს 1-ლ სემიონოვის პოლკთან ერთად,
რათა ამით გამოგვესწორებინა ცხრაას-ხუთი წლის შეცდომა. მაგრამ მეო-
რე დღით აღმოჩნდა, რომ სემიონოვის ფორმა უნდარძოებს გადაეცათ, ხო-
ლო პოლკი თავის ყაზარმებში ჩაეკეტნათ“².

ამავე დღეს, 26 თებერვალს, სხდომა ჰქონდა ვიბორგის რაიონის ბოლშევი-
კურ კომიტეტს, რომელზეც გადავიდა ხელმძღვანელობა პეტერბურგის კომი-
ტეტის დაპატიმრების შემდეგ. ამხანაგები ადგილებიდან აღნიშნავდნენ რევო-
ლუციური განწყობილების ზრდას და ბრძოლის განგრძობისათვის მზადყოფნას.
რაიკომმა დაადგინა: გაჩაღებულიყო შეიარაღებული ბრძოლა, ხელში ჩაეგდოთ
იარაღის საწყობები, იარაღი აეყარნათ გოროდოვოებისათვის.

პროლეტარიატის თავგამოდებულმა დემონსტრაციებმა, რომლებსაც პირდაპირ ხვრეტდნენ, მუშების დაკავშირებამ ჯარისკაცებთან, დასასრულს, ბოლშევიკთა პირდაპირმა გავლენამ, რომელნიც ხშირად თვით ყაზარშებში შესვლას ახერხებდნენ, ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ სამხედრო ნაწილების ურჩობის შემთხვევები აშკარა ბუნტად გადაიქცა: ჯარისკაცები გამოდიოდნენ მეთაურთა წინააღმდეგ, როგორც გლეხები მემამულეთა წინააღმდეგ. ლამით 26 — 27 თებერვლისთვის ვოლინის პოლკის სასწავლო კომანდამ, რომელიც წინააღმდეგ ზნამენსკის მოედანზე მუშებს თოფს უშენდა, გადასწყვიტა უარი ეთქვა დემონსტრანტების წინააღმდეგ იარაღის ხმარებაზე. მაგრამ ეს თითქოს პასიური წინააღმდეგობა მეთაურებისადმი მოულოდნელად აქტიურ გამოსვლად გადაიქცა. როდესაც დილით ადრე ყაზარშებში სასწავლო კომანდის უფროსი გამოცხადდა უმცროსი ოფიცრის თანხლებით, ისინი „ურას“ ძახილში მოჰკლეს შაშხანების სროლით — ისე ღრმად წავიდა რევოლუციის გავლენა: გლეხის მრავალსაუკუნოებრივმა სიძულვილმა, ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი მებატონის წინააღმდეგ, უღმობელი გააფთრებით იჩინა თავი.

ვოლინის პოლკის აჯანყების მონაწილე ასე მოგვითხრობს რევოლუციის ამ განსაკუთრებულ მომენტზე:

„უნტერ-ოფიცრმა კირპინიკოვმა წაგვიკითხა ბრძანება — ხეალ დილით 7 საათზე კვლავ დაგვეწყო კომანდა. ამ დროს ყაზარშის შორეულ ბნელ კუნძულში შეიკრება თვრამეტი კაცი — უფრო აქტიური მერიგენი, რამდენიმე ოცმეთაური და ათმეთაური დაბალ მსახურთაგან, მხურვალედ მსჯელობდნენ მდგომარეობაზე, და თვრამეტივემ საბოლოოდ გადასწყვიტეს: ხეალ ყველაფერი ჩვენებურად შევატრიალოთ! დასახეს მოქმედების პროგრამა: კომანდა დაეაწყოთ არა დილის 7 საათზე, როგორც შტაბს-კაპიტანმა ლაშკევიჩმა გვიბრძანა, არამედ 6 საათზე, ამ ხნის განმავლობაში კი მთელი კომანდა მივიზნოთო...“

უკვე ინათა, როდესაც თვრამეტივე წყნარად, რამდენიმე წუთში წავიდ-წამოვიდა თავ-თავიანთ ადგილებზე.

27 თებერვალს დილის 6 საათზე კომანდა — 350 კაცი უკვე დაწყობილი იყო. გამოვიდა კირპინიკოვი, დაასურათა საერთო მდგომარეობა და განმარტა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და რა უნდა ვაკეთოთო.

აგიტაცია თითქმის საჭირო აღარ იყო. პროპაგანდაგაწეული ჯარისკაცები თითქოს მხოლოდ ამას უცდიდნენ, და ყველა მებრძოლმა მტკიცე თანხმობა განაცხადა მხარი დაეჭირა მუშებისათვის.

— თუ სიკვდილია, სიკვდილი იყოს, — ამბობდნენ ისინი, — მაგრამ ჩვენებს არ ვესვრიოთ.

ამ დროს კორიდორში ღეზების ელარუნი გაისმა.

კომანდა გაინაბა და ერთი წუთით დადუმდა.

შემოვიდა პროპორშიკი კოლოკოლოვი, ყოფილი სტუდენტი, რომელიც პოლკში ამასწინათ მოვიდა. მის მისალმებას კომანდამ ჩვეულებრივი წე-

სით უპასუხა. მის შემდეგ შემოვიდა მეთაური ლაშკევიჩი. ყველანი გაინაბა. სიჩუმე გამეფდა.

მისალმებაზე „გამარჯობა, ძმებო!“ იგრილა „ურამ“ — ასე შევთანხმდით წინასწარ.

„ურა“ რომ მიწყნარდა, ლაშკევიჩმა თითქოს რაღაც იგრძნო, მაგრამ ერთხელ კიდევ გაიმეორა მისალმება და კვლავ გაისმა მძღავრი და მრ. სხანე „ურა“.

ლაშკევიჩი მიმართავს უნტეროფიცერ მარკოვს და რისხვით ეკითხება, რას ნიშნავს ესო.

მარკოვმა შეწხანა მოიმარჯვა და მტკიცედ უპასუხა: „ურა“ — ეს სიგნალია, რომ თქვენს ბრძანებებს აღარ დავემორჩილოთ!“

ყაზარმის ასფალტის იატაკზე ასტყდა თოფის კონდახების რახარუხი, აჩხაკუნდა საკეტები. „წადი, სანამ ცოცხალი ხარ!“ — უყვირეს ჯარისკაცებმა.

ლაშკევიჩმა სცადა დაეყვირნა:

„სმენა!“ მაგრამ მის კომანდას ყური

არავინ ათხოვა. ლაშკევიჩმა ითხოვა აღედგინათ წესრიგი, რათა წაეკითხა გენერალ ხაბალოვისაგან მიღებული „მისი უდიდებულესობის ნიკოლოზ II-ის“ დეპეშა, მაგრამ ამან არაერთარი ზეგავლენა არ მოახდინა ჯარისკაცებზე.

რაკი კომანდის დაწყნარების იმედი დაჰკარგეს, ლაშკევიჩი და კოლოკოლოვი კარში გავარდნენ. დერეფანში შეხვდნენ პრაპორშჩიკ ვორონცოველიამინოვს, და სამივენი გაიქცნენ. მარკოვმა და ოროლოვმა სწრაფად გამოაღეს სარკმელი ფანჯარაში, მომართეს შაშხანები და როდესაც სამი ოფიცერი ფანჯარას გაუსწორდა, ორმა თოფმა იგრილა.

ლაშკევიჩი უსულოდ გაიშხლართა კიშკარში. სხვა ოფიცრები კიშკარში გავარდნენ და მაშინვე შეატყობინეს ბუნტი პოლკის შტაბს.

მთელმა ოფიცრობამ მყისვე მიატოვა პოლკი და თან წაიღო სალარო და დროშა.

გზა თავისუფალი იყო. მთელი რაზმი კირპიჩნიკოვის მეთაურობით ეზოში გამოვიდა.

ჰაერში გასროლით ვანგაშის სიგნალი მისცეს. ჰაუპტვახტიდან დაპატიმ-



ლეიბ-გვარდიის ვოლინის პოლკის უნტეროფიცერი კირპიჩნიკოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა ვოლინელების შეიარაღებულ აჯანყებას.

რებულნი გაანთავისუფლეს. დაუყოვნებლივ გაგზავნეს დელეგატები უახლოეს კომანდებში წინადადებით — შემოერთებოდნენ ჩვენს აჯანყებულ ნაწილს. პირველი უყოყმანოდ გამოგვეხმაურა და შემოგვეერთდა ევაკუირებულითა ასეული 1000 კაცის შემადგენლობით. მოკლე ხნის შემდეგ მოსამზადებელი სასწავლო კომანდა შემოგვეერთდა“¹.


ჯარისკაცებს შორის მუშები გამოჩნდნენ.

ვოლინელები ქუჩაში გამოცვიდნენ. „ურას“ ძახილით, ჰაერში სროლით, ისინი დაიძრნენ მეზობელი პოლკებისაკენ — პრეობრაჟენსკისა და ლიტვის პოლკებისაკენ. მათ ყაზარმებთან რომ მივიდნენ, იქ წამში გააღვივეს გლეხთა სიძულვილი მემამულის წინააღმდეგ. აქაც დახოცეს პოლკის მეთაურები. პრეობრაჟენელები და ლიტველები ვოლინელებს შეუერთდნენ და შეიარაღებულ მასად გაემართნენ ვიბორგის რაიონისაკენ, პეტროგრადის რევოლუციური ხანძრის მთავარი კერისაკენ. ვიბორგის მხრიდან მუშები დილიდანვე ზეგვივით შოდიოდნენ ნევის ყინულზე. შუადღისას ვიბორგელებმა გადათელეს მოსკოვის პოლკის ასეული, რომელიც ლიტენინი ხიდს ტყვიამფრქვევებით იცავდა. და მიაშურეს ქალაქს, თან ჯარისკაცებიც გაიყოლიეს. გზაში იერიშით აიღეს არსენალი. იქვე სახელდახელოდ დაიწყო რაზმების ჩამოყალიბება. ერთ საათში 40 ათასამდე შაშხანა გაინაწილეს. მოხდა ჯარისკაცთა არაორგანიზებული ბუნტის უშუალოდ შეერთება რევოლუციურ პროლეტარულ მოძრაობასთან. შეიარაღებული მუშები სათავეში ჩაუდგნენ აჯანყებულ ჯარისკაცებს. მოძრაობა იქცა რევოლუციად, რომელიც შეიარაღებული ხელით ამხოზდა ცარიზმს.

ჯარისკაცთა ბუნტი და მუშათა დემონსტრაციები სრულებითაც არ ყოფილა შემთხვევითი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გზები თებერვლის რევოლუციისა. მუშათა დემონსტრაციები ამ ზადებდნენ და აღვივებდნენ ჯარისკაცთა ბუნტს იმ დღეებში, როდესაც ჯარი კიდევ ემორჩილებოდა მეფის ხელისუფალთ. მუშათა პოლიტიკური ხელმძღვანელობის გარეშე ჯარისკაცთა მასობრივი აჯანყებაც არ მოხდებოდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ვოლინელები და ლიტველები გაემართნენ არა ცენტრში და არა სათათბიროში, არამედ ვიბორგის მუშათა რაიონში. მაგრამ როგორც მუშათა გამოსვლა, ისე ჯარისკაცთა ამბოხება უკვე დიდიხანია მზადდებოდა ბოლშევიკთა პარტიის თავგამოდებული და თავგანწირული მუშაობით. ბოლშევიკური პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა ჯერ კიდევ თავის დაპატიმრებამდე დაბეჭდა ფურცელი:

„ლოდინი და დუმილი აღარ შეიძლება. მუშათა კლასმა და გლეხებმა, რუხ ფარაჯებსა და ლურჯ ბლუზებში გამოწყობილებმა, ხელი-ხელს უნდა მისცენ და გაუმართონ ბრძოლა მეფის მთელ ხროვას. რათა სამუდამოდ მოუღონ ბოლო იმ სამარცხვინო მდგომარეობას, რომელიც რუსეთს სულს უხუთავს... დადგა დრო აშკარა ბრძოლისა“².

პარტიის მიერ წარმართული ორივე ნაკადი ერთმანეთისაკენ მიემართებოდა და თანდათან უახლოვდებოდა ერთმანეთს, სანამ ძღვეამოსილ რევოლუციად აო შეერთდა.



ჯარისკაცთა დემონსტრაციები პეტროგრადში თებერვლის დღეებში.

მალე ქალაქი აივსო საბარგო და მსუბუქი ავტომობილებით, რომლებზედაც შეიარაღებული ჯარისკაცები და მატროსები ისხდნენ. ჟანდარმებს და ჯიუტ ოფიცრებს იქერდნენ, იარაღს ჰყრიდნენ და ბრძოლის ცეცხლში სპობდნენ მათ. საპრობილეები გაანადგურეს. ასეულობით აქტიური რევოლუციონერები გამოვიდნენ ჩქიდან და მყისვე დაიკირეს თავისი ადგილა მებრძოლთა შორის.

იწოდა პოლიციის საუბნო სამმართველოები. დაუსრულებელი „ურა“ ჰქუხდა და რაიონიდან რაიონში გადადიოდა.

იმართებოდა მოკლე, მქუხარე მიტინგები. ხელიდან ხელში გადადიოდა ბოლშევიკთა ფურცლები.

„ყველას მოუწოდეთ ბრძოლისაკენ. — ნათქვამი იყო ბოლშევიკთა პეტრობურგის კომიტეტის მოწოდებაში. — უმჯობესია დაიღუპო სახელოვანი სიკვდილით მუშათა საქმისათვის ბრძოლაში, ვიდრე ფრონტზე დასდო თავი კაპიტალისტთა მოგებისათვის ან შიმშილითა და აუტანელი მუშაობით გამოიფიტო... ყველანი რევოლუციის წითელი დროშების ირგვლივ! ძირს შეფის მონარქია! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!.. მემამულეთა მთელი მიწა ხალხს!.. ძირს ომი!.. გაუმარჯოს სოციალისტურ ინტერნაციონალს!“¹.

მეფის მინისტრებს მარიაშის სასახლეში ჰქონდათ სხდომა. ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები აჯანყების შესახებ. ყაზახთა პატრულები იტყობინებოდნენ. მთავრობის რაზმი — ათასი კაცი, რომელიც პოლკოვნიკ კუტეპოვის მეთაურობით ვოლინელთა წინააღმდეგ გაგზავნეს, წინ წაწევას ვერ ახერხებს. ჯარისკაცები აჯანყებულთ უძმობილდებიანო.



მეფის ემბლემათა განადგურება.
ნახ. ი. ელაძემიროვას.

გონებადაბნეულმა მინისტრებმა ნება დართეს ოლქის სარდალს გენერალ ხაბალოვს საალკო წესები გამოეცხადებინა სატახტო ქალაქში. მაგრამ ბრძანება ველარსად დაბეჭდეს. ქალაქის სამმართველოს სტამბა აჯანყებულების მიერ იყო დაკავებული. მოახერხეს საადრიალოში დაებეჭდათ 1000 ეკზემპლარი. ორმა უბნის ზედამხედველმა მხოლოდ რამდენიმე განცხადების გამოკერა მოასწრეს. მალე ეს ფურცლები მასამ ჩამოხია და გასთელა.

მინისტრები დაბნეულნი ისმენდნენ ამ ცნობებს, როდესაც შორიდან უკვე სროლა მოისმა. გადასწყვიტეს სასახლეში სინათლე მთლიანად ჩაექროთ და საიმედო ჯარების ნაწილი მაინც შეეგროვებინათ წინააღმდეგობის გასაწევად. მაგრამ თავდასხმა არ მოსდა; სინათლე კვლავ აანთეს. „რომ განათდა, მი ოვითონ გამიკვირდა, რომ მა-

გიდის ქვეშ აღმოვჩნდიო“¹, უამბობდა შემდეგში ერთერთი მინისტრი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს.

ტყუილად დაფრთხნენ. შეიარაღებული მასა თავრიდის სასახლისაკენ მიდიოდა. სათათბიროში სხდომა ჰქონდა უხუცესთა საბჭოს — ყველა ფრაქციის წარმომადგენლებს. როძიანკომ შეატყობინა აჯანყების ამბავი და პანიკა, რომელმაც მთავრობა მოიცვა. მეფეს მან შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„მდგომარეობა უარესდება. საჭიროა ზომების დაუყოვნებლივ მიღება, ვინაიდან ხვალ უკვე გვიანლა იქნება. დადგა უკანასკნელი ეამი, როდესაც სწყდება სამშობლოს და დინასტიის ბედობალი“².

უმალღესი სარდლობის ბანაკიდან პასუხის ნაცვლად როძიანკომ თავის მაგიდაზე ნახა მეფის უქაზი სათათბიროს დათხოვნის შესახებ. რა ექნათ? არ დამორჩილებოდნენ უქაზს, განეგრძოთ სხდომა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ურჩობა გაეწიათ მონარქისათვის, რევოლუციურ გზას დასდგომოდნენ. ამის უნარი სახელმწიფო სათათბიროს არ შესწევდა. დამორჩილებოდნენ უქაზს და დაშლილიყვნენ, მაგრამ ფანჯრებს იქით უკვე ისმოდა სროლა და მოახლოებული მასის გუგუნე. უკვე შეერდომილესმა მემამულეებმა და ბურჟუაზიებმა გადასწყვიტეს: იმპერატორის უქაზს დავემორჩილოთ, სახელმწიფო სათათბირო, როგორც დაწესებულება, დავითხოვოთ, მაგრამ სათათბიროს წევრები არ დაიშალონ,



ლიტვის ციხე-დარბაზის აღება პეტროგრადში.

ნახ. ე. შჩეგლოვისა.

არამედ „კერძო მოქალაქეთა“ სახით შეიკრიბონ „არაოფიციალურ“ თათბირ-ზეო. ამრიგად, უქაზი შეასრულეს, მაგრამ თვითონაც ხელები გაიხსნეს.

შეიკრიბნენ არა თეთრ დარბაზში, როგორც ჩვეულებრივად, არამედ მომ-რგვალოში, რათა ამ დეტალით ხაზი გაესვათ თათბირის „კერძო“ ხასიათისათვის. ორასზე მეტი დეპუტატი შეჯგუფდა მაგიდის ირგვლივ, სადაც როძიანკო ხელებსა შლიდა და კითხულობდა: „რა ექნათო?“ ერთერთმა კადეტმა — ნეკ-რასოვმა, რომელიც ყველაზე შემარცხენედ ითვლებოდა, წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ დაენიშნათ რომელიმე „პოპულარულ გენერალთაგანი“ დიქ-ტატორად ბუნტის ჩასაქრობად. მას ხმა ჩააქმენდინეს, თან გაჯავრებით იძახ-დნენ: მინისტრები და გენერლები ისე დაფრთხნენ, რომ საწოლქვეშიდან გა-მოთრევა დასჭირდებათო. ტრუდოვიკმა ძიუბინსკიმ ურჩია თათბირის მონაწი-ლეთ — შეექმნათ: სათათბიროს წევრთაგან სრულუფლებიანი კომიტეტი წეს-რიგის აღსადგენად. მილიუკოვმა ორივე წინადადების წინააღმდეგ გალაშქრა: უნდა დავიცადოთ. სანამ გამოირკვეოდეს, ვის მხარეზეა ჯარის და მუშების უმრავლესობაო.

გახურებული კამათის დროს დარბაზში შემოვარდა ოფიცერი, ყარაულის უფროსი, და დაიყვირა: „თანაშემწე მძიმედ დამიჭრეს, დამიცავითო!“¹ დეპუ-ტატებმა ფანჯრებში გაიხედეს და დაინახეს მასა. რომელიც სასახლეს გარს შემორტყმოდა, შემდეგ კიბის საფეხურებზე თოფის კონდახების ბრაზუნი შე-მოესმათ: რევოლუცია სათათბიროს კარზე აღმოჩნდა. საჩქაროდ აირჩიეს დრო-ებითი კომიტეტი ათი კაცისაგან „პეტროგრადში წესრიგის დასამყარებლად და დაწესებულებებთან და პირებთან ურთიერთობისათვის“. კომიტეტის შემადგენ-ლობაში შევიდნენ: მ. ვ. როძიანკო, ვ. ვ. შულგინი (ნაციონალისტი), პ. ნ. მი-ლიუკოვი (კადეტი), ნ. ვ. ნეკრასოვი (კადეტი), ს. ი. შადლოვსკი (ოქტიაბრის-ტი), ი. ი. დმიტრიუკოვი (ოქტიაბრისტი), ა. ი. კონოვალოვი (პროგრესისტი), ვ. ა. რევესკი (პროგრესისტი), ვ. ნ. ლოვი (შემარჯვენე), ა. ფ. კერენსკი (ტრუ-დოვიკი) და ნ. ს. ჩხეიძე.

თავრიდის სასახლის ყველა მოსაზღვრე ქუჩა აჯანყებული ხალხით გაიჰვედა. ვებერთელა მასებმა დარკავეს ეზო. სასახლე შეიარაღებული ჯარისკაცებითა და მუშებით აიკისო.

მონარქისტმა შულგინმა თავის მოგონებებში ასე აღწერა დაფრთხალი ბურჟუაზიის საერთო განწყობილება:

„ტყვიამფრქვევები — აი რა მინდოდა, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ მხო-ლოდ ტყვიამფრქვევთა ენაა გასაგები ქუჩის ბრბოსათვის და მხოლოდ მას, ტყვიას, შეუძლია უკანვე თავის ბუნაგში შეაგდოს აწყვეტილი საშინელი ნადირი... ვაი რომ ეს მხეცი იყო... მისი უდიდებულესობა რუსი ხალხი!..“

ის, რისაც ასე გვეზინოდა, რაც გვინდოდა რადაც უნდა დაგვეჯდომოდა თავიდან აგვეცილებინა, უკვე ფაქტი გახდა. რევოლუცია დაიწყო“².

მეფის სამხედრო ბანაკში 27 თებერვლის დილამ ჩვეულებრივად ჩაიარა. ნიკოლოზ II დამშვიდებული გამოვიდა მოხსენებათა მისაღებად. პეტროგრა-

დის ამბები იცოდნენ. წინაღობით მოვიდა დედოფლის წერილი 25 თებერვალს სატახტო ქალაქში მომხდარი გამოსვლის შესახებ.

„ეს ხ ე ლ ი გ ნ უ რ ი მოძრაობაა, — სწერდა დედოფალი, — გოგო-ბიჭები დარბიან და იძახიან, პური არა გვაქვსო, — მხოლოდ იმისათვის, რომ ალელგება შექმნან, — და მუშები, რომლებიც სხვებს მუშაობას უშლიან. ძალიან სიცივე რომ ყოფილიყო, ისინი, ალბათ, ყველანი შინ იხდებოდნენ“⁴.

უმაღლესი სარდლობის ბანაკში ფიქრობდნენ, პეტროგრადში „შიმშილობით გამოწვეული უწესრიგობააო“, მუშათა მასების შიმშილისათვის კი მიჩვეული, იყვნენ ყურადღება არ მიექციათ. ალელგებულ დედოფალს ნიკოლოზმა დამამშვიდებლად უპასუხა:

„ჯარში უწესრიგობა, როგორც გავიგე, მოკეთებულთა ასეთ-ლისაგან ხდება. მიკვირს, რას აკეთებს პავლე? (გვარდიის სარდალი. რედ.). მას ხელში უნდა სჭეროდა ისინი“⁵.

ფრონტის მოსაზღვრე ზოლიდან პეტროგრადისაკენ ჯარები დასძრეს. ხაბალოვს ბრძანება გაუგზავნეს დაუყოვნებლივ ბოლო მოელო მლელვარებისათვის. მაგრამ შუადღიდან სულ უფროდაუფრო შემამშფოთებელი ცნობები მოდიოდა. მიღებულ იქნა დედოფლის დეპეშა:

„რევოლუცია გუშინ (26 თებერვალს. რედ.) საშინლად გავრცელდა. ვიცი, რომ სხვა ნაწილებიც შეუერთდნენ. ცნობები უარესია, ვიდრე ოდესმე“⁶.

ერთი საათის შემდეგ მოვიდა მეორე დეპეშა:

„დათმობანი აუცილებელია. გაფიცვები გრძელდება. ბევრი ჯარი გადავიდა რევოლუციის მხარეზე“⁷.

შემდეგ პეტროგრადმა თითქმის შესწყვიტა გამოწვევაზე პასუხის გაცემა.

კარისკაცი უმაღლესი სარდლობის ბანაკში ალელდნენ. მეფე დიდხანს ეთათბირა შტაბის უფროსს გენერალ ალექსეევს ბრძოლის ზომებზე. გადასწყვიტეს გაეგზავნათ პეტროგრადში მებრძოლი გენერალი ჯარებით. სალამოსათვის ნიკოლოზმა გადასწყვიტა თვითონ ჩასულიყო ადგილზევე. 19 საათზე ნიკოლოზმა აცნობა ცოლს:

გამოვიდვარ ხვალ 2.30. ცხენოსანმა გვარდიამ ბრძანება მიიღო დაუყოვნებლივ გამოვიდეს ნოვგოროდიდან ქალაქისაკენ“⁸.

ამბები კატასტროფულად იზრდებოდა.

პეტროგრადის მიდამოებიდან იუწყებოდნენ, რომ მთელმა ჯარებმა წითელი დროშები აღმართეს. სატახტო ქალაქში სრულებით აღარ დარჩენილა საიმედო ნაწილები.

უმაღლესი სარდლობის ბანაკი ციებ-ცხელებას შეეპყრო. პირდაპირ მათულთან იწვევდნენ ფრონტების სარდლებს. მოწინავე პოზიციებიდან ჯარებს ხსნიდნენ. გენერალმა ალექსეევმა თავისი თანაშემწის შეკითხვაზე, რა მოხდაო, მოუთმენლად უპასუხა: „პეტროგრადში აჯანყებააო“⁹.



ფერდების დაატომრება 1017 წლის თებერვლის დღებში.

ი. ა. ვლადიმერვის სურათიდან.

უმადლეის სარდლობის ბანაკი მიხვდა, რომ „შემშლილთ“ გამოწვეული „ბუნტი“ რევოლუციად გადაიხარდა.

სულომობრძის ცარაზში კიდევ ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია რევოლუციისათვის. ხაზალოვმა „საიმედო“ პოლკებისაგან სასწრაფოდ ჩამოაყალიბა დამკერელი ნაწილი ექვსი ასეული ქვეითა ჯარისა და ესკადრონ-ნახევარ ცხენოსანთა შემადგენლობით, 15 ტყვიამფრქვევით. მაგრამ ეს რაზმიც აჯანყებულებთან პირველი შეხვედრისთანავე მათ მხარეზე გადავიდა. გენერალმა ხაზალოვმა მეორე ნაკრებ რაზმთან ერთად, რომელიც ლიტვის, ეკსპოლმის და იზმაილოვის პოლკების ნაწილებისაგან შესდგებოდა, საადმიარაღოს შეაფარა თავი და ცდილობდა ემოქმედნა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს რჩეული რაზმიც თვალწინ დადნა. 28 თებერვალს დილით ხაზალოვმა პირდაპირი მეთულთ აცნობა უმადლეის სარდლობის ბანაკს:

„მოვალეობის ერთგულად დარჩენილთა რიცხვი შემცირდა 600 კაც ქვეითამდე და 500 ცხენოსანამდე, რომელთაც 15 ტყვიამფრქვევი და 12 ზარბაზანი აქვთ... მდგომარეობა უალრესად საძნელოა“¹.

მას უმადლეის სარდლობის ბანაკთან მოლაპარაკებაც ვერ დაემთავრებინა, რომ „ერთგული“ ჯარების უკანასკნელი ნაშთებიც მუშებს შეუერთდნენ.

თუ რა სისწრაფით იზრდებოდა რევოლუცია არმიაში, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის სამხედრო კომისიის მასალები²:

თვე და დღე	დღის დრო	აჯანყებულთა საერთო რიცხვი
თებერვალი 26	დღის 3—6 საათი	600 კაცი
27	დილით	10 200 "
" 27	დღისით	25 700 "
" 27	სალამოს	66 700 "
" 28	დილით	72 700 "
" 28	დღისით	112 000 "
" 28	სალამოს	127 000 "
მარტი 1	დილით	144 700 "
" 1	დღისით (ააახლოებით)	170 000 "

ლენინი. განმარტავდა რა, თუ რატომ მოხდა რევოლუცია ასე სწრაფად, სწერდა:

„მაგრამ თუ ომში დამარცხებებმა ითამაშეს როლი უარყოფითი ფაქტორისა, რომელმაც აფეთქება დააჩქარა, სამაგიეროდ ინგლის-საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალის, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის კავშირი რუსეთის ოქტიაბრისტულ-კადეტურ კაპიტალთან გახდა ფაქტორი, რომელმაც ეს კრიზისი დააჩქარა. საქმის ამ მხარეს, უალრესად მნიშვნელოვანს, გასაგები მიზეზებით დღემლით უვლის გვერდს ინგლის-საფრანგეთის პრესა და გესლიანად უსვამს ხაზს გერმანული. ჩვენ, მარქსისტები, ფიზიკად უნდა ვუსწორებდეთ თვალს სიმართლეს; და არ გვაკრთობ-

МАНИФЕСТЪ

Россійской Соціально-Демократической Рабочей Партіи Ко всѣмъ гражданамъ Россіи.

Пролетаріи всѣхъ странъ соединяйтесь!

Граждане! Творили русские правительственные органы шаха, построенное на кривыхъ ногахъ, рушило вѣдь и рухнуть должно. Частіи революціоннаго народа съедини на сполноу въстать. Революціоннаго правительства и революціоннаго армія должна слѣдовать старту отъ окончательнаго побѣды и Крестъ, который приготовили царское правительство.

Продажная усадьба Крестоу и двинутъ русскій народъ спряться съ себя вѣчное рабство.

Задача революціоннаго класса и революціоннаго народа **Временнаго Революціоннаго Правительства**, которое должно исполнить по плану этого правительства результаты этого своего дела.

Революціонное правительство должно взять на себя задачи вселеннаго освобожденія, защиты всѣхъ правъ и волеизъявленія народа, конфискація имуществъ, земель, и продажа ихъ на общественныя и государственныя нужды, а вперёдъ же къ народу, проводить 8-ми часового дня в обществ. утробительнаго общества по основ. всесоборно, принять законно и вполнѣннаго праву съ тѣмъ же общ. договоръ.

Революціонное правительство должно взять на себя задачу вселеннаго освобожденія вселеннаго народа, и для этого должно взять конфисковать всѣ имуществы, земель, подготовить правительствомъ и государствомъ социализма.

Глава реализа власти еще подымае свою голову. Задача народа и его революціоннаго правительства подымае всѣхъ противонародныхъ контр-революціонныхъ силъ.

Миссией в неслыханнаго задачи революціи в

коллаборации, революціоннаго класса въ соединеніи съ демократическою революціонною арміею побѣды, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа.

Революціоннаго правительства и революціоннаго народа, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа.

Граждане, соедините свои и коммунистическія открытыя борьбы съ царской властью и съ революціоннаго народа.

По всей Россіи революціоннаго правительства и революціоннаго народа, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа.

По всей Россіи по революціи и социализму правительства революціоннаго народа.

Граждане, соедините свои и коммунистическія открытыя борьбы съ царской властью и съ революціоннаго народа.

По всей Россіи по революціи и социализму правительства революціоннаго народа. Подъ Крестомъ имѣетъ революціоннаго правительства революціоннаго народа, и въ этомъ случаѣ революціоннаго правительства и революціоннаго народа.

Центральный Комитетъ Россійской Соціально-Демократической Рабочей Партіи.

რ.ს.-დ.მ.პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი 1917 წლის 26 თებერვლის თარიღით დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისკენ მოწოდებით.

დეს არც კაზიონური სიტუაე. მოთავლულ-ლიბლომატიური სიტუაე იმპერიალისტთა პირველი მეომარი ჯგუფის დიპლომატებისა და მინისტრებისა, არც თვალის ჩაყრა და ხითხითი მათი ფინანსიური და სამხედრო კონკურენტებისა მეორე მეომარი ჯგუფიდან. თებერვალ-მარტის რევოლუციის ამბავთა მთელი მსვლელობა ცხადად გვიჩვენებს, რომ ინგლისის და საფრანგეთის საელჩოები თავიანთი აგენტებითა და „კავშირებით“, რომლებიც დიდხანია მიმართავდნენ უაღრესად თავგამოდებულ ღონისძიებებს, რათა ხელი შეეშალნათ ნიკოლოზ II-ის „სეპარატიული“ შეთანხმებებისა და სეპარატიული ზავისათვის ვილჰელმ II-სთან (მთავრად ჩვენ იმედს ვიჭონით და ვეცადოთ მივადწიოთ უკანასკნელს), უშუალოდ მიისწრაფოდნენ ნიკოლოზ რომანოვის გადაყენებისკენ. ნუ შევიქმნით ილუზიებს. თუ რევოლუციამ გაიმარჯვა ასე მალე და ასე — გარეგნულად, პირველი ზერეულე შეხედვით — „რადიკალურად“, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უაღრესად ორიგინალური ისტორიული სიტუაციის ძალით შეერთდნენ, და შესანიშნავად „ერთსულოვნადაც“ შეერთდნენ, სრულიად სხვადასხვა ნაკადები, სრულიად სხვადასხვადასხვა გვარი კლასობრივი ინტერესები, სრულიად მოპირდაპირე პოლიტიკური და სოციალუ-



სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრები. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. ნ. ლვოვი, ვ. ა. რევესკი, ს. ვ. შიდლოვსკი, მ. ვ. როძიანკო. დგანან: ვ. ვ. შულგინი, ი. ი. დმიტრიუკოვი, ბ. ა. ენგელგარდტი (პეტროგრადის გარნიზონის კომენდანტი), ა. ფ. კერენსკი. მ. ა. კარაულოვი.

ოი მისწრაფებანი. სახელდობრ: შეთქმულება ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისა, რომელნიც აქეზებდნენ მილიუკოვსა და გუჩკოვს და კომპ. ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება იმპერიალისტური ომის განგრძობის ინტერესებისათვის. ამ ომის კიდევ უფრო გააფთრებით და თავგამოდებით წარმოების ინტერესებისათვის, რუსეთის მუშათა და გლეხთა ახალი მილიონების გაწყვეტისათვის; რათა კონსტანტინოპოლი მიეღოთ... გუჩკოვებს, სირია... საფრანგეთს, მესოპოტამია... ინგლისის კაპიტალისტებს და სხვ. ეს—ერთი მხრით. ხოლო მეორე მხრით—ღრმა პროლეტარული და მასობრივ-სახალხო (ქალაქებისა და სოფლების მთელი უღარიბესი მოსახლეობა) მოძრაობა რევოლუციური ხასიათისა პურიისათვის, ზავისათვის, ნამდვილი თავისუფლებისათვის“¹.

პეტროგრადში საქმე გათავებული იყო. მაგრამ უმაღლესი სარდლობის ბანაკმა და შეფემ ფრონტიდან დასძრეს ჯარები. ამ ჯარებს სათავეში ჩაუყენეს დიქტატორული რწმუნებებით აღჭურვილი გენერალი ივანოვი, რომელმაც 1905 წელს თავი გამოიჩინა კრონშტადტის აჯანყების ჩაქრობით. მაგრამ გენერალმა ივანოვმა თავისი ეშელონით ძლივს მიაღწია ცარსკოე სელომდე. აქ მისი ჯარები მაშინვე დაუშობილდნენ რევოლუციურ ჯარისკაცებს, თვითონ იგი კი ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას. უკან დაბრუნებისას მისი მატარებელი ხიზში შეიყვანეს; ფრონტთან კავშირი უკვე გაწყვეტილი აღმოჩნდა.

უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან წასულმა მეფემ მხოლოდ სადგურ დნომდე მიაღწია. შემხვედრი მატარებლები გაქედილი იყო ჯარისკაცებით, რომ-

ლებიც სატახტო ქალაქში მომხდარი აჯანყების ამბავს ავრცელებდნენ. გზის განგრძობა უმიზნო იყო. მეფე გაემართა პსკოვისაკენ, ჩრდილოეთის ფრონტის შტაბისაკენ, რათა არმია დაეყენებინა ფეხზე პეტროგრადის წინააღმდეგ. პსკოვში მას შეატყობინეს რევოლუციის გამარჯვება, ფრონტების ყველა სარდლის დეპეშები კი დათმობას ურჩევდა. პეტროგრადიდან გადმოსცეს რევოლუციური ორგანიზაციების მოწოდება. ყოველგვარი წინააღმდეგობა ზედმეტი იყო, და ნიკოლოზმა გადასწყვიტა ტახტიდან გადამდგარიყო.

იმ დროს, როდესაც მეფე და უმაღლესი სარდლობის ბანაკი ბრძოლაში უკანასკნელ რეზერვებს აბამდნენ, პეტროგრადის მუშები და ჯარისკაცები შეუდგნენ თავისი პოლიტიკური და ორგანიზაციული ცენტრის — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შექმნას. 27 თებერვალს საღამოს გაიხსნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პირველი სესიონი.

3.

ორძალაუფლებიანობა.

მუშებმა და ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილმა გლეხებმა რევოლუცია მოახდინეს, მაგრამ პირველ ხანებში მათ როდი ხედათ ამ რევოლუციის ყველა ნაყოფი: საბჭოს გვერდით წარმოიშვა ბურჟუაზიის მთავრობა.

სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი არც მომაკვდავი თვითმპყრობელობის წინაშე სთვლიდა თავს ხელისუფლებად და არც აჯანყებული ხალხის წინაშე. კომიტეტი არჩეულ იქნა „წესრიგის დასამყარებლად“ და ენერგიულად შეუდგა ამას. როძიანკო, ახლა კომიტეტის თავმჯდომარე, არჩევნებისთანავე 27 თებერვალს წავიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თავად გოლიცინთან. ამ უკანასკნელმა უბასუხა, მთავრობის ყველა წევრი გადადგა, თვითონ მე კი ყოველ წუთს დაპატიმრებას ველიო. როძიანკო კვლავ დაუკავშირდა მეფეს, უმაღლესი სარდლობის ბანაკს. მოელაპარაკა ფრონტების სარდლებს და სთხოვა მათ მხარი დაეჭირათ სათათბიროსათვის ნიკოლოზის წინაშე. მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდებოდნენ. დაიწყო ცნობების მოსვლა, რომ პეტროგრადის უახლოეს ქალაქებში აჯანყება მოხდა. უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან არავითარი სანუგეშო ამბავი არ მოდიოდა, თავრიდის სასახლის მარცხენა ფრთიდან კი, სადაც მუშათა დეპუტატების საბჭო შეიკრიბა, იუწყებოდნენ, აჯანყებული პოლკების ჯარისკაცებმა თავისი წარმომადგენლები გამოგზავნესო. გარნიზონი სათათბიროს კომიტეტის გვერდის ავლით უკავშირდებოდა საბჭოს. ძალთა თანაფარდობა ბურჟუაზიისათვის არახელსაყრელად ეწყობოდა. ბურჟუაზია ცდილობდა მეფისაგან მიეღო „გამარჯვების მთავრობა“. რათა ბოლომდე მიეყვანა ომი და თავიდან აეცილებინა რევოლუცია. მაგრამ რევოლუციამ დაასწრო ბურჟუაზიას. ახლა მას დაარჩენოდა შეერთებულ რევოლუციას, შეედილიყო მის სათავეში ჩადგომას, რათა შემდეგ თავი მოეკვეთნა მისთვის. სანამ პროლეტარიატი და მშრომელი იბრძოდნენ და იხოცებოდნენ ცარიზმთან ბრძოლაში, ბურჟუაზია სასწრაფოდ უცვლიდა ფერს თავის „გამარჯვების მთავრობას“ „რევოლუციის მთავრობად“ და ვარაუდობდა ჩაეხშო რევოლუცია.

გვიან ღამით შეიკრიბა დროებითი კომიტეტი და გადასწყვიტა თავის ხელში აეღო ძალაუფლება. როძიანკომ განთიადისას დეპეშით აცნობა უმაღლესი სარდლობის ბ. ნაკს, მინისტრები დაპატიმრებული არიან, მთავრობა არ არსებობს.

„ბრბო მდგომარეობის ბატონ-პატრონი ხდება და, სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტმა, რომ ააშოროს ოფიცრები და აღმინისტრაცია განადგურებას და დაწყენაროს გაშმაგებული ვნებები, გადასწყვიტა თვითონ იკისროს მთავრობის ფუნქციებიო“¹.

დროებითმა კომიტეტმა 26 თებერვალს დანიშნა სამინისტროებში სათათბიროს კომისრები. მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან მოდიოდა ცნობები, რომ რევოლუციას უერთდებოდნენ. კითხულობდნენ, როგორ მოვიქცეთ ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეშიო. როძიანკომ ყველა ქალაქს დაუგზავნა დეპეშა დროებითი კომიტეტის შექმნის შესახებ. მთელ დღეს თავრიდის სასახლესთან მიდიოდნენ რევოლუციის მხარეზე გადასული სულ ახალ-ახალი პოლკები. როძიანკო, მილიუკოვი წარმოსთქვამდნენ სიტყვებს, მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს ყაზარმებში დაბრუნდით და თქვენს ოფიცრებს უსმინეთო. ერთერთი გამოსვლის დროს როძიანკომ წინადადება მისცა ჯარისკაცებს, დაწყენარდით და იარალი ჩააბარეთო. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა გარნიზონში. ამბობდნენ, როძიანკომ უკვე გამოსცა ბრძანება აჯანყებული ჯარისკაცებისათვის იარალის ჩამორთმევის შესახებო. პოლკებმა, რომლებიც ის-ის იყო სათათბიროში იყვნენ, დაიწყეს მოთხოვნა, დეპუტატები გამოგზავნეთ, რომ შექმნილი განწყობილება გააქვანტონო. აი როგორ მოგვითხრობს ქშულგინი მღელვარების ზრდას:

„მახსოვს, ერთერთ პოლკში ერთი მემარჯვენე ნაციონალისტი გავგზავნეთ... იგი დაბრუნდა...

— როგორაა საქმე?

— არა უშავსრა... კარგად! ველაპარაკე მათ — „ურას“ იძახიან. ეუთხარი, უოფიცრებოდ არაფერი გამოვა, სამშობლო საფრთხეშია-თქო. დამპირდნენ, ყველაფერი კარგად იქნებაო, სახელმწიფო სათათბიროსი სჯერათ...

— მო, მადლობა ღმერთს...

მაგრამ უცებ ტელეფონმა დარეკა...

— როგორ? კი, მაგრამ ხომ ეს-ეს არის იყო თქვენთან კაცი... ხომ ყველაფერი კარგად დამთავრდა... რაო? ისევ ღელავენ? ვინა? უფრო მემარცხენე ვინმე? კარგა. ახლავე გამოგზავნით.

გზავნით მილიუკოვს. მილიუკოვი ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. ძალიან კმაყოფილი.

— ცოტა ღელავენ. მე მგონია, მათ შესაფერ კილოზე ვერ ელაპარაკებოდნენ... მე ვილაპარაკე ყაზარმაში რალაც ეშაფოტიდან. მთელი პოლკი იქ იყო, სხვა ნაწილებიდანაც იყვნენ. ჰო, განწყობილება ძალიან კარგია. ხელით აყვანილი გამომიყვანეს...

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ტელეფონმა ისევ დარეკა და გამწარებითაც.

— ალოო! გისმენთ! ესა-და-ეს პოლკია? როგორ, ისევ? მერე მილიუკოვი?.. ის ხომ ხელით აყვანილი გამოიყვანეს... რაო? რა უნდათ? კიდევ უფრო მემარცხენე?.. კარგი, კარგი. ტრუდოვიკს გამოვგზავნით...“¹.

წინააღმდეგობა არმიის კლასობრივ შემადგენლობასა და იმ კლასობრივ ამოცანებს შორის, რომლებსაც იგი ცარიზმის და ბურჟუაზიის დროს ემსახურებოდა, რევოლუციის პირველ დღეებშივე გამოაშკარავდა. ყველა პროცესმა, რაც დიდხანია მწიფდებოდა არმიაში, ერთბაშად იჩინა თავი, როგორც კი თვითმპყრობელობა დაემხო.

„ჯერ ორი ჯარისკაცი დავინახეთ, — მოგვითხრობს ინგლისელი გენერალი ნოკსი, რომელიც პეტროგრადში რევოლუციის პირველ შხეფებს სარტილერიო სამმართველოს ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, — შემდეგ გამოჩნდა ჯარისკაცთა ვეებერთელა უწყსრიგო ბრბო, რომელმაც მთელი ქუჩა და ტროტუარები დაჰფარა. ოფიცრები იქ არ იყვნენ“².

ოფიცრებმა პოლკები მიატოვეს დამოუკიდებლად თავისი კლასობრივი კუთვნილებისა და პოლიტიკური სიმპატიებისა. წერილი ბურჟუაზიიდან გამოსულნი და კადრის ოფიცრები გააერთიანა შიშმა მუშათა და ჯარისკაცთა შეიარაღებული ბლოკის წინაშე.

იგივე გენერალი, რომელსაც დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებინა რინსათვის, თუ როგორ ასრულებდა რუსეთის არმია თავის ვალდებულებებს მოკავშირეთა წინაშე, პოლკები რომ შემოიარა, იუწყებოდა: ვოლინის პოლკის ათასეულში გაძევებულია 40-ვე ოფიცერი, ეგერთა პოლკში — 22, 1-ლ სარკინიგზოში დატოვებულია მხოლოდ 16 ოფიცერი 64-დან, და ისიც უიარაღოდ. „მე, მგონია, ერთადერთი ოფიცერი ვარ პეტროგრადში, ჩემი ხმალი რომ შევინარჩუნეო“³, მელანქოლიურად დაასკვნა თავისი დაკვირვებანი ინგლისელმა გენერალმა.

ბურჟუაზიამ რევოლუციის პირველი საათებიდანვე სცადა შეენარჩუნებინა თავის მხარეზე არმია. უკვე 27 თებერვალს, ჯერ კიდევ ხელისუფლების აღებაამდე, დროებითმა კომიტეტმა შეჰქმნა საშხედრო კომისია, რომლის შემადგენლობაშიაც შეყვანილ იქნა რამდენიმე ოფიცერი და გენერალი. კომისიის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ოფიცრობისათვის შეენარჩუნებინა ჯარისკაცთა მასების ხელმძღვანელობა. მაგრამ მოძრაობამ ქვედა ფენებში აბობოქრებულ მდინარესავით აუარა გვერდი კომისიას. გენერალ ნოკსს მოჰყავს იმისი მკაფიო მაგალითი, თუ რა სწრაფად უსხლტებოდნენ ჯარისკაცები მეთაურთა ხელმძღვანელობას:

„სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტში გამოცხადდა პიტერის ჯარისკაცთა დეპუტაცია თხოვნით — გამოეცა რაიმე დადგენილება ისეთი ზომების შესახებ, რომლებიც არმიაში რევოლუციას განამტკიცებდნენ. კომიტეტის პასუხზე, ასეთი გადაწყვეტილებებისათვის ჯერ კიდევ

დრო არ დამდგარაო, ჯარისკაცი ქუსლებზე მიტრიალდა და სთქვა: „მით უკეთესი, ბრძანებას ჩვენ თვითონ დავწერთ“¹.

„ჩვენ თვითონ“ — რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ჯარისკაცთა მასების დამრავლავი ლოზუნგი გახდა.

მუშათა დეპუტატების საბჭო — ხოლო იგი რევოლუციის პირველსავე დღეს ჯარისკაცთა საბჭოდაც გახდა — ხელისუფლებად იქცეოდა. ეს თავის თავზე განიცადა დროებითი კომიტეტის მეთაურმა როძიანკომ. 1 მარტს დღისით ის პსკოვში გაიწვიეს მეფესთან მოსალაპარაკებლად. რკინიგზელებს საბჭოს უნებართვოდ არ უნდოდათ მატარებელი მიეცათ მისთვის. როძიანკომ საბჭოს მიმართა, იქ კი ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ უარი უთხრეს. სალამოს როძიანკო პირდაპირ მათელთან გაიწვიეს პსკოვიდან მეფის სახელით, მაგრამ როძიანკომ განაცხადა ტელეგრაფზე მარტო არ წავალო. სუხანოვის სიტყვით, როძიანკომ საბჭოს წარმომადგენლებს მიმართა და უთხრა მათ:


„დაე „ბატონმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებმა“ მცველი რაზმი მომცენ ან ჩემთან ერთად წამოვიდნენ, თორემ მე დამაპატიმრებენ იქ, ტელეგრაფზე... რა გაეწყობა! თქვენს ხელშია ძალა და ხელისუფლება. თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ დამაპატიმროთ... იქნებ ყველანი დაგვაპატიმროთ, ჩვენ რა ვიცით?“².

საბჭოს მართლაც მოეპოვებოდა ძალა, იგი თავისებური მთავრობა იყო. 28 თებერვალს დილით ადრე პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: მოეწყოს რაიონული კომიტეტები და შეიქმნას მუშათა მილიციო. დილითვე გამოვიდა გაზეთ პეტროგრადის საბჭოს „იზვესტიას“ პირველი ნომერი, სადაც მოთავსებული იყო საბჭოს სახელით მოწოდება, რომელშიაც ნათქვამი იყო:



მუშათა გარეუბანში თვითმპყრობელობის დამსახების დღეებში.

ი. ვლადიმეროვის სურათიდან.



თებერვლის დღეები მოსკოვში. ბოლშევიკ ვ. პ. ნოვინის გამოსვლა მიტინგზე ისტორიული მუზეუმის შენობასთან.

„მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელსაც სახელმწიფო სათათბიროში აქვს სხდომები, თავის ძირითად ამოცანად ისახავს ხალხის ძალების ორგანიზაციის და ბრძოლას რუსეთში პოლიტიკური თავისუფლებისა და ხალხური მმართველობის საბოლოო განმტკიცებისათვის. საბჭომ რაიონული კომისიები დანიშნა პეტროგრადის რაიონებში სახალხო ძალაუფლების დასამყარებლად. მოეწოდებთ დედა-ქალაქის მთელ მოსახლეობას დაუყოვნებლივ დაიარაღოს საბჭოს გარშემო, შეჰქმნას რაიონებში ადგილობრივი კომიტეტები და თავის ხელში იიღოს ყველა ადგილობრივი საქმის გამგებლობა. ყველამ ერთად, საერთო ძალღონით, ვიბრძოლოთ ძველი მთავრობის სრული აღმოფხვრისათვის და საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის“¹.

იმავე დღეს, 28 თებერვალს, საბჭომ დაადგინა გაეხსნა სარკინიგზო მიმოსვლა პეტროგრადსა და მოსკოვს შორის. 1 მარტს შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს უკვე გაერთიანებული სხდომა. პოლკების წარმომადგენელნი მხურვალედ უამბობდნენ დამსწრეთ, რომ სათათბიროსადმი უნდობლობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც რომიანკომ წარმოსთქვა სიტყვა იარაღის ჩაბარების შესახებ. სხდომაზე გადასწყდა: ყველა პოლიტიკურ გამოსვლაში დაეგმორ-

ჩილოთ მხოლოდ საბჭოს, სამხედრო კომისიის განკარგულებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში სრულდებოდეს, თუ ისინი საბჭოს არ ეწინააღმდეგებო.

მღელვარე სხდომის დამთავრებისთანავე ჯარისკაცთა ჯგუფი იქვე, ტიხრს იქით, გარს შემოეხევი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მენშევიკ ნ. დ. სოკოლოვის მავიდას: მას დავალებული ჰქონდა გამოექვეყნებინა საბჭოს გადაწყვეტილებანი ჯარებისადმი გაცემული ბრძანებაში. სოკოლოვი იმას სწერდა. რასაც გარსემომორტყმული ჯარისკაცები უკარანახებდნენ.

სწორედ მასების ზეგავლენით გამოიკა პირველი რევილუციური ბრძანება. რომლის შესახებ კერენსკი შემდეგში ამბობდა: „ჩემი სიცოცხლის ათ წელიწადს გავიღებდი, ოღონდ ეს ბრძანება სრულდებოთ არ ყოფილიყო ხელმოწერილი“.

მოგვყავს ეს ბრძანება სრულად:

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1.

[1917 წლის 1 მარტი.

პეტროგრადის ოლქის გარნიზონისადმი. გვარდიის. არმიის, არტილერიისა და ფლოტის ყველა ჯარისკაცს დაუყოვნებლივ და ზუსტად შესასრულებლად, ბოლო პეტროგრადის მუშებს ცნობად.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა:

1. ყველა ასეულსა, ათასეულსა, პოლკსა, პარკსა, ბატარეასა, ესკადრონსა და სხვადასხვა გვარების სამხედრო სამმართველოთა ცალკეულ დარგებში და სამხედრო ფლოტის გემებზე დაუყოვნებლივ არჩეულ იქნას კომიტეტი ზემოაღნიშნული სამხედრო ნაწილების დაბალ მსახურთა არჩეულ წარმომადგენელთაგან.

2. ყველა სამხედრო ნაწილში, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აურჩევიათ თავისი წარმომადგენლები მუშათა დეპუტატების საბჭოში, არჩეულ იქნას ასეულებისაგან თითო წარმომადგენელი, რომელნიც გამოცხადდნენ წერილობითი მოწმობებით სახელმწიფო სათათბიროს შენობაში ამა მარტის 2-ს დილის 10 საათისათვის.

3. ყველა თავის პოლიტიკურ გამოსვლაში სამხედრო ნაწილი ემორჩილება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და თავის კომიტეტებს.

4. სახელმწიფო სათათბიროს სამხედრო კომისიის ბრძანებანი უნდა შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბრძანებებსა და დადგენილებებს.

5. ყოველგვარი იარაღი, სახელდობრ: შაშხანები, ტყვიამფრქვევები, ჯავშნიანი ავტომობილები და სხვა, უნდა იმყოფებოდეს ასეულთა და ათასეულთა კომიტეტების განკარგულებაში და მათი კონტროლის ქვეშ და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ოფიცრებს, მათი მოთხოვნითაც კი.

6. მწყობრში და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას ჯარისკაცები უნდა იცავდნენ უსასტიკეს სამხედრო დისციპლინას, მაგრამ სამსახურისა და მწყობრის გარეშე, თავის პოლიტიკურ, საერთო-მოქალა-

ქობრივ და კერძო ცხოვრებაში ჯარისკაცები არაფერში არ შეიძლება დამცირებულ იქნან იმ უფლებებში, რომლებითაც ყველა მოქალაქეანი სარგებლობენ.

კერძოდ, ფრონტში ჩადგომა და სამხედრო სალამის მიცემა სამსახურს გარეშე გაუქმებულია.

7. ამგვარადვე უქმდება ტიტულირება ოფიცრების: თქვენო აღმატებულება, კეთილშობილება და სხვ. და იცვლება მიმართვით: ბატონო გენერალო, ბატონო პოლკოვნიკო და სხვ.

აქრძალულია უხეშად მოპყრობა ყოველგვარი სამხედრო ხარისხის ჯარისკაცებისადმი და, კერძოდ, მათდამი „შენობით“ მიმართვა, ხოლო ამის ყოველგვარი დარღვევა, ისევე როგორც ყველა გაუგებრობა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის ამ უკანასკნელებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ასეულის კომიტეტებს.

ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულში, ათასეულში, პოლკში, ეკიპაჟში, ბატარეასა და სხვა სამწყობრო და არასამწყობრო კომანდებში.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

ბრძანება საბჭოს აქცევდა მასების ყოვლისშემკველ რევოლუციურ ორგანიზაციად. ყველა სამხედრო ნაწილი თავისი იარაღითა და საქურველით მის პოლიტიკურ გამგებლობაში გადადიოდა.


ბრძანებაში მეთაურთა არჩევითობის პუნქტიც იყო, მაგრამ ბრძანების უკვე გაზნეული დაბეჭდვისას არჩევითობა სოკოლოვის განკარგულებით მოხსნეს.

პირველ მარტს შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭოები მოსკოვში, სამარაში, სარატოვში. ჩინენ-ნოვგოროდში მივიდა 5 ათასი მუშა სორმოვოდან და გარნიზონის დაუძმობილდა. ტვერში რამდენიმე ათასი მუშა მივიდა ყაზარმებთან და ჯარისკაცებთან ერთად ქალაქის ქუჩებში გაიარა.

ასეთ პირობებში დროებითი კომიტეტის ძალაუფლება ძალიან მოჩვენებითი იყო. საჭირო იყო მოლაპარაკება საბჭოსთან. 1 მარტს ლამის 12 საათზე დროებითმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მიიწვია საბჭოს წარმომადგენელნი. მივიდნენ მენშევიკები: ნ. ს. ჩხეიძე, ნ. დ. სოკოლოვი, ნ. ნ. სუხანოვი, ი. მ. სტეკლოვი (მაშინ მენშევიკი) და ვ. ნ. ფილიპოვსკი — ესერი.

ამ მიწვევამდე ცოტა ადრე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიც მსჯელობდა ხელისუფლების პრობლემაზე. უმრავლესობა აღმასრულებელ კომიტეტში მენშევიკებსა და ესერებს ეკუთვნოდა. მათთვის თებერვლის რევოლუცია ბურჟუაზიული იყო არა მარტო იმიტომ, რომ იგი ბოლოს უღებდა ნახევრადბატონყმურ რეჟიმს, არამედ იმიტომაც, რომ ბურჟუაზია მათი აზრით რევოლუციის ერთადერთი ხელმძღვანელი ძალა იყო. ძველი ცნობილი მენშევიკი პოტრესოვი უკიდურესი მემარჯვენე გაგების პირდაპირ სწერდა:

„ბურჟუაზიული რევოლუციის მომენტისათვის სოციალურად და ფსიქოლოგიურად ყველაზე მომზადებული საერთო ნაციონალურ ამოცანათა



ახე შეზღუნენ ფრონტზე თვისმსკრიბულბის დაცემა.

გადაჭრისათვის იგივე ბურჟუაზია გამოდის. ესე იგი „ჯერ კიდევ იგივე კლასი, რომელსაც ისტორიის უახლოესი, თუნდაც ხანმოკლე პერიოდისათვის, ქვეყანაში განვითარებული კაპიტალისტური წყობილების წესრიგის გახშტკიცების დროისათვის, მოელის ბატონ-განმკარგულებელის როლი“¹.

მომავალი ხელისუფლების ხასიათის შეფასებაში მემარჯვენე და მემარცხენე ძენშევიკებს შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილა. ნ. ნ. სუხანოვი ყველაზე „მემარცხენედ“ ითვლებოდა მენშევიკებს შორის. იგი თითქმის „პორა-ენეცი“ იყო, სტატიებს სწერდა ომის წინააღმდეგ და ამ საკითხში ოფიციალურ ძენშევიზმთან უთანხმოება ჰქონდა. „ნახევრადლენინელი“ სუხანოვი, როგორც თვითონ უწოდებდა თავის თავს, ამ დროს ასე მსჯელობდა:

„ხელისუფლება. რომელიც ცარიზმის შესაცვლელად მოდის, ბურჟუაზიული უნდა იყოს, ტრეპოვი და რასპუტინი უნდა შესცვალონ და შეუძლიათ შესცვალონ მხოლოდ სათათბიროს „პროგრესიული ბლოკის“ წინამძღოლებმა. აუცილებელია ასეთი გადაწყვეტილებისაკენ ავიღოთ გეზი. სხვაგვარად გადატრიალება არ მოხერხდება, და რევოლუცია დაიღუპება“².

შემდეგ სუხანოვმა განავითარა ის აზრი, თუ რატომ სახელდობრ ბურჟუაზია უნდა ჩამდგარიყო ხელისუფლების სათავეში. დემოკრატია დაქსაქსულია, მას პოლიტიკური ორგანიზაციები არა აქვს, ხელისუფლების აპარატის უქონლად ვერ დაეუფლება სახელმწიფო მანქანას, ხოლო ახალის შექმნაზე ოცნებასაც კი ვერ გაბედავს.)

„მთელ არსებულ სახელმწიფო მანქანას, მოხელეთა არმიას, ცენზიან ერობებსა და ქალაქებს, რომელნიც დემოკრატიის მთელი ძალების ხელშეწყობით მუშაობდნენ, შეიძლება ყური ეგდოთ მილიუკოვისათვის; და არა ჩხვიძისათვის. ხოლო სხვა აპარატი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო“³ —

ასე ხსნიდა სუხანოვი ძალაუფლების ბურჟუაზიის ხელში გადაცემის აუცილებლობას. რევოლუციის ვითარებაში თავგზაბნეული წვრილი ბურჟუა არც კი ფიქრობდა ეცადნა ხელისუფლების აღება ან ვინმე სხვა დაეყენებინა ხელისუფლების სათავეში გარდა „შეჩეული“ ბატონისა. მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა საბჭოს ლიდერებს, რომლებიც შემთხვევით ამოატივტივა რევოლუციურმა ტალღამ:

„საკითხი... იმაში მდგომარეობს. მ ო ი ს უ რ ვ ე ბ ს თ უ ა რ ა ც ე ნ ზ ი ა ნ ი რუსეთი აიღოს ძალაუფლება ასეთ პირობებში. და, მაშასადამე, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვ ა ი ძ უ ლ ო თ ი გ ი მ ი ი ლ ო ს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა“⁴.

ბურჟუაზიას, რომელიც თვითმპყრობელობის დაუხმარებლად დარჩა, ეშინოდა ეკისრნა ძალაუფლების ტვირთი. ყველაზე გულახდილად ეს შულგინმა აღიარა:

„ჩვენ დაბადებული და აღზრდილი ვიყავით იმისათვის, რომ ხელისუფლების ფრთებქვეშ გვექო ან გვეკიცხნა ეს ხელისუფლება... უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ შეგვჩვენდა უნარი უმტკივნეულოდ გადავმხსნარიყავით დეპუტატთა საეარღობიდან მინისტრთა სკამებზე... იმ პირობით, თუ საიმპერატორო ყარაული დავიცავდა... მაგრამ ხელისუფლების შესაძლებელი დამზობის წინაშე, ამ ზევის უძირო უფსკრულის წინაშე ჩვენ თავბრუ გვეზევოდა და გულისცემა გვიჩერდებოდა“¹.

საბქოს ხელმძღვანელნი, რომელთაც მით უფრო აებნათ თავგზა, რაც უფრო მეტ გაქანებას ღებულობდა რევოლუცია, ცდილობდნენ ძალით მოეხვიათ თავს ხელისუფლება გაჯიუტებულ ბატონ-განმკარგულებელისათვის“.

საბქოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დროებითი კომიტეტის ნებასურვილზე მიენდო მთავრობის წევრთა სიის შედგენა, მთავრობის შემადგენლობაში არ შესულიყო, მაგრამ შემდეგი პირობებით გადაეცა მისთვის ხელისუფლება: 1) სრული ამინსტიის გამოცხადება ყველა პოლიტიკურ და რელიგიურ საქმეზე, 2) სიტყვის, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება, 3) ყველა წოდბრივ, ნაციონალურ და რელიგიურ შეზღუდვათა გაუქმება, 4) პოლიციის შეცვლა მილიციით, 5) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დემოკრატიული არჩევნები, 6) მთავრობამ უარი უნდა სთქვას ყოველ ისეთ ნაბიჯზე, რომელიც წინასწარ სწყვეტს მართვაგამგეობის მომავალ ფორმას. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, 7) არ გაიყვანოს და არ განაიარალოს რევოლუციური პოლკები, 8) სამოქალაქო უფლებანი ჯარისკაცთათვის. საბქოს მოთხოვნათა შორის არ იყო არცერთი დიდი საკითხი, რომლის გარშემო მწვევე ბრძოლა ყოფილიყო: არც მიწის საკითხი, არც ზევისა, არც რვა საათის სამუშაო დღისა. საბქოს წვრილბურჯუაზიულმა მენშევიკურ-ესერულმა ლიდერებმა განზრახ აუარეს გვერდი ამ ძირითად საკითხებს, რათა ბურჯუაზია არ დაეფრთხოთ.

სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი საბქოს დელეგაციის მოლოდინში ძალიან ნერვიულობდა. ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები რევოლუციის სწრაფი განვითარების შესახებ. პოლკებიდან რეკავდნენ, ჯარისკაცთა დამოკიდებულება ოფიცრებისადმი სულ უფროდაუფრო უარესდებოა. გამოცხადდა თუ არა სასახლის მარჯვენა ფრთაში საბქოს ესერულ-მენშევიკური დელეგაცია, როძიანკო, მილიუკოვი გაცხარებით შეუღდნენ მისთვის ამბების გადაცემას ქალაქში ანარქიის შესახებ, უამბობდნენ ყოველნაირ ხმებს ქუჩებში მომხდარ უწყაროგობაზე. ბურჯუაზიის ლიდერები აზვადებდნენ ამბებს, თითქოს წინდაწინვე მეტ ფასს ითხოვდნენ მომავალი ვაქრობისათვის. მაგრამ ისინი გაკვირვებულნი იყვნენ, რომ სიტყვას არავინ უბრუნებდა მათ. საბქოს წვრილბურჯუაზიული წარმომადგენელნი თანაგრძნობით უსმენდნენ მათ. მილიუკოვი მიზნდა, რომ თავრიდის სასახლის მარცხენა ფრთიდან მოსულნი მარჯვენა ფრთის ბატონ-პატრონებზე ნაკლებად არ იყვნენ დაფრთხალნი რევოლუციით. ძილიუკოვმა ერთბაშად შეება იგრძნო და საქმიანად მოჰკიდა ხელი აღმასრულებელი კომიტეტის პირობებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების

ИЗВѢСТІЯ ПЕТРОГРАДСКАГО СОВѢТА

Рабочихъ депутатовъ.

№ 1—28 февраля 1917 года.

№ 1.

Къ населенію Петрограда и Россіи. Отъ Совѣта Рабочихъ Депутатовъ.

Старая власть довела страну до полного развала, а народъ до голоданія. Терпѣть дѣлать стало невозможнo. Населеніе Петрограда вышло на улицу, чтобы заявить о своемъ недовольствѣ. Его встрѣили жандармы. Они выстрѣлили въ народъ, преслѣдовали его, народу свинесли.

Но солдаты не захотѣли идти противъ народа и воистиннъ противъ правительства. Вместе съ народомъ они захватили оружіе, военные склады и рядъ важныхъ правительственныхъ учрежденій.

Борьба еще продолжается; она должна быть доведена до конца. Старая власть должна быть окончательно низвергнута и уступить мѣсто народному правленію. Въ этомъ спасеніе Россіи.

Для успешнаго завершенія борьбы въ интересахъ демократіи народъ долженъ создать свою собственную властную организацію.

Вчера 27 февраля въ столицѣ образовался Совѣтъ Рабочихъ Депутатовъ— изъ избранныхъ представителей заводовъ и фабрикъ, возмѣстныхъ воинскихъ частей, а также демократическихъ и социалистическихъ партій и группъ.

Совѣтъ Рабочихъ Депутатовъ обязавшись въ Государственный Думѣ сдѣлать своей основной задачей организацію народныхъ силъ и борьбу за окончательное управленіе гражданской свободой и народнымъ правленіемъ въ Россіи.

Совѣтъ назначилъ рабочихъ комиссаровъ для управленія народной властью въ районѣ Петрограда.

Приглашаемъ все населеніе столицы немедленно сплотиться вокругъ Совѣта, образовать местные комитеты въ районахъ и взять въ свои руки управленіе всѣми мѣстными дѣлами.

Всѣмъ имѣть общія обязанности бороться за полное управленіе старымъ правительствомъ и созвать учредительное собраніе, избраннаго на основаніи всеобщаго равнаго, прямого и тайнаго избирательнаго права.

Совѣтъ Рабочихъ Депутатовъ

Петроградის მუშათა დეპუტატების საბჭოს „ივესტიის“ პირველი ნომერი.

საბჭოს პირობები საერთოდ მისაღებია და შეიძლება საფუძვლად დაედოს მის შეთანხმებას სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტთან, განაცხადა მილიუკოვმა, ძაგრამ დასძინა, აქ არის პუნქტები, რომლების წინააღმდეგაც გადაჭრით ელაშქრებო. უწინარეს ყოვლისა, პუნქტი ყოველ ისეთ ნაბიჯზე უარის თქმის შესახებ, რაზელიც მართვაგამგეობის ფორმას წინასწარ განსაზღვრავდესო. დამშვიდებული ლიდერი-ბურჟუა ურჩევდა დელეგაციას მონარქიის მიღებას: ნიკოლოზის ნაცვლად ტახტზე მისი შვილის დასმას და რეგენტად მხიელიან დანიშნებას. ეს იყო ბურჟუაზიის ძველი პროგრამა, რევოლუციამდე ბევრად ადრე დასახული. „ერთი — ავადმოყოფი ბავშვია, მეორე კი — მთლად სულელი კაცი“¹, ურჩევდა მილიუკოვი, რომელსაც მხარი დაუჭირეს რაძიანკომ და კომიტეტის სხვა წევრებმა. მილიუკოვმა ხელახლა გადაიკითხა შეთანხმების ყველა პირობა, სიტყვაშეუბრუნებლად დასთანხმდა დამფუძნებელი კრების მოწვევას. ძაგრამ წაიფორხილა იმავე პუნქტზე მართვაგამგეობის ფორმის შესახებ.

კამათის ბოლოს მიღებულ იქნა შემდეგი კომპრომისული ფორმულირება: „დაუყოვნებლივ მომზადება იმისათვის, რომ მოწვეულ იქნას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე დამფუძნებელი კრება, რომელიც დააწესებს ქვეყნის მართვაგამგეობის ფორმას და კონსტიტუციას“². ამ სახით პუნქტი ხელებს არ უბორკავდა მილიუკოვს. პირობის თავისებურად განმარტება შეიძლებოდა.


უქანასკნელ მოთხოვნაშიაც ჯარისკაცთა უფლებების შესახებ მილიუკოვმა შეიტანა შესწორება, რომელიც მომავალ პოლიტიკას უადვილებდა მას:

„სამხედრო-ტექნიკური პირობებით დაშვებულ ფარგლებში“³.

რაკი ოღლად მორჩა საბჭოს წინადადებებს, მილიუკოვმა, თავის მხრივ, წამოაყენა ერთი ვალდებულება: საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გამოაქვეყნოს დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ეს მთავრობა მუშათა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმებით შეიქმნა და ამიტომ მასების ნდობის ღირსიაო; დეკლარაციაში უნდა იყოს მოწოდება ჯარისკაცებისადმი — სცნონ ოფიცრებიო.

სხლომა დამთავრდა. დროებითი კომიტეტი მთავრობის სიის შედგენას შეუდგა, საბჭოს წარმომადგენელნი კი — დეკლარაციისას. ხელახლა შეიყარნენ 2 მარტს გათენებისას. მილიუკოვს საბჭოს წარმომადგენელთა დეკლარაცია არ მოეწონა, და იგი მაშინვე ჩაუჯდა მის გასწორებას. საბჭოს წარმომადგენლებმა შეიმუშავეს ყველა პუნქტი დროებითი მთავრობის გამოსაცხადებლად, ბურჟუაზიის ლიდერმა მილიუკოვმა კი აღმასრულებელი კომიტეტის დეკლარაცია დასწერა. ამ სურათში გამოჩატულება ჰპოვა ბურჟუაზიული მთავრობისა და საბჭოს წვრილბურჟუაზიულ ლიდერთა მომავალი ურთიერთობის მთელმა დელაარსმა.

მავე დილას გამოცხადდა მთავრობის შემადგენლობა: თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — თავადი გ. ე. ლეოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი — პ. ნ. მილიუკოვი (კადეტი), სამხედრო და საზღვაო — ა. ი. გუჩკოვი (ოქ-



პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ერთერთი პირველი სხდომა თავრიდის სასახლეში.

ტიაბრისტი), გზათა — ნ. ვ. ნეკრასოვი (კადეტი), ვაჭრობისა და მრეწველობისა — ა. ი. კონოვლოვი (პროგრესისტი), ფინანსთა — მ. ი. ტერეშჩენკო, განათლებისა — ა. ა. მანუილოვი (კადეტი), სინოდის ობერ-პროკურორი — ვ. ნ. ლვოვი, მიწათმოქმედების მინისტრი — ა. ი. შინგარიოვი (კადეტი), იუსტიციისა — ა. ფ. კერენსკი (ტრუდოვიკი), სახელმწიფო კონტროლიორი, — ი. ვ. გოდნევი. ექვსი კაცი, ე. ი. შემადგენლობის უმრავლესობა, „ნდობის სა-მინისტროს“ იმ სიიდან იყო, რომელსაც ჯერ კიდევ 1915 წლის შემოდგომაზე სახავდნენ.

შეიარაღებული ძალა და მასების მხარდაჭერა საბჭოების მხარეზე იყო, ძალაუფლება კი დროებითი მთავრობის ხელში აღმოჩნდა. შეიქმნა ისტორიაში იშვიათი ო რ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა. ლუწონი ამის შესახებ სწერდა:

„ჩვენი რევოლუციის უაღრესად შესანიშნავი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შექმნა ო რ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა... რაში მდგომარეობს ორძალაუფლებიანობა? იმაში, რომ დროებითი მთავრობის, ბ უ რ-ე უ ა ზ ი ი ს მთავრობის გვერდით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ სუსტი, ჩანასახოვანი, მაგრამ მაინც უეჭველად არსებული სინამდვილეში და მზარდი მ ე ო რ ე მ თ ა ე რ ო ბ ა: მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები“¹.

მეტიც, საბჭოებმა, რომლებიც გამარჯვებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა წამოაყენეს, მაგრამ რომლებსაც მენშევიკები უღდნენ სათავეში, თვითონვე ნე-

ბაყოფლობით აღიარეს თავიანთ თავზე დროებითი მთავრობის ძალაუფლება — ნებაყოფლობით ჩაუგდეს ხელში ბურჟუაზიის ჯარისკაცებისა და მუშების მიერ მოპოვებული ძალაუფლება.

რატომ?

ბურჟუაზია შეუდარებლად უფრო ორგანიზებული კლასი იყო, ვიდრე პროლეტარიატი და გლეხობა. ომმა მეტადრე გააძლიერა ეს ორგანიზებულობა. თვითმპყრობელობასთან კონფლიქტებში ომისა და მომავალი რევოლუციის თაობაზე ბურჟუაზიამ ფაქტიურად მოიმზადა ხელისუფლების მომავალი აპარატი.

„ძალაუფლება, — სწერდა ლენინი. — შემთხვევით როდი ჩაუვარდა ხელში ამ პარტიას (კაპიტალისტებს. რ. ე. დ.), თუმცა მეფის ჯარებს ებრძოდნენ და თავისუფლებისათვის სისხლსა ღვრიდნენ არა კაპიტალისტები, რა თქმა უნდა, არამედ მუშები და გლეხები, მატროსები და ჯარისკაცები. ძალაუფლება იმიტომ ჩაუვარდა ხელში კაპიტალისტთა პარტიას, რომ ამ კლასს ხელში ჰქონდა სიმდიდრის, ორგანიზაციისა და ცოდნის ძალა. 1905 წლიდან განვილი ხანში და მეტადრე ომის განმავლობაში კაპიტალისტთა და მათი მომხრე მემამულეთა კლასმა ყველაზე მეტი წარმატებანი მოიპოვეს თავისი ორგანიზაციის საქმეში“¹.

პროლეტარიატი ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდა ხელისუფლების დაპყრობისათვის, ვიდრე ბურჟუაზია. ბოლშევიკთა პარტიისა და პროლეტარიატის პოლიტიკურად ყველაზე მომწიფებული ნაწილი ან ომში დაიღუპა, ან ემიგრაციაში იყო გადახვეწილი ანდა შორეულ ციხებში გადასახლებული, ან დაფანტული იყო ომის ყველა ფრონტზე. მის ნაცვლად მოვიდნენ ახალი მასები სოფლიდან და პარტიის ნაკლებად გამოცდილი წევრები. მართალია, ახალ მუშათა უმრავლესობა გლეხობის ღარიბი დაბალი ფენებიდან გამოვიდა და მხოლოდ ნაწილი — კულაკობიდან და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიიდან. ეს უკანასკნელნი თავს არიდებდნენ მობილიზაციას, მუშაობდნენ რა თავდაცვითი მრეწველობაში. მაგრამ ერთმაც და მეორემაც თან მოიტანა პროლეტარულ წრეში წვრილბურჟუაზიული ცრუმეხედულებანი და პოლიტიკური სიბრმავე. ეს გარემოება დროებით ასუსტებდა პროლეტარიატს.

დასასრულ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ათეულ მილიონობით ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკურად ეძინათ „ხალხთა საპყრობილეში“, როგორც მეფის რუსეთს უწოდებდნენ, ერთბაშად ებმეზოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. წინათ ცარიზმის საშინელი ჩაგვრით დაბეჩავებულ ობიექტულთა, წვრილ ბურჟუათა მილიონიანმა მასამ რიცხვობრივად დაწარმოდა პროლეტარიატი. გიგანტურმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ მოიცვა შეგნებული პროლეტარიატი და ნაწილობრივ თავისი იდეებიც კი გადასდვა მას. მუშათა მნიშვნელოვანი წრეები შეპყრობილნი იყვნენ წვრილბურჟუაზიული შემოანხმებლური ილუზიებით.

აი რატომ ჩაუვარდა ხელში ბურჟუაზიის რევოლუციურ მუშათა და გლეხთა თებერვლის გამარჯვების ნაყოფი.

ამავე მიზეზით საბარკადო მებრძოლთა ავანგარდში ბოლშევიკები იყვნენ, საბჭოებში კი უდიდესი უმრავლესობით მენშევიკებმა და ესერებმა აპოჰყვეს თავი. წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ პირველ ხანებში საბჭოს შემადგენლობაც განსაზღვრა და უპირატესობა მისცა წვრილბურჟუაზიულ ლიდერებს. სანამ ბოლშევიკები ქუჩაში ბრძოლით იყვნენ გართულნი, ესერ-მენშევიკებმა საბჭოში იმაგრებდნენ ფეხს. პეტროგრადის საბჭოს მიერ არჩეული დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მსხვილი ქარხნები საბჭოში გზავნიდნენ თითო წარმომადგენელს ათასზე, ხოლო ის საწარმოები, სადაც მუშათა რიცხვი ათასზე ნაკლები იყო, აგრეთვე თითო დეპუტატს ირჩევდნენ. ასეთი წარმომადგენლობით წამყვანმა ქარხნებმა, რომლებშიაც პეტროგრადის პროლეტარიატის 87 პროცენტი იყო, საბჭოში მიიღეს 124 ადგილი — მხოლოდ ორი მეთი, ვიდრე წვრილმა საწარმოებმა, რომლებსაც მუშათა მხოლოდ 13 პროცენტი ჰყავდათ.

ამრიგად, ინდუსტრიული გიგანტები, „ბოლშევიკი“-ქარხნები, მოძრაობის ხელმძღვანელები, ითქვიფებოდნენ წვრილ, ხელოსნური ტიპის საწარმოებში.

გარდა ამისა საბჭოებში წარმომადგენლებს ირჩევდნენ ყოველგვარი სამხედრო სამმართველოები, სამხედრო დარგები, მალაზიები, ასობით გლეხებს — გარნიზონის ჯარისკაცებს, სადაც პოლიტიკურად მოუმიწოდებელი ელემენტები სპარბობდნენ.

ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, განსაზღვრა პეტროგრადის საბჭოს ხელმძღვანელობის სახე.

4.

დროებითი მთავრობა ბურჟუაზიის ერთპალაუზღვანიანობისათვის ბრძოლაში.

რაკი დროებითმა მთავრობამ პეტროგრადის საბჭოს თანაგრძნობა მოიპოვა, მან უწინარეს ყოვლისა რომანოვთა დინასტიის საკითხს მოჰკიდა ხელი. საბჭოსაგან ფარულად მთავრობამ 2 მარტს პსკოვში მეფესთან გაგზავნა ა. ი. გუჩკოვი და ვ. ვ. შულგინი. მათი წასვლის შემდეგ, დღის 3 საათზე, მილიუკოვი გამოვიდა თავრიდის სასახლის დარბაზში მიტინგზე ცნობით მთავრობის შექმნის შესახებ. მილიუკოვის სიტყვამ მოწონება გამოიწვია, მაგრამ ტაშში პროტესტებიც გაისმოდა. „ეინ აგირჩიათ თქვენ?“ აწყვეტინებდნენ სიტყვას ორატორს. როდესაც მილიუკოვმა თავად ლვოვს „ორგანიზებული საზოგადოებრივობის წარმომადგენელი“ უწოდა, მასიდან გაისმა რამდენიმე ხმა: „ცენზიანი-სა!“ — ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოებრივობისაო. მილიუკოვს დასჭირდა დიდხანს ექო გუჩკოვი და აშკარად სიცრუეც კი ეთქვა, რათა თავიდან აეცდინა ზედმეტი საწინააღმდეგო სიტყვები. „ამჟამად, როდესაც მე დარბაზში გელაპარაკებით, გუჩკოვი სატახტო ქალაქის ქუჩებში ჩვენს გამარჯვებას აწყობსო“, ეწოდა აგიტაციის მილიუკოვი, ნამდვილად კი გუჩკოვი ამ დროს მატარებლით

მეფესთან მიეშურებოდა. ვეებერთელა დარბაზის ყოველი მხრიდან მოისმოდა ძახილი: „დინასტია?“ მილიუკოვმა ბოლოს ძალღონე მოიკრიბა და გაბედა ფრთხილად გაემხილა თავისი ზრახვები:

„მე წინდაწინ ვიცი, რომ ჩემი პასუხი ყველას არ დაგაკმაყოფილებს. მაგრამ მინც გეტყვი. ძველი დესპოტი, რომელმაც რუსეთი დალუპვის კარამდე მიიყვანა, ნებაყოფლობით გადადგება ტახტიდან ანდა ჩამოგდებული იქნება. ძალაუფლება გადაეცემა რეგენტს, დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრეს-ძეს. მემკვიდრედ ალექსი იქნება“¹.

ატყდა წარმოუდგენელი ხმაურობა. ადგილებიდან ყვიროდნენ: „ეს ძველი დინასტიაა“. როდესაც ხმაურობა მინელდა, მილიუკოვი შეეცადა რამდენადმე შეერბილებინა თავისი განცხადებით გამოწვეული შთაბეჭდილება:

„დიად, ბატონებო, ეს არის ძველი დინასტია. რომელიც, შესაძლოა, თქვენ არ გიყვარდეთ, და შესაძლოა, არც მე მიყვარდეს. მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, თუ ვინ უყვართ ამჟამად. ჩვენ არ შეგვიძლია უპასუხოვდ და გადაუტყველად დავტოვოთ სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის საკითხი. ჩვენ იგი წარმოდგენილი გვაქვს, როგორც საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქია. შესაძლოა. სხვებს სხვანაირად წარმოუდგენიათ იგი. მაგრამ თუ ჩვენ ახლა ამაზე ვაგმართეთ დავა. იმის ნაცვლად, რომ ერთბაშად გადაეწვიტოთ, რუსეთი სამოქალაქო ომის მდგომარეობაში აღმოჩნდება, და აღსდგება ეს-ეს არის დანგრეული რეჟიმი... როგორც კი გაივლის საშიშროება და აღორძინდება მტკიცე წესრიგი, ჩვენ შევეუდგებით მზადებას დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის... საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. თავისუფლად არჩეული სახალხო წარმომადგენლობა გადასწყვეტს, ვინ უფრო სწორად გამოხატავს რუსეთის საერთო აზრს — ჩვენ თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი“².

ქარბნებსა და პოლკებში მილიუკოვის გამოსვლამ მწვავე აღელვება გამოიწვია. საღამოს თავრიდის სასახლეში ოფიცერთა ჯგუფი მივიდა. მათ განაცხადეს, არ შეგვიძლია პოლკში დაებრუნდეთ. სანამ მილიუკოვი თავის სიტყვებს უკან არ წაიღებსო. შეიკრიბნენ მთავრობის შემფოთებული წევრები. „ხალხის დასაწყნარებლად“ დაადგინეს განეცხადებინათ, მილიუკოვის სიტყვები „მის პირად აზრს წარმოადგენსო“.

სანამ პეტროვარდი მღელვარე პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ ხალხისათვის ახალი მეფე მოეხეიათ თავს, გუჩკოვი და შულგინი პსკოვში ჩავიდნენ და მოახსენეს მეფეს მთავრობის გეგმა — ტახტი გადაეცათ ალექსისათვის. ნიკოლოზ II-მ განაცხადა, რომ მან გადაიფიქრა და უარს ამბობს ტახტზე თავის მხრივაც და თავისი შვილის მხრივაც თავისი ძმის მიხეილის სასარგებლოდ. ამასთან მეფემ თავისი მამობრივი გრძობები მოიპიწუნა: „არ შემიძლია ჩემ შვილს დავმორდო“³. ნამდვილად კი ნიკოლოზი პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა: მას არ უნდოდა ხიფათში ჩაეყენებინა შვილი და ამჯობინებდა დრო მოეგო. გუჩკოვმა და შულგინმა პირდაპირი მავ-

თულით აცნობეს დროებითს მთავრობას მეფის გადადგომის ტექსტი და წა-
ვიდნენ პეტროგრადში. მთავრობამ, გაითვალისწინა რა სატახტო ქალაქში შექ-
მნილი განწყობილება, გადასწყვიტა არ გამოექვეყნებინა ტექსტი. შულგინის
გაფრთხილება ტელეფონით მოასწრეს, მაგრამ გუჩკოვი მატარებლიდან პირ-
დაპირ რკინიგზელთა მიტინგზე წავიდა თვით სადგურში, წაიკითხა მანიფესტი
და ასე დაამთავრა: „გაუმარჯოს იმპერატორ მიხეილს!“¹ პასუხად გაისმა:
„ძირს მეფე!“ აღუვებულმა მუშებმა მოითხოვეს გუჩკოვის დაუყოვნებლივ
დაპატიმრება და განხრეკა. „პირსუშხა ბოლოკზე ტყბილი არ არისო“, აღშფო-
თებით გაიძახოდნენ ჯარისკაცები, როდესაც შეიტყვეს, რომ ნიკოლოზ II მი-
ხეილ II-ით უნდა შეეცვალათ.

დროებითი მთავრობა ფართო მასების განწყობილებებს წააწყდა და მიხე-
და, რომ მონარქიის შენარჩუნებაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. დილით
ადრე 3 მარტს როძიანკო, მილიუკოვი, გუჩკოვი, ნეკრასოვი, კერენსკი და
მთავრობის სხვა წევრები ეწვივნენ დიდ მთავარ მიხეილს. დელეგაციის უმ-
რავლესობამ დააჯერა იგი თავის მხრივ გადამდგარიყო ტახტიდან. წინააღმ-
დეგი იყვნენ მხოლოდ მილიუკოვი და გუჩკოვი, რომელნიც პირიდებოდნენ
დიდ მთავარს შეეკრიბნათ პეტროგრადს გარეთ მეზობლი ძალა მონარქიის
დასაცავად. მიხეილი თვითონაც მიხედა, რომ ტახტს ვერ შეინარჩუნებდა. წი-
ნადღეს მან მატარებელი ითხოვა ვატჩინიდან პეტროგრადში ჩასასვლელად.
მაგრამ საბჭოში ეთქვათ, „მოქალაქე რომანოვს“ შეუძლია სადგურში მივიდეს,
ბილეთი აიღოს და საერთო მატარებლით წავიდესო. მიხეილ რომანოვმა ცოტა-
ხანს იფიქრა, ცალკე ესაუბრა როძიანკოს და უარი განაცხადა ტახტზე. მი-
ლიუკოვი მოგვითხრობს, რომ მაშინ კერენსკიმ დიდ მთავარს ხელი ჩამოართვა
და უთხრა: „თქვენო უმაღლესობავ, თქვენ კეთილშობილი კაცი ხართ“².

მონარქიის გადარჩენა არ მოხერხდა, მაგრამ სამაგიეროდ ბურჟუაზია შე-
ეცადა, რომ ახალ ხელისუფლებას რაც შეიძლება კანონიერი სახე ჰქონოდა.
გუჩკოვმა და შულგინმა მეფეს დაანიშნინეს თავადი ლვოვი მინისტრთა საბ-
ჭოს თავმჯდომარედ. გამოდიოდა, რომ ახალი მთავრობის მეთაური კანონიე-
რად დამტკიცებული იყო წინანდელი იმპერატორის მიერ. როძიანკოს არაერთ-
ხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ თავადი ლვოვი

„იყო წარმომადგენელი იმ მემკვიდრეობითი ძალაუფლების, რომელიც
გადაეცა მას ჯერ კიდევ დაუმხობელი უმაღლესი ხელისუფლების სახე-
ლითო“³.

ნამდვილად კი ნიკოლოზი მეფე უკვე აღარ იყო, როდესაც ხელს აწერდა
ბრძანებას ლვოვის დანიშვნის შესახებ. მიხეილი, უარს ამბობდა რა ტახტზე,
მოუწოდებდა ხალხს დამორჩილებოდა

„დროებითს მთავრობას, სახელმწიფო სათათბიროს თაოსნობით წარ-
მოშობილს და ძალაუფლების მთელი სისრულით მოსილს“⁴.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის ახალი მთავარსარდალიც კი ძველ ხელის-
უფლებასთან შეთანხმებით დაინიშნა. გენერალ ხაბალოვის ნაცვლად წამოაყე-
ნეს გენერალი ლ. გ. კორნილოვი, რომელსაც სამეფო კარის წრეებში კარგი



პირველი შემადგენლობის დროებითი მთავრობა. ხედან (მარცხნიდან მარჯვენა): ა. თ. კონოვალოვი, ა. თ. გუჩუკოვი, ნ. ვ. ნეკრასოვი, ა. თ. შინგარიოვი, გ. თ. ლვოვი, ი. ვ. გოდნევი, მ. თ. ტერეშჩენკო, პ. ნ. მილიუკოვი, ა. ა. მანუილოვი, დვას (მეორე მარჯვნივ) ა. ფ. კერენსკი.

თვალთ უყურებდნენ და რომელიც ნიკოლოზ II-ის „უყურადღების ღირსიც“ კი გახდა, მას შემდეგ, რაც გენერალი გერმანიის ტყვეობიდან განთავისუფლდა. თავად ლეოვის 5 მარტის დეპეშით ყველა გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი გადაყენებულ იქნენ, მათი მოვალეობანი კი საგუბერნიო საერობო გამგეობათა თავმჯდომარეებს დაეკისრა. მაგრამ ბევრი თავმჯდომარე თავის დროზე ძველი ხელისუფლების მიერ იყო დანიშნული, ხოლო თუ არჩეული იყო, ყველაზე რეაქციული ჯგუფებიდან.

მუშათა და ჯარისკაცთა გადამქრელმა პროტესტმა მონარქიის გადარჩენის ცდების წინააღმდეგ დაანახვა მთავრობის ხელმძღვანელთ, რომ ბურჟუაზიის ერთპალაუფლებიანობა არ შეიძლებოდა ძალით დამკვიდრებულყო. ამჟამა ძალადობა მსახებს აღელვებდა, წინააღმდეგობას იწვევდა, რევოლუციას აღრმავებდა. დარჩენოდათ ერთი — დათმობათა, მიკიბ-მოკიბვისა. უხვად გაცემულ დაპირებათა ტაქტიკა, რათა დრო მოეგოთ, ძალღონე მოეკრიბათ და შემდეგ ბოლო მოეღოთ რევოლუციისათვის. სწორედ ასეთი დათმობა იყო, რომ მთავრობაში შეიყვანეს კერენსკი, რომლის კანდიდატურა საბჭოს წარმომადგენლებთან საუბრის დროს 1 — 2 მარტს დამით არც კი დაუსახელებიათ. ვ. ვ. შულგინი თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ კადეტი შინგარიოვი, დროებითი მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრი, ჯერ კიდევ რევოლუციის წინააღმდეგ ამბობდა:

— „ძალაუფლება რომ თავს მოგვეხვეს, საჭირო გახდება მხარდაჭერა ვეძიოთ პროგრესიული ბლოკის მარცხნივ გაფართოებით...“

— როგორ წარმოვიდგენიათ ეს?

— მე კერენსკის მოვიწვევდი.

— კერენსკის? რა თანამდებობაზე?

— ეთქვათ, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე... ამჟამად ამ პოსტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რევოლუციის შეთაურები უნდა გამოვვლიჯოთ... მათგან კერენსკი — რაც უნდა იყოს ერთადერთია... გაცილებით უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის გვყავდეს იგი, ვიდრე ჩვენს წინააღმდეგ“¹.

დროებითი მთავრობა ცდილობდა ხელები არ შეებორკნა. 6 მარტს მან მოწოდებით მიმართა ხალხს. სადაც ძალიან გაურკვეველი ფორმით განაცხადა, რომ

„თავის წმინდა და პასუხსაგებ მოვალეობად მიაჩნია განახორციელოს ხალხის მისწრაფებანი და გამოიყვანოს ქვეყანა თავისუფალი სამოქალაქო მოწყობის ნათელ გზაზე“².

თუ რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად „ხალხის მისწრაფებანი“ და მთავრობის „წმინდა მოვალეობა“, ამის ამოკითხვა მალაღფარდოვანი და მრავალსიტყვიანი მოწოდებებიდან არავის არ შეეძლო. პპირდებოდნენ, რომ მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას, რომელიც ყველა ძირითად საკითხს გადასჭრისო. მაგრამ მოწვევის ვადა ნაჩვენები არ იყო. დამფუძნებელ კრებას ამოეფარა მილიუკოვი, როდესაც მიტინგზე მას უეცრად პროტესტი განუცხადეს ქონარქიის წინააღმდეგ. დაჰფუძნებელ კრებაზე მიუთითებდა მთავრობა ყველას, ვინც მოითხოვდა პასუხს მიწის, პურისა და ზავის საკითხზე.

6 მარტის მოწოდება. ისევე როგორც დროებითი მთავრობის 2 მარტის პირველი დეკლარაცია. კრიტსაც არ სძრავს გლეხობისათვის მიწის გადაცემაზე. მიწათმოქმედების მინისტრად დაინიშნა ა. ი. შინგარიოვი, ერობის ექიმი, კადეტი, IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი. მის დანიშვნას მხოლოდ იმით ხსნიდნენ, რომ შინგარიოვი მუდამ სასურსათო საკითხზე გამოდიოდა სათათბიროში. მიწათმოქმედების სამინისტრო უწინარეს ყოვლისა სასურსათო სამინისტრო იყო დროებითი მთავრობისათვის. რევოლუცია დაიწყო „სასურსათო უწყესრიგობით“; „უწყესრიგობა“ ემუქრებოდა



„ამიტომ ჩვენ სიკეთით მივიჩნით უარს გვეთქვა რუსეთის სახელმწიფოთს ტანტზე“ (ნიკოლოზ II მანიფესტიდან).
კარიატურა ვ. დენისა უურნალ „ბიხიდან“ № 1, 1917 წ.

ახლად შექმნილ მთავრობასაც, ხოლო სოფელს ჯერ კიდევ არ აღემა-
ლებინა ხმა მიწის მოთხოვნით. დუმილით აუარა რა გვერდი მიწის საკითხს,
დროებითა მთავრობამ უკვე 9 მარტს გადასწყვეტა სისხლის სამართლის წესით
პასუხისგებაში მიეცა ყაზანის გუბერნიის გლეხები მემამულეთა წინააღმდეგ გა-
ძოსვლებისთვის.

მაგრამ ორი კვირაც არ გასულა, რომ სოფელმა თავისი არსებობა მოაგონა
მთავრობას. „გლეხები... თავს დაესხნენ და ნაწილობრივ გადაარცვეს მამული
„აღექსანდროვკა“, იუწყებოდნენ კურსკის გუბერნიიდან. ტრუბეცკოვის რიაზა-
ნის გუბერნიის მამულის მოურავი უჩიოდა გლეხებს, რომელნიც მოითხოვდნენ
მამული მათ გადასცემოდათ. 16 მარტს შინგარიოვმა მიიღო დეპეშა მოსკო-
ვის გუბერნიაში გლეხების გამოსვლის შესახებ. ასეთივე ცნობები მოდიოდა
რუსეთის ყველა კუთხიდან.

დროებითა მთავრობამ პირველად სცადა გლეხთა დაწყებული მოძრაობა
ძველი ნაცილი საშუალებით ჩაეჭრო: „დასაწყნარებლად“ მარტის პირველ ნა-
ხევარში სოფლებში ჯარები გაგზავნეს. რაზმები გაიგზავნა კურსკის, მოგი-
ლიოვის და პერმის გუბერნიებში. მაგრამ ლეოვ — მილიუკოვ — შინგარიოვის
მთავრობა მალე დარწმუნდა, რომ ძველი საშუალებით სოფლის დაწყნარება
არ მოხერხდებოდა. პირდაპირ ჩახშობა უკვე აღარ შეიძლებოდა. საჭირო იყო
რალაც დათმობები. 12 მარტს მთავრობამ განაცხადა, ხაზინას გადაეცემა ნი-
კოლოზ II-ის მიწები — საკაბინეტო მიწებიო, — 16 მარტს კი ეს დადგენილე-
ბა გავრცელდა რომანოვთა მთელი გვარეულობის მიწებზეც, ეგრეთწოდებუ-
ლი საუფლისწულო უწყების მიწებზე.

ჩეიღმეტ მარტს ლეოვის მთავრობამ დეკლარაციით მიმართა გლეხებს.

„მიწის რეფორმა... უუქველად დადგება მომავალი დამფუძნებელი კრე-
ბის დღის წესრიგშიო“, იძლეოდა დაპირებას დროებითი მთავრობა. „მი-
წის საკითხი არ შეიძლება ცნოვრებაში გატარდეს რალაც ხელში ჩაგდე-
ბის გზით, — დასძენდა შემდეგ დეკლარაცია. — ძალადობა და ძარცვა —
ყველაზე ცუდი და საშიში საშუალებაა ეკონომიურ ურთიერთობათა სფე-
როშიო“².

ის ქადაგება, რომ ძალადობისათვის არ მიემართნათ, მხოლოდ გლეხებს შე-
ენებოდა, საკუთარი სარგებლობისათვის კი მთავრობა სწორედ ძალადობას
იტოვებდა. 8 აპრილს მინისტრმა-თავმჯდომარემ, იმავე შინაგან საქმეთა მი-
ნისტრმა, თავადმა ლეოვმა, წინადადება მისცა საგუბერნიო კომისრებს, ჩაეხ-
შოთ გლეხთა მღელვარება ყველა ზომით „თვით სამხედრო კომანდების გამო-
წვევამდე“. დროებითი მთავრობის მიერ ადგილებზე დანიშნული კომისრები და
სახელმწიფო სათათბიროს მიერ პროვინციაში გაგზავნილი წარმომადგენელნი
გულმოდგინედ ატარებდნენ ცხოვრებაში მინისტრ-თავმჯდომარის მითითებებს.

მთავრობის დამსჯელ მოქმედებას ესერ-მენშევიკები ჰფარავდნენ. 16 მარტს
ესერთა პარტიის პეტროგრაღის საოლქო კონფერენციამ აგრარული მოძრაო-
ბის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ კონფერენციაზე აცხადებდნენ, რომ

„კერძომფლობელობის მიწების დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდების ყოველგვარმა ცდებმა შეიძლება დამღუპველი გავლენა იქონიონ სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების სწორ მიმდინარეობაზე... საუფლისწულო, საკაბინეტო და კერძომფლობელობის დასამუშავებელი მიწების კონფისკაცია შეიძლება გატარდეს მხოლოდ საკანონმდებლო გზით დამფუძნებელი კრების მეშვეობით, რომელიც მისცემს ხალხს მიწასა და თავისუფლებას“¹.

ესერები უფრო რეაქციული აღმოჩნდნენ, ვიდრე ბურჟუაზია: დროებითმა მთავრობამ რამდენიმე დღის წინააღმდეგე მოახდინა საუფლისწულო და საკაბინეტო მიწების კონფისკაცია. 3 აპრილს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად-რუსეთის თათბირმა მენშევიკთა წინადადებით მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო:

„აგარაული უწესრიგობა შეიძლება ხელსაყრელი იყოს არა გლეხობისათვის, არამედ მხოლოდ კონტრრევოლუციისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ახლა ძალაუფლება ხალხის ხელშია და ხალხი დამფუძნებელ კრებაში თვითონ გადასწყვეტს მიწის საკითხს“².

მუქარამ და ძალადობამ აგარაული მოძრაობა ვერ შეაჩერა.

„აპრილში გამოჩნდა პირველი ნიშნები გლეხთა უფლებაშეგნებაში მომხდარი ცვლილებებისა მიწის საკითხის გადაჭრის მიმართ, და ამ ცვლილებასთან ერთად დაიწყო შესაბამისი ცნობების მიღება ადგილებიდან დეპუტატების სახით“³ —

ასე სწერდა ეშრალი კანცელარული ენით დროებით მთავრობას შინაგან საქმეთა მინისტრი. მემამულეებმა გამოიყვანეს დასკვნა გლეხობასთან ბრძოლაში ახალი ტაქტიკის აუცილებლობის შესახებ:

„მემამულენი მიხედნენ, — ამბობდა ამაზე. ლენინი, — რომ ჯოხით ბატონობა მეტად აღარ შეიძლება. ამას ისინი კარგად მიხვდნენ, და ისინი გადადიან ბატონობის იმ ხერხზე, რომელიც რუსეთისათვის ახალ ხილს წარმოადგენს. დასავლეთ ევროპაში კი დიდხანია არსებობს... რევოლუციები ასწავლიან მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ასწავლიან მათ, რომ ხალხი მოტყუებით, პირფერობით უნდა მართო: უნდა შეეგუო, პიჯაკზე წითელი ნიშანი გაიკეთო და, თუნდაც ქვეყნის მკამელი იყო, ამბობდე: „ჩვენ — რევოლუციური დემოკრატია ვართ. გეთაყვა, ოღონდ გვადროვეთ და თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებთ“⁴.

თერთმეტ აპრილს მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი „ნათესების დაცვის შესახებ“, რომელიც არსებითად მემამულეებს აძლევდა გარანტიას დაეცვა მათი მიწა, საიჯარო ქირა და

„მათ მიერ — მემამულეთა მიერ — თესვაზე გაწეული ხარჯები „ხალხის მღელვარების“ შემთხვევაში“⁵.

შინგარიოვმა სცადა დაემშვიდებინა გლეხები შემარიგებელი კამერების შექმნით, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მემამულეებს უნდა ჰქონოდათ. ლენინმა ასე შეაფასა მემამულეთა და გლეხთა შერიგების ეს ცდა.

ერთი მიწათმფლობელი, რომელსაც 2 ათასი დესეტინა მიწა აქვს და სამასი გლეხის ოჯახი, რომლებსაც 2 ათასი დესეტინა მიწა აქვთ — ასეთია ერთობლივად საქმის ვითარება რუსეთში. სამასმა გლეხმა უნდა უცადოს ერთი მემამულის ნებაყოფლობითს თანხმობას“¹.

მაგრამ სწორედ ეს იყო ხელსაყრელი მიწათმფლობელთათვის. შინგარიოვმა გადასწყვიტა გამოეყენებინა თვით იდეა ასეთი „ნებაყოფლობითი შეთანხმებისა“.

ოცდაერთ აპრილს გამოიცა დებულება საადგილმამულო კომიტეტების შესახებ. შინგარიოვის ბიოგრაფი კადეტი ა. გ. ხრუშჩოვდ მოგვითხრობს, თუ როგორ წარმოედგინა მინისტრს საადგილმამულო კომიტეტების ამოცანები:

„ა. ი-ს (შინგარიოვის. რედა.) თავდაპირველი აზრით საადგილმამულო კომიტეტები უნდა მოწყობილიყო მხოლოდამხოლოდ მასალების მოსამზადებლად და დასამუშავებლად მიწის საკითხზე... არავითარი აღმასრულებელი ფუნქცია, საადგილმამულო ურთიერთობათა სფეროში შექრის არავითარი უფლება ა. ი-ს მიერ თავდაპირველად დამუშავებული პროექტით კომიტეტებს მინიჭებული არ ჰქონდათ“².

თვითონ ხრუშჩოვმა, რომელიც მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგად იყო, ასე ახსნა მთავარი კომიტეტის პირველსავე სხდომაზე ამ ღონისძიების აუცილებლობა:

„აგარული მოძრაობა ფართოდება და ლებულობს ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრების მოშლის სახიფათო ფორმებს. აუცილებელია მიღებულ იქნას გადაუდებელი ზომები ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების ორგანიზაციისათვის“³.

შინგარიოვის დებულების მიხედვით ცენტრში იქმნებოდა მთავარი საადგილმამულო კომიტეტი, ადგილებზე — საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები. ხოლო სავოლოსტო კომიტეტების შექმნა, დებულების მიხედვით, სავალდებულო არ იყო. ლენინმა საადგილმამულო კომიტეტების დებულებას „მემამულური და თაღლითურად დაწერილი კანონი“ უწოდა.

„კომიტეტები ამ თაღლითურად დაწერილი მემამულური კანონით ისეა შედგენილი. — სწერდა ლენინი, — რომ სამაზრო კომიტეტი ნაკლებად დემოკრატიულია, ვიდრე სავოლოსტო, საგუბერნიო ნაკლებად დემოკრატიულია. ვიდრე სამაზრო, მთავარი საადგილმამულო კომიტეტი ნაკლებად დემოკრატიულია. ვიდრე საგუბერნიო“⁴.

ნამდვილი ორგანიზაცია რამდენადმე სხვა გზით წავიდა. პირველად წარმოიშვნენ სავოლოსტო კომიტეტები ბევრად უფრო ადრე 21 აპრილის დებულებამდე. განსაკუთრებით სწრაფად ზრდა იწყეს მათ აპრილში. საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები, რომელთა მოწყობა დროებითი მთავრობის კომისრებს ჰქონდა დავალდებული, ნელნელა იქმნებოდნენ, თითქოს სავოლოსტოების კვალდაკვალ და ამ უკანასკნელთ თავს ახვევდნენ თავის ხელმძღვანელ როლს.

მთავარი საადგილმამულო კომიტეტის შემადგენლობა საეხებით განსაზღვრავდა მის პოლიტიკას. მასში დროებითი მთავრობის მიერ დანიშნენით შედიოდა 25 კაცი, რომელთაგან უდიდესი უმრავლესობა ეკუთვნოდა კადეტებს, 6 იყო გლეხთა კავშირისა და გლეხთა სრულიად-რუსეთის კავშირის წარმომადგენლები, 3 — სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტიდან და თითო — პოლიტიკური პარტიებიდან. ამასთან კადეტებმა და უფრო მემარჯვენეებმა უკანასკნელ შემთხვევაში 6 ადგილი მიიღეს. მთავარი საადგილმამულო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი ა. ს. პოსნიკოვი, IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი, პროგრესისტი, იმავე პარტიიდან, რომელსაც მინისტრი კონოვალოვი ეკუთვნოდა. პროფესორი ამავე დროს საგლეხო და სათავადაზნაურო ბანკების მმართველი იყო.


როგორც ეტყობა, სწორედ ეს „შეთავსება“ ხდიდა პოსნიკოვის ბურჟუაზიის თვალში გამოსადეგ კანდიდატად გლეხებისა და მემამულეების „შერიგებისათვის“. პირველ სხდომაზევე თავმჯდომარე განსაზღვრავდა რა მთავარი კომიტეტის ამოცანებს, ლაპარაკობდა, რომ

„აუცილებელია გაიფანტოს ერთი. ამჟამად მეტად გავრცელებული შემცდარი წარმოდგენა, თითქოს მომავალი საადგილმამულო რეფორმის დროს მთელი მიწა უსასყიდლოდ ჩამოერთმევა მფლობელთ. კომიტეტმა უნდა განაცხადოს, რომ ეს არ მოხდება“¹.

მთავარ საადგილმამულო კომიტეტს უნდა ეთამაშნა მხოლოდ გლეხობისაგან საფარის როლი. მემამულეთა და ბურჟუაზიის ნამდვილი საქმიანი მუშაობა ამ ორგანიზაციის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. მთავარ საადგილმამულო კომიტეტში დაუსრულებელი დავა ჰქონდათ მიწის რეფორმის პროექტების თაობაზე, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველნაირად აკიანურებდნენ. ასე ლაირობდა დროებითი მთავრობა. გადადიოდა რა მუქარიდან და დამსჯელი ექსპედიციებიდან შემარიგებელ კამერებზე, უცდიდა რა შესაძლებლობას — მთლიანად აეღო თავის ხელში ძალაუფლება.

იმავე ტაქტიკას — დაეთმო ცოტაოდენში. რათა თავიდან აეცილებინა უფრო სერიოზული მოთხოვნები. — ადგა დროებითი მთავრობა სხვა საკითხებშიაც. 11 მარტს პეტროგრადის ფაბრიკანტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პეტროგრადის საბჭოსთან რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, ხოლო 16 მარტს ვაკრობისა და მრეწველობის მინისტრ კონოვალოვთან გაშართულ სხდომაზე პეტროგრადის მექარხნეთა და ფაბრიკანტთა საზოგადოების წარმომადგენელმა ეფრონმა განაცხადა. „პეტროგრადში მიღწეული შეთანხმება... დროებითი დათმობა არისო“².

სასურსათო საკითხზე პირველ ხანს მთავრობას არავითარი ზომა არ მიუღია. პურის რიგები არ მცირდებოდა იმის გამო. რომ მეფის უმაღლესი მოხელის რიტინის ხელიდან სამიწათმოქმედო სამინისტრო კადეტთა მინისტრ შინგარიოვის ხელში გადავიდა. ჯერ კიდევ 4 მარტს პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სასურსათო კომისიამ პეტროგრადისათვის დააწესა სავალდებულო ნიხრი მოხმარების საგნებზე. პურის სავაჭროების მეპატრონეებმა ამის პასუხად



ფრონტზე. ფიცი დროებითი მთავრობისადმი.

პურის დამალვა დაიწყეს. ქარხნებში მუშებმა მოითხოვეს მქონებელთათვის პურის ჩამორთმევა. 14 მარტს საბჭოს სასურსათო საქმეთა კომისია გამოვიდა წინადადებით — მოეხდინათ იმ მიწათმფლობელთა პურის რეკვიზიცია, რომელთაც 70 ჰექტარზე არანაკლები მიწა ჰქონდათ. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა თავის ხელში აეღო სურსათის საქმე. 21 მარტს საბჭოსთან არსებულმა სასურსათო საქმეთა კომისიამ თავისი უფლებები და მოვალეობანი გადასცა საერთო სახელმწიფოებრივ სასურსათო კომიტეტს. 25 მარტს დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დაემტკიცებინა კანონი პურის მონოპოლიის შესახებ, რომლის მიხედვითაც მემამულეთა გარდამეტი პური სახელმწიფოს განკარგულებაში გადადიოდა. სარჩოდ ახალ მოსავლამდე მფლობელის ოჯახის თვითეულ წევრს, ყველა მის მოსამსახურესა და მუშას თვეში უტოვებდნენ 50 გირვანქა მარცვალს თვითეულს. პირუტყვის გამოსაკვებად და სათესლედ განსაზღვრული ნორმა ეტოვებოდათ. გარდა ამისა, მთელი სამომხმარებლო ნორმის 10 პროცენტს სტოვებდნენ მემამულეთა და კულაკთა მეურნეობაში „ყოველი შემთხვევისათვის“. შინგაროივი მთავრობის ამ აქტს იმით ხსნიდა, რომ თმე აიძულებს სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში ჩარევასო. ხოლო პურის საკიროების გაძლიერებამ დამზადების სიძნელეთა გაძლიერებასთან ერთად, ხაზგასმით აღნიშნავდა იგი, თავისუფალი ვაჭრობის ლიკვიდაცია მოთხოვაო. მთავარი მიზეზი კი, რომელმაც ეს დეკრეტი გამოაწვია, შინგაროივის არ აღუნიშნავს. იგი მდგომარეობდა მთავრობაზე რეეოლუციური მასების ზეგავლენაში. თავდაპირველად ბურჟუაზიამ და მემამულეებმა ძალიან თავგამოდებით გაილაშქრეს პურის მონოპოლიის წინააღმდეგ. სრულიად-რუსეთის I სა-

ვაკრო-სამრეწველო ყრილობა მოსკოვში 19—23 მარტს ჯერ კიდევ დეკრეტის გამოქვეყნებამდე პროტესტს აცხადებდა „პურის მონოპოლიის შემოღების სა-
შიში გეგმის“ წინააღმდეგ და ხმის უმრავლესობით უარპყო წინადადება მონო-
პოლიის შესახებ. მემამულეთა მთავარი მოსარჩლე პურის მონოპოლიასთან
ბრძოლის საქმეში როძიანყო სპეციალური წერილით უმტკიცებდა კერენსკის
ასეთი „სახიფათო ზომის“¹ გაუქმების აუცილებლობას. ერთსულოვნად ილაშქ-
რებდნენ პურის მონოპოლიის წინააღმდეგ პურის მოვაჭრეთა კავშირები, მთე-
ლი რიგი მსხვილი ქალაქების საბირჟო კომიტეტები და სხვ. მაგრამ ეს იყო
მხოლოდ დროებითი განრისხება, მოულოდნელობისაგან გამოწვეული, ინსტინქ-
ტური თავდაცვა, წინასწარი კონტრდაკერა. თვით კანონის ავტორებმაც მალე
განმარტეს, რომ დეკრეტი არსებითად შემოღებულ იყო როგორც დაზღვევა
მშრომელთა თავდასხმებისაგან; არავინაც არ აპირებს მის ცხოვრებაში გატა-
რებასო. შინგარიოვი კადეტთა პარტიის VII ყრილობაზე არწმუნებდა თავის
თანამებრძოლთ, ეს „პურის არასრული მონოპოლიაა“². იგი ლაპარაკობდა
მასზე, როგორც „მწარე აუცილებლობაზე“. საბირჟო ვაჭრობისა და სოფლის
მეურნეობის ყრილობათა საბჭოს წარმომადგენლების III საგანგებო ყრილობა-
ზე 1917 წლის 26—29 აპრილს შინგარიოვი დამამშვიდებელი ტონით განუმა-
რტავდა ბურჟუაზიასა და მემამულეებს, რომ ისინი ძალიან არ შეწუხებუ-
ლიყვნენ...

„ეს არის პურის საბოლოო მო-
ნოპოლია, — ამტკიცებდა იგი, — ჩვენ
არ ვეხებით არც პურის წარმოებას,
არც მის საბოლოო განაწილებას გან-
მანაწილებელი აპარატით; ეს არის
მხოლოდ უფლება ჩვენს განკარგულე-
ბაში გეჭონდეს მოსაყლიდან აღებუ-
ლი პური“³.

კერძო საუბარში კი სენატორ
შიდლოვსკისთან, რომელიც ჩიოდა
პიწათმფლობელთათვის დატოვებული
პურის მცირე ნორმის გამო, შინგა-
რიოვმა დაამშვიდა ის და ყველა მემა-
მულენი, და განუცხადა, „ნორმებს...
მოდით დაიცავთ, — ვინ შეგამოწმებს
თქვენო“⁴. დროებითი მთავრობის მი-
ნისტრები მასების წინაშე „რევოლუ-
ციური“ კანონებით გამოდროდნენ,
ზალხის ზურგს უკან კი მემამულეებს
ურჩევდნენ საბოტაჟი გაეწიათ ამავე
კანონებისათვის.

ბრძოლა ახალხო მეურნეობის ნგრევასთან გადავიდა უდიდესი საფეიქ-
რო ფაბრიკანტის, მთელი რიგი კაპიტალისტური ორგანიზაციების უაღრესად



გუჩკოვი. კარიკატურა ბორ. ეფიშოვისა.

აქტიური მოღვაწის კონოვალოვის ხელში. კონოვალოვი მოუწოდებდა ბურჟუაზიას სპეკულაციასთან ბრძოლისაკენ, იმაზეც კი ლაპარაკობდა, რომ სახელმწიფო ჩარეოდა კერძო სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობებში, მაგრამ პრაქტიკაში მან მხოლოდ მოსპო ყველა შეზღუდვა სააქციო საზოგადოებათა დაწესებისას. ტყუილად კი არ ამბობდნენ ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სხდომაზე კონოვალოვის, გუჩკოვისა და ტერეშჩენკოს შესახებ:

„ჩვენ, სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის წარმომადგენელი, განსაკუთრებული სიამაყით შემოგვცქერით თქვენ სამს, იმიტომ რომ თქვენ ჩვენთვის არა მარტო მამაცი რუსი მოქალაქენი ხართ, არამედ სავაჭრო-სამრეწველო რუსეთის საუკეთესო, ყოვლად ღირსეული შვილებიც“¹.

„სავაჭრო-სამრეწველო რუსეთის ყოვლად ღირსეული შვილები“ მარჯვედ და დაჯინებით ატყუებდნენ ხალხს.

მაგრამ იყო ერთი საკითხი, რომლის გადადება დამფუძნებელ კრებამდე არ შეიძლებოდა, — ეს იყო ომი. არმიას ყოველნაირად იცავდნენ რევოლუციური პეტროგრადის გავლენისაგან. აკაევებდნენ ცნობებს რევოლუციის განვითარების შესახებ, სამხედრო ნაწილებში გაზეთებს არ უშვებდნენ. 3 მარტს ღამით მთავარსარდლის შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსიეევმა ფრონტს შემდეგი საიდუმლო დეპეშა დაუგზავნა:

„დასავლეთის ფრონტის არმიის მთავარსარდლის შტაბის უფროსის დეპეშის გამო იმის შესახებ, რომ ველიკიე ლუკიდან პოლოცისაკენ მოდის ახალი მთავრობის დეპუტაცია 50 კაცის შემადგენლობით და იარაღსა ჰყრის ენდარმებსო, აღნიშნულ საკითხზე შევეკითხეთ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, რომელმაც გვაცნობა, რომ დეპუტაციები არ გამოუგზავნიათ. ამრიგად, როგორც სჩანს, პეტროგრადიდან ჩნდებიან წმინდა რევოლუციური აღვირაზნის ბანდები, რომელნიც ცდილობენ განაიარაღონ ენდარმები რკინიგზებზე და, რა თქმა უნდა, შემდეგში შეეცდებიან ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება როგორც რკინიგზებზე, ისე არმიის ზურგშიაც და, ალბათ, შეეცდებიან თვით არმიისაზე შემოიჭრან. მიღებულ უნდა იქნას უაღრესად ენერგიული ზომები, დაწესდეს მეთვალყურეობა რკინიგზის საკვანძო სადგურებზე და ამ სადგურებში ჩაყენებულ იქნას გარნიზონები საიმედო ნაწილებისაგან მტკიცე ოფიცრების მეთაურობით. მსგავსი ცრუ-დელეგაციების სადმე გამოჩენისას ასეთები სასურველია არ გაფანტოთ არამედ შეეცადოთ შეიპყროთ და შეძლებისდაგვარად იქვე დანიშნოთ სავლელ სასამართლო, რომლის განაჩენები იქვე დაუყოვნებლივ მოიყვანოთ ხოლმე სისრულეში“².

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა ბრუსილოვმა დაგზავნა დეპეშა, რომელშიაც მოითხოვდა უაღრესად გადამჭრელი ზომების ძილებას, არმიაში „დეზორგანიზაციისა და ანარქიის“ შექრის წინააღმდეგ.

მეფის გენერლები ემზადებოდნენ ხიშტებითა და სწრაფად მოქმედი საველე სასამართლოებით შეხვედროდნენ რევოლუციას. № 1 ბრძანება მოსპეს ხმარებაში და ისე მტკიცედ მოქმედებდნენ, როგორც ძველი პოლიცია რევოლუციურ ფურცლებს ანადგურებდა.

ექვს მარტს მოსახლეობისადმი საერთო მოწოდებასთან ერთად დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა მიმართვა აგრეთვე არმიისადმი. ომზე ამ მოწოდებაში ცოტად თუ ბევრად ფრთხილად იყო ლაპარაკი. მხოლოდ ხაზგასმული იყო, რომ არმია შეინარჩუნებს ერთიანობას, დარაზმულობასა და მტკიცე შინაგან წესრიგს. ჯარისკაცებისგან მოითხოვდნენ აუცილებელ დამორჩილებას ოფიცრებისადმი, დროებითი მთავრობა კი ჰპირდებოდა არმიას მიეწოდებინა მისთვის „ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ ომი გამარჯვებამდე იქნას მიყვანილი“¹. მეორე დღეს გუჩკოვმა ახალი განკარგულებით გააუქმა ბრძანება № 1.

საბჭოს ლიდერები, მათ შორის ისინიც, რომლებიც სულ რაღაც ხუთი დღის წინათ სწერდნენ ბრძანება № 1-ს, როგორც, მაგალითად, სოკოლოვი, დაეხმარნენ გუჩკოვს გაეუქმებინა ბრძანება. გენერალი დენიკინი გენერალ პოტაპოვის ნაამბობის მიხედვით ასე მოგვითხრობს ამას:

„ექვს მარტს საღამოს გუჩკოვის ბინაზე მივიდა სოვედების დელეგაცია სოკოლოვის, ნახაშკისის (სტეკლოვის რ ე დ.), ფილიპოვსკის (ლეიტენანტის), სკობელევის, გვოზდიოვის, ჯარისკაცების პადრიჩისა და კუდრიაცევის (ინჟინრის) შემადგენლობით არმიის რეფორმის საკითხზე მოსალაპარაკებლად. მომხდარი სხდომა ძალიან მღელვარე იყო. დელეგაციის მოთხოვნები გუჩკოვმა მიუღებლად მიიჩნია და რამდენჯერმე გავიდა, თან აცხადებდა, რომ მინისტრის თანამდებობას თავს ანებებდა. მისი წასვლის შემდეგ მე (პოტაპოვი რ ე დ.) ვეწეოდი ხოლმე თავმჯდომარეობას, შევიძუშევაბდი შეთანხმებას, კვლავ მოვიწვევდით ხოლმე გუჩკოვს, და სხდომა დამთავრდა მოწოდებით, რომელსაც ხელი მოაწერეს: სოვედებისაგან — სკობელევმა, სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტისაგან — მე და მთავრობისაგან — გუჩკოვმა. მოწოდებმა გააუქმა ბრძანებანი № 1 და 2 (ბრძანება № 2, რომელიც საბჭომ გამოსცა, განმარტავდა, რომ ბრძანება № 1 არ აწესებდა ოფიცერთა არჩევითობას, მაგრამ ნებას რთავდა კომიტეტებს საწინააღმდეგო მოსაზრება გამოეთქვათ უფროსთა დანიშენისას. რ ე დ.), მაგრამ სამხედრო მინისტრი დაჰპარდა გაეტარებინა არმიაში უფრო რეალური რეფორმები მეთაურთა შემადგენლობისა და ჯარისკაცთა ურთიერთდამოკიდებულების ახალ წესთა შემოღების დარგში, ვიდრე მას ჰქონდა განზრახული“².

ცხრა მარტს დროებითმა მთავრობამ სამხედრო და საზღვაო მინისტრების ხელმოწერით გამოუშვა მოწოდება არმიისადმი, რომელშიაც იერიში მიიტანა პეტროგრადის საბჭოზე, თუმცაღა, ფრთხილი გამოთქმებით:

„გაერთიანდით ყველანი დროებითი მთავრობის გარშემო, გწამდეთ, რომ იგი მთელ ძალღონეს შესწირავს თქვენს დაცვას. დედა-ქალაქში ცალკეული ჯგუფები განაგრძობენ შუღლის თესვას, ზღუდავენ დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებებს და ხელს უშლიან მათს ცხოვრებაში გატარე-

ბას... ნუ უსმენთ შუღლის მთესავთ. ბევრი გერმანელი ჯაშუში, ჯარისკაცის რუხ ფარაჯაში გახვეული, ამღვრევს და ალელვებს თქვენს წრეს“¹.

გუჩკოვი მეტიმეტად აჩქარდა. სამხედრო მინისტრის მოწოდებებმა გამოა-აშქარავა მთავრობის ნამდვილი სახე. 11 მარტს ბოლშევიკურმა გაზეთმა „პრავდამ“, რომლის გამოსვლა 5 მარტს დაიწყო, განაცხადა, რომ დროებითი მთავრობის გამოსვლა მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო-ზე თავდასხმას წარმოადგენს. დედა-ქალაქის გარნიზონის პოლკებში საპრო-ტესტო მიტინგები დაიწყო. ფრონტიდან პეტროგრადის საბჭოში დაიწყო ჯა-რისკაცთა დელეგაციების ჩამოსვლა, ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ზომებს გენერალთა შემოტევის წინააღმდეგ.

საბჭოს წვრილბურჟუაზიული ხელმძღვანელნი მას შემდეგ, რაც ძალაუფ-ლება ბურჟუაზიას გადაეცა, უკვე არაერთხელ არიდებდნენ მას ალელვებული მასების იერიშებს — გამოსვლების საბაბი მრავალი იყო. 7 მარტს საბჭოს აღ-მასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყო განსაკუთრებული „საკონტაქტო კომისია“ ჩხეიძის, სტეპლოვის, სუხანოვის, ფილიპოვისკისა და სკობელევის შემადგენლო-ბით. აღმასრულებელი კომიტეტის განსაზღვრით კომისია შექმნილი იყო

„იმ მიზნით, რომ შეატყობინოს საბჭოს დროებითი მთავრობის განზრახ-ვები და მოქმედებანი, შეატყობინოს დროებითს მთავრობას რევოლუციური ხალხის მოთხოვნები, ზეგავლენა მოახდინოს მთავრობაზე ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და განუწყვეტელი კონტროლი გაუწიოს მათს გან-ხორციელებას“².

ნამდვილად კი „საკონტაქტო კომისია“ ეხმარებოდა დროებითს მთავრობას წინასწორიდან გამოყვანილი მასების დამშვიდებაში. ასე იყო ნიკოლოზისა და მისი ოჯახის დაპატიმრების საკითხში. დროებითმა მთავრობამ ნება მისცა მეფეს პსკოვიდან უმაღლესი სარდლობის ბანაკში წასულიყო. იქ მეფე არმიის გენერალიტეტს ხედებოდა. მასთან თავისუფლად მიდიოდნენ დიდი მთავრები. ყოველივე ამან უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ჯარისკაცთა და მუშათა შო-რის. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული გახდა მიეღო გადაწყვე-ტილება მეფის დაპატიმრების შესახებ, 7 მარტს კი დროებითმა მთავრობამაც დაადგინა თავისუფლება წაერთმია ნიკოლოზ რომანოვისა და მთელი მისი ოჯახისათვის.

შვიდ მარტს დროებითმა მთავრობამ შეიმუშავა ფიცის ტექსტი არმიისა და მოსამსახურეთათვის. ფიცში არაფერი არ ყოფილა რევოლუციის შესახებ, და თან მეფის ძველი ფიციდან ახალში გადმოვიდა ჯვარის გამოსახვა და ღმერთი. ამან კიდევ ახალი აღშფოთება გამოიწვია. საბჭომ 12 მარტს აცნობა დროებითს მთავრობას, რომ ფიცის ტექსტი მიუღებლად მიაჩნდა და მოლაპარაკებას იწყებდა ფიცის ახალი ფორმის გამომუშავების შესახებ. ამასთან ხაზგასმული იყო, რომ ფიცის ტექსტის უარყოფის ფაქტი არ მოასწავებდა მოწოდებას დროები-თი მთავრობისადმი ურჩობის გაწვევისაკენ.

ასე მოხდა ომის საკითხშიაც. პროტესტები გუჩკოვის გამოსვლის წინააღმ-დეგ სულ უფროდაუფრო იზრდებოდა. ჯარისკაცები და მუშები ზაცს მოით-

ხოვდნენ. 11 მარტს პეტროგრაძის მხარეზე შესდგა მიტინგი 1500 კაცის მონაწილეობით; ამ მიტინგზე დაადგინეს წინადადება მიეცათ საბჭოსათვის დაუყოვნებლივ მიემართნა საერთაშორისო და განსაკუთრებით გერმანიისა და ავსტრიის დემოკრატიისადმი მოწოდებით — აექლესებინა თავისი მთავრობები დაედოთ ზავი. 12 მარტს ვეებერთელა კრებამ იუორის ქარხანაში, პეტროგრაძის მახლობლად, წინადადება მისცა საბჭოს — მიემართნა მეომარი ქვეყნების მუშათა კლასისადმი, რათა იგი აჯანყებულყო თავისი მთავრობების წინააღმდეგ და დაედო ზავი. იმავე დღეს მოსკოვში გაჩაღდა ვეებერთელა დემონსტრაცია ლოზუნგებით: „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას“, „ზავი და ხალხთა ძმობა“¹.

მასობრივი მოძრაობის ზეგავლენით აღმასრულებელი კომიტეტის შემთანხმებულურმა ლიდერებმა გადასწყვიტეს გამოეშვათ განსაკუთრებული დეკლარაცია მრავალრიცხოვანი რეზოლუციებისა და მოთხოვნების პასუხად. 14 მარტს გამოქვეყნდა პეტროგრაძის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი. საბჭო აცხადებდა, მეფე ჩამოგდებულია და რუსეთი ამჟამად დემოკრატიული ქვეყანააო, დროა ხალხებმა თავის ხელში აიღონ ომისა და ზავის საკითხის გადაწყვეტა, და ამტკიცებდა:

„თავისი რევოლუციური ძალის შეგნებით რუსეთის დემოკრატია აცხადებს, რომ იგი ყოველგვარი ზომებით გაუწევს წინააღმდეგობას თავისი გაბატონებული კლასების დამპყრობ პოლიტიკას, და იგი მოუწოდებს ევროპის ხალხებს საერთო გადამჭრელი გამოსვლებისაკენ ზავის სასარგებლოდ“².

საბჭოს მოწოდება არ აღნიშნავდა კონკრეტულ ზომებს ზავისათვის ბრძოლაში. იგი იმის დაპირებასაც არ იძლეოდა, რომ უახლოეს დროში დაიწყებდა მოლაპარაკებას ზავის შესახებ. პირიქით, მოწოდებაში ხაზგასმული იყო:

„ჩვენ მედგრად დავიცავთ ჩვენს საკუთარ თავისუფლებას ყოველგვარი რეაქციული თავდასხმისაგან როგორც შეგინდან, ისე გარედან. რუსეთის რევოლუცია უკან არ დაიხვეს დამპყრობთა ხიშტების წინაშე და არ დაუშვებს გასრისოს გარეშე სამხედრო ძალამო“³.

არმიისაგან საბჭოს ხელმძღვანელნი წინანდებურად მოითხოვდნენ ომის განგრძობას.

საბჭოს მოწოდება არც რუსეთის ბურჟუაზიას მოეწონა და არც მოკავშირე სახელმწიფოებისას. რარიგ გაურკვეველადაც არ იყო იგი დაწერილი, მაინც იქ ბუნდოვანად ლაპარაკი იყო ზავზე, ხალხებს მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ მთავრობათა დამპყრობი პოლიტიკის წინააღმდეგ. აფუსფუსდნენ მოკავშირე ქვეყნების ელჩები. პალეოლოგმა, ბიუკენენმა მოითხოვეს დროებითი მთავრობის პოზიციის ზუსტად განსაზღვრა. 16 მარტს მილიუკოვმა როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთის წარმომადგენლებს საზღვარგარეთ გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რუსეთის რევოლუცია მიზნად ისახავს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოს ომიო. ნეიტრალურ ქვეყნებში — შვეიცარიაში, ნორვეგიაში, შვეციაში და სხვა სახელმწიფოებში — დეპეშა გაიგზავნა ისე, რომ შიგ არ იყო შენიშვნა ომის ამოცანების შესახებ.

გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში 23 მარტს მილიუკოვმა სთქვა: „თუ ჩვენ, რუსები, პრეტენზიას ვაცხადებთ კონსტანტინოპოლის და სრუტეების მფლობელობაზე, ამით ჩვენ ოდნავაც არ ხელეყოფთ თურქეთის ნაციონალურ უფლებებს, და არაფის უფლება არა აქვს გვისაყვედუროს დაპყრობითი ტენდენციები. ცარგრადის ფლობა მუდამ ითვლებოდა უხსოვარ დროიდან რუსეთის ნაციონალურ ამოცანად“¹.

მილიუკოვის განმარტებებს საბჭოს 14 მარტის მოწოდებისადმი აშკარად იმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა. ამას კვლავ შეეძლო მასების აღლევების გამოწვევა. საბჭოს ლიდერებმა მოითხოვეს საკითხის განხილვა „საკონტაქტო კომისიაში“. კომისიაში ამ დროს გამოჩნდა წერეთელი — მენშევიკი, II სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, რომელიც მეფემ 1907 წელს კატორღაში გაგზავნა. ტემპერამენტთანაა ორატორმა, წამების შარავანდელით მოსილმა წერეთელმა ერთბაშად დაიკავა წამყვანი როლი მენშევიკთა შორის. მან წინადადება შეიტანა ამ შემთხვევაში მთავრობის სახელით გამოქვეყნებულიყო არმიისა და მოსახლეობისადმი საზეიმო განცხადება, რომელშიაც მთავრობას უნდა აღეთქვა: ჯერ-ერთი, დაპყრობითი პოლიტიკის გადაქრით შეწყვეტა, მეორე — საყოველთაო ზავის მიღწევისათვის ზომების მიღება. კადეტი ვ. დ. ნაბოკოვი, მთავრობის საქმეთა მმართველი, მოგვითხრობს, თუ როგორ აჯერებდა წერეთელი მთავრობის წევრებს:

„რგი ამტკიცებდა, თუ დროებითი მთავრობა ასეთ დეკლარაციას გამოუშვებს, ამას არმიის უმეგალითო აღფრთოვანება მოჰყვებაო, მე და ჩემს თანამოაზრეებს მაშინ საშუალება მოგვეცემა სრული რწმენითა და უეჭველი წარმატებით შევუდგეთ არმიის დარაზმვას დროებითი მთავრობის გარშემო, რომელიც ერთბაშად უდიდეს ზნეობრივ ძალას შეიძენსო. „სთქვით ეს, — ამბობდა იგი, — და ყველანი ერთი კაცივით წამოგყვებიანო“².

ამრიგად, წერეთელი პირდაპირ ურჩევდა ბურჟუაზიას მასების დასამშვიდებლად გამოექვეყნებინა განცხადება. ნაბოკოვი იგონებს, რომ როდესაც წერეთელმა მილიუკოვის ყოყმანი შეამჩნია, მხურვალედ დაუწყო მას რჩევა:

„წერეთელი დაჟინებით ურჩევდა, ამასთან რამდენადმე კომიკურ შთაბეჭდილებას სტოვებდა მისი მტკიცება, რომ თუ მხოლოდ დირექტივის ძირითადი აზრი იქნება აღიარებული, მილიუკოვი მოახერხებს გამონახოს ის ოსტატური დიპლომატიური ხერხები, რომელთა საშუალებითაც ეს დირექტივა განხორციელდებაო“³.

დროებითი მთავრობა დაემორჩილა „საკონტაქტო კომისიის“ მოსაზრებებს. 28 მარტს გამოქვეყნდა განცხადება, რომლის დედაარსი შემდეგში მდგომარეობდა:

„ანდობს რა ხალხის ნებას ჩვენს მოკავშირეებთან მკიდრო ერთობით საბოლოოდ გადასტრას მსოფლიო ომთან და მის დამთავრებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, დროებითი მთავრობა თავის უფლებად და მოვალეობად სთვლის დღესვე განაცხადოს, რომ თავისუფალი რუსეთის მიზანი არის არა სხვა ხალხებზე ბატონობა, არა მათი ნაციონალური დოვლა-

თის წართმევა, არა სხვისი ტერიტორიების ძალით ჩელში ჩაგდება, არამედ მტკიცე ზავის დამყარება ხალხთა თვითგარკვევის საფუძველზე“¹.

ღრობითმა მთავრობამ ყურად იღო „საკონტაქტო კომისიის“ რჩევა და მოწოდებაში პირდაპირ საბჭოს 14 მარტის დეკლარაციის გამოთქმები იხმარა. მაგრამ, მოიხადა რა ვალი საბჭოს წვრილბურჟუაზიულ ლიდერთა მოთხოვნების წინაშე, მთავრობამ დასინა:

„რუსი ხალხი არ დაუშვებს, რამ მისი სამშობლო ღიადი ბრძოლიდან გამოვიდეს დამცირებული და თავის საარსებო ძალებს მოკლებული. ეს პრინციპები დაედება საფუძვლად ღრობითი მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც განუხრელად ატარებს ხალხის ნებას და იცავს ჩვენი სამშობლოს უფლებებს, იმ ვალდებულებათა საეცებით დაცვათან ერთად, რომლებიც ნაკისრი გვაქვს ჩვენი მოკავშირეების მიმართ“².

თავისი პოლიტიკის იმპერიალისტური ხასიათი მენშევიკების რჩევით მთავრობამ მოხერხებულად დაჰფარა „დემოკრატიული“ ლოზუნგებით.

მასებს, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს, რომლებიც აჯანყდნენ იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც იგი მოაშხადა და გამოიწვია, ესერა-ინშევიკები ხელახლა ითრევენ ბრძოლაში. კაპიტალისტთა ინტერესებისათვის წარმოებულ ყაჩაღურ ომს ამართლებდნენ რევოლუციის დაცვით, რევოლუციური სამშობლოს თავდაცვით. ლენინი ბროშურაში „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში“ სწერდა:

„ყველაზე ღიდ და ყველაზე მკაფიო გამოხატულებად წვრილბურჟუაზიული ტალღისა, რომელმაც „თითქმის ყველაფერს“ გადაუარა, უნდა ვცნოთ რევოლუციური ობორობა. სწორედ ეს არის რუსეთის რევოლუციის შემდეგი განვითარების და წარმატების უბოროტესი მტერი“³.

ბოლშევიკთა პარტია მკვეთრად განაცალკევებდა მასების რევოლუციურ ობორობას წვრილბურჟუაზიულ ბელადთა ობორობისაგან. წვრილბურჟუაზიულ ბელადთა ობორობა იხსნებოდა არა გზაანგევით, არამედ კლასობრივი ურთიერთობითა და ტრადიციებით, იმ სოციალური ჯგუფების კლასობრივი მდგომარეობით, რომელთა ინტერესებსაც ისინი გამოხატავდნენ. სულ სხვა ფესვებით იკვებებოდა მასების ობორობა. პროლეტარები და ღარიბი გლეხობა დაინტერესებული არ იყენენ სხვისი ტერიტორიების ხელში ჩაგდებით, სხვა ხალხებზე ძალადობითა და მათი გაძარცვით. მასების ობორობა შედეგი იყო მათი პირდაპირი მოტყუებისა ბურჟუაზიის და მისი ლაქიების მიერ. ბურჟუაზია და განსაკუთრებით ესერები და მენშევიკები იყენებდნენ იმ მასების რევოლუციურ სიამაყეს, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს თავბრულდამხვევ და საამღარ „რევოლუციურ გაზაფხულზე“. მილიონ გაზეთში, მიტინგებზე, თეატრებში და კინოებში საქმეს ისე ხატავდნენ, თითქოს ომის ხასიათი შეიცვალა იმით, რომ მეფე ბურჟუაზიულმა დრეყბითმა მთავრობამ შესცვალა. წინათ ომი მძარცველური იყო, და მას მეფე აწარმოებდა, ახლა კი მეფე ჩამოგდებულია, ჩვენში რევოლუციაა -- და ჩვენი ქვეყანა უნდა დავიცვა-

თო. მუშათა და ლარბი გლახთა ფართო მასები, რომლებიც ერთბაშად ვერ გაერკვნენ ამ მოტყუებაში, დროებით ბურჟუაზიის ბაღში მოექცნენ.

საქირო იყო ჯარისკაცებისა და მუშებისათვის განმარტება მათი გზაბნევისა, იმის ჩვენება, რომ ბურჟუაზია მხარს უჭერს ომის განგრძობას არა რევოლუციის ინტერესებისათვის, არამედ გამდიდრების ინტერესებისათვის, თავისი მოვების დაცვის მიზნებისათვის. საქირო იყო იმის განმარტება, რომ ომის ხასიათი დამოკიდებულია იმ კლასზე, რომელიც მას აწარმოებს. რომ ომი გაბატონებული კლასის პოლიტიკის აუცილებელი განგრძობაა. საქმე შეეხებოდა მილიონობით, ათეულ მილიონობით ადამიანებს. საქირო იყო მუშათა და ლარბი გლახთა ვეებერთელა მასის გამოტაცება ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული გავლენისაგან. საქირო იყო გამოაშკარავება იმისა, რომ ანგარულ მიზნებს ისახავდნენ ესერთა და შენშევიკთა მყვირალა და მალაღფარდოვანი ფრაზები რევოლუციის შესახებ, „თავისუფალი რუსეთის“ და „დემოკრატიის დიად მონაპოვართა“ დაცვის შესახებ. ეს მძიმე ბრძოლა ბურჟუაზიის სოციალურ დემოგოგიასთან მთლიანად ბოლშევიკურ პარტიას დააწვა.

მაგრამ ამ განსაკუთრებით პასუხსაგებ ბრძოლას თავისი თავისებურებანი ჰქონდა. არ შეიძლებოდა ვადამცდართა წინაშე გამოსვლა და აშკარად ვადასროლა ლოზუნგისა „ძირს ომი!“ ხშირად ასეთი მოწოდება მსმენელთ ერთბაშად აგიტატორის წინააღმდეგ ამხედრებდა, და მის გამოსვლას მხოლოდ ზიანი მოჰქონდა.

„ლოზუნგი „ძირს ომი“, რა თქმა უნდა, სწორია. — სწერდა ლენინი, — მაგრამ იგი ანგარიშს არ უწევს მომენტის ამოცანათა თავისებურებას, ფართო მასისადმი სხეანაირად მიდგომის აუცილებლობას. ჩემის აზრით, იგი ჰგავს ლოზუნგს „ძირს მეფე“, რომლითაც „კარგი ძველი დროის“ უხეირო აგიტატორი უბრალოდ და პირდაპირ მიდიოდა სოფლად — და შედეგად ცემა-ტყეპას იგემებდა ხოლმე“¹.

ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით ვადაპრით და თავგანწირულად ვაილაშქრეს ვიგანტური წვრილბურჟუაზიული ტალღის წინააღმდეგ, რომელმაც დროებით მოიცვა მასები.



თ ა ვ ი მ ა ს ა მ ი.

ლენინის ჩამოსვლა.

1.

ჩამოსვლითი ჩუსეთისაჲნ ზრის ქიზა.

თ

ებერვლის რევოლუციამ შვეიცარიაში მოუსწრო ლენინს. გადატრიალების შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე პარტიის ბელადმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ წასულიყო იქ, სადაც, როგორც იქნა, იფეთქა იმ ალმა, რომელსაც იგი დაულაღავდ აღვივებდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ლენინს ყველაზე უკეთ ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა პერსპექტივები იშლებოდა რუსეთის რევოლუციის წინაშე და რა საშიშროებანი იდგნენ მის გზაზე. მრავალწლოვანი ბრძოლის გამოცდილებით მან იცოდა, რომ რევოლუციის ყველაზე საშიში მტრები იქნებოდნენ მისი ცრუ მეგობრები, წერილობურყოფაზელი კაობის მოლაყბენი — მენშევიკები და ესერები, რომლებსაც უკვე არაერთხელ გაუყიდნიათ მუშათა კლასის ინტერესები.

„არც ერთი ბეწო ნდობა და მხარდაჭერა ახალ მთავრობას (არც ერთი ბეწო ნდობა კერენსკის, გვოზდიოვს, ჩხენკელს, ჩხეიძეს და კომპ.) და შეიარაღებული ლოდინი, შეიარაღებული მომზადება უფრო ფართო ბაზისა უფრო მაღალი ეტაპისათვის“¹, იწერებოდა ლენინი შვეიცარიიდან თებერვლის რევოლუციის დაწყების ჩამდენიმე დღის შემდეგ პეტროგრადის ბოლშევიკთა შეკითხვის პასუხად.

ამ რიცხვით მცირე სიტყვებში დასახული იყო მოქმედებათა მთელი პროგრამა. მაგრამ დირექტივები „ზორიდან“ არ კმაროდა. საჭირო იყო თვითონ იგი ყოფილიყო იქ, სადაც ჩაღებოდა რევოლუციის კოცინი, რომლის ჩასაქრობადაც რუსეთის მენშევიკების დასახმარებლად დედამიწის ყველა კუთხიდან მიეშურებოდნენ ცრუსოციალისტთა სახანძრო რაზმები.

მაგრამ როგორ უნდა მოხედრილიყო რევოლუციურ რუსეთში? ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა ხელში იყო მიმოსვლის ყველა გზა, არ უშვებდნენ პეტროგრადში ბოლშევიკებს, ხოლო მით უმეტეს ლენინს. მათ კარგად იცოდნენ ლენინის დამოკიდებულება მძარცველური ოპისადმი. კაპიტალისტებს მშვენივრად ესმოდათ, თუ რა „ზარალის“ მიყენება შეეძლოთ ბოლშევიკებს მათთვის იმპერიალისტური ყაჩაღური ხოცვა-ჟლეტის გამოამკარავეებით.

ცხადი იყო, რომ ბოლშევიკურა პარტია და რუსეთის პროლეტარიატი სწორ პოზიციას დაადგებოდნენ და საჭირო ლოზუნგებს გამონახავდნენ. მაგრამ ლენინის ჩამოსვლა დააჩქარებდა ამ გზას. ბურჟუაზია, როგორც რუსეთის, ისე უცხოეთისა, ამ შემთხვევაში ისევე მოიქცა, როგორც მასი წინამორბედი პარიზის კომუნის დროს. პარიზის კომუნართა მოთხოვნაზე გაეცვალნათ ცნობილი რევოლუციონერი ბლანკი მთელ გროვა ხუცებსა და არქივისკოპოსებზე, რომლებიც პარიზში მოემწყდნენ, კომუნის ვერსალელმა ჯალათებმა უპასუხეს: „კომუნარებისათვის ბლანკის მიცემა მათთვის მიელი არმიის გაგზავნას ნიშნავს“.

ლენინი რუსეთში არ შემოუშვეს.

მან ყველა საშუალება მოიფიქრა. დასახმარებლად დროებით მთავრობისადმი მიმართვა სრულიად უიმედო იყო. დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა რუსეთის ყველა საელჩოსა და მისიის სახელზე დაგზავნა ცირკულარული დეპეშა:

„იმ შემთხვევისათვის, თუ რაიმე ეჭვენი დაიბადება იმ პოლიტიკურ ემიგრანტთა პიროვნების შესახებ, რომელთაც სურთ რუსეთში დაბრუნება ამნისტიის აქტის ძალით, კეთილ ინებეთ და შეაქმნეთ სამინისტროს თქვენდამი რწმუნებულ საზღვარგარეთულ დაწესებულებასთან კომიტეტი პოლიტიკურ ემიგრანტთა წარმომადგენელიაგან ყველა იმ ექვის გამოსარკვევად, რომლებიც შეიძლება ამ საკითხზე წამოიქრას“¹.

მილიუკოვის ეს ცირკულარი დადატურებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტროს მიერ იმავე მისამართებით დაგზავნილი დეპეშით, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„ემიგრანტებისათვის პასპორტების მიცემისას შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ მათი სამხედრო კეთილსაიქედოების დამოწმებით სხვა ღირსეული ემიგრანტების ან ჩვენი დეპეშის საფუძველზე შექმნილი კომიტეტების მიერ“².

საეკვო იყო რომელიმე „ღირსეულ“ ემიგრანტს შესძლებოდა დაემოწმებინა ლენინის „სამხედრო კეთილსაიქედობა“ იმ ანისვენლობით, როგორც ეს დრო-

ებითს მთავრობას ესმოდა. ლენინის პოზიცია ომის მიშართ ყველამ იცოდა. საკირო იყო განხილულიყო სხვაგზა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა რუსეთში მოხვედრა. ნ. კ. კრუპსკაია ასე მოგვითხრობს ლენინის გეგმებზე.

„ილიჩი ჰპორგავდა. მან სთხოვა ბრონსკის შეეტყო, ზომ არ შეიძლებოდა როგორმე კონტრაბანდისტის მეშვეობით გერმანიაზე გავლით მიეღწია რუსეთში. მალე ვამოიკრევა, რომ კონტრაბანდისტს შეეძლო მხოლოდ ბერლინამდე მიეყვანა. გარდა ამისა, კონტრაბანდისტი როგორც დაკავშირებული იყო პარულსთან, ხოლო პარულსთან, რომელიც ომით გამდიდრდა და სასოციალ-შოვინისტად იქცა, ვლადიმირ ილიჩს არაფითარი საქმის დაქერა არ სურდა.

საკირო იყო სხვა გზის მოძებნა... ილიჩს მთელი ღამეები არ ეძინა. ერთხელ ღამით შეუბნება: „იცო, მე შემიძლია მუნჯი შვედის პასპორტით წავიდე“. მე გამეცინა: „არ გამოვა. შეიძლება ძილში წამოგცდეს. ღამით კადეტები დაგესიზმრებინან. ძილში წამოიძახებ: არამზადები. არამზადებიო. ჰა-და მიხედებინან, რომ შვედი არა ხარ“.

ლენინს დარჩენოდა მხოლოდ ერთი გზა: გამოეწყო გერმანიაზე. რისთვისაც წინადადება მიეცა რუსეთის მთავრობისათვის გაეცვალათ რუსი ემიგრანტები გერმანულ სამხედრო ტყვეებზე. საერთოდ რომ ვთქვათ. ეს გზა უკვე ნასინჯი იყო. ომის დროს თვალსაჩინო ბურჟუაზიული ლიბერალი მ. კოვალევსკი გერმანიაზე გამოვლით ჩამოვიდა, ამასთან სატახტო ქალაქის ვაგზალზე მას ზეიმით შეეგება თვით მილიუკოვი. რომელიც მაშინ მხოლოდ ოცნებობდა მინისტრი გამხდარიყო. მისასალმებელ სიტყვაში მილიუკოვს კრინტიც დაუძრავს, გერმანიაზე გამოვლა გამცემლობაო. იგივე მილიუკოვი — ახლა დროებითი მთავრობის მინისტრი — სულ სხვანაირად შეხვდა ვლადიმირ ილიჩს.

Joh. Beitzelle.

1. Dass die eingegangenen Beteiligungen, die von Platten mit der deutschen Gesellschaft getroffen wurden, als bekannt gemacht wurden sind.

2. Dass ich mich in Anbetracht des Reisebüros Platten unterwerfe.

3. Dass mir eine Mitteilung des "Petit Parisien" bekanntgegeben worden ist, wonach die russische politische Regierung die durch Constantin Helander als Hochverrat zu behandeln ist.

4. Dass ich die ganze politische Verantwortlichkeit für diese Reise ausschliesen auf mich nehme.

5. Dass mir von Platten die Reise nur bis Stockholm garantiert worden ist.

Dern - Strich, 6. April 1917.

1. Lenin ✓
 2. Frau Lenin ✓
 3. Frau Saporoff ✓
 4. Valentin Saporoff - mit Tochter ✓
 5. Quers (Nepewitsch) ✓
 6. Helen Kon ✓
 7. Mr. Diamond ✓
 8. Nikolai Kozlov ✓
 9. Grubelsky ✓
 10. A. Kerstantinowitsch ✓
 11. Mirinkhoff ✓
 12. M. Mirinkhoff ✓
 13. A. Snow ✓
 14. Z. Z. ✓
 15. P. P. ✓
 16. D. S. ✓
 17. M. M. ✓

9. Brillant
 13. M. M.
 D. P.
 14. M.
 S.
 P.
 14. J.
 15. M.
 14. M.
 M.
 16. R.
 Ch.
 18. M.

RUSLAND, LEBENHA
 OTZEL ANWANDT
 [UNRECHTLICH] 1817
 1817, 1817

გერმანიაზე გავლის მონაწილეთა ხელმოწერის ტექსტი



ლენინი ამხანაგების გავლით სტოკჰოლმში შვეიცარიიდან რუსეთში გამგზავრებისას.

გერმანიაზე გამოვლის აზრი ეკუთვნოდა სრულებითაც არა ლენინს. ეს გეგმა წამოაყენა ცნობილმა მენშევიკმა მარტოვმა, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ინგლისის მთავრობა არ შეუშვებდა რუსეთში იმათ, ვინც ომის წინააღმდეგ გამოდიოდა. მარტოვის გეგმა მიღებულ იქნა ესერთა, ბუნდელთა და მენშევიკთა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე. რუსეთში გაიგზავნა დეპუტები მოთხოვნით შეცდილიყვნენ ემიგრანტთა გაშვებას გერმანელ და ავსტრიელ ტყვეებზე გადაცვლით. ორ კვირას ამაოდ უცადეს ემიგრანტებმა პასუხს: დროებითმა მთავრობამ, როგორც სჩანს, მაუღ ქვეშ ამოსდო დეპუტები. ინგლისის და რუსეთის მთავრობები შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

მხოლოდ ამის შემდეგ ლენინმა გადასწყვიტა ცხოვრებაში გაეტარებინა მარტოვის მიერ წამოყენებული გეგმა ბოლშევიკების გამოვლისა გერმანიაზე. ითვალისწინებდა რა, თუ რა გაცოფებულ ყუფას ასტეხდნენ ამის გამო ობორონცები და ბურჟუაზია, ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა მოგზაურობის მომზადების თვითთული ღონისძიების დოკუმენტაციას. იგი გულმოდგინედ აგროვებდა ყველა საბუთს, რომლებითაც აშკარავდებოდა დროებითი მთავრობის წინააღმდეგობა ბოლშევიკების შემოშვებისადმი. შვეიცარიიდან თავისი წამოსვლა ლენინმა შეათანხმა მთელ რიგ ინტერნაციონალისტებთან, რომლებმაც ამის თაობაზე შემდეგი განცხადება გამოიტანეს:

„ქვემოთ ხელისმომწერთ შეტყობილი აქვთ ის დაბრკოლებანი, რომლებსაც უქმნიან ანტანტის მთავრობები რუს ინტერნაციონალისტთა წასვლას, და ის პირობები, რომლებიც მიიღო გერმანიის მთავრობამ მათი გერმანიაზე გავლისათვის. მათ საყვებით გათვალისწინებული აქვთ, რომ გერ-

მანიის მთავრობა მხოლოდ იმისათვის იძლევა რუსი ინტერნაციონალისტების გაშვების ნებართვას, რომ ამით გააძლიეროს რუსეთში მოძრაობა ომის წინააღმდეგ. ქვემოთ ხელის მომწერნი აცხადებენ:

„რუსი ინტერნაციონალისტები, რომლებიც ომის მთელი დროის განმავლობაში დაუღალავად და მთელი ძალღონით იბრძოდნენ ყველა იმპერიალიზმის, და განსაკუთრებით გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ბრუნდებიან რუსეთში, რათა იმუშაონ რევოლუციის სასარგებლოდ; თავისი ამ მოქმედებით ისინი დაეხმარებიან ყველა ქვეყნის პროლეტარიატს, და კერძოდ გერმანიისა და ავსტრიის პროლეტარიატს. დაიწყოს ბრძოლა თავისი მთავრობის წინააღმდეგ. მაგალითი, რომელსაც იძლევა რუსეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლა, წარმოადგენს საუკეთესო და უძლიერეს სტიმულს ასეთი ბრძოლისათვის. ყველა ამ მოსაზრების მიხედვით შვეიცარიის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის. შვეციისა და ნორვეგიის ქვემოთ ხელისმომწერ ინტერნაციონალისტებს მიაჩნიათ, რომ მათს რუს ამხანაგებს არათუ უფლება აქვთ, არამედ ისინი ვალდებულიც არიან გამოიყენონ რუსეთში დაბრუნების შესაძლებლობა. რომელიც მათ ეძლევათ“¹.

ლენინის წინადადებით შვეიცარიის სოციალისტური პარტიის მდივანმა ფრიც პლატენმა გერმანიის წარმომადგენლებთან დასდო შეთანხმება, რომლის მიხედვით:

1) გავლის ნებართვა ეძლეოდა ყველა ემიგრანტს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება ომისადმი;

2) ემიგრანტთა ვაგონი არ უნდა გაეჩხრიკათ, არ უნდა გაეწიათ მისთვის კონტროლი ან შემოწმება;

3) ემიგრანტები კისრულობდნენ ვალდებულებას რუსეთში ჩასვლის შემდეგ პოეთხოვით გაშვებულ ემიგრანტთა გაცვლა ავსტრია-გერმანელ სამხედრო ტყვეებზე.

სხვა ემიგრანტების ჯგუფთან ერთად ფრიც პლატენის თანხლებით, რომელმაც მოაწყო გერმანიაზე გამოვლა, 26 მარტს ლენინი გამოეგზავრა შვეიცარიიდან სტოკჰოლმში, ხოლო იქიდან ფინეთით პეტროგრადში.

ლენინი და მასთან მყოფი ბოლშევიკები გერმანიაში გავლით მიდიოდნენ განსაკუთრებული ვაგონით, ამასთან მოგზაურობის პირობების მიხედვით, გერმანიის ხელისუფალთა ურთიერთობა გამვლელებთან ნებადართული იყო მხოლოდ პლატენის მეშვეობით, — აქედან წარმოიშვა შემდეგში ლეგენდა „დაპლომბილი ვაგონის“ შესახებ, რომლითაც მოდიოდნენ თითქოს ბოლშევიკები გერმანიაზე.

გზაში გერმანელმა შოვინისტებმა სცადეს საუბარი გაემართნათ ლენინთან. მაგრამ ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი სთქვა მათთან შეხვედრაზე.

სულ შვეიცარიიდან წამოვიდა 32 ემიგრანტი, მათში 19 ბოლშევიკი. 6 ბუნდელი და 7 სხვადასხვა პარტიებიდან და ჯგუფებიდან. საინტერესოა, რომ შვეიცარიაში დარჩენილმა ემიგრანტებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს

ლენინთან ერთად წამოსვლაზე, უკვე 30 აპრილს დაადგინეს წამოსულიყენენ რუსეთში იმავე გზით, სხვანაირად რუსეთში ჩამოსვლა შეუძლებელი იყო. ამ ემიგრანტებს შორის ბოლშევიკები სულ არ ყოფილან.

2.

ლენინი კატროზგრაფში.

მოკავშირე იმპერიალისტები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ლენინის ყოველ ნაბიჯს. 3 აპრილს, იმ დღეს, როდესაც იგი პეტროგრადში ჩამოვიდა, ინგლისის საელჩომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ბარათი ლენინის დახასიათებით.

„ლენინი კარგი ორგანიზატორი და უაღრესად საშიში კაცი, — ნათქვამი იყო ამ ბარათში, — და, ძლიერ მოსალოდნელია, რომ მას მრავალრიცხოვანი მიმდევრები ეყოლება პეტროგრადში“¹.

იმავე დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულ იქნა ბარათი საფრანგეთის ელჩისგანაც; ამ ბარათშიაც ლაპარაკი იყო ლენინის გერმანიაზე გამოვლის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ა. ნერატოვმა ამ დოკუმენტებს წააწერა:

„შესამე წყაროებიდან მიღებული ყველა ცნობა უნდა მოთავსდეს გაზეთებში ხვალვე, წყაროების უჩვენებლად, და ხაზი გაესვას გერმანიის მთავრობის კეთილგამწყობილებას ლენინისადმი და სხვ.“².

ასე დაიწყო სიცრუისა და ცილისწამების მორგვის შეკვრა რუსეთში ლენინის ჩამოსვლის ირგვლივ. იმის შიშმა, რომ „ეს კარგი ორგანიზატორი მრავალრიცხოვან მიმდევრებს იპოვინდა პეტროგრადში“, ლენინის წინააღმდეგ წასისიანება აატეხინა მოკავშირე იმპერიალისტებს. მას ბრალსა სდებდნენ თითქმის სახელმწიფო ღალატში გერმანიის სასარგებლოდ. ეს წასისიანება დაიწყო დროებითამ მთავრობამ, შემდეგ მას ბანი მისცა მთელმა ბურჟუაზიულმა და ობორობულმა პრესამ. აი რას სწერდა კადეტური გაზეთი „რჩ“ 1917 წლის 5 აპრილს:

„მოქალაქე ლენინი და მისი ამხანაგები, რომელნიც რუსეთში მოეშურებოდნენ, სანამ აირჩევიდნენ გზას გერმანიაზე, უნდა შეპკითხოვდნენ თავს, თუ რატომ ასე ხალისიანად ისწრაფოდა გერმანიის მთავრობა გაეწია მათთვის ეს უმეგალითო სამსახური, რატომ ჩასთვალა მან შესაძლებლად გაეტარებინა თავის ტერიტორიაზე მტრული ქვეყნის მოქალაქენი, რომელნიც ამ ქვეყანაში მიემართებოდნენ? პასუხი, ვგონებთ, ნათელი იყო. გერმანიის მთავრობა იმედოვნებს, რომ ლენინისა და მისი ამხანაგების რაც შეიძლება მალე ჩამოსვლა სასარგებლო იქნება გერმანიის ინტერესებისათვის, მას სჯერა ბოლშევიკთა ბელადის გერმანოფილობა. ასეთი პასუხის მარტო შესაძლებლობაც კი ჩვენის აზრით საესებით საკმარისი იყო, რომ არც ერთ



3 ო. ლენინი ფინეთის რკინიგზის ვაგონში საზღვარგარეთიდან რუსეთში დაბრუნებისას 1917 წ.

ა. ვ. მორავევის სურათიდან.

პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც რუსეთში მოდიოდა ხალხის კეთილდღეობისათვის, უკვე ესარგებლნა ამ თავისებური თავაზიანობით... მაგრამ ფიქრობთ... რომ რუსი პოლიტიკური მოღვაწისათვის, რა შეხედულებებსაც უნდა ადგეს იგი, გზა რუსეთის ხალხის მასების გულისა და სინდისისაკენ გერმანიაზე არ გადის“¹.

კადეტებს ესერებიც არ ჩამორჩებოდნენ. პარტიის ბელადი ვ. ჩერნოვი 16 აპრილს გაზეთ „დელიო ნაროდაში“ ლენინზე მთლად იმასვე სწერდა, რასაც კადეტები:

„მან არც კი იფიქრა იმაზე, რომ მისი თვალსაზრისითაც ინგლისის თანხმობა მის წამოსვლაზე უკვე იმით იქნებოდა უკეთესი, რომ ამ თანხმობას აიძულებდა რუსეთის რევოლუცია. ხოლო გერმანიის თანხმობა შესაძლებელია საექვო მოტივებით იყოს გამოწვეული“².

ყველანი — ინგლისელი იმპერიალისტებიდან რუს ესერებამდე და მენშევიკებამდე — ერთი და იგივე შინაარსის ტექსტით ცილსა სწამებდნენ ლენინს, მასზე უსისიანებდნენ ჩამორჩენილ მასას, აღნიშნავდნენ რა გადაკერით ბოლშევიკთა ბელადის ჯამუშობას გერმანიის სასარგებლოდ.

მაგრამ პროლეტარიატმა და ჯარისკაცთა და გლეხთა მასებმა არ დაუჯერეს საზიზღარ ცილისწამებას. 3 აპრილს, ლენინის ჩამოსვლის დღეს, ფინეთის პოლკის მე-3 ასეული გამოვიდა საპროტესტო რეზოლუციით ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიულ ბანაკიდან მისი დამქაშების ცილისწამების წინააღმდეგ:

„მიგვაჩნია რა ერთადერთ უშიშარ გზად რუსეთისაკენ გზა გერმანიაზე, ჩვენ მოვითხოვთ, რომ დროებითი მთავრობა დაუყოვნებლივ შეუთანხმდეს გერმანიის მთავრობას ჩვენი ემიგრანტების გერმანულ ტყვეებზე გასაცვლელად“³.

პეტროგრადის მუშები გულწრფელი ალტაცებით შეხედნენ თავის საყვარელ ბელადს. ქალაქის ყოველი კუთხიდან ფინეთის ვაგზლისაკენ მძლავრი დემონსტრაციები გაემართა. ლენინის თანამებრძოლნი, ბოლშევიკური პარტიის მებრძოლნი, მიდიოდნენ. რათა მისალმებოდნენ იმას, ვინც შეჰქმნა, ჩამოაყალიბა და მზრუნველობით აღზარდა გამირული პარტია. რევოლუციური ჯარისკაცები და მატროსები მიდიოდნენ მითითებების მისაღებად და ხარბად იქერდნენ საბრძოლო ლოზუნგებს. მუშები, მუშა-ქალები, მატროსები, ჯარისკაცები, პარტიული ორგანიზაციები, წითელი გვარდიის პირველი რაზმები გამოვიდნენ რევოლუციის ბელადის შესაგებებლად. ქუჩები გაჰქედელი იყო მუშათა კოლონებით, რომლებსაც მოჰქონდათ დროშები: „სალამი ლენინს“. ფინეთის ვაგზლის მოედანი გაჰქედელი იყო ვეებერთელა მასით.

ლენინის შესახვედრად მენშევიკებიც მოვიდნენ. მენშევიკთა ლიდერები მოვიდნენ, რათა ერჩიათ ვლადიმირ ილიჩისათვის ხელი აეღო ბოლშევიკური ხალხისათვის ბრძოლაზე. მოვიდნენ, რათა მსახიბისაგან მოეწყვიტათ იგი. ყველაზე



ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში. შეხვედრა ფინეთის ვაგზალზე. „ჩხეიძემ მთელი ნოტაცია წაუკითხა ლენინს...“ ნახ. ე. მაშვეიჩისა.

გამოჩენილმა მენშევიკმა ჩხეიძემ მთელი ნოტაცია წაუკითხა ლენინს, თუ როგორ დაექირა თავი რევოლუციის დროს.

მენშევიკი სუხანოვი, ჩხეიძის თანამონაწილე პროლეტარიატისადმი მოღალატეობაში და ბოლშევიკურ პარტიასთან ბრძოლაში, მოწმე იყო იმისა, თუ როგორ ურჩევდა ლენინს მენშევიკური სკოლის მასწავლებელი ხელი აეღო რევოლუციაზე:

„ადამიანთა პატარა ჯგუფის სათავეში, რომლების შემდეგ კარი დაუ-
 ყონებელიც მიიხურა, „სამეფო“ ოთახში შემოვიდა ან, შეიძლება ითქვას,
 შემოვარდა ლენინი, მრგვალი ქუდით, შეცივებული სახით და ხელში დიდი
 თაიგულით. შუა ოთახამდე რომ მიიღბინა, იგი ჩხეიძის წინ შეჩერდა, თით-
 ქოს რაღაც სრულიად მოულოდნელ დაბრკოლებას წააწყდაო. და აი აქ ჩხეი-
 ძემ, რომელსაც თავისი წინანდელი მოღუშული გამომეტყველება არ მიუ-
 ტოვებია, წარმოსთქვა შემდეგი „მისასალმებელი სიტყვა“, კარგად იცავდა
 რა არა მარტო სულს, არა მარტო რედაქციას, არამედ დარიგების კილო-
 საც კი:

„ამსანაგო ლენინ, პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატე-
 ბის საბჭოს და მთელი რევოლუციის სახელით მოგესალმებით თქვენ რუ-
 სეთში... მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლუციური დემოკრატიის მთა-
 ვარ ამოცანას ამეამად წარმოადგენს ჩვენი რევოლუციის დაცვა ყოველი

თავდასხმისაგან როგორც შიგნიდან, ისე გარედან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მიზნისათვის აუცილებელია არა დაქსაქსვა, არამედ მთელი დემოკრატიის როგების შემჭიდროვება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ ჩვენთან ერთად ამ მიზნებს დაისახავთ...“ ჩხეიძე დაჩუმდა. მე მოულოდნელობისაგან დავიბენი. როგორ მოქცეე ასეთ მისალმებას და ამ მშვენიერ „მაგრამ“-ს?.. მაგრამ ლენინმა, როგორც ეტყობოდა, კარგად იცოდა, როგორ მოქცეოდა ყოველივე ამას. იგი ისეთი გამომეტყველებით იდგა, თითქოს ყოველივე ის, რაც აქ ხდებოდა, მას ოდნავაც არ ეხებოდა, — აქეთ-იქით იხედებოდა, ათვლიერებდა გარემომოყოფ სახეებს და „სამეფო“ ოთახის ქერსაც კი... შემდეგ კი მთლად შეაქცია ზურგი აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაციას და ასე „უპასუხა“:

„ძვირფასო ამხანაგებო, ჯარისკაცებო, მატროსებო და მუშებო! მე ბედნიერი ვარ მივესალმო თქვენი სახით რუსეთის გამარჯვებულ რევოლუციას, მოგესალმეთ თქვენ როგორც მსოფლიო პროლეტარული არმიის მოწინავე რაზმს... მძარცველური იმპერიალისტური ომი დასაწყისისა სამოქალაქო ომისა მთელ ევროპაში... შორს არ არის ის ჟამი, როდესაც ჩვენი ამხანაგის კარლ ლიბკნეხტის მოწოდებით ხალხები იარაღს მიაბრუნებენ თავიანთი ექსპლოატატორების — კაპიტალისტების წინააღმდეგ... მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განთიადი უკვე დაიწყო... გერმანიაში ყველაფერი სდღუს... დღეს თუ არა — ხვალ, ყოველ დღეს — შეიძლება მოხდეს მთელი ევროპის იმპერიალიზმის კრახი. რუსეთის რევოლუციამ, რომელიც თქვენ მოახდინეთ, სათავე დაუდო მას და ახალი ეპოქა დაიწყო. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!“¹.

ლენინი მოშორდა მენშევიკ მასწავლებლებს და ვაგზლის კიბის საფეხურებზე გამოჩნდა. მოედანი გაცოცხლდა. მრავალათასიანი „ურა“ შეეგება ბელადს. ლენინს დაეხმარებ ჯავშნიან მანქანაზე ასულიყო. პროექტორებმა გაანათეს ვლადიმირ ილიჩი. ლენინმა რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა აქეთ-იქით, თითქოს ჯავშნოსანის სიმაგრესა სინჯავსო, და რწმენით აღსავსე ხმით გადაისროლა გაჩუმებულ ხალხში თავისი მოწოდება მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისაკენ. ლენინის სიტყვამ ერთბაშად აიყვანა რევოლუცია ახალ საფეხურზე.

რევოლუციას სჭირდებოდა არაჩვეულებრივი ძალის გონება, რომ სწორად გარკვეულიყო წინააღმდეგობათა ურთულეს ხლართში და შეუცდომლად ეჩვენებინა მასებისათვის მათი უახლოესი მიზანი.

საჭირო იყო არაჩვეულებრივი სიმტკიცის ნებისყოფა, რათა სწორი გზით წაეყვანა მასები ამ მიზნისაკენ.

აზრისა და ნებისყოფის სწორედ ასეთი გიგანტი, რომელმაც ყველა ქვეყნის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება შეიძინა და რომელიც პროლეტარიატის ამოცანების მეცნიერული გაგების აბსოლუტზე იდგა, იყო ვლადიმირ ილიას-ძე ლენინი. რევოლუციის ბელადმა თავისი ადგილი დაიკავა.



თ ა ვ ი ბ ე ო ტ ხ ა.

რ. ს. ლ. მ. ვ. (ბოლშევიკების) აპრილის კონფერენცია.

1.

რუსეთში ჩამოსვლისთანავე ლენინი მთელი ენერჯით დაეწაფა რევოლუციურ მუშაობას. 4 აპრილს დილით იგი გამოვიდა ბოლშევიკური პარტიის პარტიულ მუშაკთა თათბირზე. საღამოს ლენინმა წაიკითხა თავისი თეზისები რევოლუციის შესახებ დელეგატების — ბოლშევიკებისა და მენშევიკების — კრებაზე, რომელნიც ჩამოსული იყვნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად-რუსეთის თათბირზე 1917 წლის მარტის დამლევს.

თეზისებში, რომლებიც ისტორიაში შევიდნენ „აპრილის თეზისების“ სახელით, ლენინმა შეაჯამა პარტიის ბრძოლის გამოცდილება და დასახა მკაფიო პროგრამა მისი მოქმედებისა ახალ ეტაპზე. ლენინის „აპრილის თეზისებმა“ ახალი ფურცელი გადაშალა ბოლშევიკთა პარტიის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში. ახალი არა იმ აზრით, თითქოს კავშირი გაწყვეტილიყოს ბოლშევიზმის ძველ თეორიასთან და პრაქტიკასთან — სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ თეზისები გახდნენ პროლეტარული პარტიის მოქმედების ამომწურავი პროგრამა გარდამავალ ეტაპზე, რომელიც თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ შეჰქმნა.

ცარიზმის დამხობამ შესცვალა ის პირობები, რომლებშიაც მოუხდა მუშაობა ბოლშევიკებს.

„ეს იყო უდიდესი გარდატეხა რუსეთის ისტორიაში და უნახავი შემობრუნება ჩვენი პარტიის ისტორიაში, — სწერდა სტალინი თებერვლის ბურ-



კონფერენციის დელეგატი —
ვ. მ. მოლოტოვი.



კონფერენციის დელეგატი —
კ. დ. ვოროშილოვი.

ჟუზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შესახებ. — საჭირო იყო პარტიის ახალი ორიენტირება ბრძოლის ახალ პირობებში¹.

ბოლშევიკური პარტია ის-ის იყო გამოვიდა იატაკქვეშეთიდან. ბოლშევიკური პარტიის ბევრი წევრი შორეული გადასახლებიდან ბრუნდებოდა. ნარიშიდან, ტურუხანის მხარიდან, იაკუტიის ოლქიდან, შორეულ ჩრდილოეთში გაფანტული სოფლებიდან ასობით და ათასობით ბოლშევიკები იყრიდნენ თავს პეტროგრადში, მოსკოვში და სხვა სამრეწველო ცენტრებში. რკინიგზები გაქვდილი იყო სამხედრო მასალებით და ძალა არ შესწევდათ გადასახლებულთა სწრაფი გადმოყვანისათვის. კომიტეტებში, რომლებიც ეზმარებოდნენ გადასახლებულთა დაბრუნებას, — ეგრეთწოდებულ „ამნისტირებულთა დახმარების კომიტეტებში“, — მენშევიკებმა და ესერებმა მოიკალათეს და ისინი ბოლშევიკ გადასახლებულთა დაბრუნებას აფერხებდნენ. ბოლშევიკები გაფანტული იყვნენ ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეზე — პეტროგრადიდან ვლადივოსტოკამდე, არხანგელსკიდან კავკასიამდე.

მაგრამ ბოლშევიკთა პარტია იდუარად და ორგანიზაციულად შეშქიდროვებული იყო მენშევიზმისა და ესერობის ყველა ნაირსახეობის წინააღმდეგ ხანგრძლივი და წარმატებითი ბრძოლით, ლენინის ხაზიდან ოპორტუნისტული გადახრებისა და მერყეობის წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლით. ბოლშევიკთა პარტია ახალ ეტაპზე მივიდა ლენინის გეგმით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ, გეგმით, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წელს იყო შემუშავებული. ბოლშევიკები შეხვდნენ ახალ ეტაპს, ეყრდნობოდნენ რა ლენინის მოძღვრებას ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ბოლშევიკები შეიარაღებულნი იყვნენ ლენინის თეორიით იმ პერიოდის



კონფერენციის დელეგატი —
ფ. ე. ძერჟინსკი.

როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპის შესახებ. მთ გამოაშკარავეს იმპერიალისტური ომის ყაჩაღური, მტაცებლური ხასიათი. რევოლუციის მთელი ისტორიით ბოლშევიკთა პარტია მომზადებული იყო „ახალი ორიენტირებისათვის ბრძოლის ახალ პირობებში“.

პარტია არ შეჩერდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებაზე. ბოლშევიკებმა რევოლუციის განგრძობისაკენ მოუწოდეს პროლეტარიატს. ბოლშევიკებმა გაილაშქრეს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რომელსაც თავისი მძარცველური ხასიათი არ დაუკარგავს იმით, რომ ძალაუფლება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა. ბოლშევიკები ააშკარავედნენ დროებითი მთავრობის კლასობრივ ბუნებას და მოუწოდებდნენ პროლეტარიატს განემტკიცებინა და განეფითარებინა საბჭოები, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები.

გადასახლებიდან დაბრუნების ორი დღის შემდეგ, 14 მარტს, სტალინი „პრავდაში“ სწერდა:

„განემტკიცოთ... საბჭოები, გავხადოთ ისინი საყოველთაო ადგილად, დავაკავშიროთ ისინი ერთმანეთთან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური საბჭოს, როგორც ხალხის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს, მეთაურობით“¹.

მაგრამ საჭირო იყო პარტიის მთელი გამოცდილების განზოგადება, საჭირო იყო ჩამოყალიბება ახალი ამოცანებისა ახალ პირობებში. სწორედ ეს გაატარა ლენინმა „აპრილის თეზისებში“.

„საჭირო ვახდა ლენინის განთქმული „აპრილის თეზისები“ იმისათვის,



კონფერენციის დელეგატი —
ვ. ვ. ჯუბიშვილი



კონფერენციის დელეგატი —
ი. ი. სკვორცოვ-სტუპაჩოვი.

რომ პარტია ერთი დაკვრით გამოსულიყო ახალ გზაზე“¹, სწერდა სტალინი ლენინის თეზისების შესახებ.

ლენინის თეზისები.

1. ჩვენს დამოკიდებულებაში ომისადმი, რომელიც რუსეთის მხრით ლევისა და კომპ. ახალი მთავრობის დროსაც, ამ მთავრობის კაპიტალისტური ხასიათის გამო, უეჭველად კვლავ ყაჩაღურ იმპერიალისტურ ომად რჩება, დაუშვებელია რაიმე მცირეოდენი დათმობაც კი „რევოლუციური ობორონცობისადმი“.

რევოლუციურ ომს, რომელიც კეშმარიტად გაამართლებდა რევოლუციურ ობორონცობას, შეგნებული პროლეტარიატი შეიძლება დაეთანხმოს მხოლოდ შემდეგ პირობებში: ა) თუ ძალაუფლება გადავა პროლეტარიატისა და მისი მიმყოლი გლეხობის უღარიბეს ნაწილთა ხელში; ბ) თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარი ანექსია საქმით, და არა სიტყვით; გ) თუ სინამდვილეში სავსებით გაწყვეტილი იქნება კავშირი კაპიტალის ყოველგვარ ინტერესებთან.

რევოლუციური ობორონცობის მასობრივ წარმომადგენელთა იმ ფართო წრეების უეჭველი კეთილსინდისიერების გამო, რომელნიც მხოლოდ აუცილებლობის გამო აღიარებენ ომს და არა დაპყრობათა გულისათვის, და იმის გამო, რომ ეს მასები მოტყუებულნი არიან ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა საფუძვლიანად, დაყინებით და მოთმინებით განუუმარტავდეთ ამ მასებს მათს შეცდომას, განუუმარტავდეთ კაპიტალის განუყრელ კავშირს იმპერიალისტურ ომთან, ეუ-



კონფერენციის დელეგატი —
ნ. კ. ბრუხონოვი.



კონფერენციის დელეგატი —
ნ. კ. კრავსკოვი.

შტკიცებდეთ. რომ ომის დამთავრება კეშმარიტად დემოკრატიული. ძალდაუტანებელი ზავით შეეუძლებელია კაპიტალის დაუმსობლად.

ამ შეხედულებების უაღრესად ფართო პროპაგანდის მოწყობა მოქმედ არმიაში.

დამზობილება.

2. რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს იმაში. რომ რევოლუციის პირველი ეტაპი. რომელმაც პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას არგუნა, — გადავიდეს მეორე ეტაპში, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს.

ამ გადასვლას ახასიათებს. ერთი მხრით, ლეგალობის მაქსიმუმი (რუსეთო ამეამად ყველა მეომარ ქვეყნებში ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყანა), მეორე მხრით. მასებს ძალას არაჟინ ატანს და, დასასრულ. ეს მასები შეუგნებლად ენდობიან კაპიტალისტების მთავრობას — მშვიდობიანობისა და სოციალიზმის ყველაზე უარეს მტერს.

ეს თავისებურება მოითხოვს ჩვენგან უნარს შევეგუოთ განსაკუთრებულ პირობებს პარტიული მუშაობისას პროლეტარიატის გაუგონრად ფართო მასებში, რომლებმაც ეს-არის ახლა გამოიღვიძეს პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

3. არაჟითარი მხარდაქერა დროებითს მთავრობას. იმის განმარტება. რომ სრული სიცრუეა ყველა მისი დაპირება, განსაკუთრებით დაპირება ანექსიაზე ხელის აღების შესახებ. დაუშვებელი, ილუზიების მთესველი „მოთხოვნის“ მაგიერ მხილება, რომ ეს მთავრობა, კაპიტალისტების მთავრობა, აღარ იქნეს იმპერიალისტური.



კონფერენციის დელეგატი —
ე. დ. სტასოვა.



კონფერენციის დელეგატი —
გ. ი. ბოკი.

4. აღიარება ფაქტისა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოებს უმრავლესობაში ჩვენი პარტია წარმოადგენს უმცირესობას და ჯერჯერობით სუსტ უმცირესობას, იმ ბლოკის წინაშე, რომელშიაც შედიან ყველა წერილობრივ-უახიული ოპორტუნისტული, ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოქცეული და ამ გავლენის პროლეტარიატზე გადამტანი ელემენტები. სახალხო სოციალისტებით. სოციალისტ-რევოლუციონერებით დაწყებული და ორგანიზაციული კომიტეტით (ჩხეიძე, წერეთელი და სხვ., სტეკლოვი და სხვ. და სხვ.) დამთავრებული.

მასებრსათვის განმარტება იმისა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები არის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა რევოლუციური მთავრობისა. და რომ ამიტომ, ვიდრე ეს მთავრობა ბურჟუაზიის გავლენას განიცდის, ჩვენს ამოცანას შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ მოთმინებითი. სისტემატური, დაჩინებული. განსაკუთრებით კი მასების პრაქტიკულ საკაროებებთან შეგუებული განმარტება მათი ტაქტიკის შეცდომებისა.

ვიდრე ჩვენ უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას კრიტიკისათვის და შეცდომათა გამორკვევისათვის. ხოლო ამავე დროს ექადაგებთ მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოკდილებით დააღწიონ თავი თავის შეცდომებს.

5. არა პარლამენტარული რესპუბლიკა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკაზე დაბრუნება იქნებოდა ნაბიჯი უკან, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე.



კონსტანტინის დელეგატი —
რ. ს. ზემლიჩაკა.

პოლიციის, არმიის, მოხელეების გა-
დაყენება (ე. ი. მუდმივი არმიის შეცე-
ლა ხალხის საყოველთაო შეიარაღე-
ბით).

ყოველი მოხელის ჯანაგარი არ უნ-
და აღენატებოდეს კარგი მუშის შრომის
საშუალო ხელფასს, ამასთან ჯერა ისი-
ნი არჩეული უნდა იყვნენ და მათი გა-
მოცვლა, ყოველ დროს შეიძლებოდა.

6. აგრარულ პროგრამაში სიმძიმის-
ცენტრის გადატანა მოჯანაგირეთა დე-
პუტატების საბჭოებზე.

მენამულეთა მიწები მიწების კონ-
ფისკაცია.

ნაციონალიზაცია მთელი მიწისა.
ჩვენს ქვეყანაში, მიწის გადასვლა მოჯან-
აგირეთა და გლეხთა დეპუტატების ად-
გილობრივი საბჭოების განკარგულება-

ში. გამოყოფა უღარიბეს გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა. ყოველი მსხვილი
მამულისაგან (დაახლოებით 100-დან 300 დესეტინამდე. ადგილობრივი და
სხვა პირობების მიხედვით და ადგილობრივ დაწესებულებათა განსაზღვრით);
შეკმნა სანიმუშო მეურნეობისა მოჯანაგირეთა დეპუტატების კონტროლის ქვეშ
და საზოგადოებრივ ხარჯზე.

7. სახელმწიფოში არსებული ყველა ბანკის დაუყოვნებლივ შეერთება ერთ-
ნაციონალურ ბანკად და მასზე მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლის და-
წესება.

8. არა სოციალიზმის „შემოღება“, როგორც ჩვენი უშუალო ამოცანა, არა-
მედ მუშათა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ გადასვლა მხოლოდ
პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კონტროლზე.

9. პარტიული ამოცანები:

ა) პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა;

ბ) პარტიის პროგრამის გამოცვლა, უმთავრესად: 1) იმპერიალიზმსა და იმ-
პერიალისტურ ომზე; 2) სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაზე და ჩვენ-
შობიანა „სახელმწიფო-კომუნისა“ (ე. ი. ისეთი სახელმწიფოსი, რომლი-
პირველსავე პარტიის კომუნამ მოგვცა); 3) მოძველებული პროგრამა-მინიმუ-
შის ვასწორება;

გ) პარტიის სახელწოდების გამოცვლა (ნაცვლად „სოციალ-დემოკრატიისა“-
რომლის ოფიციალურმა ბელადებმა მთელი მსოფლიოში გასცეს სოციალიზმ-
და ბურჟუაზიის მეშინენ („ობორონები“ და მერყევი „კაუტსკელები“), უნ-
და ვუწოდოთ თავს კომუნისტური პარტია);

10. ინტერნაციონალის განახლება¹.

ლენინის გამოსვლამ აფეთქებული ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა მენ-
შევიკებზე. პლენანომმა მას „დასრიოცნება“ — შეშლილის ბოღვა უწოდა.
„ლენინი სამოქალაქო ომისაგან მოუწოდებს“, შეძრწუნებით იძახდნენ მენშე-
ვიკები.

წერეთელი ამ ბოღვა ლენინის წინააღმდეგ:

„ძალაუფლება რომ პირველ დღეებში ხელში ჩაგვეგდო. უახლოეს მო-
მავალში რევოლუცია უდიდესი დამარცხებით დამთავრდებოდა. მოკავე რე-
ბებთან ხელშეკრულებათა გაწყვეტა გამოიწვევდა ჩვენს განადგურებას
გარედან. სოციალიზმის წინააღმდეგ ღრმა რეაქცია ვამედვდებოდა ევროპა-
ში. ინტერნაციონალი გაიპრისებოდა... არ შეიძლება თავის იზოლირება
მთელი ხალხისაგან და შეგნებული პროლეტარიატისაგან“¹.

იმავე თათბირზე ჩხეიძე აშინებდა ლენინს:

„რევოლუციის გარეთ მარტო ლენინი დარჩება. ჩვენ კი ყველანი ჩვენი
გზით წავალთ“².

არევა ემხროდათ ზოგიერთ ბოლშევიკებსაც. რომლებსაც მოსალოდნელი
ბრძოლის სიმკვლეებისა შეეშინდათ. მაგრამ პარტია მთლიანად თავისი ბელადის
დროშის ერთგული დარჩა. როგორც ეს ცხადყო ბოლშევიკთა სრულიად რე-
სეთის კონფერენციამ.

აპრილის (მეშვიდე) კონფერენცია შესდგა პეტროგრადში 1917 წლის 24 --
29 აპრილს. მას დაესწრო 133 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 18 სათათბი-
როთი. რომლებიც პარტიის დაახლოებით 80 ათას წევრს წარმოადგენდნენ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე ბოლშევიკთა პარტია იატაკ-ქვეშ
მუშაობდა. იგი აკრძალული პარტია იყო და მარტო მისი წევრობისათვის ზალხს
იქერდნენ და კაცორლაში გზავნიდნენ. პარტიის ყველა თათბირი და ყრილობა
ხდებოდა ფარულად. მეტნაწილად საზღვარგარეთ. აპრილის კონფერენცია პირ-
ველი ლეგალური კონფერენცია იყო ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში.

ქვეყნის ყველა კუთხიდან მოვიდნენ ლენინის თანამებრძოლნი. დაბრუნდნენ
ამხანაგები შორეული გადასახლებიდან და საკატორლო საპრობილევებიდან.
მოვიდნენ დელეგატები სამრეწველო ცენტრებიდან და ნაციონალურა ვაწა-
პირა მხარეებიდან. დედა-ქალაქის ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან მოვიდ-
ნენ ცოტანის წინანდელი საბარკადო ბრძოლების ხელმძღვანელები და
ორგანიზატორები. კონფერენციაზე ჩამოვიდნენ: ლენინი, სტალინი, მოლო-
ტოვი, კრუპსკაია, ე. სტასოვა, მოსკოვიდან და მისი ოლქიდან დაესწრნენ ძუ-
რინსკი, ზემლიაჩკა, ნოვინი, ოპოკოვ-ლომოვი, სკვორცოვ-სტეპანოვი, სმიდო-
ვიჩი. დონბასიდან ჩამოვიდა ვოროზილოვი. სამარადან — კუბიშევი. ურალი-
დან — სერდლოვი და ბერიი სხვა თვალსაჩინო ბოლშევიკი. და იმ გარემო-
ვამ, რომ ხელმძღვანელ ცენტრებს მოწყვეტილი ორგანიზაციების წარმომად-
გენლებმა საერთო ენა გამოიხატეს და ერთსულოვნად დაუქირეს მხარი ლენინს.
ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, რომ ცარიზმმა ვერ გასტეხა პარტიის ნებისყოფა,

ვერ გასწვივტა მისი კავშირი მასებთან, რომ პარტიამ თავი შეინარჩუნა და ორგანიზაციულად და იდეურად გაიზარდა.

თავისი მნიშვნელობით ბოლშევიკთა სრულიად-რუსეთის აპრილის კონფერენციას ისეთი ადგილი უჭირავს, რომ იგი ეთანაბრება პარტიის ყრილობას ყველაზე პასუხსაგებ ისტორიულ მომენტში, როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი კონფერენციის გახსნაზე, იგი

„აკრებდა... აზა მარტო რუსეთის. არამედ აგრეთვე მოახლოვებული საერთაშორისო რევოლუციის პირობებში“¹.

დღეეგატებმა ადგილებიდან აღნიშნეს. თუ რა სწრაფად გაიზარდა ბოლშევიკური პარტია და რა გიგანტური მუშაობა გასწია მან რევოლუციის ორი ბვის მანძილზე.

პეტროგრადში თვით ქალაქში ომის დროს იყო პარტიის დაახლოვებით 2 ათასი წევრი, რომლებიც ანარიცხებს იხდიდნენ. აპრილის კონფერენციის წინ კი — 16 ათასი. კონსტანტინოპოლში პატარა არალეგალური ორგანიზაცია იყო. ახლა კი — მათასი ბოლშევიკი. ჰელსინგფორსში აგრეთვე 3 ათასი. ვიბორგში — 560. მოსკოვში — 7 ათასი ბოლშევიკი. ხოლო ოლქითურთ — 13 ათასი. ამასთან მარტო ივანოვო-ვოხნესენსკში 31¹/₂ ათასი. სარატოვში — 11¹/₂ ათასზე მეტი; ამაში — 2700. ყაზანში — 400: ურალზე არალეგალური მუშაობა სწარმოებდა ცხრა ადგილას. აპრილის კონფერენციის წინ კი არსებობდა 43 ორგანიზაცია 16 ათასი ბოლშევიკით; ლუგანსკში თებერვლის რევოლუციამდე 100 ბოლშევიკი იყო. ახლა კი — 11¹/₂ ათასი.

გამოვიდა უკვე რამდენიმე ბოლშევიკური გაზეთი გარდა „პრაედისა“. მოსკოვში გამოდიოდა „სოციალ-დემოკრატი“ 60 ათასიანი ტირაჟით. ურალზე — „ურალსკაია პრაედა“ და „ვეპერიოდი“ (უფაში). ჰელსინგფორსში — „ვოლნა“. კონსტანტინოპოლში — „გოლოს პრაედი“. ეკატერინოსლავში — „ზევეზა“. ხარკოვში — „პროლეტარი“. კავკასიაში — „კავკაზსკი რაბოჩი“. პოვოლკიეში თითო გაზეთი — სარატოვში. სამარასა და ყაზანში.

ბოლშევიკთა გავლენა სწრაფად იზრდებოდა. ურალზე ისინი თითქმის ყველა საბჭოების სათავეში იდგნენ. ყველგან დააწესეს რვა საათის სამუშაო დღე და მოაწყეს კონტროლი მრეწველობაზე.

„დონბასში — მოუთხოვრებდა დღეეგატი. — ამჟამად ლუგანსკი ფაქტიურად მუშებარს ხელშია. თუ მუშაკები კიდევ იქნებიან, ძალაუფლება, უუკველია. ბოლშევიკთა ხელში იქნება... ყველგან შახტიორები არიან: კომისარიატებში და მილიციაში. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში. მათ მოსამართლეთა თანამდებობებიც კი უჭირავთ. ყველა ორგანიზაცია შახტიორების ხელშია, ასე რომ შახტიორები სამადნეთა სრულფლებიანი პატრონები არიან“².

ბოლშევიკები მუშაობას ეწეოდნენ სამხედრო ტყვეებს შორის — გერმანელებში, ავსტრიელებში, ჩეხოსლოვაკებში. ლუგანსკში ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციამდე სამხედრო ტყვეებს შორის არსებობდა ბოლშევიკური ორგანი-

ზაცია 40 კაცის შემადგენლობით, რევოლუციის შემდეგ იქ ასზე მეტი წევრი გახდა. ურალზე, მიუხედავად სამხედრო მინისტრ გუჩკოვის ბრძანებისა, რომლითაც სამხედრო ტყვეებს დემონსტრაციებში მონაწილეობა აეკრძალათ, ბოლშევიკებმა გერმანელები და ავსტრიელები ჩააბეს I მაისის დღესასწაულში. ასობით საუცხოო ორგანიზატორები, რევოლუციის ათასობით ერთგული მებრძოლი გამოვიდნენ სამხედრო ტყვეთაგან ბოლშევიკთა მუშაობის შედეგად.

მთელ რიგ ადგილებში ბოლშევიკებმა სასოფლო უჯრედები მოაწყვეს. პენზაში გლეხთა ყრილობა ბოლშევიკებს გაჰყვა, გლეხებმა დაადგინეს მოეხდინათ შემამულეთა მიწების კონფისკაცია, ხოლო მთელი ინვენტარი საზოგადოებრივ სარგებლობაში გადაეცათ. მოსკოვმახლობელ ოლქში. პოვოლჟიეში, უკრაინაში ბოლშევიკებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ ზოგიერთი გლეხთა საბჭოს ხელმძღვანელობა.

იქ. სადაც ძლიერი იყო ბოლშევიკთა გავლენა. რევოლუცია უფრო შორს წავიდა, ვიდრე ცენტრში. მოსკოვის მიდამოების რაიონის დელეგატი კონფერენციას მოუთხოვრდა:

„ორეზოვო-ზუევოში მთელი ძალაუფლება მუშათა ხელშია. იარაღის ტარება საბჭოს უნებართვოდ არ შეიძლება. გლეხები მუშებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი მიდიან... დამახასიათებელია ტორფის ისტორია. ჩვენ განვუცხადეთ კაპიტალისტებს, რომ თუ მათ სათბობი არ გამოუშვეს. თუ მუშაობის შესაძლებლობა არ შეჰქმნეს. ფაბრიკას გაეასხვისებთ. ამხ. ლენინი ამბობს — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაო, — ჩვენ კი გასაკეთებელი აღარა გვაქვს რა“¹.

ლენინი ამრლის კონფერენციაზე დაწვრილებით შეეხო იმას, რომ ადგილები უსწრებდნენ ცენტრს:

„ამხანაგების მიერ საბჭოების მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენილი მასალები თუმცა არასრულია, მაგრამ უაღრესად საინტერესო გამოდგა. შესაძლოა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მასალა იყოს იმ ცნობებიდან. რომლებიც კონფერენციამ მოგვცა, მასალა. რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ცხოვრების ნამდვილი მსვლელობით შევამოწმოთ ჩვენი ლოზუნგები. მიღებული სურათი ოპტიმისტური დასკვნების გამოტანის განწყობილებას გვიქმნის. მოძრაობა ცენტრებში დაიწყო. იქ პირველ ხანს პროლეტარიატის მთელი ენერგია ბრძოლისაკენ იყო მიმართული. უამრავი ენერგია შეეწირა ცარიზმთან ბრძოლას. ამ ბრძოლით პეტროგრადში გადაადგებულია ცენტრალური სასელმწიფო ხელისუფლება. გიგანტური საქმე გაკეთდა...

ცენტრიდან რევოლუცია ადგილებზე გადადის. ეს ის არის. რაც სანდრანგეთში იყო. — რევოლუცია მუნიციპალური ხდება. ადგილებზე მოძრაობა ცხადყოფს, რომ იქ უმრავლესობა მხარს უჭერს გლეხებს. მუშებს, იქ ყველაზე ნაკლები გამოვიდა ხელმძღვანელობა ბურჟუაზიიდან. იქ მასები არ დაიბნენ. რაც მეტ მონაცემებს ვაგროვებთ. მით უფრო გვიჩვენებს ეს, რომ რაც უფრო დიდია მოსახლეობის პროლეტარული შემადგენლობა, რაც

უფრო ნაკლებია შუალედი ელემენტები, მით უკეთესად მიმდინარეობს რევოლუცია ადგილებზე”¹.

მოხსენებებმა ადგილებიდან ცხადჰყვეს, თუ რა შორს წაიწია წინ რევოლუციამ იქ, სადაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ მუშებს და მშრომელ მასებს. მთელ რიგ სამრეწველო ოლქებში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები მდგომარეობის ბატონ-პატრონები გახდნენ. მთავრობის ორგანოები უძალაუფლებონი იყვნენ. მათ არ შეეძლოთ განკარგულებების გაცემა საბჭოს დაუმტკიცებლად. საბჭოებმა მოაწყვეს სასურსათო საქმე. მათ კონტროლი დააწესეს მრეწველობაზე, თვალყურს ადევნებდნენ მუშაობის განგრძობას ფაბრიკებსა და ქარხნებში.

მოხსენებებმა ადგილებიდან ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ მთელი თავისი პრაქტიკულ-პოლიტიკური მუშაობით ბოლშევიკები მომზადებული იყვნენ ლენინის „აპრილის თეზისებისათვის“.

24 აპრილს დილის 10 საათზე სტებუტოვის ქალთა კურსების ერთერთ აუდიტორიაში გაიხსნა ბოლშევიკთა სრულიად-რუსეთის აპრილის კონფერენცია. ლენინმა მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა. იგი ამბობდა, რომ კომუნიზმის დიად ფუძემდებელთა წინასწარხედვა გამართლდა: მსოფლიო ომმა გარღვევალად მიგვიყვანა რევოლუციამდე. რევოლუციის დაწყების დიდი პატივი წილად ხვდა რუსეთის პროლეტარიატს, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს, რომ რუსეთის რევოლუცია მხოლოდ ნაწილია საერთაშორისო რევოლუციისაო.

„მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ჩვენ განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები“², დამთავრა ლენინმა თავისი სიტყვა.

კონფერენციამ დაადგინა მისალმებოდა პირველ ინტერნაციონალისტებს — ლენინსა და კარლ ლიბკნეხტს. რომელიც გერმანელმა იმპერიალისტებმა საპრობილეში ჩასვეს. კონფერენციამ წინადადება მისცა პრეზიდიუმს გამოენახა საშუალება ლიბკნეხტისათვის საპრობილეში ბოლშევიკთა მისალმების გადასაცემად.

ლენინის შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი (ომი და დროებითი მთავრობა და სსე.).
2. საზავო კონფერენცია.
3. დამოკიდებულება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი.
4. პარტიული პროგრამის გადასინჯვა.
5. მდგომარეობა ინტერნაციონალში და ჩვენი ამოცანები.
6. სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალისტური ორგანიზაციების გაერთიანება.
7. აგარაული საკითხი.
8. ნაციონალური საკითხი.
9. დამფუძნებელი კრება.
10. ორგანიზაციული საკითხი.
11. მოხსენებები ოლქებიდან.
12. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

კონფერენციის მუშაობის ცენტრალური პუნქტი იყო ლენინის მოხსენებები მიმდინარე მომენტსა და აგრარულ საკითხზე, რომლებმაც „პარილის თეზისები“ განავითარეს.

ლენინის მოხსენებათა ანალიზი და დასკვნები უმთავრესად შემდეგით განისაზღვრებოდა.

ძირითადი ნიშანი, რომლითაც მარქსისტები რევოლუციის ხასიათს განსაზღვრავენ, — ეს არის ძალაუფლების გადასვლა ერთი კლასის ხელიდან მეორე კლასის ხელში. თებერვალში ძალაუფლება მებატონე-მემამულეთა ხელიდან გადავიდა ბურჟუაზიისა და კაპიტალისტურ მემამულეთა, ე. ი. მეურნეობის ბურჟუაზიულად მწარმოებელ მემამულეთა ხელში. ხელისუფლების სათავეში ჩაღვა ახალი კლასი — ბურჟუაზია, და ამ თვალსაზრისით თებერვლის რევოლუცია ბურჟუაზიული იყო.

მაგრამ ხელისუფლების სათავეში ჩამდგარ ბურჟუაზიას უნდა გადაეჭრა საში ამოცანა: დაემთავრებინა ომი, მიეცა მიწა გლეხებისათვის და გამოეყვანა ჭკეყანა სამეურნეო კრიზისიდან.

შეეძლო თუ არა ბურჟუაზიას დაემთავრებინა ომი? ომი კაპიტალისტური განვითარების გარდუვალი შედეგია. ვიდრე რჩება კაპიტალიზმი, აუცილებლად ვაგრძელებს ომებიც, თანამედროვე ომი მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ არის იმპერიალისტური ომი, ე. ი. ომი, რომელსაც კაპიტალისტები აწარმოებენ მსოფლიოზე ბატონობისათვის. ხელსაყრელი ბაზრებისათვის, სუსტ ხალხთა დახრჩობისათვის. მეფე ნიკოლოზ რომანოვის ხელიდან ძალაუფლების მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის ხელში გადასვლას არ შეუცვლია ომის ხასიათი რუსეთის მხრით. ახალი მთავრობა განაგრძობს დამპყრობ, უაღაღურ ომს. მან დადასტურა მეფის ყველა წინანდელი ხელშეკრულებანი, რომლებითაც რუს კაპიტალისტებს ჰპირდებოდნენ ჩინეთის, თურქეთის, სპარსეთის და სხვ. გაძარცვას. ახალ მთავრობას. რომელიც კაპიტალის ინტერესებს იცავს. არ შეუძლია ხელი აიღოს ანექსიებზე, ე. ი. სხვისი ქვეყნების დაპყრობაზე. ან რუსეთის ფარგლებში რომელიმე ხალხთა ძალადობით დატოვებაზე. უკეთეს შემთხვევაში. მასების ზეგავლენით. ბურჟუაზიას შეეძლო დაემთავრებინა ეს ომი ზავით. მაგრამ ეს ჩქნებოდა იმპერიალისტური ზავი სუსტი და ჩაგრული ხალხების ხარჯზე. ასეთი ზავი გარდუვალად გამოიწვევდა ახალ ომს.

შეეძლო თუ არა ბურჟუაზიას მიეცა მიწა გლეხებისათვის? მემამულეთა მიწა დაგირავებული და გადაგირავებული იყო ბურჟუაზიულ ბანკებში. მემამულეთათვის მიწის ჩამორთმევა ნიშნავდა ბურჟუაზიის ჯიბის შელახვას. უკეთეს შემთხვევაში, თუ ქვედა ფენები ძლიერ ზეგავლენას მოახდენდნენ, ბურჟუაზიას შეეძლო გაეწირნა ნაწილი მთელის გადასარჩენად და მიწის ნაწილს მისცემდა გლეხებს გამოსასყიდად. მაგრამ ეს არ გადასწყვეტდა აგრარულ საკითხს. გარდა ამისა ომმა იმდენად გააჩანავა გლეხური მეურნეობა, რომ ძველებურად მისი წაყვანა აღარ შეიძლებოდა. საჭირო იყო იარაღები, პირუტყვი, ყოველივე ამის შოვნა კი შეიძლებოდა მხოლოდ რევოლუციური გზით, ბურჟუაზიისაგან მისი კაპიტალების ჩამორთმევით.

ბოლშევიკთა პეტროგრადის კონფერენციაზე. რომელიც აპრილის კონფერენციის წინადაღეს შესდგა, ლენინი ამბობდა:

„ბურჟუაზიას შეუძლია შეურიგდეს მიწის ნაციონალიზაციას, თუ გლები მიწას წაიღებენ. ჩვენ, როგორც პროლეტარულმა პარტიამ, უნდა ვთქვათ, რომ მარტო მიწა კიდევ არ დაარჩენს. მის დასამუშავებლად საჭირო იქნება. მაშასადამე, კომუნის მოწყობა... კადეტები უკვე მოქმედებენ, როგორც ჩინოვნიკები. ისინი ეუბნებიან გლებობას: „დამფუძნებელ კრებას უცადეო“. მხოლოდ ჩვენი პარტია იძლევა ისეთ ლოზუნგებს, რომელნიც ნამდვილად ამოძრავებენ წინ რევოლუციას“¹.

ბურჟუაზიას, ცხადია, შეეძლო ეცადნა მეურნეობის „გამოსწორება“, მაგრამ მხოლოდ ღარიბ გლებთა და მუშათა ხარჯზე, მათთვის მთელი ხარჯების დაცისრებით.

ბურჟუაზიას, რომელმაც ძალაუფლება ჩაიგდო ხელში. არ შეეძლო რევოლუციის არკერთი ამოცანის გადაქრა. თვით ძალაუფლებასაც იგი რევოლუციისთან საბრძოლველად იღებდა. რევოლუციის ამოცანების გადაქრა კი შეეძლო მხოლოდ ახალ კლასს, რომლის ხელშიაც საჭიროა გადაეცეს ძალაუფლება, ე. ი. მუშათა კლასსო.

„რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება. — ამბობდა ლენინი, — მდგომარეობს იმაში, რომ რევოლუციის პირველი ეტაპი, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას არგუნა, გადავიდეს მეორე ეტაპში, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლებობის უღარიბეს ფენებსო“².

ამრიგად, მომენტის თავისებურება მდგომარეობდა გადასვლაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე, ანუ როგორც ლენინი ამბობდა. ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადასვლაში.

პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების ასეთი გადასვლა სრულებითაც არ მოითხოვდა დაუყოვნებლივ აჯანყებას დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ამ მთავრობის დაშობა საჭირო იყო, მაგრამ არა მოცემულ მომენტში, არა პირდაპირი იერიშით. ქვეყანა თითქმის სრული პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობდა. მთავრობა ჯერ კიდევ არ მიმართავდა ძალადობას რევოლუციის წინააღმდეგ. ვინაიდან იარაღი ფაქტიურად მასების ხელში იყო, მუშები და გლებები ომით არ იყვნენ დაანტერესებულნი. მათი ობორონცული განწყობილებები მხოლოდ გარდამავალი წოვლენა იყო. „კეთილსინდისიერი შეცდომის“ შედეგი, როგორც ლენინი ამბობდა, რის გამო საჭირო იყო დაეხმარებოდით მუშებს და „მოთმინებით“ განგვემარტნა მათთვის მათი შეცდომა, როგორც ლენინი გვიჩვენდა.

„რევოლუციური ობორონცების“ ძალიან ფართო მასები, — კითხულობდა ლენინი რევოლუციის პრაქტიკს კონფერენციაზე, — აუცილებლად უნ-

და ვალიაროთ კეთილსინდისიერებად. ე. ი. ისეთებად, რომლებსაც ნამდვილად არ სურთ ანექსიები, დაპყრობანი, ძალადობა სუსტ ხალხებზე. ნამდვილად მიისწრაფიან დემოკრატიული, არაძალმომრეობითი ზაეისაკენ ყველა მემომარ ქვეყნებს შორის. ეს აუცილებელია ვალიაროთ იმითომ, რომ კლასობრივი მდგომარეობა ქალაქისა და სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარებისა (ე. ი. იმ ხალხისა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ცხოვრობს კაპიტალისტებისადმი თავისი სამუშაო ძალის მიყიდვით) ამ კლასებს დაუინტერესებელს ხდის კაპიტალისტთა მოგებით¹. რეზოლუციის ამ ნაწილს ლენინი კონფერენციაზე ასე განმარტავდა:

„სრულიად უეჭველია, რომ პროლეტარიატი და ნახევრადპროლეტარიატი, როგორც კლასი, დანიტერესებული არ არიან ომით. ისინი მოქმედებენ ტრადიციებისა და მოტყუების გავლენით. მათ ჯერ კიდევ არა აქვთ პოლიტიკური გამოცდილება. აქედან ჩვენი ამოცანაა — ხანგრძლივი ახსნა-განმარტება. ჩვენ სულ მცირეოდენ პრინციპულ დათმობაზეც არ მივდივართ, მაგრამ მათ არ შეგვიძლია მივუდგეთ. როგორც სოციალ-შოვინისტებს. მოსახლეობის ეს ელემენტები სოციალისტური არასოდეს არ ყოფილან. სოციალიზმზე არაერთი წარმოდგენა არა აქვთ, ისინი ეს-არის ახლა იღვიძებენ პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მაგრამ მათი შეგნება არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება და ფართოვდება. უნდა გვკონდეს უნარ-მივუდგეთ მათ ახსნა-განმარტებით. და ეს უძნელესი ამოცანაა, განსაკუთრებით იმ პარტიისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იატაკქვეშ იმყოფებოდა“².

საბჭოები აერთიანებდნენ მუშათა და მშრომელ გლეხთა უმრავლესობას. მაგრამ საბჭოების ხელმძღვანელობა ხელში ჩაუვარდა ესერებსა და მენშევიკებს, რომლებმაც ძალაუფლება დროებით მთავრობას გადასცეს. ეს უკანასკნელნი საბჭოებს ეყრდნობოდნენ. და მისი ჩამოგდება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოებში უმრავლესობას მოვიპოვებდით.

ეს პირობები ჰქმნიდნენ ფრიად იშვიათ მოვლენას რევოლუციაში: ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელიდან შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით გადასცემოდა საბჭოებს. საკირო იყო მხოლოდ ესერთა და მენშევიკთა წვრილბურჟუაზიული პარტიების იზოლირება, მათი გავლენისაგან ფართო მასების გამოტაცება.

„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ — ასეთი იყო პარტიის ლოზუნგი რევოლუციის ამ ეტაპზე.

საბჭოების ძალაუფლებაში ლენინი სრულებითაც არ ჰვულისხმობდა, რომ დროებითი მთავრობიდან კაპიტალისტები განდევნილიყვნენ და მათ ნაცვლად საბჭოების წარმომადგენლები დაესვათ.

ტროცკი, რომელმაც საესებით დაამახინჯა ბოლშევიკური ხაზი. თავის სიტყვაში „ოქტომბრის გაკვეთილები“ სთვლიდა, რომ მისი წინადადება 10 პრინსტრ-კაპიტალისტის ნაცვლად ძალაუფლების 10 პეშეხონოვისათვის (წვრილბურჟუაზიული სოციალისტი. რ ე დ.) გადაცემის შესახებ თანამთხვევა ლენინის

ლოზუნხს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. საქმე არ მდგომარეობდა მინისტრ-კაბიტალისტების შეცვლაში მინისტრ-სოციალისტებით. ლენინის ლოზუნგი მოასწავებდა ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევას და მის შეცვლას ახალი საბჭოთა სახელმწიფო აპარატით.

საბჭოებში უმრავლესობა მენშევიკებსა და ესერებს ეკუთვნოდა. ბოლშევიკთა პარტია უმცირესობას წარმოადგენდა. მაგრამ ასეთი საბჭოები, თუ ძალაუფლებას აიღებდნენ, მასების განუწყვეტელი ზეგავლენის ქვეშ იქნებოდნენ, მათი წევრების არჩევა და გადაჩრევა თავისუფლად მოხდებოდა ხოლმე. ასეთ ვითარებაში მენშევიკები და ესერები ან წინ წავიდოდნენ და შეეცდებოდნენ რევოლუციის ამოცანების გადაჭრას, ან, რაც უფრო მოსალოდნელი იყო, ადგილის ტკეპნას დაიწყებდნენ და ამით თავს გამოამჟღავნებდნენ. მუშები და გლეხები გააყვებოდნენ ბოლშევიკებს, რომლებიც ნამდვილად იბრძოდნენ შრომელთა ინტერესებისათვის, ბოლშევიკები საბჭოებში უმრავლესობას მოიპოვებდნენ. ნამდვილად რევოლუციური ბოლშევიკური პარტია, რაკი უმრავლესობას მიიღებდა. შეუდგებოდა თავისი პროგრამის შესრულებას: დემოკრატიული ზავის დადებას, მემამულეთა მიწების კონფისკაციას და შრომელთათვის მიწისა და მისი დასამუშავებელი იარაღების მიცემას და მეურნეობის დაუყოვნებლივ აღდგენას კაბიტალისტების ხარჯზე, ბანკებისა და უმსხვილესი საწარმოების ნაციონალიზაციის გზით. ეს ზომები არ იქნებოდა სოციალიზმზე დაუყოვნებლივ გადასვლის მომასწავებელი, მაგრამ შეჯამებული შეადგენდა პირველ ნაბიჯებს რუსეთის სოციალისტურად გარდაქმნისათვის:

„როგორღაა რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანები? — კითხულობდა ლენინი ბოლშევიკთა აპრილის კონფერენციაზე და უპასუხებდა: — მთავარი ნაკლი და მთავარი შეცდომა სოციალისტების მთელი მსჯელობისა ის არის. რომ საკითხი ისმება მეტისმეტად ზოგადად — სოციალიზმზე გადასვლა. ნამდვილად კი უნდა ვლაპარაკობდეთ კონკრეტულ ნაბიჯებსა და ზომებზე. ზოგი მათგანი მომწიფებულია, ზოგი ჯერ კიდევ არა. ამჟამად ჩვენ გარდამავალ მომენტს განვიცდით. ჩვენ აშკარად წამოვყაყენეთ ისეთი ფორმები, რომლებიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფორმებს არა ჰგებანან: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები — სახელმწიფოს ისეთი ფორმა, რომელიც არცერთ სახელმწიფოში არ არის და არც ყოფილა. ეს ისეთი ფორმაა, რომელიც წარმოადგენს პირველ ნაბიჯებს სოციალიზმისაკენ და გარდუვალა სოციალისტური საზოგადოების დასაწყისში. ეს გამშუყვერი ფაქტია...

რისთვის გვინდა, რომ ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდეს? .

პირველი ზომა, რომელიც მათ უნდა განახორციელონ, არის მიწის ნაციონალიზაცია... უნდა გაუქმდეს მიწის კერძო საკუთრება. ეს ის ამოცანაა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, იმიტომ რომ ხალხის უმრავლესობა ამას უჭერს მხარს. ამისათვის გვჭირდება საბჭოები. ამ ზომის გატარება ძველი სახელმწიფო ჩინოვნიკების მეწევობით შეუძლებელია.

მეორე ზონა. ჩვენ არ შეგვიძლია მხარს ვუჭერდეთ იმას, რომ სოციალიზმი „შემოვიღოთ“ — ეს უდიდესი უაზრობა იქნებოდა. ჩვენ სოციალიზმს უნდა ვკადაგებდეთ. მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთში შეადგენენ გლეხები, წვრილი მეურნენი, რომელთაც სოციალიზმზე ფიქრიც არ შეუძლიათ. მაგრამ რა შეუძლიათ მათ სთქვან იმის საწინააღმდეგოდ, რომ ყოველსოფელში იყოს ბანკი, რომელიც მათ მეურნეობის გაუმჯობესების საშუალებას მისცემდა. ამის წინააღმდეგ ისინი ვერაფერს ვერ იტყვიან. ჩვენ უნდა ვეწეოდეთ ამ პრაქტიკული ზომების პროპაგანდას გლეხებში და განვამტკიცებდეთ მათს შეგნებაში ამ ზომების აუცილებლობას.

სხვა საქმეა საქრის მრეწველთა სინდიკატი, ეს ფაქტია. აქ ჩვენი წინადადება უშუალო პრაქტიკული უნდა იყოს: აი ეს უკვე მომწიფებული სინდიკატები უნდა გადაეცეს საკუთრებად სახელმწიფოს. თუ საბჭოებს უნდათ ძალაუფლება აიღონ. მხოლოდ ასეთი მიზნებისათვის. სხვა რამესთვის ამ ძალაუფლების აღება მათ არ ესაქიროებათ. საკითხი ასე დგას: ან ამ საბჭოების შემდგომი განვითარება, ანდა ისინი მოკვდებიან უსახელოდ, როგორც პარიზის კომუნის დროს მოხდა. თუ ბურჟუაზიული რესპუბლიკაა საჭირო, ამას კადეტებიც მოახერხებენ“¹.

წამოაყენა რა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ გარდამავალი პერიოდისათვის, ლენინმა აღნიშნა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კონკრეტული პროგრამა საბჭოებისა, რომლებიც მთელ ძალაუფლებას მიიღებდნენ.

ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ ნიშნავდა, როგორც ამბობს.

სტალინი,

„მენშევიკების და ესერების ბლოკის გაწყვეტას კადეტებთან, საბჭოთა მთავრობის შედგენას მენშევიკებისა და ესერებისაგან (ვინაიდან საბჭოები მაშინ ესერულ-მენშევიკური იყო), თავისუფალი აგიტაციის უფლებას ოპოზიციისათვის (ე. ი. ბოლშევიკებისათვის) და პარტიების თავისუფლად ბრძოლას საბჭოების შიგნით იმ ვარაუდით, რომ ასეთი ბრძოლით ბოლშევიკები შესძლებდნენ საბჭოების დაუფლებას და საბჭოთა მთავრობის შემადგენლობის შეცვლას რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით. ეს გვემა, რასაკვირველია, არ ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ ის უთუოდ აადვილებდა დიქტატურის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების მომზადებას, ვინაიდან იგი, აყენებდა რა ხელისუფლების სათავეში მენშევიკებს და ესერებს, აიძულებდა მათ საქმით გაეტარებინათ თავიანთი ანტირევოლუციური პლატფორმა და, ამრიგად, აჩქარებდა ამ პარტიების ნამდვილი ბუნების მხილებას, აჩქარებდა მათ იზოლაციას, ჩამოშორებას მასებისაგან“².

გამოდიოდა რა მიმდინარე მომენტის შეფასებიდან, ლენინი აყენებდა სათანადო ტაქტიკასაც: ყოველ ნაბიჯზე განგვემარტებინა მასებისათვის, რომ დროებითი მთავრობა კონტრრევოლუციურია და არ შესწევს უნარი არც ზავის და არც მიწის მოცემისა; გვემტკიცებინა, რომ მენშევიკები და ესერები მხოლოდ ბურჟუაზიის მსახურნი არიან, რომ კაპიტალისტებისათვის ძალაუფ-

ლები წართმევა შეიძლება მხოლოდ შემთანხმებლური მენშევიკურ-ესერული პარტიების გამცემლური ბუნების გამომქალაქებით. პროლეტარული რევოლუციის მომზადების პერიოდში უდიდეს საფრთხეს რევოლუციისათვის წარმოადგენენ წვრილბურჟუაზიული შემთანხმებელი პარტიები. ისინი ხელს აღებინებენ მასებს მტრებთან ბრძოლაზე ბურჟუაზიასთან შეთანხმების ქადაგებით, განამაგნიტებენ ბრძოლის სურვილს, ახდენენ მუშებისა და სხვა მშრომელების დემობილიზაციას. არ შეიძლება მასების მომზადება ბურჟუაზიასთან გადაშორების შედეგად მათთვის შემთანხმებელი პარტიების მხილებისა და იზოლაციის გარეშე. საჭირო იყო მკიდროდ შეგვეკავშირებინა პარტიის ირგვლივ ყველა ჰემარიტად რევოლუციური ელემენტები, რომლებსაც შესწევდათ უნარი ბოლომდე წასულიყვნენ, და მოგვეხდინა ობორონცების, „გამარჯვებამდე ომის“ მომხრეების იზოლაცია.

ბოლშევიკების ამ ტაქტიკას, რომელიც ნავარაუდევია იყო მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში მშვიდობიანი გზით გადასვლაზე, ლენინი აპრილის კონფერენციაზე ასე ხსნიდა:

„ზოგიერთებს ექვი ეპარებათ, ჩვენი თავი ხომ არ უარყვავით: ჩვენ ხომ ექადაგებდით იმპერიალისტური ომის გადაქცევას სამოქალაქო ომად. ახლა კი თვითონ ჩვენი თავის წინააღმდეგ ვლაპარაკობთ. მაგრამ რუსეთში პირველი სამოქალაქო ომი დამთავრდა, ახლა ჩვენ გადავდივართ მეორე ომზე იმპერიალიზმსა და შეიარაღებულ ხალხს შორის, და ამ გარდამავალ პერიოდში, სანამ შეიარაღებული ძალა ჯარისკაცების ხელშია, სანამ მილიუკოვსა და გუჩკოვს ჯერ კიდევ ძალადობისათვის არ მიუშრთავთ. ეს სამოქალაქო ომი იქცევა ჩვენთვის მშვიდობიან, ხანგრძლივ და მოთმინებითი კლასობრივ პროპაგანდად. თუ ჩვენ სამოქალაქო ომზე ვლაპარაკობთ უფრო ადრე, ვიდრე ხალხი იმის აუცილებლობას შეიგნებდეს, მაშინ ჩვენ, უეჭველია, ბლანკიზმს დავადგებით. ჩვენ სამოქალაქო ომის მომხრენი ვართ. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას შეგნებული კლასი აწარმოებს. დამხობა შეიძლება მისი, ვისაც ხალხი იცნობს როგორც მოძალადეს. ახლა კი არავითარი მოძალადე არ არის. ზარბაზნები და თოფები ჯარისკაცებსა აქვს და არა კაპიტალისტებს. კაპიტალისტებს ახლა თავიანთი გააქვთ არა ძალადობით, არამედ მოტყუებით, და ახლა ძალადობაზე ყვირილი არ შეიძლება — ეს უაზრობაა“¹.

პროლეტარულ სოციალისტურ რევოლუციაზე კურსის აღება კლასობრივ ძალთა ახალ განლაგებასაც ჰვლისხმობდა. ქალაქად და სოფლად ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოსვლა შეეძლო მხოლოდ პროლეტარიატს მკიდრო კავშირში ღარიბ გლეხობასთან, გლეხობის მერყევი ელემენტების — საშუალო გლეხის — ნეიტრალიზაციით. მაგრამ „ნეიტრალიზაცია“ სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ნეიტრალური გაგვეხადა იგი, განზე დაგვეტოვებინა ბრძოლიდან, მისი შედეგების მომლოდინედ. სამოქალაქო ომში, როდესაც ხალხი მკვეთრად იყოფა ორ მტრულ კლასად, საერთოდ არ შეიძლება არსებობდნენ ნეიტრალური, ისეთები, რომელნიც ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ. საშუა-

ლო გლეხის ნეიტრალიზაცია ნიშნავდა გვეიძულებინა იგი ხელი არ შეეშალნა რევოლუციისათვის, ხოლო თუ შესაძლებელი იყო, დახმარებაც მიგველო მისგან. სწორედ საშუალო გლეხთა ძირითადი მასა, ჯარისკაცთა ფარაჯებში გამოწყობილი, განიცდიდა ყველაზე მეტ მერყეობას თვით პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ და მხოლოდ 1917 წლის სექტემბრიდან შეეძლო გამოსულიყო ჩვენს დროებით თანაშემწედ. რამდენადაც აგრარული საკითხის და ზავის საკითხის გადაჭრა მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საშუალო გლეხი მერყევი მოკავშირე იყო, ლენინი მოითხოვდა პროლეტარიატის კავშირს ღარიბ გლეხობასთან.

ლენინის წინააღმდეგებას გააფთრებული წინააღმდეგობით შეხედნენ არა მარტო წერილებურყუაზიული პარტიები, არა მარტო ტროცკი. არაჰედ მცირე ჯგუფიც პარტიის შიგნით. ლ. ბ. კამენევი, რომელსაც მხარი დაუჭირეს ა. ი. რიკოვმა, ნოვინმა და სხვებმა. ილაშქრებდა ლენინის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, სანამ ლიკვიდირებული არ არის მემამულური მიწათმფლობელობა. არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია დამთავრდა და რომ საბჭოების ზღაში ძალაუფლების გადასვლის საკითხი დგასო. ლენინის რევოლუციურ მოწოდებას — კავშირი გავწყვიტოთ დროებით მთავრობასთან და მთელი ძალაუფლება საბჭოებს გადაეცეთო — კამენევი დაუპირდაპირა ლოზუნგი: საბჭოების კონტროლი დროებით მთავრობაზეო. კამენევი ფაქტიურად ბურჟუაზიული მთავრობის დაცვის მენეჯერად პოზიციას დაადგა; ბურჟუაზიულ მთავრობას არ შეეძლო და არც სურდა ერთი ნაბიჯის გადადგმა წინ, რადგანაც კონტრევოლუციური იყო თავისი კლასობრივი ბუნებით. ასეთ მთავრობაზე კონტროლის დაწესებისაკენ მოწოდება. რეალური ძალაუფლების უქონლად, ნიშნავდა მასებში იმ ცრუ იმედის გავრცელებას, რომ ბურჟუაზიას უნარი შესწევდა გადაეჭრა რევოლუციის ამოცანები.

აკრიტიკებდა რა კამენევის შეხედულებებს, ლენინი ამბობდა:

„მე შესის. რომ მუშათა და ჯარისკაცთა განუეითარებელ მასას შეუძლია გულუბრყვილოდ და შეუგნებლად სწამდეს კონტროლი. მაგრამ საკმარისია დაეუფიქრდეთ კონტროლის ძირითად მომენტებს, რათა გავიგოთ, რომ ეს რწმენა გადახვევაა კლასობრივი ბრძოლის ძირითადი პრინციპებიდან“¹.

„უძალაუფლებოდ კონტროლის გაწევა არ შეიძლება, — უპასუხებდა ლენინი კამენევის ბოლშევიკთა პეტროგრადის კონფერენციაზე, რომელიც შესდგა ოაქდენიმე დღით ადრე ბოლშევიკთა სრულიად-რუსეთის კონფერენციამდე, — კონტროლის გაწევა რეზოლუციებითა და სხვა ასეთი რამეებით — ეს მტკნარი სისულელეა“².

ლენინსა და მემარჯვენეთა ჯგუფს შორის უთანხმოებათა დედაარსი განსაკუთრებით გარკვევით გამოხატა რიკოვმა თავის გამოსვლაში კონფერენციაზე.

„საიდან ამოვა სოციალისტური გადატრიალების მზე? — ამბობდა იგი. — მე ვფიქრობ, რომ ყველა პირობების მიხედვით, ობიექტული დონის მი-

ხედვით სოციალისტური გადატრიალების ინიციატივა ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენ არ მოგვეპოვება ძალები, ობიექტური პირობები ამისათვის. დასავ-საეულეთში კი ეს საკითხი დაახლოვებით ისევე ისმის, როგორც ჩვენში ცა-რიზმის დამხობის საკითხი“¹.

რიკოვი კამენევის მსგავსად რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის იქით არ მიდიოდა. სწორედ ამ მენშევიკური გეზის წინააღმდეგ მკაცრად ილაშქრებ-და ლენინი:

„რიკოვი ამბობს, რომ სოციალიზმი უნდა მოვიდეს სხვა ქვეყნები-დან, სადაც მრეწველობა უფრო განვითარებულია. მაგრამ ეს ასე არ არის. არ შეიძლება ითქვას, ვინ დაიწყებს და ვინ გაათავებს. ეს მარქსიზმი კი არ არის, არამედ მარქსიზმის პაროდია“².

კონფერენცია ლენინს გაჰყვა; მხოლოდ 7—8 კაცმა თავი შეიკავა ლენინის წინადადებებისათვის კენჭისყრისას. ამაში ერთხელ კიდევ იჩინა თავი პარტიის იდეურმა შემქმნელებამ.

დღის წესრიგის ძირითად საკითხზე — მიმდინარე მომენტის შესახებ — აპ-რილის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლის ცენტრალურ პუნქტში ნათქვამია:

„რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც მოქმედებს ევროპის ერთერთ-ვეელაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში, წვრილგლეხური მოსახლეობის მასაში, არ შეუძლია მიზნად დაისახოს სოციალისტური გარდაქმნის დაუყოვნებლივ განხორციელება.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, ხოლო პრაქტიკაზე ბურჟუაზიის მხარეზე სრული გადასვლა, რომ აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აუცილებელია ბურჟუაზიისათვის მხარდაჭერა მუშათა კლასის მხრივ, ან რომ აუცილებელია შევზღუდოთ ჩვენი მოქმედება წვრილი ბურჟუაზიისა-თვის მისაღები ჩარჩოებით, ანდა ხელი ავიღოთ პროლეტარიატის ხელმძღვა-ნელ როლზე სოციალიზმისაკენ მთელი რიგი პრაქტიკულად მომწიფებული ნაბიჯების გარდუელოების ხაზ-ხისათვის განმარტების საქმეში.

ასეთ ნაბიჯებს წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, მიწის ნაციონალიზა-ცია. ასეთი ზომა, რომელიც უშუალოდ არ გამოდის ბურჟუაზიული წყობი-ლების ჩარჩოებიდან, ამავე დროს ძლიერი ლახვარი იქნებოდა საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებისათვის და ამდენად გააძლიერებდა სოცია-ლისტური პროლეტარიატის გავლენას სოფლის ნახევრადპროლეტარებზე.

ასეთ ზომებს წარმოადგენს, შემდეგ, სახელმწიფო კონტროლის დაწე-სება ეველა ბანკზე, მათი გაერთიანებით ერთ ცენტრალურ ბანკად, ავ-რეთვე სადაზღვევო დაწესებულებებსა და კაპიტალისტთა უმსხვილეს სინ-დიკატებზე (მაგალითად, შაქრის მექარხნეთა სინდიკატზე, პროდუქტოლზე, პროდამეტზე და სხვ.), თანდათანობით გადასვლით შემოსავლისა და ქონე-ბის უფრო სამართლიან, პროგრესიულ დაბეგრავზე. ასეთი ზომები ეკონო-მიურად საეხებით მომწიფდა, ტექნიკურად მათი დაუყოვნებლივ განხორ-

ციელება უთუოდ შესაძლებელია, პოლიტიკურად მათ შეიძლება მხარი დაუჭიროს გლეხობის უდიდესმა უმრავლესობამ, რომელიც ამ გარდაქმნებით ყოველნაირად მოიგებს“¹.

როდესაც კონფერენციას რეზოლუციის ამ ნაწილს მოახსენებდა, ლენინმა დასძინა:

„რევოლუცია ბურჟუაზიულია და ამიტომ სოციალიზმზე არ უნდა ვილაპარაკოთ“ — ამბობენ მოწინააღმდეგენი. ჩვენ კი პირიქით ვიტყვით: „ვინაიდან ბურჟუაზიას არ შეუძლია შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა, რევოლუცია უფრო შორს მიდის“. ჩვენ დემოკრატიულ ფრაზებს კი არ უნდა დაუჯერდეთ, არამედ მდგომარეობას უნდა განვუმარტავდეთ მასებს და მიუვითებდეთ მათ მთელ რიგ პრაქტიკულ ზომებზე: აიღონ თავიანთ ხელში სინდრკატები — კონტროლი გაუწიონ მათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით და სხვ. და აი ყველა ეს ზომა, განხორციელების შემდგომ, მოგვცემს იმას, რომ რუსეთი ერთი ფეხით სოციალიზმში შევა“².

ომის საკითხზე კონფერენციამ განსაკუთრებული რეზოლუცია მიიღო. ამ რეზოლუციაში ლენინმა დაახასიათა ომი მისი კლასობრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, განმარტა, თუ რა არის მასების რევოლუციური ობორონცობა, და უმთავრესად იმაზე შეჩერდა, თუ როგორ უნდა დაგვემთავრებინა ომი. ამ უკანასკნელზე ბოლშევიკთა აპრილის კონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამია:

„რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ დავამთავროთ რაც შეიძლება ჩქარა — და ამასთან არა ძალდატანებით, არამედ ქეშმარიტად დემოკრატიული ზავით — კაპიტალისტთა ეს ომი, კონფერენცია აღიარებს და ადგენს:

არ შეიძლება ამ ომის დამთავრება მხოლოდ ერთი მხარის ჯარისკაცთა უარით ომის განგრძობაზე, ერთერთი მეომარი მხარის მიერ საომარი მოქმედების უბრალო შეწყვეტით.

კონფერენცია კიდევ და კიდევ აცხადებს პროტესტს იმ მდაბალი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც კაპიტალისტები ჩენი პარტიის წინააღმდეგ ავრცელებენ, სახელდობრ: თითქოს ჩვენ თანაუფრძნობდეთ სეპარატიულ (ცალკე) ზავს გერმანიასთან. ჩვენ გერმანელი კაპიტალისტები ისეთსავე ყაჩაღებად მიგვაჩნია, როგორც რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვ. კაპიტალისტები, ხოლო იმპერატორი ვილჰელმი — ისეთსავე გვირგვინოსან ყაჩაღად, როგორც ნიკოლოზ II და ინგლისის, იტალიის, რუმინეთის მონარქები და ყველა სხვანი.

ჩენი პარტია მოთმინებით, მაგრამ დაყინებით განუმარტავს ხალხებს იმ ქეშმარიტებას, რომ ომებს მთავრობები აწარმოებენ, რომ ომები მუდამ განუწყურლად დაკავშირებული არიან განსახლებული კლასების პოლიტიკასთან, რომ ამ ომის დამთავრება დემოკრატიული ზავით შეიძლება მხოლოდ

ლოდ იმით, თუ რამდენიმე მეომარ ქვეყანაში მაინც მთელი სახელმწიფო ძალაუფლება გადავა პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა კლასის ხელში, კლასისა, რომელსაც ნამდვილად შესწევს უნარი ბოლო მოუღოს კაპიტალის მხრით ჩაგვრას“¹.

ომის წესახებ ამ რეზოლუციის თვალსაზრისით საჭიროა აღინიშნოს, თუ როგორ შეაფასეს ბოლშევიკებმა წინადადება საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ. პეტროგრადში ჩამოვიდა დანიელი „სოციალისტი“ ბორგბიერგი. იგი ეკუთვნოდა დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტულ უმრავლესობას, რომელიც თავისი ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა. სკანდინავიის სამი პარტიის — დანიის, ნორვეგიისა და შვეციის პარტიების სახელით, რომელნიც აგრეთვე ბურჟუაზიული სამშობლოს თავდაცვას უჭერდნენ მხარს, — ბორგბიერგმა წინადადება მისცა პეტროგრადის საბჭოს მოეწვიათ სოციალისტთა საზავო კონფერენცია. ბორგბიერგმა აღიარა, რომ იგი მოქმედებდა შეიდე-მანის ტიპის გერმანელი ობორონცების და სხვათა სახელით, რომელნიც მზად იყვნენ ეწარმოებინათ მოლაპარაკება ზავის შესახებ გერმანიის მიერ თავის და-ნაპყრობებზე ხელის აღების საფუძველზე. ცხადი იყო, რომ გერმანიის იმპე-რიალიზმი, რომელსაც შიმშილი, ნგრევა და ზურგში მზარდი რევოლუცია აი-ძულებდა, ნეიტრალური „ობორონცის“ მეშვეობით — დანია ომში მონაწი-ლეობას არ იღებდა — ცდილობდა მშვიდობიანად შესთანხმებოდა თავის მო-წინააღმდეგეებს ნადავლის გაყოფაზე. გერმანია ხელს იღებდა თანამედროვე ომში თავის დანაპყრობებზე, მაგრამ იგი არაფერს არ ამბობდა თავის წინან-დელ დაპყრობილ ქვეყნებზე. ინგლისელმა და ფრანგმა ობორონცებმა უარი სთქვეს საზავო კონფერენციაზე წასვლაზე და ამით ცხადპყვეს, რომ მათ ბატონებს — ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს — არც კი უნდოდათ მოეს-მინათ ზავზე ლაპარაკი, მხარს უჭერდნენ ომის განგრძობას გამარჯვებამდე. ბოლშევიკთა კონფერენციამ გამოააშკარავა ამ სამშვიდობო კომედიის იმპე-რიალისტური ხასიათი.

„სოციალისტებს არ შეუძლიათ, თუ პროლეტარულ საქმეს არ უღალა-ტეს, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ მონაწილეობის მიღება სხვადა-სხვა ქვეყნების კაპიტალისტთა ამ ვაქრულ ვარიებებში მათ მიერ ნაძარცვი ნადავლის გაყოფაზე“², ნათქვამი იყო რეზოლუციაში.

ამასთან ერთად კონფერენცია განსაკუთრებით შეჩერდა ინგლისელ და ფრანგ ობორონცების როლზე:

„შემდეგ კონფერენცია აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ინგლისელმა და ფრანგმა სოციალისტებმა, რომლებიც თავიანთი კაპიტალისტური მთავრო-ბების მხარეზე გადავიდნენ, უარი სთქვეს წასულიყვნენ კონფერენციაზე, რომელსაც ბორგბიერგი აწყობდა. ეს ფაქტი ცხადპყფს, რომ ინგლის-საფ-რანგეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომლის აგენტებიც არიან ეს ვი-თომდა სოციალისტები, ს უ რ ს კ ვ ლ ა ვ ა ც გ ა ნ ა გ რ ძ ო ს, ს უ რ ს გ ა ა-ქ ი ა ნ უ რ ო ს ე ს იმპერიალისტური ომი, არც კი უნდა განიხილოს იმ დათ-

მობათა საკითხები, რომლებიც იძულებულია აღუთქვას გერმანიის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ ბორგბიერგის მეშვეობით, მზარდი დასუსტებისა, შიმშილისა, ნგრევისა და, რაც მთავარია, გერმანიაში მუშათა რევოლუციის მოახლოების გავლენით“¹.

კონფერენციამ დაადგინა უაღრესად ფართოდ გამოექვეყნებინა ეს ფაქტები და განაცხადა, რომ ბოლშევიკები წავლენ თათბირზე და ძმურ კავშირს დაამყარებენ სხვა ქვეყნების მხოლოდ ისეთ მუშურ პარტიებთან, რომელნიც თავიანთ ქვეყანაშიაც იბრძვიან ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლისათვის.

ახალი კლასის ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის ბრძოლაში უაღრესად დიდ როლს თამაშობდნენ ჩაგრული ეროვნებანი. რევოლუციის შედეგი დამოკიდებული იყო იმაზე, შესძლებდა თუ არა პროლეტარიატი გაეყოლიებინა ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასები. ბურჟუაზიული მთავრობა განაგრძობდა ეროვნებათა ჩახშობისა და ჩაგვრის ძველ მეფურ პოლიტიკას. ნაციონალურ მოძრაობას წინანდებურად ახშობდნენ. ფინეთის სეიმის მსგავს ორგანიზაციებს ერეკებოდნენ. ლოზუნგი „ერთიანი განუყოფელი რუსეთი“ ხელმძღვანელ ლოზუნგად დარჩა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიებისათვის. მხოლოდ ბოლშევიკებმა გაილაშქრეს ამ ბატონყმური ლოზუნგის წინააღმდეგ და ამჟამად განაცხადეს, ჩაგრული ერების მშრომელთ უფლება აქვთ თვითონ მოაგვარონ თავიანთი ბედით.

სტალინმა, რომელმაც ლენინთან ერთად დაამუშავა ბოლშევიკთა ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლები, კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში გამოააშკარავა მთავრობის პოლიტიკის ყაჩაღური ხასიათი და უღმობელად ამხილა წვრილბურჟუაზიული შემთანხმებელნი, რომელნიც ბურჟუაზიას მისჩანჩალებდნენ კუდში. იმათ, ვისაც სურდა მარადიული გაეხადა ნაციონალური ჩაგვრა, სტალინმა ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური პროგრამა დაუპირდაპირა:

„ჩვენი თვალსაზრისი ნაციონალურ საკითხზე შემდეგი დებულებებით განისაზღვრება: ა) აღიარება იმისა, რომ ხალხებს გამოყოფის უფლება ჰქონდეთ, ბ) მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში დარჩენილი ხალხებისათვის — საოლქო ავტონომია, გ) ნაციონალურ უმცირესობათათვის — განსაკუთრებული კანონები, რომლებიც აძლევენ მათ თავისუფალი განვითარების გარანტიას, დ) მოცემული სახელმწიფოს ყველა ეროვნების პროლეტარათათვის — ერთიანი, განუყოფელი პროლეტარული კოლექტივი, ერთიანი პარტია“².

ნაციონალურ საკითხზე განსაკუთრებული თანამოხსენებით გამოვიდა გ. ლ. პიატაკოვი, რომელსაც კონფერენციის ზოგიერთმა წევრმა დაუქირა მხარი. იგი ამტკიცებდა, მსოფლიო მეურნეობის ეპოქაში, რომელმაც განუყრელი კავშირი დაამყარა ყველა ქვეყანას შორის, ნაციონალური სახელმწიფო ისტორიის მიერ უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენსო:

„დამოუკიდებლობის მოთხოვნა აღებულია სხვა ისტორიული ეპოქიდან, ის რეაქციულია, ვინაიდან სურს უკუღმა შეაბრუნოს ისტორია. გამოვდივართ რა იმპერიალიზმის ახალი ეპოქის ანალიზიდან, ჩვენ ვამბობთ, რომ სხვანაირი ბრძოლა სოციალიზმისათვის, გარდა ბრძოლისა ლოზუნგით „ძირს საზღვრები“, გარდა ბრძოლისა ყოველგვარი საზღვრების მოსპობისათვის, ჩვენ ახლანდელ მომენტში ვერც კი წარმოგვიდგენია“¹.

ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა პიატაკოვის სიტყვა.

„მეთოდი სოციალისტური რევოლუციისა ლოზუნგით „ძირს საზღვრები“ სრული აბნეულობაა, — განაცხადა მან. რას ნიშნავს ეს — „მეთოდი“ სოციალისტური რევოლუციისა ლოზუნგით „ძირს საზღვრები“? ჩვენ სახელმწიფოს აუცილებლობის მომხრენი ვართ, სახელმწიფო კი საზღვრებს ჰგულისხმობს... ქუთაზე შერყეული უნდა იყო, რომ მეფე ნიკოლოზის პოლიტიკა განაგრძო“², ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი.

ლ. ბ. კამენევსა და გ. ლ. პიატაკოვს რევოლუციის ამოცანების გაუგებლობა აერთიანებდა. პირველი, უარპყვოდა რა რევოლუციის სოციალისტურ ხასიათს, მენშევიკური ჭაობისაკენ ეწეოდა პარტიას. მეორე, თუმცა ამ საკითხში აშკარად არ ელაშქრებდა ლენინის დებულებათა წინააღმდეგ, მაგრამ პრაქტიკაში იზოლაციასა და დამარცხებას განუშზადებდა რევოლუციას. პარტია იბრძოდა ორ ფრონტზე — მემარჯვენე ოპორტუნისტულ და „მემარცხენე“ ოპოზიციის წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის მოხსენებებით ამოიწურებოდა კონფერენციის ძირითადი საკითხები. სხვა გამოსვლები მხოლოდ ანვითარებდნენ ლენინისა და სტალინის მთავარ იდეებს.

„მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულების“ საკითხზე კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილებზე რევოლუცია წინ მიდის უშუალოდ მიჰყავს მოძრაობა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლამდე, ხოლო დედა-ქალაქებში და ზოგიერთ დიდ ქალაქში, სადაც თავმოყრილია ბურჟუაზიის ყველაზე დიდი ძალები, სადაც უფრო მკვეთრად აქვს ადგილი ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკას, საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლა განსაკუთრებით დიდ სიძნელებებს წარმოადგენსო.

„ამიტომ პროლეტარული პარტიის ამოცანას, — ნათქვამია რეზოლუციაში, — წარმოადგენს, ერთი მხრით, ყოველმხრივი მხარდაჭერა რევოლუციის აღნიშნული განვითარებისათვის ადგილებზე, ხოლო მეორე მხრით, სისტემატური ბრძოლა საბჭოების შიგნით (პროპაგანდისა და მათი გადარჩევის გზით) პროლეტარული ხაზის გამარჯვებისათვის; მთელი მეცადინეობისა და მთელი ყურადღების წარმართვა მუშათა და ჯარისკაცთა მასაზე, პროლეტარული ხაზის გამოყოფაზე წვრილბურჟუაზიული საგან, ინტერნაციონალისტურისა — ობორონტულისაგან, რევოლუციურისა — ოპორტუნისტულისაგან, მუშათა დარაზმებასა და შეიარაღებაზე, მათი ძალების მომზადებაზე რევოლუციის შემდეგი ეტაპისათვის“³.

განიხილა რა საკითხი „ინტერნაციონალისტთა გაერთიანებისა წვრილბურჟუაზიული ობორონცული ბლოკის წინააღმდეგ“, კონფერენციამ გაილაშქრა ყოველგვარი ბლოკის წინააღმდეგ იმ პარტიებთან, რომლებსაც ობორონცობასთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. კონფერენციამ უარჰყო შეთანხმებანი სხვა ქვეყნების სოციალ-შოვინისტებთან და წამოაყენა III ინტერნაციონალის შექმნის ლოზუნგი.

ბოლშევიკთა აპრილის კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისა და რევოლუციის განვითარებისათვის. აპრილის კონფერენციამ გეზი მისცა ბოლშევიკთა პარტიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის ბრძოლისაკენ. კონფერენციამ შეიმუშავა კონკრეტული რევოლუციური პროგრამა რევოლუციის გადაზრდის ამ ეტაპისათვის. კონფერენციამ ცხადჰყო, თუ რა კლასებს მიჰყავდათ წინ რევოლუცია. მან მიიღო გადაწყვეტილება რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე — ომის, მიწის, შიმშილთან ბრძოლის შესახებ. მან აღნიშნა ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობიდან — მთელ რუსეთში მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვა დეპუტატების საბჭოების ხელში.

„პროლეტარიატი ჩვენს რეზოლუციებში: ჰპოვებს სახელმძღვანელო მასალას ჩვენი რევოლუციის მეორე ეტაპისაკენ მოძრაობისათვის“¹ —

ასე ამბობდა ლენინი საბოლოო სიტყვაში, აპრილის კონფერენციის დახურვისას.

ესერთა და მენშევიკთა მოთაფლულ სიტყვებს, რომლებიც მოუწოდებდნენ მასებს წუნარი მორჩილებისაკენ. დროებითი მთავრობისაგან სიკეთეთა გულდამშვიდებით მოლოდინისაკენ, ბოლშევიკებმა დაუპირისპირეს გაბედული მოწოდება ბრძოლისაკენ, რევოლუციის შემდგომ გაშლისაკენ.

პარტიამ, რომელმაც განელო გმირული გზა, რამაც ცარიზმზე გამარჯვებამდე მიგვიყვანა, თავის სრულიად-რუსეთის კონფერენციაზე შეიმუშავა გენერალური ხაზი ბურჟუაზიაზე და მის წვრილბურჟუაზიულ მოკავშირეებზე გამარჯვებისათვის და ის ერთსულოვნება, რომლითაც მიიღო კონფერენციამ გადაწყვეტილებანი ლენინისა და სტალინის მოხსენებებზე, ახალ ეტაპზე წარმატების საწინდარს წარმოადგენდა.



თ ა ვ ი . მ ა ხ უ თ ა .

ბოლშევიკური პარტია მასპინძლის ბრძოლაში.

1.

აპრილის დემონსტრაცია.

ვერც კი მოასწრო ბოლშევიკების კონფერენციამ თავისი მუშაობის დამთავრება, რომ პეტროგრადში თავი იჩინა კლასობრივმა წინააღმდეგობებმა. ვერც ბურჟუაზიის დათმობებმა და ვერც შემთანხმებელთა მანევრებმა ვერ უშველეს საქმეს. 20 და 21 აპრილს დედაქალაქის ქუჩებში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ.

აქამდე დროებითი მთავრობა ჰფარავდა თავის ნამდვილ ზრახვებს. ომზე იგი განზრახ ბუნდოვანი ფრაზებით ლაპარაკობდა, უნერგავდა რა მასებს ხოცვა-ყლეტის შეწყვეტის იმედს. მთავრობა ელოდებოდა, ვიდრე ესერ-მენშევიკები შეასრულებდნენ თავის ამოცანას — მასების მომზადებას ომის განგრძობისათვის. მაგრამ ბურჟუაზიას ეშინოდა, რომ ომის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდა გააცამტვერებდა ესერ-მენშევიკთა აგიტატორების ყველა მეცადინეობას. ამასთანავე მთავრობის 28 მარტის დეკლარაციამ, რომელიც თუმცა ყრულ, მაგრამ მაინც უპერდა მხარს „მტკიცე ზავის დამყარებას ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე“, მოკავშირე იმპერიალისტებზე არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. მათ მოითხოვეს პირდაპირი პასუხი — იომებს თუ არა რუსეთი.

თერამეტ აპრილს მილიუკოვმა განმარტა, რომ 28 მარტის დეკლარაცია

ვამოხატავს „სრულიადსახალხო მისწრაფებას მიიყვანოს მსოფლიო ომი გადამწყვეტ გამარჯვებამდე“¹.

სწორედ ამ დღეს — ახალი სტილით 1 მაისი იყო — მუშებმა და ჯარისკაცებმა მოაწყეს ქუჩებში დემონსტრაცია საბჭოთა დეკლარაციის ლოზუნგით „ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ“.

მილიუკოვის ნოტის აშკარად იმპერიალისტურმა ხასიათმა უწინარეს ყოვლისა გამოიწვია პეტროგრადის სამხედრო ნაწილების ცხარე პროტესტი. 20 აპრილს დილიდან გამოვიდა ფინეთის პოლკი დროშით „ძირს მტაცებლური პოლიტიკა“. ცოტა უფრო გვიან გამოვიდა მე-180 პოლკი. გამოვიდა ფლოტის ეკიპაჟის ნაწილი. ოფიცრები მათთან არ ყოფილან. საბრძოლველად განწყობილმა 15 ათასზე მეტმა დემონსტრანტმა თავი მოიყარა მარიამის სასახლის წინ, სადაც სსდომა ჰქონდა დროებითი მთავრობას. ჯარისკაცებთან გამოუშვეს ესერ-მენშევიკთა ლიდერები გოცი და სკობელევი, მაგრამ მათმა გამოსვლებმა ვერაინ ვერ დაამშვიდეს. ჯარისკაცებმა მიიღეს შემდეგი დადგენილება:

„გავეცანით რა მილიუკოვის ნოტას ომის მიზნების შესახებ, აღშფოთებდას გამოვთქმავთ ესოდენ უტიფარი გამოსვლის გამო, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი და თვით დროებითი მთავრობის დეკლარაციას, ჩვენ მოვითხოვთ მილიუკოვის დაუყოვნებლივ გადადგომას“².

მასების ყურადღების ჩამოსაშორებლად, ესერ-მენშევიკებმა მოიწვიეს საბჭოს სასწრაფო კრება. მარიამის სასახლის წინ შეკრებილ ჯარისკაცთა და მატროსთა წარმომადგენელმა სსდომაზე განაცხადა, რომ კრიზისი შეიძლება გადასჭრას ან „ჩვენმა მთავრობამ“, ან „სამოქალაქო ომით“.

მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლებმა გამოიწვიეს ბურჟუაზიის კონტრ-გამოსვლები. დროებითი მთავრობის მომხრეებმა ქუჩაში გამოიყვანეს პოლკები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გარკვეულნი დროებითი მთავრობის ნამდვილ პოლიტიკაში. სახლთმფლობელებმა, მედუქნეებმა, მეშჩანებმა, მოსამსახურე ინტელიგენციამ, კადეტებისა და ესერ-მენშევიკების ხელმძღვანელობით. მოაწყეს მანიფესტაცია ლოზუნგით „ნდობა დროებით მთავრობას“.

პატრიოტული მანიფესტაციის ხმაურში მთავრობა უფრო გადამწყვეტ წომებასაც ღებულობდა. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ახალმა მთავარსარდალმა გენერალმა კორნილოვმა — სწორედ იმან, რომელიც შემდეგში კონტრრევოლუციის დრომად გახდა, — უბრძანა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელს გაეზავნა ორი ბატარია სასახლის მოედანზე. სასწავლებლის ჯარისკაცებმა და ოფიცერთა ნაწილმა გადასწყვიტეს შეემოწმებინათ. იცის თუ არა საბჭომ კორნილოვის განკარგულება. გამოირკვა, რომ საბჭოს არავითარი მითითება არ მიუცია. ძალზე გულმოდგინე გენერალი ორი საათის შემდეგ იძულებული იყო „გაუქმებინა“ თავისი ბრძანება ზარბაზნებიც გაეზავნის შესახებ. მაგრამ თვით ბრძანების ფაქტი მოწმობდა მთავრობის განზრახვას დაეხვრიტა დემონსტრაცია. ეს შემდგომმა ამბებმაც დაადასტურეს: აქა-იქ გაისმა სროლა, მიმართული მუშების წინააღმდეგ.

ბურჟუაზიის გამოსვლებმა, თავის მხრივ, გამოიწვიეს პროლეტარიატის დემონსტრაციები. მეორე დღეს ქუჩებში იწყეს გამოსვლა მთელი ქარხნობით მუშათა მასებმა. გააძაბრა რაიონები მუშებითა და ჯარისკაცებით აიგსო, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ცენტრში, ნევის პროსპექტზე, მიდიოდნენ მთავრობის დამცველთა მცირერიცხოვანი ჯგუფები.

დემონსტრანტი-მუშათა მასაში მოხანდა აგრეთვე პლაკატები ლოზუნგით „ძირს დროებითი მთავრობა“. ეს ლოზუნგი წამოაყენა ბოლშევიკთა პეტერბურგის კომიტეტის ნაწილმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზის წინააღმდეგ. ლენინმა სასტიკად დაგმო ეს მოუფიქრებელი ლოზუნგი.

„ჩვენ გვსურდა მოგვეხდინა მტრის ძალების მხოლოდ მშვიდობიანი დაზვერვა, და არა გაგვემართა ბრძოლა, — ამბობდა იგი აპრილის პარტიულ კონფერენციაზე. — მოქმედების მომენტში „ოდნაე უფრო მარცხნივ“ წასვლა უადგილო იყო. ჩვენ ამას ვაფასებთ როგორც უდიდეს დანაშაულს, როგორც დეზორგანიზაციას“².

ლ. ტროცკიმ სრულიად დაამახინჯა ლენინი. ტროცკი „ოქტომბრის გაკვეთილებში“ სწერდა:

„აპრილის ნანიფესტაცია, რომელიც „უფრო მარცხნივ“ წავიდა, ვიდრე საჭირო იყო, წარმოადგენდა დასაზვერავ გამოსვლას მასების განწყობილებისა და მათსა და საბჭოთა უმრავლესობას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესამოწმებლად. ლენინმა, მოახდინა რა დაზვერვა, მოხსნა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის ლოზუნგი, მაგრამ მოხსნა იგი ერთი კვირით ან რამდენიმე თვით იმისდა მიხედვით, თუ რა სისწრაფით გაიზრდება მასების აღშფოთება შემთანხმებელთა წინააღმდეგ“³.

ლ. ტროცკის ეს ყალბი მტკიცება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ლენინის მთელ ტაქტიკას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ლენინს არ მოუხსნია აპრილში „დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის“ ლოზუნგი მხოლოდ იმიტომ, რომ ლენინს აპრილში არც დაუსვამს ეს ლოზუნგი დღის წესრიგში. კიდევ მერც, ლენინი აპრილის დღეებში იბრძოდა მის წინააღმდეგ, დაგმო იგი პარტიის კონფერენციაზე. ბოლშევიკების ტაქტიკის მთელი უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მათი ლოზუნგები გამომხატავდნენ მასების გულსინაღებს, აყალიბებდნენ მათს პოლიტიკურ მოთხოვნებს და რაზმავდნენ ამ მასებს ბოლშევიკური დროშის ქვეშ. მტრის ძალების დაზვერვა, რაზედაც ლენინი ლაპარაკობდა, კლასობრივ ბრძოლაში მოასწავებს სრულიად არა იმას, რასაც ჩვეულებრივ ომში.

„პოლიტიკური არმია სამხედრო არმია როდია, — როგორც შესანიშნავად მოსწრებულად ახასიათებს ამ დებულებას სტალინი. — თუ სამხედრო სარდლობა იწყებს ომს უკვე მომზადებული არმიით, პარტიას კი უხდება თავისი არმიის შექმნა თვით ბრძოლის მსვლელობაში, კლასების შეტაკებათა მსვლე-

ლობაში, იმისდა მიხედვით, რაც თვითონ მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან პარტიის ლოზუნგების სისწორეში, მისი პოლიტიკის სისწორეში. რა თქმა უნდა, ყოველი ასეთი დემონსტრაცია ამასთან ერთად რამდენადმე ააშკარავებდა თვალისათვის უხილავ ძალთა თანაფარდობას, წარმოადგენდა ერთგვარ დაზვერვას, მაგრამ აქ დაზვერვა დემონსტრაციის მოტივი კი არაა, მისი ბუნებრივი შედეგი იყო“¹.

აპრილის დემონსტრაციამ პეტროგრადში ხელი შეუწყო მასების კლასობრივი თვითშეგნების გამოფხიზლებას ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებშიც. მოსკოვის პროლეტარიატი პეტროგრადის ამბებს გამოეხმაურა სოლიდარობის დემონსტრაციით.

მოსკოვის ქალაქის უფროსის სამმართველოს ერთერთი მუშაკი ასე ასწერს აპრილის დღეებს მოსკოვში:

„ხალხის მასებით გაქედილი იყო მოედანი საბჭოს წინ, ორატორები სკობელევის ძეგლზე იყენენ ჩამოკიდებულნი. წითელი დროშები მასაში დელავდა და ირხეოდა, და ათობით პლაკატები მოწოდებით „ძირს მილიუკოვი“ ჰაერში ფრიალებდა. მასა აღელვებული, აღზნებული იყო... მენშევიკებისა და ესერების ორატორები ერთიმეორეს სცვლიდნენ საბჭოების სახლის აივანზე და დამამშვიდებელ სიტყვებს ამბობდნენ... დაბლა მოედანზე მყოფი მასა მეტად არამეგობრულად ხვდებოდა ორატორებს: დამამშვიდებელ სიტყვებს ყვირილით, ირონიული შეძახილებითა და მილიუკოვის გადადგომის მოთხოვნებით აწყვეტინებდნენ. წითელი პლაკატები მოთხოვნით „ძირს მილიუკოვი“ ხალხიდან ზევით აიენისაკენ იყო აღმართული, რათა ორატორებს აიენიდან უკეთ გაერჩიათ ისინი... შეშფოთება იზრდებოდა კიდევ იმიტომ, რომ დემონსტრანტებს მიემხრო მე-55 პოლკი, რომელიც თითქმის სრული შემადგენლობით გამოცხადდა იმავე ლოზუნგებით: „ძირს კაპიტალისტი-მინისტრები“. „ძირს მილიუკოვი“².

დემონსტრანტ-ჯარისკაცებს შეუერთდა მრავალი მუშა ზამოსკოვრეიდან; განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მიხელსონის ქარხნის მუშები, რომლებიც აქტიურად დაუახლოვდნენ მე-55 პოლკს.

აპრილის დემონსტრაციამ და მისმა გამოძახილმა ქვეყანაში ერთბაშად ცხადპყო პოლიტიკური კრიზისის მთელი სიღრმე.

მღელვარება დაიწყო უწინარეს ყოვლისა ჯარისკაცთა მასებში, რომელთაც კეთილსინდისიერად სწამდათ დროებითი მთავრობის მშვიდობისმოყვარელობა. მერყევი მასა მარცხნივ, მუშებისაკენ გადაიხარა. ამ მასის მერყეობამ, რომელსაც ლენინის განსაზღვრით „შეუძლია თავისი ძალით ყველაფერი გადაკრას“, ამოძრავა უკიდურესი ელემენტები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ბურჟუაზია გამოვიდა დროებითი მთავრობის დასაცავად. პროლეტარიატი — ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგების დასაცავად. საკითხი მდგომარეობდა იმაში, რომელი კლასი — პროლეტარიატი თუ ბურჟუაზია — გაიყოლიებდა წვრილი ბურჟუაზიის მერყევ მასას.




აპრილის დღეები პეტროგრადში. მუშათა დემონსტრაცია.

ნახ. ნ. პავლოვისა.

საბჭოს წვრილბურჟუაზიული ბელადებიც. ესერები და მენშევიკები, თითქოს რევოლუციისაკენ გადაიხარნენ, მაგრამ ბურჟუაზიამ დააშინა ისინი სამოქალაქო ომის აჩრდილით, და მუშათა დემონსტრაციების შემდეგ ესერ-მენშევიკები კვლავ ბურჟუაზიას გაჰყვნენ. აპრილის კრიზისამდე პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში დროებითი მთავრობის წინააღმდეგ დეპუტატთა თითქმის ნახევარი ილაშქრებდა, ხოლო დემონსტრაციის შემდეგ 34 დელეგატმა 19-ის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა მას და მხარი დაუჭირა შემთანხმებლობას კაპიტალისტებთან.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციამ, რომელიც ლენინმა დასწერა, ასე შეაფასა ეს კლასობრივი ძვრანი:

„წვრილბურჟუაზიულმა მასამ ჯერ პირი იბრუნა კაპიტალისტებისაგან მუშებისაკენ, იყო რა აღშფოთებული კაპიტალისტებით, ერთი დღის შემდეგ კი ოგი კვლავ გაჰყვა მენშევიკებისა და ნაროდნიკების ბელადებს, რომლებიც ატარებენ „ნდობას“ კაპიტალისტებისადმი და „შემთანხმებლობას“ მათთან. დასახელებული ბელადები კომპრომისზე წავიდნენ,



პარილის დღეები პეტროგრადში. რევოლუციური მატროსების დემონსტრაცია.

სავსებით დათმეს რა თავისი პოზიციები, და დაკმაყოფილდნენ კაპიტალისტების სრულიად ცარიელი, წმინდა სიტყვიერი შენიშვნებით“¹.

პარილის აფეთქებამ უჩვენა ბურჟუაზიას, რომ მარტო კერენსკი — „დემოკრატიის მძევალი“, როგორც მას უწოდებდნენ. — ვერ უზრუნველყოფს მასების მხარდაჭერას. საჭირო იყო გაფართოება კიდევ მარცხნივ. დროებითმა მთავრობამ გადსაწყვიტა გაეწირა გუჩკოვი და მილიუკოვი. 26 აპრილს მთავრობამ განსაკუთრებულ დეკლარაციაში განაცხადა, რომ ახალ საზოგადოებრივ ძალებს ჩააბამს მმართველობაში. 27 აპრილს თავადმა ლეოვმა წერილით მიმართა ჩხეიძეს და წინადადება მისცა მას შეეყვანა საბჭოს წარმომადგენლები მთავრობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბურჟუაზია დასტოვებდა ძალაუფლებას. ბურჟუაზიას, რომელმაც ერთძალაუფლებიანობას ვერ მიაღწია, იმედი ჰქონდა, რომ საბჭოს წარმომადგენლებთან კოალიციით მოუღებდა ბოლოს ორძალაუფლებიანობას. მილიუკოვი ასეც აფასებდა კოალიციას:


„იგი ყოველ შემთხვევაში შესაძლებლობას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მივალწევთ ახლანდელი მომენტის ორ უმთავრეს მიზანს, სახელდობრ: ძალაუფლების გაძლიერებას და არმიამში განწყობილების გარდატეხას“².

მაგრამ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შებოჟილი იყო თავისი ძველი 28 თებერვლის რეზოლუციით — არ შესულიყო მთავრობაში. ბურჟუაზიის ულტიმატუმი ჰქმნიდა მდგომარეობას, რომლის დროსაც ძალაუფლება ხელში უვარდებოდა საბჭოს. სწორედ ამის ყველაზე უფრო ეშინოდათ შემთანხმებლებს. ამ დროს მიმდინარეობდა მენშევიკების სრულიად-რუსეთის კონფერენცია. იგი ამგვარად ხსნიდა მთავრობაში შესვლის აუცილებლობას:

„იგი (დროებითი მთავრობა. რე დ.), რომელსაც არ შეუძლია არც საკმაოდ ენერგიული რევოლუციური ნაბიჯების გადადგმა საშინაო მშენებლობის დარგში, არც განსაკუთრებით მშვიდობიანობის პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარება საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, თავის მიმართ იწვევდა ფართო დემოკრატიული მასების უნდობლობას. ამიტომ მას არ გააჩნდა აუცილებელი სრული ძალაუფლება, და მისი საგრძნობი წილი სულ უფროდაუფრო საბჭოების ხელში გადადიოდა“¹.

მენშევიკებმა პირდაპირ აღიარეს, რომ ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელიდან პირდაპირ საბჭოებს უვარდებოდათ ხელში. საბჭოების ხელში ძალაუფლების ამ გადასვლის შეკავება შეუძლებოდა მხოლოდ მთავრობის შემადგენლობაში შესვლით და მით მისი მხარდაჭერით. 1 მაისს აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი სთქვა თავის ძველ რეზოლუციაზე და დაადგინა გაეგზავნა მთავრობაში კიდევ ოთხი „სოციალისტი“-მინისტრი. 5 მაისს საღამოს, გაუკეთა რა საბჭოს მოხსენება ახალი მთავრობის შესახებ, მენშევიკმა სკობელევმა სთქვა:

„თუ თქვენ საჭიროდ დაინახავთ ამ დეკლარაციის საფუძველზე შეგვიყვანოთ ჩვენ მთავრობის შემადგენლობაში. მაშინ თქვენ შემდეგში სრული ნდობა უნდა გამოუცხადოთ მთავრობას და უზრუნველყოთ მისთვის სრული ძალაუფლება“².



პარილის დღეები პეტროგრადში. პეტროგრადის გარნიზონის რევოლუციური ნაწილების დემონსტრაცია.

ამავე სხდომაზე ესერების ერთერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი ა. რ. გოცი ამბობდა, რომ ესერები თავის წარმომადგენლებს გზავნიან მთავრობაში, რათა იქ გაახორციელონ ლოზუნგი „მიწა და თავისუფლება“.


„არა ბურჟუაზიის ტყვეობაში მიდიან ისინი, არამედ რევოლუციის წინწაწეული სანგრების ახალი პოზიციის დასაკაეებლად“¹,

დაამთავრა გოცმა თავისი სიტყვა. წერეთელი საბჭოს სხდომაზე ამბობდა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან იყო მხოლოდ ორი გამოსავალი: ან შევსულიყავით მთავრობის შემადგენლობაში, ან ჩვენს ხელში აგველო ძალაუფლებაო. მეორე გამოსავალი გამოირიცხული იყო, ვინაიდან წერეთლის აზრით

„ბურჟუაზია არ არის იზოლირებული: მის ზურგს უკან დგანან არმიის ნაწილი და გლეხობა, და ისინი პირს იბრუნებდნენ რევოლუციური მოძრაობისგან“². საბჭომ დაამტკიცა აღმასრულებელი

კომიტეტის დადგენილება. მეორე დღეს, 6 მაისს, გამოქვეყნდა კოალიციური მთავრობის ასეთი სია: თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — თავადი გ. ე. ლვოვი, სახელგანთავის მინისტრი — ა. ფ. კერენსკი (ესერი), იუსტიციის მინისტრი — პ. ნ. პერევერზევი (ახლოს იდგა ესერებთან), საგარეო საქმეთა — მ. ი. ტერეშჩენკო, გზათა მინისტრი — ნ. ვ. ნეკრასოვი (კადეტი), ვაჭრობისა და მრეწველობის — ა. ი. კონოვალოვი (პროგრესისტი), სახალხო განათლების — ა. ა. მანუილოვი (კადეტი), ფინანსთა — ა. ი. შინგარიოვი (კადეტი), მიწათმოქმედების — ვ. მ. ჩერნოვი (ესერი), ფოსტა-ტელეგრაფის — ი. გ. წერეთელი (მენშევიკი), შრომის — მ. ი. სკობელევი (მენშევიკი), სასურსათო საქმეთა — ა. ვ. პეშეხოვოვი („სახალხო სოციალისტი“), სახელმწიფო მზრუნველობის — თავადი ვ. ნ. შახოვსკოი (კადეტი). ობერ-პროკურორი — ვ. ნ. ლვოვი (ცენტრი) და სახელმწიფო კონტროლიორი — ი. ვ. გოდნევი (ოქტიანისტი).

კერენსკის დანიშვნა ცხადყოფდა კოალიციის მთელ აზრს. მას ჩააბარეს სამხედრო და საზღვაო სამინისტროები იმ იმედით, რომ კერენსკი არმიაში სარგებლობდა ერთგვარი ნდობით. წინააღმდეგობით საღამოს, 5 მაისს, მე-11 არმიის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა კერენსკის დანიშვნის



მილიუკოვი: „მაინც, რა საშინლად ჩქარა პღინარება ამა სრუტეებში“.

კარიკატურა ჟურნალიდან „ნოვი სატირაკონ“, 1917 წ.

უაღრესი მნიშვნელობა: მის მიმართ ნდობით არიან გამსჭვალული არა მარტო ჯარისკაცები, არამედ ბევრი ოფიცერიც. მილიუკოვის რეკომენდაციით საგარეო საქმეთა მინისტრად დამტკიცებულ იქნა ტერეშჩენკო — მილიონერი, თეატრალი, ხელოვნების მფარველი. „იგი დიპლომატებთან მაინც შესძლებს ლაპარაკს“, ამბობდა მის შესახებ მილიუკოვი, გულისხმობდა რა ახალი მინისტრის მიერ ენების ცოდნას და მის დარბაისლურ მანერებს. შავრამ საქმე იყო არა მანერებში. არამედ პოლიტიკაში.

კადეტი ნაბოკოვი ტერეშჩენკოს შესახებ სწერდა:

„თავის მოღვაწეობაში როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მან მიზნად დაისახა მისდიოს მილიუკოვის პოლიტიკას, შავრამ ისე, რომ მუშათა დეპუტატების საბჭომ მას ხელი არ შეუშალოს. მას უნდოდა ყველა მოეტყუებია“¹.

2.


კოალიციური მთავრობა მუშაობს.

შემთანხმებლებთან კოალიციამ საშუალება მისცა ბურჟუაზიას დაეწესებინა მთავრობაში შრომის თავისებური განაწილება. „სოციალისტი“-მინისტრება ხალხის წინაშე გამოდიოდნენ „დემოკრატიული“ სიტყვებითა და წინადადებებით, ბურჟუაზიის ლიდერები კი შემთანხმებელთა საფარქვეშ აგროვებდნენ ძალებს რევოლუციაზე ახალი შეტევისათვის. აღადგინეს სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა „კერძო თათბირების“ სახით. პირველი ასეთი თათბირი შესდგა 22 აპრილს, რომიანკომ ასე განსაზღვრა თათბირების ამოცანები: სათათბიროს დელეგატებისაგან ელიან „მითითებებს იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას წაყვანილი სახელმწიფოებრივი ხომალდი“², ხოლო დეპუტატმა ნ. ვ. სავიჩმა, ოქტაბრისტიმა, დასძინა:


„ჩვენი საქმეა საზოგადოებრივი აზრის შემუშავებაო“³.

მაისის კოალიციაში მიწათმოქმედების მინისტრად შევიდა ვ. მ. ჩერნოვი. ესერების პარტიის ბელადი, მისი თეორეტიკოსი, იგი აგრარულ საკითხშიც ითვლებოდა სპეციალისტად. მიიღო რა მინისტრის პორტფელი, ჩერნოვი უნდა ცდილიყო გაეხორციელებინა პრაქტიკულად აბნეული ესერული თეორიები. მაგრამ ესერთა ბელადი ამისთვის როდი მიიწვიეს მთავრობაში. თავადი ვოლკონსკი, ტამბოვის გუბერნიის უდიდესი მემამულე, თავის წერილში ჩერნოვისადმი იენისის დამდეგს უხსნიდა მას, თუ რა სურთ მისგან მემამულეებს.

„მხოლოდ ზევიდან მოწერილობით, — სწერდა თავადი მალაფეარდოვანი სტილით, — შეიძლება მიღწეულ იქნას მოქმედების ერთფეროვნება, მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადავასხათ ცივი წყალი გამდიდრების იმ ნაკვერცხალს, კლასობრივი ბრძოლის ზრახვებით რომ არის გაღვივებული, რომელიც იმუქრება თავისი კვამლით დაფაროს საზოგადოებრივი სარგებლობის ყოველგვარი გაგება და თავის ალში შთანთქანს სწორედ იმათი კეთილდღეობა, ვინც მას აღვივებს... საჭიროა უთხრათ მათ (გლებებს. რ ე დ.)



ჯარსკაცთა დემონსტრაცია მოთხოვნით გადაეყანილ იქნას „სოსხლისმსმელი ნიკოლოზ ცარცოხელის სახახლოდან, სადაც ის დაბატონებული ჰყავდა დროებით მთავრობას. პეტრე-პავლეს ციხეში“



დროებითი მთავრობა „მუშაობს“.

კარიკატურა კუკრინიქისა.

მტკიცედ, რომ არის მოქმედება, რომელიც ისეთ დროში, როგორც ჩვენია, არაბუნებრივია. საჭიროა უთხრათ მათ ეს, და ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ პეტერბურგიდან. ყოველ სიტყვას. აქ, ადგილობრივ ნათქვამს, — ექვის თვალთ უყურებენ: იმას არ შეიძლება დაუჯერონ იმიტომ, რომ იგი მემამულეა, იმას კი იმიტომ, რომ ვაჭარია. იგი, ხომ „მოგესხნებათ“, „იურისტი“, ხოლო ყველანი საერთოდ „ბურჟუები“ არიან და „ძველი რეჟიმი“... თქვენ, ბატონო მინისტრო, — ახალი რეჟიმი ხართ... სიტყვით სიტყვა — თქვენ დაგიჯერებენ. დრო ჯერ კიდევ არის, მაგრამ იგი მაინცაღამაინც არ ითმენს“².

ვ. მ. ჩერნოვს მემამულეები ურჩევდნენ გამოეხატა „ახალი რეჟიმი“, ჰქონდათ რა მხედველობაში, რომ ესერების ბელადს დაუჯერებენ და იგი შესძლებს ცივი წყალი გადაასხას „გამდიდრების ნაკვერცხალს“, როგორც ვოლკონსკების ენაზე გლახების მიერ მემამულეთა მიწის ხელში ჩაგდებას ეწოდებოდა. ჩერნოვმაც შესძლებისდაგვარად დაიწყო წყლის გადასხმა სოფლად გაღვივებულ ხანძარზე. ასეთი იყო იმ პრაველრიცხოვანი პროექტების მნიშვნელობა, რომელთაც მინისტრი ამუშავებდა. მისი სახელის ირგვლივ გლახთა ინტერესების დამცველის შარავანდელი შექმნეს. ჩერნოვს უწოდებდნენ „გლახურ მინისტრს“, მაგრამ ამასთან დასძენდნენ, რომ იგი, ალბათ, ვერაფერს გააკეთებს, რადგან მთავრობა მას მხარს არ უჭერსო. ამ ლეგენდას გაძლიერებით ავრცელებდნენ ესერები, ეწინოდნენ რა, რომ მინისტრის საქმიანობა წინააღმდეგ მისი კანონ-


პროექტებისა ძირს გამოუთხრიდა პარტიისადნი ნდობას სოფლად. გლეხის დამცველის შარავნდელი ჩერნოვის სახელის ირგვლივ თვით მემამულეებისთვისაც იყო ხელსაყრელი, ვინაიდან იგი გლეხობას უნერგავდა მიწათმფლობელებთან მშვიდობიანი შეთანხმების იმედს. ცოტა გვიან, როცა კადეტებმა ბრალი დასდეს ჩერნოვს პარტიული პროგრამის გატარებასა და ვითომ „გლეხური სტიქიონის“ წაყრუებაში, მან საჩქაროდ მოიხსნა „გლეხური მინისტრის“ საპატიო სახელწოდება. ჩერნოვი 11 ივლისს სწერდა:

„ჩემი კანონპროექტები მიზნად ისახავენ სწორედ კანონზომიერ კალაპოტში ჩააყენონ ის ადგილობრივი საზოგადოებრივი თვითმოქმედება, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში გარდუვალად გადმოდის ნაპირებიდან და, როგორც წყალდიდობა, ბევრს რასმე ანგრევს“¹.

გლეხური წყალდიდობის შეკავება კალაპოტში და მემამულური მიწათმფლობელობის დანგრევის აცილება — ასეთი იყო ჩერნოვის ამოცანები. მაგრამ ეს ამოცანა რევოლუციის ზრდის პირობებში მეტად ძნელი იყო. „გლეხური მინისტრი“ მუდამ ბორძიკობდა: ხან ერთობ წინ გარბოდა, გლეხური ორგანიზაციების ზეგავლენით, ხან უკან იხევდა, კადეტების გულმოსული შეყვირების გამო. მთავარი საადგილმამულო კომიტეტი არ სცნობდა ჩერნოვის შემოქმედებას. მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი პ. ა. ვისლიაევი იძულებული იყო მთავარი საადგილმამულო კომიტეტის ერთერთ სხდომაზე მიეთითებინა მისი წვერებისათვის, რომ არ შეიძლება მიწათმოქმედების მინისტრის გადაქცევა გრამაფონის რუპორად, საჭიროა მიეცეს მინისტრს თუნდაც ერთგვარი დამოუკიდებლობაო. „გრამაფონი“ იყო, რა თქმა უნდა. არა მთავარი კომიტეტი, რომელიც საქმიან მუშაობას არ ეწეოდა. არამედ მიწის მესაკუთრეთა ორგანიზაცია და სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი. აქედან ღებულობდა ნამდვილ, საქმიან დირექტივებს დროებითი მთავრობა.

მემამულეების ეს წარმმართავი ხელი უხერხულად გამოჩნდა „გლეხური მინისტრის“ უკვე პარველი ნაბიჯების დროს. პირველ რიგში მიწათმოქმედების სამინისტრომ დავიდარაბა ასტეხა გლეხთა ერთერთი უმთავრესი მოთხოვნის — მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის ირგვლივ. რევოლუციის დაწყებიდან მიწის გაშმაგებული სპეკულაცია გაჩაღდა. მემამულეები თავის მამულებს ჰყიდდნენ. უმთავრესად. უცხოელებზე. რომლებიც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მათ ხელს არ ახლებდნენ. მემამულეები აქლუცმაცებდნენ მიწის ნაკვეთებს და გადასცემდნენ ფიქტიურ მესაკუთრეებს. მიწები მიტოვებული იყო, არ მუშავდებოდა. საჭირო გახდა გლეხების დამშვიდება, რომლებიც მოითხოვდნენ ყიდვა-გაყიდვის დაუყოვნებლივ აკრძალვას. ჩერნოვმა დაამზადა პროექტი დეკრეტისა განსაკუთრებულ განკარგულებამდე ადგილმამულზე გარიგებათა აკრძალვის შესახებ. ჩერნოვის ამ პროექტის საფუძველზე, იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა, სახალხო სოციალისტმა, 17 მაისს ნოტარიუსებს გაუგზავნა დეპეშა ადგილმამულზე გარიგებათა დროებით შეწყვეტის შესახებ.

მემამულეებმა მაშინვე აგრძნობინეს მინისტრებს, რომ ეს პატრონის ნებადაურთველადაა გაკეთებული. თავადაზნაურობის გავრთიანებულ საზოგადოე-



ასე ამაგრებდნენ კოალიციას და ასე აწვებოდნენ კოალიციას.

კარიკატურა ა. კანეცისა.

ბათა საბჭომ თავის 24 მაისის ბარათში გაკვირვება გამოსთქვა, რომ იუსტიციის მინისტრის მოუფიქრებელი დეპეშის შემდეგ არაერთი უარყოფა არ ყოფილა პრესაში. მემამულეებმა განუმარტეს მინისტრს, რომ ადგილმამულზე გარიგებათა აკრძალვა არის მემამულეებისათვის საკუთრების მოხმარების უფლების წართმევა, სარგებლობის უფლების შეზღუდვა და, ბოლოს, — ეს არის ბატონყმობისაკენ დაბრუნება, ვინაიდან მემამულეს ამაგრებენ მიწაზე, რომლის გაყიდვაც იქნებ მას სურდეს. დასასრულ გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო მოაგონებდა დროებითი მთავრობას, რომ მან თავის დეკლარაციებში არაერთხელ დაჰპირდა გადაეცა მიწის საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრებისათვის. მემამულეთა პროტესტს თავისი ხმა შეუერთეს სააქციო საზოგადოებათა წარმომადგენლების ყრილობათა კომიტეტმა, საადგილმამულო ბანკებმა, სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა. მაისის დამლევეს იუსტიციის მინისტრმა პერვეერზევემა ტელეგრაფით განმარტა, რომ საადგილმამულო აქციების აკრძალვა არ ვრცელდება დაგირავეების უფლებათა დაწესებასა და გადასვლაზე. ეს უკანდახვევა უკვე აუქმებდა არსებითად ადგილმამულზე გარიგებათა აკრძალვას.

24 იენისს გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მიწათმოქმედების მინისტრმა მთავრობაში შეიტანა ახალი კანონპროექტი მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ. იმ დროს, როცა „გლეხურ მინისტრს“ კანონპროექტი შეჰქონდა, იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა დემიანოვმა საბოლოოდ გააუქმა ადგილმამულზე გარიგებათა ყველა აკრძალვა და განმარტა, რომ ასეთი გარიგება უნდა მოხდეს და დამტკიცდეს მოქმედი კანონების ზუსტ საფუძველზე.

მიწაზე გარიგების აკრძალვით გამოწვეული დავიდარბის უკან კულისებში იდგა სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე როძიანკო, რომელსაც ლენინი უწოდებდა „ყოფილი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ თავმჯდომარეს... სტოლიპინ-მახრჩოლებას ყოფილ რწმუნებულს“¹.

ბურჟუაზიისათვის შირიმის იმავე როლს ასრულებდა მინისტრი სკობელევი. მანამდე მთავრობაში განსაკუთრებული შრომის სამინისტროც კი არ ყოფილა. არსებობდა მხოლოდ განყოფილება ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან. ვის ხელშიც ფაბრიკები და ქარხნები იყო. შრომის საკითხებიც



როგორ იცავდა გლეხებს „გლეხური“ მინისტრი“ ჩერნოვი თავად
ვოლკონსკებისაგან. კარიკატურა კუკრინიჭისა.

მათ ხელში აღმოჩნდა. მაგრამ რაკი მთავრობაში შევიწროვდნენ და რამდენიმე ადგილი ესერ-მენშევიკებს დაუთმეს, საჭირო გახდა „შრომის“ გამოყოფა ბურჟუაზიული მინისტრის გამგებლობიდან: 5 მაისს შეიქმნა ახალი სამინისტრო. ჯერ კიდევ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს შრომის განყოფილება-სთან დაარსებული იყო განსაკუთრებული კომიტეტი მუშათა საკითხზე კანონების წინასწარი მომზადებისათვის. კომიტეტში შედიოდა საბჭოს 8 წარმომადგენელი, 8 მეწარმე, 2 — ერობათა და ქალაქთა კავშირებიდან, 2 — ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტიდან. ასეაი შემადგენლობისას რაიმე სერიოზული გაუკუობებსების გატარებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მუშათა დელეგაცია მუდამ უმცირესობაში რჩებოდა. განსაკუთრებულმა კომიტეტმა დაამუშავა პროექტი კანონისა პროფკავშირების შესახებ. ბურჟუაზიული წარმომადგენლები იბრძოდნენ პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვისათვის. სკობელემა დატოვა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც ახალი „სოციალისტური“ მინისტრის დროსაც განაგრძობდა ძველ პრაქტიკას. კანონი რვა-საათიანი სამუშაო დღის შესახებ სამინისტროს კანცელარიებს არ გასცილებია. ბურჟუაზიამ თავისი გაიტანა: შეთანხმება საბჭოსთან რვა-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ დროებითი დათმობა აღმოჩნდა.



შრომის მინისტრი სკობელევი.
კარიკატურა კუკრინიქსისა.

ჯერ კიდევ 23 აპრილს ძველმა არაკოალიციურმა მთავრობამ გამოსცა დებულება „მუშათა კონიტეტებზე სამრეწველო საწარმოებში“. ამ კომიტეტებს ეკისრებოდათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ფაბრიკებსა და ქარხნებში, მუშებს შორის ურთიერთდაზოკიდებულკების საკითხების გადაჭრა, მუშათა წარმომადგენლობა ადმინისტრაციის წინაშე. კომიტეტების მონაწილეობაზე წარმოებაში არაფერი იყო ნათქვამი; კომიტეტის წევრების მუშაობისაგან განთავისუფლების საკითხების გადაჭრა ენდობოდა მეწარმეთა და მუშათა „ურთიერთშეთანხმებას“; თვით კომიტეტების ორგანიზაცია — მათ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ეწოდებოდათ — არ იყო სავალდებულო. სკობელევის არამტოუ არ შეუცვლია დებულება, არამედ მან აშკარად განაცხადა, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების როლი გათავდაო. მისი სახით კაპიტალისტებმა კარგი დამცველი იპოვეს.

სკობელევი არ დაკმაყოფილდა თავისი უწყებით. თავისი ამოცანის შესრულებასთან ერთად იგი ეხმარებოდა სხვა მინისტრებსაც, პირველ რიგში კონოვალოვს, რომელიც წინათ შრომას თვით მბრძანებლობდა. თავის 6 მაისის დეკლარაციაში დროებითმა მთავრობამ გარკვეულად არაფერა სთქვა სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლის შესახებ. კონოვალოვი თავის მთავარ ამოცანად სთვლიდა გაეკიანურებინა მწვევე საკითხების გადაჭრა. და აქ, ისე როგორც სხვა სამინისტროებში, ჰქმნიდნენ უთვალავ კომისიებსა და კომიტეტებს, რომელთა წიაღშიც სძირავდნენ ყველა საკითხს. ვაქრობისა და მრეწველობის მინისტრის ამხანაგი კადეტი ვ. ა. სტეპანოვი, IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი, სათათბიროს წევრების 20 მაისის თათბირზე ლაპარაკობდა, თუ როგორ განიხილეს სამინისტროში შრომის ხელფასის მომატების საკითხი. სამხრეთ რუსეთის მრეწველებმა კადეტ ნ. ნ. კუტლერის (მსხვილი მიწათმფლობელი, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარმმართველი) მეთაურობით მიმართეს დროებითი მთავრობას განცხადებით, რომ მუშათა მოთხოვნები გამოუვალ მდგომარეობაში აყენებენ მრეწველობასო. შრომის ხელფასის მომატება, სწერდნენ მრეწველები, არა თუ შთანთქავს მთელ მოგებას, არამედ აგრეთვე შეუძლებელს გახდის ხელფასის გაცემას საქონლის ფასების საგრძნობად გადიდების გარეშეო. ვაქრობისა და მრეწველობის სამინისტრომ გაიწვია პეტროგრადში საწარმოების მფლობელთა და მუშათა წარმომადგენლები. ორი დღის სხდომის შემდეგ გადაწყდა განსაკუთრებული კომისიის შექმნა.

„დღეს, — მოახსენებდა სათათბიროს თათბირს მემარცხენე კადეტი ვ. ა. სტეპანოვი, — ეს კომისია, დაიყო რა სექციებად, პირველად შეიკრიბა და იხილავდა არსებულ მასალას. რა გამოვა აქედან — ამის თქმა, რასაკვირველია, ძნელია. ვინ იცის, იქნებ ღმერთმა ინებოს, ეს იმედი გამართლდეს და ამ კომისიამ შესძლოს რაიმე დასკვნამდე მისვლა. ზოგიერთი მუშა კერძო ლაპარაკში ამბობდა, რომ თუ ასეთი მდგომარეობაა, ისინი მზად არიან შეამცირონ თავისი მოთხოვნები — რა ზღვარამდე, რასაკვირველია, ამის თქმა ძნელია. მაგრამ შემდეგ რჩება ძალიან ძნელი კითხვა: თუ ეს დღევანდები, დარწმუნდებათ რა ციფრების სისწორეში, გამოსთქვამენ თანხმობას შეამცირონ მოთხოვნები, ნიშნავს თუ არა ეს თანხმობა უარს იმ 800 ათასი მუშის მოთხოვნებზე, რომელთა წარმომადგენლებიც ისინი არიან, და ხომ არ დამთავრდება ეს იმით, რომ მათ ჩამოერთმევათ მანდატები როგორც გამცემლებს, რომელთაც უღალატეს მათ ინტერესებს და არ გაამართლეს მათი ნდობა. თუ ეს შეთანხმება არ მოხდა, იძულებული ვიქნებით მივიმართოთ ამ ორ კომისიას (ერთს — მრეწველთა ციფრების შესამოწმებლად, მეორეს — საცხოვრებელი მინიმუმის შესასწავლად. რ ე დ.) როგორც უკანასკნელ ცდას... მოვნახოთ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან“¹.

23 მაისს კომისიამ უკუაუგდო მუშათა ყველა მოთხოვნა. საკითხი გადადიო-

და კომიტეტიდან კომისიაში, კომისიიდან სექციაში, რათა როგორმე გაეკიანურებინათ პასუხი.

მაისის შუა რიცხვებში პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სახალხო მეურნეობის სახელმწიფოებრივი მოწყვრის აუცილებლობაზე და ამ მიზნით სპეციალური ორგანოების შექმნის შესახებ. საბჭოების იძულებით დროებითმა მთავრობამ 27 მაისს დაავალა რამდენიმე მინისტრს დაემუშაებინათ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოსაწყვრისგებლად უმაღლესი ორგანოს მოწყობის პროექტი. კონოვალოვი გადადგა, რადგან სთვლიდა, რომ ეს „უზომო მოთხოვნა“ იყო. მისი ადგილი დაიკავა ვაქრობისა და მრეწველობის მინისტრის ამხანაგმა მემარცხენე კადეტმა ვ. ა. სტეპანოვმა. თათბირმა რუსეთის საწარმოო ძალების განვითარების საკითხის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ კონოვალოვმა შექმნა 5 მაისს და რომელიც არაფერს არ აკეთებდა, ბოლოს, 8 ივლისისათვის მოამზადა დროებითი მთავრობის დეკლარაციის პროექტი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე. მხოლოდ იენისში შეეცადა მთავრობა თვალი გადაეელო განვლილი გზისათვის, მხოლოდ იენისში ჩაუფიქრდა სერიოზულად ვაქრობისა და მრეწველობის სამინისტრო სტეპანოვის სახით ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, რომლის დახასიათებითაც იგი იწყებს თავის პროექტს. ვაქრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობების საბჭოს ერთერთ სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ კადეტმა ნ. ნ. კუტლერმა, საბანკო სამრეწველო წრეების ხელმძღვანელმა, მოითხოვა, რომ დროებით მთავრობას

„გამოეცხადებინა თავისი ეკონომიური პროგრამა: განზრახული აქვს მას განახორციელოს მრეწველობის სოციალიზაცია თუ შეინარჩუნოს კაპიტალისტური წყობილება“¹.

როგორც სჩანს, კუტლერს ეშინოდა, რომ სოციალისტი-მინისტრები, რომლებიც პირველ კოალიციურ მთავრობაში შევიდნენ, ვინ იცის, იქნებ სოციალისტების მშენებლობასაც კი შეუდგნენო. კუტლერისა და მთელი ბურჟუაზიის ამ შიშზე იძლევა სწორედ უწინარეს ყოვლისა პირდაპირ პასუხს სტეპანოვი.

„ახლანდელი დაქვეითების დროს სოციალიზმი თავისთავად ვერ იხსნიდა რუსეთს სიღატაკისაგან“²,

ამბობს იგი დეკლარაციის შესავალში. თვით დეკლარაციის პროექტში კი იგი დამატებით განმარტავს, რომ

„სოციალიზმი უნდა ეყრდნობოდეს საყოველთაო ორგანიზებულობის მძლავრ საძირკველს, რაც რუსეთში არ არის; საწარმოო ძალების სრულ განვითარებას, რომელთა სათანადო გამოყენებას რუსეთი ჯერ არსებითად არ შესდგომია; ბოლოს, სოციალისტურ წყობილებაზე გადასვლა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში შეუძლებელიცაა“³.

II ინტერნაციონალის მენშევიკური არგუმენტები ერთ ქვეყანაში სოციალისტების გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ სტეპანოვმა შეკრიბა და ოსტა-

ტურად გამოიყენა თავისი დეკლარაციის პროექტში. ბოლოს მან ხაზგასმით აღნიშნა:

„ამჟამად სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის შეთვისების შეუძლებლობა რუსეთისათვის, როგორც სჩანს, ექვს არ იწვევს არც დროებითი მთავრობის წევრებს შორის და არც რევოლუციური დემოკრატიის რეალისტურად განწყობილ წრეებში. მთავრობამაც სათანადო განცხადება უნდა გააკეთოს ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად“¹.

მინისტრმა სკობელევმა, სტეპანოვის მიერ მოხსენებული „რევოლუციური დემოკრატიის რეალისტურად განწყობილი წრეების“ წარმომადგენელმა, არ დააყოვნა საბოლოოდ მოესპო „გაუგებრობათა“ შესაძლებლობა. 16 ივნისს მოსკოვის ჟურნალისტებთან საუბრის დროს მან დაადასტურა სტეპანოვის თეზისი გახსენებით, რომ როცა სახელმწიფოს მიერ მრეწველობის მოწესრიგებას შეეხება საქმე, სოციალისტურ წარმოებაზე ლაპარაკი შეუძლებელიაო. ბურჟუაზიას შეეწლო სრულიად დამშვიდებული ყოფილიყო. სტეპანოვები „სოციალისტ“. სკობელევებთან ერთად შიშით კი არა, სინიღის ქვეშ იცავდნენ მას სოციალიზმისაგან.

სასურსათო საქმე ჩამოერთვა მიწათმოქმედების მინისტრს და სპეციალურად შექმნილ სასურსათო სამინისტროს გადაეცა. მას სათავეში ჩაუდგა პეშენოვი — სტატისტიკოსი, სახალხო სოციალისტი, ლენინის სიტყვით „უაღრესად ზომიერი ნაროდნიკი“. პეშენოვმა პირდაპირ განაცხადა, რომ მისი მისეულ სამინისტროში არ გამოიწვევს შინგარიოვის პოლიტიკის რადიკალურ გარდატენას. ახალ მინისტრს მხედველობაში ჰქონდა პურის მონოპოლიისა და მტკიცე ფასების შენარჩუნება, მაგრამ სინამდვილეში წინანდელი მინისტრის მთელი პოლიტიკაც შეინარჩუნა. მემამულეებმა და გადამყიდველებმა გააჩაღეს პურის სპეკულაცია და ძირს უთხრიდნენ მტკიცე ფასებს. სპეკულაციასთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი საშუალება შეიძლებოდა ყოფილიყო პურის ზუსტი აღრიცხვა. ჯერ კიდევ 25 მარტის კანონი მოითხოვდა მთელი მოყვანილი პურის აღრიცხვას. შინგარიოვმა ხელი არ ახლო სპეკულანტებსა და შემამულეებს. არც „სოციალისტმა“ მინისტრმა ახლო მათ ხელი. მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს ანკეტის ცნობებით 32 გუბერნიამ 38-დან, ე. ი. $\frac{1}{3}$, უპასუხა, რომ მათთან სრულიად არ სწარმოებდა აღრიცხვა, ხოლო ოთხ გუბერნიამ მონხდა არაზუსტი აღრიცხვა. კითხვაზე პურის მონოპოლიის გატარების შესახებ ერთი გუბერნია იუწყებოდა, რომ მონოპოლია შემოღებულიაო, 3 — რომ სრულიად არ გატარებულაო, 23 — ბუნდოვანად უპასუხა: „ტარდებაო“, 6 — ნაწილობრივ გატარდაო. პეშენოვმა არა თუ არ მოაწყო პურის ჩაბარების კონტროლი, არამედ უბრალო აღრიცხვაც კი არ მოაგვარა. შედეგად განვითარდა პურის თავშეუკავებელი სპეკულაცია. კუდები სასურსათო მაღაზიებთან გაიზარდა. მუშათა ცოლები მთელი საათობით იდგნენ რიგებში.

სკობელევი, პეშეხონოვი, ჩერნოვი იყვნენ ცოცხალი ილუსტრაცია ლენინის თეზისისა:

„მინისტრები სოციალიზმის რენეგატების წრიდან მოლაყებ მანქანები აღმოჩნდნენ დაჩაგრული კლასების თვალის ასახვევად“¹.

3.

დროებითი მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა.

თებერვლის რევოლუციას ბურჟუაზია ხსნიდა მასების პროტესტით მეფის არმიის სამხედრო დამარცხებათა წინააღმდეგ. იგი ჰქადაგებდა, რომ რევოლუციის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ომის ძლევამოსილად დამთავრება, კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება და ა. შ. ბურჟუაზიული მთავრობა სრულიად არ ფიქრობდა გადაესინჯა იმპერიალისტური პროგრამა. მას განზრახული ჰქონდა დაპყრობათა იმპერიალისტური გეგმები, რომელთაც წინათაც უქერდა მხარს რუსეთის ბურჟუაზია, ახლა მეტის წარმატებით გაეხორციელებინა.

• ბურჟუაზია, სარგებლობდა რა ომის პირობებით, მოუწოდებდა რუსეთის მოსახლეობას ნაციონალური ერთიანობისაკენ და ამ დროშით ცდილობდა გვერდი აეხვია „წყვეული“ სოციალური საკითხების გადაჭრისათვის.

აშკარა იყო, რომ მის მიერ შექმნილ დროებით მთავრობას არ ჰქონდა განზრახული და არც შეეძლო გადაეჭრა ცოტად თუ ბევრად სერიოზულად ნაციონალური საკითხი. ნაციონალური განაპირა მხარეების მიმართ ძალაუფლების შენარჩუნებასა და შემდგომ იმპერიალისტურ ექსპანსიაში ბურჟუაზია ხედავდა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების, თავისი კლასობრივი ბატონობის ერთერთ საფუძველს. სარგებლობდა რა წერილობრივი პარტიების — სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების — მხარდაჭერით, მან წამოაყენა მეფის ძველი ლოზუნგი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთისა“, რაც მხოლოდ „რევოლუციური დემოკრატიის“ ვარდისფერი დროშით იყო დაფარული.

დროებითი მთავრობა უძლური იყო დაეთრგუნა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განაპირა მხარეებში რეპრესიული ზომებით; მას იმედი ჰქონდა, რომ ამ მოძრაობას შეასუსტებდა მეორეხარისხოვანი დათმობებით: სარწმუნოების შეზღუდვის და უმაღლეს სასწავლებლებში პროცენტული ნორმის გაუქმებით, „ინოროდცებისათვის“ სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობათა დაკავების უფლების მინიჭებით და ა. შ. თუმცა ბურჟუაზიამ უარი სთქვა დაჩაგრულ ეროვნებათა დევნილ უკიდურეს ზომებზე, რასაც ცარიზმი მიმართავდა, მაგრამ მან ამ ეროვნებებს არ მისცა არაერთი უფლება საერთოსამოქალაქო უფლებათა გარდა. სასწავლებლებში დედაენის ხმარების საკითხიც კი არ იყო გადაჭრილი, თუმცა ეს ერთერთ მინიმალურ მოთ-

ხოვნას წარმოადგენდა. დროებითი მთავრობის 1917 წლის 20 მარტის დეკრეტში ნათქვამი იყო, რომ ნებადართულია

„რუსული ენის გარდა სხვა ენებისა და კილოების ხმარება კერძო საზოგადოებათა საქმის წარმოებაში, სწავლებისას ყოველგვარ კერძო სასწავლებლებში და სავაჭრო წიგნების წარმოებისას“¹.

თვითმპყრობელობის დამხობას და ძალაუფლების გადასვლას ბურჟუაზიის ხელში არ მოჰყოლია შედეგად ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა. მხოლოდ

„ნაციონალური ჩაგვრის ძველი, უხეში ფორმა, — მიუთითებდა სტალინი, — შეიცვალა ჩაგვრის ახალი, დახვეწილი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო საშიში ფორმით“².

ამიტომ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ არა თუ არ შესუსტებულა, არამედ საგრძნობად გაძლიერდა. ამ მოძრაობის შეფასება შემდეგში მოგვცა სტალინმა სტატიის „ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი“:

„რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში (1917 წლის თებერვლიდან) ნაციონალურ მოძრაობას განაპირა მხარეებში ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი ჰქონდა. რუსეთის ეროვნებებმა, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში სჩაგრავდა და ექსპლოატაციას უწევდა „ძველი რეჟიმი“, პირველად იგრძნეს ძალა და გააჩაღეს ბრძოლა მჩაგვრელებთან. „ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია“ — ასეთი იყო მოძრაობის ლოზუნგი. რუსეთის განაპირა მხარეები მყისვე დაიფარა „საერთონაციონალური“ დაწესებულებებით. მოძრაობას სათავეში უდგა ნაციონალური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენცია. „ნაციონალური საბჭოები“ ლატვიაში, ესტონელთა მხარეში, ლიტვაში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, კავკასიის მთებში, ყირგიზსტანსა და ვოლგის შუა მხარეში; „რადა“ უკრაინასა და ბელორუსიაში; „სფატულ-ცერი“ ბესარაბიაში; „კურულთაი“ ყირიმსა და ბაშკირეთში; „ავტონომიური მთავრობა“ თურქესტანში — აი ის „საერთონაციონალური“ ინსტიტუტება, რომელთა ირგვლივ ჰკრებდა ძალებს ნაციონალური ბურჟუაზია“³.

უკრაინაში ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდა ცენტრალური რადა, რომელიც შეიქმნა კიევი რევოლუციის პირველ თვეებში. მის ლიდერებად უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან იყვნენ ვინიჩენკო, პეტლიურა, მაზუპა, ტკაჩენკო; სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან — გრუშევსკი, ხრისტიუკი, ზალიზნიაკი, კოვალევი და სხვ. რადას მიჰყებოდნენ საგრძნობი რაოდენობით — უმთავრესად შეძლებული — გლეხთა მასები.

თავის დეკლარაციაში, რომელიც 1917 წლის ივნისის დასაწყისს გამოქვეყნდა სათაურით „პირველი უნივერსალი“, რადა აცხადებდა მხოლოდ პრინციპულად, რომ უკრაინელმა ხალხმა თვითონ უნდა შექმნას თავისი ბედი, მაგრამ

დაქინებით არ მოითხოვდა ავტონომიური უკრაინის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ამასთან უნივერსალში იყო შენიშვნა, რომ შეუძლებელია ლაპარაკი კი რუსეთისაგან უკრაინის სახელმწიფოებრივ გამოყოფაზეო. უკრაინის ეს პირველი ნაციონალური მოთხოვნები, წარდგენილი დროებითი მთავრობისადმი, ლენინმა შეაფასა როგორც „ძალიან მოკრძალებული“.

„არცერთ დემოკრატს არ შეუძლია... უარყოს უკრაინის უფლება რუსეთისაგან თავისუფალ გამოყოფაზე: სწორედ ამ უფლების უყოყმანოდ აღიარება და მხოლოდ იგი გვაძლევს შესაძლებლობას გავსწიოთ აგიტაცია უკრაინელებისა და ველიკორუსების თავისუფალი კავშირისათვის, ორი ხალხის ერთ სახელმწიფოში ნებაყოფლობითი შეერთებისათვის... წყეული ცარიზმი ველიკორუსებს აქცევდა უკრაინელი ხალხის ჯალათებად, ყოველნაირად ასაზრდოებდა მასში სიძულვილს იმათ მიმართ, ვინც უკრაინელ ბევრებსაც კი უკრძალავდა დედა-ენაზე ლაპარაკსა და სწავლას“¹, სწერდა ლენინი „პირველი უნივერსალის“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

მაგრამ დროებითი მთავრობის ბანაკში, სადაც ხელმძღვანელებად კადეტები იყვნენ, რომელთა ნაციონალურ პოლიტიკას ესერები და მენშევიკები ეთანხმებოდნენ, რადის განცხადებამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია. კადეტთა ცენტრალური ორგანო — გაზეთი „რეჟ“ — რადის უნივერსალს უწოდებდა „რუსეთის დანაწილების გერმანული გეგმის კიდევ ერთს რგოლს, რომელიც სისრულეშია მოყვანილი“. „რეჟი“ სწერდა:

„წენიშვნები ოდნავადაც არ სცვლიან იმ ძირითადი ფაქტის აზრს, რომ რაღამ უარი სთქვა თავისი და უკრაინელი ხალხის სახელით... დაემორჩილოს დროებით მთავრობას და გამოაცხადა თავი უკრაინის მთავრობად... უნდა ვადიაროთ, რომ ბატონი უკრაინელები ცუდად ეხუმრებიან რუსეთს“².

ასე გამოეხმაურა ბურჟუაზია „ერთიან და განუყოფელ რუსეთზე“ ხელყოფის სულ მცირე ცდას. მან უკრაინელები მოაქცია მოლაღატეებისა და გერმანიის აგენტების ბანაკში და გაფრთხილებას იძლეოდა, რომ რადის საქციელი „დაგმობილი იქნება გადაჭრით ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ „დეზანექსის“ ყველაზე უფრო შეურიგებელი მომხრეების — ბოლშევიკების გამოკლებით“³.

ბურჟუაზიული იმპერიალისტების მიერ ბოლშევიკების მტრული დახასიათება მხოლოდ აძლიერებდნენ ყველა იმ დემოკრატიული ელემენტის სიმპატიებს მათ მიმართ, რომლებიც ნაციონალური განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. საკმარისი იყო ბურჟუაზიის საქციელისა და ყოფილი მეფის რუსეთის ეროვნებათა მიმართ ბოლშევიკების გეზის შედარება იმის გასაგებად, თუ ვინ წარმოადგენს დაჩაგრულ ეროვნებათა მეგობარს.

ბრძოლა უკრაინული საკითხის ირგვლივ თანდათან ჩაღრმავდა. ესერებმა და მენშევიკებმა მიმართეს სუსტ, თვალთმაქცურ ცდას მოენახათ რიგიანი

„კომპრომისი“ რადასა და დროებით მთავრობას შორის. აქედან არაფერი გა-
ძვირდა. უკრაინელებს უარი უთხრეს ყველა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილე-
ბაზე.

იმავე ხანებში ლენინი სტატიაში „უკრაინა და რუსეთის მმართველი პარ-
ტიების დამარცხება“ სწერდა:

„უარი ამ უაღრესად მოკრძალებულ და კანონიერ მოთხოვნებზე დროე-
ბითი მთავრობის მხრივ იყო კონტრრევოლუციონერების გაუფონარი უტიფ-
რობა. ველური თავხედობა, ველიკორუსული „დერეჟიმორდის“ პოლიტიკის
ნამდვილი გამოვლინება, და ესერები მენშევიკებთან ერთად, აბუჩად იგდებ-
დნენ რა თავის საკუთარ პარტიულ პროგრამებს, ითმენდნენ ამას მთავრო-
ბაში და ახლა იცავენ ამას თავის გაზეთებში! რა სამარცხვინო მდგომარეო-
ბამდე მივიდნენ ესერები და მენშევიკები! რა უბადრუკია დღეს მათი
ორგანოების — „დელი ნაროდს“ და „რაბოჩაია გაზეტას“ ფანდები. ქაო-
სი, არეუდარევა, „ლენინურობა ნაციონალურ საკითხში“, ანარქია — ველუ-
რი მემამულის რა წამოძახილებს მიმართავს ორივე გაზეთი უკრაინელების
წინააღმდეგ“¹.

მთავრობის სამეულმა კერენსკის, წერეთლისა და ტერეშჩენკოს შემადგენლო-
ბით, რომელიც ივლისის დასაწყისს ჩავიდა კიევში, დიპლომატიური დროები-
თი ზავი დასდო რადასთან. თუმცა მას არავითარი რეალური უფლებები არ
მიუტია უკრაინელებისათვის და დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ გადა-
კერით აღნიშნა მომავალში უფლებათა მინიკების შესაძლებლობა. მაგრამ ამ
შეთანხმებამაც მტრული აურზაური გამოიწვია ბურჟუაზიულ ბანაკში. მოლა-
პარაკება უკრაინის საკითხის ირგვლივ ბურჟუაზიულმა მინისტრებმა გამოიყე-
ნეს როგორც საბაზი დროებითი მთავრობიდან გასვლისათვის. გადასდგეს რა
ეს ნაბიჯი პეტროგრადის ივლისის ამბების დროს, კადეტებმა განაცხადეს, რომ
გადიან მთავრობიდან უკრაინის საკითხში უთანხმოების გამო.

როცა 1917 წლის აგვისტოში კადეტები მთავრობაში დაბრუნდნენ, ურ-
თიერთობა უკრაინასთან კვლავ და კიდევ უფრო გაუარესდა. დროებითი მთავრო-
ბის 4 აგვისტოს ინსტრუქციით გაუქმებულ იქნა ყველა ის დათმობა, რომლებ-
ზედაც წავიდნენ უკრაინის მიმართ ივლისის შეთანხმებით. ინსტრუქციამ უკ-
რაინის ფარგლები განსაზღვრა დასავლეთის ხუთი სამიწათმოქმედო გუბერ-
ნიით, გამორიცხა რა დონეცის ბასეინი, ეკატერინოსლავშიჩინა და შავი ზღვის
გუბერნიები. რადის მოღვაწეობის წრეც მინიმუმამდე იყო დაყვანილი; მას დარ-
ჩა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგიერთი უფლება.

ცენტრალური რადა გადავიდა ოპოზიციაში დროებითი მთავრობის მიმართ.
ამ მომენტიდან ოქტომბრის რევოლუციამდე იმ უკრაინელებს შორისაც კი,
რომლებიც წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტებს მიჰყვებოდნენ, იზრდებოდა
და ძლიერდებოდა სიმპატიები ბოლშევიკებისადმი მათი სწორი ნაციონალური
პოლიტიკისათვის.

დროებითა მთავრობამ არც ფინეთის მიმართ გადასჭრა ნაციონალური
საკითხი. 1917 წლის 7 მარტს მან გამოსცა აქტი თავის დროზე ალექსანდრე

I მიერ ფინეთის დიდი სამთავროსათვის „ბოძებული“ კონსტიტუციის აღ-
დგენის შესახებ. რუსეთის ბურჟუაზია მეფის ამ კონსტიტუციის იქით არ წა-
ვიდა. ფინეთს არავითარი ახალი უფლება არ მინიჭებია: მის სეიმს არ მიუღია.
უმალღესი ძალაუფლება.

ფინეთის ხალხის მასები მოითხოვდნენ ავტონომიას, მოლაპარაკება ამის
თაბაზე გრძელდებოდა ფინეთის სეიმსა და დროებით მთავრობას შო-
რის 1917 წლის აპრილ-მაისის განმავლობაში. სეიმის მიერ წამოყენებული ავ-
ტონომიის პროექტი ითვალისწინებდა რუსეთის კომპეტენციის დატოვებას სა-
გარეო ურთიერთობასა და სამხედრო მმართველობაში და ფინეთის გენე-
რალ-გუბერნატორის თანამდებობის დატოვებასაც კი. მაგრამ დროებითი მთავ-
რობა ამ პროექტზეც არ დათანხმდა. მან წამოაყენა პირობად, რომ სეიმის
მოწვევა და დათხოვნა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის პრეროგატივა, რუსე-
თის მთავრობასავე უნდა დაემტკიცებინა სეიმის გადაწყვეტილებანი, რომელნიც
რუსეთის ინტერესებს ეხებოდნენ. ამასთან იმ საკითხების წრის განსაზღვრის
უფლება, რომელნიც „რუსეთის ინტერესებს ეხებოდნენ“, რუსეთის გენერალ-
გუბერნატორს ენიჭებოდა. სეიმის დამოუკიდებლობისაგან არსებითად აღარა-
ფერი რჩებოდა.

დროებითი მთავრობის მოთხოვნების საპასუხოდ სეიმმა 5 ივლისს მიიღო
კანონი სეიმის უმალღეს უფლებებზე ყველა საქმეში სამხედრო და საგარეო
საქმეთა გამოკლებით. დროებითმა მთავრობამ უპასუხა ბრძანებით სეიმის დაშ-
ლის შესახებ და მიუთითა, რომ სეიმი ითვისებს

„უფლებას თვითნებურად დაასწროს რუსეთის მომავალი დამფუძნებე-
ლი კრების ნებას... დაე, ფინეთის ხალხმა თვითონ ასწონ-დასწონოს
თავისი ბედი. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ რუსეთის ხალხთან თანხ-
მობით“ ზ

ნათქვამი იყო დროებითი მთავრობის 1917 წლის 18 ივლისის მანიფესტში.
ამის შემდეგ მენშევიკმა გეგეკკორმა, შემდეგში მენშევიკური საქართველოს
საგარეო საქმეთა მინისტრმა, დაიკავა სეიმი ჯარებით.

დეპუტატები, რომლებიც დროებითი მთავრობის ბრძანებას არ დაემორჩი-
ლნენ, სეიმის შენობაში არ შეუშვეს.

უმრავლესობა ფინეთის სეიმში 1917 წლის დასაწყისს ეკუთვნოდა სო-
ციალ-დემოკრატიას, რომელიც საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა.
ფინეთის სოციალ-დემოკრატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ
განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობაში, მაგრამ მათ პრინცი-
პულად მტკიცე ხაზი ნაციონალურ საკითხში არ ჰქონიათ და ბურჟუაზიული
პოზიციებისაკენ იხრებოდნენ. ფინეთის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისმმა
განსაზღვრული დროის მანძილზე გადასწყვიტა ფინეთის ბედი ბურჟუაზიული
სახელმწიფოებრივობის მიმართულებით. ამას საგრძნობად უწყობდა ხელს ისიც,
რომ ფინეთის ბოლშევიკები ღიღხანს არ სწყვეტდნენ კავშირს მენშევიკებთან
და არ უშვებდნენ გათიშვას სოციალ-დემოკრატიასთან.

ბოლშევიკური პარტიის დამოკიდებულება ფინეთის ნაციონალური თავისუფლებისადმი საკმაოდ მკაფიოდ იყო გამოხატული როგორც 1917 წლის აპრილის კონფერენციის დადგენილებაში სტალინის მოხსენების გამო, ისე ლენინისა და სხვა ბოლშევიკების მთელ რიგ სტატიებში.

ლენინი სწერდა:

„მეფეები ატარებდნენ ანექსიების პოლიტიკას, უხეშად სცვლიდნენ ერთ ხალხს მეორეზე სხვა მონარქებთან შეთანხმებით (პოლონეთის დანაწილება. გარიგება ნაპოლეონთან ფინეთის შესახებ და სხვ.), როგორც მემამულეები სცვლიდნენ ერთმანეთში ყმა გლეხებს. ბურჟუაზია, ხდება რა რესპუბლიკური, ატარებს ანექსიების იმავე პოლიტიკას უფრო დახვეწილად. უფრო ფარულად... ამხანაგო მუშებო და გლეხებო! არ აპყვეთ რუსეთის კაპიტალისტების, გუჩკოვისა და მილიუკოვის, დროებითი მთავრობის ანექსიონისტურ პოლიტიკას ფინეთისა, კურლანდიისა, უკრაინისა და სხვ. მიმართ“¹.

1917 წლის ზაფხულის დამლევს ფინეთში დაიწყო, ერთი მხრით, ბურჟუაზიული რაზმების, ხოლო მეორე მხრით — მუშათა წითელი გვარდიის მოწყობა. პირველნი დაუკავშირდნენ პოლიციურ აპარატს, მეორენი — რუსეთის არმიის რაზმებს ფინეთში. ფინეთში დაბანაკებული ნაწილების ჯარისკაცთა მასებმა ამ დროს უკვე იწყეს ბოლშევიკურ პოზიციებზე დადგომა.

დროებითი მთავრობა კიდევ უფრო მკვეთრად, ვიდრე ფინეთში, ატარებდა იმპერიალისტურ პოლიტიკას აღმოსავლეთის ხალხების მიმართ.

ორი ძირითადი მიმდინარეობა დაისახა აღმოსავლეთის ხალხთა ნაციონალურ მოძრაობაში თებერვლის რევოლუციის შემდეგ: უნიტარიზმი და ნაციონალ-ფედერალიზმი. უნიტარიზმს მხარს უჭერდა მუსლიმანური, უმთავრესად თათარ ვაჭართა ბურჟუაზია და ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია. რომლებიც მოითხოვდნენ მხოლოდ „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ გამოცხადებას. „ნაციონალურ-ტერიტორიულ-ფედერატიული საქმისების“ მომხრეებს წარმოადგენდა ახალგაზრდა ნაციონალურ-სამრეწველო ბურჟუაზია. მუსლიმანთა ფედერალისტურ მოძრაობაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა აზერბაიჯანის ბურჟუაზიას. გადაწყვეტილება ფედერაციისა და „ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის“ შესახებ მიღებულ იქნა თურქესტანშიც მუსლიმანთა პირველ და მეორე ყრილობებზე. სხვათა შორის ამ გადაწყვეტილებაში აისახა ნაციონალური ბურჟუაზიის შიში რუსეთის რევოლუციის წინაშე, მისგან თავის-თავის გამიჯვნის სურვილი.

თურქესტანში ბოლშევიკები შედარებით ცოტანი იყვნენ. გარდა ამისა ბევრი ადგილობრივი ბოლშევიკი მუშაკი ამხინჯებდა ბოლშევიკური პარტიის ხაზს ნაციონალურ საკითხში, უშვებდა რა უხეშ შეცდომებს მკვიდრი მოსახლეობისადმი მიდგომაში. ამიტომ ნაციონალისტური პარტიები — კახახთა „ალაშ-ორდა“ და უზბეკთა „ულემე“ — ახერხებდნენ მოსახლეობის საგრძნობი ფენების მიმხრობას.



„დროებითი მთავრობის პირველი აქტი თურქესტანში იყო 1917 წლის 18 მარტის დადგენილება 1916 წლის ყირგიზეთის აჯანყების ჯალათების ამნისტიის შესახებ“.

კარაკატურა კუკრინიქსისა.

თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციას არ გაუმჯობესებია შუა აზიის დაჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასების არსებობის პირობები.

„თებერვლის რევოლუციამ, დაამხო რა მონარქია, ძალაუფლება კვლავ მეფის იმავე მოხელეებსა და ადგილობრივ რუს კულაკობას გადასცა. დროებითი მთავრობის ადგილობრივმა კომიტეტმა, რომელიც ამ ელემენტებისაგან შესდგებოდა, ყირგიზეთის მოსახლეობისადმი თანასწორუფლებიანი და მოკიდებულების ნაცვლად თავის ამოცანად დაისახა ყირგიზთა მოსახლეობის დაჩაგვრა და გაჟლეტა“⁴ —

ესე ახასიათებდა მდგომარეობას შუა აზიაში პროგრამა „ყირგიზი ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირისა“, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოეწყო.

დროებითი მთავრობის პირველი აქტი თურქესტანში იყო 1917 წლის 18 მარტის დადგენილება 1916 წლის ყირგიზეთის აჯანყების ჯალათების ამნისტიის შესახებ. ყველა რუსი ამწიოკებლები, რომლებიც იყვნენ დამნაშავენი მკვლევობებსა და მკვიდრი მოსახლეობის აბუჩად აგდებაში, განთავისუფლებულ იქნენ პატიმრობისაგან. დროებითი მთავრობის დადგენილებამ ადგილობრივ მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია.

შუა აზიის დაჩაგრულ ეროვნებათა აღშფოთება გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მთავრობის თურქესტანის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ნ. ნ. შჩეპკინი — კადეტთა პარტიის ერთერთი ლიდერი. კომიტეტი აღჭურვილი იყო რევოლუციამდე არსებული გენერალ-გუბერნატორის უფლებებით. მას უფლება ჰქონდა გადაეჭრა თურქესტანისა და ველიანი მხარის (კახახსტანი) ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღების საკითხი. ამასთან დროები-

თი მთავრობა ზედმეტად სთვლიდა წასულიყო საეროებო დაწესებულებათა შემოღების იქით, თუმცა მოსახლეობა ავტონომიას მოითხოვდა.

დროებითმა მთავრობამ სრულიად არაავითარი ნაბიჯი არ გადადგა ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად.

ცარიზმის მთელი ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი ნაციონალურ რაიონებში სრულიად ხელუხლებლად იქნა დატოვებული. სახელმწიფო ენას ყველა ეროვნებისათვის წინანდებურად რუსული ენა წარმოადგენდა. სახელმწიფო სკოლადაც რუსული სკოლა რჩებოდა. დაჩაგრულ ეროვნებათა მოთხოვნები მათთვის ნაციონალურ უფლებათა მინიჭების შესახებ უკუგდებული იყო. საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ მტკივნეულ ნაციონალურ საჭიროებათა და მოთხოვნათა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების, ნაცვლად დროებითი მთავრობა დაჩაგრულ ეროვნებებს ურჩევდა მოეცადათ იმ დრომდე, ვიდრე მათ ბედს გადაჭრიდა დამფუძნებელი კრება, რომელიც... ვინ იცის როდის იქნებოდა მოწვეული.

თუ ხელისუფლების სათავეში დროებითი მთავრობის ყოფნის დროს ცალკეული ნაციონალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა, ეს გაკეთდა მისი ნებისყოფისა და ბურჟუაზიის სურვილის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, დროებითმა მთავრობამ „დიდსულოვანი“ ჟესტი გააკეთა, გამოაქვეყნა რა დადგენილება პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე ერთი წლის წინათ განახორციელა გერმანიის საიმპერიო მთავრობამ, რომელმაც პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსეთის ბურჟუაზია იძულებული იყო შერიგებოდა ამას, რადგან პოლონეთი ოკუპირებული იყო გერმანიის ჯარების მიერ და სულერთია მისი შეთარაღებული ძალით დაბრუნების არაავითარი იმედი არ იყო. მაგრამ იქ, სადაც საქმე შეეხებოდა რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიებს, დროებითი მთავრობის პოლიტიკა არაფრით არ განიხრეოდა იმპერიალისტური პოლიტიკისაგან.

დროებითმა მთავრობამ, იყო რა იმპერიალისტური ომის განგრძობის მომხრე, ცხადია, უარი სთქვა ესერ-მენშევიკების მხარდაჭერით რუსეთის დაჩაგრულ ეროვნებათა ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

4.

საბჭოების პირველი სრულიად-რუსეთის შრილობა.

პიროვნებათა შეცვლამ ვერ შეიტანა ცვლილებანი დროებითი მთავრობის პროგრამაში. ყველაფერი ძველებურად დარჩა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, იბრძოდა რა ბურჟუაზიის დიქტატურისათვის, მთავრობა სარგებლობდა საბჭოების მხარდაჭერით.

ესერ-მენშევიკებთან კოალიციამ ხელი შეუწყო ბურჟუაზიას დაუმარცხებლად გამოსულიყო აპრილის კრიზისიდან, მაგრამ ბურჟუაზიამ ვერ მოახერხა

მისი მიზნების გადალახვა. წინანდებურად გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა. როგორც წინადაც, რჩებოდა წინააღმდეგობა იმ ფართო მასების კლასობრივ მდგომარეობასა, რომლებიც ომით არ იყვნენ დაინტერესებულნი, და ობორცულ ლოზუნგს—„ომი საბოლოო გამარჯვებამდე“ შორის. ხოლო რაკი აღმოუფხვრელი რჩებოდა კრიზისის მიზეზები, გარდუვალი იყო ახალ აფეთქებათა განმეორება. სწორედ ამიტომ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მომენტის ლოზუნგებად რჩება:

„1. განმარტება პროლეტარული ხაზისა და პროლეტარული გზისა ომის დასამთავრებლად.

2. კაპიტალისტების მთავრობისადმი ნდობისა და მასთან შემთანხმებლობის წვრილბურჟუაზიული პოლიტიკის კრიტიკა.

3. პროპაგანდა და აგიტაცია ჯგუფიდან ჯგუფთან ყოველ პოლკში, ყოველ ქარხანაში. განსაკუთრებით შინამოსამსახურეებისა, შავი-მუშებისა და სხვ. ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მასაში, ვინაიდან კრიზისის დღეებში ბურჟუაზია განსაკუთრებით ცდილობდა მათ დაყრდნობოდა.

4. პროლეტარიატის დარაზმვა, დარაზმვა და კიდევ დარაზმვა: ყოველ ქარხანაში, ყოველ რაიონში, ყოველ უბანში“¹.

მასებისათვის ბრძოლა ახალ პერიოდში შედიოდა.

ასრულებდნენ რა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას — „ქარხნებისაკენ, მასებში“; — ბოლშევიკები დაიძრნენ ყაზახებისაკენ, მუშათა რაიონებისაკენ. მოფიქრებულად და გაბედულად უხელდნენ ისინი ხალხს თვალს დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ დედაარსსა და პეტროგრადის საბჭოს ბელადების შემთანხმებულ პოლიტიკაზე.

ესერები და მენშევიკები განსაკუთრებით ცდილობდნენ არ დაეშვათ პოლკებში ლენინელი აგიტატორები. მიტინგებზე შემთანხმებლები ყოველნაირად ცდილობდნენ ლაფში ამოესვართ ბოლშევიკები და ათასგვარი ცილი დაეწამებინათ მათთვის. მაგრამ სიმტკიცე და რწმენა სიმართლეში, ლენინის პარტიის ნათელი, მკაფიო ლოზუნგები თავის საქმეს აკეთებდნენ. თავისუფლდებოდნენ რა ბურჟუაზიული სიტყვების პატრიოტული ციებ-ცხელეებისაგან, ჯარისკაცები და მუშები სულ უფროდაუფრო ხშირად გააყვიროდნენ „ძირს მაჰანკლები!“ და მოითხოვდნენ ესერ-მენშევიკთა მოლაყებების გაძევებას ყაზარმიდან, ფაბრიკიდან. ბოლშევიკების უბრალო, საქმიან სიტყვებს სულ უფრო დაძაბული ყურადღებით ისმენდნენ.

მასობრივი მუშაობა, ავსებდა და ანმტიციებდა რა ბოლშევიკური პარტიის რიგებს, პირველ რიგში ჩაღებოდა მუშათა ძირეულ ორგანიზაციებში — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და პროფესიულ კავშირებში. დაამხო რა თვითმპყრობელობა, რუსეთის მუშათა კლასმა ისტორიაში უმაგალითო სისწრაფით იწყო ორგანიზაციულად გაერთიანება. მარტო მარტისა და აპრილის მანძილზე პეტროგრადსა და მოსკოვში 130-ზე მეტი პროფესიული კავშირი შეიქმნა, ხოლო მთელ რუსეთში ამ დროს უკვე ორი ათასამდე პროფკავშირი იყო.

მასების ორგანიზაციული შემოქმედების ამ აზვირთებას ყველგან ბოლშევიკები მეთაურობდნენ. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში. პეტროგრადის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების 30 მათგან — 3 იენისის კონფერენცია, რომელიც მთლიანად ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩატარდა, ნათლად მოწმობდა მუშათა კლასზე ბოლშევიკური პარტიის გავლენის ზრდას. სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხზე კონფერენციამ დიდი უმრავლესობით მიიღო ლენინის რეზოლუცია. მენშევიკების რეზოლუციამ შეაგროვა მხოლოდ 13 ხმა 421-დან. კონფერენციის რეზოლუცია თავდებოდა მითითებით, რომ ყველა იმ დასახულ სოციალური და ეკონომიური ღონისძიების წარმატებით გატარება ცხოვრებაში, რომლებიც აუცილებელია მუშათა კლასისათვის, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლისას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში. წინააღმდეგ „ნეიტრალობისა“ და პოლიტიკური პარტიებისაგან დამოუკიდებლობის მენშევიკური თეორიისა პროფესიული კავშირები, რომლებიც ბოლშევიკური ლოზუნგებით ხელმძღვანელობდნენ, სულ უფროდაუფრო ებმებოდნენ პოლიტიკურ ბრძოლაში.

მშრომელთა ფართო მასებს არ შეეძლოთ ერთბაშად გამსჭვალულიყვნენ სოციალიზმისათვის ბრძოლის იდეით და შეგნებულად დამდგარიყვნენ პროლეტარული რევოლუციის მხარეზე. ისინი ბურჟუაზიის წინააღმდეგი იყვნენ, რომელიც ომს აჭიანურებდა, მაგრამ ჯერ კიდევ შორს იდგნენ თავის ხელში ძალაუფლების აღების შესაძლებლობის შეგნებისაგან. საჭირო იყო მათი უნარიანად მიყვანა კლასობრივ ლოზუნგთან „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ამასთან დაკავშირებით მშრომელთა მობილიზაციაში დიდი როლი შეასრულა ლოზუნგმა „ძირს ათი კაპიტალისტი-მინისტრი“. ეს მარტივი და გასაგები ლოზუნგი ხელს უწყობდა მენშევიკებისა და ესერების მხილებას, რომლებიც დაჟინებით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მთავრობაში ათიოდე „კაპიტალისტი-მინისტრი“, და ამტკიცებდა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადაცემის აუცილებლობას.

ბოლშევიკური პარტიის აგიტაციის ძალა მდგომარეობდა სწორედ მასებისადმი მიდგომის, მათი სტიქიური უკმაყოფილების მკაფიო ლოზუნგად ჩამოყალიბების უნარში.

„რევოლუციის გასამარჯვებლად, — სწერდა სტალინი ჩვენი პარტიის განსაცვიფრებელ წარმატებათა გამო, — თუ ეს რევოლუცია ნამდვილად ხალხურია, რომელიც მილიონობით მასებს წარიტაცებს, არ კმარა მხოლოდ პარტიული ლოზუნგების, სისწორე. რევოლუციის გასამარჯვებლად საჭიროა კიდევ ერთი აუცილებელი პირობა, სახელდობრ: რომ თვითონ მასები დარწმუნდნენ საკუთარი გამოცდილებით ამ ლოზუნგების სისწორეში. მხოლოდ მაშინ ხდება პარტიის ლოზუნგები თვით მასების ლოზუნგებად. მხოლოდ მაშინ ხდება რევოლუცია ნამდვილ ხალხურ რევოლუციად“¹.

ბოლშევიკების ტაქტიკა ლენინის ხელმძღვანელობით ამ პერიოდში მდგომარეობდა იმაში, რომ თანდათანობით მიეყვანათ ფართო მასები პარტიის ლოზუნგების გაგებასთან, ამ ლოზუნგებისათვის ბრძოლასთან.

ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო, დაძაბული მუშაობის, შედეგებმა მალე იჩინა თავი ორ გადამწყვეტ მოვლენაში: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობისათვის ბრძოლასა და მასთან დაკავშირებულ პეტროგრადის ივნისის დემონსტრაციაში.

საბჭოების პირველი სრულიად-რუსეთის ყრილობა გაიხსნა 3 ივნისს. მას დაესწრო 1000-ზე მეტი დელეგატი, რომელთაგან 822 კაცი იყო გადამწყვეტი ხმის უფლებით, დანარჩენი — საათობირო ხმით. ყრილობაზე დიდად სპარბობდა წვრილბურჟუაზიული ესერულ-მენშევიკური ბლოკი: ესერებს ჰქონდათ 285 მანდატი, მენშევიკებს — 248. წვრილი ფრაქციები თითქმის ყველანი უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ მენშევიკებსა და ესერებს. ბოლშევიკებს სულ 105 დელეგატი ჰყავდათ.

ესერ-მენშევიკებმა ზეიმით გახსნეს ყრილობა, უწოდეს რა მას „რევოლუციური დემოკრატიის“ ყრილობა. ამ ცნებაში ესერ-მენშევიკები აქცევენ მუშებს, გლეხებს, ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას, მოსამსახურე ინტელიგენციას, შოხელეებს, თავისუფალ პროფესიათა ადამიანებს და, ბოლოს, უბრალოდ „განათლებულ ადამიანებს“, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდნენ.

მენშევიკებისა და ესერებისათვის ხელსაყრელი იყო პროლეტარული შეგნების დაბნელება ბუნდოვანი ტერმინოლოგიით. მყვირალა და მეტად ზოგადი ფორმულა „რევოლუციური დემოკრატია“ საუცხოოდ შეესაბამებოდა მათს წვრილბურჟუაზიულ ბუნებას და შესაძლებლობას აძლევდა მათ თვალსაჩინო როლი ეთამაშნათ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების 305 გაერთიანებული საბჭო, საოლქო და საგუბერნიო ცენტრების 53 საბჭო, მოქმედი არმიის 21 ორგანიზაცია, ზურგის 8 სამხედრო ორგანიზაცია და ფლოტის 5 ორგანიზაცია.

რუსეთის რევოლუციის პირობებში ეს იყო ერთადერთი ორგანიზებული და შეიარაღებული ძალა. არავის არ შეეძლო დაეპირისპირებინა თავისი თავი საბჭოების ძალისათვის. და მიუხედავად ამისა ყრილობამ სრული უმწეობა გამოიჩინა. მოგოვებოდა რა არსებითად ყველა შესაძლებლობა რეალური ძალაუფლების შესაქმნელად, ყრილობამ მაინც უარი სთქვა ძალაუფლების ორგანიზებაზე. ამას თავისი ლოგიკა, თავისი კანონზომიერება ჰქონდა. მეთაურობდნენ რა საბჭოებს, მენშევიკებსა და ესერებს ეშინოდათ აელათ ისეთი ძალაუფლება, სადაც კაპიტალისტები არ იქნებოდნენ, და ფაქტიურად თავს ჰკვეთდნენ რევოლუციას. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა შეესუსტებინათ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ენერჯია. მასების დაუცხრომელი შემოქმედება წვრილ-მანებზე ხურდავდებოდა. გაღვიძებული ხალხის რევოლუციური ინიციატივა ასპარეზს ვერ პოულობდა და მუშათა და კაპიტალისტთა ინტერესების შერიგების უნაყოფო ცდებში იფლანგებოდა. გათავებებულ კაპიტალისტებთან აქტიური ბრძოლის ნაცვლად — ქადაგება სამედიატორო სასამართლოსა, სადაც ყველა საქმეს შთავრობის წარმომადგენლები სწყევტდნენ. მდგომარეობის დაუყოვნე-

ბლივ გაუმჯობესებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდების ნაცვლად — მოწოდება დაეცანათ ომის დამთავრებამდე და დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ზავის ნაცვლად — ომი საბოლოო გამარჯვებამდე!

მუშათა კლასისა და მცირემიწაწყლის მქონე გლეხობის ინტერესები სისტემატურად ეწირებოდა მსხვერპლად ბურჟუაზიას. მენშევიკები და ესერები წარმოადგენდნენ იმ მამოძრავებელ ლევდს. რომლის მეშვეობით ბურჟუაზია იმორჩილებდა მუშებსა და გლეხებს.

რამი გამოჩნატებოდა საბჭოების როლი მაშინ, როცა მათ არ სურდათ აეღოთ ძალაუფლება თავის ხელში? ისმენდნენ მოხსენებებს. სწარმოებდა მოსაწყენი. დაუსრულებელი კამათი „ძალაუფლების არსის“ შესახებ. ლებულობდნენ უაღრესად გრძელ, წყალ-წყალა რეზოლუციებს, რომელიც არავის არაფერს არ ავალებდნენ. „იკრიბებოდნენ. სხდომებს მართავდნენ, ლაპარაკობდნენ და თამბაქოს ეწოდნენ“ — ასე ოხუნჯობდნენ მუშები ესერ-მენშევიკების საქმიანობაზე.

პირველ საკითხად ყრილობაზე იდგა დროებით მთავრობასთან დამოკიდებულებისა და რევოლუციური ძალაუფლების შექმნის საკითხი. მენშევიკებმა და ესერებმა გადაჭრით უკუაგდეს აზრი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. ბურჟუაზიის საბოტაჟით დაშინებულნი, მის სამსახურს დაჩვეულნი, ესერ-მენშევიკები მასებს უნერგავდნენ არასწორ წარმოდგენას ძალაუფლების ხასიათზე. მენშევიკების ლიდერი წერეთელი დაჟინებით აცხადებდა ყრილობაზე:

„ამჟამად რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც ამბობდეს: მოგვეცი თხელთ ძალაუფლება, წადით, ჩვენ დავიკავებთ თქვენს ადგილს...“¹.

— ასეთი პარტია რუსეთში არ არის! — დაჟინებით გაჰყვიროდა წერეთელი სულგანაბულ დარბაზში.


და უცებ, თითქოს მეზი გავარდაო, გაისმა პასუხად:

— ასეთი პარტია არის!

ეს ლენინმა ბოლშევიკების პარტიის სახელით გაბედულად ესროლა ადგილიდან მენშევიკებს.

თითქოს ელექტრონმა დაუარა დარბაზს. გაიღვიძა და აზრი აღდა მიძინებულნი ესერულ-მენშევიკური აუდიტორია. დელეგატები ფეხზე წამოდგნენ და ცდილობდნენ დაენახათ ის. ვინც გამოწვევა ესროლა ბატონ-პატრონებს. შეშინებულმა ხელმძღვანელებმა პრეზიდიუმში ფაცა-ფუცი შექმნეს. ლენინი კა უკვე ტრიბუნისაკენ მიდიოდა.

„იგი ამბობდა, რომ რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოსთქვამდეს მზადყოფნას აიღოს თავის ხელში ძალაუფლება მთლიანად, — სთქვა ლენინმა. — მე ვუპასუხებ: „არის!“ არცერთ პარტიას არ შეუძლია უარი სთქვას ამაზე, და ჩვენი პარტია ამაზე უარს არ ამბობს: ყოველ წუთში მზად არის იგი აიღოს ძალაუფლება მთლიანად“².



„ახეთი პარტია არის!“ — ლენინი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა. 1917 წლის 4 ივნისის სხდომა. თავმჯდომარეობს გენერალი ჩხვიძე. ტრიბუნაზე მწეველები ლიდერი წერეთელი აცხადებს: „არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც ამზობდეს: მოგვეცეთ ხელი ძალაუფლებას“. ლენინი ადგილიდან უბასუხებს: „ახეთი პარტია არის!“ — ეს არის ბოლშევიკების პარტია.

შენშევიცების უპრინციპო, ლაჩრულ, ორპირულ ტაქტიკას დაუპირისპირდა ბოლშევიზმის გაბედული, მტკიცე ხაზი.

ბევრი დელეგატი ლენინს იცნობდა მხოლოდ ბურჟუაზიული და ესერულ-შენშევიკური გაზეთების ცილისწამებით აღსავსე სტატიებით. რიგითს დელეგატებს უნდოდათ მოესმინათ ბოლშევიკების ბელადისათვის, რომლის შესახებ ბევრსა და გაბოროტებით სწერდნენ ბურჟუაზიისა და წვრილი მეშჩანობის ინტერესების დამცველნი. სურდათ პირადად მისგან გაეგონათ ბოლშევიკურ შეხედულებათა გადმოცემა. დელეგატები სულგანაბული უსმენდნენ დინჯ, მტკიცე სიტყვას.

შეამჩნიეს თუ არა ეს ყრილობის ხელმძღვანელებმა, ლენინის განცხადებას სიცილითა და კრიტიკული შენიშვნებით შეხვდნენ.

„თქვენ შეგიძლიათ იცინოთ, რამდენიც გნებავთ, — უბასუხა მათ ლენინმა, — მაგრამ თუ მოქალაქე მინისტრი დაგვაყენებს ჩვენ ამ კითხვის წინაშე შემარჯვენე პარტიის გვერდით, იგი სათანადო პასუხს მიიღებს... გამოიჩინეთ ნდობა ჩვენს მიმართ, და ჩვენ მოგცემთ ჩვენს პროგრამას. ჩვენი 29 აპრილის კონფერენციის მიერ ეს პროგრამა მოცემულია. სამწუხაროდ, მას ანგარიშს არ უწევენ და მით არ ხელმძღვანელობენ. როგორც სჩანს, საჭიროა მისი პოპულარული გარკვევა“¹.

და ლენინმა დაიწყო ბოლშევიკური პარტიის აპრილის კონფერენციის ძირითად გადაწყვეტილებათა გადმოცემა.

სიტყვის პროცესში თანდათანობით იცვლებოდა დელეგატების, განსაკუთრებით ჯარისკაცების განწყობილებაც. ისინი ხარბად ისმენდნენ ლენინის სიტყვებს მძარცველურ ომზე, რომელსაც მთავრობა განაგრძობს, ზავზე, რომლის შოცება არ უნდათ და არ შეუძლიათ არც ბურჟუაზიულ მთავრობას და არც მის წვრილბურჟუაზიულ მოკავშირეებს. ლენინი თანდათანობით ჰვანტავდა სიცრუისა და ცილისწამების ბურუსს და აყენებდა მწყობრ და არაჩვეულებრივად გასაგებ პროგრამას.

დრო, რომელიც ლენინს ჰქონდა მიცემული, გავიდა. წინა რიგებში, სადაც წინამძღოლები ისხდნენ, გაისმა ხმა: „მეტი დრო აღარ მისცეთ“. დარბაზში არაჩვეულებრივი მძაური ატყდა. გაისმა პროტესტები და მოთხოვნები გაეგრძელებინათ დრო. აგრიალდა ტაში, რაც ძლიერდებოდა და რასაც დელეგატთა სულ უფროდაუფრო მეტი მასა უერთდებოდა. პრეზიდენტი პროტესტების ზეგავლენით კენჭი უყარა წინადადებას და იძულებული გახდა გაეგრძელებინა დრო. საკითხი გადასჭრეს რიგითმა დელეგატებმა — ჯარისკაცებმა და მუშებმა, რომელთა გულს ჩასწვდა ლენინის დინჯი და მტკიცე სიტყვა.

ყრილობის ამ ნაწილის ტაშის გრიალში ლენინმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა:

„ძალაუფლების გადასვლა რევოლუციური პროლეტარიატის ხელში უღარიბესი გლეხობის მხარდაჭერის დროს არის გადასვლა ზავისათვის რევოლუციურ ბრძოლაზე უადრესად უზრუნველყოფილ, უადრესად უმტკიე-

ნეულო ფორმებში, როგორსაც კი იცნობს კაცობრიობა, გადასვლა იმაზე, რომ რევოლუციურ მუშათა ძალაუფლება და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც“¹.

ლენინის განცხადება ბოლშევიკების მზადყოფნაზე აიღონ ძალაუფლება თავის ხელში მთელი ყრილობის ყურადღების ცენტრი გახდა. მენშევიკებისა და ესერების შემდგომი ორატორები უკვე გამოდიოდნენ მხოლოდ ლენინისათვის პასუხის გასაცემად. კერენსკი, სკობელევი, ჩერნოვი, ფილიპოვსკი, დანი და სხვები ყოველნაირად ამტკიცებდნენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების აუცილებლობას და მოითხოვდნენ, რომ ყრილობას მხარი დაეჭირა რუსეთის კაპიტალისტების მთავრობისათვის.


ბოლშევიკების ფრაქციის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციაში დროებითი მთავრობა მკვეთრად იყო დახასიათებული. ნათქვამი იყო, რომ მას არ ძალუძს იხსნას ქვეყანა ნგრევისაგან და მისცეს მშრომელებს ზავი. რეზოლუცია ამხელდა „სოციალისტ“ მენშევიკებს, რომელთაც თავისი ავტორიტეტით დაფარეს კონტრრევოლუციური მთავრობა. აღნიშნავდა რა ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკის სრულ კრახს, ბოლშევიკების რეზოლუცია წინადადებას იძლეოდა ძალაუფლება გადასცემოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად-რუსეთის საბჭოს.

რა დაუპირისპირეს მენშევიკებმა და ესერებმა ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკას? ყრილობის მიერ მიღებულ ესერულ-მენშევიკურ რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„მთელი ძალაუფლების გადასვლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში რუსეთის რევოლუციის ახლანდელ პერიოდში საგრძნობად შეასუსტებდა მის ძალებს, ნაადრევად ჩამოაშორებდა მას იმ ელემენტებს, რომელთაც შეუძლიათ კიდევ გაუწიონ მას სამსახური, და რევოლუციის დამარცხების მუქარას შექმნიდა“².

საბჭოების პირველმა ყრილობამ საესებით ცხადჰყო, თუ რა დიდი უფსკრულია პროლეტარიატის რევოლუციურ პარტიასა — ბოლშევიკებსა — და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებს — მენშევიკებსა და ესერებს შორის. ეს უკანასკნელნი რევოლუციის დამთავრებულად სთვლიდნენ. ბურჟუაზიის ხელში ძალაუფლების გადასვლის იქით წასვლა მათ არ სურდათ, და არც შეეძლოთ, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა მათს ინტერესებს. ამის შესახებ არაორაზროვნად განაცხადა ყრილობაზე მენშევიკმა დანიმ, რომელიც სხვებთან ერთად გამოვიდა ლენინის მიერ წამოყენებული პროგრამის კრიტიკით.

„ჩვენ რომ ამჟამად, — სთქვა მან, — საესებით სოციალისტური სამინისტრო გვქონდეს, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ სამინისტროს ბურჟუაზიული რევოლუციური დემოკრატიის პოლიტიკის გარდა სხვა პოლიტიკის წარმოება არ შეუძლია. და ეს ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მაშინაც, როცა ჩვენ ხელში ჩაგვივარდება ძალაუფლება, თუ ეს მოხდება“³.



დენის გამოსვლა კუდილოვის კახანაში პეტროგრადში 1917 წელს.

ი. ი. ბოლდუკოს სურათიდან.

რევოლუციის საბედნიეროთ ეს არ მოხდა; ძალაუფლება დანს არ ჩავარდნია ხელში.

ლენინის მეორე შესანიშნავი გამოსვლა ყრილობაზე შეეხებოდა ომისა და ზავის საკითხს. ლენინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლური, ე. ი. მაქანკლური, პოლიტიკის თვალთმაქცობა ომისა და ზავის საკითხებში. მოაგონა რა ყრილობას პეტროგრადის საბჭოს 14 მარტის მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ნუ ვახდებით მტაცებლობისა და ძალადობის იარაღად მეფეებისა, მემამულეებისა და ბანკირების ხელშიო“, ლენინმა მიუთითა:

„თუ თქვენ ამბობთ: „ნუ ვახდებით იარაღად თქვენი ბანკირების ხელშიო“, ხოლო საკუთარი ბანკირები სამინისტროში შეგყავთ და სოციალისტ-მინისტრების გვერდით აჯენთ, თქვენ ყველა თქვენს მოწოდებას არარად აქცევთ, მთელს თქვენს პოლიტიკას სინამდვილეში უარყოფთ...“¹.

„თქვენ გამოუვალ წინააღმდეგობებში გაიხლართეთ, — ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი თავისი სიტყვის მეორე ადგილას. — თქვენ სხვა ხალხებს ურჩევთ: „ძირს ანექსიები“, შინ კი მათ აწესებთ. სხვა ხალხებს ეუბნებით: „ბანკირები დაამხეთ“, საკუთარ ბანკირებს კი არ ამბობთ“².

ყრილობის უმრავლესობის დამოკიდებულებამ მთავარი საკითხისადმი ძალაუფლების ორგანიზაციის შესახებ წინასწარ გადაწყვეტა ყველა დანარჩენი საკითხიც. დატოვა რა ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში, ყრილობამ მით თავის ნახევრულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა წოლამდე დაიყვანა.

ძირითად საკითხებზე ბოლშევიკებს შეჰქონდათ და იცავდნენ თავის წინადადებებს, ჰქმნიდნენ რა პლატფორმას მასების მობილიზაციისათვის რევოლუციური ბრძოლის გასაჩაღებლად. ესერ-მენშევიკთა „ბელადებისა“ და საბჭოების ყრილობისათვის გვერდის ავლით ბოლშევიკები მიმართავდნენ მასებს. ლენინის სიტყვებისა და ბოლშევიკურ რეზოლუციების გამოძახილი მშრომელთა ღრმა ფენებში იჭრებოდა, აღანთებდა მათ აღშფოთებით მჩაგვრელების წინააღმდეგ და წარმატებით უწყობდა ხელს მუშათა კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებას.

მასებზე პარტიის გავლენის ზრდის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა იენინის დემონსტრაცია, რომელიც ყრილობის დღეებში ჩატარდა.

5.

იენინის დემონსტრაცია.

იენინის დემონსტრაცია, ისე როგორც აპრილის, სტიქიურად იზრდებოდა. მაგრამ ბოლშევიკებს, ამ დროისათვის უკვე ჰქონდათ მტკიცე დასაყრდენი პუნქტები პეტროგრადის მუშათა მასებში. აპრილის დემონსტრაციისაგან განსხვავებით იენინში ბოლშევიკებს უკვე შეეძლოთ სტიქიურად მზარდი უკმაყოფილება ორგანიზებული ბრძოლის კალაპოტში მოექციათ. აფორმებდა და აღრმავებდა რა მოძრაობას, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა

დანიშნა მშვიდობიანი დემონსტრაცია 10 ივნისისათვის. დემონსტრაცია უნდა გააძლიეროს ბოლშევიკური ლოზუნგებით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, „ძირს 10 მინისტრი-კაპიტალისტი“, „მეშათა კონტროლი წარმოებაზე“, „პუ-რი, ზავი, თავისუფლება“. ამ მშვიდობიან დემონსტრაციას საბჭოების ყრილობის წინ უნდა გამოეყვლინებინა პეტროგრადის, მუშათა და ჯარისკაცთა ნებისყოფა; რომლებიც მოითხოვდნენ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემას საბჭოების ხელში.

მასებრს აუღლებდა გააძლიერა დროებითი მთავრობის განკარგულებამ მეფის ყოფილი უმაღლესი მოხელის დურნოვოს აგარაკიდან ანარქისტების გამოსახლების შესახებ. დროებითი მთავრობის ბრძანება გავარეარებულ ნიადაგზე დაეცა — ანარქისტებს ეკავათ შენობის მხოლოდ ნაწილი, მისი დიდი ნაწილი კი წითელგვარდიელებსა და პროფკავშირებს ეკირათ. ეიზნოვრის რაიონის მუშები, სადაც დურნოვოს აგარაკი იყო, ამოძრავდნენ. მათ დროებითი მთავრობის მოქმედებაში დაინახეს პირდაპირი დაცვა ყოფილი მინისტრებისა. რომლებიც თვითმპყრობელობის მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით განირჩეოდნენ. აღშფოთება იზრდებოდა და რაიონიდან რაიონში გადადიოდა. მოსალოდნელი იყო, რომ დემონსტრაცია გადაიქცეოდა გრანდიოზულ პროტესტად შემთანხმებელთა წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერდნენ დროებით მთავრობას, ძირს გამოუთხრიდა მათ მიმართ ყოველგვარ ნდობას პეტროგრადის პროლეტარიატის მხრით ან აიძულებდა მათ დამდგარიყვნენ მტკიცე რევოლუციური პოლიტიკის გზაზე.

შემთანხმებლური პარტიების ლიდერებმა, გაიგეს რა გამოსვლის მზადება, ასტეხეს ყვირილი ბოლშევიკურ შეთქმულებაზე. მათ საბჭოების ყრილობაზე განაცხადეს, რომ ბოლშევიკური დემონსტრაციის გამოყენება სურთ კონტრ-რევოლუციონერებს და გაატარეს ყრილობის დადგენილება დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ. ბოლშევიკებს, თუ ისინი ქუჩაში გამოსვლას გაბედავდნენ, სასტიკად ემუქრებოდნენ, თვით საბჭოებიდან განდევნითაც კი.

მაგრამ მალე გამოიჩვეა ნამდვილი მიზეზები, რომელთა გამო აკრძალული იყო დემონსტრაცია. 11 ივნისს შესდგა საბჭოების ყრილობის პრეზიდიუმისა და პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და ყრილობის ყველა ფრაქციის ბიუროების გაერთიანებული სხდომა. სხდომა გადაიქცა ბოლშევიკური პარტიის გასამართლებად. მენშევიკმა დანმა, რომელიც მეთაურობდა დემონსტრაციის საკითხის გამომკვლევ სპეციალურ კომისიას, შეიტანა ბოლშევიკების დამგომბი რეზოლუცია:

„ბოლშევიკური ცენტრების ცდა გამოეყენებინათ მშრომელთა ფართო მასების უკმაყოფილება და მღელვარება, წარმოშობილი მძიმე ეკონომიურ კრიზისის ნიადაგზე. 9 ივნისის დემონსტრაციის მოსაწყობად დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ლოზუნგით, იყო პოლიტიკური ავანტურა, რომლის შედეგებს სავსებით მიიღებდა მხედველობაში თავის სასარგებლოდ კონტრრევოლუცია“¹.

დანმა კვლავ განაცხადა, რომ დემონსტრაციის მოხსნის მიზეზი იყო სწორედ კონტრრევოლუციის მისწრაფება გამოეყენებინა მუშებისა და ჯარისკაცების გამოსვლა ქუჩაშიო. მაგრამ არაფერს არ მოუყვანია რაიმე მონაცემი ან ფაქტი, რომელიც დაადასტურებდა ამ განცხადებას. ყველა ერთხმად იმეორებდა, რომ ბოლშევიკები საბჭოების ყრილობის ზურგს უკან ამზადებენ შეთქმულებას და იარაღდებიან საბრძოლო გამოსვლისთვისო.


დემონსტრაციის აკრძალვის ნამდვილი მიზეზი სიფიცხის დროს გამოააშკარავა მენშევიკმა წერეთელმა:

„დანის რეზოლუცია არ ვარგა. ახლა ასეთი რეზოლუციები როდია საჭირო. ის, რაც მოხდა, სხვა არაფერია, თუ არ, შეთქმულება, შეთქმულება მთავრობის დასამზობად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ბოლშევიკების მიერ, რომელთაც იციან, რომ სხვა გზით ამ ძალაუფლებას ისინი ვერასოდეს ვერ ელირსებიან... დაე გვაპატიონ. ბოლშევიკებმა, ახლა ჩვენ ბრძოლის სხვა მეთოდებზე გადავალთ. იმ რევოლუციონერებს, რომელთაც არ შეუძლიათ ღირსეულად დაიჭირონ თავის ხელში იარაღი, ეს იარაღი უნდა წაერთვათ. ბოლშევიკები უნდა განვაიარალოთ... არ შეიძლება დავტოვოთ მათ ხელში ტყვიამფრქვევები და იარაღი. შეთქმულებებს ჩვენ არ დავუშვებთ“¹.

წერეთლის კონტრრევოლუციურმა სიტყვამ ცხადპყო წვრილბურჟუაზიული პარტიების სრული უფნარობა დამოუკიდებელი პოლიტიკისათვის და აშკარა შიში რევოლუციური პროლეტარიატის გამოსვლის წინაშე. გულისწყრომა — ცუდი მრჩეველია: წერეთელმა გაწიწმატებისას წამოაყრანტალა, რომ ესერმებში შეიკები ამზადებენ სრული ძალაუფლების გადაცემას კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისათვის, სწმენდენ გზას ისეთი სამხედრო დიქტატურისათვის, როგორც იყო გენერალ კავენიაკის დიქტატურა საფრანგეთში. ლენინი იმავე ხანებში ამის შესახებ სწერდა:

„არა წერეთელი ან ჩერნოვი პირადად და თუნდაც არა კერენსკი მოწოდებულია შეასრულოს კავენიაკის როლი — ამისათვის სხვა ადამიანები გამოიხატებიან, რომლებიც სათანადო მომენტში რუსეთის ლუი ბლანებს ეტყვიან: „ჩამოდექით“, — მაგრამ წერეთელი და ჩერნოვი ისეთი წვრილბურჟუაზიული პოლიტიკის ბელადები არიან, რომელიც შესაძლებელს და აუცილებელს ხდის კავენიაკების გამოჩენას... ვინაიდან კავენიაკი შემთხვევითი მოვლენა როდია — მისი „მოსვლა“ ერთეული მომენტი როდია. კავენიაკი კლასის (კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის) წარმომადგენელია. მისი პოლიტიკის გამტარებელი. სწორედ ამ კლასს, სწორედ ამ პოლიტიკას თქვენ ამჟამად უკვე უკერო მხარს, ბატონო ესერებო და მენშევიკებო!“².

დადგენილება დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ გამოითანა საბჭოების ყრილობამ, რომელიც საბჭოების უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა. მიიღო რა ეს მხედველობაში, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაემორჩილა ყრილობის დადგენილებას და მოხსნა 10 ივნისისათვის დანიშნული დე-



იენისის მუშათა დემონსტრაცია პეტროგრადში.

მონსტრაცია. მაგრამ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება ძნელი იყო, რადგან დადგენილება მოხსნის შესახებ მიღებულ იქნა წინააღმდეგ ვიან ლამით. მაგრამ ბოლშევიკებმა შესძლეს მასების შეკავება ქუჩაში გამოსვლისაგან. ეს იყო რთული და ძნელი მანევრის ცხოვრებაში გატარების პირველი გამოცდილება: უკანდახევის მოწყობა იმ პირობებში, როცა მასების სტიქიური უკმაყოფილება ნაპირებზე გადმოხეთქს.

ესერ-მენშევიკებმა მოხსნეს ბოლშევიკური დემონსტრაცია, მაგრამ მათ ვერ მოსპეს ის მიზეზები, რომლებიც მასებს გამოსვლისაკენ ერეკებოდა. ყრილობის დელეგატები, იყვნენ რა ქარხნებსა და პოლკებში, ყველგან ამჩნევდნენ მუშებსა და ჯარისკაცებს შორის დრტყინვასა და ძალების მძაფრ დუღილს, აღშფოთებას, რომელიც საცაა გადმოხეთქავდა.

როცა დელეგატებმა თავის შთაბეჭდილებებზე ილაპარაკეს, საბჭოების ყრილობამ დაადგინა დაინიშნოს 18 იენისისათვის მანიფესტაცია, რათა მიეცა მასების განწყობილებისათვის გამოსავალი და ცდილიყო წაეყვანა ისინი შემთანხმებულური ლოზუნგებით. გარდა ამისა ესერ-მენშევიკებს უნდოდათ შეჯიბრებოდნენ თავისი ძალებით ბოლშევიკებს და იმედი ჰქონდათ, რომ მანიფესტაციას თავის ხელში აიღებდნენ.


თვრამეტი იენისი შემთხვევით როდი იყო არჩეული მანიფესტაციისათვის. წერილობრივუხიულმა ლიდერებმა იცოდნენ, რომ ამ დღეს იწყებოდა შეტევა ფრონტზე. ყრილობისადმი ნდობის მანიფესტაციას უნდა მოეწონებინა ფრონტზე შეტევა.

მაგრამ შემთხვევები მოსტყუდნენ. 18 ივნისს ქუჩებში გამოვიდა ხუთასათასამდე მუშა და ჯარისკაცი. ქალაქის ყველა კუთხიდან გაემართნენ ცენტრისაკენ დემონსტრაციები წითელი დროშებითა და რევოლუციური პლაკატებით. დემონსტრანტთა დიდი უმრავლესობა ბოლშევიკური ლოზუნგებით მიდიოდა. მხოლოდ აქა-იქ მოსჩანდა განცალკევებით პლაკატები დროებითი მთავრობისადმი ნდობის გამოხატვით. მათ სტვენითა და სიცილით ხედებოდნენ, და მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც „ნდობით“ მიდიოდნენ, ჩქარობდნენ რაც შეიძლება მალე გაეელოთ.

დემონსტრაციამ გააძაბვერა საზოგადოებრივი ცილისწამება ბოლშევიკების შეთქმულებაზე. რა შეთქმულებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ქუჩებში თავისი ნებისყოფის გამოსავლინებლად მთელი რევოლუციური პეტროგრადი გამოვიდა? ცხადი იყო, ვინ ვის უპერდა მხარს: „მთავრობისადმი ნდობას“ მხარს უპერდნენ მცირერიცხოვანი ჯგუფები დემონსტრანტებისა, რომლებიც ერთი-ერთმანეთს ეკვროდნენ, ბოლშევიკურ ლოზუნგებს კი—ასი ათასობით მუშათა მასები.

სტალინმა ასე ასწერა ეს დემონსტრაცია:

„თავისებურება, რომელიც თვალში გეცემათ: არცერთმა ქარხანამ, არცერთმა ფაბრიკამ, არცერთმა პოლკმა არ წამოაყენა „დროებითი მთავრობისადმი ნდობის“ ლოზუნგი. მენშევიკებსა და ესერებსაც კი და ავიწყდათ (უფრო სწორად — ვერ გაბედეს) წამოყენებინათ ეს ლოზუნგი. მათ



რევოლუციური მუშაურების დემონსტრაცია პეტროგრადში ივნისის დღეებში.

ყველაფერი ჰქონდათ, რაც გნებავთ: „ძირს გათიშვა“, „ერთიანობისათვის“, „მხარდაჭერა საბჭოს“, „საყოველთაო სწავლებისათვის“ (არ მოგწონს — ნუ მოისმენ), — არ იყო მხოლოდ მთავარი: არ იყო დროებითი მთავრობისადმი ნდობა თუნდაც ეშმაკური შენიშვნით — „იმდენად, რამდენადაც“. მხოლოდ სამმა ჯგუფმა გაბედა წამოეყენებინა ჩლობის ლოზუნგი, მაგრამ მათაც სანანებლად გაუსდათ. ესენია — კაზაკთა ჯგუფი. „ბუნდის“ ჯგუფი და პლუხანოვის „ერთიანობის“ ჯგუფი. „წინდა სამება!“ ოხუნჯოდნენ მუშები მარსის მინდორზე. ორი მათგანი მუშებმა აიძულეს დაეკეცათ დროშა („ბუნდი და „ერთიანობა“) „ძირს“ ძახილისას. კაზაკებს, რომლებიც არ დათანხმდნენ დაეკეცათ დროშა. დაუხიეს იგი. ხოლო ერთი უსახელო დროშა „ნდობით“, რომელიც „ჰაერში“ იყო გამოკიდებული მარსის მინდორზე შესავლის გასწვრივ, მოსპო ჯარისკაცთა და მუშათა ჯგუფმა. რასაც ხალხი მოწონების წამოძახილებით შეხვდა: „დროებითი მთავრობისადმი ნდობა ჰაერში ჩამოეკიდა“¹.

მოკლედ — უნდობლობა მთავრობისადმი დემონსტრანტების დიდი უმრავლესობის მხრივ იმ დროს, როდესაც მენშევიკებმა და ესერებმა გამოიჩინეს აშკარა სიმსდალე „მდინარების წინააღმდეგ“ გამოსვლაში — ასეთია დემონსტრაციის საერთო ტონი.

დემონსტრაციამ გამოამჟღავნა ბოლშევიკური პარტიის გავლენის უდიდესი ზრდა. მასებს მარტო ბოლშევიკური დროშები კი არ მიჰქონდათ, ისინი მხარს უჭერდნენ ბოლშევიკურ ლოზუნგებსაც.

ათასობით მუშები აშკარად აღიარებდნენ თავს ბოლშევიკებად.

შემთანხმებლებს არ შეეძლოთ დაემაღათ თავისი დამარცხება.

მენშევიკების ცენტრალური ორგანო აცხადებდა, რომ იმედი ჰქონდათ ჩეტარებიანთ საბჭოებისა და დროებითი მთავრობისადმი ნდობის მანიფესტაცია, ნამდვილად კი

„18 ივნისის მანიფესტაცია გადაიქცა დროებითი მთავრობისადმი უნდობლობის მანიფესტაციად...“

გარეგნულად 18 ივნისის მანიფესტაცია შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. გეგონებოდათ, რომ რევოლუციური პეტროგრადი დაშორდა საბჭოების სრულიად-რუსეთის ყრილობას. რამდენიმე დღის... წინათ ყრილობამ ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობას.

თვრამეტ ივნისს რევოლუციურმა პეტროგრადმა თითქოს იმავე დროებით მთავრობას თავისი სრული უნდობლობა გამოუცხადა“².

მთელმა ბურჟუაზიულმა და მენშევიკურმა პრესამ აღიარა წერილობურყუაზიულ შემთანხმებელთა დამარცხება პეტროგრადის პროლეტარიატის თვალში.

ყველა ერთხმად ლაპარაკობდა ბოლშევიკების გამარჯვებაზე: მენშევიკები და ესერები — მწუხარებით, კადეტები — შეშფოთებით, მონარქისტები — ნიშნის მოგებით.

„კვირის დემონსტრაციამ ცხადყო „ბოლშევიზმის“ სრული გამარჯვება პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონში“¹ —

ასე შეაჯამა მთელი დაკვირვება მემარცხენე-მენშევიკურმა „ნოვიაა ჟიზნმა“.

მაგრამ განსაკუთრებული შემფოთება გამოიწვია დემონსტრაციამ ბურჟუაზიის წრეში.

6.

რუსეთის ჯარების შებენა ფრონტზე.

ბურჟუაზია ნერვულად ადევნებდა თვალყურს შემთანხმებელთა მოქმედებას. იგი უკვე დიდხანია გრძნობდა ნიადაგის შერყევას მათ ფეხთქვეშ. კადეტები, ბურჟუაზიისა და მემამულეების ხელმძღვანელი პარტია, სულ უფროდაუფრო დაღვრემილად უყურებდნენ თავისი „მოკავშირეების“ — ესერებისა და მენშევიკების — გავლენის დაცემას. რეაქცია გამალებით იგონებდა ახალ მეთოდებს მასების შესანარჩუნებლად თავის მხარეზე. ასეთი საშუალება ბურჟუაზიისა და მისი წვრილბურჟუაზიული მოკავშირეების საერთო აზრით უნდა ყოფილიყო შეტევა ფრონტზე. კადეტების ანგარიში მეტად მარტივი იყო: შემთანხმებელთა დახმარებით წაეყვანათ არმია შეტევაზე. ომის განგრძობა აუცილებლად განიწვევდა მხედრობის გაძლიერებას. ამით ისპობოდა ორძალაუფლებიანობა, და მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა. წარმატებებს ფრონტზე უნდა გამოეწვია პატრიოტიზმის (ახალი ტალღა და გაძლიერებინა ობორონტული განწყობილება. ომის გრიალში შეიძლებოდა გადაედოთ, ხოლო შემდეგ სრულიად მოეხსნათ რევოლუციის მწვავე საკითხები — მიწის შესახებ, მუშათა მდგომარეობის შესახებ.

კონტრრევოლუცია თავს იმართლებდა იმით, რომ აუცილებელია მთელი ძალღონის გარეშე მტერთან საბრძოლველად წარმართვაო და ამით შესაძლებლობას ლებულობდა გადასულიყო ძალადობასა, დაპატიმრებასა და დახვერტაზე იმით მიმართ, ვინც ომის წინააღმდეგ ეწეოდა აგიტაციას.

ფრონტზე შეტევა დამარცხების შემთხვევაშიც იძლეოდა ნაყოფს ბურჟუაზიისათვის. დამარცხებისას შეიძლებოდა მთელი დანაშაული თავს მოეხვიათ ბოლშევიკებისათვის.

აქტიურ მოქმედებას მოითხოვდნენ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებიც. მათ უკვე დიდხანია შეიგნეს, რომ რუსეთს არ შეუძლია ომის განგრძობა. შემთხვევით როდი გამოვიდა ამერიკა გერმანიის წინააღმდეგ მაშინვე, როგორც კი თებერვლის რევოლუცია მოხდა: შეერთებული შტატების ჯარისკაცებს უნდა შეეცვალათ რუსეთის განაწამები არმიები. მაგრამ ჯარების გადასროლისათვის საჭირო იყო დრო, მანამდე კი ძალა უნდა დაეტანებინათ რუსებისთვის, რომ გერმანიის რაც შეიძლება მეტი კორპუსები მიეზიდნათ თავის ფრონტზე, უნდა

„შეეკავებინათ ყოველგვარი ღონისძიებით რუსეთის ჯარების თუნდაც ხაწილი, რათა არ მიეცათ გერმანიისათვის ყველა თავისი არმიის დასაყლეთში გადასროლის საშუალება“¹,

როგორც თავის მოგონებებში ამბობს ინგლისის წარმომადგენელი უმაღლესი სარდლობის ბანაკთან გენერალი ნოქსი.

იმპერიალისტების პრესა ყოველდღიურად დაეინებით მოითხოვდა შეტევას. დიპლომატები განუწყვეტლივ დადიოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროში და დაეინებით მოითხოვდნენ საბრძოლო მოქმედებას. ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან ჩამოდიოდნენ სოციალ-დემოკრატიის დელეგაციები, რათა ჩაეგონებინათ რუსეთის ხალხისათვის „შეესრულებინა თავისი მოვალეობა“. ჰენდერსონი, ტომასი, ტომა, საერთაშორისო შემთანხმებლობის გამოჩენილი წარმომადგენლები, მოგზაურობდნენ ფრონტზე, დადიოდნენ ყაზარმებსა და ფაბრიკებში, რათა „რევოლუციის სახელით“ დაერწმუნებინათ განეგრძოთ ომი.

1917 წლის 16 მაისს ფრანგულ გაზეთში „Information“ დაიბეჭდა ცნობა, რომ ამერიკა თანახმაა მისცეს რუსებს დიდი სესხი „სამავიერო გარანტიების“ პირობებით.

„აქედან დაასკვნიან, — სწერდა გაზეთი, — რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთისათვის გაგზავნილი საიდუმლო ნოტა მოითხოვს სეპარატიულ ზავზე უარის თქმის გარანტიებს და სრული მოცულობით თანამშრომლობის დაპირებას. ფიქრობენ, რომ ასეთი კონკრეტული გარანტია რუსეთის მხრით გათვალისწინებულია რუსეთის ფრონტზე შეტევის დაწყების სახით“².


იმპერიალისტებს უნდოდათ ეყიდნათ რუსეთის არმია. როგორც ყიდულობენ საკლავ პირუტყვს. რუსეთის ნახევრადკოლონიური დამოკიდებულება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა, ვიდრე უფროს დროს.

უკმაყოფილების ზრდამ მასებში და ხმებმა განზრახული დემონსტრაციის შესახებ დააჩქარეს შეტევის მოწყობა ფრონტზე. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ფულით გროვდებოდა ყუმბარების, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების მარაგი. სასწრაფოდ გადაჰყავდათ საიმედო ნაწილები დამკვერულ პუნქტებზე.

ესერ-მენშევიკთა აგიტატორებმა ააყეს ფრონტი. ისინი მიმართავდნენ ჩაგონებასა და მუქარას, დაპირებასა და მოტყუებას და მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს „რევოლუციის სახელით“ დაეწყათ შეტევა. თუ სანამდე მიდიოდა მოტყუება, ეს სჩანს ერთი მაგალითიდან, რომელიც ნამბობია ფინეთის მე-9 პოლკის ჯარისკაცის მიერ.

პოლკი დიდხანს ვერ დაიყოლიეს. მაგრამ აი მოვიდა გვარდიის კორპუსის დელეგაცია და გვარდიის ყველა პოლკის სახელით განაცხადა, რომ ისინი ფინელთა წინააღმდეგ მოაბრუნებენ ხიშტებს, თუ უარს იტყვიან გამოსვლაზე.

ჯარისკაცებში სასოწარკვეთილება გამოიწვია ცნობამ, რომ ისინი მარტო-



რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლები აგონებენ ჯარისკაცებს ფრონტზე დაიწყონ შეტევა.

ნი არიან. ოფიცრებისა და მოსული დელეგაციის ზემოქმედებით პოლკმა თავისი სურვილის წინააღმდეგ ასწია ხელი შეტევის სასარგებლოდ.

ფინეთის პოლკის ჯარისკაცის სიტყვით

„საარტილერიო მომზადება შეტევისათვის ბრწყინვალედ ჩატარდა. მტრის შავთულის ხლართი მოსპობილ იქნა, და ჩვენი პოლკი მცირე დანაკლისით შეიჭრა გერმანელთა ნახევრადდანგრეულ სანგრების პირველ ხაზში. თავდაცვის მეორე და მესამე ხაზები ბრძოლით იქნა აღებული. კონტრიერიში ძვირად დაუჯდათ გერმანელებს. ახოვან გერმანელ ჭაბუკთა და ახალზარდა შამაკათა ორასამდე გვამი ბადეებით ტანზე და გახსნილი მუნდირებით პირღანჯობილი ეყარა სხვადასხვა პოზაში.

მესამე ხაზს იქით ჩვენი შარები გაწვენენ და მოითხოვეს შემცვლელნი, რადგან ჯერ კიდევ მიტინგზე გვარდიის ერთერთმა დელეგატმა განაცხადა, რომ გვარდია შეგვეცვლიდა, როგორც კი გავარდევით გერმანელთა თავდაცვის ხაზებს. გენერლების ყველა ღონისძიება გადაეყვანეთ შემდგომ შეტევაზე უშედეგო აღმოჩნდა. ფინეთის მე-6 პოლკმა განაცხადა, რომ თავისი პირობა შეასრულა და ჯელის შემცვლელ გვარდიას. რადგან შეცვლა ქიანურდებოდა, ჯარისკაცებმა და პოლკის კომიტეტის იმ ნაწილმა, რომელიც ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა, გამოჰყვეს დელეგაცია გვარდიის კორპუსის ნაწილებში.

როგორი იყო ჩვენი გაბოროტება და გაცოფება, როცა გავიგეთ, რომ

გვარდიის კორპუსის ჯარისკაცები არც კი ფიქრობდნენ შეტევას, რომ მათაც ისევე ემუქრებოდათ ფინეთის მსროლელებით, როგორც ჩვენ — გვარდიელებით. ხოლო დელეგაცია, რომელიც ჩვენთან იყო, კორპუსის კომიტეტის მენშევიკური ჯგუფი აღმოჩნდა, და ამ კომიტეტს არცერთი ჯარისკაცი-გვარდიელი ანგარიშს არ უწევს, რადგან ფაქტიურად მთელი კორპუსს ხელმძღვანელობს დივიზიის ერთერთი ბოლშევიკურად განწყობილი კომიტეტი. ჩვენ ყოვლად უსინდისოდ მოგვატყუეს“¹.

შეტევის გეგმა დამუშავებული იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე. 1916 წლის 17 და 18 დეკემბერს უმაღლესი სარდლობის ბანაკში შესდგა ფრონტების სარდლების თათბირი. რომელთაც წარადგინეს შეტევის თავისი სქემები. მაშინვე გასცა ნიკოლოზ II ბრძანება დაეწყოთ გაზაფხულზე შეტევა

„და მთავარი დარტყმა მოეხდინათ მე-11 და მე-7 არმიების რაიონიდან ლეოვის მიმართულებით და მეორეხარისხოვანი შეტევები ეწარმოებინათ დანარჩენ ფრონტებზე“².

დროებითი მთავრობის გენერლებმა ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებითაც კი არ შეიწყუხეს თავი: მათ აიღეს და მეფის ძველი გეგმა გამოიყენეს. აქაც ისე როგორც ყველაფერში, დროებითი მთავრობა მემკვიდროებით განაგრძობდა თვითმპყრობელობის უნიკო პოლიტიკას.

თავდაპირველად შეტევა განზრახული იყო 10 ივნისისათვის. მაგრამ ანდროს საბჭოების ყრილობა მიჰდინარეობდა. საჭირო იყო ავანტურის დაფარვა: ობორონტების თანხმობით. კერენსკიმ ითხოვა შეტევის გადადება, სანამ იგი მოწონების რეზოლუციას არ მიიღებდა. უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან უპასუხეს თანხმობით გადადებულ იყო შეტევა ორი დღით და არა მეტი ხნით. ვინაიდან „მოწინააღმდეგე უკვე ნათლად გრძნობს მზადებას ჩვენი მხრით“³. განმარტავდა მთავარსარდალი გენერალი ბრუსილოვი.

გავიდა ორი დღე. რეზოლუცია არ სჩანდა, და გენერლებმა დაიწყეს ნერვიულობა. ბრუსილოვმა პირდაპირი მავთულით გამოიწვია 12 ივნისს კერენსკი და დაჟინებით მოითხოვა დაუყოვნებლივ ჩასულიყო. კერენსკი გართული იყო იმით. რომ ცდილობდა დაეყოლებინა ყრილობის დელეგატები, ამიტომ მოსალაპარაკებლად გაგზავნა სამხედრო სამინისტროს კაბინეტის უფროსი.

„რეზოლუცია გამოტანილი იქნება დღეს ან ხვალ, — ამშვიდებდა ეს უფროსი ბრუსილოვს, — ძალზე დაავიანა პეტროგრადის ამბებმა, სახელდობრ ბოლშევიკების გამოსვლამ... ჩვენთან უკვე იყო ნაწილების ბევრი დელეგაცია ფრონტიდან... ყოველ ამ დელეგაციას მინისტრმა განუმარტა, რომ მათი უფროსების ბრძანებანი უსიტყვოდ უნდა შესრულდეს... ყველას ისინი გაემგზავრნენ საერთოდ კმაყოფილნი, მაგრამ ეს გვიჩვენებს, რომ საქმის სიმტკიცისათვის თვით მინისტრის ჩასვლა იქ ადგილზე ჯარისკაცთა და მუშათა რეზოლუციით, გლებთა ყრილობის რეზოლუციის დამატებით, სრულიად აუცილებელია“⁴.

კერენსკი გაემგზავრა ფრონტზე და თან წაიღო კრილობის რეზოლუცია, რომელიც იწონებდა ომის განგრძობას.

შეტევა დაიწყო 18 ივნისს.

პეტროგრადში ათასობით მუშები და ჯარისკაცები მრისხანედ დადიოდნენ ქუჩებში ზაეის მოთხოვნით, ხოლო ფრონტზე ასიათასობით ეგებებოდნენ სიკვდილს.

პეტროგრადში პროლეტარული მასები ხმას აძლევდნენ დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, ფრონტზე კი ათასობით ადამიანები ილუპებოდნენ ამავე მთავრობის ბრძანებით და მისი გულისათვის.

რევოლუციური დედაქალაქის ქუჩებში მუშები ხევდნენ „მთავრობისადმი ნდობის“ დროშებს, ფრონტზე კი ამავე დროშებით სკდებოდა ყუმბარები, რომლებიც ქვეყნის საუკეთესო მშრომელებს ათასობით ასახიჩრებდნენ და სიცოცხლეს უსპობდნენ.

შეტევა ავსტრია-გერმანიის არმიების წინააღმდეგ დაიწყო 70 კილომეტრიან ფრონტზე, სოფელ ზღვიეინოსა და ტოპელიხას შუა, სადაც თავი მოუყარეს 312 ბატალიონს — 300 ათასამდე ჯარისკაცს. აქვე მიიტანეს 800-დე მსუბუქი ზარბაზანი და 500-ზე მეტი საშუალო და მძიმე ზარბაზანი. ორი დღის საარტილერიო მომზადების შემდეგ ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე. მე-7 არმიამ დაიკავა ჰტრის სანჯრები. მაგრამ უნიკო გენერლებმა ვერ გამოიყენეს წარმატება. დამხმარე ძალები სადღაც გაეჩხირნენ, ნელა ახლოვდებოდნენ. მო-



საურანგეთის ბურჟუაზიის აგენტი „სოციალისტი“-მინისტრი ალბერტ კომ-აგიტაციას ეწევა რუსეთის ფრონტზე შეტევის ხასარტყვად.

წინააღმდეგემ დრო მოიგო, ძალები დააგროვა და აიძულა რუსები უკან დაეხიათ.

მე-11 არმიის ფრონტზედაც იგივე სურათი განმეორდა. პოლკებმა, დაიკავეს რა სანგრები, არ იცოდნენ რა ეკეთებინათ შემდეგ. არმიის გეგმა არ იყო ხეაზარაუდოვანი გამარჯვებისათვის. ნაწილები ერთ ადგილს სტკეპნიდნენ. დრო მიდიოდა, მოწინააღმდეგე ძლიერდებოდა და კონტრშეტევაზე გადმოდიოდა.

გონებააღმდეგ გენერლებისათვის სრულიად მოულოდნელად 25 ივნისს დაიწყო მე-8 არმიის წარმატებითი შეტევა. უმაღლესი სარდლობის ბანაკმა გადასწყვიტა ბრძოლების პროცესში შეეცვალა შეტევის გეგმა, გადაისროლა რა. მე-7 არმიის შემავსებელი ნაწილები მე-8 არმიაში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გაბედული მანევრი აღემატებოდა ძველი გენერლების ნიქს. ბრძანებები იწერებოდა დაუსრულებლად დიდხანს. კიდევ უფრო დიდხანს ეძებდნენ საჭირო ნაწილებს, ხოლო როცა, ბოლოს, გამონახეს, მოწინააღმდეგემ 6 ივლისს გამანადგურებელი კონტრდარტყმით უპასუხა.

კერენსკი — ბრუსილოვის ნაჩქარევად მომზადებული, მოტყუებასა და ეშმაკობაზე აგებული შეტევა ჩაიშალა. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ გამოაშკარავდა მთელი წინააღმდეგობა ჯარისკაცთა მასასა და მეთაურთა ბურჟუაზიულ შემადგენლობას შორის. ხელოვნურად შექმნილი საბრძოლო სწრაფვა დიშორიდა და ნაწილები, რომლებიც ძალითა და მოტყუებით გარეკეს შეტევაზე, გამოიქცნენ უკან, ზურგისაკენ.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის არმიებმა შეტევის ათი დღის განმავლობაში 60 ათასამდე კაცი დაჰკარგეს. ასეთი იყო კერენსკის ავანტურის სახსლიან ფასი.

მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს ამზადებდნენ შეტევას, დარტყმა არ აღმოჩნდა უზრუნველყოფილი. გეგმები არ იყო დამუშავებული. დეტალური გეგმის უქონლობისათვის კერენსკის ბრძანებით მოიხსნა ერთერთი არმიის სარდალი. ტექნიკურად შეტევა ძალზე ცუდად იყო მოწყობილი. კავკასიის II კორპუსის ფრონტზე მე-10 არმიაში 18 ჯავშნიანი ბატარიის ნაცვლად მოაწყენა მხოლოდ 3, 30 ათასი ნაბიჯი სანგრების ნაცვლად მხოლოდ 5 ათასი ამოთხარეს. იმავე არმიის I ციმბირის კორპუსში მოამზადეს დასახული სანგრების დაახლოებით მესამედი. არ იყო საკმაო რაოდენობით თოფის ვაზნები. ნაწილების სწავლება სრულიად არადაამაკმაყოფილებლად იყო ჩატარებული.

ბევრმა ჯარისკაცმა შაშვანით სროლაც კი არ იცოდა. რეზერვების გამოყენება, ნაწილების კავშირი მეტად ცუდად იყო დაყენებული.

„რა გასაკვირალია, — მწუხარებით აღიარა დროებითი მთავრობის ერთერთმა სამხედრო კომისარმა სტანკევიჩმა, — რომ ჩვენი შეტევა დამარცხებით დამთავრდა... ვანა სრული მოუმზადებლობით არ აიხსნება ჩვენი სამხედრო დამარცხებანი მოწინააღმდეგის შემოტევისას სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე?“. 1.

არმიები ტექნიკურად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ — ასე აღიარა შეტევის ერთერთმა უაღრესად აქტიურმა ორგანიზატორმა. მაგრამ ბურჟუაზიამ სხვა

შიზეზები გამონახა: იგი შეეცადა დამარცხება ბოლშევიკებისათვის დაებრალეზინა.

ჯერ კიდევ 23 ივნისს, როგორც კი მოვიდა პირველი ცნობები დამარცხების შესახებ, გენერალმა ბრუსილოვმა სასწრაფოდ უღებეშა კერენსკის:

„...მეზუთე არმიის ფრონტზე განწყობილება მეტად ცუდია.

...ნაწილები უარს ამბობენ დაიკაონ პოზიციები და კატეგორიულად ილაშქრებენ შეტევის წინააღმდეგ... ზოგიერთ პოლკში აშკარად აცხადებენ. რომ მათთვის ლენინს გარდა სხვა ავტორიტეტები არ არსებობს... ვფიქრობ, რომ გაჯანსაღება არმიაში შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ზურგი გაჯანსაღდება, როცა ბოლშევიკებისა და ლენინელების პროპაგანდა აღიარებული იქნება დანაშაულებრივად და დაისჯება როგორც სახელმწიფო ღალატი...“.

მეფის გენერალმა შეტევის საიდუმლოება გახსნა: სჯემ იყო იმდენად არა გერმანიასთან ომში, რამდენადაც რევოლუციასთან ბრძოლაში.

შეტევა ფრონტზე ჩაიშალა, ხოლო მასთან ერთად ჩაიშალა კადეტების მანევრიც. ბურჟუაზიამ გაიგო არა მარტო მასებზე შემთანხმებელთა გავლენის დაკარგვის ფაქტი, არამედ ისიც, რომ არმია ხელიდან ეცლებოდა. რევოლუციამ არმიაში ივნისის შეტევის დროისათვის მტკიცე პოზიციები მოიპოვა და რეაქციას არმიის სრული გადაბირებით ეშქრებოდა.

7.

რევოლუციის ზრდა არმიაში.

ბურჟუაზია და მისი ლაქიები უამრავი ფურცლებით ავსებდნენ ფრონტს. 150 საარმიო გაზეთი დღით-დღე არწმუნებდა ჯარისკაცებს დარჩენილიყვნენ ფრონტზე. თავდაპირველად სოციალისტ-ბორონცების დემაგოგიით გზავალ აბნეულ ჯარისკაცთა მასები პირქვეშად სდუმდნენ.

სანამ „ზეით“ გამალებული მუშაობა სწარმოებდა ძალების შესაგროვებლად მასების დუფლებისათვის, „ქვევით“ ასეთივე გამალებული პროცესი მიმდინარეობდა მასების გასანთავისუფლებად „ზედაფენებისადმი“ ნღობისა და თვითმობტყუებისაგან. შტაბების მშრალი მოხსენებანი აღნიშნავდნენ არმიის დღით-დღე „გახრწნის“ ფაქტებს.

აი როგორ ახასიათებდნენ მდგომარეობას ფრონტების სარდალნი, რომელნიც შეიკრიბნენ სხდომაზე 1917 წლის 4 მაისს.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი გენერალი ბრუსილოვი: „ერთერთმა პოლკმა განაცხადა, რომ იგი არა მარტო უარს ამბობს შეტევაზე, არამედ სურს დასტოვოს ფრონტი და წავიდეს შინ. კომიტეტებმა გაილაშქრეს ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ, მაგრამ მათ განუცხადეს, რომ გადააყენებენ. მე დიდხანს ვარწმუნებდი პოლკს, და როცა ვკითხე, მეთანხმებიან თუ არა, მთხოვეს ნებართვა მოეცათ წერილობითი პასუხი. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს წინაშე გამოჩნდა პლაკატი: „ზაფი რადაც

უნდა დაჯდეს, ძირს ომი...“ შედეგად მე მომცეს სიტყვა, რომ დარჩებოდნენ მამრამ შეტევაზე უარი სთქვეს და ამას ამგვარად ასაბუთებდნენ: „ჩვენი მტერი კარგია და მან გვაცნობა, რომ შეტევაზე არ გადმოვა, თუ ჩვენ არ დავიწყებთ შეტევას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია შინ დაბრუნება, რათა ვინაგრებლოთ თავისუფლებითა და მიწით, — რასთვისღა უნდა დავსახიჩრდეთ“ ?

გენერალი დრაგომიროვი დასძენს:

„არმიაში გაბატონებული განწყობილებაა — ზავის წყურვილი. არმიაში პოპულარობის მოპოვება ადვილად შეუძლია ყველას, ვინც იქადაგებს ზავს უანექსიოდ და თვითგამორკვევის მინიჭებას ერებისათვის... ზავისადმი მისწრაფება იმდენად ძლიერია, რომ მოსულ იშვესებანი უარს ამბობენ იარაღის აღებაზე — „რად გვინდა, ჩვენ არ ვეიქრობთ ვიომოთო...“ ?

გენერალი შჩერბაჩევი, რუმინეთის ფრონტის სარდალი, იუწყება: „

„ოტახნის წინათ დანიშნულმა, მოვასწარი რუსეთის ყველა იმ არმიის შემოვლა, რომლებიც მე მემორჩილებიან, და შთაბეჭდილება, რომელიც მე შემომეშადა ჯარების ზნეობრივ მდგომარეობასა და მათს საბრძოლო უნარზე, ემთხვევა იმას, რაც ეს-ეს არის დაწერილებით გადმოგცეს თქვენ... მიუეთთებ მხოლოდ რუსეთის არმიის ერთერთ საუკეთესო დივიზიაზე, რომელმაც წინანდელ ჯარებში დაიმსახურა „აკინის“ დივიზიის სახელწოდება და რომელმაც ბრწყინვალედ შეინარჩუნა თავისი წინანდელი სახელი ამ ომში. ამ დივიზიამ, რომელიც აქტიურ უბანზეა დაყენებული, უარი სთქვა დაეწყო შეტევისათვის მოსამზადებელი საინჟინერო სამუშაოები, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ არ სურთ შეტევა“ ?

ჯარისკაცთა წერილების მიხედვით ადვილად შეიძლება დავინახოთ ის გეზი, რომლითაც რევოლუცია იკაფავდა გზას გამარჯვებისაკენ.

მკვეთრი გარდატეხა თვითმპყრობელები მონარქიიდან პოლიტიკური თავისუფლებისაკენ. მილიონობით ადამიანთა ჩაბმა რევოლუციურ ბრძოლაში, რომლებიც მანამდე ჩვეულებრივი ობივატელები იყვნენ, პირველ ხანებში აქმნიდა ობორონტულ განწყობილებას, რომელსაც ჯარისკაცის აზრი ტყვეობაში ჰყავდა.

„მივესალმებით და ეუერთდებით მთავარსარდლის ლოზუნგს „ომი გამარჯვებამდე“, სწერს ჯარისკაცი თებერჯლის რევოლუციის დასაწყისს, მაგრამ იქვე განაგრძობს: „ერთნი გაიცივითნენ. მეორენი კი ძველი რეჟიმის კანონსა და კაპიტალს ეფარებიან. ისინი სხედან და ნეტარებენ. ასეთები დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ ჟანდარმებსა, სტრაჟნიკებსა და პოლიციელებთან ერთად სანგრებში, ხოლო ვინც ბევრი იტანჯა, მან რუსეთში უნდა დაიკავოს მათი ადგილი“ ?

ჯარისკაცთა მარტის წერილებში უფრო ნათლად გამოსქვეავოდა იგივე აზრი, რომელიც უკვე უფრო გარკვეულ კლასობრივ ელფერს ლებულობდა:

„ჩვენ ყველანი კარგად ვგრძნობთ და გვესმის, რა გვკვირდება. ოღონდ ღმერთმა ინებოს და დავამარცხოთ გარეშე მტერი, შემდეგ კი შინაური მტრებისათვის, ე. ი. მემამულეებისათვის მოვიცლით“⁴.

იქვე ხაზგასმითაა აღნიშნული მთავარი მიზანიც: „მემამულეებისათვის მიწის ჩამორთმევა“⁵.

„ჩვენ ყველას ძალიან გვახარებს თავისუფლება, რა საშინელებაა სიკვდილი მაშინ, როცა ასეა გაღებული კარები რუსეთში.. ყოველ... ჯარისკაცს სურს ნაზოს ახლანდელი ნათელი, სასიამოვნო ცხოვრება, რომელსაც 307 წელიწადს ველოდით... მაგრამ ყველაფრის უბედურებაა: ეს სისხლისღვრა არასგზით არ წყნარდება“⁶, სჩივის მესამე.

და, ბოლოს, ფრონტიდან გამოგზავნილ აპრილის წერილში ნათქვამია:

„დაე ამ ვაჟბატონებმა იცოდნენ, თუ როგორ მოწადინებულია არმია, როგორც ერთი კაცი, იომოს სრულ გამარჯვებამდე. და დაე ამ ვაჟბატონებმა მიიღონ უაღრესად გადაწვევები ღონისძიებანი ამ საშინელი და უნაყოფო ხოცვა-ჟლეტის ლიკვიდაციისათვის და რაც შეიძლება მალე, თორემ გვიან იქნება“⁷.

ხოლო ჯარისკაცი, რომელიც მე-8 ქვეითი დივიზიის ალექსის მე-31 პოლკის დავალებით სწერდა, კონკრეტულად აღნიშნავს ვადასაც. რომლამდეც არშია დაიცდის...

„თუ კიდევ დიდხანს გასტანა, ჩვენ პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რომ 15 მაისს ფრონტს დავტოვებთ, და მაშინ დაე დაიღუპონ არა მარტო ჯარისკაცები, რომლებიც პირველ ხაზზე იმყოფებიან, არამედ მთელი რუსეთიც“⁸.

ჯარისკაცთა მასა არაჩვეულებრივად სწრაფად თავისუფლდებოდა ობორონცული ილუზიებისაგან. სამხედრო ორგანიზაციებმა, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, ხოლო შემდეგ ყველა დიდ ქალაქში შეიქმნა, კოლოსალური მუშაობა გააჩაღეს. ეყრდნობოდნენ რა პოლკებში აქა-იქ მყოფ პროლეტარებს. ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციები ჰქმნიდნენ უჯრედებს ცალკეულ ნაწილებში, ავრცელებდნენ ლიტერატურას. აწყოზბდნენ მითინგებსა და მოხსენებებს. პეტროგრადში გამოვიდა „სოლდატსკაია პრავდა“ ერთბაშად 50 ათასი ეკზემპლარი, რომელსაც ორგანიზებულობა შექმნიდა იქ, სადაც ჯერ კიდევ ვერ აღწევდა პარტიული აპარატი. ფრონტზე გამოვიდა „ოკოპანაია პრავდა“. სამხედრო გაზეთებმა განსაკუთრებით ნათლად დაადასტურეს ის დახასიათება, რომელიც გაზეთს მისცა ლენინმა, უწოდა რა მას „კოლექტიური ორგანიზატორი“⁹: კორექსონდენტები, რომლებიც გაზეთში სწერდნენ, ხდებოდნენ ბოლშევიკური მუშაობის ორგანიზატორებად ნაწილებში, ხოლო მკითხველები — რიგითი ბოლშევიკებად.

ბოლშევიკურმა გაზეთებმა მალე მოიხვეჭეს უდიდესი სიყვარული, პოპულარობა და ავტორიტეტი ჯარისკაცების წრეში. გაზეთებს არმიაში უწევდნენ

მატერიალურ დიხმარებას, მათი გამოშვებისათვის არ იშურებდნენ არა თუ უკანასკნელ კაპიკებს, არამედ აგრეთვე მედლებს, ტანის ჯვრებს, გიორგის ჯვრებს, ნიშნობის ბეჭდებს და ა. შ.

ვერც გაშმაგებულმა დევნამ, ვერც აკრძალვამ ვერ შეაჩერა გაზეთების გავრცელება არმიაში. კიდევ მეტი, ჯარისკაცებმა და მუშებმა ფრონტის მოძიჯნე ზოლში შექმნეს გავრცელების თავგანწირვით მომუშავე აპარატი. გაზეთის ყოველ ნომერს თავიდან ბოლომდე კითხულობდნენ. რკინიგზელების, ფოსტის მოხელეების, შოფერების ხელშეწყობით, სავსე საშარეულოების მეშვეობით გაზეთი ვრცელდებოდა არა მარტო სანგრებში, არამედ უშუალოდ „მტრის“ წინააღმდეგ მდგარ გუშაგთა შარშიც.

ბურჟუაზიული გავლენისაგან მასების გასანთავისუფლებლად ბოლშევიკური მუშაობის სიძნელენი რამდენადმე უფრო იზრდებოდნენ ნაციონალურ ნაწილებში. აქ საკირო იყო ბრძოლა არა მარტო ესერ-მენშევიკებთან, არამედ ნაციონალურ ცრურწმენასთანაც.

დროებითი მთავრობის მხილების ამოცანას მიემატა ამოცანა გაგვენთავისუფლებინა მშრომლები თავისი ნაციონალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, რომელიც აგრეთვე იმპერიალისტური ომის განგრძობის მომხრე იყო. მაგრამ აქაც მუშები და გლეხები მალე დარწმუნდნენ საკუთარი გამოცდილებით ბოლშევიკურ მითითებათა სისწორეში.

ბოლშევიკური პარტიის სამხედრო ორგანიზაციამ უდიდესი მუშაობა გაშალა არმიაში. უკვე აპრილის დამლევს პეტროგრადის გარნიზონის ნახევარი ბოლშევიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პავლოვის, იზმაილოვის, პრეობრაჟენსკის, ფინეთის და სხვა პოლკებს უკვე ჰქონდათ თავისი მედგარი ორგანიზაციები.

ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაცია დაკავშირებული იყო პოლკებთან ფრონტზე და ზურგის მთელ რიგ გარნიზონებთან. თუ რამდენად დიდი იყო მისი გავლენა, ეს სჩანს ბოლშევიკური პარტიის სამხედრო ორგანიზაციების სრულიად-რუსეთის კონფერენციიდან.

კონფერენცია გაიხსნა 16 ივნისს. წარმოდგენილი იყო ფრონტის 48 და ზურგის 17 ორგანიზაციის დელეგატები. ჩამოვიდნენ დელეგატები 500 პოლკიდან, რომლებიც გაფანტული იყვნენ ოთხ უმნიშვნელოვანეს ფრონტზე და ქვეყნის ოცდაათ უდიდეს ცენტრში.

არ ყოფილან მხოლოდ კავკასიისა და აღმოსავლეთ ციმბარის წარმომადგენლები.

160-დე დელეგატი წარმოადგენდა დაახლოებით კომუნისტურ უჯრედებში ორგანიზებულ 26 ათას ჯარისკაცს.

ათი დღის განმავლობაში — 16-დან 26 ივნისამდე — კონფერენციამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩაატარა: ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა გარდა, რომლებიც, იძლეოდნენ ფრონტზე არსებული მდგომარეობის ნათელ სურათს, დღის წესრიგში იდგა: სა-

ერთო საკითხები: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ძალაუფლების ორგანიზაცია — მომხსენებელი ლენინი; ნაციონალური მოძრაობა და ნაციონალური პოლკები — მომხსენებელი სტალინი; აგრარული საკითხი — მომხსენებელი ლენინი და სხვ.

„არმიაში კონფერენციის მოწვევის დროისათვის ფართო ნაციონალური მოძრაობა გაიშალა. სდგებოდა ნაციონალური პოლკები. ერთი ეროვნების ჯარისკაცები ფრონტიდან ფრონტზე გადაჰყავდათ. სწარმოებდა მასობრივი აგიტაცია ნაციონალური ნაწილების შესაქმნელად. მაშინ როცა ნაციონალური ბურჟუაზია ცდილობდა ნაციონალური ნაწილების შედგენას და იმედი ჰქონდა, რომ აშ. გზით შექმნიდა თავის დასაყრდენს რევოლუციასთან საბრძოლველად, მეთაურთა ზედაფენის ყველაზე უფრო რეაქციული ნაწილი ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდა ამ ნაწილების შექმნას. იყენებდნენ რა ცარიზმის მიერ დანერგულ შოინისტურ ცრურწმენას, დიდმპყრობელური მზავრელები ისწრაფოდნენ აემხედრებინათ ჯარისკაცთა მასა ნაციონალური ნაწილების წინააღმდეგ.

კონფერენციაზე ცალკეული დელეგატები გამოდიოდნენ უკრაინული ნაწილების წინააღმდეგ. დელეგატები ამტკიცებდნენ, რომ უკრაინული ნაწილების შექმნა ომის პირობებში ძნელია წმინდა ტექნიკურა მხრით, რომ უკრაინიზაციის მოთხოვნა გამომდინარეობს არა მთელი ხალხისაგან, არამედ მხოლოდ უკრაინელი მესამეულებისგან.

საპირო იყო სწორი ბოლშევიკური ხაზი. ეს ხაზი მოცემულ იქნა მოხსენებაში სტალინის მიერ.

ცხადყო რა დროებითი მთავრობის ნაციონალური პოლიტიკის დიდმპყრობელური დედაარსი, სტალინმა დაუპირისპირა ამას ბოლშევიკური ნაციონალური პროგრამა — ეროვნებათა თვითგამორკვევა თვით გამოყოფამდე.

„კონფერენცია მტკიცედაა დარწმუნებული, — ნათქვამია სტალინის მიერ წარდგენილ რეზოლუციაში, — რომ მხოლოდ ერთა თვითგამორკვევის უფლების გადაჭრით და სამუდამოდ აღიარება, აღიარება საქმით და არა სიტყვით, მხოლოდ განამტკიცებდა ძმურ ნდობას რუსეთის ხალხთა შორის და მით გზას გაუყავადა მათს ნამდვილ გაერთიანებას, ნებაყოფლობითს და არა ძალმომრეობითს გაერთიანებას ერთს მთლიან სახელმწიფოდ“¹.

ნაციონალური ნაწილების შექმნის საკითხზე კონფერენციამ ერთხმად დაადგინა:

„არის რა დარწმუნებული იმაში, რომ ნაციონალური პოლკების შექმნას საერთოდ არ მოითხოვს მშრომელი მასების ინტერესები — თუმცა; რასაკვირველია, კონფერენცია არ უარყოფს ყოველი ეროვნების უფლებას შექმნას ასეთი პოლკები, — კონფერენცია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას. რომ უკრაინის პროლეტარიატი მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, რომელიც დანტერესებულია იმით, რომ მუდმივი არმია საყოველთაო-სახალხო მილიციით შეიცვალოს, იბრძოლებს იმის წინააღმდეგ, რომ უკრაინის ნაციონალური პოლკები გადაიქცნენ ხალხზე დაშორებულ მუდმივ არმიად“².

კონფერენციის რეზოლუციამ მტკიცე საფუძველი მისცა პარტიის მუშაობას ნაციონალურ ნაწილებში. დაგმო რა დიდმპყრობელობის ყოველგვარი გამოვლინება, კონფერენცია ამასთან ერთად გაფრთხილებას იძლეოდა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ შესაძლებელი გადახვევების წინააღმდეგაც და მოითხოვდა შეუპოვარი მუშაობის გაჩაღებას ნაციონალური ნაწილების ბოლშევიზაციისათვის. ორ ფრონტზე სწორად ჩატარებულმა ბრძოლამ სტალინის მოხსენებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა რევოლუციის მხარეზე ნაციონალური ნაწილების გადმოყვანაში, განსაკუთრებით ოქტომბრის დღეებში.

ბოლშევიკური პარტიის ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციების სრულიად-რუსეთის კონფერენციამ შეაჯამა არმიისათვის რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ოთხი თვის ბრძოლის შედეგი: შედეგები აშკარად ლაპარაკობდნენ, რომ გამარჯვება რევოლუციისაკენ იხრებოდა.

გამარჯვების საბოლოოდ მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ბრძოლის გაძლიერებით, მხოლოდ მუშაობის გაჩაღებით ზურგში და ფრონტზე.

მაგრამ კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე ბოლშევიკური პარტიის კიდევ ერთი მიღწევა, სახელდობრ, ნაყოფიერი ბრძოლა პროლეტარული მილიციის შესაქმნელად, წითელი გვარდიის შესაქმნელად.



თ ა ვ ი მ ე ა მ ვ ს ა .

წითელი გზაკლია.

1.

პროლეტარული მილიცია.

ო ურკუაზია, რომელიც ნაჩქარევად გაეხვია „რესპუბლიკელთა“ სამოსელში, ყოველნაირად ზრუნავდა შეენარჩუნებინა თავისი საფუძვლები და საყრდენები, პირველ რიგში კი — შეენარჩუნებინა თავის ხელში არმია და პოლიცია. ფრონტზე მოხსნეს მეფის რამდენიმე გენერალი. ზოგიერთი გადაიყვანეს ხაკლებად მნიშვნელოვან პოსტებზე. არმიას სახელი შეუტყვალეს და „იმპერატორის“ არმიის ნაცვლად „რევოლუციური“ არმია უწოდეს.

გოროდოვოები და ეანდარმები როგორც ორგანიზებული ძალა ლიკვიდირებულ იქნენ მთელ ქვეყანაში, ნაწილი ფრონტზე გაგზავნეს, ნაწილმა კი „ფერი იცვალა“ ან მიიმალა, რათა ხელსაყრელ მომენტში გამოჩენილიყო სცენაზე. მიიღო რა ძალაუფლება რევოლუციის ხელიდან, დროებით მთავრობას არ შეეძლო აღედგინა ძველი პოლიცია, მაგრამ მაშინვე სინჯა შეექმნა ახალი პოლიციური ძალა: დააარსა „სახალხო“ მილიცია არჩევითი თანამდებობებით და დაუმორჩილა იგი ძველ საქალაქო სათათბიროებს და ერობებს. „სახალხო“ მილიციაში მისაღებ პირთ გულმოდგინედ არჩევდნენ: მაგალითად, პეტროგრადის მილიცია პირველ დღეებში მხოლოდ სტუდენტებისა და ოფიცრებისაგან შესდგებოდა. ლენინი ამის თაობაზე სწერდა:

„ამჟამად მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, როცა ისინი დარწმუნდნენ რევოლუციური მასების ძალაში, მთავარაა — შე ი ნ ა რ ჩ უ ნ ო ნ ძველი რეჟიმის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დაწესებულებანი, შეინარ-

ჩუნონ ჩავერის ძველი იარაღები: პოლიცია, მოხელეები, მუდმივი არმია. ცდილობენ „სამოქალაქო მილიცია“ მოაწყონ ძველებურად, ე. ი. შექმნან შეიარაღებულ ადამიანთა პატარ-პატარა, ხალხისაგან მოწყვეტილი, ბურჟუაზიისთან რაც შეიძლება ახლოს მდგომი რაზმები ბურჟუაზიიდან გამოსულ პირთა მეთაურობით“¹.

რევოლუციის წინსვლა შეიძლებოდა მხოლოდ ხელისუფლების ძველი აპარატის, მისი პოლიციისა და არმიის დანგრევით. „სახალხო“ მილიციის ბურჟუაზიულ მანევრს ბოლშევიკურმა პარტიამ დაუპირისპირა პროლეტარული მილიციის ლოზუნგი, პროლეტარიატის საყოველთაო შეიარაღების ლოზუნგი.

„თავისუფლების შენარჩუნებისა და ცარიზმის ბოლომდე დანგრევის ერთადერთი გარანტია არის პროლეტარიატის შეიარაღება“².

აწერდა ლენინი თავის პირველ წერილში თებერვლის რევოლუციის შესახებ.

მაგრამ ლაპარაკი იყო სრულიადაც არა ახლად შექმნილი მილიციის ხელმძღვანელობისათვის ბრძოლაზე და არც შეიარაღებული ძალის შექმნაზე სადარაჯო, საგუშაგო სამსახურის გასაწევად ან „გარე წესრიგისათვის თვალყურის სადევნებლად“. პროლეტარული მილიციის შექმნა იმ სახით, როგორც მას ლენინი სახავდა, გაცილებით მეტს ნიშნავდა.

იმ მიზეზებს შორის, რომლებმაც ბურჟუაზიას არგუნა ძალაუფლების ხელში ჩაგდება თებერვლის დღეებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის ორგანიზებულობას. საერობო და საქალაქო დაწესებულებებში, სახელმწიფო სათათბიროში, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში ბურჟუაზიამ ომის დროს შექმნა თავისი მზა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებითაც შეხვდა რევოლუციას. ცარიზმი სასტიკად გაუსწორდა პროლეტარულ ორგანიზაციებს, მაგრამ ხელს არ ახლებდა ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს. პირიქით, ცარიზმი მზრუნველობით ანმტიციებდა მათ ომის წარმატებით წარმოებისათვის და განსაკუთრებით რევოლუციასთან ბრძოლისათვის.

პროლეტარიატს უხდებოდა საჩქაროდ შესდგომოდა თავისი ორგანიზაციების შექმნას. მაგრამ საქმე ეხებოდა არა მარტო ჩვეულებრივ ორგანიზაციას, ე. ი. პროფესიული კავშირების და სხვ. შექმნას. ამ ეტაპზე ეს არ კმაროდა.

რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის პერიოდში პროლეტარიატს ესაჭიროებოდა ისეთი ახალი ტიპის ორგანიზაციის აგება, რომელიც შესძლებდა მისი რევოლუციური ძალაუფლების განმტკიცებას.

პროლეტარული მილიციის ლოზუნგი უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატს ხელში აძლევდა იარაღს, იწვევდა მშრომელთა საყოველთაო შეიარაღებას. ეს კიდევ ცოტაა, აყენებდა რა პროლეტარული მილიციის ლოზუნგს, ბოლშევიკური პარტია მოითხოვდა ქალების დაშვებას ამ მილიციაში. მილიონობით მუშა-ქალები პირველად ემბებოდნენ პოლიტკაში, ხდებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად, თავისუფლდებოდნენ ბურჟუაზიული გავლენისაგან.

ახალი მილიცია, დაეყრდნობოდა რა მშრომელებს, შესძლებდა ეკისრნა

ბრძოლა მოახლოვებულ შიმშილობასთან, კონტროლი პურისა და სხვა პროდუქტების სწორად განაწილებაზე, ფაბრიკა-ქარხნების შეუფერხებელ მუშაობაზე.

მაგრამ პროლეტარული მილიცია თავისი ამოცანების შესრულებას შესაძლებლად მხოლოდ იმ პირობით, თუ მილიციელთა შრომა ანაზღაურებული იქნებოდა კაპიტალისტების ხარჯზე. ცხადია, ამისათვის საჭირო იყო ბურჟუაზიის საბოტაჟის დაძლევა და წარმოების ნამდვილი კონტროლის გადაცემა მუშათა ხელში.

ამრიგად, პროლეტარული მილიციის ლოზუნგის განხორციელება გარდუვალად იწვევდა ძალაუფლების ძველი აპარატის — პოლიციისა და არმიის დანგრევას, საზოგადოებრივ სამსახურში აბამდა მშრომელთა უზარმაზარ კადრებს, რომლებიც შესძლებდნენ მეფის მოხელეთა წარმატებით შეცვლას. პროლეტარული მილიცია ხდებოდა პოლიტიკურ სკოლად მუშათა კლასის ფართო ფენებისათვის. ასწავლიდა, რა ხალხს იარაღის ხმარებას, პროლეტარული მილიცია იქცეოდა კლასობრივ არმიად, რომელსაც შეეძლო საბჭოების ძალაუფლებისათვის ბრძოლა.

ეს იყო ბრძოლა არა მარტო აჯანყების პროლეტარული კადრების შესაქმნელად. აჯანყების სამხედრო-ტექნიკური მომზადება, მატერიალური სამხედრო ძალის შექმნა გადატრიალების მოსახდენად ამ ლოზუნგის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა. პროლეტარული მილიციის მოწყობის მოთხოვნა აყენებდა ძალაუფლების მთელ პრობლემას, უჩვენებდა პოლიტიკაში ვეებერთელა მასების ჩაბმის გზებს, ხელიდან აცილდა მათ ბურჟუაზიას რევოლუციის საქმისათვის. პროლეტარულ მილიციას პირდაპირ მიჰყავდა მასები ძალაუფლებისათვის ბრძოლასთან.

ლენინი მილიციის მოწყობის შესახებ სწერდა:

„ამხანაგო მუშებო, დაარწმუნეთ გლეხები და მთელი ხალხი პოლიციისა და ძველი მოხელეების ნაცვლად საყოველთაო მილიციის შექმნის აუცილებლობაში!... არავითარ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდეთ ბურჟუაზიული მილიციით. მიიზიდეთ ქალები საზოგადოებრივი სამსახურის შესასრულებლად მამაკაცებთან თანაბრად. მიადწიეთ აუცილებლად, რომ კაპიტალისტებმა მისცენ ხელფასი მუშებს მილიციაში საზოგადოებრივი სამსახურისადმი შეწირული დღეებისათვის!

ისწავლეთ დემოკრატია პრაქტიკულად, დაუყოვნებლივ. თვითონ. დაბლიდან, აამოძრავეთ მასები აქტიურ, უშუალო, საყოველთაო მონაწილეობისათვის მმართველობაში — ამაში და მხოლოდ ამაშია რევოლუციის სრული გამარჯვებისა და მისი მტკიცე, მოფიქრებული, გეგმაშეწონილი წინსვლის საწინდარი“⁴.

პარტიას არ წანოუყენებია პროლეტარული მილიციის შექმნის განსაკუთრებული, დეტალურად დამუშავებული გეგმა. ასეთი განსაკუთრებით ღრმა და ფართო მოცულობის ამოცანის ვიწრო სკემაში მოქცევა ძნელი იყო. პირიქით,

პარტია აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატი სხვადასხვა გზით მივა ამ ამოცანას-თანო.

„რუსეთის ერთ ადგილას, — სწერდა ლენინი, — თებერვალ-მარტის რევოლუცია აძლევს მას (პროლეტარიატს. რ ე დ.) ხელში თითქმის სრულ ძალაუფლებას, მეორე ადგილას — იგი, შესაძლოა, „ხელში ჩაგდების“ გზით დაიწყებს პროლეტარული მილიციის შექმნასა და გაფართოებას, მესამე ადგილას — იგი, ალბათ, შეეცდება დაუყოვნებლივ მოაწყოს არჩევნები საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების საფუძველზე ქალაქთა სათათბიროებში და ერობებში, რათა მათგან შექმნას რევოლუციური ცენტრები და ა. შ., სანამ პროლეტარული ორგანიზებულობის ზრდა, ჯარისკაცების დაახლოვება მუშებთან, მოძრაობა გლეხობაში, ბევრისა და ბევრის იმედის გაცრუება გუჩკოვისა და მილიუკოვის სამხედრო-იმპერიალისტური მთავრობის ვარგისობაში არ მოახლოვებს ამ მთავრობის მუშათა დეპუტატების საბჭოს „მთავრობით“ შეცვლის საათს“⁴.

მთელს ქვეყანაში დაიწყო პროლეტარული მილიციის მოწყობა. იმ ადგილებში, სადაც პროლეტარიატის საგრძნობი მასები იყო კონცენტრირებული, სადაც ბოლშევიკებს თავისი მტკიცე ორგანიზაციები ჰქონდათ, ექ პროლეტარული მილიცია ეწყობოდა პირდაპირ ლენინის მიერ მოხაზული გეგმით. ასე, მაგალითად, კანაინში, ნიჟნი-ნოვგოროდის გაღმა ნაწილში, სადაც ბოლშევიკები ძლიერი იყვნენ, თითქმის ყველა 16 ქარხანაში 30 ათასი მუშათა შემოღებულ იქნა მილიცია, რომელსაც კაპიტალისტები აძლევდნენ ხელფასს. ბურჟუაზია ცდილობდა მისი როლი დაეყვანა მხოლოდ საწარმოებისა და „წესრიგის“ დაცვაზე. მაგრამ არსებითად კანაინის მილიცია წარმოადგენდა ადგილობრივ ხელისუფლებას: მუშები კონტროლს უწყევდნენ წარმოებას, თვალუყურს ადევნებდნენ სურსათის განაწილებას, აგვარებდნენ კონფლიქტებს მეწარმეებსა და მუშებს შორის და ა. შ. სწორედ კანაინელთა შესახებ სწერდა ლენინი:

„ამ სწორ გზას თვითონ მუშათა მასები ადგებიან. ნიჟნი-ნოვგოროდის მუშათა მაგალითი ნიმუში უნდა გახდეს მთელი რუსეთისათვის“⁵.

ამ ნიმუშთან ახლოს მივიდნენ ორეხოვო-ზუეევოს მუშებიც. თებერვლის რევოლუციის დასაწყისიდანვე ორეხოვოში მტკიცე ბოლშევიკური ბირთვი შეიქმნა. მუშები დაუფლნენ საერთოსამოქალაქო მილიციას, სადაც ბურჟუაზიამ მოასწრო გიმნაზისტების შეგროვება. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შექმნა სპეციალური შტაბი მუშათა საბრძოლო მომზადების ხელმძღვანელობისათვის. შტაბმა, ხელმძღვანელობდა რა მებრძოლ რაზმებს, მოავგარა ტაპოგრაფიული მუშაობა ქალაქის შესასწავლად ქუჩებში ბრძოლების გაჩაღების შემთხვევისათვის, მოაწყო მზვერავი განყოფილება, „რათა სცოდნოდა ადგილობრივი კონტრარევოლუციის განწყობილება“. ორეხოვო-ზუეევოს ბოლშევიკებმა პროლეტარული მილიციისათვის იარაღი იშოვეს და „შეგუენ ადგილობრივ პირობებს“. „მუშებთან კავშირისათვის“ მიწვეულ იქნა ქალაქის მახლობლად მდგარი პოლკის მეთაურთა შემადგენლობა.

„გაუმასპინძლდნენ მათ, დაათერეს როგორც საჭიროა, — გვიამბობს

ორებზოველი მუშა მ. ი. პეტროკოვი, — გარდა ამისა მისცეს მათ კარგი მალე და, ამგვარად, ხელთ იგდეს მათი სამასი ცალი შაშხანა და 60 ათასამდე საომარი ვაზნა. იმავე დამეს ყოველივე ეს ჩვენთან იქნა მოტანილი“¹. ისე როგორც კანაენში, ორებზოვო-ზუევეოს მილიცია ანსახიერებდა პროლეტარიატის ფაქტიურ ძალაუფლებას რაიონში. მილიციის დასტურისა და თანხმობის გარეშე დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს არცერთი ღონისძიების გატარება არ შეეძლოთ, და მისი დახმარებით ორებზოვო-ზუევეოს მუშებმა მეტად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს თავის ეკონომიურ ბრძოლაში.

ორებზოვო-ზუეველებმა ოქტომბრის ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: იბრძოდნენ იუნკრების წინააღმდეგ მოსკოვში არა უარესად მოსკოვის მუშებისა.

სხვა რაიონებში იქმნებოდა პარტიული რაზმები, რომლებიც თანდათანობით იზრდებოდნენ უპარტიო მუშებსაც. ეკატერინოსლავში ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე არალეგალურად მოეწყო მებრძოლი რაზმი, შეიარაღებული რევოლუციებით. რაზმის ამოცანას შეადგენდა სამსახური გაეწია „მხოლოდ მასობრივი თავშეყრისა და კრებებისათვის ბინებზე ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე დაეშინებინათ ჯაშუშები“².

რევოლუციის შემდეგ რაზმი სწრაფად ივსებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრებით. აპრილის დამლევს იგი გადაკეთდა წითელ გეარდიად, მაგრამ მასში შემსვლელებისაგან მოითხოვდნენ პარტიულ ბოლშევიკურ რეკომენდაციას.

ურალში პროლეტარული მილიცია გაიზარდა კონტრრევოლუციის გამოვლინებასთან ბრძოლაში.

ასე, მაგალითად, ტროიციში კაზაკებმა, რომლებიც 1 მაისს იდგნენ ყარაულში ღვინის საწყობთან, მოგლიჯეს ბოქლოები და პლომბები და გამოიტანეს არაყი. მთვრალეებმა დაიწყეს ღვინის საწყობის დარბევა; მათ შორის დაძწოდნენ ბნელი პირები და აქეზებდნენ მათ „აეწიოკებინათ“ ებრაელები. ბოლშევიკებმა მოიწვიეს სასწრაფო თათბირი, რომელზედაც დაადგინეს პარტიის ყველა წევრის მობილიზება რაზმებად ქალაქ ტროიციის მოქალაქეთა დასაცავად.

მოწოდებით მიმართეს უპარტიო მუშებსაც. სამრეწველო საწარმოებში დაუყოვნებლივ შეადგინეს რაზმები ბოლშევიკების პარტიის წევრთა ხელმძღვანელობით. იარაღი მიიღეს მე-131 სათადარიგო ქვეითი პოლკის შტაბიდან. ორი კვირის შემდეგ დღიდან წესრიგის აღდგენისა იარაღის ნაწილი ჩააბარეს, ნაწილი კი საწარმოებში შეინახეს. შემდეგში მუშათა რაზმები ტროიციში ებრძოდნენ ადგილობრივი ბურჟუაზიის, კულაკობისა და ოფიცრების კონტრრევოლუციურ გამოსვლებს, გამოდიოდნენ მიტინგებზე და ანთავისუფლებდნენ ბოლშევიკებს სატუსალოებიდან. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ტროიციის ბოლშევიკებმა გასინჯეს იარაღი ატამან დუტოვის ბანდებთან ბრძოლაში.

მაგრამ რუსეთის რაიონების უმეტესობაში პროლეტარული მილიციის მშენებლობა მიდიოდა წითელი გეარდიის რაზმების შექმნის გზით. წითელი გეარდია გახდა პროლეტარული მილიციის ყველაზე უფრო ტიპიურ ფორმად.

წითელი გვარდია დედაქალაქში.

პეტროგრადში რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დაიწყო პროლეტარიატის თვითშეიარაღების სწრაფი პროცესი. მუშებმა აიძულეს საბჭოს წვრილბურჟუაზიული ხელმძღვანელები მიეცათ ზევიდან სანქცია იმისათვის, რაც უკვე ფაქტობრივად ხელში იყო ჩაგდებული დაბლიდან. 28 თებერვალს საბჭოს ესერულ-მენშევიკურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა:

„მუშებმა ფაბრიკებსა და ქარხნებში მოაწყონ მილიცია ას-ასი კაცისაგან 1000 მუშაზე“¹.

მაგრამ როგორც კი გამოირკვა, რომ ბურჟუაზიამ გაუძლო პირველ შეტევას, მენშევიკები შეეცადნენ ისევე არარად ექციათ თავისი დათმობა, როგორც ბრძანება № 1.

პირველყოვლასა აღმასრულებელმა კომიტეტმა აკრძალა იარაღის მიცემა მუშებისათვის, შემდეგ კი 7 მარტის სხდომაზე გამოსთქვა აზრი, რომ საქარხნო მილიცია შეერთებოდა საერთოსამოქალაქოს. აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშებს ურჩია:

„1. შევიდნენ მთელი ორგანიზაციით საქალაქო მილიციის შემადგენლობაში. 2. ამასთან შეინარჩუნონ თავისი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, მოაწყონ თავისი არჩევითი სამილიციო კომიტეტები; მიიღონ თეთრი ხელსახვევი საქალაქო მილიციის ნომრით და მის მიერ გაცემული მოწმობანი; ამასთან ერთად საქალაქო მილიციის თეთრ ხელსახვევს მიამაგრონ საქარხნო მილიციის წითელი როზეტი, შეინარჩუნონ თავისი ნომრები და თავისი მოწმობანი“².

ამ „რჩევაში“ სხვათაშორის მეტად ნათლად მოსჩანს ძირითადი მეთოდი, რომლითაც ესერები და მენშევიკები აწარმოებდნენ თავის მუშაობას. ეწინოდათ რა იმის, რომ მუშებს ჩამოიშორებდნენ ბურჟუაზიის გაბედული და აშკარა მხარდაჭერით, წვრილბურჟუაზიული ლიდერები ცდილობდნენ შეელამაზებინათ თავისი წინადადებანი „დემოკრატიული“ დანაკიდებით: მუშათა მილიცია დაიშალოს, მაგრამ სანუგეშოდ ნება მიეცეთ მუშა-მილიციელებს შეინარჩუნონ თავისი სამკვლავო ნიშნები.

ძსანები მიჩვენენ, რომ პროლეტარული მილიციის შექმნა მოუხდებათ ესერებისა და მენშევიკების დაუკითხავად და მათთან ბრძოლაში.

სამ მარტს ბოლშევიკების პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა დაავალა ორ ორგანიზატორს უმოკლეს ვადაში წარედგინათ განსახალველად პროლეტარული მილიციის კადრების მოწყობის პროექტი.

სწორედ ამ დადგენილებიდან წარმოიშვა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო კომისია, რომელიც „ვოენკის“ სახელწოდებითაა ცნობილი. სამხედრო კომისიის მუშაობა, როგორც უკვე დავინახეთ, სწარმოებდა უმთავრესად ჯარისკაცებს შორის, ხოლო პროლეტარული მილიციის მოწ-



პეტროგრადის წითელი გვარდია 1917 წლის 1 მაისის დემონსტრაციაზე.

ყოფას სწრაფად და აზრიანად შეუდგნენ რაიონები. მთელ რიგ საწარმოებში იქმნებოდა საქარხნო მილიციის პატარა უჯრედები, რომლებიც თანდათანობით აბაძნენ თავის წრეში მუშებს. ყველგან სწარმოებდა პროლეტარიატის თვით-შეიარაღება. ამოიღეს ჯერ კიდევ რევოლუციამდე მიწაში ჩაფლული იარაღი, ართმევდნენ მას ჯარისკაცებს, ყიდულობდნენ, სადაც კი შესაძლებელი იყო. დიდძალი იარაღი წინდახედულად იყო ნაშოვნი რევოლუციის პირველ დღეებში. პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის გენერალ კორნილოვის აპრილის ბრძანებიდან მოსახლეობისადმი — „დაუყოვნებლივ ჩააბარონ იარაღი“ ვტყობილობთ, რომ რევოლუციის პირველ დღეებში არსენალიდან წაიღეს 40 ათასზე მეტი შაშხანა და 30 ათასი რევოლვერი.

ესერულ-მენშევიკური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებას საქარხნო და საქალაქო მილიციის შეერთების შესახებ მუშები არ დაემორჩილნენ და იარაღი არ ჩააბარეს. სხვადასხვა სახელწოდებით — „პარტიული რაზმები“, „მუშათა მილიცია რაიონულ საბჭოებთან“, „მუშათა რაზმი“, „მებრძოლი რაზმი“ — შეიარაღებულ მუშათა ჯგუფები საწარმოებში და ზოგიერთ პროფკავშირთან განაგრძობდნენ არსებობას და სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდნენ.

დიდი ძალღონის დახარჯვა მოუხდათ მუშებს რაზმელების შრომის ანაზღაურების ირგვლივ წამოჭრილ კონფლიქტებში. მუშები მოითხოვდნენ საშუალო ხელფასის გაცემას წესრიგის დასაცავად დახარჯული საათებისათვის. მე-

წარმეებს გადახდა არ უნდოდათ. გრძნობდნენ რა თავის ზურგს უკან მხარდა-
ქერას არა მარტო მთავრობის ორგანოების მხრით, არამედ საბჭოს აღმასრუ-
ლებელ კომიტეტშიც. პეტროგრადის საქალაქო სათათბირო დათანხმდა მუშა-
თა რაზმელების შრომის ანაზღაურებაზე, თუ ისინი დაშლიდნენ თავის რაზ-
მებს და დარჩებოდნენ მილიციელებად საერთო საფუძველზე.

პროლეტარული მილიციის მონაწილეებს არ აძლევდნენ ფულს, კრძალავ-
დნენ მათთვის იარაღის მიცემას. ხოლო ლენინის ჩამოსვლას შემდეგ, როცა
ბოლშევიკების წინააღმდეგ კამპანია გაძლიერდა, დაიწყეს მათი განაირაღება
და ზოგჯერ დაპატიმრებაც. პროლეტარული მილიცია იყო პირველი ორგანი-
ზაცია, რომელსაც თავს დაატყდა დროებითი მთავრობის ტერორი, — ასე სე-
რიოზულად შეაფასა ბურჟუაზიამ წითელი გვარდიის მოწყობა. მიუხედავად
ამისა, პროლეტარული მილიცია განაგრძობდა ზრდას სხვადასხვა სახელწოდე-
ბით ქარხნებსა და ფაბრიკებში.

პრესაში გამოჩნდა რეზოლუციები პროლეტარიატის შეიარაღების მოთხო-
ვნებით.

ასე, მაგალითად, 15 აპრილს „იზვესტიაში“ ქარხანა „სტარი პარვიანინის“
ძეუბები, დაჟინებით მოითხოვდნენ რა დროებითი მთავრობის გადაყენებას, რო-
მელიც მხოლოდ აფერხებდა რევოლუციურ საქმეს, და ძალაუფლების გადაცე-
მას საბჭოებისათვის, აყენებდნენ მოთხოვნას:

„მოეწყოს წითელი გვარდია და შეიარაღებულ იქნას მთელი ხალხი“¹.

მოდრაობამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ერთიანი ორგანიზა-
ციული ფორმა მოითხოვა.

აპრილის შუა რიცხვებში ბოლშევიკური პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა
ბოლშევიკების დენისა და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური გამოსვლების
საპასუხოდ დასვა საკითხი განსაკუთრებული პარტიული რაზმების შექმნის შე-
სახებ პარტიული მუშაობის თავისუფლების დასაცავად.

ვიბორგის რაიონულმა საბჭომ, რომელიც უკვე მთლად ბოლშევიკური იყო,
28 აპრილს ერთხმად დაადგინა გარდაქმნილიყო მილიცია „მუშათა გვარდიად“.
მეორე დღეს კი „მუშათა გვარდიის წესდების პროექტი“ გამოქვეყნდა „პრავ-
დაში“. პროექტში აღნიშნული იყო:

„მიზნები: 1. მუშათა გვარდია თავის ამოცანად ისახავს:

ა) დაიცვას იარაღით ხელში მუშათა კლასის ყველა მონაპოვარი;

ბ) დაიცვას სიცოცხლე, უშიშროება და ქონება ყველა მოქალაქისა, გა-
ნურჩევლად სქესისა, ასაკისა და ეროვნებისა.

შემადგენლობა: 2. მუშათა გვარდიის წევრად შეიძლება იყოს ყოველი
მუშა, მუშა-ქალი, რომლებიც არიან სოციალისტური პარტიის ან პროფე-
სიული კავშირის წევრები, ქარხნის ან სახელოსნოს საერთო კრების რეკო-
მენდაციით ან არჩევით“².

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მუდამ ილაშქრებდა მუშათა
დამოუკიდებელი რაზმების წინააღმდეგ, აპრილის ამბების ზეგავლენით კიდევ
უფრო მარჯვნივ გადაიხარა. 28 აპრილს „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ წესდე-



წითელი გვარდიის გაწარმენა.

შის პროექტს წამძღვარებული ჰქონდა გამაფრთხილებელი მოწინავე „წითელი გვარდიის შესახებ“, რომელშიც ავტორი-მენშევიკი გამოსთქვამდა შიშს, რომ

„წითელი გვარდია იმ სახით, როგორც იგი განზრახულია პროექტით, წარმოადგენს პირდაპირ მუქარას რევოლუციური ძალების ერთიანობისათვის“¹

და შეუძლია მხოლოდ სოლი ჩაარქოს მუშათა რაზმებსა და რევოლუციურ არმიას შორის. მუშების მოთხოვნები რომ სკარბობდნენ მენშევიკებისას, ამას ჰოწმობს წითელი გვარდიის წესდების დაბეჭდვის ფაქტი ასეთი პანიკური მოწინავეის შემდეგაც კი.

28 აპრილს გაიმართა სხვადასხვა საწარმოს წარმომადგენელ მუშათა თათბირი, სადაც შეიკრიბა 156 დელეგატი პეტროგრადის 82 ქარხნიდან და 26 — პარტიული ორგანიზაციებიდან. კრების მენშევიკურმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მუშათა რაზმების დამორჩილებას საბჭოსადმი. აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ

„წითელი გვარდიის იდეისადმი აღმასრულებელი კომიტეტის უარყოფითი დამოკიდებულების ფაქტი უკვე ღებულობს ამჟამად აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს გარკვეული რეზოლუციის ფორმას და ეს უკანასკნელი ხვალ გამოქვეყნდება“².

აღშფოთებულმა კრებამ აირჩია დელეგაცია მოლაპარაკებისათვის ესერულ-

მენშევიკურ აღმასრულებელ კომიტეტთან. მეორე დღესვე დელეგაცია გაემართა აღმასრულებელ კომიტეტში ჩხეიძესთან. მენშევიკებმა დელეგაციის მისვლას უპასუხეს იმით, რომ „იზვესტიას“ № 54-ში დაიბეჭდა მოკლე სტატია „წითელი გვარდია თუ მილიცია?“, სადაც კვლავ ამტკიცებდნენ, რომ მუშათა რაზმები უნდა შეუერთდნენ „მილიციის ორგანიზაციას“¹ და შესწყვიტონ დამოუკიდებელი არსებობა.

შემთანხმებულ საბჭოსთან ბრძოლაში ბოლშევიკებმა თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანეს ცალკეულ საწარმოებში, სადაც წინათ უკვე იყო შექმნილი წითელი გვარდიის რაზმები. ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტი შეუდგა დედაქალაქის საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ხელმძღვანელობის ყოველმხრივ განმტკიცებას. ეს წარმოადგენდა პროლეტარიატის წარმატებით შეიარაღების აუცილებელ პირობას, რადგან საბრძოლო მუშაობა ძირითადად საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ეკისრებოდათ. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ბოლშევიზაცია უშუალოდ იწვევდა პარტიული გავლენის გაძლიერებას პროფკავშირებსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში.

დავა მეწარმეებსა და მუშებს შორის მილიციის ხელფასის ანაზღაურების საკითხზე ასახავდა მუშათა შეუპოვარ ბრძოლას წითელი გვარდიისათვის. ქალაქის მილიციის უფროსმა ბრძანება გასცა „შეიპყრონ და განაიარაღონ ყველა მილიციელი, რომელთა ხელსახვევზე „გ“-ს ნაცვლად აღნიშნულია „ს.მ.“ (სახალხო მილიცია)“. ამის საპასუხოდ ბოლშევიკებმა რაიონული საბჭოების სახელმძღვანელო კრებებზე გაამხანგოლეს საკითხი საყოველთაო-სახალხო მილიციის შესახებ. მექარხნების საზოგადოების საბჭო კვლავ ღებულობდა კანკალის-ტების საჩივრებს, ამასთან აღნიშნავდნენ, რომ მუშათა მილიციის მოთხოვნას მხარს უჭერენ საქარხნო კომიტეტები. მუშები ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ მეწარმეთა წინააღმდეგ.

დამახასიათებელი შემთხვევა მოხდა ამხანაგობა „ი. ვ. ოპიპოვისა და კომპანიის“ ტყავის ქარხანაში. ქარხნის პატრონებმა საზოგადოების საბჭოს მიმართეს საჩივრით „მილიციელებზე, რომელთაც მეტად მებრძოლი პოზიცია“ დაიკავეს, აგრეთვე მათ მხარდამჭერ საქარხნო კომიტეტსა და საქარხნო კოლექტივზე; ლაპარაკი იყო იმავე საკითხზე — შრომის ანაზღაურებაზე. საზოგადოების საბჭომ ქარხნის მფლობელებს ურჩია დახმარებისათვის მიემართნათ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის. თავის ძალაში დარწმუნებულმა საქარხნო სამმართველომ 16 აპრილს მუშა-მილიციელებს შეატყობინა, რომ 10 მარტიდან და შემდგომი დროისათვის იგი უარს ამბობს მათი ხელფასის ანაზღაურებაზე. მუშათა მილიციამ, დააპატიმრა რა წინასწარ ქარხნის გამგეობა, მოიწვია მუშათა საერთო კრება. მიტინგზე ქარხნის დირექტორიც მიიწვიეს. უკანასკნელმა უარი სთქვა მოსვლაზე. იგი ძალით მიიყვანეს კრებაზე. ქარხნის მუშებმა, აღიარეს რა, რომ მილიციელთა ყველა მოთხოვნა უეჭველად სწორია და უნდა დაემაყოფილდეს, დაადგინეს

„მოეთხოვოს კატეგორიულად ქარხნის სამმართველოს მისცეს დამატე-



წითელგვარდიელი.

ნახ. პ. ბუჩკინისა.

ბითი ხელფასი ამხანაგ მილიციელებს კა ტეგორიების მიხედვით 10 მარტიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში კრებამ გადასწყვიტა ენერგიულად დაუჭიროს მხარი ანხანაგ მილიციელებს ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებით“¹.

მუშათა ზეგავლენით ბევრი მეწარმე—სიმენს-შუკერტი, სამხედრო-საზღვაო ხელსაწყოების ფაბრიკა, ა. პარამონოვის ტყაყის ქარხანა—დათმობაზე წავიდა.

პროტესტები, რომლებითაც კაპიტალისტებმა მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გვიჩვენებენ, თუ როგორ ანხორციელებდნენ მუშები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მთელი პროლეტარიატის შეიარაღების იდეას. სრულიად რუსეთის ტყაყის ქარხნების მფლობელთა საზოგადოება თავის განცხადებაში შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიუთითებდა:

„ამჟამად ტყაყის მსხვილ საწარმოებში მოწყობილია ახალი ტიპის მილიცია. მუშები ყოველ ას მუშაზე ირჩევენ ერთ მილიციელს, და ამრიგად შექმნილი ჯგუფი ერთი თვის განმავლობაში სწავლობს სროლას და მილიციელთა სხვა მოვალეობას, მერე კი მას სცვლის შემდგომი ახალი ჯგუფი იმ ანგარიშით, რომ თავის დროზე საწარმოს ყველა მუშამ გაიაროს მილიციელის ეს სტაჟი“. ასეთ გარემოებებში „თვით მუშა-მილიციელთა დანიშნულება რამდენადმე ბუნდოვანად წარმოგვიდგება და ყოველ შემთხვევაში სრულიად არ არის გამოწვეული წარმოების საქიროებით“².

პროვინციაში პროლეტარულმა მილიციამ ძირითადად განვითარების იგივე ეტაპები განვლო, რაც პეტროგრადში. თებერვლის რევოლუციამ პროლეტარიატს ხელში მისცა იარაღი. მუშათა რაზმები პირველ ხანებში ასრულებდნენ ძლიერი მოვალეობას, იცავდნენ ქალაქს თავდასხმელებისა და მთერალების დარბევისაგან. ისინი ყველგან აწყდებოდნენ წინააღმდეგობას ესერებისა და მენშევიკების მხრივ.

მოსკოვში 2 მარტს მოეწყო სახალხო მილიცია „სიწყნარისა და წესრიგის დაცვის“ იმავე ფუნქციებით, როგორც პეტროგრადში. რევოლუციის პირველსავე დღეებში მენშევიკებმა და ესერებმა პროტესტი განაცხადეს მუშების შეიარაღების წინააღმდეგ, დაპატიმრებითაც კი ემუქრებოდნენ იმათ, ვინც იარაღს დაიტოვებდა. მიუხედავად ამისა იარაღის ნაწილი მოხვდა ქარხნებში, და შექიხილმა მებრძოლმა რაზმებმა მოაგვარეს თავის წრეში სამხედრო სწავლება.



დონბასის წითელკვარდიელი.

ნახ. ე. ზერნოვასი.



დონბასის წითელგვარდიელი.
ნახ. ე. ხერნოვასი.

იარაღის განაწილება მეტად არათანაბარი და შემთხვევითი იყო. უკეთ იარაღდებოდნენ იქ, სადაც მეტი ენერგია და ინიციატივა გამოიჩინეს. მაგალითად, მიხელსონის ქარხანაში მუშებმა შეიტყვეს, რომ რიაზან-ურალის სადგურზე ციმბირის ბანკის საწყობში არის ვარშავის პოლიციის მიერ ევაკუირებული იარაღი; გადასწყვიტეს დაუფლებოდნენ ამ იარაღს. მიხელსონის იმავე ქარხანაში ღამ-ღამობით ამზადდებდნენ ყუმბარებს და ოქტობრის დღეებისათვის შესძლეს მთელი წითელი გვარდიის, მეზობელი ქარხნებისა და დვინის პოლკის ჯარისკაცების შეიარაღება. მარტ-აპრილში უკვე მოაწყეს წითელი გვარდიის რაზმი (400-ზე მეტი კაცი).

მოსკოვის წითელი გვარდიის ერთ-ერთი ორგანიზატორის ამხ. პეტრე მოწმობით აპრილში მიხელსონის ქარხნის გარდა უკვე იყო მუშათა რაზმები ქარხანა „მოტორში“, ტელეფონის ქარხანაში, „პროვოდნიკში“ და სხვ. მაგრამ იარაღი, როგორც წესი, არ იყო საკმაო რაოდენობით. მაგალითად, ზამოსკოვრეჩის რაიონის ქარხანა „პოსტოვშიკში“ წითელი გვარდია, რომელიც იენისში იქნა ორგანიზებული 20 კაცის რაოდენობით, თოფების უქონლობის გამო ჯოხებს ხმარობდა სწავლის დროს.

მოსკოვის ბოლშევიკებმა მაშინვე საკმაო ყურადღება მიაქციეს პროლეტარულ მილიციას. საერთოსაქალაქო ბოლშევიკურ კონფერენციაზე 3 — 4 აპრილს მიღებულ იქნა რეზოლუცია მიმდინარე მომენტისა და პროლეტარიატის ამოცანების შესახებ. ერთერთ პუნქტში ნათქვამი იყო:

„მოეწყოს შეიარაღებული სახალხო მილიცია, რომელიც უნდა შესდგეს პროლეტარული და გლეხური ორგანიზაციების უსასტიკესი კონტროლით“.

ათი დღის შემდეგ კი, 14 აპრილს, ამ პუნქტის შესასრულებლად ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტმა თითქმის ერთხმად მიიღო შემდეგი დებულებანი:

- „1. შევიდნენ ამხანაგები წითელ გვარდიაში.
2. მუშათა დებუტატების საბჭოს მეშვეობით მიემართოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კომიტეტს წინადადებით, რომ უპირატესობა მისცემოდა თუ არა პარტიის წევრებს, მუშებს მაინც.
3. საჭიროა დაარსდეს საქარხნო რაზმები, რომლებიც იქნებიან ქარხნის დამცველები. ამრიგად, ფაბრიკანტებს უნდა შეეძინათ იარაღი.

№ десятички

Фамилия и имя *Зваров Андрей*

№ свидетельства *109409. Фролов*

Кто рекомендует: *Зав. Ком. зав. Мухомин*

Адрес: *Щаболовка
8 А И К В А З*

წითელგვარდიელის საწევრო ბილეთი.

4. მოეწყოს პარტიული რაზმები ან სასროლო საზოგადოებანი და მიღებული იქნას ყველა ზომები იარაღის შესაძენად¹.

მოსკოვის ბოლშევიკებმა პროლეტარული მილიციისათვის ბრძოლაში მოქნილი ტაქტიკის მეტად ნათელი მაგალითი მოგვცეს. ქარხნებში ეწყობოდა მუშათა რაზმები. ბურჟუაზიამ, მიდიოდა რა ბოლშევიკების წინააღმდეგ, გადასწყვიტა დაუფლებოდა მოძრაობას. ამ მიზნით საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომიტეტმა, რომელსაც ესერ-მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, იკისრა წითელი გვარდიის მოწყობა.

ბოლშევიკებმა უწინარეს ყოვლისა დააეაღეს საქარხნო პარტიული უჯრედების წევრებს შესულიყვნენ ამ რაზმებში; იმავე დროს, სანამ წითელი გვარდიის ხელმძღვანელობა მენშევიკების ხელში იყო, პარტია რჩევას იძლეოდა შეექმნათ პარტიული რაზმები და უზრუნველყოთ ისინი იარაღით. ასეთი ტაქტიკა ორგანიზაციის შიგნიდან დაპყრობის საშუალებას იძლეოდა. პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობამ გაამართლა ეს ტაქტიკა. მოსკოვის ბოლშევიკებმა შესძლეს შექმნილი რაზმების თავიანთ მხარეზე შენარჩუნება.

ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტმა, მოსკოვის საოლქო კომიტეტმა და ცენტრალური კომიტეტის საოლქო ბიურომ 28 აპრილს აქტიური მუშაეების მონაწილეობით დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ გამოტანილ რეზოლუციაში მიიღეს შემდეგი პუნქტი:


„მუშათა წითელი გვარდიის დაუყოვნებლივ მოწყობა, წინასწარ განუსაზღვრელად იმ ფორმებისა, რომლებშიც ეს შეიძლება გამოიხატოს“¹.

ამრიგად, ყველგან, სადაც კი ბოლშევიკები მეთაურობდნენ პროლეტარიატს — დედაქალაქებსა და პროვინციაში, ურალსა და დონბასში, უკრაინასა და კავკასიაში, — მძიმე და შეუპოვარი ბრძოლით იქმნებოდა წითელი გვარდიის რაზმები. მთავრობის მიერ დივნილმა ბოლშევიკებმა დასძლიეს ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგობა და შესძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ მასების ინიციატივას და გაეშალათ ფართო ძეშაობა პროლეტარული მილიციის მოსაწყობად. მისთვის ბრძოლაში ბოლშევიკებმა შესძლეს მუშათა ყოველი კლასობრივი ზოთხონის გამოყენება, ამხილებდნენ რა ესერების ან მენშევიკების ყოველ შემარჩებელ ნაბიჯს. შეეხებოდა საქმე საცხოვრებელ ბინებს, პურის ნაკლებობას, შიმშილთან ბრძოლის ღონისძიებებს თუ ზედმეტი პროდუქტების ჩაძორთშევას — ბოლშევიკებმა შესძლეს იმის ჩვენება, რომ მთავრობის ყველა ღონისძიება და მენშევიკების დაპირებანი არ შესრულდება მანამდე, სანამ მთელი მშრომელი ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას მართვაგამგეობაში, სანამ პოლიციისა და არმიის ნაცვლად არ მოეწყობა პროლეტარული მილიცია თავდაცვისა და შეტევის მიზნით. ასეთი პოლიტიკით პროლეტარიატის შეგნებაში მტკიცდებოდა. კლასობრივი სამოქალაქო ომის გარდუეალობის იდეა, პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობის იდეა.

მაისში, როცა სარაიონო სათათბიროების საარჩევნო კამპანია გაიშალა და ესერ-მენშევიკებმა გააჩაღეს მყვირალა აგიტაცია, კპირდებოდნენ რა



წითელგვარდიელის ნიშანი.



ვ. ი. ლენინის გამოხვლა ქუხინსკაიას ხახახლის აივნიდან 1917 წ.
ფელისის დღეებში.

ა. ვ. შორაგოვის სურათიდან.

პროლეტარიატს პურს, საზოგადოებრივ კვებას და ბინას, ლენინი გამოვიდა სტატიით „მთავარი დაავიწყდათ“, სადაც, აჯამებდა რა პროლეტარული მილიციისათვის ბრძოლის შედეგებს, ამბობდა:

„ყველა ასეთი პლატფორმა, მრავლისაღმტკმელი რეფორმების ყველა ასეთი სია, თუ კაპიტალის ბატონობის მძიმე და სასტიკ პირობებს დავევიწყებთ, — ცარიელი სიტყვებია, რომლებიც პრაქტიკულად მოასწავებენ ან სრულიად გულუბრყვილო, „კეთილ სურვილებს“, ან მასების უბრალო მოტყუებას ჩვეულებრივი ბურჟუაზიული პოლიტიკანების მიერ“¹.

სანამ არსებობს პოლიცია და მისი შემცველი მილიცია ცალკე, მიმართული ხალხის წინააღმდეგ, არავითარი სერიოზული და ძირითადი რეფორმა მშრომელთა სასარგებლოდ არ შეიძლება.

„საყოველთაო-სახალხო მილიცია პოლიციისა და მუდმივი არმიის ნაცვლად — აი პ ი რ ო ბ ა წარმატებული მუნიციპალური რეფორმებისა მშრომელთა სასარგებლოდ“².

„საყოველთაო-სახალხო მილიცია, — სწერდა ლენინი, — ეს ნიშნავს მოსახლეობის ნამდვილი მ ა ს ე ბ ის აღზრდას დემოკრატიის საფუძველზე.

საყოველთაო-სახალხო მილიცია — ეს ნიშნავს ღარიბთა მართვას ა რ ა მ ხ ო ლ ო დ მდიდრების მეშვეობით, არც მათი პოლიციის მეშვეობით, არამედ მართვას თვით ხალხის მიერ, სადაც ღარიბები სჭარბობენ.

საყოველთაო-სახალხო მილიცია — ეს ნიშნავს, რომ ზედამხედველობა (ფაბრიკებზე, ბინებზე, პროდუქტების განაწილებაზე და სხვ.) შე ი ძ ლ ე ბ ა არ დარჩეს ქალღმერთზე.

საყოველთაო-სახალხო მილიცია — ეს ნიშნავს, რომ პურის განაწილება მოხდება „კულების“ გარეშე, მდიდართათვის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი პრივილეგიების გარეშე“³.

შედეგად პოლშევიკებმა მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს პროლეტარული მილიციის ლოზუნგის განხორციელებაში: ივლისისათვის ყველა სამრეწველო ცენტრში პარტიას ჰყავდა მოწინავე პროლეტარებისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმები, რომლებიც მზად იყვნენ სიცოცხლე შეეწირათ პარტიის დიადი, რევოლუციური საქმისათვის.



თ ა ვ ი მ ა შ ვ ი ლ ა .

ივლისის ღვაწი.

1.

რევოლუციის გამოსვლა დედაქალაქში.

რევოლუციის ძალები, რომლებმაც იენისის კრიზისი გამოიწვიეს, სულ უფროდღუფრო მეტი სისწრაფით განაგრძობდნენ მოქმედებას.

რევოლუციის არცერთი ამოცანა ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი. სიძნელენი პურის მხრივ იზრდებოდნენ. ნგრევა ძლიერდებოდა და სულ ახალ ოლქებსა და რაიონებს ედებოდა. ჩერდებოდა — მეტწილად შეწარმეთა სურვილით — ქარხნები და ფაბრიკები. ტრანსპორტის ხაზით, როგორც არხებში, საწარმოო ორგანიზმის დამბლა მთელს ქვეყანას ედებოდა.

მაისში დაიხურა 108 ქარხანა 8 701 მუშით, იენისში — 125 ქარხანა 38 455 მუშით, ივლისში — 206 ქარხანა 47 754 მუშით. 40 პროცენტით შემცირდა მეტალურგიული წარმოება, 20 პროცენტით — საფეიქრო.

ახლოვდებოდა შიმშილი.

ცხადი იყო — ბურჟუაზია შეტევაზე გადადიოდა. ამ შემოტევის კლასობრივი აზრი ცინიკური გულახდილობით წამოაყრანტალა მსხვილმა მრეწველმა რიაბუშინსკიმ. ვაჟართა და მრეწველთა ყრილობაზე იგი სიამოვნებით ლაპარაკობდა, რომ მალე დადგება მომენტი, როცა

„შიმშილისა და ხალხის სილატაკის მახრჩობელა ხელი ყელში სწვდება ხალხის მეგობრებს, სხვადასხვა კომიტეტისა და საბჭოს წევრებსო“⁴.

მაისის განმავლობაში განსაკუთრებით კი იენისში მთელ ქვეყანაში განუწყვეტილად იმართებოდა გაფიცვები რეასაათიანი სამუშაო დღისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით.



პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი პოლოვცევი ივლისის გამოსვლის ჩამხშობთა სათავეში.

დონეცის აუზი სდულდა და მუშებსა და საწარმოთა პატრონებს შორის მუდმივ კონფლიქტს თავს ვერ აღწევდა; ურალზე გაფიცვების ტალღები აგორდნენ; ნიჟნი-ნოვგოროდის მხარეში სორმოვოს 20 ათასზე მეტი მუშა იყო გაფიცული. მოსკოვის რაიონში ხანგრძლივი კონფლიქტები ნორმალურ მოვლენად იქცა.

სოფლად სწრაფად იზრდებოდა აგრარული რევოლუცია. ივლისისათვის 43 გუბერნია მოცული იყო გლეხთა მოძრაობით. გლეხები გამოდიოდნენ მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა საბჭოებში მოკალათებულ ესერების დაუკითხავად.

მუშათა და გლეხთა მოძრაობას არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა არმიანზე, სადაც თავისი განსაკუთრებული მიზნები მოქმედებდნენ, რომელნიც ჯარისკაცთა მწვავე უკმაყოფილებას იწვევდნენ. დაჟინებით დადიოდა ხმები ფრონტზე, სიკვდილით დასჯის აღდგენის შესახებ, ურჩი პოლკების დაშლის შესახებ. იქმნებოდა ნერვიული, შემაშფოთებელი განწყობილება, რაც სულ უფროდაუფრო მკვეთრად ამჟარავებოდა ომზე უარის თქვაში.

განსაკუთრებით მწვავედ ჩაღებოდა ბრძოლა პეტროგრადში. იენისის დემონსტრაციამ გვიჩვენა, თუ რა ძალა იმალება პროლეტარიატსა და ბოლშევიკურ პარტიაში. იენისის ამბების შემდეგ ყოველ დღე მოდიოდა ცნობები გამოსვლებზე ამათიემ საბაბის გამო. ბურჟუაზიისა და შემთანხმებლებისათვის ყველაზე უფრო შემაშფოთებელი იყო ის, რომ გამოსვლები განუწყვეტლივ ღებულობდნენ პოლიტიკურ და უფრო ხშირად ბოლშევიკურ ელფერს. 2 იენისის „სკოროხოლის“ მუშებმა მოითხოვეს ძალაუფლების გადაცემა საბჭოებისათვის,

8 ივნისს ობუხოველებმა მიიღეს ასეთივე რეზოლუცია, 10 ივნისს „სტარი პარვიანინი“ დაქინებით მოითხოვდა ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის, 13 ივნისს უკვე 19 ქარხანა და ჯარის 3 ერთეული პეტროგრადში ბოლშევიკების მხარეზე იყო. „დავამხეთ ძველი მთავრობა. კერენსკისაც გადმოვაკინწურებთ!“ — ამბობდნენ მუშები და ჯარისკაცები. მოძრაობა ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასაცემად განსაკუთრებული სისწრაფით იზრდებოდა. საკმარისი იყო პატარა წაბიძგება ყალყზე შემდგარი მასების ასათეთებლად და მათ დასაძრავად კაპიტალისტების მთავრობის წინააღმდეგ.


ბურჟუაზიას ესმოდა, თუ საითკენ მიჰყავდა დედაქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა განწყობილებას. მდგომარეობას აორკეცებდა შავბედიითი ცნობები ფრონტიდან.

ნაკრები ცნობები სულ უფროდაუფრო მეტი შემფოთებით იუწყებოდნენ, რომ ათი ათასობით დეზერტირები გარბოდნენ ფრონტიდან. არმიების შტაბები ჩიოდნენ ჯარისკაცთა კომიტეტების თვითნებურ მოქმედებაზე, რომლებიც ხსნიდნენ ოფიცრებს კამანდობიდან. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად კომისრები და გენერლები გზავნიდნენ დეპეშებს, რომ ყველგან დამშობილება ხდებოდა. არმია ხელიდან ეცლებოდათ მეთაურებს.

შეტევა, რომელიც დაიწყო ივნისში უვარგისი საშუალებებით, დამარცხდა. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო კატასტროფა. საჭირო იყო აჩქარება, ვიდრე ცნობები ფრონტზე დამარცხების შესახებ ცეცხლზე ნავთს არ გადაასხამდნენ. საჭირო იყო აჩქარება აგრეთვე იმიტომ, რომ ახლოვდებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. როგორადაც არ უნდა გაეკიანურებინათ ეს არჩევნები, მასების ზეგავლენით მთავრობა მაინც იძულებული იყო დაესახა დამფუძნებელი კრების მოწვევა 30 სექტემბრისათვის. შეტევის კრახი და ამდღევანევი ცნობები სოფლიდან არავითარ ექვს არ სტოვებდნენ, რომ გლეხები დამფუძნებელ კრებაში თავისი ოფიციალური ესერი პელადებისაგან წავილოდნენ შორს მარცხნივ.

ხელზე დაიხვია რა შემთხვევითი საბაბი, ბურჟუაზიამ 2 ივლისს გაიწვია თავისი წარმომადგენლები მთავრობიდან.

კადეტმა-მინისტრებმა: ფინანსთა — შინგარიოვმა, განათლების — მანუილოვმა და სახელმწიფოებრივი მზრუნველობის — თავადმა შახოვსკოიმ — განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან კერენსკის და ტერეშჩენკოს პოლიტიკას უკრაინის საკითხში, და დასტოვეს მთავრობა. გზათა მინისტრმა ნეკრასოვმა ჯერ განაცხადა, რომ გადადგება, მაგრამ შემდეგში გადაიფიქრა და კადეტების ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა წერილი პარტიიდან გასვლის შესახებ. ბურჟუაზიის ანგარიში აგებული იყო იმაზე, რომ ესერებს და მენშევიკებს, რომელთაც კარგად იცოდნენ შემაშფოთებელი განწყობილება და სამხედრო კატასტროფა, შეეშინდებოდათ აელოთ ძალაუფლება თავის ხელში. კადეტებს ესმოდათ, რომ მთავრობიდან მათი გასვლის მუქარით შეშინებული შემთანხმებლები მაგრად ჩაებლაუქებოდნენ ბურჟუაზიულ მინისტრებს და ყოველგვარ დათმობაზე წავილოდნენ. გამოიწვიეს რა მთავრობის კრიზისი, კადეტები-



ივლისის დღეები პეტროგრადში. მეთევიაფრკვენი მოუწოდებენ პუტილოვის
ქარხნის მუშებს მხარი დაუკვირონ გამოსვლებს დროებითი მთავრობის წინა-
აღმდეგ.

პ. შილინგოცკის ოფორტიდან.

სათვის ხელსაყრელი იყო მოგპოვებინათ დაფრთხალი წერილი ბურჟუაზიისაგან სრული ძალაუფლება და დაეწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა ბოლშევიზმთან. ჯერ კიდევ 3 ივნისს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა თათბირზე მილიუტოვი ტაშის გრიალში ამბობდა:

„რუსეთის საზოგადოება უნდა შემქიდროვდეს ბოლშევიზმის ამ საფრხესთან ბრძოლაში... თუ დროებითი მთავრობა ხანგრძლივი დაყოვნების შემდეგ გაიგებს, რომ ხელისუფლებას, რჩევის გარდა, მოგპოვება სხვა საშუალებაც. — სწორედ ის საშუალებანი, რომელთა გამოყენებაც მან უკვე დაიწყო, — თუ იგი ამ გზას დაადგება, მაშინ რუსეთის რევოლუციის მონაპოვარნი განმტკიცდება. აი ამ გზაზე უნდა მოვუწოდოთ ერთმანეთსაც და დროებით მთავრობასაც“¹.

შემდეგში ყველაფერი ძველი ცნობილი კანონებით მოხდებოდა: პროლეტარიატი იქნებოდა პროვოცირებული ნადრევი გამოსვლისათვის და შეუბრალებლად გასრესილი შეიარაღებული ძალით. კადეტებს მხარი დაუჭირა ყველა ბურჟუაზიულმა და შავრაზმულმა პარტიებმა. კურიშკევიჩმა სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო თათბირზე 16 ივნისს რაიონული საქალაქო სათათბიროების არჩევნების შესახებ ხაზგასმით აღნიშნა:

„თუ თქვენ დაუქვირდებით ცხრილებს, ამ არჩევნების შედეგებს, მიხედვით, რომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა „სახალხო თავისუფლების“ (ასე უწოდებდნენ თავის თავს კადეტები. რ. ე. დ.) კეთილშობილმა პარტიამ, ვინაიდან ამ პარტიას, რომელიც უკიდურესი მემარჯვენე პარტიაა რუსეთში, ხმა მისცა ყველამ, ვინც უფრო მარჯვენეც დგას“².

რევოლუციის საფრთხის წინაშე ყველა ბურჟუაზიული პარტია შემქიდროვდა კადეტების ირგვლივ.

მაგრამ კადეტები მოსტყუდნენ. მათმა მანევრმა შექმნა კრიზისი არა მარტო მთავრობაში, არამედ ქვეყანაშიც.

პირველივე ცნობები კადეტების მანევრის შესახებ იყო ბიძგი, რომელმაც გამოიწვია მუშათა აღშფოთების აფეთქება. დილით 3 ივლისს მეტყვიამფრქვევთა 1-ლ პოლკში ასეულებისა და პოლკის კომიტეტების საერთო სხდომაზე გაისმა ხმები, რომლებიც მოითხოვდნენ შეიარაღებული გამოსვლის საკითხის განხილვას. წინადადებას ჩაეკიდნენ დამსწრენი, რომლებმაც იქვე გახსნეს მიტინგი.

ჯარისკაცთა მასის წარმომადგენლებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივი შეიარაღებული გამოსვლა დროებითი მთავრობის დასამხობად. ჯარისკაცები აღშფოთებით ლაპარაკობდნენ, რომ კერენსკი ცდილობს ყვირილში ომი „გამარჯვებამდე“ გაანადგუროს რევოლუცია. გაისმა მოწოდება: „ქუჩისაკენ!“ აღზნებული მეტყვიამფრქვევნი ყვირილით — „ძირს ომი!“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ გამოცვივდნენ ბარაკიდან, სადაც კრება იყო გამართული.

პოლკმა ტყვიამფრქვევებით დატვირთა ავტომანქანები, აღმართა პლაკატე-

პი — „დაე ჩვენი ტყვიამფრქვევებით დაილუპოს ბურჟუაზია!“ . „ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი!“ და, მიუხედავად ბოლშევიკების პარტიის მოწოდებისა არ გამოსულიყო, დაიძრა თავრიდი! სასახლისაკენ.

მეტყვიამფრქვევებმა აირჩიეს დელეგატები და სასწრაფოდ გაგზავნეს ისინი სხვა პოლკებში. უდიდეს საწარმოებსა და კრონშტადტში. მეტყვიამფრქვევთა დელეგატები ყველგან პოულობდნენ გაეარავარებულ ატმოსფერას და ბრძოლისათვის მზადყოფ მასას.

..სამ ივლისს. დაახლოვებით დღის 2 საათზე. — გვიამბობს ქარხანა „ნოვი პარვიანიენის“ მუშა. — მოვიდა რამდენიმე ამხანაგი მეტყვიამფრქვევთა 1-ლი პოლკიდან და მოგვმართა თხოვნით მიგვეცა საბარგო ავტომობილი ტყვიამფრქვევებისათვის და მხარი დაგვექირა მათი გამოსვლისათვის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ... მოიწვიეს მუშათა საერთო კრება. კრება მეტად მღელვარედ მიმდინარეობდა. მხურვალედ და დამაჯერებლად ამტკიცებდნენ ამხანაგი მეტყვიამფრქვევნი, რომ დროებითი მთავრობისა და კერენსკის დამხობა დროულია და აუცილებელი. მუშათა მასები მეტად რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი... მე წავედი ბინაზე იარაღისათვის. როცა უკან დავბრუნდი, ქარხნის ალყაფის კარებიდან უკვე გამოდიოდა საბარგო ავტომობილები, რომლებზედაც მეტყვიამფრქვევნი და ჩვენი მუშების ნაწილი იმყოფებოდნენ“¹.

ასეთივე განწყობილება დახვდათ დელეგატებს სხვა ქარხნებშიც. დაახლოვებით დღის 2 საათისათვის მეტყვიამფრქვევნი მივიდნენ პუტილოვის ქარხანაში და მოუწოდეს გამოსულიყვნენ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც იმუქრებოდა, რომ რევოლუციურ გარნიზონს ფრონტზე გაგზავნიდა. „ძირს ასეთი მინისტრები!“ გაისმა ყველა მხრიდან მრავალათასიან მასაში. პასუხად თხოვნაზე მხარი დაექირათ მეტყვიამფრქვევთა გამოსვლისათვის მუშებმა დაიყვირეს: „დაეძრათ! დაეძრათ!“² გვიან ღამით 30 ათასამდე პუტილოველი გაემართა სასახლისაკენ ცოლებითა და ბავშვებით და გზაზე შემოიერთეს სხვა ქარხნები და პოლკები.

კრონშტადტში მეტყვიამფრქვევთა 1-ლი პოლკის დელეგატებმა მოიწვიეს შიტინგი იაკონაიას მოედანზე. მათმა მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა. მატროსებმა გადასწყვიტეს მხარი დაექირათ პეტროგრადის გარნიზონისა და მუშების გამოსვლისათვის. რასკოლნიკოვმა, კრონშტადტის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ამ ხნის განმავლობაში მოასწრო პირდაპირი შავთულით დაკავშირებოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ეცნობებინა მისთვის კრონშტადტის განწყობილება.

..საკითხი ღვას არა ჰისე, — ამბობდა იგი, — გამოვიდეთ თუ არ გამოვიდეთ, არამედ სხვანაირად: გამოსვლა ჩატარდება ჩვენი ხელმძღვანელობით, თუ იგი მოხდება ჩვენი პარტიის მონაწილეობის გარეშე — სტიქიურად და აზაროგანიზებულად? ასე თუ ისე გამოსვლა სრულიად გარდუვალია, და მისი თავიდან აცილება არ შეიძლება“³.


კონსტანტინის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიმზრდობა პეტროგრადის გარნიზონის გამოსვლას და 4 ივლისის დილის 6 საათისათვის დანიშნა შეიარაღებული ნაწილების თავმოყრა პეტროგრადში გასაგზავნად.

2.


ივლისის დემონსტრაცია დედაქალაქში.

ბოლშევიკების პარტიამ კარგად იცოდა განწყობილება სამხედრო ნაწილებსა და ქარხნებში. მან იცოდა, თუ რამდენი რევოლუციური ენერგია დაგროვდა ქვედაფენებში. მაგრამ პარტია არ სთვლიდა ვითარებას მომწიფებულად შეიარაღებული ბრძოლისათვის, და არა ბოლშევიკების ინიციატივით გამოვიდნენ მასები ქუჩაში ივლისის დღეებში. პარტია დაუყოვნებლივ გამოსვლის წინააღმდეგი იყო. ჯერ კიდევ 22 ივნისს შესდგა ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის, პეტერბურგის კომიტეტის და სამხედრო ორგანიზაციის წევრების საერთო თათბირი, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამჟამად არ არის ხელსაყრელი ბრძოლის გამართვა.

ბოლშევიკები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს კადეტების მანევრებს. ლენინი აფრთხილებდა პარტიას, რომ ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია პეტროგრადის რევოლუციური მასების გამოწვევა ქუჩაში მანამდე, სანამ რევოლუციური მოძრაობა მოედება მთელ ქვეყანას.



ივლისის დემონსტრაცია პეტროგრადში.



ფრონტიდან გამოწვეული კაზაკები ივლისის დემონსტრაციის ჩასახშობად პეტროგრადში.

მაგრამ მოძრაობა დედაქალაქში სწრაფად იზრდებოდა. დღით-დღე სულ უფროდაუფრო ნათელი ხდებოდა მასებისათვის მთავრობის კონტრარევოლუციური ხასიათი. ყოველი საათი ააშკარავებდა ესერ-მენშევიკთა შემთანხმებულ პოლიტიკას. იმ მომენტში, როცა მოძრაობა იზრდებოდა, რომლის კიდევ უფრო სწრაფი განვითარება შემდეგში მოსალოდნელი იყო, რისკის გაწევა არ იყო ხელსაყრელი.

„დაე მომავალმა კავენიაკებმა პირველებმა დაიწყონ“¹, სწერდა ლენინი.

იყო სხვა მიზეზებიც, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკას ხსნიდნენ. რა რიგ დიდიც არ იყო პეტროგრადის მნიშვნელობა რევოლუციაში, მაგრამ მარტო იგი არ სწყვეტდა მის ბედს. თუ ურალის პროლეტარები, დონბასის მლაროელები, მილიონობით ჯარისკაცები არ მიიღებდნენ მონაწილეობას, ისე გამოსვლა სიგიჟე იქნებოდა. არმია აშკარად ეცლებოდა ხელიდან მთავრობას, არმია უკვე აღარ ენდობოდა დროებით მთავრობას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ იმყოფებოდა თავისი კომიტეტებსა და გავლენის ქვეშ, სადაც ესერები და მენშევიკები იხსდნენ.

ასრულებდნენ რა პარტიის დირექტივას, ბოლშევიკები, კერძოდ პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლები, 3 ივლისს გამოსთქვამდნენ აზრს შეიარაღებული გამოსვლის წინააღმდეგ. მაგრამ ჯარისკაცებისა და მუშების მღელვარებამ დედაქალაქში უკვე საზღვარს მიაღწია.



კონსტანტინოპოლიდან პეტროგრადში ჩამოსული მკვლელები 1917 წლის ივლისის დღეებში.

ი. გ. დროშდის სურათიდან.

სწორედ ამ დღეებში — 1 — 3 ივლისს — მიმდინარეობდა პეტროგრადის ბოლშევიკების მეორე საერთოსაქალაქო კონფერენცია. მეტყვიამფრქვევთა წარმომადგენლები გამოცხადდნენ სხდომაზე და განაცხადეს პოლკის გამოსვლის შესახებ. სტალინმა, გამოვიდა რა კონფერენციაზე, ასე დაახასიათა ეს შემთხვევა:

„თქვენ გახსოვთ, როგორ განუცხადეთ დელეგატებს, რომ პარტიის წევრებს არ შეუძლიათ წავიდნენ თავისი პარტიის დადგენილების წინააღმდეგო, და როგორ გაჯავრდნენ პოლკის წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ პარტიიდან გასვლას ვამჯობინებთ, მაგრამ პოლკის დადგენილების წინააღმდეგ არ წავალთ“¹.

3 ივლისს დაახლოებით საღამოს 5 საათზე სტალინმა ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტისა და კონფერენციის სახელით, რომელთაც საერთო თათბირი ჰქონდათ 4 საათზე, ოფიციალურად განაცხადა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომ პარტიამ გადასწყვიტა არ მოხდეს გამოსვლა. მაშინვე დაიწერა მოწოდება და გაიგზავნა „პრავდაში“, რომ იგი გამოქვეყნებულიყო 4 ივლისს დილით. თათბირისა და კონფერენციის წევრები გაეშურნენ რაიონებში იმ მიზნით, რომ შეეკავებინათ მასები გამოსვლისაგან. მაგრამ მოძრაობის შეჩერება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. ბოლშევიკებს მოუთმენლად უსმენდნენ, ხოლო შემდეგ ქუჩისაკენ მიეშურებოდნენ. ორ ბოლშევიკს, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ შეეკავებინათ მოსკოვის პოლკის ჯარისკაცები და უახლოესი ქარხნების მუშები, დემონსტრანტებმა უპასუხეს:

„ჩვენ რომ მათ პირადად არ ვიცნობდეთ, გავაძევებდით, როგორც მენშევიკებს“².

საჭირო იყო ახალი გადაწყვეტილების მიღება. ბოლშევიკური პარტიის რიგითი წევრები ხშირად თავისი პასუხისმგებლობითა და რისკით ლებულობდნენ ამ ახალ გადაწყვეტილებას — ასე გაიზარდა პარტიის პოლიტიკური დონე. მათ საუცხოოდ ესმოდათ, რომ თავის ბედზე მიგდებული დემონსტრაცია განადგურებული იქნებოდა კონტრრევოლუციის მიერ. დაჰკარგეს რა აზვირთებული ტალღის შეკავების იმედი. ბოლშევიკები სათავეში უდგებოდნენ დემონსტრაციას: ისინი თავის ხელში ლებულობდნენ მოძრაობის ხელმძღვანელობას, დემონსტრაციას გარს არტყამდნენ შეიარაღებულ წითელ გვარდიას კონტრრევოლუციური პროვოკაციის შემთხვევისათვის.

„გამოსვლა მოხდა, — ამბობდა სტალინი შემდეგ თავის სიტყვაში პეტროგრადის ორგანიზაციის კონფერენციაზე. — ჰქონდა თუ არა პარტიას უფლება ხელი დაებანა პროლეტარიატისა და ჯარისკაცების გამოსვლაში და განზე გამდგარიყო? ჩვენ ვითვალისწინებდით გამოსვლის კიდევ უფრო სერიოზულ შედეგებს, ვიდრე არის. ჩვენ არ გვქონდა უფლება ხელი დაგვებანა; როგორც პროლეტარიატის პარტია, ჩვენ უნდა ჩავრეულიყავით მის გამოსვლაში და მიგვეცა მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული



ჯავშნიანი ავტომანქანები, გამოწვეული ფრონტიდან ივლისის დემონსტრაციის ჩასახშობად პეტროგრადში.

ხასიათი, არ დაგვესახა მიზნად ძალაუფლების ხელში ჩაგდება შეიარაღებულა ძალით“¹.

3 ივლისს დაახლოებით საღამოს 10 საათზე ქმესინსკიას სასახლეში შეიკრიბნენ ბოლშევიკების საერთოსაქალაქო კონფერენციის დელეგატები, ცენტრალური კომიტეტის წევრები და სამხედრო ნაწილებისა და ქარხნების წარმომადგენლები. განიხილა რა პეტროგრადის ამბები, კრებამ მიიღო ასეთი დადგენილება:

„ხელისუფლების შექმნილი კრიზისი ვერ გადაიკრება ხალხის ინტერესების მიხედვით, თუ რევოლუციური პროლეტარიატი და გარნიზონი მტკიცედ და გარკვევით დაუყოვნებლივ არ განაცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ ძალაუფლების გადასვლას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში. ამ მიზნით სასურველია მუშათა და ჯარისკაცთა დაუყოვნებლივ გამოსვლა ქუჩაში იმისათვის, რომ მოახდინონ თავისი ნების გამოვლენის დემონსტრაცია“².

ბოლშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა პეტერბურგის კომიტეტთან და სამხედრო ორგანიზაციასთან ერთად დაადგინა: გააუქმოს თავისი წინანდელი გადაწყვეტილება გამოსვლის აკრძალვის შესახებ და სათავეში ჩაუდგეს სტიქიურ მოძრაობას, მისცეს მას ორგანიზებული ფორმები. 4 ივლისისათვის დანიშნული იყო მშვიდობიანი დემონსტრაცია ლოზუნგით „მთელი ძალაუფლე-



გენერალ პოლოცევის დასახმარებლად „პეტროგრადში რევოლუციური წესრიგის აღსადგენად და დასაცავად“ შემთანხმებლებმა გამოჰყვეს ორი ეხერი — ავქსენტოევი და გოცი.

კარიკატურა კუკინიჟისა.

ბა საბჭოებს“. რადგან წინანდელი მოწოდება უკვე დაბეჭდილი იყო, მეორე დღეს „პრავდა“ გამოვიდა თეთრი კაბადონით. ახალი მოწოდება გამოუშვეს, როგორც განსაკუთრებული ფურცელი, მოწოდებით პეტროგრადის მუშებისა და ჯარისკაცებისადმი:

„მას შემდეგ რაც კონტრრევოლუციური ბურჟუაზია აშკარად გამოვიდა რევოლუციის წინააღმდეგ, დაე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სრულიად-რუსეთის საბჭომ თავის ხელში აიღოს მთელი ძალაუფლება“¹.

მეორე დღეს გაიშალა ახალი მძლავრი დემონსტრაცია, ამ შემთხვევაში ბოლშევიკების პარტიის მეთაურობით. მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა სპეციალური შტაბი და შედგენილ იქნა ინსტრუქცია. ჯავშნიანი აქტომანქანები ქალაქის სხვადასხვა ადგილას იცავდნენ დემონსტრანტებს. პეტრეპავლეს ციხეში გაიგზავნა მეტყვიამფრქვევეთა პოლკის ასეული.

ოთხ ივლისს ჩამოსულ კრონშტადტელთა გარდა გამოვიდა აგრეთვე ზოგიერთი ნაწილი პეტერჰოფიდან. ორანიენბაუმიდან, კრასნოე სელოდან და სხვა ადგილებიდან. კრონშტადტელებს, გამოჩნდნენ რა ქშესინსკაიას სასახლის წინ, დაჟინებით უნდოდათ მოესმინათ პარტიის ბელადისათვის — ლენინისათვის.

თავის მოკლე გამოსვლაში, რომელიც ერთადერთია ივლისის დღეებში, ლენინმა პეტროგრადის მუშათა სახელით გადასცა მისალმება რევოლუციურ კრონშტადტელებს და გამოსთქვა რწმენა, რომ ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ უნდა გაიმარჯვოს და გაიმარჯვებოს. ამასთან ერთად ლენინი მოუწოდებდა „გამძლეობის, მედგრობისა და სიფხიზლისაკენ“².

დემონსტრაციები მიემართებოდნენ ქშესინსკაიას სასახლისაკენ, სადაც მოთავსებული იყო ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პეტერბურგის კომიტეტი, იქიდან კი — თავრიდის სასახლისაკენ, სადაც საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა. იქ დემონსტრანტები ირჩევდნენ დელეგაციებს, რომლებიც გადასცემდნენ მასების მოთხოვნებს. 54 საწარმოს 90 არჩეულმა წარმომადგენელმა გაიარა სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრების წინაშე. ერთი-მეორეზე გამოდიოდნენ დელეგატები და გატაცებით მოუწოდებდნენ სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აეღო ძალაუფლება თავის ხელში. დაფრთხალი ესერ-მენშევიკები შემფოთებით ეჭურჩულებოდნენ ერთმანეთს. ესმოდათ რა დემონსტრანტთა მწყობრი სიარული. მაგრამ გადაწყვეტილებას არ ლებულობდნენ. გაძლიერებული ხმაური დემონსტრაციისა, რომელმაც ნახევარ მილიონამდე მუშა და ჯარისკაცი აამოძრავა, აშინებდა „რევოლუციური დემოკრატიის“ ბელადებს. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ხალხის მასების მოთხოვნების შესრულებისათვის.

ივლისის დემონსტრაციის განაღმურება.

სანამ დემონსტრანტები მხურვალედ მოუწოდებდნენ საბჭოებს ძალაუფლებისაკენ, ესერ-მენშევიკები გამოსულთა ზურგს უკან გამალებით რაზმადნენ ძალებს რევოლუციის წინააღმდეგ. თავრიდის სასახლისთან თავს უყრიდნენ მთავრობის ერთგულ სამხედრო ნაწილებს. საღამოს 7 საათისათვის სასახლის მოედანზე მოვიდნენ ვლადიმირის სამხედრო სასწავლებელი, მე-9 ცხენოსანი პოლკი და კაზაკების 1-ლი პოლკი.


მენშევიკი ვოტინსკი სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად-რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 5 ივლისს აცხადებდა:

„ერთ დროს ჩვენ სრულიად არ გვყავდა ძალები. თავრიდის სასახლის შესავალ კარებთან მხოლოდ ექვსი კაცი იდგა, რომელთაც არ შეეძლოთ ბრბოს შეკავება. პირველი ნაწილი, რომელიც ჩვენს დასახმარებლად მოვიდა, — ეს იყო ჯავშნიანი ავტომანქანები... ჩვენ გვქონდა მტკიცე გადაწყვეტილება: შეიარაღებული ბანდის მხრით ძალადობის შემთხვევაში აგვეტეხა სროლა“.

ბრძანება მიეცა მე-5 არმიის კომიტეტს, რათა გაეგზავნა ჯარები პეტროგრადში. ფრონტიდან მაშინვე გამოგზავნეს მე-14 ცხენოსანი დივიზია, ღონის კაზაკთა მე-14 პოლკი, მე-117 იზმორსკის პოლკი და სხვა ნაწილები. ნაკრები რაზმის მეთაურად დაინიშნა სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი პორუჩიკი მაზურენკო. საზღვაო მინისტრის თანამემწემ დუდაროვმა ჰელსინგფორსში წყალქვეშა ნაგებს გადასცა ბრძანება: არ შეჩერდნენ რევოლუციური ზომადების ჩაძირვის წინაშე, თუ ისინი პეტროგრადისაკენ გაემართებიან. ესერები და მენშევიკები უფრო ნაკლებად, ვიდრე ყოფილი მეფე ნიკოლოზი თავისი მეფობის უკანასკნელ დღეებში, მერყეოდნენ, მოეხსნათ თუ არა ჯარები ფრონტიდან რევოლუციასთან საბრძოლველად. გაცოფებული წვრილი ბურჟუები არანაკლები რეაქციონერები აღმოჩნდნენ, ვიდრე მეფის გენერლები.

მენშევიკებისა და ესერების ბელადებთან მკიდრო კავშირში პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარსარდალმა გენერალმა პოლოვცევმა 4 ივლისს დილით გამოსცა ბრძანება წესრიგის დაუყოვნებლივ აღდგენის შესახებ.

ქალაქის სხვადასხვა ნაწილში — ნევესკისა და სადოვაიას კუთხეში, ლიტვინის პროსპექტზე, საინჟინერო ციხე-დარბაზის მახლობლად და სხვა ადგილას — პროვოკატორებმა და კონტრრევოლუციონერებმა შაშხანების სროლა დაუწყეს დემონსტრანტებს. ადგილი ჰქონდა დემონსტრანტებზე თავდასხმებს კაზაკებისა და იუნკრების მხრით. კონტრრევოლუციამაც გადასწყვიტა შეტევაზე გადასულიყო. საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა „პეტროგრადში რევოლუციური წესრიგის აღდგენისა და დაცვის“ მთავრობის კომისიის დასახმარებლად გამოჰყო ორი ესერი — ავქსენტეივი და



ფელის დემონსტრაციის დახვედრა პეტროგრადში 1917 წელს.

ა. მ. დიუბაშვილის სურათიდან.

გოცი. დილით 5 ივლისს კონტრრევოლუციურმა ნაწილებმა დაარბიეს „პრავდის“ რედაქცია და სტამბა „ტრუდ“.

სთვლიდნენ რა დემონსტრაციას დამთავრებულად, ბოლშევიკები ჯერ კიდევ 4 ივლისს მოუწოდებდნენ დემონსტრანტებს მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. მაგრამ იუნკრებისა და კაზაკების თავდასხმასთან დაკავშირებით მეზღვაურები პეტროგრადში დარჩნენ; მათ დაიკავეს ქშესინსკაიას სასახლე და პეტრე-პავლეს ციხე და მეტეიაფრჩევებთან ერთად მოემზადნენ თავდაცვისათვის.

სალამოს 5 ივლისს მთავრობის დასახმარებლად ფრონტიდან ჩამოვიდნენ ახალი მამული ძალები. ქალაქში ამ დროს სწარმოებდა მასობრივი დაპატიმრებანი, ჩხრეკა, დარბევა. პეტროგრადმა ოკუპირებული ქალაქის სახე მიიღო. ქუჩები იუნკერთა პატრულებით იყო ავსილი. მუშათა რაიონები მოწვევითი იყო ცენტრისაგან. 6 ივლისს წინ ღამით საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლითაც იგი უდავოდ გახდა კონტრრევოლუციის ბნელი საქმის მონაწილე:

„კრება აღიარებს, რომ დროებითი მთავრობისა და ორივე აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროებისაგან გამოყოფილი სამხედრო კომისიის მიერ ამ დღეებში მიღებული ზომები შეესაბამებოდა რევოლუციის ინტერესებს.

აღიარებს რა შემდგომ გადამწყვეტ ღონისძიებათა აუცალულობას რევოლუციური წესრიგის აღსადგენად და დასაცავად პეტროგრადში, კრება ადასტურებს ორივე კომიტეტის ბიუროების მიერ ამხანაგ ავქსენტიევისა და გოცისათვის მიცემულ რწმუნებებს“⁴.

კრებამ მოიწონა აგრეთვე დუდაროვის დეპეშა.

კონტრრევოლუციის წარმომადგენლები ულტიმატუმების ენაზე ალაპარაკდნენ. კრონშტადტის მატროსთა დელეგაციას, რომელიც ამ დროს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო კომისიასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ განიარაღებლიყო. 5 და 6 ივლისის მდგომარეობა დაასურათა სტალინმა თავის მოხსენებაში პეტროგრადის ორგანიზაციის კონფერენციაზე:

„ხუთ ივლისს შესდგა მოლაპარაკება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ლიბერის სახით. ლიბერმა წამოაყენა პირობა: ჩვენ (ე. ო. ბოლშევიკები. რ. ე. დ.) ვხსნით ჯაფშნიან ავტომობილებს ქშესინსკაიას სასახლისაგან, მატროსები კრონშტადტში მიემგზავრებიან; ჩვენ დავთანხმდით იმ პირობით, რომ საბჭო იცავს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებელი დარბევისაგან. ლიბერმა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით დაგვარწმუნა, რომ ჩვენს პირობებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შეასრულებდა, რომ ქშესინსკაიას სასახლე ჩვენს განკარგულებაში იქნებოდა მანამდე, სანამ მუდმივ სადგომს არ მოგვემდინე. ჩვენ

შევასრულეთ ჩვენი დაპირება. ჯავშნიანი ავტომობილები მოვხსენით, კრონშტადტელები დათანხმდნენ უკან 'გამგზავრებულ' იყვნენ, ოღონდ იარაღით ხელში. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კი არცერთი თავისი ვალდებულება არ შეასრულა. 6 ივლისს კოზმინმა (ოლქის სარდლის თანაშემწემ. რე დ.) ტელეფონით გადმოგვცა მოთხოვნა, რომ 3—4 საათის შემდეგ ქშესინსკაიას სასახლე და პეტრე-პავლეს ციხე გაწმენდილიყო ფილიცო, წინააღმდეგ შემთხვევაში კოზმინი გვემუქრებოდა. რომ შეიარაღებულ ძალებს დაძრავდა... ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დელეგატად გამგზავნა მე პეტრე-პავლეს ციხეში. სადაც დაიკვირეთ: იქ მყოფი მატროსები არ გაემართათ ბრძოლა. რადგან მდგომარეობა იმგვარად შემოტრიალდა, რომ ჩვენ ვდგევართ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ. როგორც საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი. მე ბოგდანოვთან ერთად მივემგზავრები კოზმინთან. მას ყველაფერი მზად აქვს. ბრძოლისათვის: არტილერია, კავალერია. ქვეითი ჯარი. ჩვენ ვცდილობთ: შევავროთ მას. რომ არ გამოიყენოს შეიარაღებული ძალა. კოზმინი უკმაყოფილოა, რომ სამოქალაქო პირნი თავისი ჩარევით მუდამ ხელს უშლიან მას, და უფულოდ თანხმდება დაემორჩილოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დაყენებით მოთხოვნას. ჩემთვის ნათელია, რომ მემარჯვენე ფრთას უნდოდა სისხლი, რათა მუშებისა, ჯარისკაცებისა და მატროსებისათვის მიეცა „გაკვეთილი“. ჩვენ ხელი შეუშალეთ მათ შეესრულებინათ თავისი სურვილი... ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ბოლშევიკებისა და კონტრრევოლუციის მიერ შეშინებული. სამარცხვინო კავშირს. ჰკრავს კონტრრევოლუციასთან, აკმაყოფილებს რა მის მოახოვნებს: ბოლშევიკების გაცემა, ბალტიის დელეგაციის დაპატიმრება. რევოლუციური ჯარისკაცებისა და მუშების განიარაღება“¹.

ჯერ კიდევ 4 ივლისს დროებითმა მთავრობამ პეტროგრადის სამხედრო: ოლქის ჯარების სარდალს გენერალ პოლოვცევს განკარგულება მისცა „გაეწმინდა პეტროგრადი შეიარაღებული ადამიანებისაგან“.

„ამასთან ერთად, — ნათქვამი იყო ამ განკარგულებაში, — გვევლებათ დააპატიმროთ, როგორც უწესოების მონაწილენი, ბოლშევიკები. რომელთაც ქშესინსკაიას სახლი უკავიათ, გასწმინდოთ იგი და დაიკავოთ ჯარებით“².

დილით 6 ივლისს პეტრე-პავლეს ციხე დაიკავეს მეტყვიამფრქვევე ველოსიპედისტებმა, ცოტა ხნის შემდეგ ჯარებმა დაიკავეს ქშესინსკაიას სასახლეც, სადაც მოახდინეს დარბევა. იმავე დღეს, 6 ივლისს, დროებითმა მთავრობამ გამოსცა უქაზი ლენინის დაპატიმრების შესახებ.

ბოლშევიკების პარტიისა და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ დაიწყეს ველური დევნა. ლენინის წინააღმდეგ გადმოსროლილ იქნა ცილისწამებით აღსავსე ბრალდება, რომ იგი გერმანიის ჯაშუშია. ეს უაზრობა შეთხზული იყო



ქუთაისის სახლისა და „სოლდატსკაია პრავდის“ რედაქციის დარბევა იუნკერების მიერ ივლისის დღეებში.

პროეკატორის. ციმბირის მე-16 პოლკის პრაპორშჩიკის, ვინმე ერმოლენკოს „ჩვენების“ საფუძველზე, რომელიც თითქოს გერმანიის სარდლობამ გადმოსროლა მე-6 არმიის ფრონტზე იმისათვის, რომ გაეწია აგიტაცია გერმანიასთან ზავის დასადებად. მისი „ჩვენება“ დროებით მთავრობას ხელში ჰქონდა ჯერ კიდევ აპრილში, მაგრამ უფრო ხელსაყრელი მომენტისათვის ინახავდა მას. 5 ივლისს ეს ცილისწამებით აღსავსე ჟორები ყოფილმა სოციალ-დემოკრატმა და II სახელმწიფო სათათბიროს წევრმა გ. ალექსინსკიმ და ყოფილმა ნაროდოვოლუცმა ე. პანკრატოვმა გამოაქვეყნეს ყვითელ გაზეთ „უივოე სლოვოში“. დროებითმა მთავრობამ ვერ გაბედა თავისი სახელით გამოექვეყნებინა ეს „დოკუმენტები“ და გადასცა ისინი დასახელებულ პირთ.

მენშევიკების ლიდერმა დანმა, თუმცა საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ მას არ სჯერა ბოლშევიკების მონაწილეობა გერმანიის სასარგებლოდ წარმოებულ ჯაშუშობაში, მიუხედავად ამისა შესაძლებლად სცნო პროვოკატორულად ეხსენებინა, თითქოს 3 — 5 ივლისის დემონსტრაციაში მონაწილეობას ლებულობდნენ გერმანიის აგენტები.

„ვარ რა ღრმად დარწმუნებული, რომ გერმანიის გენერალური შტაბის აგენტურა ეტმანება ისეთი ხასიათის ყველა მოძრაობას, როგორცაა 3 — 5 ივლისის მოძრაობა, ამავე დროს მე არცერთ ბოლშევიკს, მით უფრო მთელ ბოლშევიკურ პარტიას არასოდეს არ ვაბრალებდი ჯაშუშობას გერმანიის სასარგებლოდ“¹.

კონტრრევოლუციამ მოითხოვა ლენინის გასამართლება. რომელიც, ვიდრე დაპატიმრებდნენ, წავიდა იატაკქვეშეთში. პარტიის ზოგიერთმა წევრმა (რიკოვმა, ნოვინმა, კამენევმა) გამოსთქვეს აზრი, რომ ლენინი გამოცხადებულიყო სასამართლოში. ტროცკიც მოითხოვდა, რომ ლენინი დაპორჩილებოდა ხელისუფლებას, მაგრამ ამის წინააღმდეგ მკვეთრად გაილაშქრა სტალინმა, რომელმაც განაცხადა: არ არის გარანტია, რომ მას არ დაფლეთნო“².

რამდენად მართალი იყო სტალინი იმ საფრთხის განსაზღვრაში, რომელიც რიჩს ემუქრებოდა, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს თვით პოლოცევის, ივლისის ხოცვა-ჟლეტის ერთერთი მთავარი ხელმძღვანელის, ჩვენება.

პოლოცევი შემდეგში თავის მოგონებებში „დაბნელების დღეები“ სწერდა:

„ოფიცერი, რომელიც ტერიოკში მიემგზავრება ლენინის დაქვრის იმედით, მეკითხება, მსურს ეს ვაჟბატონი მივიღო მთლიანი თუ დაშლილი სახით... ღიმილით ვუპასუხებ, რომ დაპატიმრებულნი ძალიან ხშირად ცდილობენ გაქცევას“³.

თვითონ ლენინი ასეთ აზრს გამოსთქვამდა ამ გასამართლების თაობაზე:

„სასამართლო ხელისუფლების ორგანოა. ეს ზოგჯერ ავიწყდებათ ლიბერალებს. მარქსისტისათვის ცოდვია ამის დაეწყება. ჩალო სადაა ხელოსუფლება?... მთავრობა არაა. იგი ყოველდღიურად იცვლება. იგი უმოქმედოა. მოქმედობს სამხედრო დიქტატურა. „სასამართლოზე“ აქ ლაპარაკიც სასაცილოა. საქმე „სასამართლოში“ როდია, არამედ სამოქალაქო ომის ეპიზოდი... „მე კანონის საწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია. სამსჯავრო სამართლიანია. სასამართლო გააჩივებს. გასამართლება საჯარო იქნება. ხალხი მიხედება. მე ვცხადდები“. ეს მსჯელობა ბავშვური გულუბრყვილობაა. გასამართლება კი არა, არამედ ინტერნაციონალისტებზე წასისიანება — აი რა ეს აქიროება ხელისუფლებას. ჩასვან ჩინი და არ გაუშვან — აი რა უნდათ ბატონ კერენსკისა და კომპანიას. ასე იყო (ინგლისსა და საფრანგეთში), ასე იქნება (რუსეთში)“⁴.

შვიდ ივლისს დროებითმა მთავრობამ დაადგინა დაშალოს ყველა სამხედრო ნაწილი, რომლებიც მონაწილეობას ლებულობდნენ 3 — 5 ივლისის დე-

მონსტრაციაში. დროებითი მთავრობის ამ გადაწყვეტილებებს წინ უსწრებდა ასეთივე მოთხოვნები ინგლისის ელჩისა პეტროგრადში — ბიუკენენისა, რომელმაც ეს მოთხოვნები ჯერ კიდევ 4 ივლისს გადასცა საგარეო საქმეთა მინისტრ ტრეზენკოს. ბიუკენენი საჭიროდ სთვლიდა:

„1) აღდგენილ იქნას სიკვდილით დასჯა მთელ რუსეთში ყველასათვის, ვინც სამხედრო და საზღვაო კანონებს ექვემდებარება. 2) მოეთხოვოს იმ ჯარისკაცებს, რომლებიც მონაწილეობას ლებულობდნენ უკანონო დემონსტრაციაში, გასცენ აგიტატორები დასასჯელად. 3) განიარაღებულ იქნას ყველა მუშა პეტროგრადში. 4) მოეწყოს სამხედრო ცენზურა იმ გაზეთების კონფისკაციის უფლებით, რომლებიც აქეზებენ ჯარებს ან მოსახლეობას წესრიგის ან სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ. 5) მოეწყოს პეტროგრადსა და სხვა დიდ ქალაქებში „მილიცია“ დაქრილი ოფიცრების მეთაურობით, ფრონტზე დაქრილი ჯარისკაცებისაგან და შერჩევისას უპირატესობა მიეცეთ 40 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებს. 6) განიარაღებულ იქნას და მუშათა ბატალიონებად გარდაიქმნას ყველა პოლკი პეტროგრადსა და მაზრაში, თუ ისინი არ სცნობენ ყველა ზემოაღნიშნულ პირობას“¹.

რვა ივლისს გამოიცა ბრძანება ბალტიის ფლოტის მეზღვაურთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის — ცენტრობალტის, როგორც მას შემოკლებით უწოდებდნენ, დაშლის შესახებ. გაცემულ იქნა განკარგულება დაეპატიმრებინათ და პეტროგრადში გაეგზავნათ გამოსაძიებლად ყველა ისინი, ვინც გამოიწვია მღელვარება კრონშტადტის გარნიზონსა და სახაზო გემების — „პეტროპავლოვსკის“, „რესპუბლიკის“ და „სლავის“ კომანდებს შორის, რომელთა სახელები ბურჟუაზიის ლაქიების გამოთქმით „შებლალულია კონტრრევოლუციური მოქმედებითა და რეზოლუციებით“.

იმავე დღეს კერენსკიმ დაუგზავნა ყალბი რადიოდებეშა „ყველას“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ეკვეთებოდნენ გამოირკვა, რომ უწყისობა პეტროგრადში მოწყობილი იყო გერმანიის მთავრობის აგენტების მონაწილეობით... ძმთა სისხლით, სამშობლოსა და რევოლუციის წინააღმდეგ დანაშაულით შებლალული ხელმძღვანელები და პირნი დაპატიმრებულ უნდა იქნან“².

„სოციალისტ“-მინისტრებს — კადეტების წასვლის შემდეგ ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ მთავრობაში — ესმოდათ, რომ მთავრობის აშკარად კონტრრევოლუციურ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს მასების მხრით წინააღმდეგობის ტალღა. შემთანხმებელი მინისტრები რევოლუციის განადგურებაზე ხელს არ იღებენ და ამავე დროს გადაწყვეტილებას ლებულობენ დაპირდნენ ხალხს რამდენიმე „რევოლუციური“ ღონისძიება. განზრახული იყო გამოეცხადებინათ რუსეთი რესპუბლიკად, გაერეკათ სახელმწიფო საბჭო და სახელმწიფო სათათბირო, შესდგომოდნენ საადგილმამულო კანონმდებლობას. დღისით 7 ივლისს კერენსკიმ გააშუქა ეს პროგრამა დროებითი მთავრობის სხდომაზე. პასუხად თავადი ლევი გადადგა და დასტოვა სხდომა.

ბურჟუაზიულ წრეებში განგაში ასტეხეს. სახელმწიფო სათათბიროს დროებითა კომიტეტმა განაცხადა, რომ მისი აზრით

„პოლიტიკურად დამლუპველია მისი ჩამოცილება ახალი დროებითი მთავრობის შექმნაში მონაწილეობისაგან“¹.

სალამოს თავადმა ლევამ მთავრობაში გაგზავნა წერილი პროტესტით დასახული პროგრამის წინააღმდეგ. მისი სიტყვით, პროგრამის ყველა პუნქტს აქვს

„მასებრსათვის, დემოკოგისა და მათი წერილმანი თავმოყვარეობის მოთხოვნების, დაქმყოფილების გულსათვის, სახელმწიფოებრივ, მორალურ ღირებულებათა გადასროლის ხასიათი“².


ბურჟუაზიის მიერ დაშინებულმა „სოციალისტმა“-მინისტრებმა ხელი აიღეს თავის განზრახვაზე. 8 იელის დროებითა მთავრობამ დაამტკიცა კერენსკი მინისტრ-თავმჯდომარედ და შეუნარჩუნა მას სამხედრო და საზღვაო მინისტრთა პოსტები. ნეკრასოვი შეყვანილ იქნა მთავრობაში როგორც მინისტრ-თავმჯდომარის ნოადგილე. შინაგან საქმეთა სამინისტრო წერეთელს ჩააბარეს. იმავე დღეს მთავრობამ გამოაქვეყნა პროგრამა, რომელშიც ცოტახნის წინათ დასახულ ლონისძებრათაგან არცერთი არ იყო. მთავრობის დეკლარაცია იმეორებდა პირველი კოალიციური მთავრობის 6 მისის განცხადებებს, პირდაპირ და მრავალგზის იმარწმებდა მას. დროებითი მთავრობა დაპირებას იძლეოდა, რომ მოიკრებდა მთელ ძალღონეს გარეშე მტერთან საბრძოლველად. აგრეთვე ვადაზე მოიწვევდა დამფუძნებელ კრებას და მოამზადებდა საადგილმამულო კანონებს. ამასთან ერთად იუწყებოდა, რომ მუშათა პოლიტიკას დარგში „მუშავდება კანონპროექტები რეასათიანი სამუშაო დღის, შრომის ყოველმხრივ დაცვისა“ და სხვ. შესახებ. სამეურნეო ნგრევასთან საბრძოლველად მთავრობასთან დაარსდება ეკონომიური საბჭო და მთავარ ეკონომიური კომიტეტი სახალხო მეურნეობისა და შრომის ორგანიზაციის საერთო გეგმის შესამუშავებლად.

იხე როგორც წინანდელ განცხადებებში. ახალ პროგრამებშიც არაფერი კონკრეტული არ იყო. ყოფილმა მეფემ ნიკოლოზმა ახალი მთავრობისა და მისი დეკლარაციის შესახებ თავის დღიურში ჩასწერა:

„რვა იელისი. შაბათი. მთავრობის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებანი: თავადი ლევი წაედა. და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ იქნება კერენსკი. ამასთან ერთად იგი რჩება სამხედრო და საზღვაო მინისტრად და კისრულობს კიდევ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მართვას. ეს კაცი ამჟამად პირდაპირ თავის ადგილზეა: რაც უფრო მეტი ძალაუფლება ექნება მას, მით უკეთესი იქნება“³.

ესერებისა და მენშევიკების პარტიებმა საესებით დაუჭირეს მხარი მთავრობას.

9 იელის საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომაში მინისტრთა ახალი შემადგენლობა „რევოლუციის ხსნის მთავრობად“ გამოაცხადა:



საყარაულო „რენოს“ ქარხანასთან. იელისის დემონსტრაციის შემუშავრის შემდეგ მასში ხდებოდა ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელა კომისიის თათბირი ვ. ი. ლენინის მონაწილეობით.

„მას მინიჭებული აქვს განუსაზღვრელი რწმუნებანი ორგანიზაციისა და დისციპლინის აღსადგენად არმიაში. გადამწყვეტი ბრძოლისათვის კონტრ-რევოლუციისა და ანარქიის ყოველგვარ გამოვლინებასთან“¹.

მიანიჭეს რა დროებით მთავრობას საგანგებო რწმუნებანი. მენშევიკებმა და ესერებმა მიუთითეს, სადაა საჭირო დარტყმა, რომ უფრო მარჯვედ გაენადგურებინათ რევოლუცია. 13 იელისს ორივე აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე დანი გამოვიდა შემდეგი განცხადებით:

„ის, რისკენაც ამხანაგი კერენსკი მოგვიწოდებდა. — ამბობდა იგი. — ჩვენ უკვე შევასრულეთ. ჩვენ არა მარტო მზადა ვართ მხარი დაუჭიროთ დროებით მთავრობას, ჩვენ არა მარტო გადავეცით მას სრული ძალაუფლება. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მთავრობამ გამოიყენოს ეს ძალაუფლება... დღეს დილით სოციალისტ-რევოლუციონერთა და მენშევიკთა ფრაქციის სხდომაზე... მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელსაც ვთავაზობთ კრებას, და დარწმუნებული ვართ, რომ იგი მას მიიღებს...“².


შემდეგ გამოქვეყნდა რეზოლუცია მოთხოვნით გაესამართლებინათ ბოლშევიკები, სასამართლოში გამოცხადებულად ლენინი, გაერიცხათ საბჭოების შემადგენლობიდან ყველა ისინი, რომელთა გასამართლებაც უნდა მომხდარიყო, და საბჭოს ყველა წევრი უდავოდ დამორჩილებოდა მისი უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

ამ აქტში გამოიხატა წერილბურჟუაზიული პარტიების დაცემის მთელი სიღრმე. მაგრამ ეს აქტი ერთი როდი იყო. ბურჟუაზიის რეაქციულ ორგანო „ნოვოე ვრემიაში“ 8 ივლისს დაიბეჭდა სტატია მოთხოვნით მენშევიკებისა და ესერებისადმი

„გადამწყვეტი ზომებით გამიჯნოდნენ დანაშაულებრივ ბოლშევიზმს და ისე მოქცეულიყვნენ, რომ არ მიეტანათ მათზე ეკვი ლენინისათვის ამხანაგური მფარველობის გაწევაში“¹.

ხოლო უკვე 11 ივლისს ბურჟუაზიის მხიარულ ღრიანცელში მენშევიკებმა გამოაქვეყნეს მოწოდება პარტიის ყველა წევრისადმი ორგანიზაციული კომიტეტის სახელით. რომელიც მენშევიკების რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის როლს ასრულებდა:

„ლენინური შტაბის მიერ წამოწყებულ დანაშაულებრივ ავანტურას შეეძლო ასეთი ფარგლები მიეღო და საშიში გამხდარიყო რევოლუციის საქმისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შტაბს მუშათა მნიშვნელოვანი ფენები გაჰყვნენ და რომ სოციალ-დემოკრატია ერთობ სუსტი აღმოჩნდა დემაგოგის მოსადუნებლად თავისი ორგანიზებული ჩარევით... უკვე დროა ხმამაღლა და მკაფიოდ ითქვას, რომ „ბოლშევიზმი“. ის ბოლშევიზმი, რომლის გამომხატველი და ბელადი ლენინია. იმდენად შორს წავიდა სოციალ-დემოკრატისაგან, იმდენად გაიჟღენთა ანარქო-სინდიკალისტური იდეებით. რომ მხოლოდ გაუგებრობით, რაღაც ინერციის ძალით ეფარება ჯერ კიდევ რ. ს.-დ. მ. პ. დროშას“².



ხარაია ხადგურ რაზლივის ახლოს, სადაც იმაღებოდა ვ. ი. ლენინი ივლისის დღეების შემდეგ.

შენშევიცებმა და ესერებმა დაამთავრეს თავისი განვითარების სრული ციკლი, დაასრულეს ბურჟუაზიასთან შეთანხმების პერიოდი რევოლუციის მტერთა ბანაკში საბოლოო გადასვლით.

თორმეტ ივლისს მთავრობამ აღადგინა სიკვდილით დასჯა ფრონტზე ჯდა შემოიღო სამხედრო სასამართლოები ანგარიშის გასასწორებლად რევოლუციურ ჯარისკაცებთან. გამოიცა აგრეთვე დადგენილებანი წინასწარ სამხედრო ცენზურის, ბოლშევიკური გაზეთების („პრავდა“, „კოკონაა პრავდა“ და სხვ.). დახურვის, მუშათა განიარაღებისა და სხვ. შესახებ. ინგლისის ელჩ ბიუკენენის პროგრამა მთლიანად გატარდა ცხოვრებაში. ტყუილა კი არ სწერდა ბიუკენენი შეძლეგ თავის მოგონებებში დროებითი მთავრობის მოღვაწეობაზე:

„მაგრამ რა რიგ ცუდიც არ იყო პერსპექტივები, მე მაინც მზად ვიყავ. უფრო ოპტიმისტურად შემეხედა მოვლენებისათვის. მთავრობამ ჩააქრო ბოლშევიკური აჯანყება და, თითქოს, ბოლოს, გაბედა მტკიცედ ემოქმედნა... როცა მე რამდენიმე დღის შემდეგ ტერეშჩენკოსთან შევიარე, ამ უკანასკნელმა დამარწმუნა, რომ მთავრობა ახლა საცხებოთ მდგომარეობის ბატონია“¹.

ატარებდა რა გადამჭრელ კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, დროებითი მთავრობა მასების ყურადღებას აღუნებდა ნასუფრალით: იმავე სხდომაზე, სადაც სიკვდილით დასჯა დაამტკიცეს, მიიღეს კანონპროექტი, რომელიც კრძალავდა მიწის ყიდვა-გაყიდვას; განაიარაღეს პეტროგრადის გარნიზონი, ხოლო 13 ივლისს გადააყენეს ოლქის სარდალი პოლოვეცივი, რომელმაც ივლისის გამოსვლა გაანადგურა.

როგორც კი გამოირკვა ივლისის გამოსვლების დამარცხება, დროებითმა მთავრობამ კვლავ გადასწყვიტა კაბინეტის რეორგანიზაცია. 11 ივლისს მან იუსტიციის მინისტრად დანიშნა ი. ნ. ეფრემოვი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, მემამულე, პარტიული მიკუთვნილობით პროგრესისტი; სახელმწიფო მზრუნველობის სამინისტროს მმართველად — ა. ა. ბარიშნიკოვი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, პროგრესისტი; გზათა სამინისტროს მმართველად — ტახტაძიშევი. პროგრესისტებმა ამაზე ცოტახნით ადრე მოაწყეს ახალი პარტია — რუსეთის რადიკალ-დემოკრატიული, — რათა გაეფართოებინათ თავისი ბაზა ახალი წერილობურჯუაზიული ფენების ხარჯზე. ახალმა პარტიამ გამოსთქვა აზრი კოალიციის და მთავრობაში ბურჟუაზიულ წარმომადგენელთა შეყვანის სასარგებლოდ.

რა რიგ ახლოს არ იდგნენ პროგრესისტები კადეტებთან, — ლენინი მათ უწოდებდა „კადეტების და ოქტიაბრისტების ნარევს“², — მაგრამ მათ არ შეეძლოთ ბურჟუაზიის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ: პოლიტიკურ ხელმძღვანელებს კადეტები წარმოადგენდნენ. 13 ივლისს კერენსკიმ კადეტთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა წინადადებით შეეყვანა თავისი კანდიდატები მთავრობაში. კადეტებმა უარი სთქვეს. 15 ივლისს სამმა გამორჩენილმა მოსკოველმა კადეტმა — ნ. ი. ასტროვმა, შემდეგში გენერალ დენიკინის მთავრობის

წევრმა, ნ. მ. კიშკინმა, რომელმაც 1919 წელს სცადა მოეწყო მოსკოვში აჯანყება დენიკინის სასარგებლოდ, და ვ. დ. ნაბოკოვმა, პირველი დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველმა, — გაუფაანეს კერენსკის წერილი, რომელშიც მიუთითებდნენ. თუ რა პირობებით დათანხმდებოდნენ კადეტები მთავრობაში შესვლაზე. კადეტები მოითხოვდნენ: მთავრობის წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი თავის მოქმედებაში ყოველგვარი ორგანიზაციისა და პარტიისაგან, მთავრობამ არ უნდა გაატაროს არცერთი მსხვილი რეფორმა დამფუძნებელ კრებამდე. საჭიროა აღდგენილ იქნას დისციპლინა არმიაში და მოისპოს სამხედრო ტაქტიკის საკითხებში ჯარის კომიტეტების ჩარევა და მრავალძალაუფლებიანობა. კადეტებისათვის უკვე ცოტა იყო ის, რომ საბჭოების წვრილბურჟუაზიულმა ლიდერებმა სრული ძალაუფლებით აღკვეთეს მთავრობა. საჭირო იყო, რომ მთავრობას ესარგებლნა მთელი ძალაუფლებით უკვე საბჭოსაგან დამოუკიდებლად. 18 ივლისს მორიგ „სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო სათათბირზე“ ბურჟუაზიის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს, რა უნდოდათ მათ. პურიშკევიჩი ისტერიულად ჰყვიროდა:

„საჭიროა, რომ ძალაუფლება იყოს ძალაუფლება. საჭიროა თავის ადგილზე დავაყენოთ და დავშალოთ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები“¹.

ა. მ. მასლენიკოვი, სახლთმფლობელი, ვეჟილი, პროგრესისტების პარტიის წევრი, ბანს აძლევდა ბნელეთის მოციქულს:

„დროა ითქვას, რატომ მივედით ამ შერცხვენამდე და დამცირებამდე... ამაში დამნაშავენი არიან ფანტაზიორები, კეჟიდან შემლალი ადამიანები, რომელთაც თავის-თავი წარმოდგენილი აქვთ მსოფლიო პოლიტიკის შემომქმედებად: ამაწი დამნაშავენი არიან წვრილი კარიერისტები. რომელთაც 'სურთ რევოლუციის დროს ავტომობილებით ისეირნონ და სასახლებში იცხოვრონ, რომელთაც რუსეთი გერმანელებს მიჰყიდეს... რევოლუციას მიეტმასნენ ერთი მუჟა კეჟიდან შემლილი ფანატაკოსები, ერთი მუჟა არამშალები, ერთი მუჟა გამცემლები, და ამ ერთმა მუჟა ხალხმა თავისათვის უწოდა „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“².

ფ. ი. როდჩივი, კადეტთა პარტიის ერთერთი დამაარსებელი, რომელიც როგორც დროებითი მთავრობის მინისტრი ფინეთის საქმეებზე დიდმპყრობელურ პოლიტიკას ატარებდა და დაჟინებით მოითხოვდა კიშკინის, ასტროლია და ნაბოკოვის მოთხოვნათა მიღებას, იმუქრებოდა:

„ჩვენ ვშიშობთ, რომ ის ბოლშევიზში, რომელმაც ქალაქებში შესაძლოა, უკვე გვიჩვენა თავისი სახე, კიდევ გვიჩვენებს თავის სახეს სოფლად, მაგრამ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამას, და ჩვენ უნდა მოვეუწოდოთ მთავრობას ებრძოლოს ამას და არ გაუშვას მის ნებაზე, მოაწყოს აღმინისტრაცია, მოაწყოს ძალაუფლება ჩვენ ქვეყანაში“³.

როცა ატმოსფერა უკვე საკმაოდ გახურებული იყო, გამოვიდა მილიუკოვი

კადეტების მოთხოვნათა დაწვრილებითი ანალიზით. ბურჟუაზიის ლიდერი-
აღმსარებელ აუდიტორიას ეკითხებოდა:

„სწორად მიგაჩნიათ თუ არა, რომ „სახალხო თავისუფლების“ პარტიამ...
თავის წევრებს განუმზადოს შირშების როლი, რომლის შესრულებაც ჩვენ
არ გვინდოდა დღემდე, რომ „სახალხო თავისუფლების“ პარტია მაინც ექ-
ვიდეს მთავრობაში? ჩვენ ეფიქრობთ, რომ არა... და ჩვენ იმ აზრის ვიყავით,
რომ პირდაპირ მოვატყუებდით ქვეყანას... თუ მივიღებდით ჩვენთვის შე-
მოთავაზებულ წინადადებას ყოველგვარ პირობებისა და არა იმ პირობების.
საფუძველზე, რომელთაც ჩვენ ვაყენებთ და — მე მოხარული ვარ განვაყ-
ხადო ეს — ჩვენთან ერთად აყენებს სახელმწიფო სათათბიროს დროე-
ბითი კომიტეტი“¹.

მილიუკოვი იმდენად გულახდილი გახდა, რომ მოითხოვა დამფუძნებელ-
კრების მოწვევის ვადის გადადება, — მთავრობა დაპირებას იძლეოდა, რომ მას-
მოიწვევდა 17 სექტემბერს.

გაერთიანებულმა სავაქრო-სამრეწველო ორგანიზაციებმა განსაკუთრებუ-
ლი დეკლარაციით დაუპირეს მხარი მილიუკოვის მოთხოვნებს. შემამულეები
და ბურჟუაზია შემშვიდროვდნენ კადეტთა პარტიის პირობების ირგვლივ.

კერენსკიმ 20 ივლისს გაუგზავნა ახალი წინადადება კიშკინსა და ასტროვს-
შესულიყვნენ მთავრობაში.

„დროებითი მთავრობა აღკუთრავილია სრული ძალაუფლებით და არავი-
თარი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან პარტიის წინაშე პასუხს არ
აგებს“²,

არწმუნებდა იგი კადეტებს იმ იმედით, რომ სავესებით დაუქვრდა მხარს საბჭო-
მაგრამ ბურჟუაზიის მებრძოლი პოზიცია აფრთხობდა საბჭოს ხელმძღვანელებს,
ისინი მერყეობდნენ მიელოთ კადეტების ყველა პირობა. კერენსკიმ გადასწყვი-
ტა ზემოქმედება მოეხდინა მერყევე შემთანხმებლებზე. 21 ივლისს მან შეიტანა
განცხადება გადადგომის შესახებ. კერენსკი თავის საქციელს იმით ამართლებ-
და, რომ მას, როგორც სჩანს, არა აქვს საკმაო ავტორიტეტი მთავრობის შე-
საქმნელად. ხოლო მეორე მხრით, ფიქრობს, რომ რუსეთის მართვა შეუძლია
მხოლოდ მთავრობას, რომელიც ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთი-
ნებს. ბურჟუაზიულმა მინისტრებმა ტერეშჩენკომ, გოდენევმა, ფერემოვმა, ლვოვ-
მა და ნეკრასოვმა მხარი დაუპირეს კერენსკის და უარი სთქვეს თავის პოსტებზე.
დროებითმა მთავრობამ დაადგინა: კერენსკისა და სხვა მინისტრების გადადგო-
მა არ მიიღოს, დარჩეს მთავრობის მთელი შემადგენლობა. ვიდრე ამათუიწ
გზით არ მოეწყობა ახალი მთავრობა. გადაწყდა მოეწვიათ საღამოს სახალხო
სოციალისტური პარტიის, კადეტების, მენშევიკების, ესერების. რადიკალ-დე-
მოკრატიული პარტიის (ყოფილი პროგრესისტების) ცენტრალური კომიტეტე-
ბი; აგრეთვე — სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე, სრულიად-რუსეთის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა დეპუტატების აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეები. საღამოს 9 საათზე შესდგა ორი-

ვე აღმასრულებელი კომიტეტის წინასწარი სხდომა, რომელზედაც წერეთელ-მა გააკეთა მოხსენება კრიზისის მსვლელობის შესახებ. დანმა წინადადება შეიტანა შეწყვეტილიყო სხდომა. ყველა დარჩენილიყო თავრიდის სასახლეში, ხოლო მიპატიებულნი წასულიყვნენ ზამთრის სასახლეში მთავრობის სხდომაზე.

23 საათსა და 30 წუთზე გაიხსნა მთავრობის თათბირი შემთანხმებლური და სხვა ბურჟუაზიული პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად. კამათი დილამდე გაგრძელდა. ბურჟუაზია იცავდა კადეტების პირობებს. შემთანხმებლები მოითხოვდნენ 8 ივლისის დეკლარაციის აღიარებას. დანი მენშევიკების სახელით ლაპარაკობდა. რომ „თავის დროზე“ მათ არ შეეშინდებათ აიღონ ძალაუფლება¹. მაგრამ ამისათვის საჭიროა ამოიწუროს კოალიციური მთავრობის შექმნის ყველა გზა. ჩხეიძე განზრახ ეკითხებოდა მილიუკოვს, როგორ უტკჯერის იგი ზაფისა და მიწის საკითხებს. მილიუკოვმა მიუთითა მას მოსკოველ კადეტების წერილზე და დასძინა:

„ჯერ უნდა შეიქმნას მძლავრი რუსეთი, ხოლო შემდეგ უკვე ვილაპარაკოთ ნაციონალური ამოცანების განხორციელებასა და მოკავშირეების წინაშე ჩვენი მოვალეობის შესრულებაზეო“².

მიიღო რა მხედველობაში განწყობილება, მილიუკოვმა სწრაფად შესცვალა ტაქტიკა. იყენებდა რა კერენსკის პოპულარობას, მილიუკოვმა წინადადება შეიტანა პირადად კერენსკისათვის მიენდოთ მთავრობის შედგენა იმ პირებისაგან. რომელთა მიწვევასაც იგი საჭიროდ დაინახავდა. ბურჟუაზიისათვის ეს წინადადება ხელსაყრელი იყო, რადგან ამ შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტი არ იქნებოდა დამოკიდებული ორგანიზაციებისაგან. მაგრამ შემთანხმებლებსაც მილიუკოვის წინადადება შესაძლებლობას აძლევდა შეენარჩუნებინათ თავისი სახე მასების წინაშე: მთავრობის სათავეში რჩებოდა „სოციალისტი“ კერენსკი. მენშევიკებმა და ესერებმა თავის რეზოლუციაში განაცხადეს, რომ ისინი

„სასვებით ენდობიან ამხ. კერენსკის კაბინეტის შედგენისას ყველა იმ პარტიის წარმომადგენელთა მიწვევით, რომლებიც მზად არიან იმუშაონ ამხ. კერენსკის მთავრობის მიერ 8 ივლისს გამოცხადებულ პროგრამის ნიადაგზეო“³.

ოცდარო ივლისის სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ მიანდო კერენსკის კაბინეტის შედგენა. 8 ივლისის დეკლარაცია აშკარად თვალის ასახვევად იყო მოყვანილი. ამავე დღეს სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმაც „მიანდო“ კერენსკის მთავრობის შედგენა, მაგრამ სრულიად არ მოუხსენებია 8 ივლისის დეკლარაცია. 24 ივლისს კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი დათანხმდა გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები მთავრობაში და განსაკუთრებულად აღნიშნა ძველი პირობების დატოვება:

„ღებულობს რა მხედველობაში მინისტრ-თავმჯდომარის განცხადებას,



მეორე შემადგენლობის კოალიციური დროებითი მთავრობა. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ი. ნ. ეფრემოვი, ა. ვ. პეშხოზოვი, ვ. მ. ჩერნოვი, ა. მ. ნიკიტინი, ს. ოლდენბურგი; დგანან: ა. ს. ზარუნდი, მ. ი. სკობელევი, ს. ნ. პროკოპოვიჩი, ბ. ვ. სავინკოვი, ა. ფ. კარტაშევი.

რომ მას განზრახული აქვს ძლიერი ძალაუფლების შექმნას საფუძვლად დაუდოს ომის წარმოების მკაცრი აუცილებლობა, ხელი შეუწყოს არმიის საბრძოლო უნარს და აღადგინოს სახელმწიფოს სამეურნეო ძლიერება, „სახალხო თავისუფლების“ პარტიის ცენტრალური კომიტეტი საშუალებას აძლევს თავის ამხანაგებს კერენსკის პირადი არჩევით შევიდნენ მთავრობის შემადგენლობაში და დაიკავონ მათთვის შეთავაზებული პოსტები“¹.

ამავე დღეს გამოცხადებულ იქნა მთავრობის ახალი შემადგენლობა: მინისტრ-თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი — ა. ფ. კერენსკი (ესერი), თავმჯდომარის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი — ნ. ვ. ნეკრასოვი (მემარცხენე კადეტი), შინაგან საქმეთა — ნ. დ. ავქსენტიევი (ესერი), საგარეო საქმეთა — მ. ი. ტერეშჩენკო, იუსტიციის — ა. ს. ზარუნდი (სახალხო სოციალისტი), განათლების — ს. ფ. ოლდენბურგი (კადეტი), ვაჭრობისა და მრეწველობის — ს. მ. პროკოპოვიჩი (უპარტიო, კადეტებთან ახლოს მდგომი), მიწათმოქმედების — ვ. მ. ჩერნოვი (ესერი), ფოსტა-ტელეგრაფის — ა. მ. ნიკიტინი (მენშევიკი). შრომის — მ. ი. სკობელევი (მენშევიკი), სასურსათო საქმეთა — ა. ვ. პეშხოზოვი (სახალხო სოციალისტი). სახელმწიფოებრივი მზრუნველობის — ი. ნ. ეფრემოვი (რადიკალურ-დემოკრატიული პარტია), გზათა — პ. ნ. იურენევი (კადეტი), ობერ-პროკურორი — ა. ვ. კარტაშევი (კადეტი). სახელმწიფო კონტროლიორი — ფ. ფ. კოკოშინი (კადეტი). მთავრობა აღმოჩნდა მტკიცედ

კადეტების ხელწი. ტერეშჩენკო და პროკოპოვიჩი პარტიაში არ იყვნენ, მაგრამ კადეტების პოლიტიკას იზიარებდნენ; რაც შეეხება „სახალხო სოციალისტებს“. პიშიხოროვმა უკვე სამოდ ცხადპყო თავისი სახე, ხოლო ზარუნდი-დანაგრძობდა იუსტიციის წინანდელი მინისტრის საქმეს, სდევნიდა ლენინს და აპატიმრებდა ბოლშევიკების სელმძღვანელებს. მილიუკოვი ასეც სწორდა ახალა შემადგენლობის შესახებ:

„სოციალისტების მცირე ნომინალური უპირატესობისას ნამდვილი უპირატესობა კაბინეტში უეჭველად ეკუთვნოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის რწმენით გამსქველულ მომხრეებს“¹.

ივლისის ამბებმა პროვინციაშიც ჰპოვეს თავისი გამოხატულება. მოსკოვში პეტროგრადიდან პირველი ცნობების მიღების შემდეგ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ესერულ-მენშევიკურმა პრეზიდიუმმა 4 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება:

„განსაკუთრებულ დადგენილებამდე აკრძალულ იქნას ქალაქ მოსკოვში ყოველგვარი გამოსვლა როგორც მანიფესტაციების სახით. ისე ქუჩაში მიტინგების მოწყობის სახით“².

მაგრამ მიუხედავად ამ აკრძალვისა იმავე დღეს ქალაქის განაპირა მხარეებიდან დაიძრა მუშათა უზარმაზარი დემონსტრაციები, რომელთა დროშებსა და პლაკატებზე ელვარებდა ლოზუნგები მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ. მუშებთან ერთად გამოვიდნენ მოსკოვის გარნიზონის ცალკეული ნაწილებიც.

სკობელევის მოედანზე მოეწყო მიტინგი. რომელზედაც გამოდიოდნენ ბოლშევიკი-ორატორები.

ივანოვო-ვოზნესენსკში აშკარად ბოლშევიკური განწყობილება იყო გამეფებული. 5 ივლისს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომელშიც მოითხოვდა ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის. 6 ივლისს ივანოვო-ვოზნესენსკში გაიმართა მუშათა და ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცთა დიდი დემონსტრაცია.

დემონსტრაციები, ზოგ შემთხვევაში კი ჯარისკაცთა აჯანყებანიც მოეწყო იაროსლავლში, როსტოვში, კოსტრომაში, შუიში, კოვროვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, კიევიში, რიგასა და მთელ რიგ სხვა ადგილებში. ნიჟნი ნოვგოროდში მოსკოვიდან გაიგზავნა რაზმი პოლკოვნიკ ვერხოვსკის მეთაურობით ადგილობრივი გარნიზონის განიარაღებისათვის.

პროლეტარიატი სძლავს შემთანხმებულ ილუზიებს.

ამრიგად, 3 — 5 ივლისის დემონსტრაცია განადგურებულ იქნა, ხოლო ბოლშევიკების პარტია იატაკქვეშეთში ჩარეკეს.

თითქოს მოძრაობა და მ ა რ ც ხ ე ბ ი თ დამთავრდა. მაგრამ არსებითად იგი იყო თავისებური გამარჯვება; რომელიც მოიპოვა რევოლუციამ მისი ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურში გადაზრდის გზაზე. ბურჟუაზიამ რამდენადმე გადაჭარბებით შეაფასა თავისი წარმატება: გარეგნული, ადვილად შესამჩნევი ძვრების იქით, მან ვერ დაინახა ღრმა შინაგანი პროცესი კლასობრივ ძალთა განლაგებაში. თვითმპყრობელობამ 1905 წლის იანვრის დღეებში, გაანადგურა რა მშვიდობიანი დემონსტრაცია, ბოლო მოუღო არა მუშათა შობრახობას, არამედ მუშათა რწმენას შეფისადმი. ასევე ბურჟუაზიამაც, ჩააჭრა რა ივლისის გამოსვლა, დაამარცხა არა მუშათა რევოლუცია, არამედ ნდობა, თავისადმიც კი არა, — იგი დიდხანია დაკარგული იყო, — არამედ წვრილბურჟუაზიული ლიდერებისადმი.

ასიათასობით დემონსტრანტებს შორის ცოტანი როდი იყვნენ რიგითი ესერები და მენშევიკები. მრავალ ათას უპარტიოებთან ერთად, რომლებიც წვრილბურჟუაზიულ ბლოკს ენდობოდნენ, მათ ცხადად დაინახეს მისი გამცემლობის მთელი სისაძაგლე. ივლისის დღეებმა სოლი ჩააჩქვეს შემთანხმებულ პარტიების ზედაფენებსა და ქვედაფენებს შორის: მაშინ როცა ზედაფენები ბურჟუაზიის ბანაკში დაქანდნენ, ქვედაფენებმა მკვეთრად იბრუნეს პირი პროლეტარიატისაკენ.

ბოლშევიკური რიგები სწრაფად ივსებოდა. სამი კვირის განმავლობაში პარტიის წევრთა რიცხვი 2500 კაცით გაიზარდა პეტროგრადში. პარტიის ზრდა და მისი გავლენა მუშებში სჩანს ფაბრიკა-ქარხნებში სხვადასხვა ორგანიზაციის არჩევნების მიხედვითაც. ქარხნების „ნოვი ლესნერის“ და „სტარი ლესნერის“ საავადმყოფო სალაროს რწმუნებულთა არჩევნებმა ასეთი შედეგები მოგვცა: 100 არჩეულიდან აღმოჩნდა 15 ესერი, 5 მენშევიკი და 80 ბოლშევიკი. მანამდე ბოლშევიკები რწმუნებულთა შორის ნახევარზე ნაკლებს შეადგენდნენ. ქარხანა „ერიქსონში“ 60 რწმუნებულისაგან არჩეული იყო 7 მენშევიკი, 14 ესერი და 39 ბოლშევიკი. ქარხანა „ტრეუგოლნიკში“ 100 რწმუნებულისაგან არჩეული იყო 65—70 ბოლშევიკი, მაშინ როდესაც წინათ უმრავლესობა ესერებს ჰყავდათ.

იგივე შედეგები მოგვცა საბჭოების არჩევნებმაც. ფრანგ-რუსთა ქარხანაში წინანდელი ესერებისა და მენშევიკების ნაცვლად სამი ბოლშევიკი-დეპუტატი აირჩიეს. ქარხანა „ლანგენშიპენში“ შემთანხმებლის ნაცვლად არჩეულ იქნა ბოლშევიკი და ა. შ.

მუშები კავშირს სწყვეტდნენ გაკოტრებულ პარტიებთან და ბოლშევიკებთან მიდიოდნენ. თუ ისინი ჯერ კიდევ არ შედიოდნენ პარტიაში — ხშირად სასტიკი დევნის მიზეზით, — ისინი შინაგანად თავისუფლდებოდნენ წვრილბურჟუაზიული ლიდერების გავლენისაგან.

შედეგი ყველგან ერთი იყო: მუშათა მასა რეპრესიების პარპაშის პირველი დღეების შემდეგ თითქოს განმარტოვდა, მერე კი, დაფიქრების შემდეგ, თანდათანობით ბოლშევიზმის ბანაკში გადადიოდა.

„გააყეთეს მოხსენება პიტერის ამბების შესახებ. — ლაპარაკობდა გროზნოს დეპუტატი ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობაზე, — და მერე რა? ესერებისა და მენშევიკების მხრით... კონტრც არ დაძრულა: ისინი დამარცხებული იყვნენ. ამის შემდეგ წასისიანება შეწყდა, და, კიდევ მეტი, ესერები ჩვენს ორგანიზაციაში ეწერებოან“¹.

„ესერებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, — ამბობდა დონბასის წარმომადგენელი. — მაგრამ 3 — 5 ივლისის ამბების შემდეგ შემჩნეულია მუშების გადმოსვლა ესერული ორგანიზაციებიდან ჩვენთან... გამოჩენილი ესერები ჩვენს ორგანიზაციაში გადმოვიდნენ და ამბობდნენ, რომ მმართველმა კლასებმა მუშათა ინტერესები გასცესო“².

წვრილბურჯუაზიული პარტიების დაშლას მოწმობს ოპოზიციის ზრდაც მათ რიგებში: მენშევიკებს შორის ძლიერდება მემარცხენე ფრთა, რომლის ლიდერი მარტოვი ივლისის დღეებში საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის წინადადებითაც კი გამოდიოდა; მენშევიკების მემარცხენე ფრთა ფაქტიურად გამოცალკევდა და გადავიდა გაზეთ „დენში“, რომელსაც ცნობილი ლიკვიდატორი პოტრესოვი რედაქტორობდა. ესერებს შორის გაძლიერდნენ მემარცხენე მიმდინარეობანი. ესერების პარტია ყველა მიმართულებით ირღვეოდა: მემარჯვენეები აგინებდნენ ხელმძღვანელობას, სოლო „მემარცხენეები“ მემარჯვენეებს ბრალს სდებდნენ გამცემლობაში.

ივლისის მოძრაობამ გამოიწვია ის, რაც შემდეგ ხშირად მეორდებოდა პარტიის ისტორიაში: პროლეტარიატი, იგრძნო რა საფრთხე, რომელიც მის პარტიას ემუქრებოდა, კიდევ უფრო შექვიდროვდა ბოლშევიკების ირგვლივ. ივლისის მოპყვა პირველი „პარტიული კვირა“, როცა მუშები მასობრივად შედიოდნენ პარტიის რიგებში.

ივლისის დემონსტრაციამ კიდევ ერთი მხრით ითამაშა დიდი როლი. მან მუშებსა და გლეხებს პასუხი გასცა რევოლუციის ძირითად საკითხზე — ვის ხელშია ძალაუფლება. ძალაუფლება გადავიდა ბურჯუაზიის ხელში — ეს ცხადად გაიგეს და იგრძნეს თავისთავზე მშრომელთა ფართო მასებმა.

„3 და 4 ივლისის მოძრაობა, — ასე შეაფასა ივლისის დღეები ლენინმა. — იყო უკანასკნელი ცდა მანიფესტაციის გზით აეძლებინათ საბჭოები აელოთ ძალაუფლება. ამ მომენტიდან საბჭოებმა, ე. ი. იქ გაბატონებულმა ესერებმა და მენშევიკებმა. ფაქტიურად გადასცეს ძალაუფლება კონტრრევოლუციას, რომელსაც კადეტები წარმოადგენდნენ და ესერები და მენშევიკები მხარს უჭერდნენ. ახლა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება რუსეთში უკვე შეუძლებელია, და საკითხი ისტორიის მიერ ასეა დასმული: ან კონტრრევოლუციის სრული გამარჯვება, ან ახალი რევოლუცია“³. ახალი ტაქტიკის შემუშავებას რევოლუციის ახალი ეტაპისათვის შეუდგა ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობა.



თ ა ვ ი მ ა რ ვ ა .

ბოლშევიკური პარტიის მუშაობა ყრილობა.

1.

ბოლშევიკური პარტიის ისტორიული VI ყრილობა შესდგა 1917 წლის 26 ივლისს — 3 აგვისტოს პეტროგრადში.

ანგარიშში. რომელიც VI ყრილობას მოხსენდა, იაკობ სვერდლოვი გადმოგვეცემა. რომ აპრილის კონფერენციის შემდეგ ორგანიზაციების რაოდენობა გაიზარდა 78-დან 162-მდე. პარტიის წევრთა რაოდენობა სამი თვის განმავლობაში სამჯერ გადიდა — 60 ათასი კაციდან 240 ათას კაცამდე. პეტროგრადში იყო 41 ათასი წევრი, მოსკოვის რაიონში — 50 ათასი. ურალში — 25 ათასი, დონის ბასეინში — 16 ათასი, კიევის რაიონში — 10 ათასი, კავკასიაში — 9 ათასი, ფინეთში — 12 ათასი, ბალტიის მხარეში — 14 ათასი, პოლონეთში — 13 ათასი, ოდესის რაიონში — 7 ათასი, ციმბირში — 10 ათასი, მინსკის რაიონში — 4 ათასი, ჩრდილოეთის რაიონში — 1,5 ათასი და. ბოლოს, სამხედრო ორგანიზაციებში — 26 ათასი!

საგრძობად გაიზარდა ამავე პერიოდში ბოლშევიკური ბეკდევითი სიტყვაც. პარტიას ჰქონდა 41 გაზეთი, რომელთა ყოველდღიური ტირაჟი 320 ათას ეკვებულარს უდრიდა. 27 გაზეთი გამოდიოდა რუსულ ენაზე, დანარჩენები — ქართულ, სომხურ, ლატიურ, თათურულ. პოლონურ და სხვ. ენებზე.

ივლისის დღეების შემდეგ დაიხტა რვა გაზეთი. მათ შორის ცენტრალური პარტიული ორგანო „პრავდაც“. მაგრამ ყრილობის დაწყების წინ დახურული გაზეთებიდან ხუთმა უკვე იწყო კვლავ გამოსვლა სხვა სახელწოდებებით.

უაღრესად გაიზარდა ბოლშევიკური პარტიის გავლენა მასებს შორის. ამას ნათლად მეტყველებდნენ ყრილობის დელეგატების მიერ ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებში მოყვანილი ფაქტები. მოსკოვის დელეგატი ვ. ნ. პოდბელსკი ამბობდა:

„ჩვენი ორგანიზაციის უდიდესი გავლენა, ამხანაგებო, იმაში გამოჩნდა, რომ ყველა მასობრივი გამოსვლა ჩვენი ლოზუნგებით ტარდებოდა... 18 ივნისის დემონსტრაცია, მოწვობილი ოფიციალურად საბჭოს მიერ, ჩვენი ლოზუნგებით ჩატარდა. საბჭოს მიერ ნაჩვენებ შესატყობებ პუნქტებში 20 — 30 კაცისაგან შემდგარი უბადრუკი ჯგუფები იყვნენ, ჩვენს დროშებს კი მასები მოსდევდნენ. იქ, სადაც ჩვენ მიტინგებს ვმართავდით, დიდძალი ხალხი იკრიბებოდა, სხვა პუნქტებში კი სიცარიელე იყო, და გამოცოცხლება იწყებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი დროშებით მოვიდოდნენ, როცა ჩვენი ორატორები გამოდიოდნენ“¹.

ეყრდნობოდა რა ბოლშევიკური პარტიის აპრილის კონფერენციის რეზოლუციებს, მოსკოვის ორგანიზაციამ შესძლო თავის გარშემო შეემკიდროვებინა მუშათა და მშრომელთა ფართო მასები. მოსკოვის ბოლშევიკებმა დაიპყრეს მთელი რიგი პროფესიული კავშირები, საიდანაც მუშებმა განდევნეს მენშევიკები და ესერები. მოსკოვის საბჭოში ჯერ კიდევ სქარბობდნენ შემთანხმებულნი, მაგრამ ბოლშევიკების გავლენა მასებში იმდენად გაიზარდა, რომ მენშევიკები და ესერები ხშირად იძულებული იყვნენ ხელი აეწიათ ბოლშევიკური რეზოლუციებისათვის. მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში გაერთიანებულ სხდომაზე 25 ივლისს მენშევიკებმა და ესერებმა ვერ გაბედეს გვერდი აეხვიათ და მხარი არ დაეკირათ სიკვდილით დასჯის შემოღების წინააღმდეგ ბოლშევიკური პროტესტისათვის. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მოსკოვის კონფერენციაზე, რომლის სხდომებიც 23 ივლისიდან 23-დღე გრძელდებოდა, მენშევიკების ნაწილმა მასების ზეგავლენით სმა მისცა ბოლშევიკურ წინადადებას წარმოებაზე მუშათა კონტროლის შემოღების შესახებ. მთავრობის ტერორმა ივლისის ამბების შემდეგ ვერ შეაჩერა მოსკოვის ბოლშევიკთა გავლენის ზრდა. გაძლიერდა პარტიის დევნა, უფრო გაძნელდა მიტინგების მოწვევა, კრებების მოწყობა, მაგრამ შემციირებას ორგანიზაციაში ადვილი არ ჰქონდა. მოსკოვის ბოლშევიკები მედგრად და იმედიანად განაგრძობდნენ მუშაობას მასებში ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საფუძველზე. მოსკოვის დელეგატმა ბოლშევიკების ყრილობაზე განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი შემდეგს:

„დასასრულ უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღვნიშნო სრულ ერთსულოვნება იდეურ მუშაობაში მოსკოვსა და პიტერს შორის, რაც გამოიხატა 20 — 21 აპრილის კრიზისის დროსაც და ივლისის დღეებში გამოსვლის საკითხშიც.

ეს ერთიანობა, რომლის მიღწევაც წინასწარი შეთანხმების გარეშეც ხდებოდა, გვარწმუნებს, ამხანაგებო, ჩვენი პოზიციის ცხოველმყოფელობაში და კიდევ მეტ რწმენას და ენთუზიაზმს აძლევს ჩვენს მუშაობას“².

დონბასის წარმომადგენელი ლაპარაკობდა ყრილობაზე ბოლშევიკური ორგანიზაციის სწრაფი ზრდის შესახებ. ბოლშევიკურ რეზოლუციებს დებულობდნენ მუშათა ყველა კრებაზე. ბოლშევიკების გავლენა სქარბობდა მუშებს

შორის. ბევრ ქარხანაში ესერები და მენშევიკები ბოლშევიკურ უჯრედებში ვადადიოდნენ.

პოვოლჟიეში გაძლიერდა ბოლშევიკთა პარტიის გავლენა. ცარიცინში ქალაქის საბჭოს არჩევნებში ბოლშევიკებმა 102-დან 39 ადგილი მოიპოვეს. სარატოვში ბოლშევიკურმა პარტიამ არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა. პოვოლჟიეში ბოლშევიკები წარმატებით ეწეოდნენ მუშაობას ჩაგრული ერების მშრომელთა შორის. ყაზანში მათ თათრულ ენაზე სთარგმნეს და გამოსცეს ბოლშევიკური პარტიის პროგრამა.

გროზნოში აპრილის კონფერენციის წინ ბოლშევიკურ პარტიაში იყო 800 წევრი, ხოლო VI ყრილობისათვის ბოლშევიკთა რიცხვი ავიდა დაახლოებით 2 ათასამდე. ბოლშევიკების მუშაობა განსაკუთრებით ძნელ პირობებში შიშდინარეობდა. ქალაქში შეიქმნა „ბოლშევიკებთან ბრძოლის საზოგადოება“. ბოლშევიკებს უწოდებდნენ გერმანიის ჯაშუშებს, პროვოკაციას უწყობდნენ გამოსვლებისათვის და შემდეგ კი სცემდნენ. ბოლშევიკებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მათ წაუსისიანეს ჩეჩნები რუსებს. კახაკთა სტანიცაში გროზნოსთან დაადგინეს 9 ივლისს გადაესახლებინათ სამ დღეში ყველა ბოლშევიკი. ერთი მასწავლებელი ქალი გააძევეს სტანიციდან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბოლშევიკის ცოლი იყო.

მაგრამ მუშებმა მხარი დაუჭირეს ბოლშევიკურ ორგანიზაციას. ისინი ვერ შეაშინა რეპრესიებმაც კი ივლასის ამბების შემდეგ.

„ივლისის ამბებმა, — ლაპარაკობდა გროზნოს დელეგატი, — ასე ვთქვათ, დააკრისტალა ჩვენი პარტია: ეწერებოდნენ ღრმად დარწმუნებული მუშები, რომელნიც პარტიაზე უარს არ იტყვიან“².

შიძიმე პირობებში მუშაობდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები. მათ მოაწერხეს ჯარისკაცების მიმხრობა — მარტო თბილისში იყო 80 ათასი ჯარისკაცი. მაგრამ საბჭოების სამხარეო აღმასრულებელმა კომიტეტმა, სადაც მენშევიკებმა და ესერებმა მოიკალათეს, დააწყო ბოლშევიკური ნაწილების გაყვანა ქალაქიდან. სამაგიეროდ გამოგზავნეს სხვა პოლკები. წინასწარ ახალ ნაწილებს დიდხანს აჩერებდნენ სოფლებში, ცილს სწამებდნენ ბოლშევიკებს ჯარისკაცების წინაშე. როდესაც ახალი პოლკებიც ბოლშევიკური ხდებოდნენ, ისინი ხელახლა გაჰყავდათ ქალაქებიდან. ბოლშევიკურ გაზეთებს კონფისკაციას უშვებოდნენ. იყო შემთხვევა, როცა თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა „პრავდის“ 40 ათასი ნომერი დააკავა. ბოლშევიკური გაზეთის „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვას საბჭოს ყოველ სხდომაზე ამუქრებოდნენ.

„ჩვენი მუშაობა იქ, — ლაპარაკობდა ამიერ-კავკასიის დელეგატი, — წამებულთა მუშაობაა. მაგრამ ჩვენ ამის შემდეგაც განვაგრძეთ ჩვენი მუშაობა. ჩვენი გაზეთი ჯარისკაცთა გაზეთად იქცა: ჩვენ მთელი ფუთობით ვღებულვოდით ფრონტიდან წერილებს, ათასობით თანაგრძნობის დეპეშებს“.

აპრილის კონფერენციიდან VI ყრილობამდე განვლილი დროის მანძილზე ბოლშევიკურმა პარტიამ მასობრივად მუშაობის უდიდესი გამოცდილება და-

აგროვა. სწრაფად ცვალებადმა პოლიტიკურმა ვითარებამ, დაძაბულმა მჩქე-ფარე პრაქტიკამ მასობრივი მუშაობის მთელი რიგი ახალი ფორმები წამოა-ყენეს. პოლკებსა და ქარხნებში მოეწყო სათვისტომოები — ჯარისკაცთა ან მუშათა გაერთიანებანი ერთი რაიონიდან, ზოგჯერ ერთი სოფლიდან. სათვის-ტომოებში ტარდებოდა პოლიტიკური საუბრები, შევსებულებაში მიმავალთ ამა-რაგებდნენ ლიტერატურით. კრონშტადტში ბოლშევიკური ორგანიზაცია სა-თვისტომოებიდან აგიტატორთა მთელ ჯგუფებს აგზავნდა სოფლებსა და გუბერნიებში.

გარდა სათვისტომოებისა მუშაობა მიმდინარეობდა კლუბებში. ერთი ასე-თი კლუბთაგანი დაარსებულ იქნა პეტროგრადში ბოლშევიკების ცენტრა-ლური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის მიერ. ეს იყო „პრავდის“ კლუბი ჯარისკაცთათვის. აქ იკითხებოდა ლექციები, სწარმოებდა ბოლშევიკების პარ-ტიის პროგრამის ახსნა-განმარტება.


დიდად წაიწია მუშაობა ყველა გარნიზონის ჯარისკაცთა შორის ფრონტ-ზედაც. მოსკოვენი სამხედრო ორგანიზაცია 2 ათასზე მეტ ბოლშევიკს ითვლი-და. მოსკოველები ფრონტზე გზავნიდნენ ლიტერატურას და აგიტატორებს. ამხ. იაროსლავსკი მოსკოვის სამხედრო ორგანიზაციის სახელით მოხსენებას უკეთებდა VI ყრილობას, რომ მარტო ერთი თვის განმავლობაში 170-ზე მე-ტი დელეგატი ჩამოვიდა ფრონტიდან ლიტერატურისთვისო. და ეს ხდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური გაზეთების კითხვისათვის ყველას სდევნიდნენ.

ფრონტზე, განსაკუთრებით პეტროგრადის მახლობლად. მაგალითად, მე-12 არმიაში, პარტიული ორგანიზაციები სწრაფად წამოდგნენ ფეხზე იელისის დემონსტრაციის განადგურების შემდეგ, როგორც კი გენერლებმა დახურეს „ოკოპანია პრავდა“, მეორე დღესვე გამოვიდა „ოკოპანი ნაბატი“. უკვე 20 იელისის ბოლშევიკებმა შესძლეს 23 პოლკის — რუსული, ციმბირის და ლა-ტიშთა პოლკების, — დელეგატთა თათბირის მოწვევა. თათბირმა პეტროგრად-ში პროტესტი გაგზავნა დროებითი მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ და მოითხოვა ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკის განთავისუფლება.

ლათიშთა პოლკებში 2 ათასზე მეტი ბოლშევიკი იყო, მაგრამ ფაქტიურად ლატიშელ ბოლშევიკებს მისდევდა ყველა 48 ათასი ჯარისკაცი. ლატიშთა დელეგატი ყრილობაზე ამბობდა:

„ახლა შტაბი ნანობს, რომ მან დაუშვა ნაციონალური პოლკებს ჩა-მოყალიბება, მაგრამ ლატიშთა რვა პოლკის დაშლა უკვე შეუძლებელია. ლატიშელმა მსროლელებმა განაცხადეს, რომ ისინი ამას არ დაუშვებენ, ციმბირის პოლკებმა განაცხადეს, რომ თუ დაშლიან ლატიშთა პოლკებს, მა-შინ მათაც უნდა გაუწიონ ანგარიში. და, პირიქით. ერთიანობა ლატიშთა და ციმბირის პოლკებს შორის სრულია, და თუ შტაბი ვერ მოახერხებს. პროვოკაციულად გამოგვიწვიოს გამოსასვლელად, მაშინ მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ მე-12 არმია „წითელ არმიად“ გავხადოთ“¹.

განსაკუთრებული შეუპოვრობითა და დაძაბულობით აწარმოებდა პარ-ტია მუშაობას საბჭოებში — ამ მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებში — და-



VI ყრილობის დელეგატი — ვ. მ. მოლოტოვი.

მტკიცედ ააშკარავებდა ესერების და მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას. ბოლშევიკური ტალღა ესხმებოდა საბჭოების ქვედა სართულებს. ემუქრებოდა რა ზემო სართულებსაც. ხშირად საბჭოების ზედაფენები უკვე ვეღარ გამოხატავდნენ თავის ამრჩეველთა განწყობილებებს. ქვემოდან წამოსული მოწოლის წინააღმდეგ წერილობრივად აღიზიადი ბლოკი ხელმძღვანელები მიმართავდნენ ერთსა და იმავე ნაცად საშუალებას: ყოველნაირად აკიანურებდნენ ან აფერხებდნენ გადაჩევივებს. მაგრამ პარტია ამ მანევრსაც მოხერხებულად უვლიდა გვერდს, ჰქმნიდა რა თავისთვის დასაყრდნობ პუნქტებს სარაიონო საბჭოებში. ასე, მაგალითად, მოსკოვში პარტიის VI ყრილობისათვის 10 რაიონიდან 6 რაიონი ბოლშევიკების განუყოფელი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა. მასობრივი ტალღით საბჭოებიდან გამოძევებული ესერები და მენშევიკები გადადიოდნენ საქალაქო და საერობო თვითმმართველობებში და იქიდან ცდილობდნენ ბოლშევიკური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას.

მუნიციპალიტეტებში — ქალაქის სათათბიროებში, სადაც მენშევიკები და ესერები იკალათებდნენ საბჭოების წინააღმდეგ საბრძოლველად, — ლენინელეზიცი საპატიო ადგილს იპყრობდნენ.

ასეთივე შეუპოვრობით იბრძოდა პარტია სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვისაც. ხდებოდა პროფესიული კავშირების ბოლშევიზაცია. საფაბრიკო-საქარბნო კომიტეტები სამრეწველო ცენტრებში მთლიანად ბოლშევიკებს მისდევდნენ.

დიდი მუშაობა ჩატარა პარტიამ ახალგაზრდობას შორის. ახალგაზრდობის კავშირი პეტროგრადში, რომელიც პარტიის VI ყრილობის მოწვევის წინ დაახლოებით 50 ათას წევრს ითვლიდა, აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკური ლოზუნგებით. ასევე დიდი იყო პარტიის გავლენა ახალგაზრდობაზე სხვა მსხვილ სამრეწველო ცენტრებშიც.

ადგილებიდან გაკეთებულმა მოხსენებებმა, რომლებიც პარტიის ყრილობამ მოისმინა, დაგვანახა, რომ თუ პარტიას ჯერ კიდევ არ ჰყავდა დაპყრობილი დიდი უმრავლესობა მთელი ქვეყნის პროლეტარიატსა და გლეხობის მასობრივ ორგანიზაციებში, სამაგიეროდ გადამწყვეტ პოზიციებზე მას უკვე ჰქონდა ძტკიცე დასაყრდენი პუნქტები. VI ყრილობას პარტია შეეგება თავისი რიგების გასამკეცებელი რიცხვით, რევოლუციური ბრძოლის უდიდესი გამოცდილებით, გაზრდილი გავლენით ფართო მასებში.

ყრილობას მუშაობა მოუხდა ნახევრად-ლეგალურად. მთავრობის ჯაშუშები, დაქირავებულნი და მოხალისენი, დაძრწოდნენ რაიონებში და ყნოსვით ეძებდნენ, თუ სად შეიკრიბნენ დელეგატები. 29 ივლისს დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა დადგენილება, რომლითაც სამხედრო მინისტრს და შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლეოდათ, აეკრძალათ ყოველგვარი კრებები და ყრილობები. ეს დადგენილება აშკარად მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ 157 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 112 საათობირო ხმით, გაიხსნა ვიბორგის მხარეზე, ხოლო შემდეგ კონსპირაციის მიზნით გადავიდა ნარვის ჭიშკართან.

„სხლომები იმართებოდა იმდენად არალეგალურად, — მოგვითხრობს ერთერთი მისი მონაწილე, — რომ ბევრი ამხანაგი არალეგალური სახელით იყო, ვინაიდან ჩვენ ყოველდღე უფრო მეტ დარბევას და დაპატიმრებას მოველოდით“¹.

დაპატიმრების მუქარა ისე რეალური იყო, რომ ყრილობას თავისი მუშაობის შეწყვეტაც კი მოუხდა გაცილებით ადრე დამთავრებამდე, რათა სასწრაფოდ მოესდინა ცენტრალური კომიტეტის წევრთა არჩევნები.

ასეთ პირობებში აჩქარებით მუშაობა გვიხდებოდა. შესაძლებელი იყო მხოლოდ ყველაზე მწვავე საკითხების განხილვა. ასე, მაგალითად, ყრილობამ შესაძლებლად ვერ სცნო პირდაპირ შესდგომოდა პარტიული პროგრამის გადასინჯვას. ახალი პროგრამის დამუშავება დაევალა ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საორგანიზაციო ბიუროს (ყრილობის მომწვევეი ბიურო. რ ე დ.) მოხსენება.
2. ც. კ-ის მოხსენება.

3. ანგარიშები ადგილებიდან.

4. მიმდინარე მომენტი:

ა) ომი და საერთო მდგომარეობა,

ბ) პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა.

5. პროგრამის გადასინჯვა.

6. საორგანიზაციო საკითხი.

7. დამფუძნებელი კრების არჩევნები.

8. ინტერნაციონალი.

9. პარტიის გაერთიანება.

10. პროფესიული მოძრაობა.

11. არჩევნები.

12. სხვადასხვა.

ერთერთ პირველ საკითხად ყრილობაზე ირჩეოდა საკითხი სასამართლო-ში ლენინის გამოცხადების შესახებ. მოხსენებას აკეთებდა სერგო ორჯონიკიძე. იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო იმისი, რომ ლენინი სასამართლოში გამოცხადებულიყო.

„მათთვის საჭიროა, — ამბობდა ამ: ორჯონიკიძე, — რაც შეიძლება მეტი ბელადი გამოგლიჯონ რევოლუციური პარტიის რიგებს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ მათ ამხანაგი ლენინი“².

ამხ. ძერჟინსკიმ მხარი დაუჭირა მომხსენებელს:

„ჩვენ ნათლად და გარკვევით უნდა ვქთვათ, რომ კარგად მოიქცნენ ის ამხანაგები, რომლებმაც ურჩიეს ამხანაგ ლენინს... არ დაეპატიმრებინა თავი. ჩვენ ნათლად უნდა ვუპასუხოთ ბურჟუაზიული პრესის წასისიანებას, რომელსაც სურს არეგდარევა შეიტანოს რიგებში“³.

სასამართლოში ლენინის გამოცხადებას მხარი დაუჭირა ყრილობის რამდენიმე წევრმა. ვოლოდარსკი და ლაშევიჩი ამბობდნენ. რომ ლენინის გასამართლება შეიძლება გადავაქციოთ მთავრობის გასამართლებად, რომ პარტიას შეუძლია ამ საქმეზე მოიგოსო.

ბოლშევიკური პარტიის ყრილობა სასამართლოში ლენინის გამოცხადების წინააღმდეგ წაეიდა, დაადსტურა რა ამით სტალინის პოზიცია, რომელიც მან დაუყოვნებლივ დაიკავა ივლისის დემონსტრაციის განადგურების შემდეგ. ყრილობის ძირითადი საკითხები იყო სტალინის ორი მოხსენება: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. უკვე პირველ მოხსენებაში, მოგვცა რა ივლისის ამბებისა და ამ დღეებში პარტიის ტაქტიკის ღრმა ლენინური ანალიზი. სტალინმა დააყენა ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც არკვევდა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის მსვლელობას და შედეგს.

„სანამ გადავიდოდე მოხსენებაზე უკანასკნელი ორნახევარი თვის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მუშაობის შესახებ, — ამბობდა სტალინი, — საჭიროდ მიმაჩნია აღენიშნა ძირითადი ფაქტი, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის მუშაობა განსაზღვრა. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი რევოლუციის განვითარების ფაქტი, რევოლუციისა, რომე-



VI ყრილობის დელეგატი —
კ. ე. ვოროშილოვი.



VI ყრილობის დელეგატი —
ს. ორჯონიკიძე.

ლიც საკითხს სვამს წარმოების კონტროლის სახით ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში ჩარევის შესახებ, გლეხობისათვის მიწის გადაცემის შესახებ, ბურჟუაზიის ხელიდან მუშათა და ჯარისკაცთა დებუტატების საბჭოების ხელში ძალაუფლების გადაცემის შესახებ. ყოველივე ეს განსაზღვრავს ჩვენი რევოლუციის ღრმა ხასიათს. მან სოციალისტური მუშათა რევოლუციის ხასიათის მიღება იწყო¹.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი დიდ წინააღმდეგობას არ იწვევდა. ცალკეული შენიშვნები მიუთითებდნენ უმთავრესად ცენტრალური კომიტეტის არასაკმაოდ მტკიცე კავშირზე პროვინციასთან. მაგრამ სწორედ ამ შენიშვნებზე ცდილობდა პრეობრაჟენსკი დაემტკიცებინა, რომ პეტროგრადის პროლეტარიატის იზოლაცია პროვინციისაგან წარმოადგენდა ივლისის დამარცხების მიზეზს.

ყრილობამ ყველა ხმით, ხუთის თავშეკავებით, მოიწონა ცენტრალური კომიტეტის მუშაობა და დაამტკიცა მისი ანგარიში.

სტალინის მეორე მოხსენება მიძღვნილი იყო პარტიის ტაქტიკისადმი ახალ ეტაპზე.

პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ივლისის დღეების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა. ძალაუფლება მერყევი წონასწორობის მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა თებერვლის რევოლუციიდან მოკიდებული, მკვეთრად შემოტრიალდა მარჯვენა: დ რ ო ე ბ ი თ ი მ თ ა ე რ ო ბ ი ს და ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ო რ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა შე ი ც ვ ა ლ ა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ის ე რ თ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ი თ. ცოტახნის წინათ არსებულმა თავისუფლებებმა ადგილი დაუთმეს „განსაკუთრებულ კანონებს“ ბოლშევიკების წინააღმდეგ-



VI ყრილობის დელეგატი —
მ. ს. ოლმინსკი.

მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა რევოლუციის განიარაღებას. მან დაშალა რევოლუციური პოლკები, წითელი გვარდია ჩატაკქვეშ შერეკა.

ყველა შესაძლებლობა რევოლუციის მწვიდობიანი განვითარებისათვის მოისპო. რევოლუციის წინ წაყვანა შეიძლებოდა მხოლოდ ძალაუფლების ბურჟუაზიის ბელიდან გამოტაცებით.

მაგრამ ძალაუფლების აღება ძალით შეეძლო მხოლოდ ერთ კლასს — პროლეტარიატს სოფლის ღარიბ გლეხობასთან ერთად. საბჭოები, რომელთაც ჯერ კიდევ ესერები და მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, ბურჟუაზიის ბანაკში გადაეშენენ და რევოლუციის ამ ბტადიაზე მათ შეეძლოთ მხოლოდ კონტრ-რევოლუციის ხელშემწყობთა როლში გამოსვლა. აპრილის ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ ყოველივე იმის შემდეგ, რაც ივლისის ამბებთან დაკავშირებით მოხდა, აღარ შეიძლებოდა უკვე გამართლებული ყოფილიყო. მაგრამ ამ ლოზუნგის მოხსნა სრულიადაც არ ნიშნავდა საბჭოების ძალაუფლებისათვის ბრძოლის უარყოფას. ლენინი ყოველნაირად ხაზს უსვამდა, რომ ლაპარაკია არა საბჭოებზე საზოგადოდ როგორც რევოლუციური ბრძოლის ორგანოებზე. არამედ არსებულ, შემთანხმებულ საბჭოებზე რევოლუციის განვითარების მოცემულ ეტაპზე.

და სწორედ ამ ლენინურ თვალსაზრისს ანვითარებდა და იცავდა ყრილობაზე სტალინი თავის არაჩვეულებრივად ნათელ და მკაფიო მოხსენებაში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ახასიათებდა რა რევოლუციის მსვლელობას, სტალინი ამბობდა:

„ამავე დროს ომი გრძელდება, ეკონომიური ნგრევა იზრდება, რევოლუცია გრძელდება, ღებულობს რა სულ უფროდაუფრო სოციალისტურ ხასიათს. რევოლუცია იჭრება წარმოების სფეროში — ისმის საკითხი კონ-



VI ყრილობის დელეგატი —
ვმ. იაროსლავსკი.



VI ყრილობის დელეგატი —
ვ. კოლოდარსკი.

ტროლის შესახებ. რევოლუცია იჭრება სასოფლო-სამეურნეო სფეროში — საკითხი ისმის არა მარტო მიწის კონფისკაციის შესახებ, არამედ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის კონფისკაციის შესახებაც...

ზოგიერთი ამხანაგი ლაპარაკობდა, რომ ვინაიდან ჩვენში კაპიტალიზმი სუსტად არის განვითარებული, ამიტომ უტოპიურია დავსვათ საკითხი სოციალისტური რევოლუციის შესახებო. ისინი მართალი იქნებოდნენ. რომ ომი არ ყოფილიყო, რომ ნგრევა არ ყოფილიყო, რომ სახალხო მეურნეობის საფუძვლები შერყეული არ ყოფილიყო. მაგრამ ეს საკითხები სამეურნეო სფეროში ჩარევის შესახებ ისმება ყველა სახელმწიფოში, როგორც აუცილებელი საკითხები. გერმანიაში ეს საკითხი დაისვა და ჩატარდა მასების პირდაპირი და აქტიური მონაწილეობის გარეშე. სულ სხვაა ჩვენში — რუსეთში. ჩვენში ნგრევამ უფრო საშიში მოცულობა მიიღო. მეორე მხრით, ისეთი თავისუფლება, როგორც ჩვენ გვაქვს. არსად არ ყოფილა ომის პირობებში. შემდეგ მუშათა უდიდესი ორგანიზებულობა: ჩვენ, მაგალითად, პიტერში გვყავს 66 პროცენტი ორგანიზებული მელითონე მუშა. ბოლოს, არსად პროლეტარიატს არ ჰქონია ისეთი ფართო ორგანიზაციები, როგორცაა მუშათა და ჯაროსკაცთა დემუტატების საბჭოები. ყოველივე ეს გამორიცხავდა სამეურნეო ცხოვრებაში მუშათა მასების ჩაურევლობის შესაძლებლობას. ამაშია რეალური საფუძველი იმისა, რომ დაისვას საკითხი ჩვენში — რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შესახებ¹. თავისი მოხსენება სტალინმა ასე დაამთავრა:

„3 იელისამდე შესაძლებელი იყო მშვიდობიანი გამარჯვება, ძალაუფლების მშვიდობიანი გადასვლა საბჭოების ხელში. თუ საბჭოების ყრილობა გადასწყვეტდა ძალაუფლების თავის ხელში აღებას, კადეტები, ვფიქრობ,

ვერ გაბედავდნენ საბჭოების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას, ვინაიდან ასეთი გამოსვლა წინასწარ იქნებოდა დასალუპავად განწირული. მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც კონტრრევოლუცია დაირაზმა და განმტკიცდა, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოებს შეუძლიათ მშვიდობიანი გზით აიღონ ხელში ძალაუფლება, ნიშნავს უქმად ლაპარაკს. რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დასრულდა, დადგა არამშვიდობიანი პერიოდი, შეჯახებათა და აფეთქებათა პერიოდი“¹.



VI სტილიზაციის დელეგატი —
პ. ა. ჯაფარიძე.

სტალინის მოხსენებამ და მის მიერ წარმოდგენილმა რეზოლუციამ დიდი კამათი გამოიწვია. კამათმა დაგვანახვა, რომ აპრილის კონფერენციის დროს პარტიაში არსებული უთანხმოებანი რუსეთის რევოლუციის ხასიათის საკითხზე ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დაძლეული. დელეგატების ნაწილი მხარს უჭერდა იმას, რომ დარჩენილიყო ძველი ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და ამასთან არ იზიარებდა ძირითად ლენინურ შეხედულებებს რუსეთის რევოლუციის როგორც სოციალისტური რევოლუციის ხასიათზე.

ნოვინი, ეკამათებოდა რა სტალინს, ამბობდა:

„რაშია განსხვავება ამხანაგ სტალინის რეზოლუციასა და აპრილის კონფერენციის რეზოლუციას შორის? მაშინ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჯერ კიდევ ედგავართ სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის წინ. ნუთუ, ამხანაგებო. ჩვენმა ქვეყანამ ორი თვის განმავლობაში ისეთი ნახტომი გააკეთა, რომ იგი უკვე მომზადებულია სოციალიზმისათვის?“²
მოსკოვის დელეგატი ნ. ს. ანგარსკი ყრილობაზე ამბობდა:

„მაგრამ მე არ ვეთანხმები ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენ უნდა გადავბიჯოთ ბურჟუაზიულ რევოლუციას სოციალისტური რევოლუციისაკენ. სტალინი ამბობს: ჩვენ გვაქვს ბედნიერი პირობები — რუსეთში 70 პროცენტამდე ორგანიზებული მუშებია და სხვ. მაგრამ ეს ძალზე არასაკმარისია სოციალისტური რევოლუციისათვის. ჩვენ არ გვყავს რეზერვები. რეზერვი — ეს არის ამჟამად რევოლუციური გლეხობა, რომელიც ასეთად დარჩება მხოლოდ მანამდე, სანამ მიწას მიიღებს. ნახტომი, რომელსაც ამხანაგი სტალინი გვირჩევს, არის არა მარქსიზმის ტაქტიკა, არამედ სასოწარკვეთილების ტაქტიკა, რომელიც ჯერ არაფრით არაა გამოწვეული“³.

ნოვინის არგუმენტებს მხარს უჭერდნენ იურენევი და ვოლოდარსკი.

„თუ ჩვენა პარტია სტალინის რეზოლუციას მიიღებს, — ამბობდა იურენევი, — ჩვენ სასწრაფოდ წავალთ გლენობისა და მოსახლეობის ფართო მასებისაგან პროლეტარიატის იზოლაციის გზით. აქ არსებითად ტარდება პროლეტარიატის დიქტატურა“².

ასეთივე კრიტიკით გამოდიოდა ზალეესკიც, სთვლიდა რა არასწორად სტალინის მტკიცებას, რომ 5 ივლისის ძალაუფლება გადავიდა კონტრრევოლუციის ხელში. ამავე დროს თვითონ ზალეესკი კონსპირაციისა და დატუსაღების შიშის გამო ყრილობაზე „ვლადიმირის“ მეტსახელით გამოდიოდა.

მზარდი რევოლუციის ამბებმა ვერაფერი ვერ ასწავლა მათ, ვინც ლენინური ხაზის წინააღმდეგ გამოდიოდა.

„გათიშვა ბურჟუაზიასა და გლენობას შორის გარდუვალია, და იგი პირდაპირ დასევამს საკითხს, თუ ვის ხელში იქნება ძალაუფლება“³,

იმეორებდა ნოგინი თავის ძველ აზრს ბურჟუაზიული რევოლუციის დაუმთავრებლობის შესახებ და ჯიუტად ვერ ამჩნევდა, რომ გლენობა უკვე გაითიშა, რომ მისი ზედაფენა უკვე ბურჟუაზიულ ბანაკში წავიდა.

აპრილის კონფერენციაზე ნოგინს არ ესმოდა, რომ ნგრევამ ომის გაგრძობის პირობებში მკვეთრად დააყენა საკითხი სოციალიზმისაკენ გადასვლის აუცილებლობის შესახებ და რომ ამ გადასვლის მოხდენა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს ღარიბ გლენობასთან ერთად. VI ყრილობაზე ნოგინს წინანდებურად არ ესმოდა, რომ საქმე მდგომარეობს არა „ნახტომში“, არა საწარმოო ძალთა მომწიფებაში რაღაც ორი თვის განმავლობაში, არამედ კლასობრივ ძალთა ახალ განლაგებაში, რამაც რევოლუციის წინაშე საკითხი დასვა ყველაზე უფრო რევოლუციური კლასის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შესახებ.

ბოლშევიკური პარტიის აპრილის კონფერენციის რეზოლუციების გამო უთანხმოებით გამოწვეული კამათის შესახებ სტალინი ლაპარაკობდა ყრილობაზე:

„ახლა რამდენიმე სიტყვა ანგარსკისა და ნოგინს სოციალიზმის შესახებ. ჯერ კიდევ აპრილის კონფერენციაზე ვამბობდით, რომ დადგა მომენტი: რათა დავიწყოთ ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმის მიმართულებით“⁴.

შემდეგ სტალინმა აპრილის კონფერენციის რეზოლუციიდან მიმდინარე მოშენების შესახებ შემდეგი სტრიქონები წაიკითხა:

„რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც მოქმედებს ევროპის ერთერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში, წვრილგლენურ მოსახლეობის მასებს შორის, არ შეუძლია მიზნად დაისახოს სოციალისტურ გარდაქმნათა დაუყოვნებლივი განხორციელება.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, ხოლო პრაქტიკაში სრული გადასვლა კი ბურჟუაზიის მხარეზე, თუ აქედან დავასკენილდით მუშათა კლასის მხრივ ბურჟუაზიისათვის მხარის დაქერის აუცილებლობას, ან ჩვენნი მოქმედების იმის ფარგლებით შეზღუდვის აუცილებლობას, რაც წვრილი

ბურჟუაზიისათვის მისაღებია. ანდა უარის თქმას პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლზე ხალხისათვის იმის ახსნა-განმარტების საქმეში, რომ გადაუდებელია სოციალიზმისაკენ მთელი რიგი პრაქტიკულად მომწიფებული ნაბიჯების გადადგმა“¹.

ცხადჰყო რა, რომ პარტიის VI ყრილობის რეზოლუცია აგრძელებს ხაზს, დასახულს ჯერ კიდევ ბოლშევიკთა აპრილის კონფერენციის მიერ, სტალინი განაგრძობდა:

„ამხანაგები ჩამორჩნენ სამი თვით. რა მოხდა სამი თვის განმავლობაში? წერილი ბურჟუაზია ფენებად დაიყო, ქვედაფენები სცილდებიან ზედაფენებს, პროლეტარიატი ირაზმება, ნგრევა იზრდება, აყენებს რა კიდევ უფრო დაჟინებით დღის წესრიგში საკითხს მუშათა კონტროლის განხორციელების შესახებ (მაგალითად, პიტერში, დონეცის ოლქში, და სხვ.). ყველაფერი მიდის იმ დებულებათა სასარგებლოდ. რომელნიც ჯერ კიდევ აპრილში იქნა მიღებული. ამხანაგები კი უკან გვწევენ“².

მკვეთრი პასუხი გასცა ყრილობაზე მათ: ვინც სტალინის რეზოლუციას არ ეთანხმებოდა, ვ. მ. მოლოტოვმა. იგი ამბობდა:

„უეკველია. რომ გაიმარჯვა კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, რომელიც აუქმებს ყოველგვარ თავისუფლებას; ამიტომაც 3—5 იელისის კრიზისის შემდეგ არ არის შესაძლებლობა ძალაუფლების საბჭოების ხელში მშვიდობიანი გადაცემისათვის. ამაში არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამხანაგებს შორის.

სწორედ რევოლუციის მშვიდობიანი ხასიათის შეცვლაში მდგომარეობს გარდატეხის მომენტი.

ძალაუფლების მიღება შეიძლება მხოლოდ ძალით...

მხოლოდ პროლეტარიატს და ლარებ გლეხობას სურთ აიღონ თავის ხელში ძალაუფლება, შეუძლიათ ეს ჰქნან და იზამენ კიდევ იმ უმრავლესობის ინტერესების სასარგებლოდ. რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან“³.

სტალინის მოხსენების კრიტიკით გამოდიოდა ბუხარინიც. მას რევოლუციის შემდგომი განვითარება წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ორი ერთიმეორის შემცველი ეტაპი და ამბობდა:

„პირველი ფაზისი — გლეხობის მონაწილეობით, რომელიც მიწის მიღებას ესწრაფვის; მეორე ფაზისი — გამძლარი გლეხობის ჩამოცილების შემდეგ; პროლეტარული რევოლუციის ფაზისი, როდესაც რუსეთის პროლეტარიატს მხარს დაუჭერენ მხოლოდ პროლეტარული ელემენტები და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი“⁴.

როგორც ვხედავთ, ბუხარინმა გავოსთქვა შეხედულება, რომელიც ძლიერ უახლოვდება იმ შეხედულებას, რასაც კამენევი იცავდა აპრილის კონფერენციაზე; ჩვენ ან მივდივართ გლეხობასთან ერთად და მაშინ ეს არ არის სო-

ცილისტური რევოლუცია, ანდა პროლეტარიატი გამოდის მარტო და მხოლოდ მაშინ იქნება ეს სოციალისტური რევოლუცია.

შეკითხვებზე გაცემულ პასუხებში, საბოლოო სიტყვაში და აგრეთვე რევოლუციის შესწორებათა გამო გამოთქმულ საწინააღმდეგო შეხედულებებში სტალინმა კვლავ გადაშალა რევოლუციის მოცემული ეტაპის ღრმა ანალიზი.

„ახლა ჩვენ ვაყენებთ პროლეტარიატისა და ულარბესი გლეხობის ხელში ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგს, — ამბობდა სტალინი. მაშასადამე, საკითხი მდგომარეობს არა ფორმაში, არამედ იმაში, თუ რომელ კლასს გადაეცემა ძალაუფლება. საკითხი დგას საბჭოების შემადგენლობის შესახებ... ნათლად უნდა შევიფიქროთ, რომ არა საკითხი ფორმის შესახებ იქნება გადამწყვეტი. ნამდვილად გადამწყვეტია საკითხი, მომწიფდა თუ არა მუშათა კლასი დიქტატურისათვის, ხოლო ყველაფერი დანარჩენი მოგვარდება, შეიქმნება რევოლუციის შემოქმედებით“¹.

შემდეგ სტალინმა მიუთითა, რომ ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ მოხსნიდან სრულიადაც არ გამოდინარეობს ლოზუნგი „ძირს საბჭოები“. ბოლშევიკები საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიდანაც კი არ გამოდიან, მიუხედავად მთელი მისი უბადრუკი როლისა.

რჩებიან რა საბჭოებში, ბოლშევიკები განაგრძობენ სოციალისტ-რევოლუციონერების და მენშევიკების ტაქტიკის მხილებას.

„უმთავრესი ამოცანაა, — ხაზგასმით აღნიშნავდა სტალინი საბოლოო სიტყვაში, — არსებული ძალაუფლების დამხობის აუცილებლობის იდეის პროპაგანდა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ამ აზრისათვის საკმაოდ მომზადებული. მაგრამ საჭიროა მოვემზადოთ.

საჭიროა მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა გაიგონ, რომ ახლანდელი ძალაუფლების დაუმხოზლად ისინი ვერ მიიღებენ ვერც თავისუფლებას, ვერც მიწას!

ამრიგად, საკითხი დგას არა ძალაუფლების ორგანიზაციის, არამედ მისი დამხობის შესახებ, ხოლო როდესაც ძალაუფლებას ჩვენს ხელში მივიღებთ, მის ორგანიზებას ჩვენ შევძლებთ“².

სტალინმა მკვეთრად გააკრიტიკა ბუხარინის შეხედულებანი.

„რაშია ბუხარინის პერსპექტივა? — კითხულობდა იგი. — მისი ანალიზი თვით ძირშივეა შემცდარი. მისი აზრით პირველ ეტაპში ჩვენ მივიღებთ გლეხური რევოლუციისაკენ. მაგრამ მას ხომ არ შეუძლია არ შეხვდეს, არ თანაემთხვეს მუშურ რევოლუციას. შეუძლებელია, რომ მუშათა კლასი, რომელიც რევოლუციის ავანგარდს შეადგენს, არ იბრძოდეს ამასთანავე თავისი საკუთარი მოთხოვნებისათვის. ამიტომ ბუხარინის სქემა მე მიმაჩნია მოუფიქრებელ სქემად. მეორე ეტაპი ბუხარინის მიხედვით — ეს არის პროლეტარული რევოლუცია დასავლეთ ევროპის დახმარების პირობებში, უგლეხებოდ, რომლებმაც მიწა მიიღეს და დაკმაყოფილდნენ. მაგრამ ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს რევოლუცია? ბუხარინი თავის სათამაშო სქემაში ამის პასუხს არ იძლევა“³.

ბუხარინს მთელი გლახობა ერთფეროვნად წარმოედგინა, ის ივიწყებდა, რომ ბურჟუა-იმპერიალისტებმა ბლოკი შეჰკრეს — სტალინის გამოთქმით — მხოლოდ წელმაგარ გლეხთან. გლახობის უღარიბესი ფენები მიდიოდნენ პროლეტარიატთან ერთად. მისი ხელმძღვანელობით.

ასეთივე მკვეთრი პასუხი მიიღო პრეობრაჟენსკიმაც, რომელიც ატარებდა ტროცკისტულ თვალსაზრისს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებ-ს შეუძლებლობის შესახებ. პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ სტალინის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„ამ რევოლუციური კლასების (ე. ი. პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის. რ ე დ.) ამოცანა იქნება მაშინ ყველა ძალების დაძაბვა სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ასაღებად და მოწინავე ქვეყნების რევოლუციურ პროლეტარიატთან კავშირში მის წარსამართავად მშვიდობიანობისაყენ და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისაყენ“¹.

სტალინის ამ ფორმულირების წინააღმდეგ გამოვიდა პრეობრაჟენსკი, რომელმაც წარმოადგინა შემდეგი დამატება:

„ვიძლევი რეზოლუციის დასასრულის სხვაგვარ რედაქციას: „მის წარსამართავად მშვიდობიანობისაყენ და თუ დასავლეთ ევროპაში პროლეტარული რევოლუცია მოხდება — სოციალიზმისაყენ“²...

აკრიტიკებდა რა პრეობრაჟენსკის თვალსაზრისს, რომელიც იცავდა ტროცკის თეორიას ცალკე აღებულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, სტალინი ამბობდა:

„მე წინააღმდეგი ვარ რეზოლუციის ასეთი დაბოლოების. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება სოციალიზმისაყენ გზის გამკაფავე ქვეყანა. დღემდე არცერთი ქვეყანა არ სარგებლობდა ისეთი თავისუფლებით, როგორიც რუსეთში იყო, არცერთს არ უცდია წარმოების მიმართ მუშათა კონტროლი განეხორციელებინა. ამას გარდა ჩვენი რევოლუციის ბაზა უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი პირისპირ დგას ბურჟუაზიასთან სრულიად განმართებულად. ჩვენში მუშებს მხარს უჭერენ გლახობის უღარიბესი ფენები... უნდა უწყუვადლოთ დრომოკუმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია გვიჩვენოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატიური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგავარ უკანასკნელის ნიადაგზე“³.

სტალინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში შეჯამებული იყო განვლილი ეტაპის შედეგები და დასახული ახალი გზები უმაღლეს საფეხურზე რევოლუციის შემდგომი აღმავლობისათვის. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„1. კლასობრივი ბრძოლის განვითარებამ და პარტიათა ურთიერთდამოკიდებულებამ იმპერიალისტური ომის პირობებში ფრონტზე არსებულ კრიზისისა და მოკავშირეთა კაპიტალისაგან რუსეთის მხარდ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით მიგვიყვანა იმ კონტრრევოლუციური იმპერია-

ლისტური ბურჟუაზიის დიქტატურამდე, რომელიც ემყარება სამხედრო ხროვას მეთაურთა ზედაფენებიდან და რომელსაც რევოლუციური შირმით ჰფარავენ წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ბელადები...

4. ამ პარტიათა ბატონობისას საბჭოები გარდუვალად სულ უფროდა-უფრო ძირს ეშვებოდნენ და აღარ წარმოადგენდნენ აჯანყების, ან სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოებს, ხოლო მათი გადაწყვეტილებანი გარდუვალად იქცეოდნენ უძლურ რეზოლუციებად და გულუბრყვილო სურვილებად. ბურჟუაზია კი ამ ხნის განმავლობაში, ათამაშებდა რა „სოციალისტურ“ მინისტრებს, აკიანურებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს, აფერხებდა მიწის გადასვლას გლეხების ხელში, საბოტაჟს უწყევდა ნგრევის წინააღმდეგ ყოველგვარ ბრძოლას, ამზადებდა — საბჭოების უმრავლესობის დასტურით — ფრონტზე შეტევას, ე. ი. იმპერიალისტური ომის განახლებას, რაზმავდა რა ყოველივე ამით კონტრრევოლუციის ძალებს...

6. მოვლენათა ასეთი მსვლელობის გამო ამჟამად სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ფაქტიურად აღმოჩნდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში, რომელსაც მხარს უჭერს სამხედრო ხროვა. სწორედ ამ იმპერიალისტურმა დიქტატურამ გაატარა და ატარებს პოლიტიკური თავისუფლების განადგურების, მასების მიმართ ძალადობისა და ინტერნაციონალური პროლეტარიატის დაუნდობელი დევნის ყველა ზემოაღნიშნულ ზომას საბჭოების ცენტრალური დაწესებულების — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სრული უძლურებისა და უმოქმედობის პირობებში.

საბჭოები განიცდიან ტანჯვით აღსავსე აგონიას, იხრწნებიან რა იმის გამო, რომ თავის დროზე არ აიღეს თავის ხელში მთლიანად სახელმწიფოებრივი ძალაუფლება.

7. საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგი, რომელიც რევოლუციის პირველმა აღმავლობამ წამოაყენა და რომელსაც ჩვენი პარტია ჰქადაგებდა, იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების, ბურჟუაზიიდან მუშებისა და გლეხების ხელში ძალაუფლების უმტკივნეულოდ გადასვლისა და წვრილი ბურჟუაზიის მიერ მის ილუზიათა თანდათანობითი დაძლევის ლოზუნგი. ამჟამად მშვიდობიანი განვითარება და ძალაუფლების უმტკივნეულოდ გადასვლა საბჭოების ხელში შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ძალაუფლება უკვე გადავიდა ნამდვილად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში. სწორ ლოზუნგად ამჟამად შეიძლება იყოს მხოლოდ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის სრული ლიკვიდაცია. მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს ძალუძს, იმ პირობით, თუ უღარიბესი გლეხობა მას მხარს დაუჭერს, შეასრულოს ეს ამოცანა, რომელიც ახალი აღმავლობის ამოცანას წარმოადგენს¹.

ახალი ლოზუნგი სრულიად არ მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოსვლისათვის. პირაქით, მთელი რეზოლუცია გაფრთხილებას იძლეოდა, რომ პროლეტარიატი არ უნდა წამოეგოს კონტრრევოლუ-

ციური ბურჟუაზიის პროვოკაციის ანკესზე. რეზოლუცია პირველ რიგში აყენებდა ყველა რევოლუციური ძალების ორგანიზაციისა და მომზადების აუცილებლობას იმ მომენტისათვის, როდესაც საერთონაციონალური კრიზისი ხელსაყრელ პირობებს შექმნის აჯანყებისა და გადატრიალებისათვის.

რეზოლუცია მიღებულ იქნა ყველა ხმებით, ოთხმა თავი შეიკავა. საკითხი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ცენტრალური საკითხი იყო ყრილობის მუშაობაში. დღის წესრიგში დასმული სხვა საკითხები გადაწყვეტილ იქნა იმ გეზთან შეფარდებით, რომელიც ყრილობას აღებული ჰქონდა პროლეტარული რევოლუციის შესახებ.

რეზოლუცია ომის შესახებ ამბობდა, რომ იმპერიალისტური სასაკლავო განაგრძობს გაფართოებას. იმპერიალიზმის ახალი გიგანტი — ამერიკა — ჩაება ომში. ამერიკამ და მოკავშირეებმა აიძულეს ჩინეთი მონაწილეობა მიეღო იმპერიალისტურ ომში. იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლა სწარმოებს ფაქტიურად მთელს მსოფლიოში. ომი ქიანურდება კიდევ იმიტომ, რომ სამხედრო დიქტატურის რეჟიმი და საერთაშორისო პროლეტარიატის ძალთა დაქუცმაცება უმსუბუქებენ მსოფლიო ბურჟუაზიას მზარდ რევოლუციასთან ბრძოლას.

რუსეთის რევოლუცია ყველაზე უფრო საშიშია ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისათვის. რუსეთის რევოლუციური მასები სულ უფროდაუფრო მკვეთრად გამოდიან მძარცველური ომის წინააღმდეგ და იმუქრებიან ყველა ქვეყნის პროლეტარების ამ ბრძოლაში ჩაბმით. აი რატომ დაიწყო მსოფლიო იმპერიალიზმმა ლაშქრობა რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ, ეყრდნობოდა რა ამასთან ყველა ქვეყნის შემთანხმებელთა დახმარებას. ესერებმა და მენშევიკებმა რუსეთში მხარი დაუჭირეს რუსეთის ჯარების შეტევას ფრონტზე და ამით ისინი იმპერიალისტების მხარეზე გადავიდნენ. ზავის კამპანია, რომლის წარმოებასაც პეტროგრადის საბჭო ცდილობდა იმპერიალისტურ მთავრობებზე „ზემოქმედებისა“ და უცხოელ ობორონცებთან შეთანხმების გზით, აშკარად ჩაიშალა. ამ ჩაშლამ დაადასტურა ბოლშევიკების თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მხოლოდ მასების რევოლუციურ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა ქვეყანაში, მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას შეუძლია მისცეს ტანჯულ ხალხებს დემოკრატიული ზავი.

ბოლშევიკების VI ყრილობის რეზოლუცია ომის შესახებ თავის დასკვნითი ნაწილში ამბობდა:

„9. იმპერიალისტური ბატონობის ლიკვიდაცია იმ ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე, რომელიც პირველი განახორციელებს პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების დიქტატურას, აყენებს სხვა ქვეყნების მებრძოლ პროლეტარიატის მიმართ ყოველგვარი დახმარების (თვით შეიარაღებულ დახმარებამდე) ამოცანას. კერძოდ ასეთი ამოცანა დადგება დღის წესრიგში რუსეთის წინაშე, თუ, რაც ძალზე მოსალოდნელია, რუსეთის რევოლუციის ახალი გარდუვალი აღმავლობა მუშებსა და გლეხებს ძალაუფლების სათავეში ჩააყენებს უფრო ადრე, ვიდრე დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში გადატრიალება მოხდებოდეს.“

10. ამიტომ ომის ნამდვილად დემოკრატიული ლიკვიდაციის ერთადერთ საშუალებას საერთაშორისო პროლეტარიატისათვის წარმოადგენს მის მიერ ძალაუფლების დაპყრობა, ხოლო რუსეთში კი ამ ძალაუფლების დაპყრობა მუშებისა და ულარიბესი გლეხობის მიერ. მხოლოდ ეს კლასები შესძლებენ გასწევიტონ კავშირი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებთან და ხელი შეუწყონ საქმით საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ზრდას, რომელმაც ლიკვიდაცია უნდა უყოს არა მარტო ომს, არამედ კაპიტალისტურ მონობასაც“¹.

დასახა რა კურსი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის ლიკვიდაციისათვის, ბოლშევიკების VI ყრილობამ შეიმუშავა დაწერილებითი ეკონომიური პლატფორმაც კრიზისიდან გამოსვლისათვის, პლატფორმა მეურნეობის აღდგენისა და ორგანიზაციისა მუშებისა და ულარიბესი გლეხობის სასარგებლოდ. რეზოლუციაში ეკონომიური მდგომარეობის შესახებ VI ყრილობა ამბობდა, რომ ქვეყანა კაპიტალისტებისა და მემამულეების ანგარული პარპაზის გამო, რასაც ობორონცები ჰფარავენ, ეკონომიური დაშლისა და დაღუპვის წინაშე იმყოფებოდა. ყრილობამ დეტალურად მიგვითითა ქვეყნის ხსნისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ღონისძიებაზე სამრეწველო წარმოების დარგშიც და სოფლის მეურნეობის, ფინანსების, საქალაქო მეურნეობის და სხვ. დარგშიც. მუშათა კონტროლი წარმოებაზე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მთელი მიწის ნაციონალიზაცია, ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია — ბოლშევიკების ყველა ეს კონკრეტული. უბრალო მოთხოვნა გასაგები იყო ფართო მასებისათვის. მაგრამ ყველა ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება არ შეიძლებოდა, თუ არ შეწყდებოდა ომი, თუ მტაცებლური ომი, მძარცველური ომი არ გადაიქცეოდა სამართლიან ომად, სამოქალაქო ომად. VI ყრილობის რეზოლუცია ამბობდა:

„ერთადერთ გამოსავალს კრიტიკული მდგომარეობიდან წარმოადგენს ომის ლიკვიდაცია და წარმოების ორგანიზაცია არა ომისათვის, არამედ ყოველივე იმის აღსადგენად, რაც მის მიერ იყო დანგრეული, არა ერთი მუქა ფინანსიური ოლიგარქების ინტერესების, არამედ მუშებისა და ულარიბესი გლეხების ინტერესების სასარგებლოდ.

წარმოების ასეთი მოწესრიგება რუსეთში შეიძლება გატარებულ იქნას მხოლოდ იმ ორგანიზაციის მეოხებით, რომელიც პროლეტარებისა და ნახევრად-პროლეტარების ხელშია, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ ხელში უნდა გადავიდეს სახელმწიფო ძალაუფლება“².

ესრები და მენშევიკები, რომლებსაც მუდამ საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის მაგალითი მოჰყავდათ, ამბობდნენ, რომ საფრანგეთის მშრომელებმა განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს და სიმამაცის სასწაულები გვიჩვენეს თავის აზნაურობასთან და მის ინგლისელ, პრუსიელ და რუს მოკავშირეებთან ბრძოლაში. რატომ რუსეთის მშრომელებს არ შეუძლიანთ აწარმოონ ომი ისეთივე ალტყინებით, ენტუზიაზმით და გატაცებით რევოლუციის დასაცავად?

ამასთანავე ესერები და მენშევიკები ჭფარავდნენ იმ პირობებს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ასეთი სასწაულები საფრანგეთში. საფრანგეთის ხალხმა გაანადგურა თავისი ცარიზმი. საფრანგეთის მშრომელებმა თავიანთი რევოლუციონერების — იაკობინელთა პარტიის — ხელმძღვანელობით ქვაქვაზე აღარ დასტოვეს ფეოდალიზმის შენობიდან. საფრანგეთის გლეხებმა შემამულეებს მიწები ჩამოართვეს. საფრანგეთის რევოლუციონერებმა ბოლო მოუღეს დრომოკმულ წყობილებას და გადაქრით წაიყვანეს ხალხი მისი მტრების წინააღმდეგ. ყოველივე ამან ფრანგებისათვის ომი გახადა სამართლიან ომად. თავდაცვითი ომად. გადაქრით გატარებულმა რევოლუციამ მატერიალური პირობები შექმნა რეაქციული ევროპის წინააღმდეგ საფრანგეთის ჩაგრული კლასების გმირული, თავდავიწყებითი და ენტუზიაზმით აღსავსე ომისათვის.

შპარცველური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა და ბოლშევიკების ეკონომიური პლატფორმის ყველა ღონისძიების გატარება უაღრესად ზრდიდა ქვეყნის საბრძოლო ძლიერებას. მხოლოდ ყოველივე ძველთან დაუზოგავად გასწორებით, ქვეყნის განათლებით, ბოლშევიკური პლატფორმის საფუძველზე მისი გარდაქმნით შეიძლებოდა მატერიალური პირობების შექმნა შეუდარებლად უფრო დიდი სასწაულებისათვის. ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის სასწაულები იყო. მხოლოდ ხალხს, განთავისუფლებულს კაპიტალიზმის მონობისაგან. შეეძლო ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით გაეშალა ნამდვილად რევოლუციური ინიციატივა.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ბოლშევიკების მუშაობას პროფესიულ კავშირებში. ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ რევოლუციურმა პრაქტიკამ შთაღ და თავდაყირა დააყენა ოპორტუნისტების თეორია პროფკავშირების „ნეიტრალიზაციის“ შესახებ. ფაქტიურად კავშირების ნეიტრალიზაცია „შუქმდებელი აღმოჩნდა. ომმა მთელი მუშათა მოძრაობა. მათ შორის პროფესიულიც, ორ ბანაკად გაჰყო. ის პროფკავშირები, რომლებმაც ომს მხარი დაუჭირეს და ბურჟუაზიული სამშობლოს დასაცავად გამოვიდნენ მტაცებლურ ომში, ფაქტიურად თავისი იმპერიალისტების მხარეზე გადავიდნენ. მხოლოდ იმ კავშირებმა, რომელნიც ვარკვეულ კლასობრივ ხაზს ატარებდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, შესძლეს შეენარჯობინათ თავისი ამოცანები მუშათა ინტერესების დაცვის საქმეში. ყრილობამ მოუწოდა ბოლშევიკური პარტიის ყველა წევრს შესულიყვნენ პროფკავშირებში და იქ აქტიურად ებრძოლნათ პროფკავშირების ისეთ მებრძოლ კლასობრივ ორგანიზაციებად გადაქცევისათვის. რომლებიც პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიასთან მჭიდრო კონტაქტში ეკონომიურად და პოლიტიკურად გაუმკლავდებიან კონტრარევოლუციას.

ყრილობის რეზოლუცია ამბობდა:

„ქვეყნის იმ ეკონომიურ დაშლასთან საბრძოლველად, რომელსაც მზარდი კონტრარევოლუცია ამწვავებს. და რევოლუციის ძლიერდამოსილ დასასრულამდე მიყვანის მიზნით პროფესიული კავშირები უნდა ესწრაფებოდნენ სახელმწიფოებრივ ჩარევას წარმოებისა და პროდუქტების განა-

წილების ორგანიზაციაში და ამასთან უნდა ახსოვდეთ, რომ მხოლოდ ახალი რევოლუციური ტალღის აწვირებისა და გლახობის უღარიბეს ფენებზე დაყრდნობილი პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის პირობებში შეიძლება გატარდეს ეს ღონისძიებანი ხალხის ფართო მასების ინტერესების სასარგებლოდ.

ყოველივე ამის გამო ყრილობა აღიარებს: ყველა ამ პასუხსაგრი ამოცანის განხორციელება რუსეთის პროფკავშირების მიერ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დარჩებიან მეტრძოლ კლასობრივ ორგანიზაციებად და აწარმოებენ თავიანთ ბრძოლას პროლეტარიატის პოლიტიკურ კლასობრივ პარტიასთან მჭიდრო ორგანიულ თანამშრომლობაში; თუ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ისინი ენერგიულად იბრძობენ იმ სოციალისტური პარტიის გამარჯვებისათვის, რომელიც განუხრელად იცავს პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს და გამოდის ომის უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის ყველა ქვეყნის მმართველი კლასების წინააღმდეგ მასობრივი რევოლუციური ბრძოლის გზით; თუ ისინი ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებისა და ინტერნაციონალის შექმნის მიზნით დაუყოვნებლივ დაამყარებენ ურთიერთობას ყველა პროფესიულ კავშირებთან, რომელნიც სხვადასხვა ქვეყნებში ბრძოლას აწარმოებენ ომის წინააღმდეგ. და მათთან ერთად გამოიმუშავენ საერთაშორისო სასაკლავო წინააღმდეგ და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო გეგმას; თუ ისინი თავის ყოველდღიურ ბრძოლას ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დაუკავშირებენ გიგანტურ სოციალურ ბრძოლას იმ ეპოქას, რომელსაც ჩვენ განვიცდით, და თუ, ბოლოს, ისინი ყველა თავის გამოსვლებში ხაზს გაუსვამენ, რომ რუსეთის პროლეტარიატის წინაშე ისტორიის მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით.

საერთაშორისო რევოლუციური სოციალიზმი — საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ!¹

ყრილობა შეჩერდა ბოლშევიკური პარტიის ახალგაზრდა რეზერვების საკითხზედაც.

„ამჟამად, — ამბობს რეზოლუცია ახალგაზრდობის კავშირის შესახებ, — როცა მუშათა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის უშუალო ბრძოლის ფაზაში გადადის, მუშური ახალგაზრდობისათვის კლასობრივი სოციალისტური ორგანიზაციების დახმარებას ყრილობა სთვლის მომენტის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად და ავალდებულებს პარტიულ ორგანიზაციებს დაუთმონ ამ მუშაობას ყურადღების შესაძლებელი მაქსიმუმი“².

ყრილობამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქალაქო სათათბიროების, კოოპერატივების, საბჭოების არჩევნებში დასაშვებია ერთად გამოსვლა მხოლოდ იმათთან, ვინც მთლიანად ვასწყვეტა კავშირი ობორონცებთან, ვინც საბჭოების ძალაუფლებისათვის იბრძვის.

ყრილობამ პარტიაში მიიღო „მეურაიონელთა“ ჯგუფი ტროცკის მეთაურობით. ეს ჯგუფი შესდგებოდა მენშევიკებისაგან და იმ ყოფილი ბოლშევიკების ნაწილისაგან, რომლებიც პარტიას ჩამოშორდნენ და 1913 წელს განსაკუთრებული ორგანიზაცია შექმნეს პეტერბურგში. მეურაიონელები ომის დროს ობორონცებთან გათიშვის წინააღმდეგი იყვნენ, ებრძოდნენ ბოლშევიკურ ლოზუნგებს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ, არ სცნობდნენ პოლიტიკას, რომელსაც აღებული ჰქონდა გეზი მეფის მთავრობის დამარცხებაზე იმპერიალისტურ ომში, არ სცნობდნენ რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. 1917 წელს მეურაიონულ ორგანიზაციაში შედიოდნენ ლ. დ. ტროცკი, ა. ე. ლუნაჩარსკი, კ. კ. იურენევი, ა. ა. იოფე, მ. ს. ურიცკი, ვ. ვოლოდარსკი და სხვ. რევოლუციის განვითარების ზეგავლენით მეურაიონელებმა აღიარეს ბოლშევიკების სიმართლე. გასწყვიტეს კავშირი ობორონცებთან და ბოლშევიკურა პარტიის VI ყრილობაზე განაცხადეს, რომ ლებულობენ ბოლშევიკების პროგრამას. სხვა მეურაიონელთა შორის პარტიაში მიღებულ იქნა ტროცკიც.

საკვირა ალინიშნოს, რომ VI ყრილობაზე მეურაიონელები მოითხოვდნენ გამოცხადებულყოფი ლენინი კონტრრევოლუციური მთავრობის სასამართლოში.. ყრილობაზე მეურაიონელები თავიანთ გამოსვლებში მხარს უჭერდნენ ოპორტუნისტულ ხაზს და სტალინის რეზოლუციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 21 წევრისა და 10 კანდიდატის შემადგენლობით.

პარტიის VI ყრილობამ დაგეგმნახა, თუ როგორ ძალად იქცა ბოლშევიკური პარტია. ვერც ესერებისა და მენშევიკების ცილისწამებამ და ვერც მთავრობის ტერორმა ვერ შეაჩერეს პარტიის წევრებისა და გავლენის ზრდა. ფაქტიურად იატაკქვეშ შერეკილმა ბოლშევიკებმა ბრძოლის ლეგალური და არალეგალური ფორმების შეთავსების განსაცვიფრებელი უნარი გამოიჩინეს, უნარი, რომელიც გამომუშავებული იყო ცარიზმსა და ბურჟუაზიასთან მრავალი წლის ბრძოლაში. პარტიამ შემთანხმებელთა გავლენისაგან მასების განთავისუფლების საუცხოო ნიშნუში გვიჩვენა. ბოლშევიკები მიდიოდნენ პოლკებში, მუშაობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლპერატივებში, პროფკავშირებში, ახდენდნენ რა ყველგან მასების მობილიზაციას ლენინის ლოზუნგების გარშემო.

VI ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიის ისტორიაში.. იგი შეიკრიბა რევოლუციის ახალი აღმავლობის წინ. ბოლშევიკთა აპრილის კონფერენციამ პარტიას მიზნად დაუსახა ბურჟუაზიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურში, VI ყრილობამ კი — შეიარაღებული აჯანყება. ყრილობის ყველა რეზოლუცია და დადგენილება ექვემდებარება ერთს მიზანს — რევოლუციის გამარჯვების უზუნველყოფას ახალ ეტაპზე.

ლენინი ყრილობაზე არ ყოფილა. დროებითი მთავრობის მიერ დევნილი, იგი იძულებული იყო იატაკქვეშ დამალულიყო. მაგრამ ლენინი დაკავშირე-

ბული იყო ყრილობის ხელმძღვანელებთან და მათ აუცილებელ რჩევას აღ-
ლევდა. ლენინის იდეებით, მისი მტკიცე ხელმძღვანელობით და მ-სი პირდა-
პირი, კონკრეტული მითითებებით იყო გამსჭვალული ყრილობის მუშაობა,
სტალინის სიტყვები და გამოსვლები. ანხორციელებდა რა ლენინის საქმეს,
სტალინმა შეამყიდროვა პარტია საბრძოლო და გადამწყვეტი საკითხის — ბურ-
ჟუაზიული მთავრობის დამხობისა და პროლეტარიატისა და უღარიბესი გლე-
ხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის გარშემო.



თ ა ვ ი მ ე ც ხ ა ჲ .

ქოჩნილოვერინა,

1.

სამხედრო დიპლმატიის მოგზაობა.

რევოლუციის მსვლელობის ანალიზმა, რომელიც მოგვცა სტალინმა VI ბოლშევიკურ ყრილობაზე, მალე მიიღო დადასტურება მძაფრად გაშლილ ამბებში.

შემთანხმებელთა გამცემლურმა ტაქტიკამ ივლისის დღეებში ხელები გაუხსნა კონტრრევოლუციის ძალებს. ცდილობდა რა დაკარგული დროის ანაზღაურებას. ბურჟუაზია აშკარა შეტევაზე გადმოვიდა. დახურეს მთელი რიგი ბოლშევიკური გაზეთები. ფრონტზე გაგზავნეს პეტროგრაძისა და სხვა გარნიზონების რევოლუციური ნაწილები.

ჩქარობდნენ გაეტეხათ პროლეტარიატის წინააღმდეგობა. სანამ იგი წელში არ გამართულიყო. კონტრრევოლუციის ლოზუნგად გახდა: დააბრუნოს ყველაფერი უკან „კარგი ძველი დროისაგან“.

კონტრრევოლუციის მომხრეებმა, რომლებიც შემთანხმებლებმა გადაარჩინეს ივლისის დღეების შემდეგ. ენერგიულად მიჰყვეს ხელი არა მარტო ბოლშევიკებს, არამედ წერილობტურეთუაზიულ ლიდერებსაც. როგორც ლენინი წინასწარმეტყველებდა, გაძლიერდა კამპანია არა მარტო ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე ყველა დემოკრატიული მონაპოვრის. მათ რიცხვში საბჭოების წინააღმდეგაც.

ბურჟუაზია აშკარად ალაპარაკდა უკან — ქვეყნის ისტორიის მიერ განვლილ გზაზე დაბრუნების აუსცილებლობის შესახებ.

ოც აგვისტოს „სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო თათბირზე“ — კონტრრევოლუციის ამ ლეგალურ ცენტრში — პურიშკევიჩი ამბობდა:

„მანამდე, სანამ რუსეთი არ მიიღებს ფართო ძალაუფლებით აღჭურვილ დიქტატორს, მანამდე, სანამ უმაღლესი საბჭო საუკეთესო რუსი გენერლები-საგან არ იქნება შემდგარი, რომლებიც ფრონტიდან გამოაძევენ და რომლებიც თავის სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს, — მანამდე რუსეთში წესრიგი არ იქნება“¹.

მონარქიის მსახური სიფიციხის დროს ხშირად წამოაყრანტალებდა ხოლმე ზედმეტს. და ამ შემთხვევაში პურიშკევიჩმა გაამხილა ბურჟუაზიის საიდუმლოება. თათბირის თავმჯდომარემ როძიანკომ საჩქაროდ გამოასწორა ზომაზე მეტად გულახდილი რეაქციონერის შეცდომა:

„მე გადაჭრით არ ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ სახელმწიფო სათათბიროში, კერძო თათბირშიც კი, ყველაზე ნაკლებად შეიძლება რაიმე სახელმწიფო გადატრიალებიაკენ მოწოდების, რაიმე დიქტატურისაკენ მოწოდების თვალსაზრისზე დადგომა, დიქტატურის, რომელიც, როგორც მოგვხსენებათ. არასოდეს არ ხდება მოწოდებით, არამედ აღმოცენდება თვითნებურად მაშინ, როცა მისი საჭიროება მომწიფდება“².

ამ შეიღებდა რა ძალზე ყბედ და აჩქარებულ კონტრრევოლუციონერს, როძიანკომ განუძარტა მას, რომ დიქტატურის შესახებ საჭიროა არა დეკლარირება, არამედ მისი გულმოდგინედ მომზადება.

„ქვეყანა საჩელს ეძებდა“³ — ასე გამოხატა გენერალმა დენიკინმა კონტრრევოლუციის საერთო განწყობილება. ასეთი „სახელი“ ერთდროს შეიძლება ყოფილიყო კერენსკის სახელი. იგი ძალიან გაბედულად უსწორდებოდა ბოლშევიკებს. განაიარაღა რევოლუციური პოლკები, შემოიღო ფრონტზე სიკვდილით დასჯა. მოსალოდნელი იყო, რომ იგი შემდეგშიაც შეასრულებდა ბურჟუაზიის გეგმებს, იგი თითქოს მოკავშირე იმპერიალისტებისთვისაც მისაღები იყო. ახშობდა რა ბოლშევიკურ მოძრაობას და იმორჩილებდა რა არმიას, კერენსკი ნაკლებს მოითხოვდა „მოკავშირეებისაგან“, ვიდრე უფრო მემარჯვენე კანდიდატები.

ბიუკენენი პირდაპირ სწერდა კერენსკის შესახებ:

„იცავდა რა ომის ბოლომდე განგრძობას, იგი უკუაგდებდა ყოველგვარ აზრს დაპყრობებზე, და მაშინ, როცა მილიუკოვი ლაპარაკობდა კონსტანტინოპოლის შექმნაზე, როგორც რუსეთის ერთერთ მიზანზე ომში, იგი (კერენსკი. რ ე დ.) ენერგიულად ამბობდა უარს მასთან სოლიდარობაზე“⁴.

კერენსკის დახმარებით ინგლისს შეეძლო მიეღწია ომის განგრძობისათვის კონსტანტინოპოლის მიუტემლადაც, რომელსაც თავის დროზე „მოკავშირეები დაპირდნენ მეფეს. მაგრამ კერენსკის წინააღმდეგი იყვნენ გენერლები და ბურჟუაზიული პარტიების ხელმძღვანელები. მათ ეშინოდათ კერენსკის სია-

ხლოვისა საბჭოებთან და არ ენდობოდნენ მის პირად თვისებებს. როძიანკო და მისი მეგობრები უმჯობესად სთვლიდნენ დაყრდნობოდნენ ხმლის ადამიანს, ვიდრე პოლიტიკოსს. ლაპარაკობდნენ გენერალ ალექსეევზე, ჩერდებოდნენ ადმირალ კოლჩაკზე, მაგრამ როცა კორნილოვი მთავარსარდალად დანიშნეს, ძებნა შეწყდა. „სახელი“ გამონახულ იქნა.

„კორნილოვი გაცილებით უფრო ძლიერი ადამიანია, ვიდრე კერენსკი. მას რომ შესძლებოდა თავისი გავლენის განმტკიცება არმიაში და ეს უკანასკნელი რომ მტკიცე მებრძოლ ძალად გადაქცეულიყო, კორნილოვი მდგომარეობის ბატონი გახდებოდა“¹, სწერდა ბიუჯენენი.

კონტრრევოლუციამაც ეს გენერალი წამოაყენა წინ.

კორნილოვი მეფის მოხელის შვილია და არა კაზაკი-გლეხი, როგორც იგი თავს ასალებდა თავის მოწოდებებში ხალხისა და არმიისადმი. დამთავრა რა გენერალური შტაბის აკადემია, მსახურობდა შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის ჯარებში, 1914 წელს სარდლობდა მე-48 დივიზიას ავსტრიის ფრონტზე. ავსტროს ბრძოლებში ლეოვთან მან დაჰკარგა 22 ქვემეხი და ბევრი ტყვე. გენერალ ბრუსილოვს, რომელიც მაშინ მე-8 არმიის სარდალი იყო, კორნილოვის მოხსნაც კი უნდოდა დამარცხებისათვის, მაგრამ, მიიღო რა მხედველობაში მისი პირადი სიმამაცე, დასტოვა დივიზიაში. 1915 წლის აპრილში, როცა ავსტრია-უნგრეთის არმია რუსებს გალიციიდან ერეკებოდა, კორნილოვმა ვერ შესძლო თავისი პოლკების უკანდახევის მოწყობა. ავსტრიელებმა ალყა შემოარტყეს დივიზიის დიდ ნაწილს და წინადადება მისცეს დაეყარა იარაღი. კორნილოვმა უარი განაცხადა, მაგრამ არ ცდილა გაერღვია მტრის რკალი. შტაბთან ერთად მან დასტოვა დივიზია, რომელიც თვითონ მოაქცია ხაფანგში, და ტყვეში გაიქცა. ოთხი დღის შემდეგ გენერალი დანებდა ავსტრიელებს. მე-48 დივიზიის ბრძოლის მეთაურმა გენერალმა პოპოვიჩ-ლიპოვაცმა, რომელიც იმავე ბრძოლებში დაიჭრა. 1915 წლის აპრილში სიმართლედ სთქვა კორნილოვის სამარცხვინო მოქმედებაზე. მაგრამ პოპოვიჩს უბრძანეს გაჩუმებულიყო. ხოლო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის არმიების მთავარსარდალმა გენერალმა ივანოვმა შუამდგომლობაც კი აღძრა კორნილოვის დაჯილდოვების შესახებ. შედგენილ იქნა „გამარჯვების მოხსენება“, და დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ მოახსენა მეფეს კორნილოვის „გმირობაზე“. შემდეგში, 1916 წლის შემოდგომაზე, მთელი მასალა დივიზიის ჩაბარებაზე მოძებნილ იქნა და გაეგზავნა კორნილოვს მოთხოვნით წარმოედგინა ახსნა-განმარტება, მაგრამ გენერალი გაჩუმდა და მხოლოდ ათი თვის შემდეგ, როცა უკვე მთავარსარდალად დაინიშნა, გამოგზავნა ანგარიში, შედგენილი მე-48 დივიზიის შტაბის უფროსის მიერ. მაგრამ ახლა მთავარსარდალის ძველ შეცდომებზე უკვე ვეღარავინ ზედავდა ლაპარაკს.

ტყვეობიდან კორნილოვი გაიქცა, მოისყიდა რა ლაზარეთის ფერშალი. გენერალმა ძალზე გააზვიადა გაქცევის სიძნელენი, უამბობდა რა მის შესახებ. 1919 წლის 3 სექტემბერს „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომელს:

„შე ვხედავდი, რომ ქოხი, სადაც ჩემი ამხანაგი შევიდა, გარშემო-

ტყმული იყო ავსტრიის ჟანდარმებისაგან. რამდენიმე წუთის შემდეგ გავი-
გონე სროლა — ეს ჩემი ამხანაგი ესროდა მტრებს, მაგრამ ძალები უთა-
ნასწორო იყო, და იგი დაიღუპა“¹.

ნამდვილად კი ჩეხი-ფერშალი ფრანც მრნიაკი არ დაღუპულა და არც
სროლა აუტეხია. იგი შემთხვევით წააწყდა ჟანდარმს, დაპატიმრებულ იქნა
და სასამართლოში ილაპარაკა დაწვრილებით გაქცევისა და კორნილოვის და-
პირებაზე, რომ დახმარებისათვის რუსეთში მისცემდა 20 ათას კრონს ოქროთი.

კორნილოვის ნაამბობმა თავისი როლი შეასრულა. ჰქონდათ რა თავისი
გენერლების სიმამაცის ერთობ მცირე რეალური საბუთები, მეფის უმაღ-
ლესი მოხელეები „აიდელუბდენ“ კორნილოვის გაქცევისა და. შექმნეს
რა ლეგენდა, მით შეუქმნეს მას „სახელი“. კორნილოვს ჩააბარეს XXV კორ-
პუსი დასავლეთის ფრონტზე, სადაც მან დაჰყო თებერვლის რევოლუციამდე.
პეტროგრადში კორნილოვმა, იყო რა ოლქის სარდლად. დიდი თადარიგია-
ნობა გამოიჩინა აპრილის დემონსტრაციის დროს: მისი ბრძანებით მუშების
წინააღმდეგ განზრახული იყო არტილერიის გამოყენება. ბურჟუაზიამ მაშინვე
აღნიშნა თავგამოდებული გენერლის „უნარი“. შესაძლოა. იგი მათ ცუდ კან-
დიდატად არ ეჩვენებოდათ სანაპოლეონოდ. ბიუკენენი, რომელმაც კარგად
იცოდა, რა ხდებოდა მთავრობის წრეებში, გადმოგვეცემ ტერეშჩენკოს სიტყვებს:

„მთავრობამ მიიღო ზომები ამ (საბჭოს. რ ე დ.) მისწრაფებისათვის წი-
ხააღმდეგობის გასაწევად გენერალ კორნილოვის, პეტროგრადის გარნიზო-
ნის სარდლის ძალაუფლების გაძლიერების გზით“².

გუჩკოვი, როცა იგი სამხედრო მინისტრად იყო, კორნილოვს ასახელებდა
ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდლად. კორნილოვს მისის დასაწყისს მის-
ცეს მე-8 არმია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. კორნილოვი არ იყო მოკლე-
ბული ერთგვარ სიმამაცეს და მას შეეძლო პირადი მაგალითით გაეტაცნა ბრძო-
ლაში მცირე ნაწილი.

გენერალი ბრუსილოვი, რომელიც თვალყურს ადევნებდა კორნილოვის
საბრძოლო მოქმედებას ომის დროს, ასე ახასიათებდა მას:

„ეს არის გაბედული პარტიზანული რაზმის უფროსი — და მეტი არა-
ფერი“³.

დიდი, გავრთიანებული ჯარების სარდლობა მას არ შეეძლო. ეს გამოაშკა-
რავდა სწორედ მე-8 არმიაში ივნისის შეტევის დროს. კორნილოვმა დროზე
ვერ განამტკიცა პირვანდელი წარმატება, ვერ მოასწორო ფრონტის განკარგუ-
ლების შესრულება, და მე-8 არმია ისევე პანიკურად გამოიქცა, როგორც
სხვები. მთელი დანაშაული დამარცხებისათვის კორნილოვმა რევოლუციას მია-
წერა. მას მხარი დაუჭირეს არმიის კომისარმა საზღვაო ინჟინერმა შტაბსკაპი-
ტანმა ფილონენკომ და განსაკუთრებით ფრონტის კომისარმა ბ. ვ. სავინკოვ-
მა — შემარჯვენე ესერმა.

სავინკოვის მიხედვით შეიძლება განსაკუთრებული სიმკვეთრით გაეა-
ღვენოთ თვალი ესერთა პარტიის მთელ ისტორიას. სავინკოვი — ტერო-
რისტი, მებრძოლი ორგანიზაციის წევრა. მეფის დიდ მოხელეებზე მთელ

რიგ თავდასხმათა მონაწილე. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ საინკოვი ჩამოშორდა პოლიტიკურ მუშაობას და ხელი მიჰყო ლიტერატურას. მის კალამს ეკუთვნის რომანი „კონ ბლენდი“, რომელშიც ყოფილი ტერორისტი აფურთხებს რევოლუციას, როგორც ბევრი ინტელიგენტი, რომლებიც 1905 წლის შემდეგ შეუშინდნენ ბრძოლის სიძნელეებს. ყველაზე უკეთ ამ ავანტიურისტს ახასიათებს მისი საკუთარი ლოზუნგი: „მორალი არ არის, არის მხოლოდ სილამაზე“. ომის დროს საინკოვი მხარს უჭერდა იმპერიალისტურ ლოზუნგს: „ომი საბოლოო გამარჯვებამდე“. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საინკოვი დაიკავა უკიდურესი მემარჯვენე პოზიცია ესერებს შორის და მოითხოვდა „მტკიცე ხელისუფლებას“. ბიუქენენი მის შესახებ სწერდა:



საინკოვი: „მორალი არ არის, არის მხოლოდ სილამაზე“.
 კარიკატურა დ. რაულენისა.

„საინკოვი არის თავგამოდებული მომხრე გადამწყვეტი ზომებისა როგორც დისციპლინის აღსადგენად. ისე ანარქიის ჩასაქრობად, და მის შესახებ ამბობენ, რომ მან კერენსკის სთხოვა ნებართვა გამგზავრებულყოფიერი ორიოდე პოლკით თავრიდის სასახლეში და დაეპატიმრებინა საბჭო“¹.

საინკოვი მოიწონა კორნილოვის ცდა ბრალი დაედო ბოლშევიკებისათვის შეტევის დამარცხებაში. გენერალს მხარი დაუჭირა ფილონენკომაც. თუ რას წარმადგენდა ფილონენკო, ამაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ჯარისკაცების შემდეგი რეზოლუციის მიხედვით:

„ჯავშნიანი ავტომობილების მე-9 დივიზიონის ჯარისკაცებისა და ოფიცრების საერთო კრებამ. განიხილა რა საკითხი პორუჩიკ მ. მ. ფილონენკოს შესახებ, რომელიც ამჟამად დროებითი მთავრობის კომისარია უმაღლესი სარდლობის ბანკთან, დაადგინა:

„ეცნობოს სამხედრო მინისტრ კერენსკის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და საბჭოების ყრილობის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ფილონენკოს მთელი წინანდელი საქმიანობა, როცა იგი ოფიცრად იყო დივიზიონში. გამოიხატებოდა ჯარისკაცების სისტემატურ დაცივნაში, რომელთათვის მას არ მოეპოვებოდა სხვა სახელწოდება, თუ არა „რეგენი“, „სულელი“ და ა. შ., გაწყევლაში, მაგალითად. ეფრეატორ რაზინისა, ამასთან, იყო რა ადიუტანტად, გაწყევლა, მიმართადა დივიზიონის მეთაურის ნებადაურთველად, ეყრდნობოდა რა მხოლოდ და მხოლოდ თავის მდგომარეობას, რომ მას ევრაეინ ვერ წინააღმდეგებოდა ცემა-

ტყუპაში, რომლითაც იგი მუდამ იმუქრებოდა და რომელსაც ცინიკურად ჰქადაგებდა, და ყოველად შეუტრაცხმყოფელ მოპყრობაში ჯარისკაცებისადმი, რომელთაც იგი უცქეროდა როგორც დაბალ არსებათ, ამიტომ, ვღებულობთ რა მხედველობაში ამ საქმიანობას, ვფიქრობთ, რომ ფილონენკოს არ შეუძლია ეკავოს რევოლუციური მთავრობის კომისიის პოსტი“¹.

საინკოვმა და ფილონენკომ გადასწყვიტეს, რომ გენერალი, რომელიც ვერ გაუძევედა გარეშე მტერს, მეტ უნარს გამოიჩინდა შინაურ მტერთან ბრძოლაში. ორივე კომისარმა მიაღწიეს იმას, რომ კორნილოვი დაინიშნა ფრონტის მთავარსარდალად. საინკოვი ამის თაობაზე სწერდა:

„გენერალ კორნილოვის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების მთავარსარდალად დანიშნით შესაძლებელი გახდა გეგმაშეზომილი ბრძოლა „ბოლშევიკებთან“².

კორნილოვმა გაამართლა კონტრრევოლუციის ნდობა.

ბურჟუაზიული ელემენტების აშკარა თანაგრძნობით გამხნეებული გენერალი შეუდგა წინანდელი ჯოხის დისციპლინის აღდგენას არმიაში. მან ულტიმატურად მოითხოვა სიკვდილით დასჯის შემოღება ფრონტზე. კერენსკი მაშინვე წავიდა დათმობაზე და 12 ივლისს დეპეშით შემოიღო ფრონტზე სიკვდილით დასჯა.

კორნილოვმა დაუგზავნა დეპეშები მინისტრ-თავმჯდომარეს ლეოვს, კერენსკის და რომიანკოს და ულტიმატურად მოითხოვედა განსაკუთრებული ზომების მიღებას. 9 ივლისს კორნილოვმა უბრძანა ჯარების ყველა უფროსს ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხებით დაეხვრიტათ ის ნაწილები, რომლებიც თვითნებურად დასტოვებდნენ პოზიციას. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ესერულ-შენშევიკურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კორნილოვს და დეპეშით აცნობა კერენსკის:

„დღეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა და მე-11 არმიის სარდალმა კო მ ი ს რ ე ბ ი ს ა და კო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ გასცეს ბრძანება ესროლონ გამოქცეულთ“³.

კორნილოვის დეპეშებსა და ბრძანებებს დაუზარებლად ბეჭდავდა ყველა ბურჟუაზიული გაზეთი. კორნილოვზე ალაპარაკდნენ პრესაში, როგორც ისეთ კაცზე, რომელსაც შეუძლია რევოლუციის შეჩერება. მთავრობაც მზად იყო წასულიყო კიდევ უფრო შორს რევოლუციის განადგურებაში, მაგრამ ეშინოდა, რომ აიძვდებოდა მასებს თავის წინააღმდეგ. მით უფრო ხალისით შეეგება ის სადიქტატორო კანდიდატს.

„როცა გენერალი კორნილოვი უმაღლეს მთავარსარდალად დაინიშნა, — სწერდა თავის მოგონებებში გენერალი დენიკინი, — ყოველგვარი ძებნა შეწყდა. ქვეყანამ — ზოგმა იმედით, ზოგმა მტრული ექვით — წარმოსთქვა დიქტატორის სახელი“⁴.

მონახა რა „სახელი“, რეაქცია შეუდგა საზოგადოებრივი აზრის მომზადებას. დიდი რაოდენობით გამოიცა სპეციალური ბროშურა ასეთი სათაურით: „პირველი სახალხო მთავარსარდალი გენერალ-ლეიტენანტი ლავრ გიორ-

ვის-ძე კორნილოვი“. ბროშურაში ნათქვამი იყო, რომ გენერალი კორნილოვი გამოვიდა ხალხიდან და ახლა ხალხმა აირჩია იგი თავის მთავარსარდლად. გენერლის საბრძოლო გმირობაზე ავტორი მოურიდებლად ლაპარაკობდა. ასე, მაგალითად, მე-48 დივიზიის ტყვედ ჩაეარდნის თაობაზე ბროშურის შემდგენელი სწერდა, რომ ავსტრიელებს ხელათ

„ლანდის მსგავს ადამიანთა სულ მცირე ჯგუფი — შეიდი კაცი. მათ შორის იყვნენ მძიმედ დაჭრილი კორნილოვი და დაჭრილი სანიტარი“¹.

ნამდვილად კი, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ტყვედ მოხვდა 6 ათასზე მეტი კაცი, თვითონ კორნილოვი კი, დატოვა რა ალაღებელზე თავისი დივიზია, ოთხი დღის შემდეგ დანებდა, ამასთან მისი ჭრალობა სრულად უმნიშვნელო აღმოჩნდა. სახობტო თხზულების ავტორი აღმოჩნდა ვ. ს. ზავოიკო, კორნილოვის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი.

თვითონ გენერალი პოლიტიკაში ვერ ერკვეოდა, და მთელ პოლიტიკურ მუშაობას მასთან და მის მაგიერ აწარმოებდა ზავოიკო, პოდოლსკის გუბერნიაში მამულით დაჯილდოვებული ადმირალის შვილი. ზავოიკო იყო თავადაზნაურობის წინამძღოლი გაისინსკის მაზრაში. იქ იგი პოლონელებისაგან ყიდულობდა აუცილებლად გასაყიდ მამულებს, სჭრიადა ხე-ტყეს და ჰყიდა მიწას გლეხებზე. მიწის ამ სპეკულაციით ზავოიკომ დიდი ქონება შეიძინა. 1905 წლის რევოლუციის დროს გამოქნილმა სპეკულანტმა, ეშინოდა რა თავისი მამულის დარბევის, აიძულა დაბა ღუნაევცის გლეხები ჩაერიცხათ იგი შეილებითურთ გლეხებად. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს ცბიერა მანევრა არ დაამტკიცა, და არც საჭირო იყო, რამდენადაც გლეხთა მოძრაობა ჩააქრეს. ზავოიკო ეწეოდა ნავთის სპეკულაციას — იყო ფირმა „ნობელის“ წარმომადგენლად, საზოგადოება „ეშმა და კასპის“ დირექტორ-განმკარგულებლად. იგი ეწეოდა საბანკო ოპერაციებსაც, მონაწილეობას ლებულობდა პროტოპოპოვთან ერთად შავრაზშულ ვაზეთ „რუსსკაია ვოლიას“ გამოცემაში. 1917 წლის მაისში მე-8 არმიის სარდლად კორნილოვის დანიშვნის შემდეგ ზავოიკო შევიდა მოხალისედ „ველური დივიზიის“ ერთერთ პოლკში, მაგრამ დარჩა არმიის შტაბთან კორნილოვის ორდინარცად. მოხერხებულმა სპეკულანტმა, საგაზეთო და სამრეწველო წრეებთან დაკავშირებულმა, ზავოიკომ ფართო რეკლამა გააჩაღა. იგი ბეჭდავდა დეპეშებს კორნილოვისადმი, აქვეყნებდა საექვო დოკუმენტებს, თხზავდა ბიოგრაფიას და სწერდა მთავარსარდლის ბრძანებათა და მოწოდებათა უმეტესობას. თვითონ კორნილოვი შემდეგში ზავოიკოს შესახებ ამბობდა:

„მას საუცხოოდ ემარჯვება კალამი, ამიტომ მე ვავალებდი მას იმ ბრძანებებისა და იმ ქაღალდების შედგენას, სადაც განსაკუთრებით ძლიერი, მხატვრული სტილი იყო საჭირო“².

ზავოიკოს „საგმირო საქმენი“ სტილით არ განისაზღვრებოდნენ. კორნილოვის ავანტურის თანამონაწილე მილიუკოვი თუმცა პირდაპირ სწერდა:

„ოღონდ კორნილოვი ბოლომდე არ ამბობს, რომ ზავოიკოს გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო სტილზე, არამედ იმ პოლიტიკური დოკუმენტების შინაარსზედაც, რომელთაც კორნილოვი უშვებდა“³.

კორნილოვის რეკლამის გარდა მისი პოლიტიკური თანამებრძოლები გადატრიალების უფრო ღრმა მომზადებასაც შეუდგნენ. დიდ ქალაქებში ისინი უკვე დიდხანია ამზადებდნენ თავის ორგანიზაციებს. ყველგან იქმნებოდა ფართული საზოგადოებანი. სადაც პირველ რიგში აბამდნენ ოფიცრებსა და სამხედრო სასწავლებლების იუნკერთა კადრებს. დედაქალაქი ავსილი იყო საიდუმლო კავშირებით. რომლებიც მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ კონტრრევოლუციისათვის შიგნიდან. როგორც კი ქალაქს შეიარაღებული ძალა მოუახლოვდებოდა.

ივლისის დამლევს პეტროგრადში მოეწყო ეგრეთწოდებული „რესპუბლიკური ცენტრი“. რომელიც მიზნად ისახავდა პეტროგრადის ყველა სამხედრო ორგანიზაციის მუშაობის გაერთიანებას. ორგანიზაციის შემადგენლობა გაურკვეველი იყო — ოფიცრები, მოხელეები. საზოგადოების თავმჯდომარედ იყო ვინმე ინჟინერი ნიკოლაევსკი, რომლის ზურგს უკან იდგნენ მსხვილი ბანკირები და მრეწველები. საზოგადოებაში შესვლის ემინოდათ მათ, მაგრამ ფულს გაძლიერებით აწვდიდნენ. ფული საშუალებას აძლევდა „რესპუბლიკურ ცენტრს“ ეშოვა მომხრეები. დენიკინი თავის მოგონებებში გვიამბობს, რომ „რესპუბლიკურმა ცენტრმა“ თავის სამხედრო სექციასთან გააერთიანა ბევრი წვრილი სამხედრო ორგანიზაცია. თვით უმაღლესი სარდლობის ბანაკში მთავარსარდლის უშუალო მფარველობით შეიქმნა ოფიცერთა კავშირის მთავარი კომიტეტი. დენიკინის სიტყვებით ან კომიტეტმა, რომელსაც

„არავითარი პოლიტიკური პროგრამა არ გააჩნდა, მიზნად დაისახა მოემზადებინა არმიის ნიადაგი და ძალა დიქტატურის — ერთადერთი საშუალების შემოსაღებად, რომელსაც ოფიცრების აზრით ჯერ კიდევ შეეძლო ესხნა ქვეყანა“¹.

ავგისტოს დამდეგს ოფიცერთა კავშირის კომიტეტის წევრი პოლკოვნიკი სიდორინი მივლინებულ იქნა „რესპუბლიკურ ცენტრში“ ორივე ორგანიზაციის ძალების გასაერთიანებლად.

მთელს მოსამზადებელ მუშაობაში დიდი მონაწილეობა მიიღო ოფიცერთა სამხედრო ლიგამ, სწორედ იმ ლიგან, რომელიც მიესალმა ალექსინსკის იმისათვის. რომ მან საზოგადოებრივ ბრალდება წაუყენა ლენინს ჯაშუშობაში. ლიგის წევრებმა აღმირალ კოლჩაკს ადრესი მიართვეს, როცა მატროსებმა სევასტოპოლიდან გააძევეს იგი.

ყოველივე ეს მომავალი თეთრგვარდიული ორგანიზაციების ჩანასახები იყო. სწარმოებდა კადრების მომზადება კონტრრევოლუციის არმიისათვის.

მაგრამ საჭირო იყო სამხედრო დიქტატურის ამ გამაღებული მომზადების პოლიტიკურად განმტკიცება. საჭირო იყო რომელიღაც ძლიერი საერთოურსეთის ცენტრი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა მოძრაობას და გაამართლებდა მას უფრო ფართო წრეების თვალში. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა შოიწვიოს სახელმწიფო თათბირი რევოლუციური პეტროგრადისაგან მოშორებით, მოსკოვში. ესერ-მენშევიკთა საფარქვეშ თათბირს მოსკოვში უნდა დაემტკიცებინა მთავრობის კონტრრევოლუციური პროგრამა და მოეწონებინა მისი განკარგება მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ.

თათბირი მოწვეულ იქნა მოსკოვში 12 აგვისტოს. ძველი დედაქალაქი ბურ-
ჟუაზიას ეჩვენებოდა უფრო დამშვიდებული აბობოქრებულ პეტროგრადთან
შედარებით.

სახელმწიფო თათბირის წინაღუდს, რომელსაც ლენინმა „კონტრრევოლუ-
ციური იმპერიალისტური თათბირი“ უწოდა, მოსკოვში 3 აგვისტოს მიმდინა-
რობდა II სრულიად-რუსეთის სავაქრო-სამრეწველო ყრილობა. შეიკრიბა
კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მთელი „თაიფული“. უკვე აქ აშკარად ლა-
პარაკობდნენ გადამწყვეტ ღონისძიებათა აუცილებლობაზე მუშათა, გლეხთა
და ჯარისკაცთა ასალაგმავად. აღვივებდა რა განწყობილებას, უმსხვილესი კა-
პიტალისტი რიბბუშინსკი მოუწოდებდა ყრილობას:

„როდისღა აღსდგება არა გუშინდელი მონა, არამედ თავისუფალი რუსი
მოქალაქე? დაე მალე მოვიდეს იგი — მას ელის რუსეთი... დაე ფართოდ
გაიშალოს ვაქრის მედგარი ბუნება. ვაქარო ხალხო! უნდა ვიხსნათ რუსე-
თის მიწა-წყალი“¹.

ყრილობაზე მისალმებით გამოვიდა ვაქრობისა და მრეწველობის მინისტრი
პროკოპოვიჩი. ვაქრები და ფაბრიკანტები ირონიული შეძახილებითა და სი-
ცილით შეხვდნენ შემარცხენე კადეტების მინისტრს.

კონტრრევოლუციამ ისარგებლა სავაქრო-სამრეწველო ყრილობით ეგრეთ-
წოდებულ „საზოგადო მოღვაწეთა თათბირის“ შესაქმნელად — ფაქტიურად ეს
იყო კონტრრევოლუციის შტაბი. მასში შედიოდნენ კადეტთა, ოქტიაბრისტთა
და აშკარა მონარქისტთა გამოჩენილი ლიდერები: როძიანკო, გენერლები ალექ-
სეევი, ბრუსილოვი, კალედინი, იუდენიჩი და სხვები, მილიუკოვი, მაკლაკოვი,
კიშკინი — სულ 300-მდე კაცი. სხდომები დახურული იყო. პრესის წარმომად-
გენლებს არ უშვებდნენ. 9 აგვისტოს „თათბირმა“ როძიანკოს ხელმოწერით
კორნილოვს გაუგზავნა დეპეშა:

„მძიმე განსაცდელთა შრისხანე ეამს მთელი მოაზროვნე რუსეთი იმე-
დითა და რწმენით შემოგცქერის თქვენ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი თქვენს
დიად საგმირო საქმეში — მძლავრი არმიის აღდგენაში რუსეთის სახსენლად“².

„თათბირმა“ მოისმინა მოხსენებანი პოლიტიკური, ფინანსიური, ეკონომიუ-
რი და სამხედრო მდგომარეობის შესახებ. პოლიტიკურ საკითხზე კრებამ მიიღო
რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვდა:

„დაე ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ერთიანმა და ძლიერმა, ბოლო
მოუღოს კოლეგიალურ დაწესებულებათა უპასუხისმგებლო პარპაშის სის-
ტემას სახელმწიფო მმართველობაში; დაე ცალკეულ ეროვნებათა მოთხოვ-
ნები მოქცეულ იქნას კანონიერ და სამართლიან ფარგლებში“³.

რეზოლუციას დასძენდნენ, რომ დამფუძნებელი კრება მოსკოვში უნდა შე-
იკრიბოს. ომის საკითხზე მიღებული იყო კორნილოვის პროგრამა. დასასრულ
„თათბირმა“ აირჩია მუდმივი ბიურო ყველა საზოგადოებრივი ძალების დასა-
რახმავად შემდეგში. ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ: როძიანკო, რიბბუ-
შინსკი, სტრუევი, მილიუკოვი, მაკლაკოვი, შინგარიოვი, შიდლოვსკი, შულგი-

ნი, კიშკინი, კუტლერი, ოფიცერთა კავშირიდან — ნოვოსილცევი. ერთი სიტყვით. „საზოგადო მოღვაწეთა თათბირის“ ნიღაბით გაერთიანდა ყველა ბურჟუაზიული და მემამულური პარტია. სწორედ ამ „თათბირიდან“ გამოვიდნენ მომავალი მსხვილი კონტრრევოლუციური ორგანიზაციები — „მემარჯვენე“ და „ნაციონალური“ ცენტრები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს კოლჩაკოვში-ნასა და დენიკინში-ნაში.

თვით სახელმწიფო თათბირის შემადგენლობა განსაზღვრავდა მის კონტრრევოლუციურ დედაარსს. ყველა ოთხივე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროდან იქ იყო 488 კაცი. საბჭოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან — 129. ქალაქების სათათბიროებმა მიიღეს 129 ადგილი, ერობებმა — 118, საეკონომიკურ-სამრეწველო წრეებმა და ბანკებმა — 150, სამეცნიერო ორგანიზაციებმა — 99, არმიამ და ფლოტმა — 177, სამოვდილოებამ — 24, ნაციონალურმა ორგანიზაციებმა — 58, გლეხებმა — 100, კოოპერაციამ — 313, პროფკავშირებმა — 176 და ა. შ. შეიკრიბნენ ძველი გენერლები და მეთაურთა შემადგენლობის ხელდაყენები, კადეტი პროფესორები, არქიელები, მოხელეები, კოოპერატორები. გამოცხადდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც რიაბუშინსკის მეთაურობით, სწორედ იმ რიაბუშინსკის, რომელიც ხალხის მასებს შიმშილითა და სიღატაკით ემუქრებოდა, თუ ისინი ხელს არ აიღებდნენ თავის მოთხოვნებზე.

ბოლშევიკებმა, რომლებიც საბჭოებმა გაგზავნეს ყოილობაზე, გადასწყვიტეს გამოსულიყვნენ მამხილებელი დეკლარაციით და შემდეგ დაეტოვებინათ „თათბირი“. მაგრამ საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ესერულ-მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ გამორიცხა ბოლშევიკები დელეგაციის შემადგენლობიდან, რადგან ეშინოდა, არ გაფუჭებულიყო „ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალების ერთიანობის“ დემონსტრაცია.

კონტრრევოლუციური „სახელმწიფო თათბირის“ მხილებისა და მასთან ბრძოლის მიზნით ბოლშევიკურმა პარტიამ გადასწყვიტა მოეწყო მოსკოვში საყოველთაო გაფიცვა ერთი დღით. შექმნილ პირობებში ეს იყო ბრძოლის საუკეთესო ფორმა. თავის მოწოდებაში ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებდა აძლევდა მუშებს არავითარი გამოსვლა არ მოეწყოთ ქუჩებში და არ აპყოლოდნენ პროვოკაციას. რადგან ბურჟუაზიის შეეძლო ასეთი გამოსვლები გამოეყენებინა მუშათა კლასის შეიარაღებული შემუსურისათვის. მოსკოვის პროლეტარები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას. მიუხედავად მოსკოვის საბჭოს ესერულ-მენშევიკური უმრავლესობის წინააღმდეგობისა, რომელმაც აკრძალა გაფიცვა, სახელმწიფო თათბირის გახსნის დღეს — 12 აგვისტოს — მოსკოვში გაფიცული იყო 400 ათასზე მეტი კაცი. ბურჟუაზია ცხადად დარწმუნდა, თუ სინამდვილეში ვის მიჰყვებოდა მუშათა კლასი. მოსკოვის პროლეტარების საბრძოლო მზადყოფნამ შეანელა ბურჟუაზიის წარმომადგენელთა სიფიცხე. ისინი პეტროგრადის რევოლუციურ ქარიშხალს გაეჭნენ და „მშვიდ“ მოსკოვს მიაშურეს, მაგრამ „მშვიდი მოსკოვის“ ქუჩებში მათ იმავე რევოლუციურმა ქარიშხალმა მიუსწრო.

გადატრიალება სამხედრო დიქტატურის სასარგებლოდ მზადდებოდა სახელმწიფო თათბირის მოწვევის მომენტისათვის. პრესა ქება-დიდებას ასხამდა



ბურჯუაზია ეხალმება თავის კერაბს — გენერალ კორნილოვს, რომელიც სახელმწიფო თათბირზე ჩამოვიდა მოსკოვში.

კორნილოვს, გუნდრუკს უკმევდა მას. იუნკრებს, რომლებიც იცავდნენ დიდ თეატრს, სადაც „თათბირი“ მიმდინარეობდა, ვაზნები დაურიგეს. მოსკოვში ფრონტიდან გამოიწვიეს კაზაკები.

გამოსვლებმა სახელმწიფო თათბირზე ცხადჰყვეს ბურჯუაზიის ნამდვილი ზრახვები. აქ უკვე კერენსკი აღარ იყო აზრთა მფლობელი. როცა ის მიუთითებდა გადაკვრით ივლისის ამბებზე და ემუქრებოდა მათ, ვინც ლამობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ხედავდა რა მათ „მარჯვენითაც და მარცხნითაც“, ისინი, ვინც რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლას აპირებდნენ, მხოლოდ ორაზროვნად ილიმებოდნენ. კერენსკის ისტერიული მუქარა ბურჯუაზიას არ აშინებდა. ბურჯუაზიას ხელთ ჰქონდა საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები „სოციალისტ“ კერენსკის თანაგრძნობისა რევოლუციის შემუსვრის მომზადებაში.

ამ ხროვის ყველა რეაქციული ძალების ნამდვილი ბელადი იყო კორნილოვი. მოსკოვში იგი ჩამოვიდა „თათბირის“ გახსნის მეორე დღეს. ალექსანდრეს

ვაგზალზე გენერალს მოუწყეს განსაკუთრებით საზეიმო შეხვედრა. კორნილოვი ხელზე აყვანილი გამოატარეს.

„თქვენ გეწამხართ, ეს გვაერთებს ჩვენ ყველას, მთელ მოსკოვს“¹, მიესალმა მას კადეტი როდიჩევი.

მილიონერმა ქალმა მოროზოვამ დაიჩოქა კორნილოვის წინაშე.

კორნილოვი თავის სიტყვაში აშკარად იმუქრებოდა რიგის დაცემით, გადაკვრით ამბობდა, რომ ვზას გაუხსნიდა გერმანელებს პეტროგრადისაკენ და მოითხოვდა დისციპლინის აღდგენას არმიაში, ძალაუფლების მინიჭებას უფროსებისათვის და ოფიცერთა პრესტიჟის აწევას. დიქტატორის კანდიდატი წინადადებას იძლეოდა შემოეღოთ სიკვდილით დასჯა არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც. მოეხდინათ რკინიგზების და იმ ფაბრიკა-ქარხნების გასამხედროება, რომლებიც თავდაცვისათვის მუშაობდნენ.

დიქტატურის პროგრამა მარტო კორნილოვის შემოქმედება როდი იყო. იგი მომზადდა საენიკოვისა და ფილონენკოს დახმარებით უმაღლესს სარდლობის ბნაკში ჯერ კიდევ ივლისის დამლევს. კორნილოვმა პირველად პროგრამა გადასცა კერენსკის 3 აგვისტოს, მეორეჯერ შეესებულ და შესწორებული სახით — 10 აგვისტოს. მაგრამ კერენსკი პასუხს აგვიანებდა.

„იქ ჩამოთვლილი იყო მთელი რიგი ღონისძიებანი, — ხსნიდა თავის მერყეობას კერენსკი, — რომელთა დიდი უმეტესობა საეგზეთ მისაღები იყო, მაგრამ შედგენილი იყო ისეთი რედაქციითა და ისეთი არგუმენტაციით, რომ მისი გამოქვეყნება საწინააღმდეგო შედეგებს გამოიწვევდა“².

სახელმწიფო თათბირის წინაღუდს კადეტებმა კერენსკიზე მოახდინეს ზემოქმედება. დილით 11 აგვისტოს ფ. კოკოშკინმა განუცხადა მას, რომ „სახალხო თავისუფლების“ პარტია მთავრობიდან გამოვა, თუ კორნილოვის პროგრამა არ იქნება მიღებული. ახალი კრიზისი აცილებულ იქნა იმით, რომ დროებითმა მთავრობამ იმავე დღეს მიიღო ძირითადი კორნილოვის 3 აგვისტოს მოთხოვნები. რა ფასი ჰქონდა ამის შემდეგ კერენსკის ყველა მუქარას ძალაუფლების „ხელმყოფთა“ წინააღმდეგ. „რევოლუციური დემოკრატიის“ ბელადი, როგორც მის შესახებ სწერდნენ შემთანხმებლები, წინასწარ ღებულობდა მონაწილეობას კონტრრევოლუციის მომზადებაში.

სახელმწიფო თათბირზე კონტრრევოლუციის პროგრამა ყველაზე უფრო სრულად განავითარა გენერალმა კალედინმა. კაზაკთა ჯარის ატამანმა თავხედურად მოითხოვა:

„1. არმია უნდა იდგეს პოლიტიკის გარეშე, სრულიად აიკრძალოს მიტინგები, კრებები მათი პარტიული ბრძოლითა და შეხლა-შემოხლით.

2. ყველა საბჭო და კომიტეტი უნდა გაუქმდეს როგორც არმიაში, ისე ზურგში.

3. ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაცია უნდა გადაისინჯოს და შეივსოს მისი მოვალეობათა დეკლარაციით.

4. დისციპლინა არმიაში უნდა ამაღლდეს და განმტკიცდეს უაღრესად გადამწყვეტი ზომებით.

5. ზურგი და ფრონტი ერთი მთელია, რომელიც უზრუნველჰყოფს არ-

ძიის საბრძოლო უნარს, და ფრონტზე დისციპლინის განსამტკიცებლად აუცილებელი ყველა ღონისძიება ზურგშიც უნდა იქნას გამოყენებული.

6. უფროს პირთა დისციპლინარული უფლებანი აღდგენილ უნდა იქნას, არმიის ბელადებს სრული ძლიერება უნდა მიენიქოთ“⁴.

სხვათა შორის კალედინმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაზაკობამ — სწორედ იმ კაზაკობამ, რომელსაც ასე ხშირად სდებენ ბრალს კონტრრევოლუციაში, — ისინა მთავრობა 3 — 5 იელისსო. კალედინმა სოლდათური გულახდილობით წამოაყრანტალა მოსკოვის თათბირზე, რომ სწორედ „სოციალისტმა“-მინისტრებმა მოიწვიეს კაზაკები 3 იელისის დასახმარებლად. და ვერავენ ვერ გაბედა კალედინის გაბათილება, ვერავენ ვერ გამოვიდა პროტესტით, როცა იგი მენშევიკებსა და ესერებს დასცინოდა.

კაზაკთა ატამანის მიერ მხილებული შემთანხმებლები დაფრთხალი ეკვროდნენ ერთმანეთს, მაგრამ სდუმდნენ.

„მათ კაზაკთა გენერალმა სახეში შეაფურთხა, მათ კი მოიწმინდეს და სთქვეს: „ღვთის ნამიაო“⁵, სწერდა ლენინი კალედინის ამ გამოსვლის შესახებ.

თათბირზე თავისი ძველი შემთანხმებლური რეცეპტებით გამოდიოდნენ რაიძე, წერეთელი და პლენანოვი. კორნილოვი, კალედინი, რომიანკო ემზადებოდნენ პროლეტარიატის სისხლში ჩაეხრჩოთ რევოლუცია, შემთანხმებლები კი წინანდებურად მოუწოდებდნენ რევოლუციის მესაფლავებთან კოალიციასკენ. წერეთელი ტრიბუნაზე ხელს ართმევდა კაპიტალისტ ბუბლიკოვს. გენერლები და ვაჟრები ნიშნის გებით უკრავდნენ ტაშს „სოციალისტის“ დაცემას და ესალმებოდნენ კორნილოველებთან მენშევიკების კავშირს.

მოსკოვის თათბირის წინადღესაც და თათბირის დროსაც ბურჟუაზია აწარმოებდა ფარულ მოლაპარაკებას კორნილოვთან, ამზადებდა რა დროებითი მთავრობის ლიკვიდაციას და ძალაუფლების ჩაგდებას თავის ხელში. მაგრამ შოსკოვის მუშათა გაფიცვამ უჩვენა რეაქციას, რომ დაუყენებლადივი გამოსვლა რევოლუციის წინააღმდეგ ცოტა ნაადრევი იქნებოდა. მილიუკოვი 13 აგვისტოს გამოცხადდა კორნილოვთან წინადღებით, რომ მას დაეცადა. იგივე განუმეორა მან კალედინს. ორივე გენერალი დათანხმდა.

სახელმწიფო თათბირმა არ გაამართლა მის მომწყობთა იმედები. გადატრიალების განზრახვა ჩაიშალა. აღმოჩნდა, რომ ხალხის მასები ფხიზლად იყვნენ. რეაქციამ გადასწყვიტა ყოველმხრივ და უკეთ მოემზადებინა თავისი ძალები.

2.

გუპუშაზია იწყებხ საშოქალაქო ომს.

კორნილოვი გაემგზავრა უმაღლესი სარდლობის ბანაკში, რომელიც ამ დროიდან ყოველგვარი კონტრრევოლუციური განზრახვისა და გეგმის ცენტრად გადაიქცა. იქითკენ მიეშურებოდნენ ყოველი მხრიდან ძველი რეჟიმის წარ-

მომადგენლები და პირდებოდნენ გენერლებს ფულსა და დახმარებას. კორნილოვისაკენ გაემართნენ ანტანტის წარმომადგენლები, რომლებიც უკვე დარწმუნდნენ, რომ თავისი მონაწილეობით სსახლის თებერვლის შეთქმულებაში მათ ვერ იხსნეს რუსეთის არმია. ახლა მათ იმედი ჰქონდათ, რომ კორნილოვის შეთქმულებაში მონაწილეობით შეინარჩუნებდნენ რუსეთის არმიის ფრონტზე ომის განსაკრძობად.

კორნილოვის შეთქმულება აშკარად მწიფდებოდა და მზადდებოდა. ამ შეთქმულებისაგან რომ ყურადღება ჩამოეშორებინათ, გაავრცელეს ხმები, ბოლშევიკების აჯანყება მზადდებოდა. ბურჟუაზიული და წერილობრივად დაზუსტებული გაზეთები სავსე იყო გადაკრული სიტყვებითა და „ცნობებით“ ბოლშევიკურ შეთქმულებაზე. კადეტური „რეჩი“ პირდაპირ ასახელებდა გამოსვლის დღეს — 27 აგვისტოს — რევოლუციის ნახევარწლისთავს. დროებითმა მთავრობამ კერენსკის მეთაურობით, ხელს უწყობდა რა კორნილოვშინას, თავის დარტყმათა მთელი სიძიმე ბოლშევიკებისაკენ წარმართა. შემუშავებულ იქნა პროვოკაციის გეგმა. ფიქრობდნენ, რომ რევოლუციის ნახევარწლისთავის დღეს მოხდებოდა დემონსტრაციები. თუ მათ ადგილი არ ექნებოდა, მაშინ ატამანი დეტროვი თავი კახაკებით მოახდენდა ბოლშევიკების აჯანყების „დემონსტრაციას“. მთავრობა გასცემდა ბრძანებას ჩაეჭროთ ეს „ბოლშევიკური“ აჯანყება. პეტროგრადში შევიდოდნენ კორნილოვის მიერ წინასწარ მომზადებული ჯარები, პირველ რიგში გაანადგურებდნენ ბოლშევიკების პარტიას. გზადაგზა — საბჭოებს და საერთოდ ყველა რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანიზაციას.

კორნილოვს მზად ჰყავდა თავისი მთავრობის შემადგენლობა.

აი რას ამბობდა იგი შემდეგში დაკითხვის დროს განზრახული მთავრობის საბოლოო შემადგენლობის შესახებ:

„26 აგვისტოს ფრონტის კომისართა ყრილობის დამთავრების შემდეგ ჩემთან კაბინეტში შეიკრიბნენ ფილონენკო, ვ. ს. ზავოიკო და ა. ფ. ალანინი... მოხაზულ იქნა „სახალხო თავდაცვის საბჭოს“ პროექტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ უმაღლესი მთავარსარდალი, როგორც თავმჯდომარე, ა. ფ. კერენსკი — მინისტრი-მოადგილე, ბ. სავინკოვი, გენერალი ალექსეევი, აღმირალი კოლჩაკი და მ. ფილონენკო. თავდაცვის სამსახურს უნდა განეხორციელებინა კოლექტიური დიქტატურა, რადგან ერთპიროვნული დიქტატურის დამყარება არასასურველად იქნა ცნობილი. სხვა მინისტრების პოსტებზე დასახელებული იყვნენ: ს. გ. ტახტამიშევი, ტრეტიაკოვი, პოკროვსკი, გრაფი იგნატიევი, ალანინი, პლენანოვი, გ. ე. ლეოვი და ზავოიკო“¹.

მუშათა და გლეხთა ყურადღების მისაძიებლად შეთქმულებმა შეიმუშავეს ორი დემოკრატიული ბრძანება. ერთი — რკინიგზელებისა და ფოსტის მოსამსახურეების ხელფასის მომატების შესახებ, რათა თუნდაც დროებით მიეღწიათ წაბიჯებული ნივთებისა და მთავრის, მეორე — მიწის შესახებ: მიწის მიწოდებას პირდებოდნენ გერმანიასთან ომის აქტიურ მონაწილეებს.



„სოციალისტ“ კერენსკის თბილ ფრთებს ქვეშ.

კარიკატურა კუკრინიქისა.

ემსადებოდნენ რა გადამწყვეტი ნაბიჯისათვის, კორნილოველები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა პეტროგრადი აევსოთ თავისი ადამიანებით, უმთავრესად ოფიცრებით. გადაწყდა გაეგზავნათ პეტროგრადში ჯარის სპეციალური რაზმი მის დასაქერად საჭირო მომენტში. ჯერ კიდევ 13 აგვისტოს მოგილევში ჩავიდა III ცხენოსანი კორპუსის მეთაური გენერალი კრიმოვი, სწორედ ის, რომელიც მონაწილეობას ლებულობდა „სასახლის შეთქმულებაში“ თებერვლის რევოლუციის წინაღულს. კორნილოვმა დაავალა კრიმოვს ექსპედიციის ხელმძღვანელობა რევოლუციური დედაქალაქის წინააღმდეგ. კრიმოვს წინადადება ჰქონდა მიცემული, როგორც კი მიიღებდა პირველ ცნობებს „ბოლშევიკების“ გამოსვლის შესახებ, დაუყოვნებლივ დაეკავებინა პეტროგრადი, შემოეღო საალყო წესები, განეიარაღებინა გარნიზონის ნაწილები, გაერეკა საბჭოები, დაეპატიმრებინა მათი წევრები, განეიარაღებინა კონსტაბლტი და ა. შ.

ცხრაშეკ აგვისტოს მუქარა, რომელზედაც კორნილოვი ლაპარაკობდა სახელმწიფო თათბირზე, განხორციელებულ იქნა. რიგა გადაეცა გერმანელებს, და გზები პეტროგრადისაკენ გახსნილი იყო. კორნილოვის ბანაკი, რა თქმა უნდა, ყველაფერში ჯარისკაცებს სდებდა ბრალს. მაგრამ ქალაქი გენერლებმა მისცეს. ამას უდავოდ ადასტურებს რუმინეთის ელჩის დიამანდის დეპეშა მისი მთავრობის მეთაურ ბრატიანუსადმი.

აცნობებდა რა კორნილოვთან საუბარს, ელჩი უდებეშებდა:

„გენერალმა დასძინა, რომ ჯარმა რიგა დასტოვა მისი ბრძანებით და უკან დაიხია იმიტომ, რომ იგი ტერიტორიის დაკარგვას ამჯობინებდა არმიის დაკარგვას. გენერალი კორხილოვი იმედს ამყარებს აგრეთვე იმ მთაბეჭდილებაზე, რომელსაც რიგის აღება მოახდენს საზოგადოებრივ აზრზე რუსეთის არმიის დისციპლინის დაუყოვნებლივ აღდგენის მიზნით“¹.

და. ნაროდაც რიგის დაცემამ შესაძლებლობა მისცა კორნილოვს კვლავ გადაჭრილ დაესვა დროებითი მთავრობის წინაშე დიდხნის წინათ დასახული პროგრამის შესრულების საკითხი, კერძოდ, გენერალი მოითხოვდა მას დამორჩილებოდა ოპერატიული მხრივ პეტროგრადის ოლქი. დროებითი მთავრობა შეეგება ამ მოთხოვნებს, მხოლოდ იმ შეზღუდვით. რომ პეტროგრადი და მისი მიდამოები გამოყოფილი იქნებოდა უმაღლესი სარდლობის ბანაკის გამგებლობიდან და უშუალოდ სამხედრო მინისტრს დაემორჩილებოდა, — ამას განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდა კერენსკი. 24 აგვისტოს მთავარ ბანაკში ჩავიდა საენიკოვი და აცნობა კორნილოვს, რომ დროებითმა მთავრობამ მიიღო გენერლის „ბარათი“. საენიკოვმა დაადასტურა პეტროგრადისაკენ III ცხენოსანი კორპუსის გადასროლის აუცილებლობა „შესაძლებელ“ გართულებებთან დაკავშირებით. III ცხენოსანი კორპუსი, სადაც „ველური დივიზიაც“ შედიოდა, დედაქალაქისაკენ დაიძრა.

ამბები ახლოვდებოდა და რევოლუციისათვის მრისხანე ხასიათს ღებულობდა.

25 აგვისტოს უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან ნოვოჩერკასკში ატამან კალედინს გაეგზავნა დეპეშა გადაესროლა მოსკოვის გზით ფინეთში კაზაკთა ცხენოსანი დივიზია, ხოლო კავკასიის I ცხენოსან კორპუსს, რომელიც ფინეთში იმყოფებოდა, ებრძანა დაბრუნდეს პეტროგრადისაკენ.

ფრონტიდან სასწრაფოდ გაიწვიეს მთავარ ბანაკში სამი ათასამდე ოფიცერი იმ საბაბით, რომ გასცნობოდნენ ნაღმტყორცნთა და ყუმბარტყორცნთა ახალ ნიმუშებს. ითხოვდნენ გაეგზავნათ შეძლებისდაგვარად საიმედო კადრის ოფიცრები. ჩასულთ გამოუცხადეს, რომ საქმე სწავლებაში როდია — პეტროგრადში მოვლიან ბოლშევიკების გამოსვლას, კორნილოვმა კერენსკის თანხმობით დედაქალაქში გაგზავნა კაზაკთა ნაწილები და, შესაძლოა, კორნილოვი იძულებული გახდეს დროებით გამოაცხადოს თავი დიქტატორად. ყველა ოფიცერს დაპირდნენ მიველინებინათ მათთან 5 — 10 ოუნკერი, მისცეს დღიურები და გაგზავნენ პეტროგრადში „წესრიგის აღსადგენად“. 27 აგვისტოს გენერალ კრიმოვის III კორპუსის ნაწილებს მიეცათ განკარგულება რკინიგზის ლიანდაგის გაფუჭების შემთხვევაში ლაშქრული წესით წასულიყვნენ პეტროგრადში.

რევოლუციური დედაქალაქი რკალში იყო გამომწყვდეული. თითქოს ყველაფერი გათვალისწინებული იყო. მთავარ ბანაკში სწრაფი წარმატების იმედი ჰქონდათ. ფიქრობდნენ, რომ არავინ არ გამოვიდოდა დროებითი მთავრობის დასაცავად.

„არავინ კერენსკის არ დაიცავს. ეს მხოლოდ გასეირნებაა, ყველაფერი მომ-

ზადებულა“¹, სწერდა შემდეგში გენერალი კრასნოვი უმაღლესი სარდლობის ბანაკის განწყობილებაზე კორნილოვშინის დღეებში.

დროებითმა მთავრობამ უმაღლესი მთავარსარდლის მთელი მზადების მსვლელობა იცოდა. კერენსკი სწრაფად აკმაყოფილებდა კორნილოვის ყველა მოთხოვნას და უადვილებდა მას მომზადებას. ამბების მოწმე გენერალი ალექსევი ადასტურებდა ამ გარემოებას წერილში მილიუკოვისადმი:

„კორნილოვის გამოსვლა არ ყოფილა საიდუმლოება მთავრობის წევრებისათვის. ეს საკითხი განიხილეს სავინკოვმა, ფილონენკომ და მათი მეშვეობით — კერენსკიმ“².

მაგრამ მოძრაობის გაქანებამ შეაშინა კორნილოვის თანამონაწილე. კერენსკი მიხვდა, რომ კორნილოვის გამოსვლა ააფეთქებს მასებს, რომ არ-შია და გლახობა აღსდგებიან კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. კერენსკიმ და ესერ-მენშევიკებმა იგრძნეს, რომ რევოლუციური ტალღა კორნილოვთან ერთად ყველა შემთანხმებელსაც წააღებდა. აი ამიტომ, მიიღო რა ცნობა კორნილოვის გამოსვლის შესახებ. კერენსკიმ მკვეთრად იცვალა ფრონტი და გადასწყვიტა მიეღო ზომები „მეამბოხის“ წინააღმდეგ. გამცემელ ესერ-მენშევიკთა პოლიტიკური ანგარიში ნათელი იყო: ეჩვენებინათ, რომ კორნილოვი ილაშქრებდა პეტროგრადზე მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ, დაერწმუნებინათ მუშები, რომ მენშევიკები და ესერები „იცავენ“ რევოლუციას, გამოეყვანათ თავისთავი რევოლუციონერებად და მით გამოეწირობინათ თავისი რეპუტაცია.

წმინდა პირადი მოტივებიც ჰქონდა კერენსკის. მან იცოდა, რომ „ქვეყანა ეძებს სახელს“, და სავსებით შესაფერისად სთვლიდა თავის საკუთარ „სახელს“. იგი უკვე დიდიხანა ეპვიტ უცქეროდა კორნილოვის წინწამოწევას, მის გადაყენებასაც კი ცდილობდა, მაგრამ ბურჟუაზიული ორგანიზაციები წინააღმდეგენ ამას. ინგლისის ელჩმა კარგად დაასურათა ორივე სადიქტატორო კანდიდატების მეტოქეობა, ჩასწერა რა 21 აგვისტოს თავის დღიურში:

„კერენსკი კი, რომელსაც უკანასკნელ დროს რამდენადმე თავბრუდაცხა და რომელსაც დაცინვით „პატარა ნაპოლეონი“ დაარქვეს, ყოველნაირად ცდილობდა შეეთვისებინა თავისი ახალი როლი, ლებულობდა ნაპოლეონის ზოგიერთ საყვარელ პოზას, აიძულებდა რა ორ თავის ადიუტანტს მთელი თათბირის განმავლობაში მდგარიყვენ მის გვერდით. მე მგონია. რომ კერენსკის და კორნილოვის შაინცადამაინც არ უყვართ ერთმანეთი. მაგრამ ჩვენი მთავარი გარანტია იმაშია, რომ არცერთ მათგანს, ყოველშემთხვევაში ამჟამად, არ შეუძლია გაძლოს მეორის გარეშე. კერენსკის არ შეუძლია იქონიოს სამხედრო ძლიერების აღდგენის იმედი უკორნილოვოდ, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ ადამიანს, რომელსაც შეუძლია დაიპიროს არმია თავის ხელში. ამავე დროს კორნილოვი ვერ გასძლებს უკერენსკოდ; მიუხედავად თავისი კლებადი პოპულარობისა, იგი წარმოადგენს ადამიანს, რომელსაც საუკეთესო წარმატებით შეუძლია ელაპარაკოს მასებს და აიძულოს ისინი დათანხმდნენ ენერგიულ ზომებზე, რომლებიც ზურგში

უნდა გატარდეს, თუ არმიას მოუხდება ზამთრის მეოთხე კამპანიის ჩატარება“¹.

თვითონ კორნილოვიც იმ აზრის იყო, რომ დროებით მოუხდებოდა ანგარიში გაეწია კერენსკისათვის. ტყუილა კი არ მოაქცია გენერალმა კერენსკი ახალი მთავრობის შემადგენლობაში. კორნილოვის პოლიტიკური მრჩეველები — ზავოიკო, სავინკოვი, ფილონენკო — არწმუნებდნენ კორნილოვს კერენსკისთან ერთად გამოსვლის შესაძლებლობაში.

კერენსკიმ გაიგო, რომ უმაღლესი სარდლობის ბანაკში შეთქმულება მზადდებოდა, მაგრამ დეტალები არ იცოდა. 22 აგვისტოს მასთან გამოცხადდა მთავრობის ყოფილი წევრი ვ. ნ. ლვოვი და უამბო, რომ „ზოგიერთი საზოგადოებრივი ჯგუფი“ რჩევას იძლევა მოხდეს მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაცია. კერენსკის კითხვაზე, ვინ ჰყავს ლვოვს მხედველობაში, მან გადაკვრით მიუთითა უმაღლესი სარდლობის ბანაკზე.

კერენსკი მიხვდა, რომ ლვოვის დახმარებით იგი შესძლებდა შეეტყო დაწვრილებითი ცნობები შეთქმულების შესახებ, და გადასწყვიტა ესარგებლნა ამ შესაძლებლობით. 24 აგვისტოს ლვოვი მივიდა კორნილოვთან და აგრძნობინა მას, რომ ის ჩავიდა მინისტრ-თავმჯდომარის წინადადებით და რომ კერენსკის სურს იცოდეს გენერლის აზრი ქვეყნის მდგომარეობაზე. კორნილოვმა შუამავალს სთხოვა შეეარა 25 აგვისტოს. მეორე დღეს დილით მთავარსარდალმა ლვოვს გადასცა შემდეგი მოთხოვნები:

1) სამხედრო წესების გამოცხადება პეტროგრადში;

2) ყველა მინისტრის გადადგომა, მინისტრ-თავმჯდომარის ჩათვლით, და სამინისტროების დროებითი მართვის გადაცემა მინისტრთა ამხანაგებისათვის უმაღლესი მთავარსარდლის მიერ კაბინეტის შედგენამდე.

26 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ლვოვი მიიღო კერენსკიმ ზამთრის სასახლეში. მან არ დაიჯერა ლვოვის ნაამბობი და აიძულა იგი დაეწერა კორნილოვის მოთხოვნები. შემდეგ კერენსკიმ საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე პირდაპირ მავთულთან გამოიწვია კორნილოვი და სთხოვა ლვოვს დასწრებოდა ლაპარაკს. ლვოვმა დაიგვიანა, კერენსკიმ გადასწყვიტა ელაპარაკნა კორნილოვთან არა მარტო თავის სახელით, არამედ იქ არმყოფ ლვოვის სახელითაც.

„კერენსკი. გამარჯობა, გენერალო. აპარატთან არიან ვლადიმირ ნიკოლოზის-ძე ლვოვი და კერენსკი. გთხოვთ დაადასტუროთ, რომ კერენსკის შეუძლია იმოქმედოს ვლადიმირ ნიკოლოზის-ძის მიერ გადმოცემული ცნობების თანახმად.

„კორნილოვი. გამარჯობა, ალექსანდრე თედორეს-ძე. გამარჯობა, ვლადიმირ ნიკოლოზის-ძე. კვლავ ვადასტურებ რა მდგომარეობის იმ მოხახახს, რომელშიც მე ქვეყანა და არმია წარმომიდგება, მონახახს, რომელიც ვლადიმირ ნიკოლოზის-ძეს გავაცანი, კვლავ ვაცხადებ, რომ უკანასკნელი დღეების ამბები და მომავლისთვის დასახული დაჯინებით მოითხოვენ საკვებით გარკვეულ გადაწყვეტილებას უაღრესად მოკლე ხანში.

კერენსკი (ლვოვის მაგიერ). მე, ვლადიმირ ნიკოლოზის-ძე, გეკითხებით: საჭიროა შესრულდეს ის გარკვეული გადაწყვეტილება, რომელიც

თქვეს მთხოვეთ მეცნობებინა ალექსანდრე თედორეს-ძისათვის მხოლოდ, სრულიად პირადად; თუ თქვენ ეს პირადად არ დაადასტურეთ, ისე ალექსანდრე თედორეს-ძე მერყეობს საესებით მენდოს.

კორნილოვი. დიად, ვადასტურებ, რომ მე გთხოვეთ გადაგეცათ ალექსანდრე თედორეს-ძისათვის ჩემი დაყინებითი თხოვნა ჩამოვიდეს მოგილევში.

კერენსკი. მე, ალექსანდრე თედორეს-ძეს, თქვენი პასუხი მესმის როგორც იმ სიტყვების დადასტურება, რომლებიც მე ვლადიმირ ნიკოლოზის-ძემ გადმოძცა. დღეს ამის შესრულება და გამომგზავრება არ შეიძლება, იმედი მაქვს რომ ხვალ გამოვემგზავრები. საჭიროა თუ არა საეინკოვი?

კორნილოვი. დაყინებით გთხოვთ, რომ ბორის ვიქტორის-ძე ჩამოვიდეს თქვენთან ერთად. ჩემ მიერ ვლადიმირ ნიკოლოზის-ძისათვის ნათქვამი ერთნაირად შეეხება ბორის ვიქტორის-ძესაც. ძალიან გთხოვთ ხვალინდელი დღის იქით აღარ გადასდოთ თქვენი გამომგზავრება. გთხოვთ მერყმუნოთ, რომ მხოლოდ მომენტის პასუხისმგებლობის შეგნება მაიძულებს ასე დაყინებით გთხოვოთ.


კერენსკი. ჩამოვიდე მხოლოდ გამოსვლების შემთხვევაში, რომელთა შესახებაც ხმები დადის, თუ ყოველ შემთხვევაში?

კორნილოვი. ყოველ შემთხვევაში.

კერენსკი. ნახვამდის, მალე ვნახავთ ერთმანეთს.

კორნილოვი. ნახვამდის“.

მოლაპარაკების დაშთაჯრების შემდეგ კერენსკი კიბეზე შეხვდა ლეოვს და თავისთან მიიწვია. მეზობელ კაბინეტში დამალული იყო მილიციის მთავარი უფროსის თანაშემწე ბალავინსკი. კერენსკიმ აიძულა ლეოვი გაემეორებინა თავისი მოხსენება უჩინარი მოწმის თანდასწრებით. მიიღო რა ასეთი პროვოკაციული საშუალებით კორნილოვის წინადადებათა დადასტურება, კერენსკიმ მოულოდნელად გამოაცხადა ლეოვი დაპატიმრებულად, თვითონ კი გაიქცა. დროებითი მთავრობის სხდომაზე. მინისტრ-თავმჯდომარემ აცნობა მთავრობას ლეოვის საქციელს, აჩვენა მოლაპარაკების ყველა ლენტი და მოითხოვა თავისთვის საგანგებო რწმუნებანი კორნილოვის ამბოხებასთან ბრძოლაში. კერენსკის გამოსვლა კადეტ მინისტრებს ეჩვენათ ჭეხილად მოწმენდილ ცაზე. ყველამ იცოდა შეთქმულების შესახებ. ყოველ ელოდა და ამზადებდა გამოსვლას, და უცებ მთავრობის მეთაური თავს ანებებს თამაშს. კადეტები დატრიალდნენ, რათა მოეგვარებინათ კონფლიქტი „გაუხმაურებლად და ცთუნების გარეშე“. მილიუკოვი უმტკიცებდა კერენსკის, რომ რეალური ძალა კორნილოვის მხარეზეა, რომელიც პატრიოტულად მოქმედობს და მას მხარი უნდა დაუჭირონ ქვეყნის ყველა „სოცხალმა ძალებმა“. მილიუკოვი და გენერალი ალექსეევი მიხისტრ-თავმჯდომარესთან საუბრის დროს ყოველნაირად ცდილობდნენ მოესპოთ „გაუგებრობანი“ და მიელწიათ შეთანხმებისათვის კერენსკისა და კორნილოვს შორის. კადეტი-მინისტრები კოკოშკინი, იურენევი, ოლდენბურგი და კარტაშევი კვლავ გადადგნენ, რითაც უადვილებდნენ კორნილოვს მისი გეგმის შესრულებას.



პეტროგრადის მუშების მობილიზაცია კორნილოვთან საბრძოლველად.

29 აგვისტოს მოწინავე წერილში კადეტური „რეჩი“. ცდილობდა რა ყველაფერი უბრალო გაუგებრობით აეხსნა, აშკარად კორნილოვის მხარეზე დგებოდა. 30 აგვისტოს „რეჩი“. გამოვიდა თეთრი კაბადონით. გამზადებული მოწინავე. სადაც კადეტები აშკარად უცხადებდნენ სოლიდარობას კორნილოვს. უკანასკნელ წუთში, როცა კორნილოვის გამოსვლის უიმედობა გამოირკვა, ამოვდებულ იქნა. მაგრამ მოწინავეს ტექსტი არქივში დარჩა. კადეტები ამ სტატიაში აყენებდნენ კითხვას:


„რა ვუპასუხოთ იმ ბრალდებაზე, რაც დატრიალებულ ამბებს აფასებს როგორც რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულებას, რომლის მიზანია დემოკრატიის ძალმომრეობისაგან განთავისუფლება? გენერალი კორნილოვი არ არის რეაქციონერი, მის მიზნებს არაფერი აქვთ საერთო კონტრრევოლუციის მიზნებთან, ეს ცხადად სჩანს მისი გარკვეული განცხადებიდან, რომელიც თავისი სიმარტივეთ საუკეთესოდ ახასიათებს სოლდათის უცბიერო კჷუასა და გულს. გენერალი კორნილოვი ეძებს გზებს იმისათვის, რომ მიიყვანოს რუსეთი მტერზე გამარჯვებამდე და ხალხის ნება-სურვილების გამოხატვამდე დამფუძნებელი კრების მომავალ მოწყობაში. ჩვენ მით უფრო ადვილად ვუერთდებით ნაციონალური მიზნების ამ ფორმულირებას, რომ ჩვენ სწორედ ასეთივე გამოთქმებით ვლაპარაკობდით გენერალ კორნილოვამდე დიდხნით ადრე... ჩვენ არ გვეშინიან ვთქვათ, რომ გენერალი კორნილოვი იმავე მიზნებს ისახავდა, როგორც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სამშობლოს ხსნისათვის“¹.

„რჩის“ მოწინავე სავესებით ამართლებს კადეტების დახასიათებას ლენინის მხრით, რომელმაც მათ „კორნილოველები“ უწოდა.

ორივე სადიქტატორო კანდიდატის შერიგებას ცდილობდნენ აგრეთვე მოკავშირეთა დიპლომატებიც; ინგლისის ელჩმა ბიუკენენმა შეთქმულობის მსვლელობა იცოდა და მხარს უჭერდა კორნილოვს. ბიუკენენმა იცოდა, რომ ინგლისის ჯავშნოსნები შიდიოდნენ პეტროგრადზე III კორპუსთან ერთად.

„ყველა ჩემი სიმპატია კორნილოვის მხარეზე იყო“¹; აღიარებს ინგლისელი თავის შემუარებში. ინგლისის პრესა გულმოდგინედ ცდილობდა დაეშალა თავისი ქვეყნის ჯავშნოსნების მონაწილეობა კორნილოვშინაში. ოფიციალური გაზეთი „ტაიმსი“ 1917 წლის 3 ოქტომბერს აღშფოთებით სწერდა, რომ ჯავშნოსნების ისტორია კორი და ბოროტი ცილისწამებააო. ინგლისის ელჩის დაუინებითი მოთხოვნით დროებითმა მთავრობამ სასამართლოს პასუხისგებაშიც კი მისცა „ცილისწამებისათვის“ მოსკოვის ბოლშევიკური გაზეთის „სოციალ-დემოკრატის“ რედაქტორი. ამჟამად ხელთა გვაქვს დოკუმენტი, რომელიც სავესებით ადასტუოებს ინგლისელებისა და კორნილოველების კავშირს. ეს არის უალრესად გამოჩენილი კორნილოველის გენერალ რომანოვსკის 28 აგვისტოს სასწრაფო დეპეშა:

„გენერალ-კვარტირმეისტერს 7. დაუყოვნებლივ უბრძანეთ ბრიტანეთის ჯავშნოსანთა დივიზიონის მეთაურს გაუგზავნოს ყველა საბრძოლო მანქა-



რევოლუციური ჯარების საყარაულო რაზმი პეტროგრადთან კორნილოვის დღებში.

ნა, ფიატების ჩათვლით, ყველა ოფიცრითა და ეკიპაჟით ბ რ ო ვ ა რ შ ი კ ო მ ლ ე ი ტ ს ო ა მ ს ს. იქვე გაგზავნეთ მანქანები, რომლებიც ფ ო ლ - ვ ა რ კ დ უ ბ რ ო ვ კ ა შ ი ი მყოფება. 6429“¹.

შემდეგში იმპერიალისტები იძულებული იყვნენ აშკარად ელიარებიანთ თა-ვისი მონაწილეობა კორნილოვშინაში. ამერიკელმა ოფიცრებმა ინგლისელებ-თან დავის დროს წამოაყრანტალეს ის, რისი ყოველნაირად დამალვაც ამ უკა-ხასკნელებს უნდოდათ, ტყუილად კი არ ამბობენ, როცა ორი ქურდი ჩხუბობს, ქეშმარიტება გამოაშკარავდებაო. ამერიკის პოლკოვნიკმა რობინსმა გამოაქვეყ-ნა თავისი საუბარი ინგლისის გენერალ ნაქსთან. ეს საუბარი მოხდა პეტრო-ვრადში მალე კორნილოვის გამოსვლის ჩაშლის შემდეგ. რობინსი იუწყება:

„იგი (გენერალი ნოქსი. რ ე დ.) ვანაგრძობდა: „თქვენ კორნილოვთან უნდა ყოფილიყავითო“ — და გაწითლდა, გაახსენდა რა, რომ მე ვიცი, თუ როგორ მიპყვებოდნენ რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ინგლი-სელი ოფიცრები ინგლისის ტანკებით შეტევაზე გადასულ კორნილოვს და კინალამ კორნილოვის ნაწილებს აუტეხეს სროლა, როცა მათ უარი გა-ნაცხადეს განეგრძოთ შეტევა პსკოვს იქით“².

კორნილოვის გამოსვლის დღეებში გენერალი ნოქსი როგორც ინგლისის შტაბის წარმომადგენელი დროებით მთავრობასთან ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო, სამხედრო გადატრიალების წარმატებისათვის. და თუ კორნილოვშინა დამარცხდა, ამაში ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე ინგლისელი გენერალი.

კერენსკი, რომელსაც საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმას-რულებელი კომიტეტი უქერდა მხარს, ცდილობდა მოეწყო პეტროვგრადის დაც-ვა. მაგრამ ერთადერთი ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ნამდვილი წინააღ-მდეგობა გაეწიათ კორნილოვის გამოსვლისათვის, ბოლშევიკები იყვნენ.

8.

ბანაქის ავანტურის განაღმურება.

ბოლშევიკების პარტია უკვე დიდხანია ადევნებდა თვალს კორნილოვში-ნის მთელ მზადებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი კადეტების, მენშევიკებისა და ესერების მთავრობამ იატაკქვეშ ჩარეკა, ის აფრთხილებდა მუშათა კლასს, რომ მზადდებოდა გამოსვლა და, მოვიდა თუ არა პირველი ცნობები ამ გამოს-ვლის შესახებ, მან განგაში ასტეხა. იცოდა რა, რომ მთავრობა გარეული იყო რეაქციულ შეთქმულებაში, პარტიამ მიმართა მასებს და მოუწოდა მათ გამო-სულიყვნენ არა კერენსკის სასარგებლოდ, არამედ რევოლუციის დასაცავად, კორნილოვისა და მისი რაზმების წინააღმდეგ.

ბოლშევიკების პარტიამ ყველა ძალები დარაზმა კორნილოველთა წინა-აღმდეგ.

27 აგვისტოს ბოლშევიკური პარტიის პეტერბურგის კომიტეტის სასწრაფო ახლომაზე გადაწყდა დაწესებულებით მორიგეობა პეტერბურგის კომიტეტში, აგრეთვე რაიკომების წევრების, საქარხნო კოლექტივების წარმომადგენელთა სარაიონო მორიგეობა. ყველა რაიონში შეგროვილ იქნა აგიტატორები. პარტია მოუწოდებდა მუშებს წინააღმდეგობის გასაწევად.

პარტიის მოწოდებას გამოეხმაურა პეტროგრადის მთელი მუშათა კლასი. დარწმუნდა რა მენშევიკებისა და ესერების გამცემლურ როლში. თუ დღემდე წითელი გვარდიის რაზმების მოწყობა და მომზადება არალეგალურად სწარმოებდა, ახლა ეს აშკარად ხდებოდა.

ბოლშევიკები შევიდნენ კონტრარევოლუციისთან სახალხო ბრძოლის კომიტეტში, რომელიც საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა, მაგრამ იმ პირობით, რომ შეაიარაღებდნენ მუშებს და გაანთავისუფლებდნენ ივლისის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულთ. ეს პირობები დაუყოვნებლივ იქნა დაკმაყოფილებული.

ასეთივე სურათი იყო მოსკოვსა და პროვინციაში, რომელიც გამოეხმაურა ნოვოროდებს გაეჩაღებინათ ბრძოლა გენერლის კონტრარევოლუციისთან. ყველგან დაიწყო მუშათა რაზმების მოწყობა. მთელ რიგ ადგილებში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტები. მუშები მოითხოვდნენ ბოლშევიკთა დაპატიმრებული ბეღადების განთავისუფლებას და მთელი ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის.

კორნილოველთა წინააღმდეგ გამოყვანილ იქნა ბოლშევიკური წითელი გვარდიის რაზმები, პეტროგრადთან ითხრებოდა სანგრები და კეთდებოდა მავთულის ხლართები. სასწრაფოდ შოულობდნენ იარაღს, სდგებოდა რაზმები. იბეჭდებოდა მილიონობით ფურცლები.

ბოლშევიკებმა პეტროგრადის გარნიზონსაც მოუწოდეს წინააღმდეგობის გასაწევად, რაზედაც გარნიზონის პოლკებმა იმით უპასუხეს, რომ თავისი წრიდან გააძევეს ესერი და მენშევიკი კომისრები და მათ ადგილზე ბოლშევიკები წაშაყენეს. ესერ-მენშევიკებს თავზარი დაეცათ, როცა გამოირკვა, რომ არა მარტო პეტროგრადის გარნიზონი, არამედ ბალტიის ფლოტის მატროსთა უმრავლესობაც ბოლშევიკების მხარეზე იყო. გრძობდა რა საფრთხეს, კერენსკიმ პათეტურათ განაცხადა, რომ იგი ბოლშევიკების მფარველობის ქვეშ სდგება. რაზედაც ბოლშევიკებმა უპასუხეს, რომ მათ უფრო სერიოზული ამოცანა აქვთ.

კორნილოვის ჯარებში დაიწყო აგიტაცია.

რკინიგზელებმა აპყარეს ლიანდაგი და ყოველნაირად აკავებდნენ კორნილოვის ეშელონების წინსვლას პეტროგრადისაკენ.

ლუგასთან, საიდანაც კორნილოველები ფიქრობდნენ პეტროგრადზე გალაშქრებას ქვეითად, მოხდა შეფერხება. ლუგის საბჭომ, უკუაგდო რა გენერალ კრიმოვის ულტიმატუმში, მოითხოვა, რომ მის კაზაკებს, რომლებიც პეტროგრადზე მიდიოდნენ, გვერდი აეველოთ ლუგისათვის.

კორნილოვიშინისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევამ მშრომელთა მხრით რღვევა შეიტანა შეთქმულთა ჯარებში. 30 აგვისტოს ღონის დივიზიის კაზაკები გამოცხადდნენ ლუგის საბჭოში წინააღმდეგობით — დაეპატიმრებინათ გე-



„ველური დივიზიის“ ნაწილების დამოზობილება რევოლუციურ ჯარისკაცებთან.

ნერალი კრიმოვი და დამორჩილებოდნენ დროებითი მთავრობის განკარგულებებს. კორპუსის მეთაური დაპატიმრებას გადაარჩინა მხოლოდ კერენსკის წარმომადგენლის ჩასვლამ, რომელთან ერთად კრიმოვი დაუყოვნებლივ გაემგზავრა პეტროგრადს. დარწმუნდა რა ჯარისკაცების სრულ უარში ემოქმედნათ რევოლუციური რაზმების წინააღმდეგ, კრიმოვმა სასოწარკვეთილებისაგან თავი მოიკლა.

„ველური დივიზიის“ შემოტევა იმითვე დამთავრდა, რითაც კაზაკთა პოლკების შემოტევა. მის შესაგებებლად გაგზავნა მუსლიმანთა დელეგაცია.

მუსლიმანთა დელეგაციის გაგზავნის ინიციატივა ეკუთვნოდა ს. მ. კიროვს. იგი 1917 წელს კავკავში მუშაობდა. 1917 წლის აგვისტოში კიროვი გაემგზავრა პეტროგრადს კავკავის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დაეაღმდეგა. კორნილოვის ამბებმა მას მოსკოვში მოუხსწრეს. შეიტყო რა, რომ კორნილოვის ავანტურაში მონაწილეობას ლეებულობდა „ველური დივიზია“, რომლის შემადგენლობაში მთიელთა ნაწილებიც იყვნენ, კიროვმა წინადადება მისცა მოსკოვის საბჭოს მიეღწია იმისათვის, რომ „ველური დივიზიასთან“ გაემგზავნათ დელეგაცია მთიელ ხალხთა ცენტრალური კომიტეტისაგან, რომელიც კავკავში იმყოფებოდა. მოსკოვის საბჭო ეღვებოდა დაუყოვნებლივ კავკავს.

ჩასულმა დელეგაციამ აუხსნა ჯარისკაცებს უფროსთა ნამდვილი ზრახვები. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ „ველური დივიზია“ სრულიად უვნებელი გამბდარიყო რევოლუციისათვის.

კორნილოველებს პეტროგრადშიაც მოუვიდათ მარცხი. იქ წინასწარ გაგზავნილი ოფიცრები რესტორანებში ქეიფობდნენ და შეტევის მოსაწყობად მიღებულ ფულს ითვისებდნენ. დენიკინი თავის მოგონებებში სწერს:

„პეტროგრადის სამხედრო ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელს პოლკოვნიკ ს-ს დიდხანს და უშედეგოდ ეძებდნენ. იგი, როგორც გამოირკვა, დენის შიშის გამო ფინეთში დაიშალა და თან წაიღო ორგანიზაციის უკანასკნელი ფული, რაღაც ასორმოდნაათი ათასამდე მანეთი“¹.

ამასვე გვიამბობს მეორე კორნილოველიც — კადეტი მილიუკოვი.

სრული გახრწნა დაიწყო თვით უმაღლესი სარდლობის ბანაკში. იგი იზოლირებული იყო და შიშით შეპყრობილი სულს ლაფავდა. გიორგის ბატალიონმაც კი უარი სთქვა მხარი დაეჭირა კორნილოვისათვის. ფრონტსა და უმაღლესი სარდლობის ბანაკში არმიის კომიტეტების



ბ. მ. კორავა.

კანკარულებით დაპატიმრეს გენერლები დენიკინი, მარკოვი, ლუკომსკი, რომანოვსკი და სხვები. რომელთაც აშკარად დაუჭირეს მხარი კორნილოვს.

კორნილოვშინის ლიკვიდაცია დასასრულს უახლოვდებოდა. 30 აგვისტოს დროებითი მთავრობის ბრძანებით კორნილოვი გადააყენეს უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობიდან და ამბოხებისათვის საპართალში მისცეს. უმაღლესი მთავარსარდლის პოსტი კერენსკიმ დაიკავა, ხოლო შტაბის უფროსად დაინიშნა გენერალი ალექსეევი. შტაბის ყოფილი უფროსი მეფის დროს, სწორედ ის ალექსეევი. რომელიც სახელმწიფო თათბირის დროს შეუთანხმდა კორნილოვს. თუ ვინ უნდა ყოფილიყო დიქტატორად.

კორნილოვშინა დამარცხდა. მემამულეებმა და ბურჟუაზიამ ვერ შესძლეს რევოლუციის განადგურება. მაგრამ სამოქალაქო ომმა, რომელიც გენერლებმა წამოიწყეს, მკვეთრად შესცვალა ძალთა თანაფარდობა.

აჯამებდა რა კორნილოვის აჯანყების შედეგებს, ლენინი სწერდა:

„კორნილოვის აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან არაჩვეულებრივი ძალით დაანახა ხალხის მასებს ის ქეშმარიტება, რომელიც დაფარული იყო და დღემდე დაფარულია ესერგებისა და მენშევიკების შემთანხმებლური ფრაზით, სახელდობრ: მემამულეები და ბურჟუაზია კადეტთა პარტიის მეთაურობით და მათ მხარეზე მდგომი გენერლები და ოფიცრები დაირაზმნენ, ისინი მზად არიან ჩაიდინონ და

სწადიან ყოველად გაუგონარ დანაშაულს — მისცენ რიგა (ხოლო შემდეგ პეტროგრადი) გერმანელებს, გაუხსნან მათ ფრონტი, მისცენ დასახვრეტად ბოლშევიკური პოლკები, დაიწყონ ამბოხება, დაძრან დედაქალაქზე ჯარები „ველური დივიზიის“ მეთაურობით და ა. შ. — ყოველივე ეს იმის გული-სათვის, რომ მთელი ძალაუფლება ხელში ჩაუგდონ ბურჟუაზიას, რომ განამტკიცონ მემამულეების ძალაუფლება სოფლად, რომ მუშათა და გლეხთა სისხლით მორწყონ ქვეყანა“¹.


მასობრივი აღმავლობა მოედო ესერ-მენშევიკთა ქვედაფენებსაც. წვრილ-ბურჟუაზიული ლიდერები, ცდილობდნენ რა დამალათ თავისი კავშირი კორნილოვშინასთან, აფუსფუსდნენ. იჩენდნენ რა აქტივობას, ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ხალხის მასები, რომ შემთანხმებელთა პარტიაც ღებულობს მონაწილეობას კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში. ესერ-მენშევიკები შევიდნენ იმ კომიტეტების შემადგენლობაში, რომლებიც ამზადებდნენ წინა-აღმდეგობის გაწევას კორნილოვისათვის, გამოაქონდათ მყვირალა რეზოლუციები, ქვეყანას ეფიცებოდნენ რევოლუციის ერთგულებას.

მაგრამ ბრძოლა სწარმოებდა შემთანხმებელთა გვერდის ავლით და მათ დაუკითხავად. ახლაც, ისე როგორც თებერვლის დღეებში. საბჭოები გახდნენ მუშათა და გლეხთა მებრძოლ, მასობრივ ორგანიზაციებად. საბჭოები გამოცოცხლდნენ და გაშალეს მუშაობა. ძალა კვლავ საბჭოების მხარეზე აღმოჩნდა, მუშებმა კვლავ მიიღეს იარაღი. კვლავ შეიქმნა ვითარება, როცა შესაძლებელი გახდა ძველი, ივლისის წინადროის ტაქტიკის რამდენადმე გამოყენება. ლენინი გამოვიდა პრესაში და ესერ-მენშევიკებს მიმართა წინადადებით აეღოთ ძალაუფლება საბჭოებს იმ პირობით, თუ იქნებოდა ავტოკაციის სრული თავისუფლება ბოლშევიკებისათვის და საბჭოების არჩევნების თავისუფლება.

მაგრამ მხოლოდ მეტად მოკლე ხნით შეიძლებოდა დაბრუნება ძველი ტაქტიკისაკენ — მშვიდობიანად გადასცემოდა ძალაუფლება საბჭოებს. რევოლუციური ვაბრუება ესერ-მენშევიკებს შორის სწრაფად გაქრა. ისინი მეტად მტკიცედ დაუკავშირდნენ ბურჟუაზიულ მთავრობას და კორნილოვის დამარცხების შემდეგ კვლავ ბურჟუაზიულ ბოსელში შეძვნენ.

სახელმწიფოს ხელმძღვანელობა დროებით დააკისრეს დირექტორიას, რომელშიაც შედიოდნენ კერენსკი, მ. ი. ტერეშჩენკო, ცოტახნის წინათ სამხედრო მინისტრად დანიშნული ა. ი. ვერხოვსკი, საზღვაო მინისტრი დ. ნ. ვერდერევესკი და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ა. მ. ნიკიტინი.

ბოლშევიკების უკანასკნელი ცდა მიეწვიათ იმისათვის, რომ ძალაუფლება მშვიდობიანად გადასულიყო საბჭოების ხელში, უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ ამ ცდამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ



გენერალ კრიმოვის უკანასკნელი ბარათი.

ძალაუფლების აღება შეიძლება მხოლოდ აჯანყებით ბურჟუაზიული რთავრობის და წვრილბურჟუაზიული ბლოკის წინააღმდეგ. ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ კვლავ დადგა დღის წესრიგში. მაგრამ იგი ახლა სხვანაირად ბგერდა, ვინაიდან თვითონ საბჭოები სხვანაირი გახდა.

„ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ კვლავ დადგა დღის წესრიგში, — სწერდა სტალინი. — მაგრამ ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა უკვე არა იმას, რასაც პირველ სტადიაზე. მისი შინაარსი ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა იმპერიალიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტას და ძალაუფლების გადასვლას ბოლშევიკების ხელში, ვინაიდან საბჭოების უმრავლესობა უკვე ბოლშევიკური იყო. ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა რევოლუციის პირდაპირ მისვლას პროლეტარიატის დიქტატურასთან აჯანყების გზით. კიდევ მეტი, ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას და სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას“¹.

დღის წესრიგში დადგა შეიარაღებული აჯანყება.



თ ა ვ ი მ ა ა თ ე .

ქვეყნის მუარნოვის რეჰევა.

1.

კაპიტალისტების საზოტათი.

კორნილოვის შეტეჟულეზა ჩაიფეუზა. მავრამ ესერებისა და მენშევიკების წყალობით ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში დარჩა. ვერ გაბედეს რა აშკარად გამოსვლა, კაპიტალისტებმა დაიწყეს შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ რიაბუშინსკის რეცეპტის მიხედვით: მათ მიჰყვეს ხელი შიმშილობის მოწყობას.

ქვეყანას კატასტროფა ემუქრებოდა. რკინიგზის ტრანსპორტი ირღვეოდა. სატობის მოპოვება მცირდებოდა. პურის მოზიდვა კლებულობდა. ომი საერთო ნგრევას აძლიერებდა. ქვეყანას აუცილებელი კრახი ემუქრებოდა. მთავრობამ კი არამც თუ საგანგებო ზომები არ მიიღო, არამედ აშკარა ეკონომიური კორნილოვშინა მოაწყო. მთავრობის წევრები ბევრს ლაპარაკობდნენ მრეწველობის კონტროლზე და რეგულირებაზე. საქმით კი თვითონვე ჰფუშავდნენ თავიანთ „ღონისძიებებს“, აგვიანებდნენ გადაწყვეტილებებს, ჰქმნიდნენ უმოძრაო ბიუროკრატიულ დაწესებულებებს და მათ მთლიანად კაპიტალისტების ოპეკის ქვეშ აქცევდნენ.

21 ივლისს ახლადშექმნილ ეკონომიური თათბირის გახსნისას კერენსკიმ მრავლისაღმთქმელად განსაზღვრა, რომ ახალი დაწესებულების ამოცანას წარმოადგენს

„გეგმის გამომუშავება და ქვეყნის მთელი სამეურნეო-ფინანსიური ცხოვრების თანდათანობითი რეგულირება, გამომდინარე ყველა ინტერესის სახელმწიფოს ინტერესებისადმი დამორჩილების პრინციპიდან“¹.

მის გვერდით შექმნილ იქნა მთავარი ეკონომიური კომიტეტი — ეკონომიური თათბირის აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ ინსტრუქციით კომიტეტი დაშოუკიდებელ ორგანიზაციად გადაიქცა. მისი გადაწყვეტილებების გაუქმება მხოლოდ დროებით მთავრობას შეეძლო. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სამრეწველო წრეების ცნობილმა წარმომადგენელმა ნ. ნ. სავინმა, 9 აგვისტოს ეკონომიური თათბირის სხდომაზე აღიარა, რომ მან არ იცის: „რა უნდა გააკეთოს ეკონომიურმა კომიტეტმა“¹. 12 სექტემბერს მთავარი ეკონომიური კომიტეტის მონაწილეები თავის მხრივ აღნიშნავენ, რომ ეკონომიური თათბირი მხოლოდ აფერხებს კომიტეტის მოქმედებას, ხოლო მიწათმოქმედების საშინისტროს წარმომადგენელი ნ. ი. რაკიტნიკოვი კომიტეტთან შექმნილ საბჭოსა და თათბირს პირდაპირ არასაქმიან ორგანოებს უწოდებდა.

არეგ-დარეგას აძლიერებდა ჯერ კიდევ მეფის დროს შექმნილი „სავანგებო თათბირთა“ დატოვება. თავდაცვის სავანგებო თათბირს, რომელიც განსაკუთრებული უფლებებით იყო მოსილი. გამოქონდა თავისი გადაწყვეტილებანი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ. მის სათავეში იდგა პ. ი. პალჩინსკი — ინჟინერი, რომელიც წინათ მუშაობდა ოქროს მრეწველობაშიც და რკინიგზის ტრანსპორტის მშენებლობის დარგშიც. პალჩინსკი ერთდამავე დროს იყო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის აშხანაგი, თავდაცვის სავანგებო თათბირის თავმჯდომარე და მთავარი რწმუნებული ლითონისა და სათბობის მომარაგების ხაზით. სამივე ამ ორგანიზაციაში იგი სასტიკად ილაშქრებდა რევოლუციის წინააღმდეგ. ლენინი მის შესახებ სწერდა:

„ამ ბრძოლით პალჩინსკიმ მოიხვეჭა მეტად სავალალო და მეტად ფართო სახელი მთელს რუსეთში. ის მოქმედებდა მთავრობის ზურგს უკან, არ გამოდიოდა რა აშკარად ხალხის წინაშე (სწორედ ისევე, როგორც არჩევდნენ მოქმედებას კადეტები საზოგადოდ, რომლებიც ხალხით წინ აყენებდნენ „ხალხისათვის“ წერეთელს. თვითონ კი ჩუმ-ჩუმად აკეთებდნენ ყველა მნიშვნელოვან საქმეს). პალჩინსკი აფერხებდა და ჰფუშავდა თვითნებურადემოკრატიული ორგანიზაციების ყოველგვარ სერიოზულ ღონისძიებას, ვინაიდან ვერცერთი სერიოზული ღონისძიება ვერ განხორციელდებოდა კიტკიტჩების უზომო მოგებისა და ახირებულობისათვის „ზიანის მიუყენებლად“².

დროებითმა მთავრობამ ვერ გაბედა დაეშალა მეფის ძველი ბიუროკრატიული თავდაცვის თათბირი, მაგრამ სამაგიეროდ გაძლიერებით ილაშქრებდა დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ — ყოველგვარი სახის მომარაგების კომიტეტების, საბჭოებთან არსებულ სასურსათო კომისიების, რომლებმაც ქვემოდან წარმართეს ბრძოლა შიმშილობასთან. პალჩინსკიმ სწორედ იმით გაითქვა სახელი, რომ პირდაპირ აუქმებდა დემოკრატიულ ორგანიზაციათა განკარგულებებს. სხვანაირად თუ ვიტყვი, თვითონაც არაფერს აკეთებდნენ და მშრომელთაც ხელს უშლიდნენ ებრძოლნათ კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ.

„რესპუბლიკური“ მთავრობა თავის მომწესრიგებელ ორგანოებში მუშებს სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით უშვებდა. ეკონომიურ თათბირში დროებითი მთავრობის 10 წარმომადგენელზე, ბურჟუაზიული ორგანიზაციების (ქალაქთა კავშირი, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა კავშირი და ა. შ.) 12 წარმომადგენელზე და 6 პროფესორზე მოდიოდა მხოლოდ 9 წარმომადგენელი საბჭოებისა და პროფკავშირებისაგან. ეკონომიური თათბირი, როგორც საქმიანი ორგანო, შესდგებოდა მთავრობისაგან დანიშნულ სამინისტროთა წარმომადგენლებისაგან მინისტრ-თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. კომიტეტში მშრომელთა წარმომადგენლების შეყვანის შესაძლებლობა სრულიად გამორიცხული იყო. ისინი დაუშვეს მხოლოდ იმ თათბირის შემადგენლობაში, რომელიც მთავარ კომიტეტთან იყო შექმნილი. მაგრამ აქაც 10 წარმომადგენელზე ეკონომიური თათბირისგან, 6 — ბურჟუაზიული ორგანიზაციებისგან, 14 — მთავრობის დაწესებულებებისგან, 13 — დამზადებათა რწმუნებულებისაგან და კომიტეტის მიერ დანიშნულ მთელ რაგ ცალკე პირებზე მხოლოდ 3 წარმომადგენელი მოდიოდა საბჭოებისა და პროფკავშირებისაგან. ამ სამ მუშას უნდა მიეჩქმალნა დემოკრატიის წარმომადგენელთა სრული უყოლობა მთავარ კომიტეტში. ზუბრების ჯოჯი ძველი ბიუროკრატიული ტევრიდან მშრომელთა სამი წარმომადგენლის წინააღმდეგ — ასეთი იყო ძალთა თანაფარდობა დროებითი მთავრობის მიერ შექმნილ ორგანოებში. როდესაც იხილებოდა დებულება რაიონული ეკონომიური თათბირების შესახებ. მთავარმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მათ შემადგენლობას და ამას მთანდომა ათეული სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებდა, რომ დემოკრატიის წარმომადგენლები მოითხოვენ ადგილების ნახევარს, მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან მრეწველები ბოიკოტს გამოუცხადებენ ასეთ თათბირებს. მან ხაზი გაუსვა, რომ ყველაზე სწორი იქნება ადგილების განაწილების ის პრინციპი, რომელიც მიღებულია მთავარი ეკონომიური თათბირისთვის, ე. ი. დემოკრატიის წარმომადგენლები ლებულობენ ადგილების მეოთხედ ნაწილს. კაპიტალისტების მხრივ საბოტაჟის გაწევის შიშით კომიტეტმა მიიღო თავისი თავმჯდომარის წინადადება.

ეკონომიური თათბირის, მთავარი კომიტეტის, რაიონული ეკონომიური თათბირების სახით მთავრობა აყალიბებდა კორნილოვშიჩინის შტაბებს ეკონომიურ დარგში.

სანამ „მომწესრიგებელი“ ორგანოები თავისი კომიტეტებისა და კომისიების შემანდგელობას იხილავდნენ და ხალხს ატყუებდნენ კონტროლისა და აღრიცხვის დაპირებებით, ბურჟუაზია თავაშვებულ სპეკულაციას ეწეოდა. ბაზრებზე საქონელი გაქრა. მუშები და მშრომელები საათობით ელოდებოდნენ მშვიდ ულუფას, ხოლო ფარულად შეიძლებოდა ყოველგვარი საქონლის შოვნა და რამდენიც გასურდათ. კაპიტალისტები სპეკულაციას ეწეოდნენ და მდიდრდებოდნენ ზმ საწარმოთა სამრეწველო აქციებით, რომლებიც არსებობდნენ (უმთავრესად) მხოლოდ ბირჟის სინამდვილეში და არა რეალურ სინამდვილეში. 1916 წლის 9 თვის განმავლობაში დაარსდა 150 სააქციო საზოგადოება 209,53

მილიონი მანეთის კაპიტალით, 1917 წლის მარტ-იენისის განმავლობაში—52 საზოგადოება 138,65 მილიონი მანეთის კაპიტალით, ხოლო 1917 წლის მარტო აგვისტოში დაარსდა 62 საზოგადოება 205,35 მილიონი მანეთის კაპიტალით. სექტემბერში ზრდამ უმაგალითო ფარგლებს მიაღწია: მოეწყო 303 კომპანია 800 მილიონი მანეთის კაპიტალით. კერძო წინადადებათა მოზღვავება განსაკვირებელი იყო. 1917 წლის ცხრა თვის განმავლობაში ნებადართულ იქნა ახალი კომპანიების დაარსება 1,9 მილიარდი მანეთის აქციების გამოშვებით — ექვსახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. ძველ კომპანიებს ნებადართეს გამოშვება 1,5 მილიარდ მანეთის აქციები — ექვსჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. აქციების გამოშვების რაოდენობის მხრივ რუსეთმა ინგლისსაც კი გაუსწრო. ამ ნებართვათა მთავარი მასა ივლის-სექტემბერზე მოდიოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1917 წელს შექმნილ სააქციო საზოგადოებათა ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 469,51 მილიონ მანეთს, ხოლო მათ სურდათ თითქმის 2 მილიარდი მანეთის აქციების გამოშვება, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა გრანდიოზულ სპეკულაციას ეარაუდობდნენ კაპიტალისტები.

აი რას სწერდა 6 აგვისტოს გაზეთი „დენ“, რომელიც აშკარად ბურჟუაზიას უჭერდა მხარს:

„მაშინ როდესაც მთელი მრეწველობა კრახის წინ დგას, ქარხნები იხურება ან მათი მართვა ვადადის მთავრობის ხელში აუტანელი ხარჯების გამო... ბირჟაზე ამავე ან ასეთივე ქარხნების აქციებს უსაფუძვლოდ, უაზროდ ათეული და ასეული მანეთით აძვირებენ, ხოლო მილიონობით განსხვავება ჯიბეში უვარდებათ ყოველ დღე ბანკირებს, კულისების ბნელ მოსაქმეებს (ბირჟის ყოფილ კურდღლებს) და იმ საზოგადოებას, რომელიც სპეკულაციას ეწევა“¹.

სპეკულაცია ნგრევის გზაზე მდგომ მეურნეობას უფსკრულისაკენ ეწეოდა.

სპეკულაციას ებრძოდნენ საბჭოები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, სასურსათო კონიტეტები. ხოლო მთავრობა ისეთ სახეს გიჩვენებდა. თითქოს მან არაფერი იცისო. ეკონომიური თათბირის სხდომაზე 24 ივლისს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს შეეკითხნენ:

„არის თუ არა მეთვალყურეობა... სპეკულატურა ვაჭრობის განვითარებაზე და რა შედეგები გამოიღო ამ მეთვალყურეობამ?“².

სამინისტროს წარმომადგენელმა ვ. ე. ვარზარმა, საზოგადოება „სიმენს-შუკერტის“ მსხვილმა მოღვაწემ და ამავე დროს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ერთერთი განყოფილების გამგემ, შეუშფოთებლად უპასუხა:

„უნდა განეცხადო, რომ ცხოვრების ყველა წვრილმანზე მეთვალყურეობა ჩვენ მიგვაჩნია მიუწვდომელად“³.

ხალხის შიმშილობა — წვრილმანია კაპიტალისტების მთავრობისათვის. არავითარ ზომებს არ ლეზულობდნენ სპეკულაციის წინააღმდეგ. თუმცა ამას მოითხოვდა წვრილბურჟუაზიული პრესაც კი. სასამართლოს კანონებში არაფერი არ იყო სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ გარდა მე-29 მუხლისა, რომელიც

დაჯარიმების შესაძლებლობას აძლევდა მოსამართლეებს და ისიც კანონის აშკარად დარღვევის იშვიათ შემთხვევებში. მოსამართლეები თუ ვისმე იჭერდნენ ისეე ბაზრის პატარა ქარიულაპია თევზებს, ხოლო ბირჯის ვეშაპებს, რასაკვირველია, ხელს არ ახლებდნენ. ხოლო როდესაც მუშათა ორგანიზაციები ინიციატივას იჩენდნენ და ცდილობდნენ თავისი კონტროლის დაწესებას კაპიტალისტების მოქმედებაზე, მთავრობა იწყებდა ყვირილს და „ანარქიას“ აბრალებდა მუშათა კლასს.

სპეკულაციამ მალე ისეთი გრანდიოზული ფორმა მიიღო, რომ კონოვალოვიც კი შეშინდა.

მან, როგორც ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა უკანასკნელ მთავრობაში, 3 ოქტომბერს წერილით მიმართა ნ. ნ. საინის ნავთის ფირმების მიერ თავიანთი მარაგის დამალვის გამო. „ნობელის“ ფირმამ განცხადება შეიტანა 82 მილიონი ფუთის გატანის შესახებ, შესაძლებლობა ჰქონდა გაეტანა 150 მილიონი ფუთი, გაიტანა კი 65 მილიონი ფუთი. „მაზუთმა“ განცხადება შეიტანა 47 მილიონი ფუთის გატანის შესახებ, ჰქონდა 54, ხოლო გაიტანა — 37. სათბობი არ იყო, ჩერდებოდა საწარმოები, ნავთის სპეკულანტებმა კი გადაძალეს თავისი მარაგის თითქმის ნახევარი, მიუხედავად ნავთის მონოპოლიის შემოღებისა. კონოვალოვი, იმის ნაცვლად, რომ თავს დასხმოდა მესაბოტაეეებს, რომლებიც სათბობის შიმშილს ჰქმნიდნენ ქვეყანაში, მორიდებით სთხოვდა საინის

„მიელო ზომები, რათა ნავთის ფირმებს გაეძლიერებინათ ნავთის გადაზიდვა ასტრახანიდან თუნდაც ნიჟნი ნოვგოროდში“¹.

„ნობელმა“ კი სასაცილოდ აიგდო მთავრობა მისი მონოპოლიებით და პირდაპირ განუცხადა „მოსკოტოპს“, რომ იგი

„მოკლებულია შესაძლებლობას მიაწოდოს ნავთი მოსკოვის რაიონს პირველი კატეგორიის საწარმოებისათვისაც კი“².

კაპიტალისტები ამგვარადვე უწყევდნენ საბოტაჟს ქვანახშირის მონოპოლიას, რომელიც მთავრობამ 1 აგვისტოდან შემოიღო.

სახელმწიფო თათბირზე 12 აგვისტოს ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა პროკოპოვიჩმა აღიარა, რომ

„მონოპოლია ჯერ კიდევ არასაკმაოდ სწორად მოქმედებს“, მაგრამ, როგორც დარწმუნებით განაცხადა მან, „აგვისტოს შუა რიცხვებიდან ჩვენ მაინც მოვახერხებთ ქვანახშირის მონოპოლიის მოგვარებასო“³.

მინისტრი ტავით გააცილეს, მაგრამ კაპიტალისტები თავის ხაზს განაგრძობდნენ. პროკოპოვიჩი იმედოვნებდა და ელოდებოდა, სპეკულანტები კი მალაყდნენ ქვანახშირს. გაზეთი „იზვესტია იუგა“ იტყობინებოდა 20 ოქტომბერს:

„ჩვენს წინაშეა ცხრილი ქვანახშირის მარაგის შესახებ, რომელიც მოიპოვება მარტო როვენციის რაიონის მალაროებში, სადაც 13 მალაროში დაკავებულია არა უმეტეს 5 ათასი მუშისა, ქვანახშირი კი 10 მილიონ ფუთამდეა... და ეს ქვანახშირი არ გამოაქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ მრეწველებს არ სურთ გატანა“⁴.

ამას უნდა მივეუბნოთ, რომ დონეცის ბასეინში არა ერთი ათეული ასეთი მა-
ლარია, რომლებიც აგროვებენ მარაგს „შაყი დღისათვის“, და, მაშასადამე, არა
ერთი ათეული მილიონი ფუთი ძვეს უმოძრაოდ ფასების სპეკულატური მომა-
ტების მიზნით.

მრეწველობისა და მოსახლეობის სათბობით მომარაგებას ჰფუშავდა არა
შრომის ნაყოფიერების შემცირება, როგორც კაპიტალისტები სჩიოდნენ. ჩა-
ფუ შვიკის ძირითადი მიზენი კაპიტალისტების საბოტაჟი
იყო.

მთავრობა აკმაყოფილებდა ქვანახშირის სპეკულანტების მოთხოვნებს. სა-
ბოტაჟისათვის პრემიის სახით იგი განუწყვეტლივ ადიდებდა ქვანახშირის ფასს:
ივლისში მოუმატეს 7 კაპიკი ფუთზე, სექტემბერში — 14 კაპიკი. ორი თვის
განმავლობაში ომამდელი ფასის დანამატი 100 პროცენტზე მეტს შეადგენდა.
ქვეყნის ფინანსები თავიდან ბოლომდე ირღვეოდა, მთავრობა კი მეწარმეთ უხ-
ვად აჯილდოვებდა. ერთი ხელით სწერდნენ რეზოლუციებს მონაპოლიების შე-
სახებ, ხმას აძლევდნენ მტკიცე ფასებს, მეორეთი კი — ხელს აწერდნენ ფასების
მომატებას, იცავდნენ რა კაპიტალისტების ინტერესებს.

არ კმაყოფილებოდნენ რა სპეკულაციით და ფასების მომატებით, მეწარ-
მეებმა დაიწყეს შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ ლოკაუტებით — თავის სა-
წარმოთა დახურვით: ეურნალ „პრომპშენინსტი ტროგოვლიას“ წინასწარი და
შეტად შემცირებული ცნობებით აგვისტოსა და სექტემბერში დახურულ იქნა 231
საწარმო და ქუჩაში გამოჩვენეს 61 ათასი კაცი. ამ ზომებს მეწარმენი აყენებდნენ
როგორც პროტესტს მთავრობის მომწესრიგებელ ლონისძიებათა წინააღმდეგ.
მაგრამ უფრო ხშირად კაპიტალისტები ლოკაუტს ამართლებდნენ მუშების გა-
დაქარბებული მოთხოვნებით. მაგალითად, ერთერთ განცხადებაში დროებით
მთავრობისადმი ვაქრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობების
საბჭომ აშკარად განაცხადა:

„ფაბრიკებისა და ქარხნების დახურვა გახდება ბუნებრივი სიკვდილის
აქტად სისხლის ქარბად დაკარგვის გამო“⁴.

ამ მხრით დამახასიათებელი იყო პეტროგრადში ნევის სტეარინის ქარხნის
მეპატრონეთა მოქმედება. ქარხანა ყოველდღიურად ამცირებდა წარმოებას.
მუშებმა ქარხნის მმართველობას ახსნა-განშარტება მოსთხოვეს.

„ნედლეული ცოტა... მოელიან პეტროგრადზე ცეპელინების თავდასხ-
მას, ამიტომ ნედლეულის მოტანაზე ლაპარაკი კი არ შეიძლება“⁵;
უპასუხეს დირექტიაში. ნამდვილად კი საბოტაჟიკები სტეარინს — ქარხ-
ნის ძირითად ნედლეულს — მოსკოვსა და ფინეთში აგზავნიდნენ.

განსაკუთრებით გათავებდნენ სამხრეთ რუსეთის, კაპიტალისტები. თავის
კონფერენციაზე 1917 წლის სექტემბერში მათ მრისხანე ულტიმატუმით მი-
შარტეს დროებით მთავრობას:

„სამხრეთ რუსეთის ქვანახშირის, ანტრაციტის, რკინის მადნის, მეტა-
ლურგის და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წარმომადგენლები სა-
ჭიროდ სთვლიან კიდევ ერთხელ კატეგორიულად განუცხადონ დროებით



დანგრეული და მიტოვებული მადარო.

ნახ. ნ. დორმიდონტოვისა.

მთავრობას, რომ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია ან არ სურს დაიცვას ქარხნის ადმინისტრაციის წევრთა უშიშროება და პირადი ხელ-
შეუხებლობა, მაშინ ამ ატმოსფეროში სამრეწველო საწარმოებს მუშაობა არ
შეუძლიათ და დახურულ უნდა იქნენ”¹.

მთავრობამ აქაც კაპიტალისტებს დაუქირა მხარი. 22 სექტემბერს მთავარი
ეკონომიური კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარის პალჩინსკის
წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მთავრობის მოქმე-
დების პროგრამად უნდა გამხდარიყო. გადაწყვეტილების მთავარი პუნქტი ამ-
ბობდა:

„მუშების მხრივ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება
მთლიანად ან ნაწილობრივ დაიხუროს საწარმოები და დათხოვნილ იქნას
მთელი მუშათა პერსონალი ან მისი ნაწილი“².

ამრიგად მთავრობა აპირებდა ლოკაუტი გაეხადა თავისი მუშური პოლი-

ტიკის საფუძვლად. გაცემულ იქნა სასწრაფო დავალება სპეციალური კანონ-პროექტის დამუშავების შესახებ ამგვარ საფუძველზე.

მრეწველობის მეორე ფრიად გამოჩენილმა წარმომადგენელმა ვარზარმა. თავდაცვის საგანგებო თათბირის სხდომაზე 23 სექტემბერს დაასაბუთა ლოკაუტების სრული კანონიერება და აუცილებლობა, წამოაყენა რა შემდეგი თეზისი:

„ქარხნებში არავითარი ძალაუფლება არ არსებობს, და ამიტომ მე-ქარხნეებისათვის მუშებთან ბრძოლის ერთადერთ იარაღს საწარმოთა და-ხურვა წარმოადგენს“¹.

ვარზარი პროექტის იმ პუნქტის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდა, რომლის მიხედვით მრეწველებს საწარმოთა დახურვა მხოლოდ მთავრობის თანხმობით უნდა მოეხდინათ, ვინაიდან ეს შეზღუდვა მისი აზრით ხელს შეუშლიდა მე-პატრონეებს ებრძოლნათ მუშების გადაქარბებულ მოთხოვნათა წინააღმდეგ.

სამთამადნო მრეწველები იმუქრებოდნენ ლიკაუტით მთელი ღონბასის მას-შტაბით. პეტროგრადში ოქტომბრისათვის დახურული იყო 40 საწარმო. ოქ-ტომბერში მოსკოვის მეფაბრიკეებს სურდათ ლოკაუტი გამოეცხადებინათ 300 ათასი მუშისათვის. ურალში დახურეს საწარმოთა 50 პროცენტი. ოქტომბრის რევოლუციის წინ ეკატერინოსლავში ქუჩაში გამორყეეს 50 ათასი მუშა. ლო-კაუტი სრულიად-რუსეთის მასშტაბამდე ფართოვდებოდა.

შენშევიურმა მინისტრებმა მხარი დაუქირეს აშკარა კორნილოველებს. პ. ნ. კოლოკონიკოვმა, შრომის მინისტრის ამხანაგმა და სოციალ-დემოკრატ გეოზღოვის პარტიულმა ამხანაგმა, ჯერ კიდევ 26 ივლისს ეკონომიურ საბ-ქოს სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ შრომის სამინისტრო აღიარებს მე-წარმეთა უფლებას გამოიყენონ ლოკაუტები.

ჩქარი ტემპებით სწარმოებდა შეტევა რევოლუციაში მუშათა კლასის სო-ციალურ მონაპოვართა წინააღმდეგ. სექტემბრის დამდეგს გაერთიანებული მრეწველობის მთავარმა კომიტეტმა — ერთერთმა უმნიშვნელოვანესმა ორგა-ნიზაციულმა და ეკონომიურმა ბურჟუაზიულმა ცენტრმა — გადასწყვიტა არ აენახლაურებინა სხდომების დრო საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრებისა და სტაროსტათა საბჭოს წევრებისათვის. ეს დარტყმა მუშათა კლა-სის ორგანიზაციებზე მთელ .რიგ იმ გადაწყვეტ ღონისძიებათა დაგვირგვი-ნება იყო, რომლებიც სოციალ-დემოკრატმა სკობელეევმა მიიღო. ცოტა უფრო ადრე, სამინისტროში შესვლისას, იგი დემაგოგიურად იმუქრებოდა, რომ ბურ-ჟუაზიას მისი მოგების 100 პროცენტს წაართმევდა. ნამდვილად კი სკო-ბელევი შეეცადა მუშებისათვის წაერთმია მათი მონაპოვრების 100 პროცენ-ტი. 28 და 29 აგვისტოს შრომის მინისტრმა აკრძალა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთა სხდომები სამუშაო დროს და მათი ჩარევა დაქირაუების და და-თხოვნის საკითხებში, ე. ი. არსებითად მოსპო საფაბრიკო-საქარხნო კომიტე-ტები. ამრიგად „სოციალისტურმა“ მინისტრმა, რომელიც მუშტს უღერებდა ბურჟუაზიას, ეს მუშტი თავს დაატეხა მუშათა კლასს.

კაპიტალისტების საბოტაჟმა მალე იჩინა თავი წარმოების ძლიერ შეკუმშვაში. მეტალურგიულ მრეწველობაში წლის მეორე მეოთხედში მუშაობდა 42 ბრძმედი, მესამეში — 41, ხოლო ოქტომბრის დამლევისათვის მხოლოდ 33 ბრძმედი მუშაობდა. წარმოება განსაკუთრებით მძაფრად მცირდებოდა იელის-ოქტომბრის პერიოდში. ქვანახშირის ამოღებაც კატასტროფიულად ეცემოდა: იელისში ამოღებულ იქნა 119 მილიონი ფუთი ქვანახშირი, აგვისტოში — 115, სექტემბერში კი — 110.

შრომის ნაყოფიერებაზე უწინარეს ყოვლისა სამხედრო მობილიზაციებმა იმოქმედეს. სწორედ იმ რაიონებში, სადაც ნაყოფიერების დაცემა განსაკუთრებით ძლიერად იყო (დონბასი და ურალი), მუშებს შორის მეტისმეტად იმატა ჭალების, ბავშვების და სამხედრო ტყვეების რიცხვმა. თვით კაპიტალისტების აღიარებით, სამხედრო ტყვეების შრომის ნაყოფიერება ორჯერ უფრო ნაკლები იყო ჩვეულებრივზე, ხოლო ურალსა და დონბასში სამხედრო ტყვეები ყველა მუშების მესამედზე მეტს შეადგენდნენ. შეფერხებანი სათბობისა და ნედლეულის დარგში, მათი ხარისხის გაუარესება, მოწყობილობის გაცვეთა, საქირი რემონტის უქონლობა, მუშების კვალიფიკაციის დაცემა, ყველაფერი ეს მოქმედებდა შრომის ნაყოფიერებაზე. საწარმოების დახურვა მხოლოდ აგვირგვინებდა წარმოების ნორმალური მსვლელობის ჩაფუშვას. დამახასიათებელია, რომ იმ საწარმოებში, სადაც მმართველობა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე გადავიდა მუშების ხელში, მაგალითად, გუერონის მოსკოვის მეტალურგიულ ქარხანაში, შრომის ნაყოფიერება განუზრეულად იზრდებოდა.

მაგრამ შრომის ნაყოფიერებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მუშების კვების გაუარესებამ. მოსკოვისა და პეტროგრადის მუშები სექტემბერსა და ოქტომბერში ნახევარ გირვანქა პურზე ნაკლებს ლეზულობდნენ დღეში, ხოლო მთელ რიგ რაიონებში ისინი პირდაპირ შიმშილობდნენ. შრომის სამინისტროს ცნობებით ხელფასი ომის პერიოდში მოსკოვის მიხედვით 515 პროცენტით გადიდდა, ხოლო კვების ძირითადი საგნების ფასები ამავე დროის განმავლობაში მოსკოვში გადიდდა 836 პროცენტით, ფართო მოხმარების საგნებისა — 1109 პროცენტითაც კი. პეტროგრადში მელითონის საშუალო საათობრივი ხელფასი მარტიდან მაისამდე 57,8 კაპიკით გადიდდა, მაისიდან აგვისტომდე კი მხოლოდ 8,2 კაპიკით. ხელფასის ზრდის ტემპები იელისის აზბების შემდეგ შენედა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბურჟუაზიის შეტევის შემდეგ თითქმის ნულამდე დავიდა. ფასების ზრდის ტემპები კი მაის-აგვისტოს პერიოდში არაჩვეულებრივი იყო. საქონლის ინდექსი (ფართო მოხმარების საგნების ნაკრების ლირებულება) რუსეთში 4,20-ან 7,25-მდე გაიზარდა, ე. ი. ფასებმა თითქმის ორჯერ იმატა, ეს კი ნიშნავდა რეალური ხელფასის თითქმის ორჯერ შემცირებას. 1917 წელს საშუალოდ იგი შეადგენდა 1913 წლის ხელფასის 57,4 პროცენტს. ამრიგად, ომის ერთი წლისა და განსაკუთრებით ბურჟუაზიული რევოლუციის რვა თვის განმავლობაში მოხდა მუშათა კლასის სრული გადატაკება. მუშა უფრო ცუდად იკვებებოდა, იცვამდა. ხოლო მუშის ნახევრად-შვიერი ან შვიერი არსებობა უბრალოდ კი არ მოქმედებდა შრომის ნაყოფიერებაზე, არამედ ჰკლავდა მას.

ლენინმა შემდეგნაირად შეაჯამა მეწარმეთა მოქმედება:

„კაპიტალისტები განზრახ და განუხრელად უწევენ საბოტაჟს (აფუქებენ, აჩერებენ, ძირს უთხრიან, აფერხებენ) წარმოებას, იმედოვნებენ რა, რომ გაუფონარი კატასტროფა იქნება რესპუბლიკისა და დემოკრატიზმის, საბჭოებისა და საზოგადოდ პროლეტარული და გლეხური კავშირების კრახი, აადვილებენ რა მონარქიისადმი დაბრუნებას და ბურჟუაზიისა და მემამულეების ყოვლისშემძლეობის აღდგენას“¹.

კორნილოვშინა მრეწველობაში იზრდებოდა და ღრმავდებოდა, ედებოდა. რა სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგებსაც.

2.

ფინანსიური კრახი.

ფინანსების პრობლემა მრისხანედ დგებოდა მთავრობის წინაშე. ივლის-აგვისტოში ომი ყოველდღიურად ნთქავდა უდიდეს თანხას 66,6 მილიონი მანეთის რაოდენობით. ივლისის დამდეგს კაპიტალისტ ბუბლიკოვის გამოანგარიშებით მომავალი 12—14 მილიარდი ხარჯების „გარკვეული დასაფარავი“ წყარო არ არსებობდა². მანეთის კურსი სწრაფად ეცემოდა. კერენსკის ბატონ-პატრონობის პერიოდში მანეთის დაცემა ხდებოდა გოარკვევებული ტემპებით 1916 წელთან შედარებით. ხუთი თვის განმავლობაში მანეთმა თავისი ღირებულების 25 პროცენტი დაკარგა. დაახლოებით ერთი მილიარდი მანეთით შემცირდა ანაბარების შეტანა მიმდინარე ანგარიშებზე საკრედიტო დაწესებულებებში. აპრილიდან ანაბარების ზრდა თითქმის შეწყდა. ანაბარები, რომლებიც 1 მარტისათვის 3,05 მილიარდ მანეთს შეადგენდა, 1 ოქტომბრისათვის 1,63 მილიარდამდე შემცირდა. 1916 წელს გამოშვებული იყო 1,5 მილიარდის ქალაღის ფული, ხოლო რევოლუციის ხუთი თვის განმავლობაში 4,5 მილიარდისა. ფულის ნიშნების — „კერენკებისა, როგორც მათ უწოდებდნენ, — ნიაღვარმა ქვეყანა მოიცვა. ფინანსიური მეურნეობა ირღვეოდა და იშლებოდა ყველა მიმართულებით, როგორც ყინულებში მომწყვდეული გემი. მთავრობის ფინანსიურმა პოლიტიკამ, რომელიც მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა ქალაღის ფულის ბეჭდვის გზით, თვით რიაბუშინსკის აღშფოთებაც კი გამოიწვია. მან ამაში დაინახა, და სავსებით სამართლიანადაც, ძველი ხელისუფლების პოლიტიკის გაგრძელება და განაცხადა, რომ ეს უკვე არავის „არ ხიბლავს“.

დაცემის გზაზე მდგომი მანეთი მრეწველობას და მთელ სახალხო მეურნეობას ახალი კრიზისის უფსკრულისაკენ უბიძგებდა. მთავრობა ეძებდა საშუალებებს ქვეყნის განსაკურნავად ფინანსიური კრახისაგან, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიფიქრა გარდა საბეჭდი დაზგის მოქმედების აჩქარებისა. სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილმა პროფესორმა ტუგან-ბარანოვსკიმ წამოა-

ყენა კაპიტალისტებისაგან იძულებითი სესხის აღების პროექტი. პროფესორმა გენჯელმა გამოიანგარიშა, რომ სესხს შეუძლია 10 მილიარდი შემოსავლის მოცემა. მაგრამ სასოწარკვეთილ მამაცების წინააღმდეგ მკვეთრად გაილაშქრა ბურჟუაზიულმა პრესამ და აიძულა ისინი გაჩუმებულიყვნენ. ფინანსთა სამინისტროში მოწვეულმა თათბირმა გაილაშქრა ასეთი სესხის წინააღმდეგ, მიუთითა რა „უამისოდაც მალალი პირდაპირი დაბეგვრის“ არსებობაზე. ჩაფუშა რა ბურჟუაზიის არაპირდაპირი დაბეგვრა სესხის სახით, იმავე ბურჟუაზიულმა პრესამ მხარი დაუჭირა მშრომელი მოსახლეობის გაძლიერებულ არაპირდაპირ დაბეგვრას. „ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“ — მეფაბრიკეებისა და მექარხნეების ორგანო — 3 აგვისტოს ხაზს უსვამდა, რომ ახალ ეტაპზე მთავარია — პირდაპირი კი არა, არამედ არაპირდაპირი გადასახადები.

„იწყება საგადასახადო რეფორმების მეორე ეტაპი, საჭიროა ენერგიულად მოვკიდოთ ხელი აქციზებსა და მონოპოლიებს. შეიძლება არაპირდაპირი გადასახადების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მაინც გიხდება მათი გადიდების გარდუვალობის აღიარება“¹.

მიუთითებდა რა კულებზე მალაზიებთან, სტატიის ავტორი ირწმუნებოდა, რომ მოსახლეობა მზადაა გადაიხადოს, „რადგან მას ბევრი თავისუფალი ფული აქვს“². ნამდვილად მოსახლეობას, რასაკვირველია. ზედმეტი ფული არ ჰქონია. მას არ ყოფნიდა პროდუქტები, და, განიცდიდნენ რა შიმშილს, მშრომელები ყველაფერს ყიდდნენ, ოღონდ თავი გადაერჩინათ აუცილებელი სიკვდილისაგან.

„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“ პირდაპირ აცხადებდა 3 აგვისტოს, რომ „არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთები გადიდებულია სრულიად არა მოსახლეობის და განსაკუთრებით მუშათა კლასის ნომინალური გადახდუნარიანობის გადიდებასთან შესაბამისად“³.

გაზეთმა მოსთხოვა მთავრობას:

„ფინანსთა სამინისტროს ყურადღება უნდა მიექცეს აქციზების მომატებას და ახალი ფისკალური მონოპოლიების შემოღებას“⁴.

მთავრობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ბურჟუაზიის ამ მოთხოვნას. „რეჩ-ში“ 6 აგვისტოს მოთავსებული იყო საუბარი ფინანსთა მინისტრ ნ. ვ. ნეკრასოვთან, რომელშიც იგი აცხადებდა: |

„გრანდიოზული ხარჯების დროს აუცილებელი ვახდება არ აპირდაპირი დაბეგვრის გაძლიერება. გარდა ამისა აუცილებელია ახალ სახელმწიფო მონოპოლიათა დაწესება: შაქრისა, ასანთისა და ჩაისა“⁵.

მოსხენებაში სახელმწიფო თათბირზე ნეკრასოვმა ფართოდ გაშალა თავისი წინადადება. პირდაპირი გადასახადების შესახებ მან სთქვა, რომ „მათ ზელუხლებლად უნდა დასტოვონ მრეწველობის სამეურნეო აპარატი“⁶, ე. ი. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მათ შემცირებაზე, ხოლო არაპირდაპირ გადასახადებზე მინისტრი სულ სხვას ამბობდა:



„კერენები“... არც ხელმოწერა მქონდათ, არც თარიღი, არც ნომერი“.

„არაპირდაპირა დაბეგერის გადიდების, სეროზულ და მნიშვნელოვანი გადიდების გარეშე, ჩვენ ამჟამად ფონს ვერ გავალთ“¹. მასთან შაქრისა და სხვათა მონოპოლიების შესახებ მინისტრი სპეციალურად განუმარტავდა ბურჟუაზიას:

„ამ ღონისძიებებს ჩვენ ვთვლით გარკვევით ფისკალურად, აუცილებლად ვთვლით მათ გატარებას შემოსავალთა უფრო სრულად და უკეთ გამოსაღებად და სრულიადაც არ ეხედავთ მათში გეგმაშეზომილ მისწრაფებას კერძო სამეურნეო ინიციატივის შესაკვეცად“².

ნეკრასოვი განზრახ უსვამდა ხაზს, რომ ფართო მოხმარების საგნების მონოპოლიები ამოცანად ისახავენ მშრომელთა და არა კაპიტალისტების შემოსავლის რეგულირებას. ეს იყო კორნილოვშინის მთელი პროგრამა ფინანსიური პოლიტიკის დარგში. „რევოლუციური დემოკრატიის“ წარმომადგენლებმა სახელმწიფო თათბირზე „სოციალისტი“ ჩხეიძის სახით დაადასტურეს არაპირდაპირი გადასახადების შესახებ მინისტრის მსჯელობის სისწორე.

მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოების მოწოდებაც ლაპარაკობდა მთელი მოსახლეობის მოზიდვაზე სეროზულ მსხვერპლთა გასაღებად. რათა აცილებული ყოფილიყო ფინანსიური კატასტროფა.

მთავრობამ ზუსტად შეასრულა ფინანსთა მინისტრის ყველა დაპირება. სექტემბერში სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა ერთდროული გადასახადის 1918 წლისათვის გადატანისა და სამშემოსავლო გადასახადის შემცირების პროექტი. მთავრობამ მთლიანად მოიწონა ეს ღონისძიებანი. ამის დამატებით თავდაცვის საგანგებო თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომ კაპიტალისტებს მისცემოდათ ავანსი ფასების მომავალი მომატების ანგარიშში. სექტემბერში შემოიღეს შაქრის მონოპოლია და ბევრად გააღიდა რკინიგზის ტარიფი. 25 სექტემბერს მთავრობის დეკლარაციაში ხაზგასმული იყო არაპირდაპირი გადასახადების გადამწყვეტი როლი და მათი გადიდების აუცილებლობა. ოქტომბრის ნახევარში ფინანსთა სამინისტრომ დაამუშავა კიდევ მთელი რიგი მონოპოლიების: ასანთის, წიქოს, ყავისა და ჩაის მონოპოლიების პროექტები. იგი არჩევდა მოხმარების მასობრივ საგნებს. მას სურდა დიდად მოეთბო ხელი მშრომელთა გაძარ-

ცვაზე ამ მონოპოლიების საშუალებით. წინათ ჩაის მონოპოლია იძლეოდა 150 — 160 მილიონ მანეთ მოგებას, ახლა კი მთავრობას სურდა მისგან მიეღო 740 მილიონი მანეთი. მთავრობა ვარაუდობდა მარტო ასანთზე გამოეწოვა ძწროშელთაგან 207 მილიონი მანეთი წმინდა მოგება.

ფასების მომატებას კაპიტალისტების მოთხოვნით მეორე მხარეც ჰქონდა — ქალაქის ფულის გამოშვების დაუსრულებლად გადადება. აპრილში გამოუშვეს 476 მილიონი მანეთის, სექტემბერში კი — 1954,4 მილიონის. ე. ი. ოთხჯერ და უფრო მეტი. ოქტომბერმა მოგვცა ქალაქის ახალი ნიშნები 1933,5 მილიონისა. დროებითი მთავრობის მიერ გამოშვებული ფული, რომელიც ცნობილია „კერენკების“ სახელწოდებით, ყველაზე უკეთ მოწმობს ბურჟუაზიის ფინანსიური პოლიტიკის ხასიათს. ქალაქის პატარა ნაგლეჯებს წარწერით — „20“ და „40“ მანეთი, არც ხელმოწერა ჰქონდათ, არც თარიღი, არც ნომერი. საბეჭდო დაზგის დაძაბული მუშაობის შედეგად აგვისტო-ოქტომბერში მანეთმა დაჰკარგა ღირებულების 37 პროცენტი. ე. ი. ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციის პირველი ხუთი თვის განმავლობაში. მუშა ხელფასად ღებულობდა „ფასდაცემულ მანეთებს“ — ფულს, რომელიც ხელში იწვოდა. ოქტომბრისათვის მანეთმა დოლართან შედარებით თავისი კურსის 53 პროცენტი დაჰკარგა. ვალუტის ფასის დაცემა „შტაპორში“ გადავიდა. მიაქანებდა რა მანეთს ქვევით მახამდე არნახული სისწრაფით. მანეთის მყიდველობითმა ძალამ ძლიეს მიაღწია 10 ომამდე კაპიკს. ქალაქის ფულის განუწყვეტელი გამოშვება აქეზებდა სპეკულაციას. საშუალებას აძლევდა რა კაპიტალისტებს შეეძინათ მილიონები. ქალაქის ნიაღვარი ყოველთვიურად ამცირებდა მუშათა რეალურ ხელფასს, არაპირდაპირ გადასახადთა ზრდა ანადგურებდა ამ ხელფასს. დროებითი მთავრობის სავადასახადო პრესი. თავს ანებებდა რა ბურჟუაზიას, უკანასკნელ ძალებს სწურავდა მასებს. მთავრობა ცდილობდა მოეხდინა ფინანსიური კრიზისის ლოკალიზაცია ქალაქის ფულის ხიაღვრით. მაგრამ როგორც ცეცხლწაკიდებული სახლის ჩაქრობა არ შეიძლება ნავით. ისე არ შეიძლებოდა ფინანსიური კრიზისიდან თავის გადაარჩენა საბეჭდო დაზგის საშუალებით. ფინანსიური კრიზისი აჩქარებდა მეურნეობის დაშლის ტემპებს. მთავრობას კატასტროფისაკენ მიჰყავდა ქვეყანა.

3.

ტრანსპორტის მოშლა.

ტრანსპორტზე, ისე როგორც მრეწველობაში, გაძლიერებულ ნგრევას უპირისპირდებოდა მხოლოდ თვით მასების რევოლუციური ინიციატივა.

ივლისის დღეების შემდეგ, განსაკუთრებით აგვისტოში, მთავრობა წავიდა რკინიგზის პროლეტარიატის წინააღმდეგ აშკარა შეტევის გზით. ახალი კურსი მდგომარეობდა „ნეკრასოვის გაზაფხულის“ ლიკვიდაციაში — ასე უწოდებდნენ იმ პერიოდს, როდესაც ტრანსპორტის მინისტრი „მემარცხენე“ კადეტ

ნეკრასოვი ჯერ კიდევ იძულებული იყო ანგარიში გაეწია მასებისათვის, — და კორნილოვშინის განხორციელებაში ტრანსპორტზე. ივლისის დღეების შემდეგ კადეტების პარტია გამოვიდა სასტიკი პროტესტით ნეკრასოვის ცნობილი ცირკულარის № 6321 წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 27 მაისს გამოცემული ეს ცირკულარი აღიარებდა პროფკავშირებს და რკინიგზის კომიტეტებს ტრანსპორტზე. მათ მინიჭებული ჰქონდათ თვით კონტროლიც კი გზათა მუშაობაზე. სწორედ ამ პერიოდს ტრანსპორტზე ეწოდა „ნეკრასოვის გაზაფხული“. კადეტებმა განაცხადეს, რომ რუსეთის რკინიგზის საქმის მიმართ გაკეთებული ცდა მარცხით დამთავრდა. საგანგებო თათბირმა ტვირთზიდვის საკითხზე მოითხოვა ცირკულარის № 6321 ლიკვიდაცია, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერება, მუშათა და მოსამსახურეთა ყველა საკონტროლო ფუნქციების გაუქმება, უფლება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა, რომელთა საფუძველზედაც დისციპლინარული სასამართლოები შეძლებდნენ დაეპატიმრებინათ დამნაშავენი და ამასთან უაღრესად სასწრაფო წესით.


რუსეთ-ამერიკის კომიტეტის სხდომაზე „უმალესი ავტორიტეტის“ „წარჩინებული უცხოელის“ სტივენსის — რუსეთში ამერიკული სარკინიგზო კომისიის თავმჯდომარის — თანდასწრებით მიუთითებდნენ:

„რკინიგზის საქმეში საჭიროა მტკიცე ძალაუფლება. მოსამსახურეთა მონაწილეობა გზის მმართველობაში დაუშვებელია“¹.

კერძო რკინიგზების თათბირმა აშკარად დაუჭირა მხარი ტრანსპორტზე შრომის რევოლუციამდელი პირობების სრულ და უექველ აღდგენას. მოსკოვის „საზოგადოებრივ მოღვაწეთა თათბირზე“ 8 აგვისტოს დღისეა რკინიგზების მილიტარიზაციის საკითხი. კერძო რკინიგზათა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. დ. ბაიდაკმა ურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ „რკინიგზებზე დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოცხადებული განსაკუთრებული წესები“².

რკინიგზების მილიტარიზაცია იყო ის „აბალი სიტყვა“, რომელიც წამოაყენა თავის პროგრამაში თვით კორნილოვმა. თავის გამოსვლის წინ გენერალი მოითხოვდა: „რკინიგზებზე გამოცხადებულ უნდა იქნას სამხედრო წესები“³.

მაგრამ მუშათა კლასის წინააღმდეგ კორნილოვური ლაშქრობის განსახორციელებლად ნეკრასოვი ბურჟუაზიას ძალზე რბილად ეჩვენებოდა. საჭირო იყო მტკიცე ადამიანი. ის აუცილებლად კადეტი ან კიდევ უფრო მემარჯვენე როდი უნდა ყოფილიყო. პირიქით, უმჯობესი იყო ისეთი „სოციალისტის“ ყოლა, რომელიც შესძლებდა ისევე პატიოსნად შეესრულებინა ბურჟუაზიის ნებისყოფა, როგორც პენშევიკები სკობელევი და ნიკიტინი ან ესერები ს. მასლოვი და ჩერნოვი. ასეთი კორნილოვი ტრანსპორტზე მოინახა. გზათა უფროსებმა წამოაყენეს ესერ ს. გ. ტანტამიშევის კანდიდატურა, სწორედ იმისი, რომელიც კორნილოვს განზრახული ჰქონდა შეეყვანა დიქტატორული მთავრობის შემადგენლობაში. ანაღმა მინისტრმა საცხებით გაამართლა ბურჟუაზიის ნდობა პირველი ნაბიჯებიდანვე. გამოვიდა რა 16 ივლისს რკინიგზათა I ყრილობაზე იმ მიზნით, რომ დაეშაქრა კორნილოვური წამლის მწარე



ტრანსპორტის წგრევა.

აბი მძიმედ დაავადებული ტრანსპორტის გასაჯანსაღებლად, მან თავისი გამო-
სვლა დაიწყო ინგლისის მუშათა არისტოკრატიის ბედნიერი ცხოვრების და-
ხასიათებით:

„რა ბედნიერებას უნდა განიცდიდეს ინგლისელი მუშა. მე შემიხედავს
მუშათა ბინებში: მუშებს აქვთ სამი ოთახი, სამზარეულო, როიალი... შორს
აღარ არის ის დრო, როდესაც რუსეთის მუშა, ინგლისის მუშის მსგავსად,
სახლში, სამი-ოთხი ოთახისაგან შემდგარ ნათელ, კულტურულ ბინაში დაბ-
რუნებისას, მოისმენს საუცხოო შინაურ კონცერტს: ქალიშვილი უკრავს
პიანინოზე, ვაჟი კი ვიოლინოზე“¹.

შემდეგ, გადავიდა რა სამოთხისებური მომავლის დასურათებისგან აწმუო-
ზე, მან ურილობას აცნობა, რომ

„გზებზე ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი ხელისუფლება მთავრობის
ხელისუფლების ორგანოებს ეკუთვნის. ამ ორგანოების განკარგულებებზე
რაიმე ჩარევა დაუშვებელია“².

კახანკის მუშებმა ამის შემდეგ ტახტამიშევს „ვიოლინო“ უწოდეს, ხოლო
დროებითი მთავრობის წევრებს — „ვიოლინისტები“. ტახტამიშევის გამოსვლამ
გამოიწვია ადმინისტრაციის ფართო ვალაშქრება კომიტეტების წინააღმდეგ:

მათ ართმეედნენ შენობებს, მათ წევრებს ერეკებოდნენ სამსახურიდან და სამართალში აძლევდნენ.

ფიცხი ესერის შემდეგ მინისტრად გახდა კადეტი პ. ნ. იურენევი. მან განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება ტახტამიშევის მოქმედებას. იურენევი შეავსო ტახტამიშევის მოქმედებათა პროგრამა თავის გამოსვლაში სრულიად რუსეთის რკინიგზათა ყრილობაზე I აგვისტოს:

„მე ვთვლი, რომ ადმინისტრაციის განმკარგულებელ მოქმედებაში იმ კერძო პირთა და ორგანიზაციათა ჩარევა, რომელთაც ამის რწმუნება არ მიუღიათ მთავრობისაგან, ჩარევა, რასაც შეაქვს ნგრევა მოძრაობაში, რასაც თან სდევს ამითიერ პასუხისმგებელ პირთა თვითნებური მოხსნა და რაც შედეგად ჰქმნის აუტანელ მდგომარეობას რკინიგზის მეურნეობის ტექნიკური ნაწილისათვის ისეთ მომენტში, რომელსაც ჩვენ ამჟამად ფონტზე განვიცდით, სამხედრო მარცხთა და სახელმწიფოსათვის უკიდურესი საფრთხის მომენტში. — ასეთ ჩარევას მე სახელმწიფო დანაშაულად ვთვლი! და მთავრობა ვალდებულია სრული ძალაუფლებით გამოეხმადურს ამგვარ ცდებს, როგორც აშკარა ანტისახელმწიფოებრივ მოვლენას“².

იურენევი გადაკრით გამოვიდა მუშათა მოთხოვნების წინააღმდეგ ხელუხასის გადიდებაზე, მოსკოვის რკინიგზის სახელმწიფოთა მუშების მოთხოვნაზე მან უპასუხა: „ფული არა გვაქვს“, და ასეთ სტანდარტულ პასუხს აძლევდა იგი ყველას.

შემთანხმებლები მთლიანად მხარს უჭერდნენ კორნილოვშინას რკინიგზებზე, სახელმწიფო თათბირზე რკინიგზელთა სახელით გამოვიდა მემარჯვენე ესერი ორეხოვი, რკინიგზელთა დამფუძნებელი ყრილობის (ივლის-აგვისტო) თავმჯდომარე და „ვიკეელის“ პირველი თავმჯდომარე — ასე ეწოდებოდა რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეების სრულიად-რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტს. ამ „სოციალისტმა“ თათბირზე განაცხადა:

„წესრიგი, მსხვერპლი და თავდაცვა — აი რისკენ მოგვიწოდებდა მთავრობა ამ დღეებში. წესრიგი, მსხვერპლი და თავდაცვა — აი რა აწერიო რკინიგზელთა სრულიად-რუსეთის კავშირის დროშაზე“².

ტრანსპორტი იყო მრავალთაგან ერთერთი „მოჯადოებული ადგილი“, სადაც დროებით მთავრობას, გოგოლის ენით რომ ვილაპარაკოთ. „ცუკვა არ გამოუღიოდა“. მინისტრები იცვლებოდნენ, ტრანსპორტი კი ძველებურად ირღვეოდა. იურენევი ლივეროვსკიმ შესცვალა. იურენევის მსგავსად იგი სოლიდარობას უცხადებდა თავისი წინამორბედის პოლიტიკას. გრძელდებოდა რეპრესიები, ხელფასის შომატებაზე უარისთქმა. ცალკე გზებზე ადმინისტრაციამ დაიწყო მუშებისა და მოსამსახურეების სასურსათო მომარაგების ჩაშლა. უაზანის რკინიგზების უფროსი ფონ-მეკი — მომავალში, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს, მანებლობის ორგანიზატორი გზებზე — აყოვნებდა საქონლის შესასყიდად საჭირო სასწრაფო კრედიტებს და ამით ცდილობდა ძირა ვამოეთხარა სასურსათო საქმისათვის. მთავრობისა და მისი აგენტების ამგვარ

მოქმედებას ადგილებზე გარდუეალად მიჰყავდა ტრანსპორტი დაშლისაკენ. ამას ხელს უწყობდა ისეთი ახალი მოვლენებიც, როგორც იყო მასობრივი დეზერტირობა ფრონტიდან, მეტომრეობის ზრდა შიმშილისა და სპეკულაციის ნიადაგზე. ივლისში ნაკლტვირთვა 200 ათას ვაგონს შეადგენდა, აგვისტოში — 248 ათასს. ცხრა თვის განმავლობაში საშუალო სადღეღამისო დატვირთვა უდრიდა 19 500 ვაგონს — 22 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე 1916 წელს. ოქტომბერში საშუალოდ ყოველდღიურად 16 627 ვაგონს ტვირთავდნენ. ე. ი. 34 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე 1916 წელს. საქმე რკინიგზებისა და, მაშასადამე, აგრეთვე ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრების სრულ დამბლას უახლოვდებოდა. ამას არც თვითონ ბურჟუაზია მალავდა. გამოჩენილმა ინჟინერმა ლანდსბერგმა ტვირთზიდვის გამო გამართული თათბირის სხდომაზე განაცხადა: „ზამთრის უახლოეს თვეებში აუცილებლად სრული კრაზი მოხდება“¹.

4.

აგრარული მოძრაობის გაშვება.

დროებითი მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ხასიათმა განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი აგრარულ საკითხში. აქ პოლიტიკა უკვე პირდაპირ იყო დაკავშირებული გენერალ კორნილოვის სახელთან.

ჯერ კიდევ ივლისის დამდეგს მიწის მესაკუთრეთა კავშირის თავმჯდომარე ნ. ნ. ლოვი მემამულეებს მოუწოდებდა „თავი დაენებებინათ პასიურობისათვის, საჭიროა წინსვლა, შეტევაზე გადასვლა“². მოწოდებას უწინარეს ყოვლისა გენერალი კორნილოვი გამოეხმაურა. გენერალმა დიდი ხნით ადრე, ვიდრე იგი „დიდ პოლიტიკაში“ შესტოპავდა, თავისი ძალა მიწის ფრონტზე სინჯა. 1917 წლის 8 ივლისს კორნილოვმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება „მოსავლის აღების წესის შესახებ“. იგი სწერდა:

„მთელი მოსავალი... მთლიანად და მოკლე ვადაში უნდა იქნას აღებული. ამიტომ აკრძალულია... ნათესების ან შეგროვილი პურის ძალით დატაცება... პურის აღებისათვის ამათუიმ გზით ხელის შეშლა“³.

იმ გლეხებს, რომლებიც ამ დადგენილებას არ დაემორჩილებოდნენ, კორნილოვი ემუქრებოდა, რომ გადასცემდა „გამასწორებელ საპატიმრო განყოფილებებში სამ წლამდე“⁴. დადგენილების განხორციელება დაუყოვნებლივ დაიწყო. კორნილოვის ბრძანების დარღვევისათვის სასამართლოს გადაეცა პოლტავის საადგილმამულო კომიტეტი. მოელოდნენ საქმეთა დიდ დაგროვებას სასამართლოებში. სამხედრო ხელისუფლებამ განკარგულება გასცა რიგს გარეშე განეხილათ ეს საქმეები. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც სასამართლო კვლევა-ძიება გლეხებს ვერ ამშვიდებდა, ურჩევდნენ სამხედრო ძალის გამოყენებას.

კორნილოვის სავალდებულო დადგენილება მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რაიონს ეხებოდა. მინისტრი-„სოციალისტები“ — ჩერნოვი, წერეთელი, პეშენოვი — შეეცადნენ გაეცრულებინათ გენერლის „კანონი“ მთელს ქვეყანაში. 16 ივლისს მიწათმოქმედების მინისტრმა ინსტრუქცია დაუგზავნა ადგილებზე საადგილმამულო კომიტეტებს. ინსტრუქციაში ჩერნოვი გლახებს ურჩევდა ეძლიათ მიწათმფლობელებისათვის საიჯარო გადასახადი მომრიგებელი კამერების მიერ განსაზღვრული რაოდენობით. ჩერნოვი იმასაც კი შესაძლებლად სცნობდა, რომ დაუმუშავებელი მიწები საადგილმამულო კომიტეტების ხელში გადასულიყო, მაგრამ... სასურსათო კომიტეტების თანხმობით. ამ არეულ-დარეულ და, როგორც მას თვითონ ესერები უწოდებდნენ, „გულკეთილ“ ინსტრუქციას გარკვეული ადგილი ეკირა სოფლის წინააღმდეგ კორნილოვის შეტევის საერთო გეგმაში. იგი ორი სხვა მინისტრ-„სოციალისტის“ — წერეთლისა და პეშენოვის კორნილოვისებური მოქმედების ლიბერალური სარჩული უნდა ყოფილიყო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა წერეთელმა ჩერნოვის ინსტრუქციის მიყოლებით 18 ივლისს გამოსცა თავისი ცირკულარი.

„მოსახლეობა აწარმოებს სხვისი მიწების დატაცებას, მოხენასა და დათესვას, მუშების მოხსნას და სოფლის მეურნეობათათვის აუტანელ ეკონომიურ მოთხოვნათა წაყენებას“¹.

უთითებდა რა იმაზე, რომ მიწის დატაცებისაკენ მოწოდება კანონების მთელი სისასტიკით უნდა ისჯებოდეს, მინისტრი წინადადებას აძლევდა საგუბერნიო კომისრებს „მიეღოთ სასწრაფო და გადამწყვეტი ღონისძიებანი ყველა თვითნებური მოქმედების აღსაკვეთად საადგილმამულო ურთიერთობათა დარგში“².

წერეთელმა კორნილოვს გაუსწრო: მინისტრი-„სოციალისტი“ „დატაცების მოწოდებასაც“ კი დაუმშველად სთვლიდა. ანალოგიური ცირკულარი გამოსცა სურსათის მინისტრმა პეშენოვმა.

დაწერილებით ჩამოსთვალა რა გლეხების ყველა „დანაშაულებრივი“ მოქმედება, მან წინადადება მისცა:

„დაუყოვნებლივ მოეღოთ ბოლო ამგვარი მოვლენებისათვის... ასეთ მოქმედებაში დანაშაულები პირთა შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასამართლო ხელისუფლებას, რათა მან აღძრას მათ წინააღმდეგ სისხლის-სამართლის დევნა“³.

მინისტრ-„სოციალისტების“ კორნილოვიური ცირკულარები დაგვირგვინდა თვით გენერალ კორნილოვის ბრძანებით, რომელიც ამ დროისათვის უმალეს მთავარსარდალი გახდა. ახალ ბრძანებაში კორნილოვმა თავისი სავალდებულო დადგენილება გააერცელა „სამხედრო მოქმედებათა ასპარეზის მთელ რაიონზე“⁴.

სახელმწიფო აპარატმა, რომელსაც კორნილოველები მართავდნენ, ყველა



საადგილმამულო კომიტეტის დაპატიმრება.

ნახ. 3. ვასილიევისა.

ეს ინსტრუქცია. ცირკულარები და ბრძანებანი შესასრულებლად მიიღო. სოფლად გაიშალა „დამტაცებელთა“ ღევნა. აქტიურად მოჰკიდეს საქმეს ხელი ესერთა საგუბერნიო კომისრებმა.

ტულის გუბერნიაში ივლისსა და აგვისტოს ნახევარში დააპატიმრეს 60-მდე საადგილმამულო კომიტეტების, გლეხთა დეპუტატების საბჭოების წევრე-ზე და „უბრალო გლეხები“, როგორც განაცხადა გუბერნიის წარმომადგენელმა მთავარი საადგილმამულო კომიტეტის მესამე სესიაზე აგვისტოში. სმოლენსკის გუბერნიაში მარტო ელნინის მაზრაში დააპატიმრეს 14 სათემო კომიტეტის წარმომადგენელი.

სრულიად-რუსეთის გლეხთა საბჭომ, რომელსაც ესერები ხელმძღვანელობდნენ, მხოლოდ იმის აღნიშვნა-ლა შესძლო, რომ „დაპატიმრებანი და რეპრესიები ფორმალურად ეყრდნობიან სასჯელთა დებულების ზოგიერთ მუხლეს“¹, რომლებიც შეტანილ იქნენ სტოლიპინის მთავრობის დროის კანონში 1905 წლის შემდეგ აგარარული მოძრაობის ჩასახშობად.

კორნილოვ-წირეთლის ცირკულარებთან ერთად სოფლად გზავნიდნენ მთავრობის ყველაზე ერთგულ ნაწილებს. ივლის-აგვისტოში 11 გუბერნიაში— ყველაზე ძლიერი აგარარული მოძრაობის კერებში (ცენტრალური შავნიად-გიანი ოლქი და შუა ვოლგა) — გლეხთა გამოსვლების შეიარაღებული ძალით ჩახშობის 22 შემთხვევა იყო. მაგრამ ეს წვეთი იყო გლეხების მღელვარებათა

ბობოქარ ზღვასთან შედარებით. მარტო ივლისში „საადგილმამულო უფლებათა დარღვევის“¹ 1122 შემთხვევა იყო. მემამულეები ხელდავდნენ, რომ საფრთხე ყოველ წუთს მოსალოდნელია და სრულიადაც არ ფიქრობდნენ გულზე ხელდაკრეფილი მსხდარიყვანენ დამფუძნებელი კრების მოლოდინში.

მემამულეები შეეცადნენ ახალ პირობებში ძველი სტოლიპინური პოლიტიკის გატარებას. სტოლიპინშიჩინა იყო მომრიგებელი კამერები, სადაც ყოველი 300 გლეხი ერთ მემამულეს უნდა დამორჩილებოდა. სტოლიპინშიჩინა იყო აგრეთვე ცდა საიჯარო ფონდის გადანაწილებისა წელმეგარ გლეხებს შორის უღარიბესი გლეხობის ხარჯზე. ასეთსავე ხასიათს ატარებდა კულაკურ მეურნეობათა დანერგვის პოლიტიკა. მიწათმფლობელთა სრულიად-რუსეთის ყრილობაზე ივლისის დამდეგს შილებულ იქნა რეზოლუცია მცირემიწიანი გლეხებისათვის სახაზინო, საუფლისწულო და კერძომფლობელური მიწების დარიგების აუცილებლობის შესახებ. დარიგება — ნათქვამი იყო შემდეგ რეზოლუციაში — კერძო საკუთრების უფლების ნიადაგზე უნდა ხდებოდესო. მიწათმფლობელები მზად იყვნენ პატარა დათმობათა საფასურით შეენარჩუნებინათ თავისი მიწა.

„მე მემამულე ვარ, — სწერდა მ. ბობოროკინი პეტროგრადის გუბერნიიდან სათათბიროს ყოფილ თავმჯდომარეს როძიანკოს. — ჩემს თავში როგორღაც ვერ დამკვიდრებულა ის აზრი, რომ მე დაეკარგო ჩემი მიწა და ისიც სრულიად წარმოუდგენელი მიზნისათვის: სოციალისტურ მოძღვრებათა ცდისათვის. დედამიწის რომელიმე ნაწილში ან თუნდაც მარსზე რომ არსებობდეს ის იდეალური წყობილება, რომლის გულისთვისაც მე წინადადებას მაძლევენ (რომ არ ვთქვა პირდაპირ — მძარცვავენ) აუნაზღაურებლად ხელი ავიღო მთელს ქონებაზე. — მაშინ ინებეთ, მე მზადა ვარ და უკანასკნელ პერანგსაც კი გავიძრობ და მიეცემ... ვუთხოვ რა მომავალს დიად ლოზუნგებს... მე როგორც ისეთი ადამიანი, რომელიც სოფელში გაზრდილა და იცნობს მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა ნამდვილ რუსულ სოფელურ ცხოვრებას. ვიტყვი: სოფელს ესაჭიროება ხელისუფლება. მტკიცე, ძლიერი, მასებსა და კანონებზე დაყრდნობილი. ჩვენი გლეხი უფიცია, უხეში, და სწორედ ამაშია ყოფილი მმართველი თავადაზნაურული კლასის დანაშაული. გლეხმა ბევრ ადგილას უკვე ხელთ იგდო მემამულური მიწა, კუსტარული დაყოფა; ასე ვთქვათ, თითქმის დამთავრებულია და ახლა საჭიროა მხოლოდ სოციალ-რევოლუციონერის გამოცდილი, მოხერხებული ხელი“².

შემდეგ მემამულე ბობოროკინმა განავითარა მიწის რეფორმის თავისი გეგმა. ის წინადადებას აძლევდა დროებით მთავრობას მიგებებოდა „გლეხთა სტიქიურ მისწრაფებებს და დამფუძნებელ კრებამდე გაენაწილებინა მემამულეთა მიწების ნაწილი „მშრომელ ხალხს“ შორის“³, რა თქმა უნდა, არა აუნაზღაურებლად, არამედ სასყიდლით. მემამულეები ცდილობდნენ შეექმნათ „მასობრივი დასაყრდენი“ სოფლად,

მიემხროთ კულაკობა. მიწის მესაკუთრეთა კავშირების ინიციატივით დაიწყო „გლეხ-მესაკუთრეთა კავშირების“ შექმნა. მათი უმრავლესობა აშკარად მიემხრო კადეტურ პროგრამას. სამხრეთ უკრაინის ერთერთი კავშირის პროგრამაში ასეც იყო ნათქვამი:

„კავშირი ფართო მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიისწრაფის რა დემოკრატიული, რესპუბლიკური წყობილების განხორციელებისაკენ იმ საფუძველზე, რომელიც აღიარებულია „სახალხო თავისუფლების“ პარტიის მიერ“¹.

შემდეგ პროგრამა გადაჭრით გმობდა „ყოველგვარ დატაცებას და საადგილმამულო უწყისობათ“ და წინადადებდა იძლეოდა „კერძო საკუთრების პრინციპის საფუძველზე“ გატარებულყო კერძომფლობელური მიწების ჩამორთმევა „სამართლიან ფასებში“.

„ძლიერ მეურნეზე“ დაყრდნობის სტოლიპინურ გეზს უმატებდნენ უიმი-სოდაც ომის მიერ ძირგამოთხრილი სოფლის მეურნეობის ნგრევის შეგნებულ პოლიტიკას. სოფლის რიაბუშინსკები ქალაქის რიაბუშინსკების კვალდაკვალ ცდილობდნენ შიმშილის გაძვალტყავებული ხელით ჩაეხრჩოთ რევოლუტცია. მემამულეები არ სთესდნენ მინდვრებს, აფუტებდნენ ნათესებს, სპობდნენ პურს, ლეტდნენ პირუტყვს. გლებთა დეპუტატების სრულიად-რუსეთის საბჭოს „იზვესტია“ ივლასის შუა რიცხვებში იტყობინებოდა, რომ მემამულე ესმონი სტარობიხოვის მაზრაში აფუტებს მის კუთვნილ ჭვავს. მილიციონერის წინადადებაზე შეეწყვიტნა გაფუტება, მემამულემ უპასუხა: „დამფუძნებელ კრებამდე, ჩემი მიწის პატრონი მე ვარ და ამიტომ, რაც მინდა იმას ვიზამო“. შეკითხვაზე, როგორ გადასწყვიტა მან ჭვავის აღება, მემამულემ უპასუხა: „ჭვავი აულბელი დარჩება მინდორში... ეს არავის არ ესაქმება, რადგან ჭვავი ჩემი კუთვნილებათაა“².

მოგილოვის გუბერნიის დელეგატმა მთავარი საადგილმამულო კომიტეტის მეორე სესიაზე განაცხადა, რომ მემამულე სიპაილო

„სისტემატურად სპობს თავის მეურნეობას. მთელ საჯიშე პირუტყვის ის ჩუმჩუმად, მალულად ჰყიდის, 12 — 14 ძროხას ყოველ დამე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ჰყიდის იმათზე, ვინც კი მოხვდება, თავის პურსა და მდლოებს აძოვებინებს“³.

საადგილმამულო გამგეობა ბალაშოვის მაზრიდან ივლისის დამლევს იტყობინებოდა, რომ

„მემამულეები თივასა და პურს არ იღებენ, ზოგჯერ სწვავენ მათ, ან პირუტყვს აძოვებინებენო“⁴.

მიწათმფლობელთა მავნებლური პოლიტიკა შესაფერ გამოხმაურებას პოულობდა გლეხობაში და უბიძგებდა მას გაეძლიერებინა ბრძოლა მემამულეებთან. სამხრეთ-რუსეთის მიწის მესაკუთრეთა კომიტეტმა დეპეშით აცნობა კერენსკის:

„დროებითი მთავრობის მიერ ანარქიის აღსაკვეთად გამოცემული კანონები და უმაღლესი მთავარსარდლის ამა წლის 31 ივლისის ბრძანება ს რ უ-

ლიად უგულე ბე ლყოფილია, სოფელი კი ცხოვრობს და მოქმედებს ადგილობრივი, თვითნებური ორგანიზაციების დადგენილებით... ამგვარი მდგომარეობა მიგვიყვანს სოფლის მეურნეობის სრულ დანგრევამდე ყველა მისი დამლუპველი შედეგებით. მიწის მესაკუთრეთა კავშირის მთავარი კომიტეტი სთხოვს დროებით მთავრობას სახელმწიფო ინტერესებისათვის დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები საადგილმამულო კომიტეტების კატასტროფიულად მავნებლური მოქმედების აღსაკვეთად... და მიწათმფლობელთა პიროვნების და ქონების დასაცავად“⁴.

სოფლად არსებული მდგომარეობის ეს დახასიათება მოცემული იყო სამი დღით ადრე კორნილოვის გამოსვლამდე. ახლა უკვე ლაპარაკი იყო არა მართო მიწის შესახებ. საჭირო იყო მემამულის სიცოცხლისა და მთელი მისი ქონების დაცვა. ამ ამოცანისათვის თავის გართმევა შეეძლო მხოლოდ კორნილოვურ პოლიტიკას, რომელიც მთავრობამ ივლისში დაიწყო.

რვა სექტემბერს მთავრობამ დაადგინა საადგილმამულო და სასურსათო კომიტეტები დაემორჩილებინა ადმინისტრატიული საქმეების სასამართლოებისათვის. გლეხთა ორგანიზაციები კვლავ ადმინისტრაციულ აპარატში მჯდომ მემამულის ჩექმებ ქვეშ აღმოჩნდნენ. იმავე დღეს, 8 სექტემბერს, კორნილოვზე „გამარჯვებული“ დირექტორიის თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარსარდალი კერენსკი დაჩქარდა. რომ დაემტკიცებინა თავისი ერთგულება დამარცხებული გენერლისადმი. კორნილოვის 31 ივლისის ბრძანების დამატებით და შის დასადასტურებლად კერენსკიმ გამოსცა ბრძანება № 911. ახალმა უმაღლესმა მთავარსარდალმა, მოკლებულმა ყოველგვარ პრეტენზიას ორიგინალობაზე, სიტყვა-სიტყვით გაიმეორა კორნილოვის ბრძანება.

„უცელობლად ვკრძალავ. — სწერდა კერენსკი, — ნათესებისა ან შეგროვილი პურის ძალით დატაცებას... ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის ძალით, არაკანონიერი გზით ჩამორთმევას...“⁵

ამასთან ერთად მთავრობა განაგრძობდა გლეხობის მოტყუების თავის ქველ პოლიტიკას. „გლეხური მინისტრი“ ჩერნოვი ესერმა სიმონ მასლოვმა შესცვალა. უკანასკნელის მოგვარემ პეტრე მასლოვმა, მენშევიკურმა თეორეტიკოსმა აგრარულ საკითხში, სასწრაფოდ შეაჯამა ჩერნოვის მოღვაწეობა.

„გლეხური პოლიტიკა... — სწერდა იგი გაზეთ „დენში“, — ბოლოსდაბოლოს საზიანოა იმავე გლეხებისათვის... როგორც სჩანს, დროებითი მთავრობა რამოდენიმედ არბილებდა და ანეიტრალებდა მიწათმოქმედების სამინისტროს ღონისძიებათა პარტიულ ხასიათს. ამ შერბილების მეოხებით ჩერნოვის გონივრულ მოქნილობასთან ერთად მიწათმოქმედების სამინისტროს მოღვაწეობას ცუდი შედეგები არ მოყოლია...“⁶.

ამ შეფასებაში მდგომარეობდა ესერულ-მენშევიკური ბლოკის მთელი პროგრამა. და თუ თვით ოქტომბრის რევოლუციამდე მემამულეებს ჯერ კიდევ არ ეგრძნოთ გლეხთა მოძრაობის ნამდვილი „ცუდი შედეგები“, ეს მხო-

ლოდდამხოლოდ ესერებისა და მენშევიკების „გონივრული მოქნილობის“ მე-
ოხებით.

განაგრძობდა რა გლეხობის მოტყუების პოლიტიკას, მთავრობამ თავის
27 სექტემბრის დეკლარაციაში განაცხადა, რომ

„საადგილმამულო ურთიერთობათა უშუალოდ მოგვარება უნდა დაე-
კისროს საადგილმამულო კომიტეტებს, რომელთა გამგებლობაში იმ წე-
სით. რაც დაწესებულ უნდა იქნას განსაკუთრებული კანონით, მაგრამ
მიწათმფლობელობის არსებული ფორმების დაურღვეველად, შეიძლება
გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები... სახალხო მეურნე-
ობის გადასარჩენად საბოლოო ნგრევისაგან“¹.


ეს დეკლარაცია წარმოადგენდა მომზადებას კერენსკის მოხერხებული მა-
ნევრისათვის. მანუერი იმაში მდგომარეობდა, რომ მზარდი გლეხური აჯანყე-
ბის პირობებში „სახალხო“, ე. ი. მემამულური მეურნეობის გადაარჩენა „მი-
წათმოქმედების არსებული ფორმების დაურღვეველად“ შესაძლებელი იყო
მხოლოდ მემამულეთა ბუდეების გადაცემით საგუბერნიო კომიტეტების გამ-
გებლობაში. საგუბერნიო კომიტეტებს მეთაურობდნენ და ხელმძღვანელობდ-
ნენ მემამულეები. ასეთი მანუერის წარმატების შემთხვევაში მიწა ერთგულ
ხელში ჩაყარდებოდა. მაგრამ მემამულეები საგუბერნიო კომიტეტებშიაც ძა-
ლიან მტკიცედ ვერ გრძნობდნენ თავს. ვიდრე ამ სახიფათო ნაბიჯს გადას-
დგამდა, დროებითა მთავრობამ ხელი მოჰკიდა „ადგილზე ძალაუფლების“
განმტკიცებას. 29 სექტემბრის სხდომაზე მთავრობამ აღიარა, რომ

„აუცილებელია იმ გუბერნიებში, სადაც ადგილი აქვს აგრარულ უწყე-
რობათ, შეიქმნას განსაკუთრებული კომიტეტები, რომელთაც დაევალებათ
დაუყოვნებლივი ღონისძიებების მიღება ადგილებზე წამოკრილ გაუგებ-
რობათა ლიკვიდაციისათვის და წესრიგისა და კანონების დაცვა საადგილ-
მამულო ურთიერთობათა სფეროში“².

გადაწყვეტილების მეორე პუნქტი განსაზღვრავდა ამ „განსაკუთრებული
კომიტეტების“ შემადგენლობას. ამ საველე საადგილმამულო სასამართლოებში-
შედოიდან ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და
„ადგილობრივი საზოგადოებრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები,
რომლებთაც უშუალო კავშირი აქვთ საადგილმამულო ურთიერთობის სა-
კითხებთან“³.

„უშუალო კავშირი“ მიწასთან ჰქონდათ, რასაკვირველია, მხოლოდ მემამ-
ულეებს. მათ უვდებდნენ ხელში „განსაკუთრებულ“ კომიტეტებს, როგორც
გლეხობასთან ანგარიშის გასწორების საშუალებას. საგუბერნიო კომისრებს და
სამხედრო ხელისუფალთ მიცემული ჰქონდათ მითითება ემოქმედნათ განსაკუთ-
რებულ კომიტეტებთან თანხმობით და არ მორიდებოდნენ შეიარაღებული ძა-
ლის გამოყენებას უწესობათა ჩასაქრობად.

მანქანა ამუშავდა. დროებითი მთავრობა სექტემბერ-ოქტომბერში სულ
უფროდაუფრო ხშირად მიმართავდა შეიარაღებულ ძალას გლეხთა მოძრაო-
ბის წინააღმდეგ. მარტ-ივნისში აჯანყებათა შეიარაღებული ჩახშობის 17



დროებითი მთავრობის ანგარიშის გასწორება იმ გლეხებთან, რომლებიც კლდ-ლობდნენ ხელში ჩაეგდოთ მემამულეთა მიწები.

ნახ. დ. შმარინოვისა.

შემთხვევა იყო. ივლის-აგვისტოში — 39. სექტემბერ-ოქტომბერში — 105. მემამულეთა ერთ ნაწილს ილუზიებიც კი დაებადა, რომ კერენსკი, მგონი, მაგრდებაო. „ალბათ, ძლიერია“, რახან შეიარაღებული ძალით უსწორდება გლეხებსო. ყველაზე მშფოთარე რაიონებში შემოიღეს საშხედრო წესები. ტამბოვის გუბერნიაში გაიგზავნა რაზმი კაპიტან შირონოვიჩის მეთაურობით. რაზმს თან ახლდა მოსკოვიდან ჩამოსული სასამართლო პალატის პროკურორი ა. ფ. სტალი, გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტის წევრი. თუ რა ძნელი იყო ამ უაუბატონებისათვის გლეხთა „დაწყნარება“—მოწმობენ ის საშუალებანი, რომლებთაც ისინი მიმართავდნენ. სოფლად გზავნიდნენ კავალერიას, კაზაკებს და... ჯავშნოსნებს. გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტის წევრის მიერ ჩამოტანილ ჯავშნოსნებს ამოფარებულმა მემამულეებმა თავი წამოაყვეს. ტამბოვის საგანგებო საგუბერნიო თავიდანაწაურულმა კრებამ მოითხოვა დატაცებული მიწის დაბრუნება, საიჯარო ფასის მომატება და; რაც მთავარია, გადამწყვეტი მოქმედებანი.

სექტემბერში ყაზანის გუბერნიაში გაიგზავნა 2775 კაცამდე. მაგრამ ადგილებიდან რტყობინებოდნენ:

„ზოგიერთი კომანდები სრულიად გამოუსადეგარია: მაგალითად, კოზმოდემიანსკის მაზრაში ქალების გამოსვლისას ჯარისკაცები გაიქცნენ“².

სამსახურზე უარს ამბობდა ბურჯუაზიის ყველაზე ერთგული ძალა, რომელიც ძველი წყობილებიდან კერენსკისაკენ გადავიდა.

„გრესკის თემში, — იტყობინებიან ოქტომბერში მინსკის გუბერნიიდან, — წესრიგის დასამყარებლად მივლინებული კაზაკები გაიქცნენ იმის გამო, რომ მათ გლეხები ქვით ჩაქოლვას დაემუქრნენ“³.

იქ კი, სადაც ხერხდებოდა გარეგნული წესრიგის დამყარება დახვერტების საშუალებით, მდგომარეობა მეტად დაძაბული რჩებოდა.

„ვიდრე საქმე ეხება საერთო ხასიათის საქმეებს, — აღნიშნავდა „რუსსკიე ვედომოსტი“, როდესაც ახასიათებდა მდგომარეობას სოფლად, — გლეხები თავშეკავებულნი, მშვიდნი არიან, ყურადღებით უსმენენ, მაგრამ როგორც კი ორატორი შეეხება ადგილობრივ საკითხს, სიმშვიდე და თავშეკავება მყისვე ქრება“⁴.

შეძაბულეთა ილუზიები ჩქარა გაიფანტა. ვერ შესძლო რა გლეხთა მოძრაობის ჩაქრობა ივლის-აგვისტოში, მთავრობა უძლური აღმოჩნდა გლეხთა აჯანყების წინაშე სექტემბერ-ოქტომბერში. ამ პირობებში მემამულეები იძულებულნი იყვნენ მიემართნათ სახიფათო მანევრისათვის — ესინჯათ შეექმნათ ისეთი მოჩვენებითი მდგომარეობა, თითქოს მათი მიწა გლეხებს გადაეცა. საჭირო იყო იმის ცდა, რომ მიწა გადასცემოდა ნახევრად-მემამულურ (ესერულ) კომიტეტებს და ამრიგად შეენარჩუნებინათ თავისი ძალის საფუძველი და გაენადგურებინათ გლეხთა აჯანყება.

სარატოვის გუბერნიის სათემო, სამაზრო და საგუბერნიო ერობათა თავშეჯდომარე 5 ოქტომბერს დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

„ერთადერთ ზომას, რომელსაც შეუძლია უწყსოებათა განვითარების შეჩერება, წარმოადგენს მემამულეთა მიწების მთლად გადაცემა საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში“⁵.

ცამეტ ოქტომბერს დროებითი მთავრობის ნიჟეგოროდის გუბერნიის კომისარი საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტთან და ესერების პარტიის კომიტეტთან ერთად დეპეშით მოითხოვდა, რომ მთელი მიწა გადასცემოდა კომიტეტებს „კულტურულ მეთურეობათა ჯადარჩენისა და მოსახლეობის დამშვიდების გულისათვის“⁶. მსგავსად იმისა, როგორც წინა ეტაპზე გლეხებს ატყუებდნენ ესერთა დაპირებებით, ჩერნოვის სიტყვებით, ისე ახლაც ეს საპატიო ამოცანა დაეკისრა მიწათმოქმედების ახალ მინისტრს მემარჯვენე ესერ ს. მასლოვს. ჯერ კიდევ ივლისში მასლოვმა არაჩვეულებრივი სამინისტრო ნიჟი გამოიჩინა. მთავარ საადგილმამულო კომიტეტის მეორე სესიაზე გამოსვლისას მან იმდენი მოახერხა, რომ, იცავდა რა მემამულეთა ინტერესებს, სხვადასხვა კლასთა ინტერესებზე „მალა“ დადგა.

„ეს მოითხოვს იმას, — ამბობდა მომავალი მინისტრი, — რომ ადგილებზე

ყველა საადგილმამულო ურთიერთობაზე მალა დადგეს რომელიღაც უმაღლესი ორგანო, რომელიღაც უმაღლესი სამართალი, უმაღლესი ნორმა, რომელიც, ერთი მხრით, ხელში ჩაიკერდა მემამულეებს, მეორე მხრით კი — გლეხებს და მოაწესრიგებდა მათ ურთიერთ დამოკიდებულებას“¹.

ასეთი მინისტრი პირდაპირ განძი იყო მემამულეებისათვის. შესცვალა რა ჩერნოვი, ს. მასლოვმა მაშინვე განაცხადა, რომ იგი თავისი წინამორბედის ხაზს გახაგრძობს. ოქტომბრის პირველ ნახევარში ნაყოფიერმა და ენერგიულმა მინისტრმა მთავრობას წარუდგინა მთელი რიგი პროექტები: საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების, საიჯარო ფონდის, საიჯარო ხელშეკრულებათა გამო წამოქრილი დავისა და სხვ. შესახებ. კანონები „დროულად“ წარედგინა მთავრობას.

მიწის მესაკუთრეთა კავშირის მთავარმა საბჭომ თავის 1 ოქტომბრის სხდომაზე საგუბერნიო ორგანიზაციათა 25 წარმომადგენლის თანდასწრებით მკაფიოდ დაახასიათა მდგომარეობა ადგილებზე:

„აგრარული უწყსობანი ედება ჩვენი ქვეყნის სულ უფროდაუფრო მეტ ნაწილს, ისინი ღებულობენ სულ უფროდაუფრო ველურ გამანადგურებელ ხასიათს, მათ სულ უფროდაუფრო ხშირად სდევს ძალდატანება და მკვლელობანი, მიწათმფლობელებთან ერთად უწყსობათა მსხვერპლი ხდება გლეხობის მთელი ყველაზე უფრო შეძლებული ნაწილი. რუსეთის სოფელი იღუპება მატერიალურად, იღუპება ზნეობრივად და სულიერად“².

ამ გავარეარებულ ატმოსფერაში მასლოვის პროექტებს უფრო მეტი ყურადღებით მოეპყრნენ, ვიდრე ჩერნოვისას. მიწათმოქმედების უკანასკნელმა მინისტრმა კიდევ უფრო მეტი მოქნილობა გამოიჩინა, ვიდრე „მოქნილმა“ ჩერნოვმა. 16 ოქტომბერს მასლოვმა მთავარი საადგილმამულო კომიტეტის დახურულ სხდომაზე მოახსენა თავის პროექტი კანონისა მიწის გადაცემის შესახებ საადგილმამულო კომიტეტებისათვის დამფუძნებელ კრებამდე. პროექტით საადგილმამულო კომიტეტებთან იქმნებოდა განსაკუთრებული საიჯარო ფონდი, სადაც გადადიოდა სახელმწიფო და სამონასტრო მიწები. მემამულეთა მიწებიდან მათ გადაეცემოდათ მხოლოდ ის მიწები, რომლებსაც წინათ მფლობელნი საიჯაროდ იძლეოდნენ, ამასთან უკანასკნელნი საიჯარო ფასს ღებულობდნენ. მართალია, მემამულეებს გარდა ამისა ურჩევდნენ ნებაყოფლობით გადაეცათ მიწები საიჯარო ფონდში.

ლენინი ასე ამხილებდა ამ კანონს:

„ეს მემამულური მიწის კონფისკაცია კი არ არის, არამედ მისი განმეტკიცება... კადეტები ისეთ სახეს გვიჩვენებენ, თითქოს ესერების პროექტი არაჩვეულებრივად „რევოლუციური“ იყოს, და ყველა ბურჟუაზიულ გაზეთში ატეხილია ხმაურობა პროექტის წინააღმდეგ... ყველაფერი ეს — კომედიაა, თამაში, მოვაპრის შევაპრება, რომელიც ხედავს ესერთა უხასიათობას და იმედი აქვს უფრო მეტი მიიღოს შევაპრებით. ნამდვილად ს. ლ. მასლოვის პროექტი „მემამულური“ პროექტია, დაწერილი მემამ-

მუღებთან შეთანხმების გ უ ლ ი ს ა თ ე ი ს, მათი გადარჩენის გ უ ლ ი ს ა თ ე ი ს¹.

ჩვიდმეტ ოქტომბერს მთავრობამ აუცილებლად სცნო პროექტის დამატებით დამუშავება და იგი განსაკუთრებულ კომისიას გადასცა. კომისიამ კიდევ უფრო შეკვეცა პროექტი. იგი კვლავ განიხილეს დროებითი მთავრობის 24 ოქტომბრის სხდომაზე.

შემამულეთა და ბურჟუაზიის გადარჩენა უკვე აღარ შეეძლოთ არც კერენსკის, არც მასლოვის მიუხედავად კადეტების ყველა ოსტატური ცდისა. აგრარული საკითხი გადაუქრელი დარჩა, მსგავსად იმისა, როგორც გადაუქრელი დარჩა შრეწველობის რეგულირებისა და ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

5.

შიშვლილი ახლოვდება.

ქალაქების სურსათით მომარაგება ყოველდღიურად უარესდებოდა. პეშეხოვოვის მოღვაწეობის ოთხი თვის განმავლობაში რკინიგზებზე პროდუქტების დატვირთვა საზოგადოდ სამჯერ შემცირდა, ხოლო სურსათის დატვირთვა ორნახევარჯერ. სასურსათო სამინისტრო თითქმის არაფერს არ აკეთებდა.

„კატასტროფასთან ბრძოლა, — სწერდა ლენინი, — დაიწყეს თვითნებურად შექმნილმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, მომარაგების ყოველგვარი სახის კომიტეტებმა, სასურსათო კომიტეტებმა...“²

მემამულეები და კულაკები ყოველი მხრიდან უტევენენ პურის მონოპოლიას. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და უწინარეს ყოვლისა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების დედაქალაქის საბჭოები მოითხოვენენ მთავრობისაგან პურის სპეკულანტებისათვის სასტიკი წინააღმდეგობის გაწევას. მაგრამ „სახალხო სოციალისტი“ პეშეხოვოვი არავითარ ზომებს არ ლებულობდა. საერთოსახელმწიფოებრივი სასურსათო კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საკითხზე „დროებითი ნამატის დაწესების შესახებ იმ კრედიტების ანგარიშში დამზადებული პროდუქტების ფასზე, რომელიც ეძლეოდა სასურსათო სამინისტროს დროებითი მთავრობის 1917 წლის 19 მაისის დადგენილებით“³. სასურსათო კომიტეტმა ერთხმად გადასწყვიტა დაეწესებინა დროებით ყველა პროდუქტების ფასზე ნამატი 7 პროცენტის რაოდენობით. რასაკვირველია, 7 პროცენტი საგრძნობად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 100 პროცენტით ნამატი, რაც მთავრობამ მოაზდინა. მაგრამ 7 პროცენტიც ჰქმნიდა მტკიცე ფასებში გარღვევას, რაც შეიძლებოდა გაფართოებულყო სასურველ ფარგლებამდე. მას აძლევდნენ რა 7 პროცენტს, დემოკრატიის წარმომადგენლები თავისი ხელით ეხმარებოდნენ მთავრობას მტკიცე ფასების დარღვევაში.

მაგრამ, როდესაც მთავრობამ გააუქმა მტკიცე ფასები, პეშეხოვოვი გადადგამან მიუთითა იმაზე, რომ ეს ღონისძიება ორი მილიარდით გაადიდებს სახელ-

მწიფოს ხარჯებს. პეშეხონოვი შესცვალეს ვაჭრობისა და მრეწველობის ყოფილი მინისტრით პროკოპოვიჩით, როგორც უფრო შეუპოვარი ადამიანით მუშებთან ბრძოლაში. ბურჟუაზიის წარმომადგენელმა როხოვიჩმა, ადარებდა რა პროკოპოვიჩსა და პეშეხონოვს, შემდეგი დახასიათება მისცა მას:

„და შეიძლება წარმოიდგინოთ მდგომარეობა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრისა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას ქვეყანაში, როდესაც მის გვერდით მთავრობის მეორე წევრი (ლაპარაკია პეშეხონოვზე. რ. ე. დ.) იბრძვის და ზომებს იღებს ვაჭრობის სრული მოსპობისათვის“¹.

პროკოპოვიჩი ვაჭრობის თავისუფლების მომხრე იყო და მისაღები კანდიდატი იყო პურის მონოპოლიის ლიკვიდაციისათვის.

ესერები და მენშევიკები, ისე როგორც მათ მიერ წამოყენებული პეშეხონოვი, მხოლოდ სიტყვით ებრძოდნენ მთავრობის შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ. ნაცვლად იმისა, რომ მიემართნად მასებისადმი კერენსკის სამართალში მიცემის მოთხოვნით, ისინი უნაყოფო ლაყბობით დაკმაყოფილდნენ. ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა მათი პოზიცია:

„მთავრობა არღვევს კანონს, იღებს რა ისეთ ზომას მდიდრებისა, მემამულეებისა და კაპიტალისტების საამებლად. რომელიც ლ უ პ ა ე ს კონტროლის მთელ საქმეს — სურსათისა და უღირსად შერყეული ფინანსების გაჯანსაღების საქმეს, — ესერები და მენშევიკები კი განაგრძობენ ლაპარაკს სავაჭრო-სამრეწველო წრეებთან შეთანხმებაზე, განაგრძობენ სიარულს თათბირებზე ტერეშჩენკოსთან, კერენსკის დაზოგვას და კმაყოფილდებიან პროტესტის ცარიელი რეზოლუციით, რასაც მთავრობა უღირსად გულმშვიდად დებს მაუღს ქვეშ!“²

პურის ფასის გაორკეცება წარმოადგენდა გვიანტურ გადასახადს მშრომელთათვის. კალმის ერთი მოსმით მთავრობამ მუშებისა და ღარიბი გლეხობის ზარჯზე აჩუქა მემამულეებს და კულაკებს ორი მილიარდი მანეთი. პურის ფასის გაორკეცებამ ნიადაგი გამოაცალა დამზადებებს, ხელები გაუხსნა სპეკულანტებს, კიდევ უფრო არივ-დარია ფინანსები, გააძლიერა შიმშილი და ნგრევა. სექტემბერში პრესა აღნიშნავდა:

„ამჟამად იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საფაბრიკო წარმოების ფასები ერთმანეთს არ შეესაბამება, პროვინციაში გაძლიერებული სპეკულაცია სწარმოებს. გლეხები, ნაცვლად იმისა, რომ პური ბაზარზე გაიტანონ და გაჰყიდონ იგი დაწესებულ მტკიცე ფასებში, ტვირთავენ მით ტომრებს და ყოველგვარი სიმართლითა და ტყუილით ბარგის სახით მიაქვთ პური უფრო მსხვილ ქალაქებში და უფრო მაღალ ფასებში ასაღებენ. მატარებლებსა და რკინიგზის სადგურებზე თქვენ ხედავთ ტომრებით გადატვირთულ სპეკულანტებს, რომლებიც ჯარისკაცების ან პირდაპირ გარეშე პირთა დახმარებით ჰყრიან პურით გატენილ ტომრებს ვაგონებსა თუ ტელეუშეებში მსხვილ ქალაქებში გასაყიდად“³.

არყის გამოხდა გავრცელდა ყველა გუბერნიაში, რაც სასურსათო სამინისტროს აღიარებით „გასაოცარი რაოდენობით“ ანადგურებდა პურს, სპეკულაციამ თავისი ფრონტი გააფართოვა. ბურჟუაზიული მოღვაწე კონდრატიევი სწერდა:

„მტკიცე ფასები გაორკეცებულ იქნა... მაგრამ მიუხედავად ამისა თავისუფალი ფასების სწრაფი ზრდის გამო მტკიცე ფასები და ნიხრი დიდად ჩამორჩებიან მათ“¹.

ფასების გაორკეცებამ გააძლიერა არა მარტო პურის სპეკულაცია, არამედ ხელიც შეუწყო ფასების მატებას საზოგადოდ. „პურის ფასის 100 პროცენტით გადიდება განსაკვიფრებელი მოქმედება იქონია: კვების ზოგიერთი პროდუქტის ფასმა ორჯერ იმატა“², იტყობინებოდნენ თავრიდის გუბერნიიდან.

„შესამჩნევი ხდება ტენდენცია ფასების ზრდისა ისეთ პროდუქტებზე, რომლებსაც მეტრსმეტად შორეული დამოკიდებულება აქვთ პურთან“³, იტყობინებოდნენ ხერსონიდან. ხარკვიდან იტყობინებოდნენ: „ეკონომიურად ძლიერ გლახობას ფასების ახალი მომატების იმედი აქვს. რწმენა მთავრობის მტკიცე სასურსათო პოლიტიკისადმი დარღვეულია“⁴. მას შემდეგ, რაც მთავრობამ ერთხელ გააღიდა ფასები, პურის მფლობელნი დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი კიდევ გააღიდა ფასებს. დაიწყეს პურის — „ყველა ვალუტათა ვალუტის“ — შემონახვა. პურის დამზადების საბოტაჟი სულ ახალ-ახალ ფორმებს პოულობდა: მარცვალს მალავდნენ, აფუჭებდნენ, მავნებლურად ამუშავებდნენ მინდვრებს მოჰავალი მოსავლისათვის. მთავრობის ემისარი, რომელიც ორიოლის გუბერნიაში მუშაობდა, იტყობინებოდა — დანაგვიანებულ მინდვრებზე სთესენ, უხეიროდ ხნავენ, ნაკელი არ გააქეთო. მოგილვეის გუბერნიიდან სასურსათო სამინისტროს სწერდნენ — მესამულეებმა აშკარად ყალბი ციფრები უჩვენეს პურის მარაგის შესახებ, ერთი მათგანი მხილებულ იქნა 10 ათასი ფუთი პურის გადამალვაში. პურს მალავდნენ, რომ სპეკულაცია გაეწიათ, სპობდნენ, რათა არ მიეცათ იგი ქალაქის მშრომლებისათვის.

ახლოვდებოდა მშვიერი ზამთარი. ყველგან შეამცირეს გასაცემი ნორმები. სასურსათო უწყსობანი დნებრიდან ამურამდე გავრცელდა.

რესპუბლიკის საბჭოს სხდომაზე 16 ოქტომბერს სასურსათო მინისტრი პროკოპოვიჩი, აჯამებდა რა თავისი თვენახევრის მოღვაწეობას, ტრახანობდა, რომ ფასების გაორკეცებამ დამზადებათა გაუმჯობესება გამოიწვიაო. ნამდვილად ეს არ მომხდარა. „მტკიცე ფასების გაორკეცებამ არ გააძლიერა შემოზიდვა“⁵, იტყობინებოდნენ ასტრახანიდან. „მონარების პროდუქტების შემოზიდვა ორ მესამედამდე შემცირდა“⁶, იტყობინებოდნენ კურსკიდან. „მტკიცე ფასების გაორკეცების შემდეგ პურის დატვირთა შემცირდა“⁷, დეპეშით იტყობინებოდნენ ტულადან. ასე გამოიყურებოდა ნამდვილად პროკოპოვიჩის „მიღწევა“⁸. დამზადებათა საერთო ციფრები ადასტურებდა ამ ცნობებს და აბათილებდა პროკოპოვიჩის ყალბ დასკვნებს. პურის დამზადებათა სექტემბრის გეგმა ჩაიშალა, ვინაიდან იგი შესრულდა მხოლოდ 31,3 პროცენტით, თუმცა დამზადებული იყო 46,73 მილიონი ფუთი ნაცვლად 19,76 მილიონი ფუთისა



შიმშილი ახლოვდება.

ნახ. ი. ვლადიმეროვისა.

აგვისტოში. მაგრამ ეს იყო დამზადებათა ჩვეულებრივი სეზონური ზრდა. ამასთან მემამულეები, რომელთაც მამულების დარბევის ეზინოდათ, ჩქარობდნენ გაესაღებინათ პური. ოქტომბერში გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 19 პროცენტით: სულ დაამზადეს 27,38 მილიონი ფუთი პური 48,95 მილიონის ნაცვლად 1916 წლის ოქტომბერში. ციფრები აშკარად აბათილებდნენ პროკოპოვიჩს.

დამზადებათა სიძნელეები იზრდებოდა, სასურსათო სამინისტროც კი იძულებული იყო გაეკეთებინა დასკვნა:

„პურის იძულებითი ჩამორთმევის სისტემა... კვლავ რჩება პურის მონოპოლიის განხორციელების ყველაზე ნამდვილ საშუალებად“¹.

სულ უფრო ხშირდებოდა სამხედრო ნაწილების გზაენა პურის დასამზადებლად. გაუარესება სასურსათო ფრონტზე იმდენად ცხადი იყო, რომ თვით არარეკლუციურმა ორგანიზაციებმა ადგილებზე მოითხოვეს ძველი მდგომარეობისადმი დაბრუნება. ენისეის გუბერნიის საზოგადოებრივი ორგანიზაციები შუამდგომლობდნენ ფასების გამაორკეცებელი განკარგულებების გაუქმების შესახებ. ვინაიდან ამ გუბერნიაში ამის საჭიროება არ არსებობდა. ომსკიდან იტყობინებოდნენ: „სასურსათო სამმართველო პროტესტს აცხადებს მტკიცე ფასების მოულოდნელი, მიზანშეუწონელი მომატების წინააღმდეგ“². ხერსონის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი მიუთითებდა, რომ ეს არის „უგნურო ღონისძიება. რომელიც ვერავითარ გამართლებას ვერ პოულობს“³.

იყო ორგანიზაციები. რომლებიც არამც თუ პროტესტს აცხადებდნენ. არამედ საბოტაჟსაც კი უწყევდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას. ასტრახანის „რევოლუციის ხსნის კომიტეტმა“ დაადგინა: „პური ძველ ფასებში გაიყიდოსო“⁴. 25 გუბერნიიდან 13 გუბერნიის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამათუიშ ფორმით წინააღმდეგნი იყენენ ფასების მომატებასა.

ხელისუფლების სათავეში მდგომნი შიშმა მოიცვა. 10 ოქტომბერს დროებით მთავრობასთან არსებულ თავდაცვის კომისიის დახურულ სხდომაზე არძიაში შიმშილობის გამწვავებასთან დაკავშირებით თვითონ გენერალმა დუხოვნიმა დააყენა საკითხი „არძიის რიცხვობრივი შემადგენლობის შემცირების შესახებ“⁵. მთავრობა მიმართავდა ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც აჩქარებდნენ კრახს. სექტემბრის დამლევს სასურსათო მინისტრმა დაგზავნა ცირკულარი პურის რეკვიზიციის შესახებ. იგი იმუქრებოდა, რომ მთავრობის სასურსათო პოლიტიკის ჩამშლელთა წინააღმდეგ გამოიყენებდა სამხედრო ძალას. მაგრამ ეს მუქარა მიმართული იყო მხოლოდ მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ. მემამულეებისა და კულაკების მიმართ, რომლებიც მალავდნენ და ანადგურებდნენ პურს, ეწყოდნენ რა პურით სპეკულაციას, ზემოქმედების არავითარ სხვა ზომას არ მიმართავდნენ, გარდა რჩევისა. მემამულეებს არწმუნებდნენ, ხოლო გლეხებს აიძულებდნენ ჩაებარებინათ პურა.

იმ ორგანიზაციებს, რომელთაც შეეძლოთ დახმარებოდნენ მთავრობას შიმშილობასთან ბრძოლაში, სრულიად არ ალებინებდნენ მონაწილეობას სასურსათო მუშაობაში. პროკოპოვიჩმა ჯერ კიდევ სექტემბრის დამდეგს დახურულად გამოაცხადა საერთო-სახელმწიფოებრივი სასურსათო კომიტეტის სესია, სრულიად არ გაუწია რა ანგარიში მისი წევრების სურვილს. და განაცხადა, რომ სხდომა გაიხსნება მხოლოდ მისი პირადი მოგზაურობის შემდეგ რუსეთში. „ნოვოია ეიზნი“ 5 ოქტომბერს გამოქვეყნდა საინტერესო წერილი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაციისა, რომელიც აცხადებდა:

„სასურსათო სამინისტროს პოლიტიკაში დელეგაცია ხედავს კანონის პირდაპირ დარღვევათა გარდა საერთო-სახელმწიფოებრივი სასურსათო კო-

მიტეტის სისტემატურ ჩამოცილებას გავლენისაგან სასურსათო საქმის მდგომარეობაზე, იმ კომიტეტისა, რომელიც რევოლუციური დემოკრატიისა და საზოგადოებრივი ჯგუფების აზრთა გამომხატველია. ამ პოლიტიკაში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია ხედავს დაბრუნებას ძველი რეჟიმის უცუდეს დროისადმი, როდესაც უგულებელყოფილი იყო საზოგადოებრივი ძალები და საზოგადოებრივი თვითმოქმედება“¹.

მენშევიკები და ესერებიც კი „აჯანყდნენ“. მთავრობამ გადასწყვიტა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველგვარი კომიტეტების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად ბიუროკრატიულ რწმუნებულთა დანიშვნა. ეს იყო პროკოპოვიჩის უკანასკნელი საშუალება შიმშილობასთან ბრძოლაში. იგი ნათელყოფდა მთავრობის გალაშქრებას მუშათა კლასის წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის წინ. მთავრობას სურდა პურის დამზადება რეაქციონერების ხელით.

რესპუბლიკის საბჭოს 16 ოქტომბრის სხდომაზე პროკოპოვიჩმა განაცხადა:

„ჩვენ თავი უნდა ვანებოთ რჩევას, ჩვენ თავი უნდა ვანებოთ მთავარ მრჩეველობას. ჩვენ ადგილებზე უნდა შევექმნათ ძალაუფლების ორგანოები“².

ამ ძლიერი ადგილობრივი ძალაუფლების შესაქმნელად მთავრობამ აღადგინა რწმუნებულთა და საგანგებო რწმუნებულთა ძველი სისტემა. ამ პირებით შესცვალეს ყველა დემოკრატიული ორგანიზაცია. რწმუნებულებს ნიშნავდნენ ძალაუფლების მქონე პირებისაგან. მაგალითად, ორენბურგის რაიონში საგანგებო რწმუნებულად მოიწვიეს ორენბურგის კაზაკთა ლაშქრის ატამანი — ცნობილი კონტრრევოლუციონერი დუტოვი, კაზაკთა ლაშქრის კავშირის საბჭოს თავმჯდომარე და კარნილოვის შეთქმულების აქტიური მონაწილე. ატამან დუტოვის მსგავს საგანგებო რწმუნებულთა სისტემა ადგილებზე კონტრრევოლუციის ძალთა ცუდ მომზადებას როდი წარმოადგენდა, კონტრრევოლუციის, რომელიც ხელთ იღებდა რევოლუციასთან ბრძოლის ერთერთ უმნიშვნელოვანეს იარაღს — სურსათს. სასურსათო მუშაობაში ჩაბმულ იქნა თითქმის მხოლოდდამხოლოდ კერძო სავაჭრო აპარატი როგორც ახალი რწმუნებულების ღირსეული თანამებრძოლი. რწმუნებულებმა ბრწყინვალედ შეასრულეს მათ წინაშე მდგომა ამოცანები. ორენბურგის გუბერნიისა და ტურგაისკის ოლქის სასურსათო ემისართა II ყრილობაზე დაწერილებით იქნა დახასიათებული მათ შორის ერთერთი ყველაზე გამოჩენილი პირი — დუტოვი.

„კერძოდ, — იტყობინებოდა თავის ანგარიშში ყრილობის შესახებ მთავარი ემისარი, — რაც შეეხება სამხედრო ატამან დუტოვის დანიშვნას მთავარ რწმუნებულად ორენბურგის გუბერნიისა და ტურგაისკის ოლქში, როგორც ისეთი პირისა, რომელიც თავისი პოლიტიკური გამოსვლებით არ სარგებლობს პოპულარობით მხარის მთელ მშრომელ მოსახლეობაში, და აგრეთვე აბსოლუტურად არ იცნობს სურსათის საქმეს და არ იზიარებს პურის მონაპოლის პრინციპებს, გარდა ამისა, მხედველობაში იღებს რა

მთელ რიგ მის განკარგულებებს სურსათის დარგში როგორც საგანგებო რწმუნებულისას, რომლებმაც დეზორგანიზაცია (დაშლა) შეიტანეს თანდათანობით მოგვარების გზაზე მდგომ აპარატში (თავისუფალ შესყიდვათა ზრდა. ფრანკო-ბელლის თასების შემოღება. საყოველთაოდ-ცნობილი ადგილობრივი სასურსათო ორგანოების სრული უგულებელყოფა, სპეციფიკური კახაკური პოლიტიკის გატარება და ა. შ.), ყრილობა განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ მთელ მის პოლიტიკას ატარებენ სპეციალურად მოწვეული პირები ყოფილი რწმუნებულებისა, პურის ვაჭრებისა და ყოველგვარ საგუბერნიო მმართველებისა. რომლებიც რევოლუციამ აღგავა პირველსავე დღეებში. და რომ ასეთი პოლიტიკა სრულიად უტეხს სახელს სასურსათო საქმის მთელ ორგანიზაციას გუბერნიებში. ყრილობას მისი მოქმედება უეჭველად საზიანოდ მიაჩნია სასურსათო საქმისათვის“¹.

ემისარი მხოლოდ ერთ რამეში ცდებოდა: დუტოვი შესანიშნავად ერკვეოდა იმაში. თუ როგორ იყო საუკრო მუშაობა ახალ ეტაპზე სურსათის დარგში. რათა სამაახური გაეწია ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. რევოლუციამდელი სასურსათო აპარატის აღდგენა. თავისუფალ შესყიდვათა დაშვება. ე. ი. ყოველგვარი მონოპოლიის ჩაშლა. საზოგადოებრივი სასურსათო ორგანოების სრული უგულებელყოფა — ყველაფერი ეს წარმოადგენდა მთავრობის უკანასკნელ განკარგულებათა ყველაზე სწორ შესრულებას. აბა სად შეეძლოთ ემისარებს კონტრრევოლუციის ხელოვნება ესწავლებინათ ატამან დუტოვისათვის. დუტოვი „სანიმუშო“ რწმუნებული აღმოჩნდა. ვინაიდან მისი მუშაობა იძლეოდა ნიმუშებს სასურსათო ფრონტზე ბრძოლისას შეტევაზე გადმოსული რევოლუციის წინააღმდეგ. მას ბაძვდენდნ დანარჩენი რწმუნებულებიც. ასე „ებრძოდა“ მთავრობა შიმშილს. ეს ბრძოლა ნამდვილად აქტიური ხელშეწყობა იყო შიმშილის უსწრაფესი განვითარებისათვის კონტრრევოლუციური ძალების შეგროვების გასაადვილებლად, უფრო მეტი წარმატებისათვის პროლეტარულ რევოლუციასთან ბრძოლის საქმეში, რომელიც უკვე კარზე იყო მომდგარი.

ქვეყანა შეუჩერებლივ კატასტროფისაკენ მიდიოდა. ბურჟუაზია ყველაფერში რევოლუციას სდებდა ბრალს. ლენინი სწერდა:

„კადეტები ბოროტად ხითხითებენ: რევოლუციამ კრახი განიცადა, რევოლუციამ თავი ვერ გაართვა ვერც ომს, ვერც ნგრევასო. არ არის მართალი. კრახი განიცადეს კადეტებმა და ესერებმა მენშევიკებთან ერთად. ვინაიდან ეს ბლოკი (კავშირი) ნახევარი წელიწადი მართავდა რუსეთს, მან ნახევარი წლის განმავლობაში გააძლიერა ნგრევა, არივ-დარია და გააძნელა სამხედრო მდგომარეობა. რაც უფრო სრულია კრახი ბურჟუაზიის კავშირისა ესერებთან და მენშევიკებთან, მით უფრო მალე ისწავლის ხალხი. მით უფრო ადვილად იპოვის იგი სწორ გამოსავალს: უღარიბესი გლეხობის, ე. ი. გლეხთა უმრავლესობის, კავშირს პროლეტარიატთან“².



თ ა ვ ი მ ე თ ა რ თ ა ე ბ ა .

ბოლშევიკური პარტიის ეკონომიური პლატფორმა პროლეტარული რევოლუციის წინ.

1.

ბოლშევიკების ლოზუნგები.

ბოლშევიკური პარტიის ეკონომიური პლატფორმა მკვეთრად უპირისპირდებოდა ყველა სხვა პარტიის პროგრამებს. ისინი — კაპიტალიზმის არსებობას იცავდნენ. ბოლშევიკური პარტია ამხილებდა თვითეული მათგანის ძირითად ვეზს: შეენარჩუნებინათ მშრომელთა ექსპლოატაცია.

ბურჟუაზიული პარტიების პროგრამები ეხმარებოდა კაპიტალისტებს თავი დაეხსნათ კრიზისისათვის, დაემოთ ნაწილებში. მაგრამ შეენარჩუნებინათ მთელი — კაპიტალიზმი. ბოლშევიკური პლატფორმა ცდილობდა ეპოვა გამოსავალი ჩიხიდან მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებებით. რომლებიც ძირს გამოუთხრიდნენ. ხოლო შემდეგ მოსაზობდნენ კიდევ კაპიტალიზმის მთელს სისტემას.

კადეტებს. მენშევიკებს და ესერებს არ შეეძლოთ ეპოვათ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. პირიქით, მათი პოლიტიკა აფართოვებდა და აღრმავებდა სამეურნეო ქაოსს ქვეყნად. ლენინი მაშინ ხაზს უსვამდა, რომ ძალაუფლების დატოვება ბურჟუაზიის წარმომადგენლების ხელში —

„ეს ნიშნავს კარების ფართოდ გაღებას, ერთი მხრით, შიმშილისათვის და აუცილებელი სამეურნეო კატასტროფისათვის, რასაც კაპიტალისტები განზრახ აჩქარებენ და ამწვევებენ, ხოლო მეორე მხრით, სამხედრო კატასტროფისათვის...“¹

მოახლოებულ კრახთან ბრძოლის ერთადერთი საშუალება იყო პროლეტარული რევოლუცია.

ბოლშევიკების ეკონომიური პლატფორმა გამოხატავდა მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების ინტერესებსა და მისწრაფებებს. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ პროლეტარებსა და მშრომელ გლეხებს დაუყოვნებლივ ხელში ჩაეგდოთ მემამულეთა მიწები, მოეხდინათ მთელი მიწის ნაციონალიზაცია, ტრესტირებული მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია, დაეწესებინათ მუშათა კონტროლი წარმოებაზე, განაწილებაზე და ა. შ.

ბოლშევიკური ეკონომიური პლატფორმის ყოველი პუნქტი, მიწის ნაციონალიზაცია იქნებოდა ეს, მუშათა კონტროლი თუ ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაცია, ს ა ბ რ ძ ო ლ ო ლოზუნგი იყო, რომლის გარშემო ბოლშევიკები ამკვიდრებდნენ მასებს და ჰქმნიდნენ იმ პოლიტიკურ არმიას, ურომლისოდ შეუძლებელი იყო ძალაუფლების დაპყრობა მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის მიერ. ბოლშევიკური პლატფორმის ყოველი მოთხოვნა ეხებოდა საკაპიტალიზაციო საკითხებს, ყოველი პარაგრაფი გასაგები იყო, ყოველი ლოზუნგი აღწევდა მუშებისა და მშრომელი გლეხების უღრმეს ფენებამდე. პარტიის მკვეთრი, კონკრეტული ლოზუნგები და თავდადებული ბრძოლა გვიჩვენებდა, რომ პროლეტარული ხელისუფლება მონურად ქედს არ მოიხრის კაპიტალის წინაშე, არ შეჩერდება არავითარი ღონისძიების წინაშე ბურჟუაზიის მიმართ, გასტეხს კაპიტალისტებისა და მემამულეების ყოველგვარ წინააღმდეგობას და დაეხმარება მშრომელი მასების ცხოვრების უკვე ახლავე გაუმჯობესებას.

მაგრამ ყოველი ლოზუნგი, ყოველი პრაქტიკული წინადადება იყო მხოლოდ ნაწილი საერთო პლატფორმისა, მთლიანი და მწყობრი სქემისა, რომლის მთელ საფუძველს, მთელ არსს შეადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

პარტიის საპროგრამო მოთხოვნათა განხორციელება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე, კაპიტალისტების და მემამულეების ძალაუფლების მოსპობის საფუძველზე, საბჭოთა ძალაუფლების დამყარების საფუძველზე.

ხოლო როდესაც თვითთული მუშა, უმუშევარი, ყოველი მზარეული და ღარიბი გლეხი თავისი თვლით დაინახავს პროლეტარულ ძალაუფლებას კაპიტალისტებთან ბრძოლაში, დაინახავს, რომ მიწა გადადის მშრომელთა ხელში, ფაბრიკები და ქარხნები კი — მუშათა კონტროლის ქვეშ,

„მაშინ, — ამბობდა ლენინი, — კაპიტალისტების ვერავითარი ძალა, ასეულის მილიარდების გამგებელი მსოფლიო ფინანსური კაპიტალის ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს სახალხო რევოლუციას, არამედ, პირიქით, იგი დაამარცხებს მთელ მსოფლიოს, ვინაიდან ყველა ქვეყანაში მწიფდება სოციალისტური გადატრიალება“¹.

ჩვენი პარტიის ეკონომიური პლატფორმის გამოსავალ პუნქტს, ოქტომბრის რევოლუციის წინ წარმოადგენდა ლენინის ძირითადი თეზისი ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. რუ-

სეთის ეკონომიურმა განვითარებამ 1917 წლამდე შექმნა ყველა შესაძლებლობა სოციალიზმისაკენ წინსვლისათვის. მუშათა კლასის პოლიტიკური მონაპოვარნი თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შუა მდებარე პერიოდში ჰქმნიდნენ აუცილებელ პირობებს ამ შესაძლებლობათა სინამდვილედ გადაქცევისათვის. ლენინი თავის ისტორიულ სტატიაში „მოსალოდნელი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას“ ამბობდა:

„XX საუკუნის რუსეთში, რომელმაც რევოლუციური გზით მოიპოვა რესპუბლიკა და დემოკრატიაში, წინსვლა შეეძლებელია ისე, თუ სოციალიზმისაკენ არ მიდიხარ, თუ მისკენ არ გადადგამ ნაბიჯებს...“¹ სწორედ ეს დებულება დაედვა საფუძვლად VI პარტიული ყრილობის მიერ დამუშავებულ ეკონომიურ პლატფორმას.

თავის დადგენილებებში ბოლშევიკების VI ყრილობამ ნათლად მიუთითა, რომ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ რევოლუციური გადატრიალების, ბურჟუაზიის დიქტატურის ლიკვიდაციის და პროლეტარიატის ხელში, ბოლშევიკური საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის შედეგად.

როგორია ეს რევოლუციური ღონისძიებანი, რომელთა გამოყენება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ქვეყანას კატასტროფიდან გამოიყვანდა?

ყრილობამ მიუთითა, რომ უწინარეს ყოვლისა „აუცილებელია ჩარევა წარმოების დარგში წარმოებისა და განაწილების გეგმაშეზომილი მოწესრიგების მიზნით, და აგრეთვე აუცილებელია საბანკო საქმის ნაციონალიზაცია და ცენტრალიზაცია, მთელი რიგი სინდიკირებული საწარმოების (მაგალითად, ნავთის, ქვანახშირის, შაქრის, მეტალურგიული საწარმოების და აგრეთვე ტრანსპორტის) ნაციონალიზაცია“². უმსხვილეს საწარმოთა ნაციონალიზაცია და მიწის ნაციონალიზაცია ჰქმნიდა საფუძველს, რომელზედაც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს შეეძლოთ გეგმიანი მეურნეობის დაწყება. ამითვე ნიადაგი ეცლებოდათ ფეხთქვეშ კაპიტალისტებს და მემამულეებს.

შემდეგ ყრილობამ მიუთითა, რომ აუცილებელია „სწორი გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაცია ქალაქსა და სოფელს შორის, გაცვლა-გამოცვლის, რომელიც დაეყრდნობა კოოპერატივებსა და სასურსათო კომიტეტებს, რათა მოამარაგოს ქალაქი სოფლის მეურნეობის აუცილებელი პროდუქტებით, ხოლო სოფელი — აუცილებელი ფაბრიკატებით, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით და მანქანებით და ა. შ.“³.

პარტიის VI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშათა კონტროლის საკითხს, დააწესა რა როგორც მისი ორგანიზაციის ფორმები, ისე მისი გატარების გზები.

შემდეგ რეზოლუციაში დასახული იყო ფინანსიურ კრახთან ბრძოლის ზომები, მუშათა ძალის სწორი განაწილების ზომები (ოპისათვის მომუშავე დარგებიდან და საწარმოებიდან მუშების გადაყვანა ქვეყნის საჭიროებათათვის მომუშავე დარგებსა და საწარმოებში).

მიწის ნაციონალიზაცია.

ძველი რუსეთის გლეხობა მომწყვდელი იყო მემამულეთა და კაპიტალისტთა ექსპლოატაციის მარწუხებში. იგი უდიდეს გადასახადებს იხდიდა, სისტემატური შიმშილობისაგან იღუპებოდა. მემამულეთა ძალაუფლებას შებოკილი ჰყავდა გლეხობა, ამყოფებდა რა მას სიბნელესა და უეცობაში. გლეხთა ნახევარ მილიონამდე ოჯახი ყოველწლიურად გადადიოდა დასასახლებლად რუსეთის ერთი ადგილიდან მეორეში, უმთავრესად ციმბირში, მიწის უქონლობის გამო. ოფიციალური სტატისტიკით მუშა-პირუტყვის უქონელთა პროცენტი 30 — 35 უდრიდა. გლეხთა დაახლოებით 4 პროცენტს სრულიად არ ჰქონდა სათესი მიწა. საშუალოდ ერთ მემამულეს იმდენი მიწა ჰქონდა, რამდენიც გლეხთა 300 კომლს. გლეხობა მიწისაკენ ილტვოდა. მაგრამ მას გზაზე ეღობებოდნენ მემამულეები, კაპიტალისტები და კულაკები. გლეხები იძულებულნი იყვნენ იჯარით აეღოთ მიწა კაბალურ პირობებში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიკები, ესერები და დროებითი მთავრობა ატყუებდნენ გლეხებს დაპირებებით, რომ მიწას დამფუძნებელი კრება მოგცემთო. დროებითი მთავრობა გადაჭრით ახშობდა გლეხობის ყოველგვარ ცდას ხელში ჩაეგდოთ მიწა. და მხოლოდ ბოლშევიკების პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი მიწის დაუყოვნებლივი გადასვლისა გლეხების ხელში ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე.

„როგორც ცნობილია, — ამბობდა თავის მოხსენებაში აპრილის კონფერენციაზე ლენინი, — წერილობრუჟუაზიული ობორონტული პარტიები იმას ემხრობიან, რომ მიწის საკითხის მიმართ დამფუძნებელ კრებას დაელოდონ. ჩვენ მხარს ვუჭერთ მიწის დაუყოვნებლივ გადასვლას გლეხების ხელში მაქსიმალური ორგანიზებულობით. ჩვენ აბსოლუტურად წინააღმდეგნი ვართ ანარქისტული დატაცებისა. თქვენ ურჩევთ გლეხებს შეუთანხმდნენ მემამულეებს. ჩვენ ვამბობთ, რომ მიწა ახლავე უნდა იქნას ხელთ აღებული და დათესილი უპირობასთან საბრძოლველად, რათა ქვეყანა ვიხსნათ იმ კრახისაგან, რომელიც მას კოლოსალური სისწრაფით უახლოვდება“¹.

მემამულური მიწის კონფისკაცია და მთელი მიწის ნაციონალიზაცია ნიშნავდა დარტყმას მიწის კერძო საკუთრებაზე, როგორც მემამულეების ძალაუფლების საფუძველზე. მიწის ნაციონალიზაცია ნიშნავდა არა მარტო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას, რისი უნარიც რუსეთის ბურჟუაზიას არ ჰქონდა, ისე როგორც მას არ შეეძლო ომის განგრძობა, მისი დამთავრება. იგი — პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე — ნიშნავდა უკვე კონკრეტულ და სერიოზულ ნაბიჯს სოციალიზმისაკენ. მიწის ნაციონალიზაცია თავისი მახვილით მიმართული იყო არა მარტო მემამულე-აზნაურების, არამედ სტოლიპინის „გათხუპნულ, მემამულე-კულაკების წინააღმდე-

გაც. წარმოდგენდა რა დარტყმას კერძო საკუთრების ერთერთ მთავარ ფორმაზე, მიწის ნაციონალიზაცია იყო მძლავრი დარტყმა კერძო საკუთრებაზე საზოგადოდ.

საცებით ბუნებრივია, რომ მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგმა გამოიწვია გააფთრებული სიძულვილი დროებითი მთავრობის მხრით, მენშევიკური და კულაკური ესერული პარტიების მხრით. მაგრამ სწორედ ეს ლოზუნგი შეესაბამებოდა გლეხთა ყველაზე არსებით მოთხოვნებსა და ყველაზე მხურვალე სურვილებს.

მთელს ქვეყანაში უკვე დულდა გლეხთა აჯანყება მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის ლოზუნგით. მემამულეები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დავიწყებოდათ ცეცხლოდებული სახლკარების ალი, ზარდაცემულნი იგონებდნენ გლეხთა ძველ ყიფინას: „მოგვიკერით მიწა, თორემ ამოგწყვეტთ“.

აი რამდენიმე მშრალი ოფიციალური ცნობა გლეხთა აგრარულ მოძრაობაზე ოქტომბრის რევოლუციის წინ:

„ტამბოვი, 14 სექტემბერი. ჩამოვიდა მღელვარებათა ჩასაქრობად მოსკოვიდან გამოგზავნილი საექსპედიციო რაზმი მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად. უკანასკნელთა გადმოცემით მიღებულია ცნობები, რომ არეულობამ იფეთქა ახალ პუნქტში, 40 ვერსის მანძილზე კოზლოვიდან, სადაც დაუყოვნებლივ გაიგზავნა საექსპედიციო რაზმის ნაწილი. იწვის სოფელი იაროსლავკა“¹.

„სარატოვი, 25 სექტემბერი. აგრარულ არეულობათა გამო სერდობის მაზრაში გაგზავნილია ჯარები. გუბერნიის კომისარი მიმართვაში მოუწოდებს მოქალაქეობრივობის გრძნობებისადმი, მიუთითებს რა, რომ აუცილებელია სამხედრო ძალის გამოყენება“².

„უიტომირი, 29 სექტემბერი. გუბერნიის კომისარმა მიიღო მთელი რიგი ცნობები, რომ გუბერნიაში დაიწყო არეულობანი. ნადგურდება ტყეები და ნათესები. დასამშვიდებლად გაგზავნილია ჯარები“³.

„სარატოვი, 29 სექტემბერი. სერდობის მაზრაში ანადგურებენ და სწევენ გამოყოფილ მეურნეებს. განადგურებულია დეკონსკის, საბურჯის, შირინკინის, ნენაროკომოვის მსხვილი მამულები და პავლოვსკის დაბა“⁴.

ვორონეჟი, 7 ოქტომბერი. ზადონსკის მაზრაში, სოფელ ეივოტინის რაიონში. გლეხებმა ნაწილობრივ გაანადგურეს ჩერტკოვისა და სხეჟ მემამულეების მამულები. დასწევს 60 ათას ფუთზე მეტი ხორბალი და სხვა პურეული“⁵.

„პენზა, 13 ოქტომბერი. ნაროფჩატსკის მაზრაში განადგურებულია 8 მამული. არეულობათა სალიკვიდაციოდ გაგზავნილია კავალერია. კრასნოსლობოდის მაზრაში გაძარცვულია ლებედევას მამული და ინსარის მაზრაში — ანდრონოვის მამული“⁶.

„ნიჟნი ნოვგოროდი, 13 ოქტომბერი. ლუკოიანოვსკის, არდატოვსკის და სერგაჟსკის მაზრებიდან იტყობინებიან, რომ დაიწყო ტყის მასობრივი გაჩეხა, ხუტორების გადაწვა, რასაც ზოგან თან სდევს ძალადობა მფლობელ-

თა მიმართ. განსაკუთრებით სერიოზულია მოძრაობა ლუკიანსკის მაზრა-
ში, სადაც გადამწვარია 4 ხუტორი... ადგილზე გაგზავნილია რაზმი“ 4.

მემაშულეთა და კულაკ-გამოყოფილ მეურნეთა ცეცხლმოდებული სახლ-
კარი წარმოადგენდა არა მარტო მოქმედებაში მოყვანილ ბოლშევი-
კური ლოზუნგის ნათელ ილუსტრაციას: იგი პროლეტარიატს უშუქებდა გზას
გამარჯვებისაკენ სოფლის ნახევრად-პროლეტარებთან კავშირში. სწორედ მე-
მაშულური მიწის კონფისკაციისა და მთელი მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგ-
მა ააზხედრა გლეხობა საბრძოლველად მემაშულისა და კულაკის წინააღმდეგ
ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ამ ლოზუნგმა მისცა ბოლშევიკებს მიწის
საკითხზე უმრავლესობა საბჭოებში უკვე 1917 წლის სექტემბერში.

გლეხთა მასები ანგრევდნენ მემაშულური წყობილების საფუძვლებს. დროე-
ბითი მთავრობა კი 1917 წლის 25 სექტემბრის დეკლარაციაში აფიცებდა მათ
„მიწათმფლობელობის არსებული ფორმების დაურღვევლად“ მოეწესრიგებინა.
ნათ საადგილმამულო ურთიერთობანი“. მიწის ნაციონალიზაცია სპობდა მემა-
შულური წყობილების საფუძველს, ხოლო კადეტებისა და ესერების ბლოკი
მენშევიკებთან ცდილობდა შეენარჩუნებინა ამ წყობილების საყრდენები, რომ-
ლებიც ეცემოდნენ.

კონფისკაცია და მის საფუძველზე მიწის შემდგომი ნაციონალიზაცია სა-
ბოლოოდ უღებდა ბოლოს მიწის დიდ ნაკლებობას, რაც გლეხს მემაშულის
უღელქვეშ ერეკებოდა, ბოლოს უღებდა გლეხთა მცირემიწიანობას, როდესაც
ტროლსტოის სიტყვით „ქათმის გასაშვები ადგილიც კი არ მოიპოვება“. უკვე
მარტო ამასაც უღიდესი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა.

მაგრამ ბოლშევიკური პარტია გაცილებით უფრო შორს უმიზნებდა. თან-
ხიმდევრობით გატარებულ მიწის ნაციონალიზაციას პროლეტარიატის დიქტა-
ტურის პირობებში უნდა შეექმნა სრული საფუძველი სოფლის მეურნეობის
რეკონსტრუქციისათვის ახალ, სოციალისტურ საფუძველზე. სპობდა რა მიწის
კერძო საკუთრებას, ნაციონალიზაცია ანგრევდა საუკუნოებრივ მესაკუთრულ
კრუშებედულელებსაც, რომლებიც საშინელი ძალით აჯაჭვებდნენ გლეხებს
მცწაზე. იწმინდებოდა გზა მეურნეობის ახალი ფორმებისათვის ნაცვლად ძვე-
ლი, მამაპაპური, ბატონყმური ფორმებისა, რომლებიც ამყოფებდნენ წვრილ
გლეხს სამუდამო კაბალაში მიწის ლატაკურ ნაკვეთზე. სტალინმა თავის გა-
მოსვლაში აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე 1929 წელს ამრიგად
შეაჯამა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული მიწის ნაციონა-
ლიზაციის შედეგები:

„...სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრე-
ბა. ჩვენში არ არის გლეხობის არც ის მონური ერთგულება თავის მიწი-
სადმი, როგორც ეს დასავლეთშია. ეს გარემოება კი არ შეიძლება არ აად-
ვილებდეს წვრილი გლეხური მეურნეობის გადასვლას კოლმეურნეობათა
რელსებზე.

აი საღ არის ერთერთი მიზეზი იმისა, რომ მსხვილი მეურნეობანი

სოფლად, კოლმეურნეობანი სოფლად, ახერხებენ ასე ადვილად გამოააშკარაონ ჩვენში, მიწის ნაციონალიზაციის პირობებში, თავიანთი უპირატესობა წვრილი გლეხური მეურნეობის წინაშე.

აი სად არის უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა საბჭოთა აგრარული კანონებისა, რომლებმაც მოსპვეს აბსოლუტური რენტა, გააუქმეს მიწის კერძო საკუთრება და დააწესეს მიწის ნაციონალიზაცია“¹.

3.

მუშათა კონტროლი წარმოებაში.

მუშათა კონტროლს — ბოლშევიკური პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს საპროგრამო მოთხოვნას ოქტომბრის რევოლუციის წინ — განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კაპიტალისტური მეურნეობის სრული გაკოტრების პირობებში, როდესაც მეწარმენი საბოტაჟის, ლოკაუტების და წარმოების ჩაშლის პოლიტიკას აწარმოებდნენ. ისე როგორც ეკონომიური პლატფორმის სხვა ლოზუნგები, „მუშათა კონტროლი“ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგი იყო. ბოლშევიკებს სრულიადაც არ ჰქონდათ იგი წარმოდგენილი ძირითადის — პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე.

ლენინი თავის ისტორიულ ნაწარმოებში „შენიარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას“ ხაზს უსვამდა, რომ, როდესაც ჩვენ მუშათა კონტროლზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვაყენებთ „ამ ლოზუნგს მუდამ პროლეტარიატის დიქტატურის გვერდით, მუდამ მის მიყოლებით“².

მენშევიკები და ესერები გააფთრებით ილაშქრებდნენ მუშათა კონტროლის წინააღმდეგ. თავის გაზეთებში ისინი მიუთითებდნენ, რომ მუშათა კონტროლი გამოიწვევს მხოლოდ ანარქიას, რომ მუშა თავს ვერ გაართმევს სამეურნეო ცხოვრების კონტროლის ამოცანებს. ისინი ყველგან დაჟინებით იმეორებდნენ, რომ რაკი ლაპარაკი შეიქნა კონტროლზე, მაშინ საჭიროა ვილაპარაკოთ სახელმწიფო კონტროლზე, ხოლო რადგან სახელმწიფო ძალაუფლება ოქტომბრის რევოლუციამდე ბურჟუაზიის ხელში იყო, არსებითად ეს ნიშნავდა კონტროლის მის ხელში გადაცემას. მენშევიკები და ესერები ამ საკითხშიაც გამოდიოდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ — კაპიტალისტების დასაცავად.

ივლისის დამდეგს მოსკოვში შესდგა მეწარმეთა კონფერენცია. მან გამოიტანა გადაწყვეტილება: მიღებულ იქნას ყველა ზომა სოციალისტურ ღონისძიებათა ასაცილებლად და განსაკუთრებით გაიშალოს ბრძოლა მუშათა ჩარევისთან წარმოების მმართველობის საქმეში.

მეწარმეთა მეორე კონფერენციამ დაადასტურა ეს გადაწყვეტილებანი. დროებით: მთავრობა და მისი ორგანოები და აგრეთვე მეწარმეთა ორგანიზაციები და კაპიტალისტები ადგილებზე გადაჭრით ებრძოდნენ მუშათა კონტროლს. მაგრამ ბოლშევიკების ამ ლოზუნგმაც მსურვალე მხარდაჭერა ჰპოვა მუშათა მასების მხრივ. მუშათა კონტროლი უნდა განეხორციელებინათ თვითონ საწარ-

ჩოთა მუშებსა და მოსამსახურეებს თავის წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებსაც აირჩევდნენ საერთო კრებებზე. მუშათა კონტროლის ნებადაურთველად აკრძალული იყო საწარმოთა გაჩერება ან წარმოების შეკვეცა. მუშათა კონტროლი ატარებდა საწარმოთა ყველა საბუთისა და წიგნების შემოწმებას და ააშკარავებდა მეპატრონეთა სპეკულატურ მახინჯიციებს, კონტროლს უწევდა ნედლეულის, პროდუქტების და სხვა მასალების მარაგს. იგი ჰქმნიდა შეიარაღებულ რაზმებს საწარმოთა დასაცავად კაპიტალისტების მავნებლურ მოქმედებათაგან: მოესპოთ თავისი დოვლათი, ოღონდ არ მიეცათ იგი ახალი პატრონისათვის — მუშათა კლასისათვის.

„მუშათა კონტროლი. — ნათქვამი იყო ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის რეზოლუციაში, — თანდათანობით განხორციელებულ ზომათა გზით უნდა განვითარდეს წარმოების სრულ რეგულირებად.

კონტროლის გასატარებლად აუცილებელია წინასწარი ზომების სახით გატარდეს: კომერციული საიდუმლოების გაუქმება, ვაჭრების, მრეწველების, ბანკების წიგნები ღია უნდა იყოს კონტროლისათვის. საბუთების დამალვა გამოცხადებულ უნდა იქნას სისხლისსამართლის სასჯელის დაქვემდებარებულად. პერიოდულად უნდა სწარმოებდეს მარაგის აღრიცხვა და არსებული მარაგის პუბლიკაცია საყოველთაო ცნობისათვის იმ საწარმოთა აღნიშვნით, რომელთაც იგი მოეპოვებათ“¹.

მუშათა კონტროლი ლახვარს სცემდა მეურნეობის წარმოების კაპიტალისტურ წესებს. კომერციულ საიდუმლოებათათვის, რომელთა საფარ ქვეშ მძარცველურ საქმეებს აკეთებდნენ, ადგილი აღარ რჩებოდა.

„ფარულ და აშკარა ლოკაუტებთან ბრძოლის მიზნით — გამოცემა კანონისა ფაბრიკების დახურვის ან წარმოების შეკვეცის აკრძალვით მუშათა დეპუტატების საბჭოების, პროფესიული კავშირების და ცენტრალურ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ნებადაურთველად“², მიუთითებდა ყრილობა თავის რეზოლუციაში.

მუშათა კონტროლის ორგანოები პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ შეიძლებოდა გაშლილიყო საწარმოთა მმართველობის ორგანოებად. ფართოდ დაყენებული მუშათა კონტროლი ა მ ზ ა დ ე ბ დ ა მუშებს მეურნეობის მმართველსათვის, მუშათა მასების სიღრმიდან აწინაურებდა ათანობით შესანიშნავ ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს.

4.

ბანკებისა და ტრანსპორტული მრეწველობის ნაციონალიზაცია.

ბოლშევიკური პარტიის მეექვსე ყრილობამ მიუთითა, რომ წარმოებისა და განაწილების გეგმაშეზომილი რეგულირების მიზნით აუცილებელია საბანკო საქმისა და მთელი რიგი სინდიკირებული საწარმოების ნაციონალიზაცია. მრე-

წველები წინააღმდეგნი იყვნენ არა მარტო მრეწველობის ნაციონალიზაციისა, არამედ მისი ძალდატანებითი სინდიკირებისაც კი, ე. ი. მსხვილ ორგანიზაციებად ძალდატანებითი გაერთიანებისა. დროებითმა მთავრობამ ის-იყო ენა დასძრა ასეთი სინდიკირების შესახებ, მაგრამ ვერ გაბედა დაჟინებით მოეთხოვა იგი და სწრაფად მოხსნა თავისი წინადადებანი მეფაბრიკეებისა და მექარხნეების ზეგავლენით.

ნაციონალიზაციის გატარება შეეძლო მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს. ბანკებისა და საწარმოების ნაციონალიზაცია საფუძველს უთხრიდა კაპიტალის ბატონობას. ამავე დროს საბანკო, უმსხვილეს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა პროლეტარიატის დიქტატურის ხელში გადასვლასთან ერთად იქმნებოდა ის ბაზა, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი იყო გეგმიან სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლა.

ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბანკების ნაციონალიზაციის საქმეს. უკანასკნელნი კაპიტალისტური სამეურნეო ცხოვრების ცენტრებს წარმოადგენდნენ. ბანკებზე დარტყმა სასიკვდილო ჭრილობას აყენებდა კაპიტალიზმის მთელ სისტემას. სტატიაში „მოსალოდნელი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას“ ლენინი დაწვრილებით განუმარტავს მშრომელთ ბოლშევიკური პროგრამის ამ პუნქტის განხორციელების მთელ სარგებლობას.

„ბანკების ნაციონალიზაცია უდიდესად სასარგებლო იქნებოდა მთელი ხალხისათვის და განსაკუთრებით არა მუშებისათვის (ვინაიდან მუშებს ნაკლებად უხდებდალ საქმის დაქვრა ბანკებთან), არამედ გლეხებისა და წერილი მრეწველების მასისათვის. მივიღებდით შრომის გიგანტურ დაზოგვას, და თუ ვივარაუდებთ, რომ სახელმწიფო დასტოვებდა ბანკის მოსამსახურეთა ძველ რაოდენობას, ეს იქნებოდა უაღრესად დიდი ნაბიჯი წინ ბანკებით სარგებლობის უნივერსალიზაციის (საყოველთაობის), მათი განყოფილებების რიცხვის გამრავლების, მათი ოპერაციების ხელმისაწვდომობის და სხვ. და სხვ. მიმართულებით. უაღრესად გაიზრდებოდა კრედიტების ხელმისაწვდომობა და სიადვილე სწორედ წერილი მეპატრონეებისათვის, გლეხობისათვის. სახელმწიფო კი პირველად მიიღებდა შესაძლებლობას ჯერთვალ იედეენინა ყველა მთავარი ფულადი ოპერაციებისათვის, მათ დაუფარავად, მერმე კონტროლი გაეწია მათთვის, შემდეგ ეწარმოებინა სამეურნეო ცხოვრების რეგულირება, დაბოლოს, მიეღო მილიონები და მილიარდები მსხვილი სახელმწიფო ოპერაციებისათვის, ისე რომ არ გადაეხადა უზომო „საკომისიო“ ბატონ კაპიტალისტების „სამსახურისთვის“¹.

ბანკების ნაციონალიზაცია აადვილებდა დაზღვევის საქმის ნაციონალიზაციასაც. დაზღვევის საქმის ცენტრალიზაციას მოჰყვებოდა ახალი უდიდესი შედეგები მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ. ეს შეამცირებდა დაზღვევის პრემიას, უამრავ სარგებლობასა და შემსუბუქებას მოუტანდა ყველა დაზღვეულს.

ესერებმა და მენშევიკებმა ბანკებისა და სხვა საწარმოების ნაციონალიზაციის გამოც უამრავი საწინააღმდეგო მოსაზრება წამოაყენეს, სთელიდნენ რა,

რომ პროლეტარიატი თავს ვერ გაართმევს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მშართვას. მაგრამ ბანკებისა და უმსხვილეს საწარმოთა ნაციონალიზაცია გახდა სავსებით მომწიფებული ნაბიჯი სოციალიზმისაკენ და განხორციელებულ იქნა პროლეტარიატის დიქტატურის მიერ მალე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

ღრმად ცხოველმყოფელი, მარტივი და ნათელი ბოლშევიკური ლოზუნგები. რომლებიც შეეხებოდნენ თვითეული მუშის, ქალაქის თვითეული მშრომლის და სოფლის ღარიბის ყველა ყოველდღიურ მატერიალურ ინტერესებს, ადვილად აღწევდნენ უფართოეს მასებამდე. ამ ლოზუნგების განხორციელებისათვის ბრძოლაში შესაძლებელი ხდებოდა საბოლოოდ მხილება მოლაყბებისა, მენშევიკების და ესერების ბანაკიდან, რომელთაც თითიც არ გაუნძრევიათ მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.



თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ბ ა .

ჩეკოლუხიის ქიზინის ზღაღ.

1.

ამონოზიუზ და ჩეკოლუხიუზ გავიცვითა ახალი ტალღა.

ჩეკოლუხიური აღმავლობა, რომელიც სტალინმა იწინასწარმეტყველა ბოლ-შევიკური პარტიის VI ყრილობაზე და რომელიც მოამზადა ბოლშევიკების გა-დამპყრელმა. შეტუბოვარმა მუშაობამ, ფაქტი გახდა კორნილოვის შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ. კორნილოვშინის მაგალითზე ხალხის ფართო მასები, ასე ვთქვათ, „თავის თვალთა და ხელშეხებით“ დარწმუნდნენ, რომ ბურჟუა-ზია და მემამულეები არავითარ დანაშაულს არ მოერიდებიან, ოღონდ კი აღად-გინონ და მთლიანად შეინარჩუნონ თავიანთ ხელში ძალაუფლება მშრომელთა ხალხის მიმართ, ხოლო ესერები და მენშევიკები გამცემლობის არავითარ ფორ-მას არ მოერიდებიან, ოღონდ კი შეინარჩუნონ კოალიცია, თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან.

კორნილოვის აჯანყების დღეებში კაპიტალისტების მიერ დაწყებულმა სა-მოქალაქო ომმა გამოიწვია მძაფრი გამოხმაურება ხალხის ფართო მასების წრე-ში. უწინარეს ყოვლისა ამოძრავდა მუშათა კლასი.

ბურჟუაზიის გამოსვლის საპასუხოდ აზვირთდა გავიცვების მძლავრი ტალ-ღა, რაც დღითი-დღე იზრდებოდა, მშრომელთა სულ ახალ-ახალ მასებს იზი-დავდა და ისეთ უაღრესად მიყრუებულ ადგილებსაც კი სწვდებოდა, სადაც 1905 წლის რევოლუციის საგაფიცო ტალღის უმაღლეს ზვირთსაც არ მიულ-წევია.

ყველაზე წინ მელითონეები მიდიოდნენ. მათმა გმირულმა ბრძოლამ გვი-ჩვენა, თუ რა ენერჯის განვითარება შეუძლია პროლეტარიატს, თუ მის სათა-

ვეში დგას იდეოლოგიურად მტკიცე ბოლშევიკური პარტია, ლენინური რევოლუციური მარქსიზმის პარტია. 23 ივლისამდე პეტროგრადის მელითონეები ჯერ კიდევ თავს იკავებდნენ ცალკე გაფიცებისაგან. ივლისის შემდეგ მათ გადასწყვიტეს დაეწყათ საერთო ბრძოლა სატარიფო ხელშეკრულებათა გადასინჯვისათვის. მელითონეებს უპირისპირდებოდა გაერთიანებული მრეწველობის „მთავარი კომიტეტის“ მიერ ორგანიზებულ და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მეწარმეთა შემქმნელობული ფრონტი.

მეფაბრიკეებს მხარს უჭერდა დროებითი მთავრობა, რომელიც კონფლიქტში ერეოდა ყოველთვის, როდესაც იგი მწვავე ფორმებს ღებულობდა. მაგრამ მელითონეების თანხმობიანა ორგანიზებულმა შეტევამ გაარღვია მრეწველთა გაერთიანებული ფრონტი და აიძულა ისინი უკვე აგვისტოში ხელი მოეწერათ ახალ სატარიფო ხელშეკრულებასზე.

პეტროგრადისა და თითქმის იმავდროულად გამოსულ მოსკოველ მელითონეთა შავალთმა გამოხმაურება ჰპოვა მთელს ქვეყანაში. ურალსა, უკრაინასა, დონბასსა და ციმბირში დაირაზმნენ მელითონეთა არმიები. მათ საკუთარი გამოცდილებით დაინახეს, რომ ხსნა კრიზისისა და შიმშილისაგან, რომელსაც ბურჟუაზია აწყობს, მხოლოდ რევოლუციურ ბრძოლაშია.

მელითონეებს მიჰყვებოდნენ ფეიქრები. ა. ა. ლოკალოვის სელის ნაკეთობათა გავრილო-იამსკის მანუფაქტურაში იაროსლავლის გუბერნიაში სამი ათას ფეიქარზე მეტმა მოითხოვა ხელფასის მომატება და საქონლის მტკიცე ფასებში გაყიდვა საფაბრიკო ღუქნიდან. კონფლიქტებში ჩაერია შრომის მინისტრი ძენშეიკი კოზმა გვოზდიოვი. ბურჟუაზიის ამ დამცველმა წინადადება შეიტანა საკითხის გადაწყვეტა მიენდოთ სამედიატორო სასამართლოსათვის, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა 3 წარმომადგენელი პროფკავშირებისაგან, 3 — ფაბრიკის ადმინისტრაციისაგან და ერთიც — შრომის სამინისტროსაგან დანიშნული. სასამართლოს სხდომა დაიწყო 27 სექტემბერს. მოსამართლეებმა დიდხანს გააკვიანურეს საქმე და, ბოლოს, მხოლოდ ოქტომბრის ნახევარში გამოიტანეს გადაწყვეტილება მუშების სასარგებლოდ. მაგრამ მეფაბრიკეები ამის შემდეგაც არ წასულან დათმობებზე.

ორეზოვო-ზუევოს რაიონის დაბა ლიკინოს შიმშილობამდე მიყვანილ ოთხი ათასი მუშა ორი თვე თანხმობიანად იბრძოდა მეფაბრიკის საბოტაჟის წინააღმდეგ, რომელმაც სათბობის უქონლობის საბაბით აგვისტოში დახურა საწარმო. 2 სექტემბერს ადმინისტრაციამ წინადადება მისცა მუშებს მიეღოთ ანგარიში. მუშებმა უარი განაცხადეს. გაგზავნეს დელეგატები გვოზდიოვთან. ინახულეს მოსკოვის შრომის კომისარი. ყველგან ერთი პასუხი მიიღეს: ყველგან შიმშილობენ, ვერაფრით დაგვხმარებთო. აქაც უკვე მუშებს საქმის დაქვერძ მოუხდათ არა ცალკე მეფაბრიკესთან. ფაბრიკის მფლობელი სმირნოვი იმავედროულად იყო მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე და დროებითი მთავრობის მსხვილი მოხელე. სმირნოვმა არ დაუთმო მუშებს მოუხედავად იმისა, რომ კონფლიქტში ჩაერია მოსკოვის საბჭო. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ, რომელსაც არ სურდა ბრძოლის გამწვავება, წინადადება მისცა სმირნოვს დაეთმო, მაგრამ მეფაბრიკე დაჟინებით განაგრძობდა საბოტაჟს.

ლიკინელებთან ერთად გაფიცულნი იყვნენ ორეზოვო-ზუევის მრავალი ფაბრიკის პროლეტარები. ფეიქართა ცალკე გამოსვლები და კონფლიქტები დასრულდა მთელი ივანოვო-კინეშემის რაიონის მძლავრი გაფიცვით, სადაც 40 ათასამდე ფეიქარი ცენტრალურ საგაფიცო კომიტეტის მოწოდებით გაფიცული იყო 20 ოქტომბრამდე.

დაწყებული 16 აგვისტოდან ორთვენახევრის განმავლობაში გაფიცული იყვნენ მოსკოვის მეტყავეები. მათ გაარღვიეს მეწარმეთა ერთიანი ფრონტი და აიძულეს ისინი დაეწყოთ სეპარატული მოლაპარაკება.

ფართო გასაქანი მიიღო მოძრაობამ მბექდავთა შორის. პეტროგრადის მბექდავებმა წარმატებას მიაღწიეს 15 სექტემბრისათვის, ხოლო მოსკოვისამ — ოქტომბრის რევოლუციის წინ. დედაქალაქებს მისდევდნენ ეკატერინბურგის, ეკატერინოსლავის, მინსკის, ბაქოს, ასტრახანის, ვოლოგდის მბექდავები.

განსაკუთრებით მძლავრად ვითარდებოდა დონბასის მალაროელთა ბრძოლა. მალაროელთა საგაფიცო მოძრაობამ, რომელიც ერთი მეორეზე ედებოდა შახტებს და დღითი-დღე იზრდებოდა, მოიკვა დონბასის მთელი პროლეტარიატი.

საგაფიცო მოძრაობამ მოიკვა რკინიგზელებიც, რომლებსაც ესერულ-მენ-შევიკური ვიკელი ყოველნაირად აკავებდა გამოსვლისაგან. ვიკელის ბელადები უმთავრესად მოსამსახურეები იყვნენ და ამით აიხსნებოდა ვიკელელების ბურჟუაზიული პოზიცია. ვიკელის ბელადები დაპირდნენ „მომატების გამოთხოვას“ ბურჟუაზიული მთავრობისაგან ყოველგვარი ბრძოლის გარეშე. კორნილოვის გამოსვლამ დაარწმუნა რკინიგზელები, რომ ბლოკნი მხოლოდ ამცირებს უკეთესი ხვედრის იმედებს, მხოლოდ ეხმარება ბურჟუაზიის თავისი ძალების განმტკიცებაში. კორნილოვშინის მიერ გაღვიძებული მოძრაობა რკინიგზელებს შორის ისეთი ტემპით წარიმართა, თითქოს მუშები ჩქარობდნენ აენაზლაურებინათ დანაკლისი.

შეშინებული ვიკელელები სიზრან-ვიაზემსკის გზაზე სჩიოდნენ:

„რკინიგზელების შეკავება გამოსვლისაგან მეტისმეტად ძნელია და ზოგან შეუძლებელიც. ნაწილობრივი გამოსვლები სტიქიურად იჩენენ თავს“¹.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა ძლიერი იყო რკინიგზელთა ფართო მასების შემოტევა, თუ კი ვიკელი, რომლის სახელი კაპიტალისტებისადმი ლაქიური ერთგულების სინონიმი გახდა, დასთანხმდა გაფიცვის გამოცხადებას ყველა გზაზე 23 სექტემბრისათვის. მართალია, „რევოლუციონერებმა ერთი საათით და იძულებით“, ე. ი. მასების ძალდატანებით, და არა შინაგანი კლასობრივი რწმენით, ორი დღის შემდეგ მოახერხეს გაფიცვის ჩახშობა, მაგრამ მათ უკვე ვეღარ შესძლეს მოძრაობის გადაყვანა შემთანხმებლურ რეისებზე. ორგანიზაციები, განსაკუთრებით ქვედა ორგანიზაციები, პროტესტს აცხადებდნენ გამტკიცებლური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და განაგრძობდნენ გაფიცვას და ოქტომბრის წინააღმდეგში დაიწყო რკინიგზელ-მუშების ერთსულლოვანი გამოსვლა, რამაც ოქტომბერში გასტეხა საბოტაჟი ვიკელისა, რომელიც კლილობდა დროებითი მთავრობის ხსნას.

ერთი სიტყვით, მთელს ქვეყანაში გაიშალა ფართო საგაფიცვო მოძრაობა. ბურჟუაზიასთან საბრძოლველად აღსდგა პროლეტარიატის მილიონიანი არმია.

რა გეჩვენა ამ, თავის გაქანებით, განსაკუთრებულმა საგაფიცვო ბრძოლამ?

უწინარეს ყოვლისა ის, რომ პროლეტარიატის ცალკე რაზმები, ბრძოლაში უთანაბროდ ჩაებნენ. წინ მიდიოდნენ მელითონეები — მუშათა კლასის ძირითადი რკინის „ხერხემალი“. მათთან ბრძოლას იწყებდნენ „ბოლშევიკი“-ქარხნები, უმსხვილესი საწარმოები დედაქალაქებისა, სადაც პარტიის ხელმძღვანელი კადრები იყო. დედაქალაქის პროლეტარულ ავანგარდს თან მიჰყავდა მუშათა ძირითადი ფენები, მას მოძრაობაში მოჰყავდა პროვინცია და წინ მიუბიძგებდა ჩამორჩენილებს.

მეორე, პროლეტარიატის მოძრაობა კორნილოვშჩინის შემდეგ გაცილებით უფრო მეტი ორგანიზებულობით განიჩეოდა. შესვენებისა და ძალების დაგროვების პერიოდის განმავლობაში მუშათა კლასმა მოასწრო პროფკავშირთა უდიდესი ქსელის შექმნა.

ივლისისათვის რუსეთში იყო 976 კავშირი მილიონნახევარი წევრით¹:

მელითონეები	400 000-ზე მეტი
ფიგურები	178 560
მბეჭდავები	55 291
ნემსის მუშაკები	51 545
ხისდამამუშავებელნი	28 601
სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეები	45 981

ოქტომბრისათვის კი პროფკავშირები მოიცავდნენ ორ მილიონ მუშაზე მეტს, მათგან მილიონი მოდიოდა პეტროგრადსა და მოსკოვზე. ამას უნდა მივუძაბოთ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლებიც მოწყობილი იყო უშუალოდ საწარმოებში. პროფკავშირებსა და საქარხნო კომიტეტებში ბოლშევიკების პარტიას ჰქონდა განშტოებული აპარატი, რომელიც მას აკავშირებდა მუშათა ფართო მასასთან, ხოლო „მუშათა კონტროლის“ სახით — მკაფიო და სხარტი ლოზუნგი, რომელიც უჩვენებდა პროლეტარიატს ბრძოლის უახლოეს მიზანს.

მუშების ორგანიზებულობა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა დიდ შეგნებულობას და ღრმა კლასობრივ სოლიდარობას. როდესაც ლიკინის დამშეულმა მუშებმა 19 სექტემბერს ჩაიარეს დემონსტრაციით ორეხოვო-ზუევიოში, ფაბრიკებმა შესწყვიტეს მუშაობა, ხოლო მუშებმა მიტინგზე დაადგინეს: თვითთულმა თავის სახლში უნდა გამოკვებოს ერთერთი ლიკინელი. კლასობრივი სოლიდარობის ამ გამოვლინების მოწამე სწერს:

„ჩამოსული ლიკინელები რამდენიმე წუთში გაინაწილეს. ბევრი კიდევ დიდხანს დაეძებდა ლიკინელებს, მაგრამ ყველა ისინი უკვე განაწილდნენ მუშათა ბინებში და ყაზარმებში“².

ამავე დღეს მუშებმა მიტინგზე დაადგინეს მიეცათ დამშეული ამხანაგებისათვის თავისი ერთდღიური ხელფასი და მოეწყოთ ფულის შეგროვება ხელმოსაწერ ფურცლების მიხედვით.

ეკატერინბურგის მბეჭდავებმა სამი თვის გაფიცვის შემდეგ მიმართეს მოსკოველ ამხანაგებს:

„გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დასრულდა... ერთხელ კიდევ გიცხადებთ მადლობას, ამხანაგო მოსკოველებო, იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც დაგვენხმარა ჩვენ გამარჯვებული გამოვსულიყავით“¹.

ხარკოვის მბეჭდავები მადლობას უცხადებდნენ იმავე მოსკოველებს ფულით დახმარებისათვის:

„მოგესალმებათ რა თქვენ, ამხანაგო მოსკოველებო, საგაფიცვო კომიტეტი გამოსთქვამს რწმენას იმაში, რომ პროლეტარიატის გაერთიანებით ჩვენ გავიმარჯვებთ კაპიტალზე“².

და ყველგან პროვინციაში ამ პერიოდის მუშათა მოძრაობამ გასაოცარი სიმკვეთრით ნათელჰყო ბოლშევიკური პარტიის უნარი ნაწილობრივი მოთხოვნების შეხამებისა მოძრაობის საერთო მიზნებთან.

ერთგული ლენინის დებულებისა — ყოველთვის მასებთან ერთად; მასების სათავეში, ისე რომ წინ არ გარბოდე, მაგრამ არც უკან რჩებოდე, — ბოლშევიკების პარტია იცავდა მუშათა მოთხოვნებს, რომლებაც მათ ყოველდღიურ ინტერესებს შეეხებოდნენ: ტარიფებს, შრომის პირობებისა და სურსათით მოპარაგების გაუმჯობესებას, მუშათა მიღებისა და დათხოვნის კონტროლს, ქალთა შრომის დაცვას. ბოლშევიკები გაბედულად და გადაჭრით გამოდიოდნენ არა შარტო როგორც პოლიტიკური კამპანიების ორგანიზატორები, არამედ როგორც მუშების ცალკე კონფლიქტებისა და გაფიცვების ხელმძღვანელებიც: ისინი მიდიოდნენ მუშათა მასების შუაგულში, ყველა ფენასთან, მონაწილეობას ღებულობდნენ ბრძოლის ყველა ფორმაში და ამ ფორმებს მოძრაობის საერთო ამოცანებს უკავშირებდნენ. ნაწილობრივი მოთხოვნები წარმოადგენდნენ პარტიისათვის იმ საფეხურებს, რომლებითაც მას მუშათა ცალკე ჯგუფები წვრილმანი, ადგილობრივი საკითხებიდან რევოლუციური პოლიტიკის ზოგად საკითხებამდე აპყავდა.

გაფიცვითა უმრავლესობა ეკონომიური ღოზუნგებით იწყებოდა: ხელფასის შომატება, სატარიფო ხელშეკრულებათა გადასინჯვა და ა. შ. მაგრამ მუშები ძალიან შალე დარწმუნდნენ, რომ წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნებიდან პოლიტიკურ მოთხოვნებზე გადასვლით. მუშების ბრძოლამ მას შემდეგ, რაც კორნილოვ — კერენსკიმ სცადეს პროლეტარიატის გასრესა, ერთხელ კიდევ დაადასტურა ლენინის მიერ 1905 წლის გაფიცვის შესწავლის გზით დადგენილი კანონი: ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვებს შორის მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელია ფართო მასობრივი მოძრაობა.

„მოძრაობის დასაწყისში, — სწერდა ლენინი, — და მოძრაობაში ახალი ფენების ჩაბმისას წმინდა ეკონომიური გაფიცვა უპირატეს როლს თამაშობს, ხოლო მეორე მხრით, პოლიტიკური გაფიცვა აღვიძებს და ამოძრავებს ჩამორჩენილთ, ან ზოგადებს და აფართოებს მოძრაობას, აპყავს იგი უმაღლეს საფეხურზე“³.

მაგრამ ძირითადი, რაც ოქტომბრის წინა ხანის მუშათა მოძრაობას განასხვავებს, — ეს არის ბრძოლის ფორმათა ცვლილება.

ამ ფორმათა არჩევისას ლენინი მოითხოვდა არა შეთხზვას, არა გამოგონებას, არამედ იმ ფორმებით სარგებლობის უნარს, რომლებიც წამოიჭრებიან თვით მოვლენათა მსვლელობაში. ლენინი გვასწავლიდა ისტორიულად მივდგომოდით ბრძოლის ამათუიშ სახეს: ყოველ მონაცემ მომენტში უნდა ვირჩევდეთ იმ მეთოდს, რომელიც შეესაბამება პარტიის ამოცანებს. ბოლშევიკების პარტიის მოქნილობა მუდამ იყო და რჩება მისი ძლიერების ერთერთი ნიშნად. დემოხსტრაციები, გაფიცვები — ეკონომიურნი და პოლიტიკურნი — პროლეტარიატის ბრძოლის ძირითად ფორმას წარმოადგენდნენ კორნილოვშინამდეც, მაგრამ ახლა მოძრაობაში გაჩნდა ახალი ელემენტები. ოქტომბერში დონბასს ფართო ტალღად მოედვა საგაფიცვო მოძრაობა. მთავრობამ გაგზავნა კაზაკები, რომელთა გამოჩენამ გააძლიერა რევოლუციური აღშფოთება: მაღაროელებმა მოითხოვეს დამსჯელი რაზმების გაწვევა, იმუქრებოდნენ რა საყოველთაო გაფიცვის დაწყებით 10 ოქტომბერს. სამი დღის შემდეგ ატამანმა კალედინმა ჯეპეშით აცნობა სამხედრო მინისტრს:

„მაღაროებში მთელი ძალაუფლება ხელთ იგდეს თვითნებურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც არ სცნობენ არავითარ სხვა ძალაუფლებას გარდა თავისი ძალაუფლებისა“¹.

შახტებში მუშები ითხოვდნენ ადმინისტრაციას, აპატიმრებდნენ იმათ, ვინც არ ემორჩილებოდა, და ხელში იგდებდნენ წარმოების მმართველობას.

ადმინისტრაციის დაპატიმრებასა და გადაყენებას მუშები სულ უფროდაუფრო ხშირად მიმართავენ მეწარმეებთან ბრძოლაში. ქალაქ ხარკოვის მელითონეებმა 18 სექტემბერს დააპატიმრეს და წითელი გვარდიის მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფებდნენ ელექტრონის საყოველთაო კომპანიის დირექტორებს. სამხრეთ რუსეთის მრეწველებმა, რომლებიც შეიკრიბნენ კონფერენციაზე ხარკოვში, საჩივრით მიმართეს შრომის მინისტრს:

„ბოროტმოქმედ ელემენტთა სრული დაუსჯელობის გამო ელექტრონის საყოველთაო კომპანიის ქარხნის მუშების საქციელს მიბაძეს აგრეთვე ქარხანაში „გერლან ი პულსტ“, სადაც ადმინისტრაცია ასევე დაპატიმრებული ჰყავდათ 20 საათის განმავლობაში. დღეს, 20 სექტემბერს, ამავე წესით დაპატიმრებულ იქნა ხარკოვის ორთქლმავალშენებელი ქარხნის დირექცია“².

საქმე, რასაკვირველია, მიმბაძელობაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ბრძოლის ძველმა ფორმამ ამოსწურა თავის თავი, მას უკვე აღარ აღმოაჩნდა უნარი დაეტია ახალი შინაარსი: მოძრაობა უშუალოდ ებჯინებოდა ქვეყანაში ძალაუფლებისა და საწარმოთა მმართველობის პრობლემას.

მუშათა ბრძოლის იგვე ახალი ფორმა შეიძლება ვიპოვოთ მოსკოვის მეტყავეების ბრძოლაშიც. მეტყავეების გაფიცვა ორ თვეზე მეტი გრძელდებოდა. მრეწველები არ ნებდებოდნენ. მუშებმა მოითხოვეს უფრო გადამწყვეტი ზომები. სადელეგატო კრებიაზე მეტყავეებმა წინადადება შეიტანეს გადაეყენებინათ აღ-

მინისტრაცია და დაუყოვნებლივ ხელში ჩაეგდოთ ის ფაბრიკები, რომელთა მფლობელნი გაუბრუნდნენ მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სადღეს-გატო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთელი ძალაუფლება საბჭოებს გადასცემოდა და მოითხოვა დაუყოვნებლივ ჩამორთმეული ყოფილიყო ის საწარმოები, სადაც არ მოხერხდა მუშების შეთანხმება მეწარმეებთან.

ზაზს უსვამდა რა, რომ ეს გადაწყვეტილება ცარიელი მუქარა არ არის, კრებამ არსებითად დაუმატა რეზოლუციას:

„18-ის შემდეგ საქარხნო კომიტეტები დაუყოვნებლივ იღებენ პრაქტიკულ ზომებს სეკესტრის მოსამზადებლად, როგორცაა: საქონლის, მანქანების და სხვ. აღწერა“¹.

მთელ რიგ საწარმოებში მუშები დაადგნენ მუშათა კონტროლის დეკრეტორებს საფაბრიკო კომიტეტების თუ საბჭოების საშუალებით. ასე, მაგალითად, მუშათა კონტროლი შემოღებულ იქნა მოსკოვში პროხოროვის ფაბრიკაში.

იქ, სადაც კაპიტალისტები ხურავდნენ თავიანთ საწარმოებს, მუშები არ ემორჩილებოდნენ მეპატრონეთა განკარგულებებს და განაგრძობდნენ მუშაობას. ხარკოვში „გელფერიხ-სადეს“ ქარხნის მუშების და მოსამსახურეების საქარხნო კომიტეტმა ქარხნის დახურვის შესახებ დირექციის განკარგულების საპასუხოდ მოუწოდა მუშებს 7 სექტემბრიდან თვითნებურად განეგრძოთ წარმოება და ქარხნის მმართველობა დაეკისრებინათ სპეციალური კომისიისათვის. ასევე იყო მთელი ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა საწარმოშიც.

მუშათა მოძრაობა ცხადად იღებდა აშკარა რევოლუციური ბრძოლის ხასიათსა და ფორმას.

ახალი რევოლუციური კრიზისის ყველაზე აშკარა ნიშანი გახდა საბჭოების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციების ბოლშევიზაციის სწრაფი პროცესი. მუშები ხელმძღვანელობას აძლევენ იმათ, ვინც ნაქმით ყოველდღიურ და შეუპოვარ ბრძოლაში დამტკიცა თავისი უნარი რევოლუციის წინ წაყვანისა. ხელმძღვანელობა პეტროგრადის საბჭოში გადავიდა ბოლშევიკების ხელში 31 აგვისტოს, მოსკოვის საბჭომ პირველად 5 სექტემბერს მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. პეტროგრადისა და მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოებში ბოლშევიკები უმრავლესობაში აღმოჩნდნენ.

ყოველ საათს სულ ახალ-ახალი გამარჯვებანი მოჰქონდა ბოლშევიკური პარტიისათვის. მარტო ერთი დღის — 1 სექტემბრის — განმავლობაში სრულიად-რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებმა კომიტეტმა 126 პროვინციული საბჭოსაგან მიიღო მოთხოვნა ხელთ აეღო ძალაუფლება.

სამ სექტემბერს მოსკოვში შესდგა ფეიქართა კავშირის დელეგატების კრება, რომელსაც დაესწრო 300 დელეგატი 175 ათასი მუშისაგან. კრებამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია იმის მოთხოვნით, რომ ძალაუფლება საბჭოებს გადასცემოდა.

ხუთ სექტემბერს კრასნოიარსკში გაიხსნა შუა ციმბირის საბჭოების ყრილობა, რომელზედაც მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუციები 110 ათასი მუშისა და 90 ათასი გლეხის სახელით.

ათ სექტემბერს გაიხსნა ფინეთის საბჭოების III საოლქო ყრილობა, რომელიც მთლიანად ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩატარდა.

ოცდაათ სექტემბერს განახლებულმა საბჭომ სარატოვში უმეტესობა ბოლშევიკებს მიანიჭა: 300 ბოლშევიკზე 90 ესერი და 53 მენშევიკი მოდიოდა.

ქვეყნის ყოველი კუთხიდან — განაპირა ჩრდილოეთიდან, შორეული ციმბირიდან, შავი ზღვის ნაპირებიდან და უკრაინიდან, შუა აზიიდან და ამიერკავკასიიდან მოდიოდა მოთხოვნები ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ. იმ პერაოდის გაზეთები პირდაპირ აპრელეზულია ინფორმაციებით, ცნობებით, რეზოლუციებით, რომლებიც მოწმობენ მასების მიმართ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ზრდას.

მოვიყვანოთ, მაგალითად, პეტროგრადში ალექსანდროვის ქარხნის სავაგონო და საორთქლმავლო სახელოსნოების ოთხი ათასი მუშის რეზოლუცია, რომელიც მეტად მკაფიოდ გადმოგვცემს საერთო განწყობილებას:

„1. ხელისუფლების სათავეში მდგომი მთავრობა არამც თუ არაფერს არ აკეთებს მუშათა კლასის და გლეხობის საარსებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არამც თუ არ იღებს საჭირო ზომებს ომის დასამთავრებლად, სასურსათო გაჭირვების შესამსუბუქებლად, არამედ, პირიქით, ზრუნავს მხოლოდ კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესების დაცვაზე, ომისა და ზავის საკითხის გადაჭრას ხელთ უგდებს მტაცებელ-იმპერიალისტებს, სასურსათო გაჭირვებას პურის ფასის მომატებით „ებრძვის“.

2. ასეთ მთავრობას ჩვენის მხრით შეუძლია მხოლოდ ერთი იმედი ჰქონდეს: უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლისა მის წინააღმდეგ. ჩვენ გადაუდებელ ამოცანად ვთვლით იმ მთავრობის დაუყოვნებლივ გადაყენებას, რომელიც ლუპავს რევოლუციის საქმეს და მიდის კონტრრევოლუციის დროშის ქვეშ.

3. რევოლუცია დაიღუპება, თუ ძალაუფლებას არ აიღებენ მუშები, ჯარისკაცები და გლეხები საბჭოების სახით. ამიტომ საბჭოების მომავალი ყრილობისაგან ჩვენ მოვითხოვთ საბჭოების ძალაუფლების გამოცხადებას.

4. შეგნებული გვაქვს რა, რომ რევოლუცია საშინელ დევებს განიცდის, ჩვენ ვაცხადებთ: ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში საბჭოებს შეუძლიათ ჩვენი უექველი და გადამჭერი მხარდაჭერის იმედი იქონიონ“¹.

მუშათა ზეგავლენით ძირეული ორგანიზაციები თავს დაშლილად აცხადებდნენ, ხოლო გადარჩევები უმეტესობას ბოლშევიკებს ანიჭებდნენ. ტრიონგორნაია მანუფაქტურის საფაბრიკო კომიტეტმა მოსკოვში გადასწყვიტა ხელი აეღო თავის რწმუნებებზე, ხოლო საფაბრიკო კომიტეტის ახალმა პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ მას

„აუცილებლად მიაჩნია გაფიცვის გზით ბრძოლა საბჭოების ძალაუფლებისათვის“².

პროლეტარიატის ფართო მასები საკუთარი მკაცრი გამოცდილებით დარწმუნდნენ. იმაში, რასაც მათ ბოლშევიკების პარტია ასწავლიდა: რევოლუციის

ხსნა შეუძლია მხოლოდ გადამწყვეტ და თავდადებულ ბრძოლას მეფაბრიკეებისა და მემამულეების მთავრობის დასამხობად, მთავრობისა, რომელსაც კერენსკი მეთაურობს.

2.

გლახთა აჯანყებები რუსეთში და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა განაპირა მხარეებში.

კორნილოვშინამ თვალი აუხილა გლეხობის ფართო ფენებსაც. გლეხებისათვის კორნილოვის გამოსვლა აშკარად ნიშნავდა მემამულეთა დაბრუნებას ძველ „თავადაზნაურულ ბუდეებში“, ნიშნავდა დროებითი მთავრობის ხელიდან მიწის მიღების იმედების სრულ გაქარწყლებას. მიწის შესახებ სანუგეშო ისედაც ცოტა ისმოდა, ახლა კი — კვლავ ძველი კლასობრივი მტერი, რომლისაგანაც გლეხობას, იმდროინდელი მოსწრებული გამოთქმით, უკვე ნახევარი წელიწადია „აკორნილოვებდა და აკერენსკებდა“. მემამულეთა ცდას რაც შეიძლება მაგრად ჩაეჭირათ თავიანთ ხელში მიწა გლეხობამ იმით უპასუხა, რომ ყველა რაიონში აღსდგა.

კერენსკის მილიციის არქივებში დარჩენილია დაწერილებითი ცნობები გლახთა მოძრაობის მძაფრი ზრდის შესახებ. ცნობებში ხედებოდა უმთავრესად ყველაზე თვალსაჩინო ფაქტები და ისიც იმ რაიონებში რეგისტრირებული, რომლებიც ახლო იყვნენ ცენტრიდან. მაგრამ ეს ფაქტებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან მოძრაობის ხასიათზე:

	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვ.	სექტ.
გლახთა გამოსვლების რაოდენობა (გაჩენა, წანახედები, გათიბვა, მამულების ხელში ჩაგდება და ა. შ.)	259	577	1122	691	629 ¹

ერთი შეხედვით შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, რომ ივლისის დღეების შემდეგ გლახთა მოძრაობამ იკლო. სწორედ ასეთი დასკვნა გამოყავდათ ამ ციფრებიდან შემთანხმებლობის ბუხპალტრებს — ესერულ-მენშევიკურ ბელადებს. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ გლახობა მშვიდდება და თანახმაა „მიწაზე ლაპარაკი“ „ბატონის მოსვლამდე“, ე. ი. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გადადვას.

იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ კერენსკის მილიცია არაკეთილსინდისიერად ჰკრებდა ციფრებს, იგი აშკარად უულიკურად იძლეოდა ამ ციფრებს თავის ცნობებში. ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტი ფორმა — ეკონომიათა დარბევები და გადაწევა, მიწის და ინვენტარის ხელში ჩაგდება — ბურჟუაზიულმა სტატისტიკოსებმა გამოაყვეს საადგილმამულო დარღვევითა ჯგუფიდან და გადაიტანეს „პოგრომულ-მტაცებლურ უფლებადარღვევითა“ ჯგუფში, სადაც ერთად დაახვედეს მამულების დატაცებანი და მკვლელობანი ძარცვა-გლეჯით. მაგრამ

ამ უულიკურ ხერხსაც არ შეუძლია გლებთა მოძრაობის ნამდვილი არსის დაფარვა. თუ გლებთა გამოსვლების საერთო ციფრი კლებულადაა, სამაგიეროდ განუხრელად და სწრაფად იზრდება მემამულეთა ქონების დარბევა და დატაცება:

მაისი ივნისი ივლისი აგვ. სექტ.

პოგრომულ-მტაცებლური უფლება-

დარღვევანი 152 112 387 440 958¹

ძირფესვიანად შეიცვალა გლებთა ბრძოლის ფორმა. წინახედების, გათიბვის, ეკონომიურ კონფლიქტთა ნაცვლად პირველ ადგილზე გამოდის მემამულის გაძევება ძველთაძველი ბუდეებიდან: იწყება მამულების დარბევა და გადაწვა, მიწების დატაცება და ეკონომიათა დაყოფა. დროებითი მთავრობის ხსლომებზე სწირად მოახსენებენ ხოლმე ახალ ამბოხებებზე სოფლად. 27 სექტემბერს მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე კონოვალოვმა აცნობა, რომ სარატოვის გუბერნიაში ძლიერი პოგრომული მოძრაობაა მემამულეების წინააღმდეგ; 3 ოქტომბერს აცნობეს, რომ ვოლინის გუბერნიაში დაარბიეს მამულები; 4 ოქტომბერს მიღებულ იქნა ცნობა, რომ ხელთ იგდეს და დაინაწილეს მამულები კურსკის, პენზის და რიაზანის გუბერნიებში; 6 ოქტომბერს აცნობეს მოძრაობის ზრდის შესახებ კავკავში, მინსკის, ხარკოვის და ვოლინის გუბერნიებში. გლებთა მოძრაობა გრიგალისებურად ვრცელდებოდა, ერთი კიდედან მეორე კიდე ედებოდა და სულ უფროდაუფრო უახლოვდებოდა ფრონტს, სადაც მილიონობით ჯარისკაცები ხარბად ეტანებოდნენ ხმებს მემამულეთა ქონების დატაცების შესახებ.

გლებთა აჯანყებების ტალღის მიახლოებამ უიმისოდაც გაავარვარებულ ფრონტისადმი აიძულა დროებითი მთავრობა გადაეწყვიტა ახალი კონტრრევოლუციური გეგმის შემუშავება.

თხუთმეტ ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ — არმიისათვის სურსათის გაუმჯობესების მომიზნებით წინადადება წამოაყენა გადასროლათ კავალერიის ფრონტიდან რუსეთის შიგნით. ისინი ვარაუდობდნენ მოეხდინათ კავალერიის ისეთი განლაგება, რომ მოეცვათ რაც შეძლება მეტი რაიონი, ამასთან თითქმის მხოლოდამხოლოდ ის რაიონები, სადაც გლებთა აჯანყებები გიხგიხებდა: რიაზანის, ტამბოვის, პენზის, სარატოვის, კურსკის, ორიოლის, კიევის, ხარკოვის, ეკატერინოსლავის, ნოვეროდის, პერმის და სხვ. რაიონები. საქმე რომ გრანდიოზულ დამსჯელ ექსპედიციას ეხებოდა, სადაც დამსჯელთა როლში უნდა გამოსულიყო მთელი კავალერია, ხოლო დასასჯელთა როლში — გლებობის უმეტესი ნაწილი, ეს სჩანს იმ დებუებიდან, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკიტინმა (მენშევიკების პარტიის წევრმა) და გენერალმა დუხონინმა. მოითხოვდა რა კავალერიის გამოგზავნას, ნიკიტინი მიუთითებდა, რომ

„სურსათის მიზნით და ამასთან წესრიგის დასამყარებლად კავალერიის ნაწილები დაუყოვნებლივ შეიძლება დაბინავებულ იქნან“².

შემდეგ კი ჩამოთვალა ის რაიონები, სადაც მძინვარებდა აჯანყებები, — დაახლოებით 20 გუბერნია, ევროპის რუსეთის მესამედზე მეტი!

მენშევიკურ მინისტრს სურდა, რომ დაახლოებით გლეხთა მესამედი ნაწილი-სათვის სასიკვდილოდ ეცემნათ მათსავე შვილებს — ჯარისკაცებს.

მემამულეების ფიცხი დამცველი ღუზონინი მას უპასუხებდა:

„არც საბრძოლო პირობები, არც უახლოეს ზურგში ამ უკანასკნელ დროს გახშირებული ძარცვა და გლეჯა არ იძლევა საშუალებას ამჟამად კავალერიის მოსახსნელად ფრონტიდან და მის გასაგზავნად შორეულ ზურგში... ქვეყანაში შინაური წესრიგის დაცვა უნდა ეყრდნობოდეს სწორად ორგანიზებულ მილიციას, რომელიც შედგენილ უნდა იქნას შერჩეული საიმედო ადამიანებისაგან, იმათი რიცხვიდან, ვისაც ახლა ითხოვენ სამსახურის ვადის გასვლის გამო“¹.

გენერალმა ღუზონინმა ჯარისკაცული უბრალოებით წამოროშა გეგმის დედაარსი: კავალერია გადაყვადათ არა ფურაჩისათვის, არამედ მხოლოდდამხოლოდ გლეხთა მოძრაობის გასანადგურებლად. გეგმის შესრულება არ მოხერხდა: არ აღმოჩნდა საკმაო საიმედო კავალერიის ნაწილები, ვინაიდან ის პოლკები, რომლებსაც აგზავნიდნენ, თვით გადაიქცნენ რევოლუციური იდეების გამავრცელებლად. მაგრამ თვითონ გეგმის არსებობა მოწმობდა, რომ მემამულეებისა და ბურჟუაზიის მთავრობა მზად იყო სისხლის ნიაღვრით მოერწყო ქვეყანა, ოღონდ კი გლეხთა წინააღმდეგობა გაეტეხნა.

დამსჯელმა ექსპედიციებმა სოფლად ცეცხლზე გადასხმული ზეთის როლი ითამაშეს: უკანასკნელი იმედები გაქრა, როგორც კვამლი, და გლეხთა აჯანყებანი აელვარდნენ მთელს ქვეყანაში, ცეცხლის რკალად ედებოდნენ რა საგუბერნიო ცენტრებს.

„რუსეთში, — სწერდა ლენინი ამ პერიოდზე, — რევოლუციის გარდატეხის მომენტი უეჭველია. გლეხურ ქვეყანაში, რევოლუციური, რესპუბლიკური მთავრობის დროს, რომელიც სარგებლობს ესერებისა და მენშევიკების პარტიათა მხარდაჭერით, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ ბატონობდნენ წერილობრივად იულო დემოკრატიას შორის, გლეხთა აჯანყება იზრდება.“

ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია“².

მკვეთრი ძვრა დაიწყო ჩაგრულ ეროვნებათა შორისაც.

ბურჟუაზიულმა ნაციონალურმა ორგანიზაციებმა კორნილოვში — მისი დიდმპყრობელური შოვინისტური პოლიტიკით — დაინახეს რეალური საფრთხე თავისი არსებობისათვის და სწრაფად დაგმეს კონტრრევოლუციის გამოსვლა.

„დიდი უბედურება მოხდებოდა, — სწერდა თავის მოწოდებაში უკრაინის ცენტრალური რადა, — გენერალ კორნილოვს. რომ მოეხერხებინა ხალხისა და არმიის მიმართვა მთავრობის წინააღმდეგ... გლეხები და მუშები საბოლოოდ იქნებოდნენ გაპარტახებულნი და ბატონისა და მეფის წინანდელ საშინელ მონობაში ჩაგდებულნი... უკრაინის ცენტრალური რადა მოუწო-



მატროსები და ჯარისკაცები მეთაურობენ გლეხთა გამოხველბს.

ნახ. პ. ვასილიევისა.

დებს უკრაინის მიწაწყლის მთელ მოსახლეობას არ დაემორჩილონ კორნილოვისა და რევოლუციის სხვა მტრების ბრძანებებს. უკრაინის ცენტრალური რადა აცნობებს უკრაინის სოფლებისა და ქალაქების ყველა მოქალაქეს, რომ რუსეთში კანონიერი მთავრობა არის მხოლოდ რუსეთის დროებითი მთავრობა, ხოლო უკრაინაში უკრაინის ცენტრალური რადა და მისი გენერალური სამდივნო“¹.

თვით მოლათა სრულიად-რუსეთის ყრილობამ ყაზანში, შეუერთდა რა საერთო მუსლიმანულ ყრილობას, მოუწოდა მრავალ-მილიონიან მუსლიმანობას „დაეკავშირებინა თავისი ბედი იმ ხელისუფლებასთან და დემოკრატიის იმ ორგანოებთან, რომლებიც რევოლუციის დასაწყისიდანვე მოპოებულ თავისუფლებათა დასაყრდენად იქცნენ“².

ამიერ-კავკასიაში ადგილობრივი ბურჟუაზია და წვრილბურჟუაზიული პარტიები მოუწოდებდნენ კორნილოვის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ბურიატიაში, თურქესტანში ნაციონალური ბურჟუაზია ლებულობდა რეზოლუციებს კორნილოვის აჯანყების წინააღმდეგ.

მაგრამ მასობრივი მოძრაობის გაქანებამ შეაშინა ნაციონალური ბურჟუაზია და მისი ესერულ-მენშევიკური ლაქიები.

იმპერიალისტური ომის განგრძობა, მზარდი შიმშილი და არსებითად პირდაპირი უარი ნაციონალური საკითხის გადაჭრაზე არწმუნებდა ჩაგრულ ეროვნებათა ფართო მასებს, რომ არა მარტო დიდმპყრობელურ ბურჟუაზიას, არამედ თავის ნაციონალურ ბურჟუაზიასაც არა აქვს უნარი სათავეში ჩაუდგეს განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

ფინეთში, მას შემდეგ, რაც დროებითმა მთავრობამ დაშალა სეიმი, სეიმის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს გამოცხადების წესით გაეხსნათ იგი. მაგრამ ფინეთის გენერალ-გუბერნატორმა კადეტმა ნეკრასოვმა 15 სექტემბერს დალუქა იმ შენობის კარები, სადაც დეპუტატები იკრიბებოდნენ. სეიმს მხარი დაუჭირა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. „სეიმი სხდომას გამართავს ჩვენი ხიშტებით დატულია“, განუცხადეს საბჭოს წარმომადგენლებმა გენერალ-გუბერნატორს. დროებითმა მთავრობამ განკარგულება გასცა გამოეყვანათ ფინეთიდან რევოლუციური ჯარები, რათა გაეტეხათ მშრომელთა წინააღმდეგობა. ფინეთის პროლეტარიატი და ხალხის ფართო მასები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მათთვის თავისუფლების მიცემა.

ყირიმში მშრომელმა თათრებმა აიძულეს ყირიმის მუსლიმანთა ყრილობა, რომელიც შეიკრიბა მ ოქტომბერს სიმფეროპოლში, მოეთხოვა ყირიმის მუსლიმანური სეიმის გახსნა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ჩაგრული ყირიმის ხალხის მასებს არ სჯეროდათ დროებითი მთავრობის დაპირებებისა და თვითნებურად ცდილობდნენ თავის ხელში აეღოთ ნაციონალური საკითხის გადაჭრა.

ყველა ნაციონალურ ოლქში გახშირდა კონფლიქტები და შეტაკებანი მთავრობის კომისრებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის. რუსეთის დროებითი მთავრობა სასტიკ წინააღმდეგობას უწყევდა ნაციონალური თვითგამორკვევის ყოველ ცდას, სულ მცირე მისწრაფებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ. მეორე მხრით, ჩაგრულ ერთა მუშები და გლეხები მოითხოვდნენ გადამწყვეტ პოლიტიკას ნაციონალური ორგანიზაციებისაგან, რომლებიც რევოლუციის პირველ პერიოდში სათავეში ჩაუდგნენ ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას: ომის შეწყვეტას, მემამულეთა მიწის კონფისკაციას, ნაციონალური უთანასწორობის ლიკვიდაციას.

რაც უფრო ღრმავდებოდა რევოლუცია, მით უფრო მსწავედებოდა მდგომარეობა: ქვემოდან აწევბოდნენ მუშები და გლეხები, ზემოდან კი აწყებოდა დროებითი მთავრობის მხაგვრელი პრესი. ხალხის მასებში იზრდებოდა რწმენა, რომ განთავისუფლების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგაც და იმპერიალურად თავისი საკუთარი ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგაც, ბრძოლაში საბჭოების ხელისუფლებისათვის.

ამ პერიოდის ნაციონალურ ბრძოლაზე სტალინი სწერდა:

„რამდენადაც განაპირა ქვეყნებში „საერთო-ნაციონალური“ ინსტიტუტები იჩენდნენ მიდრეკილებას სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისაკენ, ისინი აწყდებოდნენ გადაულახავ წინააღმდეგობას რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის მხრივ. ხოლო იმდენად, რამდენადაც ისინი, ანტიკლებ-

დნენ რა ნაციონალური ბურჟუაზიის ხელისუფლებას, რჩებოდნენ ყრუ „თავის“ მუშებისა და გლეხების ძირითადი ინტერესებისადმი, იწვევდნენ ამ უკანასკნელთა შორის დრტყინვას და უკმაყოფილებას...

ამჟამად ხდებოდა, რომ ჩაგრული ერების მშრომელი მასების განთავისუფლება და ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა წარმოუდგენელია იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტის გარეშე, „თავის“ ნაციონალური ბურჟუაზიის დამხობისა და თვით მშრომელი მასების მიერ ხელისუფლების აღების გარეშე“¹.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შიგნით სოციალური დიფერენციაციის პროცესი მიმდინარეობდა ყველა ეროვნებაში მეტი თუ ნაკლები ძალით პროლეტარიატის ორგანიზებულიობისა და შეგნებულიობისაგან დამოკიდებით. თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი — ამას გვიჩვენებს უზბეკთა ლარიბების ბრძოლა ქალაქის სათათბიროსათვის სამარკანდში 1917 წლის აგვისტოს დამლევს. სათათბიროს არჩევისას ნაციონალურმა ბურჟუაზიამ წამოაყენა მუსლიმანთა ერთიანი სია, მთლიანად ბაეზისაგან, მოლებისა და ვაქრებისაგან შემდგარი. როდესაც მუშებმა და სამარკანდის ლარიბებმა მოითხოვეს ჩაერთოთ ამ სიაში თავისი ათი წარმომადგენელი, მათ ამაზე უარი უთხრეს, წინადადება მისცეს რა დაკმაყოფილებულიყვნენ ორით. სამარკანდის ლარიბებმა, რომლებიც ორგანიზებული იყვნენ „მშრომელ მუსლიმანთა კავშირში“, უარი სთქვეს ასეთ წარმომადგენლობაზე.

„კავშირმა“ მიმართა მშრომელთ შემდეგი ფურცლით:

„სწორია თუ არა, რომ ქალაქის სათათბიროს წევრთა საერთო რაოდენობიდან, რაც 75 კაცს შეადგენს, ბაეზისა, მოლებისა და ინტელიგენციისაგან, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის ერთ მეათედსაც არ შეადგენენ, გავიდეს 73 წარმომადგენელი, ხოლო ჩვენგან, ლარიბებისა და მუშებისაგან, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, მხოლოდ ორი წარმომადგენელი? ამიტომ უარყავით ჩვენ შურის პირობა“ (შურა — ნაციონალური ბურჟუაზიული ორგანიზაცია. რ ე დ.).

„მაგრამ აი სწორედ ამ შურამ, — ნათქვამია შემდეგ ფურცელში, — რომელმაც უარი განაცხადა მიეღო ჩვენგან ათი კაცი, — იცით, რა გააკეთა მან? იგი გაუერთიანდა რუსთა კავშირს, რომელსაც სახლის მფლობელთა საზოგადოებას უწოდებენ და თავის სიაში 25 რუსი შეიტანა. როდესაც ეს გავიგეთ, ჩვენ მათ ვუთხარით: „არაფერია“ და, ღვთის იმედით, თვითონ შევადგინეთ საკუთარი სია, შევიყვანეთ რა მასში თითო კაცი ჩვენი ქალაქის მუშათა თვითიული ჯგუფისაგან. ზოგიერთები ძლიერ შეშფოთებულნი არიან ჩვენი მოქმედებით, რადგან მათ ძალიან ეშინიათ, რომ თუ ჩვენს ლარიბებს შევიყვანთ ქალაქის სათათბიროში, მათთვის ადგილი აღარ დარჩება... მუშებო, ნუ იქნებით უღარდელნი, თავს ნუ მოატყუებინებთ!“².

ამ დოკუმენტში შესანიშნავი სიმკვეთრით გამოიხატა ის ახალი ნაციონალურ მოძრაობაში, რაც გარდუვალად იშვოდა იმის მიხედვით, რამდენადც რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპიდან გადადიოდა სოციალის-

ტურზე. პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილი ნაციონალური რაზმებიც კი საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებოდნენ „თავისი“ და რუსი ექსპლოატატორების კლასობრივ ერთიანობაში. ნაციონალურ ბურჟუაზიას უსაფუძვლოდ. როდი ეშინოდა, რომ მას „ადგილი აღარ დარჩება“.

ჩაგრულ ეროვნებათა ბურჟუაზია ცდლობდა შეეჩერებინა გამიჯვნის ეს პროცესი ნაციონალურ მოძრაობაში. ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ მთელი რუსეთისაგან გამიჯვებით, საიდანაც ვრცელდებოდა ბოლშევიზმის რევოლუციური გადამდები სენი.

„რუსეთი ამჟამად გახრწნისა და დაშლის მდგომარეობაში იმყოფება და რევოლუციის განუწყვეტელ კონფუსიებში იკრუნჩხება — სწერდა ფინეთის ბურჟუაზიული გაზეთი „ხუვედსტატსბლადეტ“. — რუსი ხალხი შეპყრობილია ანარქიული თავაშვებულობით და თვითმოსპობით, და ასეთ პირობებში განა ჩვენ იმისაყენ არ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ რამდენადაც შესაძლებელია გავემიჯნოთ ამ ქაოსს, რათა თვითონ ჩვენ არ დავილუპოთ?“⁴.

ფინეთის ბურჟუაზიამ ყველაზე გულახდილად გამოხატა ყველა ჩაგრულ ეროვნებათა ბურჟუაზიული ფენების იღუმალი სურვილები. მაგრამ ეს იღუმალი მისწრაფებანი სულ უფროდაუფრო აშკარა ხდებოდა. სწორედ კორნილოვშინის განადგურების შემდეგ იზრდება ბურჟუაზიის მისწრაფება გავმიჯნოს რევოლუციურ ცენტრებს. ეს მისწრაფებანი გამოწვეულია არა მარტა დროებითი მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკით, არამედ შიშითაც „საკუთარი“ მუშებისა და გლეხების აქტივობის წინაშე.

მთელ რიგ ნაციონალურ ოლქებში კლასობრივმა კონფლიქტებმა იწყეს შეიარაღებულ ბრძოლაში გადაზრდა. გლეხთა მოძრაობის გაქანება ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა ნაციონალურ მხარეებში: ცენტრალური რუსეთის ვლადიმირის გუბერნიაში სექტემბერში მხოლოდ 13 გამოსვლა იყო, ხოლო ყაზანისაში — 51, მინსკისაში — 57, კიევშინაში — 39. ჩაგრულ ერთა გლეხობის ბრძოლამ ადგილ-ადგილ უკვე იწყო შეერთება მუშათა გაფიცებთან, ჰქმნიდა რა განსაკუთრებით დაძაბულ მდგომარეობას ნაციონალურ ოლქებში. 4 ოქტომბერს დროებითი მთავრობის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა მენშევიკმა ნიკიტინმა აცნობა გლეხთა შეიარაღებულ ბრძოლის შესახებ თერგის ოლქის გროზნის, ვედენის და ხასავ-იურტის რაიონებში. მინისტრი ყველაზე უფრო მტკად შეაშინა იმ ფაქტმა, რომ ამავე პერიოდში ქალაქ გროზნის რაიონში დაიწყო ნავთის სარეწაოთა მუშების გაფიცვა. თუ რამდენად ეშინოდა მთავრობას რევოლუციურ-ნაციონალური მოძრაობის გაერთიანებისა მუშათა რევოლუციასთან, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ აღნიშნულ რაიონებში მან სასწრაფოდ დეპეშით შემოიღო „სამხედრო წესები“.

მუშათა რევოლუციას და გლეხთა აჯანყებას შეუერთდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომი.

„ნაციონალური და აგრარული საკითხები, — სწერდა ლენინი, — ეს რუსეთის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული მასების სადღეისო ძირითადი

საკითხებია ამჟამად. ეს უდავოა. და ორივე ამ საკითხში პროლეტარიატი „არაა იზოლირებული“, რაიცა იშვიათია. მას თავის მხარეზე ჰყავს ხალხის უმრავლესობა. მხოლოდ მას აქვს უნარი აწარმოოს ისეთი გადამწყვეტი, ხამდვილად „რევოლუციურ-დემოკრატიული“ პოლიტიკა ორივე საკითხში, რომელიც ერთბაშად უზრუნველყოფდა პროლეტარულ სახელმწიფო ძალაუფლებისათვის არა მარტო მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას, არამედ რევოლუციური ენტუზიაზმის ნამდვილ აფეთქებასაც მასებში“¹.



თ ა ვ ი მ ე ტ ა მ ე ბ ა .

არმია და ულოგი ოპოზიციის რევოლუციის წინ.

1.

ულოგი ოპოზიციის რევოლუციის წინ.

კორნილოვის ამბოხებამ გაამწვავა წინააღმდეგობანი და გააძლიერა ბრძოლა ოფიცრობასა და ჯარისკაცებს შორის. მეთაურთა შემადგენლობისადმი ფართო მასების ნდობის უკანასკნელ ნაშთებს ძირი გამოუთხარა მეთაურთა შემაღდგენლობის მონაწილეობამ კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში ან აშკარა თანაგრძნობამ ამ შეთქმულებისადმი. კავშირი მეთაურთა და მათდამი დაქვემდებარებულ სამხედრო ნაწილებს შორის სულ უფროდაუფრო ირღვეოდა. კლასობრივი ბრძოლა არმიაში ახალ ფაზაში შედიოდა.

მე-12 არმიის ესერულ-მენშევიკური კომიტეტი დეკემბრით ატყობინებდა ჩხვიძეს:

„კორნილოვის შეთქმულებამ ღრმა კვალი დასტოვა, მასა აღარავის აღარ უჯერებს, უნდობლობა მეთაურთა შემადგენლობისადმი, რაც შედეგია უკანდახვევისა, ძლიერდება კორნილოვის ისტორიით“¹.

ცნობები დასავლეთის ფრონტის არმიის განწყობილებათა შესახებ ასეთ შეფასებას აძლევდა შექმნილ მდგომარეობას:

„გენერალ კორნილოვის გამოსვლამ თითქმის ყველგან კვლავ დაარღვია მოგვარებული კეთილი ურთიერთობა მეთაურთა შემადგენლობასა და ჯარისკაცთა მასას შორის, ამასთან აგიტაცია ოფიცრობის წინააღმდეგ გაძლიერდა განსაკუთრებით იქ, სადაც ჯარისკაცებს ჰქონდათ ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ოფიცერი ოფიცერთა კავშირს ეკუთვნის“².



მ. ვ. ფრუნზე — ბოლშევიკური სამხედრო ორგანიზაციების ხელმძღვანელი და საველეის ფრონტზე (მინსკი).

ბევრ ნაწილში დაჟინებით მოითხოვდნენ ოფიცერთა კავშირის დათხოვნას. ჯარისკაცები აშკარად იყვნენ აღშფოთებულნი იმ პრივილეგიური პირობებით, რომლებშიაც იმყოფებოდნენ კორნილოვი და მისი ხელშემწყობნი საპატიმროში. მოითხოვდნენ მათ სასწრაფოდ გასამართლებას.

„აი თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, გაზეთებში სწერთ სუბომლინოვისა და კორნილოვის შესახებ, — იწერებოდნენ სექტემბრის შუა რიცხვებში ჯარისკაცები მოქმედი არმიიდან, მიმართავდნენ რა ესერულ-მენშევიკურ ბელადებს, — რომ ვილაც მოწმეები მათ ამართლებენ, რა დიდხანს ასამართლებთ თქვენ მათ, ძვირფასო ამხანაგებო. სუბომლინოვს აგერ უკვე, მგონი, ექვსი თვეა რაც ასამართლებთ, ასევე კორნილოვსაც; აშკარაა, რომ ისინი დაჩანაყენი არიან და

დანაშაულში მათი ამაზე უფრო მეტად მხილება ალარკი შეიძლება: ისინი ჩვენ გვღალატობდნენ, ჩვენს სისხლს ღვრიდნენ. თქვენ ასე გაასამართლეთ ისინი: 24 საათში — როგორც ჩვენ გვექცეოდნენ ძველი რეჟიმის დროს. თქვენ კი, ძვირფასო ამხანაგებო, მათ გასამართლების საშუალებას აძლევთ. მათი მსჯავრია: თავის მოკვება — დაე ისინი ჭიებმა შესკამონ, ასე ეკადრებათ ამგვარ არამზადებს. თქვენ კი მათ ელოლიავენით! ნუ ელოლიავენით, ძვირფასო ამხანაგებო“¹.

ჯარისკაცთა მასა იგნებდა მენშევიკებისა და ესერების გამცემლურ როლს, რომლებიც ბურჟუაზიისაკენ მიიწვევდნენ. თვითონ ჯარისკაცები თავისებურად ებრძოდნენ კორნილოვშინას. პოლკებიდგან აძვეებდნენ ოფიცრებს, როგორც კი იგებდნენ, რომ მათ კავშირი ჰქონდათ კორნილოვთან. მეთაურებისაგან შოითხოვდნენ დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ისინი მხარს არ უჭერდნენ ამბოხებას. მეთაურთა შემადგენლობას ართმევდნენ იარაღს. ზოგან — ჰელსინგფორსში სახაზო გემ „პეტროპავლოვსკზე“ და ვიბორგში — მატროსებმა და ჯარისკაცებმა მიმართეს მეთაურთა შემადგენლობიდან აშკარა კონტრარევოლუციური ელემენტების თვითგასამართლებას. ვიბორგში მოკლულ იქნა 11 ოფიცერი.

ამასთან ერთად სულ უფროდაუფრო ღრმავდებოდა დაშლა ფრონტისა, რომელიც სანგრების თითქმის განუწყვეტელ ზოლად იყო გაკიშული ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და შემდეგ — შავი ზღვიდან სპარსეთის საზღვრამდე. ხუთმეტრი არმია, რომლებიც დაბანაკებულნი იყვნენ ბალტიისა და შავ ზღვებს შორის, მთავარ საოპერაციო მიმართულებათაგან დამოკიდებით თავმოყრილი

იყო ჯგუფებად — სამ-სამ და ოთხ-ოთხ არმიად, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ განსაკუთრებული სარდლობით; ესენი შეადგენდნენ ცალკეულ ფრონტებს. სამხედრო მხრივ ყველაზე მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, განსაკუთრებით რიგის დაცემის შემდეგ, ჩრდილოეთის ფრონტს, რომელსაც ეკავა პეტროგრადის მისადგომები. ამ დროისათვის დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები მერონებად იქცა, როგორც თამაშობდნენ, რადგან შეტევაზე, რომლის პლანდარმსაც ისინი წარმოადგენდნენ, უკვე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. მაგრამ შემარსებენ ფლანგს, ყველაზე სამხრეთით მდებარე უბანს, ეგრეთ-წოდებულ რუმინეთის ფრონტსაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იცავდა რა ოდესას და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ნავსადგურებს.

ოქტომბრის რევოლუციის წინ ყველა ფრონტზე საერთოდ იყო არა უმეტეს ორი მილიონი მებრძოლისა — ეს ციფრი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ დაახლოებით ციფრად. სტიქიური დემობილიზაციის გამო, რომელიც ამ დროისათვის ყველაზე მტკიცე ნაწილებსაც კი მოედდა, ფრონტიდან ყოველდღიურად იხსნებოდნენ ათასობით ჯარისკაცები. ამ დროსათვის ფრონტზე მყოფ მებრძოლთა ნამდვილი რაოდენობის გამორკვევა შეუძლებელია. ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე გადამდგარი სამხედრო მინისტრი კერენსკის კაბინეტისა ვერხოვსკი ასე ახასიათებს ფრონტის რიცხობრივ შემადგენლობას ოქტომბრის დამდევისათვის:

„არმიის შემადგენლობის შესახებ ზუსტი ციფრების მიღება მე პირველად მოვახერხე მხოლოდ უმაღლესი სარდლობის ბანაკში გამართული თათბირის დროისათვის. სხვადასხვა დროს ის ციფრები, რომლებსაც მე მაწვდიდნენ, მერყეობდა 7-დან 12 მილიონამდე. ახლა, ზოლოსდაზოლოს, ციფრები ცოტად თუ ბევრად ზუსტია. მთელს არმიაში, რომლის ფრონტი 1800 ვერსს უდრის, მებრძოლთა რაოდენობა შეადგენს 1500 ათასს ქვეითაჯარში და 500 ათას მებრძოლს არტილერიასა და საბრძოლო დანიშნულების სხვა სპეციალურ-ნაწილებში, როგორცაა: საინჟინერო, საავიაციო და სხვ. ნაწილები; 3500 ათასი კაცი ითვლება არმიის



ლ. მ. კავანოვიჩი — ბოლშევიკების ხარატოვის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციების სრულიად-რუსეთის კონფერენციაზე არჩეულ იქნა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციათა სრულიად-რუსეთის ბიუროს წევრად.

ზურგის დაწესებულებებში: პარკებში, საბარგულებში, პურის საცხობებში და ა. შ. ყოველგვარი სახის ორგანიზაციებში, როგორცაა: წითელი ჯვარი, „ზემგორი“, „ზემსოიუზი“, გზების, პოზიციების მშენებლობა და სხვ. ითვლება 2900 ათასი კაცი და ზურგის ოლქებში — 1500 ათასი კაცი, რომელთაგანაც მხოლოდ 400 ათასი კაცია ჩარიცხული სამარშო ასეულებში, ე. ი. ისეთები, რომელნიც ვარგისნი არიან ფრონტზე გასაგზავნად. სულ იარაღქვეშ არის თითქმის 10 მილიონი კაცი, რომელთაგანაც მხოლოდ 2 მილიონი კაცი მსახურობს ფრონტზე, ყველა დანარჩენები კი ასე თუ ისე მათ ემსახურებიან. ერთი ხიტყვით, თითო მეომარზე მოდის 4 კაცი ზურგში, რომლებიც მას უწყევნ მომსახურებას“¹.

მაგრამ ეს ორი მილიონიც, წერილ ძეწკვად გაკიშული უზარმაზარ ფრონტზე, სრულიად მოკლებული იყო ბრძოლისუნარიანობას. უკიდურესად გაიზარდა საერთო მოქანცულობა ომით და მისი განგრძობის სურვილის უქონლობა, უნდობლობა მეთაურთა შემდგენლობისადმი, დეზერტირობა. არმია, რომელმაც ამასთან ერთად განიცადა სასტიკი სასურსათო დაბრკოლებანი, უახლოვდებოდა სრული დაშლის მდგომარეობას და იქცეოდა „ავადმყოფ ორგანიზმად“, როგორც იგი დაახასიათა შემდეგში ვლადიმირ ილიას-ძემ. პასუხისმგებლობის დაკისრებას ყოველივე ამისათვის ცდილობდნენ ბოლშევიკებისათვის.

„აი ისინი, მთავარი დამნაშავენი ჩვენს დამარცხებებში“, გაჰყვიროდა მთელი ბურჟუაზიული პრესა. ბურჟუაზიულ გაზეთებს არ ჩამორჩებოდა მენშევიკურ-ესერული პრესაც, რომელმაც დაიწყო ბოლშევიკების წარმოუდგენელი დევნა. ეს ლოზუნგი იყო მთავარი მოტივი დროებითი მთავრობის სამხედრო კომისართა მოხსენებებშიაც. ჩრდილოეთის ფრონტის მე-5 არმიის კომისრის თანაშემწე პორუჩიკი დოლგოპოლოვი თავის მოხსენებაში სამხედრო მინისტრის პოლიტიკურ სამმართველოსადმი 19 ოქტომბრის თარიღით მიუთითებდა:

„განწყობილება არმიაში სულ უფროდაუფრო უარესდება ბოლშევიზმის გაძლიერებული აგიტაციის გამო, და საჭიროა გმირული ღონისძიებანი არმიის ბრძოლისუნარიანობის აღსადგენად. საჭიროა ბრძოლა — და დაუნდობელი — უპასუხისმგებლო დემაგოგებთან“².

თავისი მოხსენების დასასრულს იგი კვლავ იმეორებდა:

„უპასუხისმგებლო დემაგოგია დამლუპველ გავლენას ახდენს არმიის მდგომარეობაზე და საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა ასეთ გამოსვლებთან, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა“³.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის საგანგებო არმიის მე-126 დივიზიის კომიტეტის თავმჯდომარე რიტჩენკო მოხსენებაში 17 ოქტომბრის თარიღით იტყობინებოდა:

„საბრძოლო ბრძანების შეუსრულებლობის მიზეზია არმიის გახრწნა, როგორც მასებში გადასროლილი განუხორციელებელი ლოზუნგების შედეგი“⁴.

იმევე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-7 არმიის კომისარი სურგუჩევი ჰოსენებაში 15 ოქტომბრის თარიღით ხაზგასმით აღნიშნავდა:

„მდგომარეობა არმიაში ამჟამად მეტისმეტად სერიოზულია... ამაში პატარა როლს არ თამაშობს ბოლშევიკური აგიტაცია, რომელთანაც ბრძოლა სულ უფროდაუფრო ძნელდება“¹.

თვით ისეთი ფრონტიდანაც კი, სადაც ბოლშევიკების მოქმედება საკმაოდ ლუსტად იყო განვითარებული — როგორც რუმინეთის ფრონტი, — იქიდანაც კი მოისმოდა გოდება ბოლშევიკების მზაკვრობის შესახებ. რუმინეთის ფრონტის კომისარი ტიზენჰაუზენი თავის 29 ოქტომბრის საიდუმლო ნაკრებ ცნობაში, ახასიათებდა რა ფრონტის მდგომარეობას ოქტომბრის რევოლუციის წინ, სწერდა:

„ზავის წყურვილის შეუჩერებელი ტალღა, რომელიც განუწყვეტილი იზრდებოდა და ფართოვდებოდა, ზავისა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო იგი, სულ უფროდაუფრო ედებოდა ფრონტს, შექმნდა რა ნერვიულობა და უწონასწორობა ჯარების ცხოვრებაში. ამას დიდად შეუწყო ხელი ციმერვალდ-კინტალის იდეების მომხრეთა, იმ ადამიანთა მოღვაწეობამ, რომლებმაც იცოდნენ ბრბოს სუსტი მხარეები და მოურიდებლად სარგებლობდნენ ამ მხარეებით, აზვიადებდნენ რა მითქმა-მოთქმას ზავის შესახებ“².

ყველა ეს განცხადება — ასეთი განცხადებანი კი შეიძლება ურიცხვი მოგვეყვანა — მოწმობდა მხოლოდ იმათ სრულ დაბნეულობას, ვისაც თავი მიანდა არმიის ხელმძღვანელად, და მათი მხრით სურვილის უქონლობას დაენახათ დაშლის ნამდვილი მიზეზი. არმია ისეთსავე ნგრევას განიცდიდა, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგი. ეს ნგრევა საბოლოო ანგარიშში არაჩვეულებრივი სიცხადით მოწმობდა ჩვენს ქვეყანაში მთელი ბურჟუაზიულ-შემამულური წყობილების სრულ დამხობას და ამის ბრალად დადება ბოლშევიკებისათვის ნიშნავდა შედეგის მიზეზად მიღებას. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა ამას ხაზგასმით³.

„ყველა ის ცილისწამება, — ამბობდა იგი, — რომლებსაც გვიყენებდნენ ჩვენ ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვა და მათი დამხმარე ან საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი პარტიები, თითქოს ბოლშევიკები ხრწნიდნენ ჯარებს, — წარმოადგენს სისულელეს“⁴.

სისულელე იყო აგრეთვე ის მტკიცებაც, რომ ბოლშევიკური ნაწილები — უფრო სწორად, ის ნაწილები, სადაც ბოლშევიკურ ორგანიზაციებს თან მიჰყავდათ ჯარისკაცთა მთელი დანარჩენი მასა, — დაშლის ყველაზე მკაფიო სურათს წარმოადგენდნენ. საქმის ვითარება სულ ნაწინააღმდეგო იყო. ბრძოლებში რიგასთან, რამაც განსაკუთრებით ცხადად ნათელჰყო სარდლობისა და შემთანხმებელი კომიტეტების სრული უუნარობა — ხელმძღვანელობა გაეწიათ ჯარისკაცთა მასისათვის, ყველაზე მეტი შეუპოვრობა გამოიჩინეს ლათინთა პოლკებმა, რომლებიც თითქმის მთლიანად ბოლშევიკური იყვნენ.

კუნძულებზე — ეზელზე და დაგოზე წარმოებულ ოპერაციებში განსაკუთ-



ფრონტიხენ. სალაშქრო ასეულების გაგზავნა.

რებული შეუპოვრობით განირჩეოდნენ ბოლშევიკი-მატროსები. მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი, პანიკური შიშით შეპყრობილნი, გაიქცნენ, მათ რიცხვში არტილერიაც, ე. ი. ის ნაწილები, რომლებიც „ბოლშევიკური გადამდები სენისგან“ ყველაზე უფრო დაცულად იყვნენ მიჩნეულნი, ისინი თავიანთ ადგილებზე რჩებოდნენ. იგივე ხდებოდა ფრონტის სხვა მრავალ უბანზეც.

„ბოლშევიკური გადამდები სენი“ ყველა შემთხვევაში შემოქმედი და დამრანზმავი ძალა იყო. ცალკე შემთხვევებში ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი ცკი იძულებულნი იყვნენ ეს აღეარებინათ. ჩრდილოეთის ფრონტის კომისიის თანაშემწე სავიციკი თავის ანგარიშში სამხედრო მინისტრის სახელზე მიუთითებდა:

„ლათიშთა 1-ლ ბრიგადაში დამაკმაყოფილებლად მუშაობენ, მაგრამ იყო განცხადებანი ცული ფესხაცმელებისა და ტანსაცმელის შესახებ და იმაზე, რომ კვება საკმაო არ არის. ავანგარდები წარმატებით ბრძოლებს აწარმოებდნენ და წინ მიიწეოდნენ, ერთი კვირის განმავლობაში ხელთ იგდეს 150 ტყვეზე მეტი და 10 ტყვიამფრქვევი; კორნილოვის შეთქმულებამ გავლენა მოახდინა ჯარისკაცთა ნდობაზე ოფიცრებისადმი. ლათიშთა 1-ლ ბრიგადაში უნდობლობა ერცელდება დროებითი მთავრობისა და მინისტრთავემჯღოშარის მიმართ, რომელსაც ბრალად სდებენ ძალაუფლების ხელშე

ჩადგების მისწრაფებას. შესამჩნევია გაზეთ „ლათინისკი სტრელოკის“ გავლენა“¹.

მეორე მოწმე იმავე ბანკიდან — დროებითი მთავრობის უმაღლესი კომისარი სტანკევიჩი — თავის მოგონებებში პირდაპირ ამბობს:

„არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საუკეთესო, ყველაზე მწყობრმა არმიამ არა მარტო ჩრდილოეთის ფრონტზე, არამედ, შესაძლოა, რუსეთის მთელ ფრონტზედაც — მე-5 — პირველმა მოგვცა ბოლშევიკური საარმიო კომიტეტი“².

ყოველივე ეს, ერთად აღებული, სრულიადაც არ გვეუბნება იმას, რომ ბოლშევიკები დეზორგანიზატორები იყვნენ, როგორადაც ცდილობდნენ დაესახათ ისინი ბურჟუაზიას და მის ერთგულ მეგობრებს — შემთანხმებელ პარტიებს. და თუ ფრონტი მაინც იშლებოდა, ამას ჰქონდა სხვა მიზეზები, რომლებიც წარმოშობდნენ ამ დაშლას. მათ შორის მთავარი იყო დროებითი მთავრობის გაძცემლური საგარეო და საშინაო პოლიტიკა ფართო მშრომელი მასების ინტერესთა მიმართ. ფრონტი გმინავდა დამტანჯველი ბრძოლის სიმძიმის გამო, ზურგი კი ბურჟუაზიული კლასების სახით ეწეოდა განცხრომით ცხოვრებას, რომელიც აღსავსე იყო აზარტით, სპეკულაციით, გამდიდრებისაკენ ლტოლვით.

„ზურგში ვერ ვგრძნობთ საყოველთაო-სახალხო ზრუნვას იმაზე, რომ თავისუფალი ხალხის არმია უკეთ მომარაგებული და მომსახურებული იყოს, ვიდრე ეს წინანდელ წლებში იყო, — ხაზს უსვამდა სტანკევიჩი თავის დეპეშაში 20 ოქტომბრის თარიღით. — და ეს ხდება არა მარტო იმიტომ, რომ თვით ზურგი გალატაკდა — ქალაქთა ქუჩები ხომ სავსეა ჩაცმულ-დახუ-



ფრონტიდან. ბრძოლებში დასახიჩრებულთა ეშელონები.

რული უსაქმო ხალხით, თეატრები და კინემატოგრაფები ვეღარ იტევენ უამრავ მაყურებლებს“¹.

სპეკულანტები და ვაჭრები, მეფაბრიკეები და მექარხნეები, რომლებიც უამრავ მოგებას ხვეტდნენ თავდაცვის საქმებზე, მოითხოვდნენ „ომს საბოლოო გამარჯვებამდე“. ყველგან სწარმოებდა ასე იოლად მოპოვებული მილიონების აღვირახსნილი ხარჯვა. ფრონტზე კი ამავე დროს ფეხშიშველი, შშიერი ჯარისკაცები ლაბობდნენ ნესტიან სანგრებში, ამრავლებდნენ ტილებს და უდიდესის დაძაბვით ყურს უგდებდნენ იმას, რაც ზურგში ხდებოდა. ისინი აგროვებდნენ სასტიკ სიძულვილს მათდამი, ვინც მათ აიძულებდა ომის განგრძობას. არსებობდა მდგომარეობა ისეთივე რჩებოდა, როგორც იყო თებერვლის რევოლუციამდე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ფრონტი უფრო შიმშილობდა, უფრო გატანჯული იყო, ვიდრე წინათ, მარაგის გამოფიტვისა და იმის გამო, რომ ზურგში ყოველდღიურად ძლიერდებოდა ნგრევა. და არც გასაკვირველია, რომ ასეთი მდგომარეობისას ფრონტი სულ უფროდაუფრო იშლებოდა. ომის კლასობრივი დედაარსი, გაბატონებული კლასების ეგოიზმი, მეთაურთა შემადგენლობის მიმხრობა ამ კლასებისადმი, სულ უფრო ნათელი ხდებოდა ჯარისკაცთა მასებისათვის.

არმიების სასურსათო და მატერიალური მომარაგება, რომელიც განუწყვეტლივ უარესდებოდა, ბოლოსდაბოლოს კატასტროფის ხასიათს ღებულობდა. ოქტომბრის რევოლუციის წინ ზოგიერთი ნაწილი ნამდვილ შიმშილს განიცდიდა, არ ღებულობდა რა არც პურს, არც ხორცს, არც ბურღულს.

კომისრებისა და მეთაურთა შემადგენლობის მოხსენებანი ყველა ფრონტიდან შოახლოებული კატასტროფის შესახებ გაჰყვიროდნენ.

მე-4 არმიის კომისარი ალექსევესკი მოხსენებაში 5 ოქტომბრის თარიღით აცხადებდა:

„სურსათისა და ტანსაცმელის მომარაგების საკითხებთან დაკავშირებით განწყობილება უარესდება და ადგილადგილ საშიშ ხასიათს ღებულობს“².

მე-3 არმიის კომისარი პოსნიკოვი ნაკრებ ცნობებში 7 ოქტომბრის თარიღით მიუთითებდა:

„ნაკლებობაა არა მარტო თბილი ტანსაცმელის, არამედ ჩვეულებრივი ტანსახურავის. ოსპი, ჭაშაყი, საკმაოდ არ იძლევიან პურს. აუცილებელია გმირული ღონისძიებანი სურსათის გაუმჯობესებისათვის და ტანსაცმელთა და ფეხსაცმელებით მომარაგებისათვის“³.

მე-9 არმიის კომისრის თანაშემწე პეჩუროვი ნაკრებ ცნობაში 7 — 11 ოქტომბრის თარიღით იტყობინებოდა:

„უქმყოფილების მთავარი მიზეზია — მწვავე გაჭირვება ტანსაცმელით მომარაგების მხრივ. ჯარისკაცებს საზაფხულო ფორმა აცვიათ, დაიწყო წვიმები, ტემპერატურა ღამით ნოლამდე დადის... მე-166 დივიზიაში მოითხოვენ ტანსაცმელს, ვინაიდან არ არის არამც თუ პერანგები, შარვლები და შინელები (თბილი), არამედ საზაფხულო ტანისამოსის შეკეთებაც არ შეიძ-

ლება, მთელი ოცეულები არ გამოდიან მეცადინეობაზე ტანსაცმელის სიძველის გამო“¹.

თექვსმეტ ოქტომბერს მე-9 არმიის კომისარი კვლავ იტყობინება:

„ნაკლებობაა სურსათის, ფეხსაცმელების, თეთრეულის და ტანსაცმელის; მე-37 და მე-43 ქვეითი დივიზიებში დიდი პროცენტი ფეხშიშველაა და მე-37 დივიზიის ზოგიერთ ნაწილში ისეთები, რომელთაც სრულიად არ აქვთ საცელები“².

23 ოქტომბერს მე-12 არმიის კომისარმა ნაკორიაკოვმა ღებუშით აცნობა უმაღლეს კომისარს:

„მდგომარეობა სწრაფად უარესდება, განსაკუთრებით პურის მხრივ. თუ ვიანგარიშებთ შემოტანილი ხმადის მარაგს, არმია უზრუნველყოფილია სამი-ოთხი დღით. ზურგიდან ფქვილი არ შემოაქვთ. ამ ნიადაგზე შესაძლებელია უმაგალითო ექსცესები“³.

მდგომარეობა სულ უფრო დაუფრო მწვევადებოდა. ფრონტიდან სულ უფრო დაუფრო ხშირად მოდიოდა ცნობები, რომ ცალკეული პოლკები და დივიზიები უარს ამბობდნენ მეთაურთა შემადგენლობის საბრძოლო ბრძანებებისა და სხვა განკარგულებების შესრულებაზე. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის სამხედრო-პოლიტიკური განყოფილების ნაკრები ცნობები ექსცესების შესახებ არმიაში 1-დან 30 ოქტომბრამდე ასეთ სურათს იძლევა. ამ დროის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დამძობილების 53 შემთხვევას, 9 ცდას ძალით შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებანი მტრის და დამძობილებულთა წინააღმდეგ, პოზიციების თვითნებურად დატოვების 7 შემთხვევას, საბრძოლო ბრძანებათა შეუსრულებლობის 104 შემთხვევას, 24 მოთხოვნას — დაეთხოვათ მეთაურთა შემადგენლობის პირები, მეთაურთა შემადგენლობის პირთა შეურაცხყოფის 67 შემთხვევას, რასაც ცალკე შემთხვევებში თან სდევდა ძალადობა და მკვლელობა, ჰეცადინეობაზე და მუშაობაზე უარის თქმის 100-ზე მეტ შემთხვევას, 22 მოთხოვნას დაუყოვნებლივ დაედოთ ზავი, დროებითი მთავრობის კომისრების და ჯარის კომიტეტთა წევრების შეურაცხყოფის 8 შემთხვევას, რასაც თან სდევდა ძალადობა მათ მიმართ და ა. შ.

ურჩ პოლკებსა და დივიზიებს შლიდნენ, რაც, სხვათა შორის, ყოველთვის და ყველგან როდი ხერხდებოდა. ზოგიერთ „მოთავეებს“ სამხედრო სამართალში აძლევენ, მაგრამ ფრონტის მდგომარეობა ამით არ უმჯობესდებოდა.

თორმეტ ოქტომბერს ჩრდილოეთის ფრონტის კომისრის თანაშემწე სობოლევი ატყობინებდა სამხედრო მინისტრს:

„როგორც უკვე გატყობინებდით, ჩემს მიერ დანიშნულ ულტიმატურ ვადაში სამმა პოლკმა ჩამაბარა იარაღი, რის შემდეგ მოვიტხოვე წამომწყებთა და წამქეზებელთა გაყვამა, ამჟამად ისინი გადაცემულნი არიან სამხედრო-რევიოლუციურ სასამართლოზე. დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო მე-4 პოლკი ჯერ არ არის დაშლილი, მაგრამ მისი წამომწყებნიც სამართალში არიან მიცემულნი, მიღებულია ზომები სასამართლოს

და მშვიდობიანობის დასაცავად, მე-116 დივიზიის საქმე შეიძლება სავსებით ლიკვიდირებულად ჩაითვალოს“⁴.

მაგრამ ამასთან ერთად იგი იძულებული იყო დაემატებინა:

„ზნეობრივად ვალდებული ვარ განვაცხადო — და არ შემიძლია არ ვთქვა — ახლოვდება მრისხანე დასასრული, და ის, რასაც იგი მოუტანს ქვეყანასა და რევოლუციას, ნათელი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც არ ეშინია თვალი გაუსწოროს სიმათლეს. დღეს ჩვენ თითქმის არა გვყავს არმია, ხვალ იგი სულ აღარ გვეყოლება“⁵.

თვრამეტ ოქტომბერს მე-2 არმიის კომისარი გროდსკი იტყობინებოდა:

„განწყობილება მეტისმეტად ნერვიულია, ყოველ საათობით ძლიერდება და უახლოვდება მრისხანე უარს ბრძანებათა შესრულებაზე... მასებში ლაპარაკობენ, რომ თუ უახლოეს დღეებში არ იქნა დადებული ზავი, ჩვენ წავალთ ფრონტიდანო. წასვლის შესახებ დაჟინებითი ხმები დადის“⁶.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-11 არმიის კომისარი ჩეკოტილო იტყობინებოდა:

„სწარმოებს ჩეკმების, შინელების, თეთრეულის მასობრივი გაყიდვა, ამასთან ამას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ უტანსაკმლოდ ომი შეუძლებელია და ამ გზით ჯარისკაცები ზავს აჩქარებენ“⁷.

და, ბოლოს, 22 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის კომისარმა უდანოვმა შემდეგი შეჯამება მოგვცა თავის ერთკვირულ ნაკრებ ცნობაში:

„ნერვიული განწყობილება არმიაში ყოველდღიურად იზრდება; დისციპლინის დარღვევა ედება ახალ ნაწილებს. ბოლშევიკების პროპაგანდა სპარბობს და წარმატებით სარგებლობს. ნდობა კომიტეტებისადმი ეცემა, მათ აღარ უსმენენ, აძევებენ და სცემენ. დაშინებული კომიტეტები უარს ამბობენ რწმუნებებზე, აღარ ელოდებიან რა გადარჩევენ. სიძულვილი ოფიცრებისადმი ძლიერდება იმ რწმენის გავრცელებასთან დაკავშირებით, რომ ოფიცრები აპიანურებენ ომს. ფრონტის ჯარების განწყობილება უარესდება. განწყობილება კომიტეტებისა, ოფიცრებისა და მეთაურთა შემადგენლობისა, რომლებიც შეძრწუნებულნი არიან დისციპლინის დარღვევათა სტიქიური რაოდენობით, პანიკურია. სასოწარკვეთილებამ შეგვიპყრო. დაშლა თავის საზღვარს აღწევს“⁸.

ფრონტის დაშლა საბოლოო ანგარიშში მოასწავებდა მთელი მემამულურკაპიტალისტური წყობილების დამხობას ჩვენს ქვეყანაში, წყობილების, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენდა ძველი არმია. გაბატონებული კლასების დაპყრობითი მიზნების და მათი პრივილეგიების დაცვისათვის შექმნილი, იგი ინგრეოდა მათ დამხობასთან ერთად.

ოპტომგების წინა დღეები ფლოტში.

კორნილოვის დღეებს უკვალოდ არ ჩაუვლია ფლოტშიაც. მათ გაამწვავეს მეზღვაურთა პოლიტიკური ენებათაღელევა, და გააძლიერეს მათი უნდობლობა მეთაურთა შემადგენლობისადმი. ჰელსინგფორსში გემთა კომანდებმა მოსთხოვეს ოფიცრებს წერილობითი დადასტურება მათი დამოკიდებულებისა კორნილოვისადმი. აქა-იქ აღშფოთებულმა მატროსებმა თვითგასამართლებას მიმართეს. ჰელსინგფორსის საბჭოსა და ცენტრობალტის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ნიშნავდა კომისრებს გემებზე, ტელეგრაფში, სატელეფონო სადგურში, ფოსტაში და სხვა დაწესებულებებში.

ჰელსინგფორსის საბჭოს სხდომებზე, განსაკუთრებით მატროსთა სექციის თათბირებზე, სულ უფროდაუფრო ხშირად გაისმოდა ხმები, რომლებიც მოითხოვდნენ დროებითი მთავრობის დამხობას და, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. სექტემბერში ბალტიის ფლოტის ცხრაგემმა გემმა მიიღო საბრძოლო რეზოლუცია დროებითი მთავრობის იმ დეკრეტის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთს აცხადებდა „რესპუბლიკად“ ისე, რომ მას არ უმატებდა სიტყვას — „დემოკრატიული“. მეზღვაურები სულ უფროდაუფრო ხშირად ლაპარაკობდნენ შეიარაღებულ აჯანყებაზე.

პირველ ოქტომბერს დეპეშაში ჩრდილოეთის ფრონტის სარდლის სახელზე კერენსკი მიუთითებდა კრონშტადტის მეზღვაურთა „საშიშ“ განწყობილებებზე.

„კრონშტადტელებმა უკვე მიაღწიეს იმას, რომ კრიტიკულ მომენტში თავდაცვის ყველა საშუალება როდია თავის ადგილზე...“¹.

ფლოტის ქვედაფენებში რევოლუციურ განწყობილებათა განუწყვეტელი ზრდის გავლენით ცენტრობალტმა იწყო სწრაფად განთავისუფლება ობორონ-ცული ილუზიებისაგან, რაც მას ნაწილობრივ ემჩნეოდა ჯერ კიდევ აგვისტოში. სექტემბრის დამლევს ბალტიის ფლოტის მეზღვაურები უკვე უპატაკებდნენ პროლეტარულ რევოლუციას, რომ ისინი სავსებით მზად არიან გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეს მზადყოფნა მათ დაამტკიცეს ცენტრობალტის II ყრილობაზე, რომელიც გაიხსნა ჰელსინგფორსში 25 სექტემბერს.

სამ ოქტომბერს ცენტრობალტის II ყრილობამ მიმართა მატროსებსა და ჯარისკაცებს მოწოდებით ეწარმოებინათ მზადება რევოლუციისათვის საბრძოლველად. ამ მოწოდების საპასუხოდ ცენტრობალტი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ღებულობდა ცნობებს პროლეტარული რევოლუციისათვის მხარდაჭერის მზადყოფნის შესახებ.

შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები აცხადებდნენ:

„ჩვენ ვუერთებთ ჩვენს ხმას თქვენს მხურვალე მოწოდებას, ჩვენ თქვენთან ერთად მივდივართ უკანასკნელი ბრძოლის ბარიკადებზე!“²

რუმინეთის ფრონტიდან ჯარისკაცები თავის მხარდაჭერას სთავაზობდნენ რევოლუციურ მეზღვაურებს:

„ამხანაგებო, ახლა თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ნურაფრის წინაშე ნუ შეჩერდებით. ჩვენ მუდამ მზად ვართ თქვენს გვერდით დავდგეთ“³.

ყრილობის ყველა დადგენილებას ბოლშევიკების უშუალო ხელმძღვანელობით ღებულობდნენ. პასუხად პრესის ბოროტ ცილისწამებზე, რომელიც ბრალს ღებდა მეზღვაურებს ფრონტიდან გაქცევაში, ცენტრობალტის ყრილობამ გამოიტანა სასტიკი პროტესტი:

„შენ კი, რევოლუციის გამცემს, ბონოპარტ-კერენსკის, წყევა-კრულვას გითვლით იმ მომენტში, როდესაც ჩვენი ამხანაგები იხოცებიან ტყვისა და ყუმბარებისაგან და იხრჩობიან ზღვის ტალღებში, მოუწოდებენ რა რევოლუციის დაცვისაკენ. და როდესაც ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, თავს დავდებთ მიწისა და თავისუფლებისათვის, ჩვენ დაეიხოცებით პატიოსან ბრძოლაში გარეშე მტერთან და შინაურ მტერთან ბარიკადებზე, წყევაკრულვით შენი, კერენსკისა, და შენი კომპანიის მიმართ თქვენი მოწოდებებისათვის, რომლებითაც თქვენ ცდილობდით გაგვეთიშათ ფლოტის ძალები ქვეყნისა და რევოლუციისათვის მრისხანე ეამს“¹.

ამ რეზოლუციამ სავსებით გამოიხატა ბალტიის ფლოტის მეზღვაურების მზადყოფნა ეწარმოებინათ შეურიგებელი რევოლუციური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ასეთი რეზოლუციები შესაძლებელია წარმოიშვას მხოლოდ უკვე მომწიფებული აჯანყების მომენტისათვის. განცხადება ბარიკადებზე თავდადებისათვის მზადყოფნის შესახებ ცარიელი სიტყვა არ იყო ბალტიელ მეზღვაურებისათვის. მათ ეს საქმით დაამტკიცეს ოქტომბრის დიად ბრძოლებში.

ბალტიის ფლოტი ბოლშევიკების პარტიისა და მისი ბელადის ლენინის უძლიერესი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ბალტიელები ერთერთი პირველთაგანა გამოვიდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის მომზადების მკაფიო პროგრამით. უფრო რთულად მიმდინარეობდა შავი ზღვის ფლოტის ბოლშევიზაცია, სადაც ძლიერი იყო მენშევიკებისა და ესერების გავლენა. განსხვავებით ბალტიის ფლოტისგან, რომელიც დაკომპლექტებული იყო თითქმის მთლიანად ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან, შავი ზღვის ფლოტის პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი იესებოდა უკრაინის გლეხობის კოტად თუ ბევრად შეძლებული ფენებით. ამ გარემოებამ, რევოლუციის ცენტრებისგან დიდად მოწყვეტასთან ერთად, გამოიწვია ის, რომ მასში განსაზღვრული დროის განმავლობაში ესერები სჭარბობდნენ.

ერთ დროს შავი ზღვის ფლოტი კონტრრევოლუციურ ძალთა მიმზიდველობის ცენტრი გახდა. რევოლუციის მტრები ჩქარობდნენ გამოეყენებინათ იგი თავისი ნიჰნებისათვის. ფლოტის სარდალმა აღმირალმა კოლჩაკმა, ციმბირის კონტრრევოლუციის მომავალმა ბელადმა, შეადგინა ყალბი დელეგაცია ფიქტიური მეზღვაურის ბატკინის მეთაურობით. ეს დელეგაცია შავი ზღვის მეზღვაურთა სახელით მოგზაურობდა მთელს რუსეთში და ფრონტზე შეტევისათვის აგიტაციას აწარმოებდა პეტროგრადშიაც, პროვინციაშიაც და პოზიციებზედაც. ცრუ მეზღვაური, რომელსაც მხარის დაუჭირეს შემთანხმებლებმა, ცდილობდა მისულიყო ბალტიელებთანაც, მაგრამ აქ მას ჯეროვანი პასუხი ვასცეს და ამხილეს. ჰელსინგფორსში სასკანდალო ჩაყარდნის შემდეგ აღმირალის ელჩმა უკვე ვეღარ გაბედა კრონშტადტში ჩასვლა. მალე მეზღვაურების ზეგავლენით სევასტოპოლის საბჭომ მანდატები ჩამოართვა მთელ დელეგაციას.

ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მუშაობას შავი ზღვის ფლოტში. ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაეგზავნათ იქ გამოცდილი პროპაგანდისტები. ამავე დროს მუშაობენ აგზავნიდნენ პეტროგრადიდანაც, მათ რიცხვში იყვნენ ბალტიის ზღვის ფლოტის მატროსები, კერძოდ ვ. მ. ზაიცევი და სხვ.

შავი ზღვის სანაპირო ქალაქთა ბოლშევიკებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს. სამხედრო გემებზე, აარსებდნენ რა პარტიულ უჯრედებს. მატროსთა მასა სულ უფროდაუფრო გადაჭრითა და მტკიცედ მიჰყვებოდა მათ. შავი ზღვის ფლოტის გენერალური კომისრის მოვალეობის აღმასრულებელი ბორისოვი 24 აგვისტოს დეპეშით ატყობინებდა საზღვაო გენერალურ შტაბს:

„ჩემი აქ არ ყოფნის მოკლე დროის განმავლობაში სევასტოპოლი ბოლშევიკების ქალაქად იქცა. დიდი აღელვება, განუწყვეტელი მიტინგები, რომლებზედაც ლაპარაკის საშუალებას აძლევენ მხოლოდ ბოლშევიკებს, მღელვარე ჯგუფები ყოველ კუთხეში. დიდად იმატა განწყობილებამ ორგანიზაციებშიაც. მასებს აღელვებს ფანტასტიკური ხმები კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა და კაზაკთა ჩამოსვლის შესახებ. ზოგიერთ ნაწილში უკვე ხელთ აიღეს იარაღი. ბოლშევიკებს გაუჩნდათ კარგი აგიტატორები. გარდა ყოველივე ამისა, გუშინ ჩამოვიდა ბალტიის ფლოტის დელეგაცია აგიტაციის გასაწევად, რათა შეუერთდნენ ბალტიის ფლოტის ულტიმატუმს ხელფასის მომატების შესახებ. ოთხი მათგანი ჩემი ბრძანებით არ შეუშვეს სევასტოპოლში, ორი, რომელთაც მანდატები ჰქონდათ ცენტროფლოტიდან, შეუშვეს, მაგრამ აღმასრულებელ კომიტეტთან საუბრის შემდეგ იმავე დღეს დაბრუნებულ ექნენ უკან. ვადაწყვეტი ზომების მიღება ბოლშევიკების აგიტაციისა და მიტინგების წინააღმდეგ არ შეიძლებოდა, ვინაიდან არავისზე დანდობა არ შეიძლება. შავი ზღვის დელეგაციის მოსმენაც კი არ სურთ. მისი პრესტიჟი სრულიად დაეცა“¹.

აგვისტოში სევასტოპოლისათვის ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა „ბოლშევიკთა ქალაქი“ გვეწოდებინა. ესერულ ორგანიზაციას აქ ჰყავდა 20 ათასამდე წევრი, მაშინ როდესაც ბოლშევიკები თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ მხოლოდ 250 კაცს. ყველა ხელმძღვანელი არჩევითი ორგანიზაცია ჯერ კიდევ ესერ-მენ-შევიკთა ხელში იყო. მაგრამ ბორისოვმა თავის პანიკურ დეპეშაში სწორად ასახა მოვლენათა მსვლელობა. შემთანხმებულებს სულ უფრო ეცლებოდათ ფებთქვეშ ნიადაგი, დღითიდღე ძლიერდებოდა ბოლშევიკების პოზიცია.

სევასტოპოლის საბჭოს 145 დეპუტატიდან ივლისში ბოლშევიკურ ფრაქციაში შედიოდა მხოლოდ 12 კაცი, ხოლო ოქტომბერში მას უკვე ჰყავდა 50 დეპუტატამდე. სევასტოპოლის საბჭოს ბოლშევიზაცია მიმდინარეობდა უმთავრესად შავი ზღვის მეზღვაურების გარეეოლუციონერებით ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

სევასტოპოლის საბჭოსთან ერთად შექმნილ იქნა შავი ზღვის ცენტროფლოტი, რომლის დიდი უმრავლესობა უპარტიოებისა და შემთანხმებულებისაგან შესდგებოდა. მაგრამ მთელ რიგ საკითხებში მან დაიკავა უფრო მემარცხენე პოზი-

„ციაც კი, ვიდრე სევასტოპოლის საბჭომ. ამ მემარცხენეობაზე დამოკიდებით ძლიერდებოდა მისი ავტორიტეტი და გავლენა.“

შედ სექტემბერს 20 გემისა და სანაპირო ნაწილების წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც შესდგა სახაზო გემ „როსტისლავზე“, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოეთხოვათ ძალაუფლების გადაცემა სოციალისტების ხელში; 9 სექტემბერს იმავე „როსტისლავზე“ უკვე 40 გემისა და სანაპირო ნაწილების წარმომადგენელთა კრებაზე გამოტანილ იქნა სასტიკი პროტესტი იმ ბრძანების წინააღმდეგ, რომელიც აწესებდა გარანტიებს კონტრარევოლუციურ მეთაურთა შეპატივებისათვის და კრძალავდა პოლიტიკურ ბრძოლას არმიასა და ფლოტში. ამაში სამართლიანად ხედავდნენ ხელყოფას სამხედრო მოსამსახურეების ელემენტარულ უფლებათა წინააღმდეგ.

თხუთმეტ სექტემბერს ცენტროფლოტმა სადელეგატო კრების გადაწყვეტილების თანახმად დაადგინა დროებით აღმართა ყველა გემზე წითელი დროშები და სიგნალები: „გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!“ ამ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ კომანდების უმრავლესობამ კატეგორიულად უარი განაცხადა მოეხსნა დროებით აღმართული წითელი დროშები. მატროსთა მასების ზეგავლენით ცენტროფლოტმა მიიღო გადაწყვეტილება: საკითხი დროშების შესახებ ღიად დარჩეს დამფუძნებელ კრებამდეო.

უკრაინის ბურჟუაზია, სარგებლობდა რა კერენსკის მთავრობის უუნარობით გადაეჭრა ნაციონალური საკითხი, ცდილობდა დაენერგა შავი ზღვის ფლოტში ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და გაეტარებინა ფლოტის უკრაინიზაცია. მაგრამ მან ცოტას მიაღწია — მხოლოდ ერთმა კრეისერმა „პამიატ მერკურია“-მ შესცვალა წითელი დროშა უკრაინულით.

პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოქტომბრის შუა რიცხვებში სევასტოპოლში მიაგვლინა ორი მუშაკი, ერთი მათგანი კრონშტადტელი მატროსი იყო. მათ ი. მ. სვერდლოვისაგან დირექტივა მიიღეს იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების საკითხი — რამდენიმე დღის საკითხია. ყველა დიდ ცენტრში პროლეტარული ძალები უკვე საკმაოდ მომწიფდნენ. სამხრეთით კი, განსაკუთრებით ყირიმში, საქმე ცუდად არის. იქ ადგილი აქვს სოციალ-შემთანხმებლების სრულ სიჭარბეს. ეს კი განსაკუთრებით სამწუხაროა, თუ კი მხედველობაში მივიღებთ სევასტოპოლის მნიშვნელობას, როგორც სამხედრო ნავსადგურისას. ჩვენი ამოცანაა გადავაქციოთ სევასტოპოლი შავი ზღვის სანაპიროს რევოლუციურ ბაზად. სევასტოპოლი სამხრეთის კრონშტადტად უნდა გახდეს.

ოქტომბრის რევოლუციის მოახლოების მომენტისათვის ცენტროფლოტის საადმირალო სამმართველოში მოკალათებულმა შემთანხმებულურმა ხელმძღვანელობამ დაჰკარგა უკანასკნელი ნაშთები თავისი გავლენისა მატროსთა წრეში. ცენტროფლოტის გარეკის შესახებ დროებითი მთავრობის გადაწყვეტილების შემდეგაც კი იქ მოკალათებული მენშევიკები და ესერები განაგრძობდნენ დროებითი მთავრობისათვის ლაქიურ მხარდაჭერას. ფლოტისა და პეტროგრადის გარნიზონის ბოლშევიზაციის გამო დროებითი მთავრობა ოქტომბრის

რევოლუციის წინა დღეებში ცდილობდა განეიარალებინა კროლშტადტი და პეტროგრადი, მოეხსნა ზოგიერთი ფორტიდან არტილერია მისი ფაონტზე გაგზავნის საბაბით. მაგრამ რევოლუციურმა მატროსებმა მუშებთან და ჯარისკაცებთან ერთად არ დაუშვეს განიარალება.

8.

აპრიის ბოლშევიზაცია.

ბოლშევიკების პარტია არმიაში განსაკუთრებით მძიმე პირობებში მუშაობდა. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ბექდევითი სიტყვის სიკრუე და ცილისწამება აძნელებდა აგიტაციასა და პროპაგანდას. ბოლშევიკური გაზეთების დევნა, მათი არდაშეება ფრონტზე უდიდეს დაბრკოლებებს უქმნიდა ბოლშევიკების მუშაობას.

ჩვენს განკარგულებაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ სიტყვა — სწერდა. — და ამ სიტყვის წართმევაც სურთ... „პრადას“ ფრონტზე არ უშვებენ. კიევის „აგენტებმა“ დაადგინეს არ გაავრცელონ „პრადა“. „საერობო კავშირი“ თავის კიოსკებში არ ჰყიდის „პრადას“. და ბოლოს, გვირდებიან აწარმოონ „სისტემატური ბრძოლა ლენინიზმის ქადაგებასთან...“ (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს „იზვესტია“.) მაგრამ სამაგიეროდ ყოველგვარ ასეთ სტიქიურ პროტესტს, ყოველგვარ ექსცესს, სადაც არ უნდა ხდებოდეს იგი, ჩვენი გვიტვირთვით დანაშაულად“.

და მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა ბოლშევიკური გაზეთები აღწევდნენ ყაზარმებამდე, სანგრებამდე და გემებამდე. ისინი თანაგრძნობითს გაშობაურებას პოულობდნენ ჯარისკაცებში, ალაგზნებდნენ მათ მხნე რევოლუციური განწყობილებით.

„დღეს ერთმა შეგნებულმა მუშაკმა-მეგაზეთემ მოიტანა ის გაზეთი, რომელიც აუცილებლად უნდა იკითხებოდეს, და სამართლწინა გაზეთი „სოლდატი“, — სწერდნენ თავის ერთოფლელებს პეტროგრადის სათადარიგო პოლკიდან, — დღეს ჩვენი ჯარისკაცების ხელში მოსჩანდა პროლეტარული გაზეთები: „სოლდატ“ და „რაბოჩი პუტ“. თორემ სამუშაო მოვლენის დანახვა გვიხდება: ყველა ამხანაგ ჯარისკაცს აქვს ზურგუაზიული გაზეთები, რომლებიც სავსებით ბრალს დებენ სამართლზე ბელადებს, თავხედურად სტყუიან და ამით შეცდომაში შეყვანავენ“.

თუ ბოლშევიკური გაზეთები ვაი-ვაგლახით აღწევდნენ პეტროგრადის ყაზარმებამდე, კიდევ უფრო ძნელი იყო მათი მოხვედრა ფრონტზე, მოქმედ არმიისში. მაგრამ ბოლშევიკური აზრი იქაც აღვიძებდა ჯარისკაცებს, აფხიზლებდა მათ კლასობრივ შეგნებას, მიუთითებდა რევოლუციური ბრძოლის მეთოდებზე. ბოლშევიკური ბექდევითი სიტყვის უდიდესი მუშაობა ჯარისკაცთა აღფრთოვანებულ მოწონებას იწვევდა.

„ამხანაგო რედაქტორო! — სწერდა რიგითი ჯარისკაცი კოზლოვი მოქმედი არმიიდან გაზეთ „სოლდატის“ რედაქციას. — მე და მრავალი ამხანაგი დიდად დაინტერესებული ვართ თქვენი გაზეთით, რომელიც კარგ დარიგებებს გვაძლევს. ეს გაზეთი ჩვენ შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში; ამ გაზეთიდან სჩანს, თუ როგორ უნდა მოვითხოვოდეთ და რა დაბეჯითებით უნდა მოვითხოვოდეთ, რათა ძალაუფლება არ გადაეცეს კაპიტალისტებს, რომლებიც, როგორც თქვენ სწერთ. ცდილობენ შეიტანონ შუილი ჯარისკაცებსა და მუშებს შორის ჩვენი სიძნელის გამო. მაგრამ ჩვენ გვსურს მიეყვით თქვენს მაგალითს და მუდამ მხარს დაგიჭერთ თქვენ და ვიბრძობებით უფლებებისათვის თქვენი პროგრამის მიხედვით“¹.

ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ჯარისკაცებზე ლენინის ნათელი, ყველასათვის გასაგები სტატიები და სიტყვები.

„განსაკუთრებით მადლობელი ვარ ამხ. ლენინის სიტყვისათვის, რაც მე ასე მწყურბოდა და რასაც ასე მოუთმენლად ველოდა, — აწერებოდა ჯარისკაცი ფრონტიდან — ახლა კი მე, ჩემის მხრივ, ამხ. ლენინის ამ სიტყვას ვაცნობ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც თავისი უგუნურების გამო ძირს უთხრიდნენ ნდობას, ხოლო ახლა კი სწუხან, რომ ამხ. ლენინს ბოროტად თავს ესხმოდნენ და ცილს სწამებდნენ“².


ჯარისკაცების კლასობრივი თვითშეგნების ზრდა და მათი გადასვლა ბოლშევიკების მხარეზე საჭიროებდა ორგანიზაციულ განმტკიცებას. არმიაში მობილიზებულმა ათი ათასობით მოწინავე, პოლიტიკურად გათვითცნობიერებულმა ზუსტებმა სწრაფად აღადგინეს მკიდრო კავშირი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრებთან და შექმნეს ფრონტზე ბოლშევიკური ორგანიზაციების მტკიცე უჯრედები. უდიდესი როლი შეასრულეს პეტროგრადის გარნიზონის იმ პოლკებმა, რომლებიც დაშლილ იქნენ ივლისის ამბების შემდეგ. ფრონტზე ათასობით იმ ჯარისკაცების გაგზავნა, რომლებმაც განვლეს დედაქალაქის რევოლუციური სკოლა, ნიშნავდა მრავალი ბოლშევიკური მუშაკის გაგზავნას. ჯარისკაცთა წერილებში, რომლებიც ხელთ იგდო ცენზურამ ივლისის შემდეგ, ვხედავთ ორგანიზაციული ძალების მოზღვავებას. მათში უკვე თავს იჩენს უნდობლობა შემთანხმებლურ საბჭოებისადმი.

„მე წინათაც არ ვყოფილვარ დარწმუნებული მათ გულწრფელ სურვილში მხარი დაეჭირათ დამონებული და ჩაგრული მასებისათვის, — სწერდა ერთი ჯარისკაცი ესერ-მენშევიკთა მისამართით, — ახლა კი მე სულ უფროდაუფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ყველა, ვინც ლამაზად და დიპლომატიურად ლაპარაკობს, შავად და კაპიტალისტურად აზროვნებს“³.

მეორე ჯარისკაცი მათივე მისამართით შენიშნავს:

„თქვენ ნულარ ჩასთვლით, რომ დასაყრდენი გაქვთ არმიაში“⁴.

თავისუფლდებოდა რა მეთაურთა ზედაფენების ოპეკისაგან, არმია იმავე დროს თავისუფლდებოდა წვრილბურჟუაზიული პარტიების გავლენისაგან და შთოდამი ნდობისაგან. ჯარისკაცთა გონებას საცხებით ეუფლებოდნენ ბოლშევიკები.



ბალტის ფლოტის ბოლშევიკი-მატროსები მიტინგზე სევასტოპოლში ავი ზღვის ფლოტის შეჯღაღურება და სევასტოპოლის გარნიზონის ჯარისკაცებს მოუწოდებენ საბჭოების ძალაუფლებიანების ბრძოლისკენ.

არშიაში მტკიცდებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციების ფართოდ განშტოებული ქსელი, რომელიც თავის ხელმძღვანელობას უმორჩილებდა ჯარისკაცთა მასობრივ ორგანიზაციებს. ბოლშევიკების პარტიას ფრონტზე არ ჰყავდა გამზადებული პოლიტიკური არშია. პარტია თავის გავლენას მასებში ანმტკიცებდა მხოლოდ თანდათანობით, დაუღალავი და დაძაბული მუშაობის გზით. იგი გამოცდილებით, პრაქტიკით, ცოცხალი საქმით უჩვენებდა თავისი პროგრამისა და ტაქტიკის უპირატესობებს, ჰფანტავდა რა მენშევიკთა და ესერთა კონტრარეველუციური ილუზიებს. ოქტომბრის რევოლუციის წინ სამხედრო ორგანიზაცია პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ნამდვილ საბრძოლო შტაბად იქცა. ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით იგი აერთიანებდა, რაზმავდა და ამზადებდა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად ჯარისკაცთა ფართო მასებს.

ბოლშევიკების ძირითადი ყურადღება ამ დროს მიპყრობილი იყო ჯარისკაცთა ძირეული ორგანიზაციების მიმზრობისაკენ. პოლკთა, ასეულთა და სხვ. კომიტეტები, რომლებიც უშუალოდ გამოხატავდნენ მასების განწყობილებას, თანდათანობით გადადიოდნენ მათ მხარეზე. კომიტეტები თანდათანობით იწმინდებოდნენ წვრილბურჟუაზიული ნაქაფისაგან და ბოლშევიკთა პარტიული დროშის ქვეშ დგებოდნენ. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი იძლევა თვალსაჩინო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი ფრონტზე.

მე-2 არმიის ციმბირის III კორპუსის მე-12 თურქესტანულ მსროლელთა პოლკში იყო პატარა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდნენ მენშევიკებიც, ინტერნაციონალისტებიც და ბოლშევიკებიც. უკანასკნელთ მეთაურობდა მეორე ათასეულის მეთაური ახალგაზრდა პოდპოლკოვნიკი კამენშიკოვი, შემდეგში დასავლეთის ფრონტის პირველი არჩეული მთავარსარდალი.

აგვისტოს დამდეგს კამენშიკოვმა დააყენა საკითხი გაერთიანებული ორგანიზაციიდან ბოლშევიკების გამოსვლისა და დამოუკიდებელი ბოლშევიკური უჯრედის დაარსების შესახებ. მისწრაფოდნენ რა მომხრეთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის გადამობირებისაკენ, ბოლშევიკებმა ეს საკითხი დააყენეს მთელი ორგანიზაციის წევრთა ღია კრებაზე. მომხსენებლად გამოვიდა კამენშიკოვი. მისმა მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. „ერთიანი“ ორგანიზაციის შენარჩუნებას განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდნენ ინტერნაციონალისტები — ექიმი ბეგუნი და ერთი უნტერ-ოფიცერი. თუმცა უკანასკნელი იმავე სხდომაზე, როდესაც გათიშვა უკვე გადაწყვეტილი იყო, ბოლშევიკებს შეუერთდა. ახალი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს კამენშიკოვი, მდივნად — უფროსი უნტერ-ოფიცერი კაროლიოვი.

ბოლშევიკებს არ აშინებდათ ის გარემოება, რომ ახალ ორგანიზაციაში პირველად მხოლოდ 18 — 20 წევრი აღმოჩნდა. კომიტეტმა მალე მოახერხა თავისთვის პატარა „ქოხის“ მონახვა, რამაც სწრაფად მიიზიდა ჯარისკაცები თავისი პატარა ბიბლიოთეკით, გაზეთებით, უმთავრესად კი ცოცხალი საუბრებით. შემდეგ მუშაობა იმდენად გაფართოვდა, რომ კომიტეტი რეორგანიზებულ იქ-



ქარხანა „რესპირატორის“ მუშები, რომლებმაც ციმბირის მე-15 მსროლელთა პოლკს ჩამოუტანეს ფრონტზე დროშა წარწერით „ზურგის მეგრძოლნი — ფრონტის მეგრძოლნი“, და არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურა.

ნა რაიონულ კომიტეტად. რომელიც აერთიანებდა პარტიულ მუშაობას იმავე დივიზიის მე-12, მე-24 და მე-25 თურქესტანულ მსროლელთა პოლკებში და აგრეთვე სადივიზიო არტილერიაში, საიერიშო ათასეულში და სხვა ნაწილებში. გაშოყოფილ იქნა განსაკუთრებული კოლექტივიც კი პარტიული მუშაობის საწარმოებლად ასლომდებარე დაბის — რუბიაევიჩის გლეხებს შორის.

ოქტომბრისათვის ჯარის კომიტეტთა გადარჩევები მასობრივ მოვლენად იქცა ფრონტზე.

„ჩვენი მოღვაწეობის განგრძობა, — ამბობდა მე-107 პოლკის კომიტეტის თავმჯდომარე. — შეუძლებელი ხდება პოლკის მტრული დამოკიდებულების გაშო, რომელიც დაჟინებით მოითხოვს კომიტეტის გადარჩევას. ჯარისკაცებს შორის იზრდება გალიზიანება კომიტეტის მოღვაწეობით... მე აუცილებლად მიმანია წინადადება მიეცე მთელ კომიტეტს ხელი აიღოს რწმუნებაზე“¹.

დასავლეთის ფრონტის კომისრის საიდუმლო ცნობა, რომელიც შეკრებილი იყო ერთი კვირის განმავლობაში — 14-დან 21 სექტემბრამდე — აღნიშნავდა:

„დამახასიათებელ მოვლენად გახდა კომიტეტების თვითნებური გადარჩევა, რომლებშიაც არჩევნების შემდეგ მხოლოდ ბოლშევიკები შედიან. თვითნებური გადარჩევა მოხდა გრენადერთა მე-2, მე-3 და მე-6 პოლკებში“².

თუ როგორ ხდებოდა ეს „თვითნებური გადარჩევები“ ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ერთერთ ხსენებულ პოლკში — გრენადერთა მე-ნ პოლკში მომხდარი გადარჩევების მიხედვით.

ამ პოლკში ბოლშევიკური ორგანიზაცია აღმოცენდა აგვისტოში. უფრო გვიან მოხერხდა ბოლშევიკური უჯრედების მოწყობა თითქმის ყველა ასეულეებსა და კომანდებში. ოქტომბრის დამდეგს შესდგა პოლკის ორი საერთო კრება, რომლებზედაც ბოლშევიკების წინადადებები უდიდესი წარმატებით გადიოდა. ოფიცრებიდან გამოსულა გაბედა მხოლოდ ორმა პრაპორშიკმა და ესერებიდან ერთმა ძოხალისემ — მოხუცმა როგინსკიმ.

პოლკის ასეთი განწყობილებისას ძველი, შემთანხმებლური, ჯარისკაცთა საერთო საპოლკო კომიტეტის არსებობა აშკარა უაზრობა იყო და ბოლშევიკებმა გააჩაღეს გადამწყვეტი კამპანია გადარჩევებისათვის. კანდიდატები დასახულნი იყვნენ და ბოლშევიკების წარმატება ექვს არ იწვევდა.

მაგრამ გადარჩევებისათვის მოსამზადებელი მუშაობის გეგმიანი წესით დამთავრება სავსებით არ მოხერხდა. 12 ოქტომბერს პოლკს მოუვიდა მოწერილობა მე-2 არმიის საარმიო კომიტეტისაგან გაეგზავნათ დელეგატი 16 ოქტომბრისათვის დანიშნულ საარმიო თათბირზე. პოლკის კომიტეტმა, თუმცა იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, მაინც საქაროდ აირჩია თავის წარმომადგენლად ესერი როგინსკი.

როდესაც ეს გაიგეს, ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ ჩაეტარებინათ გადარჩევები — შეუძლებელი იყო იმის დაშვება, რომ ბოლშევიკუ-



ქარხანა „რესპირატორის“ მუშები ციმბირისა და ლატვიის მხროლელთა პოლკების ახელთა წარმომადგენლებს შორის ფრონტზე.

რი პოლიტიკიდან თათბირზე წასულიყო ესერი. აგიტატორებმა დაუყოვნებლივ მიაშურეს ასეულებს, მთელი პოლიკი მყისვე ფეხზე იქნა დაყენებული. პოლიკის მორიგი ოფიცერი ოდნავ თითქოს შეეცადა „არ დაეშვა“ კრება, მაგრამ ამისათვის ყურად არავის უთხოვებია.

გამარჯვება სრული იყო. დილით უკვე შესდგა პოლიკის კომიტეტის თათბირი მარტო ბოლშევიკებისაგან და მისი პირველივე გადაწყვეტილება იმაში გამოიხატა, რომ ესერ როგინსკის წაერთვა მანდატი საარმიო თათბირზე. მის ნაცვლად არჩეულ იქნა ბოლშევიკი.

პოლიკის კომიტეტების მასობრივი გადარჩევები იწვევდა წერილობრივად-ზოიული შემთანხმებლებასა და დროებითი მთავრობის სხვა მომხრეების სასოწარკვეთილებას და დაბნეულობას. და, მართლაც, ძნელი იყო არ დაბნეულიყავი ისეთი მოთხოვნების გამო, როგორიცაა, მაგალითად, დადგენილება დასავლეთის ფრონტის მე-3 არმიის XXXV საარმიო კორპუსის ყრილობისა, რომელიც 11 ოქტომბერს შესდგა.

„ჩვენ, XXXV საარმიო კორპუსის საკორპუსო ყრილობის წევრები, — ნათქვამი იყო დადგენილებაში, — მოვითხოვთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად-რუსეთის ყრილობისაგან, რომელიც დანიშნულია 20 ოქტომბრისათვის, — ხელთ აიღოს ძალაუფლება და გამოაქვეყნოს საიდუმლო ხელშეკრულებანი, დადებული მოკავშირე მთავრობების მიერ, დაუყოვნებლივ გამოაცხადოს ზავის დემოკრატიული პირობები და დაუყოვნებლივ შეკრას დროებითი ზავი ყველა ფრონტზე“¹.

არმიის ზედაფენის ორგანიზაციები — საფრონტო, საარმიო, საკორპუსო და ნაწილობრივ სადივიზიო კომიტეტები, რომლებიც ჯერ ისევ მენშევიკებისა და ესერების ხელში იმყოფებოდნენ, გამოხატავდნენ რევოლუციის უკვე გუშინდელ დღეს. მასებში დასაყრდენს მოკლებულნი, ისინი ჰკარგავდნენ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას.

არმიის ბოლშევიზაციაში დიდი როლი შესარულეს პარტიის საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებმა, რომლებიც აბლო იყენენ ფრონტისა და ზურგის ნაწილებთან. ისინი თავისი აქტივობის მნიშვნელოვან ნაწილს არმიაში მუშაობას ანდომებდნენ. პარტიული ორგანიზაციების საშუალებით მუშები გავლენას ახდენდნენ ჯარისკაცთა კლასობრივი თვითშეგნების ფორმირებასა და ზრდაზე. მაგალითად, პეტროგრადში სამხედრო გარნიზონში ხელმძღვანელო როლს თამაშობდნენ ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარები. იგივე იყო კრონშტადტშიაც. ადგილობრივ ბოლშევიკურ კომიტეტებს უდიდესი გამარეოლუციონერებელი გავლენა ჰქონდათ გარნიზონის ნაწილებზე.

მუშებსა და ჯარისკაცებს შორის მყარდებოდა იმდენად მჭიდრო კავშირი, რომ, მაგალითად, ჯარისკაცები პეტროგრადიდან წასვლისას იძლეოდნენ დაპირებას ებრძოლნათ პეტროგრადის მუშების რევოლუციური ლოზუნგებისათვის. ასე, მაგალითად, მე-2 სატყვიამფრქვევო პოლიკის ერთმა ასეულმა ფრონტზე გამგზავრებისას განაცხადა:

„ჩვენ, სატყვიამფრქვევო პოლიკის მე-5 ასეულის მეტყვიამფრქვევებმა, რომელნიც შევიკრიბენით ამა წლის 2. ოქტომბერს დროშის საკითხის გადა-

საქრელად ფრონტზე გამგზავრების წინ დაეადვინეთ მივემართა დახმარებისათვის ამხანაგებისადმი „ტრეუგოლნიკიდან“, ვინაიდან საკუთარი სახსრები ჩვენ არ გვეოფნიდა. ამხანაგებმა „ტრეუგოლნიკიდან“ გადასწყვიტეს მოგვეცნ კომიტეტიდან 200 მანეთი, რისთვისაც ჩვენ მე-5 ასეულის მეტყვიამფრქვევეები, რომლებიც მივემგზავრებით პოზიციებზე ბელბეევის მე-527 პოლკში... დიდ მადლობას ვუძღვნით მათ დახმარებისათვის და ვაცნობებთ, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ: 1) საიდუმლო ხელშეკრულებათა დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას, 2) დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას ზავის შესახებ, 3) მთელი მიწის დაუყოვნებლივ გადაცემას გლებთა კომიტეტებისათვის, 4) კონტროლს ყველა წარმოებაზე, 5) საბჭოების დაუყოვნებლივ მოწვევას. ჩვენ, მე-5 ასეულის მეტყვიამფრქვევეები, თუმცა არ ვეკუთვნით პარტიას (ბოლშევიკებისას), მაგრამ ყველა მოთხოვნებისა და ლოზუნგებისათვის მათთან ერთად დაეიხოცებით. კომანდა მიდის 107 კაცის შემადგენლობით, ჯერჯერობით იგი სტრელნაში დგას. ზემოაღნიშნული მიღებულია კომანდის მიერ ერთხმად“¹.

მუშები და ჯარისკაცები ერთმანეთს უგზავნიდნენ მუდმივ წარმომადგენლებს. ქარხნებსა და პოლკებს შორის მყარდებოდა ისეთი ურთიერთხემოქმედება და მხარდაჭერა, რამაც შემდეგ, ოქტომბრის დღეებში, წინასწარ გადასწყვიტა აჯანყების გამარჯვება. აი წერილი, გაგზავნილი პუტილოველთა მიერ იზმაილოველებისათვის, რომლებიც მუშებს მადლობას უცხადებდნენ დახმარების გამო კორნილოვის ავანტურის პერიოდში:

„პოლკის კომიტეტის მიერ 13 სექტემბერს მე-634 ნომრით გამოგზავნილი წერილის გამო, რომელშიაც მადლობა აქვს გამოცხადებული საქარხნო კომიტეტს კორნილოვის აჯანყების დღეებში პოლკისათვის სამზარეულოების მიწოდებისათვის, ვაცნობებთ, რომ პუტილოვის საქარხნო კომიტეტი მომავალშიაც მუდამ მოხარული იქნება გაუზიაროს ძვირფას ამხანაგ იზმაილოველებს როგორც სამზარეულოები, ისე უფრო სერიოზული სამხედრო საგნები იმ შემთხვევაში, თუ თვითმპყრობელობასა და ხალხის მონობაზე მეოცნებე გენერლებს შორის ბლომად გამრავლებულმა რომელიმე ავანტურისტ-კონტრრევოლუციონერმა მოაწყო გამოსვლა. საქარხნო კომიტეტი ამხანაგურად გართმევთ ხელს და იმედოვნებს, რომ იზმაილოველთა გული აღგზნებულია იმავე წმინდა რევოლუციური ცეცხლით, რომლითაც აღგზნებულია პუტილოველთა გული, და რომ ეს გულები რევოლუციური ხალხისათვის საფრთხის მომენტში შედუღდებიან ერთიან მძლავრ აღგზნებულ გულად“².

თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამრეწველო ცენტრთა მუშების გავლენას ჯარისკაცებზე, ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ შავი ზღვის ფლოტის სარდლის იმ მოხსენების მიხედვით, რომელიც მან წარუდგინა უმაღლეს მთავარსარდალს 26 სექტემბრის თარიღით.

„ქალაქ ნიკოლაევი დაბანაკებული მე-45 ქვეითი სათადარიგო პოლკი, — ჩივის ფლოტის სარდალი, — ამჟამად წარმოადგენს ისეთ ნაწილს,

რომელიც სრულიად მოკლებულია დისციპლინას და შეუძლებელია გამოყენებულ იქნას ნავსადგურისა და ქარხნების დაცვის მიზნით... ჯარისკაცთა მასა ცხოველ მონაწილეობას ლეზულობს ქალაქ ნიკოლაევის მოქალაქეთა ცხოვრებაში, აწყობს მუდმივ მრავალრიცხოვან კრებებს ქალაქის ქუჩებში“.

ასე იყო უმრავლეს სამრეწველო ცენტრებში.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამზადებდა რა პროლეტარულ რევოლუციას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პარტიულ მუშაობას სამხედრო ნაწილებში. ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე განუწყვეტლივ იხილავდნენ საკითხებს ჯარისკაცთა შორის მუშაობის შესახებ, სწავლობდნენ ჯარისკაცთა განწყობილებებს, ანგარიშობდნენ რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალებს. ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაცია ანმტიციებდა მკიდრო კავშირს ჯარისკაცთა მასასთან. იგი აერთიანებდა ხელმძღვანელობას პარტიული მუშაობისადმი ფრონტსა და ზურგში. იგი ამარაგებდა ნაწილებს ლიტერატურით, გზავნიდა ინსტრუქტორებსა და აგიტატორებს, იწყებდა კონფერენციებს.

1 — 3 სექტემბერს მინსკში შესდგა ოლქისა და ფრონტის ბოლშევიკთა თათბირი. მასზე წარმოდგენილი იყო პარტიის 3651 წევრი არმიიდან და 2410 წევრი ოლქიდან. თათბირმა შესაძლოდ არ სცნო გამოცხადებინა თავი კონფერენციად ძირეული ორგანიზაციების არასაკმაო წარმომადგენლობის გამო.

სხენებული თათბირის ორი კვირის შემდეგ, 15 — 18 სექტემბერს, მინსკში შესდგა ბოლშევიკების ჩრდილო-დასავლეთის I საოლქო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 88 დელეგატი, მათგან 61 — არმიისაგან და 27 — ოლქისაგან. არმიის დელეგატების სახით წარმოდგენილი იყო უკვე პარტიის 4111 წევრი და 1564 თანამგრძნობი. არმიის დელეგატთა ნახევარი ეკუთვნოდა მე-2 არმიას, დასავლეთის ფრონტის არმიებიდან ყველაზე რევოლუციურ არმიას.

ამ კონფერენციის 10 დღის შემდეგ, 27 — 29 სექტემბერს, ქალაქ ნესვიეში კიდევ შესდგა მე-2 არმიის ბოლშევიკთა I კონფერენცია. მას დაესწრო 137 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 5124 ორგანიზებულ წევრს და 12 ათასამდე თანამგრძნობს.

ბოლოს, 20 დღით ადრე ოქტომბრის რევოლუციამდე, 5 ოქტომბერს, მინსკში შესდგა ბოლშევიკების II საოლქო კონფერენცია; მას დაესწრო უკვე 353 დელეგატი, რომლებიც ამჟამად წარმოადგენდნენ 28 501 წევრს და 27 855 თანამგრძნობს.

ასევე ჩაღდებოდა ბოლშევიკური მუშაობა ფრონტის სხვა უბნებზედაც.

ბოლშევიზაციასთან ერთად არმია სულ უფრო დაუფრო შეუპოვრად და დაჟინებით აყენებდა პოლიტიკურ საკითხებს. სალტიკოვო-ნევის მე-712 ქვეითი პოლკის კომიტეტთა გაერთიანებულ კრებაზე სექტემბერში მიღებულ იქნა შემდეგი, ჯარისკაცთა იმდროინდელი განწყობილების მეტად დამახასიათებელი, რეზოლუცია:

„დემოკრატიის ექვსი თვის თანამშრომლობამ ბურჟუაზიასთან მთავრობაში მიგვიყვანა მხოლოდ ომის გაჭიანურებამდე, მოპოვებულ თავისუფლებათა განმტკიცებისაგან დაშორებამდე, დამფუძმებელი კრების გადაღებამდე

და უღმობელ ბრძოლამდე რევოლუციურ დემოკრატიასთან, როგორც ცალკე პირებთან, ისე ბეჭდვითი სიტყვისათან, კონტრრევოლუციური ხასიათის ყოველგვარ გამოვლინებამდე, რომლის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენს „კორნილოვშჩინა“, ამიტომ კრება სთელის, რომ დემოკრატიის შემდგომი თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან მთავრობაში დაუშვებელია რევოლუციის მონაპოვართა და ინტერნაციონალისათვის ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით“¹.

სხვა რეზოლუციებში მოთხოვნათა ბოლშევიკური ხასიათი კიდევ უფრო ცხადი იყო. რევოლუციის მიდამოებში არსებულ საპაერო სადგურ „ბრიგიტოვიკის“ კომანდის საერთო კრება დაქინებით მოითხოვდა მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში, ზავის დადებას, მიწის გადაცემას გლეხობისათვის, კონტროლის მოწყობას წარმოებაზე და მუშების შეიარაღებას.

ოქტომბრის განმავლობაში ლოზუნგი ძალაუფლების გადაცემისა საბჭოების ხელში სულ უფროდაუფრო პოპულარული ხდება არმიაში. ქვეითსა და ცხენოსან პოლკებს, საარტილერიო დივიზიონებს, მესანგრეთა ნაწილებს, სანიტარულ რაზმებს სულ უფროდაუფრო ხშირად გამოაქვთ უნდობლობა კერენსკის მთავრობისადმი და ერთსულოვანი დაქინებით მოითხოვენ მთელი ძალაუფლების გადაცემას პროლეტარული და გლეხური საბჭოების ხელში.

არმიაში რევოლუციის ზრდის განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიშანი გახდა მეთაურთა შემადგენლობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმა. ჯარისკაცები უარს ამბობდნენ დამორჩილებოდნენ ოფიცრებს, მათ მოახდინეს ოფიცრების იზოლირება, ყველაზე უფრო რეაქციონერებს კი საბოძდნენ. ყველაფერი ეს წინათაც იყო. მაგრამ ახალი ის იყო, რომ ოფიცრებს ხსნიდნენ მეთაურთა თანამდებობებიდან და მეთაურებს თავისი წრიდან ირჩევდნენ. არმია დიდ ნაბიჯს დგამდა წინ რევოლუციის განვითარებაში, დგებოდა რა მეთაურთა შემადგენლობის არჩევის გზაზე. ბ რ ძ ო ლ ის ა მ ფ ო რ მ ი თ ჯ ა რ ის კ ა ც თ ა მ ა ს ე ზ ი ს წ ყ ე ტ დ ნ ე ნ ა რ მ ი ა შ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ის პ რ ო ბ ლ ე მ ა ს. გენერალთა ნაკრები ცნობები დიდის შეშფოთებით იტყობინებოდნენ:

„მე-4 ველოსიპედისტთა ათასეულში (განსაკუთრებული არმიისა) გადაყენებულ იქნენ მე-3 ასეულის მეთაური და სამეურნეო ნაწილის გამგე და მათ ადგილებზე აირჩიეს ჯარისკაცები; მე-648 რაზმში მეთაურად არჩეულია კომისარი; გვარდიის მე-3 დივიზიის მფრინავე პუნქტის კომიტეტმა გადააყენა უფროსი და მთელ ქონებას დაეპატრონა; სანიტარული მატარებლის კომიტეტმა გადააყენა უფროსი ექიმი, მეურნეობის გამგე და მოწყალე დები და აირჩია ახალი პირები (მე-11 არმია); კავკასიის მე-5 დივიზიაში გადააყენეს სამეურნეო ნაწილის საქმისმწარმოებელი რამდენიმე კალმის გაცემაზე უარის თქმის გამო, რაც მიჩნეულ იქნა როგორც საქმისმწარმოებელთა სურვილი ხელი შეეშალათ დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის (მე-12 არმია); XLI კორპუსის მე-74 დივიზიაში გამოიტანეს დადგენილება — გაუქმდინათ სადივიზიო ინტენდანტისა და სამეურნეო ნაწილის უფროსის თანამდებობანი და მათი ფუნქციები გადაეცათ საგანგებო კომისიებისათვის (მე-7

არქია); ციმბირის მე-53 მსროლელთა პოლკში უარი სთქვეს მიეღოთ ევაკუაციის შემდეგ ჩამოსული ნეთაური; მე-11 არმიის შტაბის ნაწილების კომიტეტმა დაადგინა რეკვიზიცია ეყოთ ოფიცერთა საკუთარი ცხენებისათვის, გაეხზოთ მიმავალი ოფიცრები და ჩამოერთმიათ მათთვის იარაღი, გადაეყვანათ ოფიცრები საერთო საცხოვრებელში“¹.

რევოლუცია არმიაში უერთდებოდა გლეხთა მოძრაობას ფრონტის ზოლში. ვოლმარის სამაზრო მილიციის უფროსი შუმანი, რომელმაც პირადად გამოიკვლია თავისი მაზრის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, 10 ოქტომბერს იტყობინებოდა, რომ პოზენდორფის თემში „შარა გზის ახლოს კარმიდამოთა მფლობელებს და მემამულეებს წაართვეს მოთიბული შვრია, პური, იონჯა და თივა“². კატერის თემში „უკანდახევის დროს დაზიანდა თითქმის ყველა კარმიდამო და მამულეები შარა გზის ახლოს“³.

მემამულეთა მამულეების განადგურება ჯარისკაცებისა და ადგილობრივი გლეხების მიერ სწარმოებდა ფრონტის მთელ ზოლში — ჩრდილოეთის ფრონტიდან რუმინეთის ფრონტამდე. ჯარისკაცები გამოდიოდნენ გლეხთა განწყობილებების შეიარაღებულ მატარებელთა როლში, ასახედნენ რა თავიანთ მოქმედებაში სოფლის სტიქიურ სიძულვილს მემამულეებისა და კულაკების მიმართ.

მონაწილეობდნენ რა ფრონტის ზოლის მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯარისკაცები სოფლად გაგზავნილ თავიანთი წერილებით ხელს უწყობდნენ აგრარული რევოლუციის გაწაფებას მთელს ქვეყანაში. აი ფრონტზე მყოფის მრავალ წერილთა შორის ერთერთი წერილი თავის სოფელ ნათესავეებისადმი:

„გთხოვთ პირუტყვი ყოველ მიზეზს გარეშე გაუშვათ მემამულეთა მიწაწაღზე და მოხნათ მიწა, ნუ ჰკითხავეთ იმ ღობიან ძაღლებს, ეყოფათ მათ ახლა ჩვენი სისხლის წოვა. იცოდეთ, ახლავე დაეპატრონეთ, და ჩვენც არ დავყრით აქ იარაღს, ვიდრე ყველაფერს არ მოვაგვარებთ და სახლშიც მაშხანებით დავბრუნდებით“⁴.

ჯარისკაცთა ამ წერილებს სოფელში უყურებდნენ, როგორც დირექტივებს და ეს წერილები უდიდეს გავლენას ახდენდნენ რევოლუციის მსვლელობაზე.

არმია სიტყვით კი არა, საქმით გადადიოდა გადამწყვეტ რევოლუციურ ბრძოლაზე ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ბოლშევიკების პარტიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ეს მკაფიოდ გამოხატა მოკლედ ციმბირის მე-18 მსროლელთა დივიზიის უფროსმა.

„მე-70 მსროლელთა პოლკის მეთაურმა მაცნობა, — იტყობინებოდა იგი თავის ნაკრებ ცნობაში, — სრული დაშლის შესახებ პოლკში. ყველა ბოლშევიკური იდეები — კანონია“⁵.

მართლაც, პროლეტარული რევოლუციისათვის გადამწყვეტი ბრძოლების მომენტში ბოლშევიკური იდეები კანონი გახდა მრავალმილიონიანი შეიარაღებული მასისათვის.

შემდეგში ლენინი, ანალიზს უკეთებდა რა დამფუძნებელი კრების არჩენების შედეგებს, სწერდა:

„არმიაში ბოლშევიკებს... უკვე 1917 წლის ნოემბრისათვის ჰყავდათ პოლიტიკური „დამკვირველი მუშტი“, რომელიც უზრუნველ-ჰყოფდა მათთვის ძალთა დიდ უმეტესობას გადამწყვეტ პუნქტში, გადამწყვეტ მომენტში. ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა იმაზე, რომ არმია რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა პროლეტარიატის ოქტომბრის რევოლუციას, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას პროლეტარიატის მიერ, როდესაც ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებზე ბოლშევიკებს გიგანტური უპირატესობა ჰქონდათ, ხოლო ცენტრისაგან დაშორებულ დანარჩენ ფრონტებზე ბოლშევიკებს ჰქონდათ დრო და შესაძლებლობა გადმოებირებინათ გლეხები ეს ერთაპარტიიდან“¹.

რევოლუციური მოუთმენლობა ჯარისკაცთა მასებისა, რომელთაც შეიგნეს თავიანთი ინტერესები, აიძულებდა მათ დაეჩქარებინათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

„ამხანაგებო, ნუ უყურებთ კერენსკის, — სწერდნენ მე-3 არმიის ჯარისკაცები ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. — ის ჩვენ ისეთ უფსკრულამდე მიგვიყვანს, რომ ყველანი ერთბაშად დავიღუპებით. ამხანაგო ჯარისკაცებო, ეცადეთ, რომ რაც შეიძლება მალე დაიდვას ზავი. ჩვენ არ ძალგვიძს ფრონტის დაცვა. ამხანაგო ჯარისკაცებო, აბა თქვენ თითონ განსაჯეთ, ჩვენ ხომ სახლში შიმშილით გვეხოცებიან ოჯახები, ჩვენ სახლში გვეყავს მშობლები, ცოლშვილი — ლეკვები კი არა. ჩვენ ყური არ უნდა ვათხოვოთ ბურჟუაზიას, ძირს ომი, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და გაუმარჯოს ამხანაგ ბოლშევიკებს!“²

ძახილი „გაუმარჯოს ამხანაგ ბოლშევიკებს“ სულ უფროდაუფრო ხშირად გაისმოდა არმიაში. იგი ამათუიშ ფორმით გეხვდებოდა ჯარისკაცთა ყველა წერილში.

„ეთხოვთ ბატონ ბოლშევიკებს ყურადღება მიაქციონ ბატონ კერენსკის — ჩამოჰკიდონ ერთ ჩანგალზე კორნილოვთან ერთად — იწერებოდა დაპირილ ჯარისკაცთა ჯგუფი. — გთხოვთ დაუყოვნებლივ გადაეცეს მმართველობა ხალხს — გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. ძირს დროებითი მთავრობა, გაუმარჯოს ხალხის მმართველობას! ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო, გაუფრთხილდით იარაღს, წავიდეთ პეტროგრადში ბურჟუების, კოალიციური მმართველობის შესამუსრავად, გასაყლელად და ჩამოსახრჩობად. სანგრებში განაწამებ ჯარისკაცის მოთმინების ფიალა აივსო“³.

დიად, სანგრებში განაწამებ ჯარისკაცის მოთმინების ფიალა აივსო! ფრონტი მზად იყო მონაწილეობა მიეღო მისთვის საძულველი კერენსკის მთავრობის დამხობაში.



თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ა ტ ა .

შემთანხმებულთა მანქარები და გურჯაუზიის გზებები რაკოლუსიის ზრდასთან დაკავშირებით.

1.

სსპრ-მინისტრიაქები — გურჯაუზიის უკანასკნელი დასაქრდანი.

სროლეტარული და გლესობის მშრომელი მასების უღრესად სწრაფმა გარევეოლუციონერებამ დააქუცმაცა, დაანგრია წერილბურჟუაზიული პარტიების სოციალური საფუძველი.

საერთო რევეოლუციური აღმავლობის ზეგავლენით ესერ-მენშევიკთა ლიდერები კორნილოვის განადგურების შემდეგ გამოცხადდნენ ზამთრის სასახლეში და თავიანთი პარტიების სახელით მოითხოვეს კადეტების გაყვანა მთავრობიდან. მაგრამ მასობრივმა მოძრაობამ უკვე გადალახა წერილბურჟუაზიული პარტიებისათვის მისაღები საზღვრები: კადეტების გამოყვანით მთავრობის წევრთა რიცხვიდან შეუძლებელი იყო შეჩერება რევეოლუციისა, რომელიც იზრდებოდა ლოზუნგით — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ამ ლოზუნგის მათრგანიზებული ძალა სულ უფროდაუფრო მტკიცედ აკავშირებდა მასებს. ესერ-მენშევიკებმა გადასწყვიტეს საჩქაროდ აეგოთ მეორე ჯებირი, რომელიც შეაჩერებდა რევეოლუციურ მოძრაობას და შემდეგ გადაიყვანდა მას სხვა, უფრო ნაკლებ სახიფათო კალაპოტში.

პირველ სექტემბერს შესდგა საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლესთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რევეოლუციით დაფრთხალმა წერილბურჟუაზიულ პარტიათა ლიდერებმა ლოზუნგს — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ დაუპირისპირეს საერთოდემოკრატიული ყრილობის მოწვევა.

„მთელი ძალაუფლების ხელში აღება — დანაშაულია რევეოლუციის წი-

ნაშე¹; განაცხადა გაერთიანებულ სხდომაზე მენშევიკების ლიდერმა სკობე-
ლევმა, წერეთელი კი, რომელიც სულ ორი საათის წინ მოითხოვდა კერენსკი-
საგან კადეტების გამოყვანას მთავრობიდან, კვლავ ბურჟუაზიასთან კოალიციის
დაცვით გამოვიდა.

ჩქარობდა რა გამიჯნოდა რევოლუციას, ავქსენტიევი, ესერების ლი-
დერი, თავს დაესხა საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტის კომისიას, რომელმაც ფინეთიდან გამოიძახა ჯარები კორნი-
ლოვთან საბრძოლველად, და მკაცრად გაილაშქრა მუშების შეიარაღების წი-
ნააღმდეგ. პანიკით შეპყრობილმა ავქსენტიევმა წამოროშა, რომ მენშევიკები და
ესერები რევოლუციის კულში მიჩანაწლებდნენ და კორნილოვთან ბრძოლაში
ძონაწილეობა მიიღეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდათ ჩამორჩენოდნენ წინ
წასულ მასებს.

სხდომამ მიიღო რეზოლუცია მოეწვიათ ყრილობა

„მთელი ორგანიზებული დემოკრატიისა და ადგილობრივი თვითმმარ-
თველობის დემოკრატიული ორგანიზაციისა ისეთი ხელისუფლების ორგანი-
ზაციის საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც შესძლებს ქვეყნის მიყვანას
დამფუძნებელ კრებამდე“².

დემოკრატიული ყრილობა — აი ის ჯგბირი, რომელსაც უნდა შეეჩერებინა
რევოლუციური აღმავლობა ან სხვა მიმართულებით წარემართა იგი.


ყრილობა, ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, დემოკრატიული თათბირი, შეიკ-
რიბა 14 სექტემბერს. მენშევიკები და ესერები ყოველნაირად შეეცადნენ შეე-
სუსტებინათ მუშათა და გლეხთა მასების წარმომადგენლობა სხვადასხვა წერილ-
ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ორგანიზაციების დელეგატთა რიცხვის გა-
ფართოებით. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა გაგზავნეს 230
კაცი, და თითქმის ამდენივე ადგილი (200) მიიღეს არადემოკრატიულმა ერო-
ბებმა. პროფკავშირებმა მიიღეს 100 ადგილი, კოოპერაციამ კი, რომელიც
ძთლიანად ესერ-ენშევიკთა ხელში იყო, გაგზავნა 120 კაცი. მრავალმილიო-
ნიანი ფრონტის ყველა საარმიო ორგანიზაციას მისცეს 83 ხმა, რეაქციულ კა-
ზაკობას კი 36 ხმა. ყრილობაზე მოიწვიეს წარმომადგენლები ოფიცრობისა,
სამღვდელოებისა, და „პარტიათაშორისო კავშირისა“, რომელიც მარტო თავის
სახელწოდების ქვეშ ფარავდა გარკვეულად რეაქციულ ჯგუფებს. ერთი სიტყ-
ვით, შეეცადნენ ყოველნაირად გაეყალბებინათ დემოკრატიული თათბირის შე-
მადგენლობა, ოღონდ უმცირესობაში დაეტოვებინათ რევოლუციური ელე-
მენტები.

მიუხედავად „სიყალბის გმირების“ — ასეთი დაღი დაასვა ლენინმა ყრილო-
ბის გამყალბებელ ესერებსა და მენშევიკებს, — გულმოდგინე ცდისა, ჯგბირი
არასაკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა: ყრილობაზე ბურჟუაზიულ პარტიებთან კოა-
ლიციას ხმა მისცა 766 დელეგატმა, წინააღმდეგ — 688, თავი შეიკავა — 38.

ეს ცოტაა, პრეზიდენტი კენჭისსაყრელად წარუდგინეს ორი შესწორება სპე-
ციალურად კოალიციის საკითხზე:

1) „კოალიციის ფარგლებს გარეთ რჩებიან როგორც კადეტური, ისე სხვა
პარტიების ის ელემენტები, რომელნიც მონაწილეობდნენ კორნილოვის
შეთქმულებაში“.

21 „ფარკლებს გარეთ რჩება „სახალ-
ხო თავისუფლების პარტია“ 1.



მეპატრონე და მისი ხელქვეითი.
კარიკატურა ვ. დენისა.

პირველი შესწორების მიღება სრულიად სპობდა ბურჟუაზიასთან კოალიციის შესაძლებლობას, ვინაიდან შეუძლებელი იყო ღონახვა რომელიმე ბურჟუაზიული პარტიისა, რონიერც ასე თუ ისე დაკავშირებული არ იყო კორნილოვის შიტქულებასთან. მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებიც ეძებდნენ საძროვებს ყოველგვარი მანევრებისათვის, გადასწყვიტეს ხმა მიეცათ მეორე შესწორებისათვის. მაგრამ ეს ხრიკი არ გაუვიდათ: პირველს ხმა მისცა დიდმა უმრავლესობამ 798 ხმის რაოდენობით, წინააღმდეგ — 139 და თავი შეიკავა 196. ყრი-

ლობა აშკარად მარცხნისაკენ მერყეობდა. როდესაც კენჭი უყარეს რეზოლუციას მთლიანად, მის სასარგებლოდ ხელი ასწია მხოლოდ 183 დელეგატმა, წინააღმდეგ მისცა ხმა 813 და თავი შეიკავა 80.

წერილობანი, უბადრუკი ჩხირკედლაობა ამოა გამოდგა: მასები იმდენად შორს წავიდნენ მარცხნით, რომ თვით გაყალბებულმა დემოკრატიულმა ყრილობამ ჩაფუშა კოალიცია კადეტებთან.

მაშინ პოლიტიკანებმა გადასწყვიტეს უკიდურესი მოქანცვით დაემორჩილებინათ „ურჩი“ ყრილობა.

დელეგატებს ელოლიავებოდნენ, არწმუნებდნენ, ჰპირდებოდნენ მათ ათასგვარ რამეს, მოუწოდებდნენ კომპრომისისაკენ, ოღონდ მიეღწიათ რაიმე დათმობისათვის. ბოლოს, 20 სექტემბერს შესდგა პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლებით შევსებული დემოკრატიული თათბირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც პოლიტიკურმა მოცეკვავეებმა გადასწყვიტეს ჯამი გაეკეთებინათ თავისი საქანაისთვის: კოალიციის წინააღმდეგ კელაე ხმა მისცა 60 კაცმა, კოალიციას კი მხოლოდ 50.

იძულებული შეიქნენ თავიდან დაეწყოთ დელეგატების დამუშავება. წერილბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა მიმართეს კიდევ ერთ „ფანდს“. ესერმენშევიკებმა დროებით შესწყვიტეს იერიში კოალიციის საკითხის გამო, მაგრამ შეიტანეს წინადადება გამოეყოთ დემოკრატიული თათბირის შემადგენლობიდან მუდმივი წარმომადგენლობითი დაწესებულება — დემოკრატიული თათბირი, რომლის წინაშეც პასუხისმგებელი უნდა იყოს მთავრობა. კრება დაეთანხმა ამას. მენშევიკების წინადადებით დემოკრატიული თათბირის პრეზიდიუმის უმრავლესობამ დაადგინა, რომ ახალ ორგანოში პროპორციულ საფუძვლებზე შედიან წარმომადგენლები ყველა ჯგუფისა და პარტიისაგან. მაშინ ხელმარჯვე „ლიბერალებმა“ — ასე უწოდებდნენ მუშები მენშევიკებს ორი ლიდერის — ლიბერისა და დანის — სახელის მიხედვით — შეაპარეს ახალი შესწორება: თუ

ახლად ფორმირებულ დროებით მთავრობაში შეყვანილი იქნებიან ბურჟუაზიული ელემენტები, მაშინ წარმომადგენლობითს ორგანოშიაც შეყვანილი უნდა იქნენ ბურჟუაზიული პარტიებიო. ესერულ-მენშევიკური ტრაუკი გავიდა: შესწორება მიღებულ იქნა 56 დელეგატის მიერ 48-ის წინააღმდეგ, 10 თავი შეიკავა. იმავე საღამოს წერეთელმა გააპარა იგივე რეზოლუცია ყრილობაზედაც, „მოშაქრა“ რა იგი უფრო მეტი სიმტკიცისათვის კიდევ ერთ ადგილას: მესამე მუხლში მოცემული იყო დაპირება, რომ მომავალ ორგანოში შენარჩუნებული უნდა იყოს დემოკრატიული ელემენტების სიჭარბე.

რეზოლუცია კულშეკეცილი გამოვიდა, მაგრამ ლაქიებმა შეასრულეს ბურჟუაზიის ნებისყოფა, გააპარეს რა თუმცა შენიღბული ფორმით კოალიციის იდეა. მაგრამ პატრონებს ეჭვიც არ შედიოდათ თავისი ლაქიების ერთგულებაში. ჯერ კიდევ დემოკრატიული თათბირის სხდომისას კერენსკი მოლაპარაკებას აწარმოებდა ბურჟუაზიული პარტიების უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებთან— კიშკინთან, ბურიშკინთან, კონოვალოვთან და ტრეტიაკოვთან, იწვევდა რა მათ მთავრობაში. უკანასკნელნი მოითხოვდნენ „მტკიცე ხელისუფლების“ შექმნას.

კადეტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც მოვაჭრეთა ზურგს უკან იდგა, დაავალა კიშკინსა და კონოვალოვს შესულიყვნენ სამინისტროში იმ პირობით, რომ მომავალი წარმომადგენლობითი ორგანო დანიშნული იქნებოდა მთავრობის მიერ, და არა არჩეული საბჭოებისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ. დროებითმა მთავ-

რობამ, დარწმუნდა რა დემოკრატიული თათბირის სრულ ლოიალობაში, მიიღო კადეტების პირობები, ისე რომ „ლიბერდანების“ რეზოლუცია(კი არ ჰქონია კოალიციის შესახებ. სწორედ ამ დროს ესერ-მენშევიკები სულ საწინააღმდეგო დაპირებას იძლეოდნენ რეზოლუციაში: მთავრობას ანგარიში უნდა ჩაეხარებინა ხოლმე რუსეთის რესპუბლიკის დროებით საბჭოსათვის, ანუ წინაპარლამენტისათვის, როგორც უწოდას დემოკრატიული თათბირის მიერ გამოყოფილ ორგანოს. მიიღო რა რეზოლუცია კოალიციის შესახებ, რაც „ლიბერდანებმა“ დიდი ვაივავალახის შემდეგ შეითხნეს გაყალბებულ ყრილობაზე, დროებითმა მთავრობამ იგი მთლიანად გამოიყენა თავისი გეგმების განსახორციელებლად. კერენსკი შეუთანხმდა კადეტებს და დროებითი მთავრობის შემადგენლობა შეავსო შემდეგი პირებით: ა. კონოვალოვი—ვაკრობისა და მრეწველობის მინისტრი და მი-



იხინი ცდილობდნენ რეზოლუციის შეჩერებას.
კაზაკატურა ვ. დენისა.

ნისტრ-თავმჯდომარის მოადგილე, კ. გვოზდოვი (მენშევიკი) — შრომის მინისტრი, პ. მალიანტოვიჩი (მენშევიკი) — იუსტიციის მინისტრი, ს. პროკოპოვიჩი — სურსათის მინისტრი, პროფესორი მ. ბერნაცკი — ფინანსთა მინისტრი, ს. სალაზკინი — სახალხო განათლების მინისტრი, ნ. კიშკინი (კადეტი) — მზრუნველობის მინისტრი, ს. სმირნოვი (კადეტი) — სახელმწიფო კონტროლის მინისტრი, ა. კარტაშევი (კადეტი) — სარწმუნოებათა მინისტრი, ა. ლივეროვსკი — ზნათა მინისტრი, ს. ტრეტიაკოვი — დროებით მთავრობასთან არსებული ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე, ს. მასლოვი (ესერი) — მიწათმოქმედების მინისტრი.

მთავრობამ დაადასტურა, რომ წინაპარლამენტი

„იქმნება 555 წევრისაგან, რომელთაც საბჭოს შემადგენლობაში იწვევს დროებითი მთავრობა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარდგენით“¹.

წინაპარლამენტს უფლება ეძლეოდა განეხილა მხოლოდ ის კანონები, „რომელთა შესახებაც დროებითი მთავრობა აუცილებლად სცნობს იქონიოს დასკვნა“² წინაპარლამენტისა.

მიუხედავად დემოკრატიული თათბირის გაყალბებისა, მიუხედავად მრავალი მოქნილი ფანდების გამოყენებისა ესერ-მენშევიკების მიერ, შედეგად თათბირმა მაინც გვიჩვენა პოლიტიკური პროსტრაციის არსებობა შემთანხმებელთა რიგებში და მასობრივი მხარდაჭერის სრული დაკარგვა მათ მიერ: ესერ-მენშევიკები მასებისაგან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ.

მაგრამ მშრომელთა გამემარცხენების პროცესი ამაზე არ შეჩერებულა. მასების ჩამოშორებამ წვრილბურჟუაზიული პარტიებისაგან გავლენა მოახდინა თვით პარტიათა შემადგენლობაზე: მენშევიკებთან და ესერებთან დაიწყო გათიშვა. ჯერ კიდევ დემოკრატიული თათბირის გახსნის წინ — 13 სექტემბერს — შესდგა მენშევიკების ფრაქციის მეტად მღელვარე სხდომა. გაკოტრებული ლიდერები ერთმანეთს ამტყუნებდნენ პოლიტიკურ შეცდომებში, თავს იმათრახებდნენ დაშვებულ შეცდომათა გამო, ჩხუბობდნენ და დავობდნენ იმის გამო, თუ რა იყო მენშევიზმის კრახისა და ბოლშევიკური იდეების სწრაფი წარმატების მიზეზები. მენშევიკების ფრაქციაზე წარმოდგენილი იყო არა ერთიანი პარტია, არამედ სულ უკანასკნელი სამი ჯგუფი მაინც, რომლებიც სასტიკად ილაშქრებდნენ ერთმეორის წინააღმდეგ. ორი დღის კამათის შემდეგ ფრაქციის 75 წევრმა ხმა მისცა კოალიციის წინააღმდეგ, ხოლო მის სასარგებლოდ — 65-მა. ამრიგად, წერეთელმა აშკარად დაარღვია თავისი პარტიის დირექტივა, როდესაც ოფიციალურად გამოვიდა კოალიციის დამცველად ყრილობაზე.

კიდევ უფრო მკვეთრად იჩინა თავი უთანხმოებამ ესერებთან. პეტროგრადის VII საგუბერნიო კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 1917 წლის 10 სექტემბერს, ესერთა მემარცხენე ფრთამ გააკრიტიკა თავისი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა და საგუბერნიო კომიტეტის გადარჩევისას უმრავლესობა მიიღო.

მენშევიკებისა და ესერების პარტიები ორ ნაწილად ითიშებოდნენ: ქვედაფენები რევოლუციის ემხრობოდნენ, ზედაფენები კი აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ ერთგულებას ბურჟუაზიისადმი.

დაიწყო მუშათა და მშრომელთა მასობრივი გამოსვლა ესერთა პარტიიდან. პარტიაში სასტიკად დაეცა დისციპლინა. მთელი ჯგუფები უარს ამბობდნენ დამორჩილებოდნენ პარტიულ დირექტივებს. ესერთა ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ საინკოვი გამოცხადებულიყო პასუხით კორნილოვთან მისი კავშირის გამო, მაგრამ საინკოვმა ამაზე უარი განაცხადა, კპოვა რა მხარდაჭერა ესერთა დიდი ჯგუფის მხრით ყბათალებული „რევოლუციონერი ქალის“ ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას მეთაურობით.

ესერთა შორის სულ უფროდაუფრო მტკიცდებოდა მემარცხენე ფრთა. ესერთა პარტიის უკვე III ყრილობაზე 1917 წლის მაისში მემარცხენეთა პატარა ჯგუფმა გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია პროტესტით უმრავლესობის შემთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ. პარტიასთან კავშირის გაუწყვეტლად მემარცხენე ფრთამ მაისიდან ფაქტიურად გაშალა თავისი, ცენტრალური კომიტეტისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა. მემარცხენეებს სათავეში ჩაუდგა რამდენიმე თვალსაჩინო ფიგურა: სპირიდონოვა, კოლეგაევი, პროშინი, ბი-ცენკო, ნატანსონი, შრეიდერი, კამკოვი.

ესერთა მემარცხენე და მემარჯვენე ფრთას შორის ძირითადი უთანხმოებანი ეხებოდა საკითხს დროებითი მთავრობისა და მიწის შესახებ. მემარცხენეები ბურჟუაზიასთან კოალიციის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ არც აყენებდნენ ლოზუნგს — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. საბჭოებს მემარცხენეები უყურებდნენ როგორც კონტროლის გამწეე ორგანოებს და ამრიგად იმეორებდნენ მემარცხენე მენშევიკების შეცდომებს. აგრარულ საკითხში მემარცხენეებს ეჭირათ უფრო გადამწყვეტი პოზიცია, გამოდიოდნენ რა მემამულეთა მიწათმფლობელობის დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის მომხრედ.

ესერთა პარტია მალაედა თავის სრულ გახრწნას, ყოველნაირად ცდილობდა შეეკავებინა გათიშულები. როდესაც წინაპარლამენტის ესერთულ ფრაქციაში მემარცხენე ფრთამ პარტიის პოლიტიკას გამცემლური პოლიტიკა უწოდა და დასტოვა სხდომა, ესერთა ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ მიუხედავად ფრაქციიდან გამოსვლისა მემარცხენეები მაინც პარტიის წევრებად რჩებიანო. მაგრამ ამას არ შეეძლო ესერთა ხსნა, ვინაიდან მუშებისა და გლეხების განთავისუფლება ესერთა გავლენისაგან სწრაფი ტემპით ძლიერდებოდა. ესერთისაგან, ისე როგორც მენშევიკებისაგან, მასების ჩამოშორების პროცესს აჩქარებდა საბჭოების გადარჩევები. გადარჩევები კი ჩვეულებრივად თავდებოდა საბჭოებიდან შემთანხმებელთა გაძევებით და საბჭოების გადასვლით ბოლშევიკთა მხარეზე.

შემთანხმებელთა მანევრები აშკარა ჩავარდნისათვის განწირული აღმოჩნდა.

ბურჟუაზიის ბრძოლა მზარდ რევოლუციისათვის.

სანამ წვრილბურჟუაზიული ლაქიები არა შიშით, არამედ სინდის ქვეშ ცდილობდნენ გაებრიყვებინათ მასები, ბურჟუაზია და მემამულეები სასწრაფოდ იკრებდნენ ძალებს, რათა კვლავ დაერთყათ რევოლუციისათვის.

ლენინი უკვე დიდი ხნის წინათ ხაზს უსვამდა იმას, რომ ბურჟუაზია მშრომელებთან ბრძოლაში სარგებლობს ორი მეთოდით.

„ბურჟუაზია ყველა ქვეყანაში,—სწერდა იგი 1910 წელს,—აუცილებლად იმუშავენს მმართველობის ორ სისტემას, თავისი ინტერესებისა და თავისი ბატონობის დაცვისათვის ბრძოლის ორ მეთოდს, ამასთან ეს ორი მეთოდი ხან ერთი მეორეს სცვლის, ხან ერთმანეთს ეხლართება სხვადასხვა შეხამებაში. ეს არის, ჯერ—ერთი, ძალდატანების მეთოდი, მეთოდი უარისა რაიმე დათმობაზე მუშათა მოძრაობისადმი, ყველა ძველი და დრომოკმული დაწესებულებისათვის მხარდაჭერის მეთოდი, რეფორმათა შეუროგებელი უარყოფის მეთოდი... მეორე მეთოდია — მეთოდი „ლიბერალიზმისა“, ნაბიჯების გადადგმის პოლიტიკურ უფლებათა განვითარებისაკენ, რეფორმებისაკენ, დათმობებისაკენ და ა. შ.“¹.

ბურჟუაზია მუდამ „მათრახითა და მოთაფლვით“ მოქმედებდა, როგორც მხატვრულად ახასიათებენ ხოლმე ამ მეთოდს. სწორედ „მათრახი და მოთაფლვა“ გამოიყენა განსაკუთრებული სისრულით რუსეთის ბურჟუაზიამ ოქტომბრის რევოლუციის წინ.

კორნილოვის განადგურებისა და რევოლუციურ განწყობილებათა სწრაფი ზრდის უშუალო შთაბეჭდილებით ბურჟუაზიამ დააჩქარა მთელ რიგ დათმობებზე წასვლა მასების მიმართ. 1 სექტემბერს დროებითმა მთავრობამ თვითმპყრობელობის დამხობის ექვსი თვის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს, რუსეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. თუ რა მცირე მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ გამოცხადებას — ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ უცხოეთის არცერთ მთავრობას არ აცნობეს მმართველობის ახალი ფორმის შესახებ: აბრა გამოსცვალეს, ასე ვთქვათ, „შინაური მოხმარებისათვის“, კვლავ იმავე მიზნით — მასების დროებითი დამშვიდებისათვის.

დასთმო რა ის, რაც ადრე თუ გვიან ისედაც ალგვილი იქნებოდა რევოლუციის მიერ, ბურჟუაზიამ კვლავ ხელი მიჰყო ბოლშევიკებს, რომლებიც სათავეში ედგნენ რევოლუციურ მასებს. უხვად ავრცელებდნენ საზიზღარ ბრალდებებს ჯაშუშობაში, გამცემლობაში. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული გაზეთების ფურცლები აივსო ცილისწამებით ბოლშევიკური პარტიის ცალკეულ ლიდერთა წინააღმდეგ. ქარხნებსა და ფაბრიკებში ვრცელდებოდა პროვოკაციული ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდნენ პროლეტარიატს თითქოს ბოლშევიკური პარტიის სახელით მთავრობის დაუყოვნებლივი დამხობისაკენ. ლენინი ამ გააფთრებული კამპანიის გამო სწერდა:

„ცარიზმი დევნას აწარმოებდა უხეშად, ველურად, მხეტურად. რესპუბლიკური ბურჟუაზია დევნას აწარმოებს ბ ი ნ ძ უ რ ა დ, ცდილობს რა ჩირქი მოსცხოს მისთვის საძულველ პროლეტარულ რევოლუციონერს და ინტერნაციონალისტს ცილისწამებით, სიცრუით, ინსინუაციებით, ქორებით და სხვ. და სხვ.“¹.

გამყიდველი პრესის ბოროტი ყეფისა და ესერულ-მენშევიკური გაზეთების ისტერიული ყმუილის ხმაურში ბურჟუაზიამ გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი შეტევაზე გადასვლისაკენ. გენერალი კორნილოვი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, ხოლო „რესპუბლიკურმა“ გენერალ-გუბერნატორმა პალჩინსკიმ განკარგულება გასცა დაეხურათ ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩი“, რომელიც მოითხოვდა კორნილოვიშინასთან ბრძოლის ბოლომდე მიყვანას. ივლისის დღეებში დაპატიმრებული ბოლშევიკები ჯერ კიდევ საპრობილეებში იტანჯებოდნენ, ხოლო კორნილოვის თანამონაწილენი, უსაზიზღრეს ცარისტულ ორგანოს — „ნოვოე ვრემის“ თანამშრომლები და კონტრრევოლუციის უთვალსაჩინოესი სულისჩამდგმელი გუჩკოვი გაათავისუფლეს საპრობილედან, სადაც ისინი ჩასვეს ჯარისკაცებმა და მატროსებმა.

მთავრობა სულ უფრო გაბედულად მოქმედებდა. 4 სექტემბერს კერენსკიმ გასცა ბრძანება დაეშალათ კორნილოვთან საბრძოლველად შექმნილი ყველა კომიტეტი და დაეწყათ ყველა რევოლუციური რაზმის განაარაღება. კერენსკიმ უბრძანა გენერალ კოროენიჩენკოს საეციალური დამსჯელი ექსპედიცია გაეგზავნა ტაშკენტში, სადაც საბჭო გადაიქცა ფაქტიურ ხელისუფლებად. გენერალ კოროენიჩენკოს კერენსკიმ დაადევნა დეპეშა:

„წინადადებას გაძლევთ გაემგზავროთ რაც შეიძლება სასწრაფოდ. არ გამართოთ არავითარი მოლაპარაკება შეამბოხებთან. შემდგომი შერყეობა დაუსშებელია. აუცილებელია უაღრესად გადამწყვეტი ზომები“².

შაგრამ ვერც „მოთაფლვამ“, ვერც „მათრახმა“ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო: რევოლუციური აღმავლობა მრისხანე ნიაღვრად ეღებოდა მთელ ქვეყანას.

დროებითი მთავრობა უკვე აშკარად ვერ ართმევდა თავს მზარდ რევოლუციას. ბურჟუაზია მოითხოვდა თავის აღმასრულებელ ორგანოსაგან გადამწყვეტ პოლიტიკას, ყოველნაირად ეხმარებოდა თავის მთავრობას და ფარულად ამზადებდა სხვა ღონისძიებებს რევოლუციის გამარჯვების შემთხვევისათვის. იგი აერთიანებდა თავის ძალებს, აგროვებდა მათ დამრტყმელ მუშტად და ამავდროს ანიარაღებდა რევოლუციურ პეტროგრადს.

ბურჟუაზია გადაწყვეტილებას იღებს უწინარეს ყოვლისა საბრძოლველად მოამზადოს კაზაკობა. კაზაკთა ლაშქრის საბჭოს დელეგაციამ 3 ოქტომბერს ინახულა მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე კონოვოლოვი და წინადადება მისცა დამფუძნებელი კრების არჩევნებისას ცალკე საარჩევნო ერთეულად გამოეყოთ კაზაკობა. დროებითი მთავრობა დასთანხმდა, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ ეს ღონისძიება საშუალებას მისცემდა ზედაფენებს შეენარჩუნებინათ კაზაკთა მასის ხელმძღვანელობა.



სანუგეშო მოჩვენება. როძიანკო: „რიგის ჩაბარების შემდეგ იქ ისეთი წესრიგი დამყარდა... დააბრუნეს გოროდოვობი“.

კარიკატურა ნ. რადლოვისა.

შაგრამ პეტროგრადის რევოლუციური ვითარება, ფართო მასების ფხიზელი კონტროლი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ კონტრრევოლუციის ყოველ ნაბიჯს, უკიდურესად აძნელებდა მოსამზადებელ მუშაობას. ბურჟუაზიამ გადასწყვიტა დაეჩქარებინა თავისი ძალების გაშლა კაზაკთა რაიონებში.

შვიდ ოქტომბერს ყუბანის ჯარების რაღამ დაადგინა შეექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი კაზაკთა ლაშქრის — ყუბანის, თერგის, დონის და ასტრახანის კაზაკების, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების და დონის ოლქისა და ასტრახანის გუბერნიის ველების ხალხთა შემადგენლობით. რაღამ საკმაოდ გულახდილად განმარტა თავისი დადგენილების მიზეზები და მიზანი. მას უნდა დაეცვა კაზაკთა ტერიტორიები, „სახელმწიფოს ჯანსაღი ნაწილები“ საერთო დაშლილობისაგან, შეექმნა ძლიერი ნაციონალური ხელისუფლება რუსეთში როგორც გარეშე მტერთან, ისე „ქვეყნის შიგნით ანარქიასთან“ საბრძოლველად. გენერალი ალექსეევი, კონტრრევოლუციის ერთერთი ბელადი, პირდაპირ სწერდა ერთერთ თავის სადირექტივო წერილში უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან, რომ არჩეული ადგილი წარმოადგენს —

„შედარებითი მყუდროებისა და შედარებითი სახელმწიფო წესრიგისა და სიმტკიცის რაიონს... აქედან... როგორც ზეთის წვეთისაგან, გავრცელდება სასურველი შინაარსისა და ღირებულების ლაქა“¹.

ასრულებდა რა ბურჟუაზიის გეგმას, დროებითმა მთავრობამ დახურულ სხდომაზე 4 ოქტომბერს გადასწყვიტა გაქცეულიყო რევოლუციური პეტროგრადიდან მოსკოვში, რომელიც უფრო ახლო იყო კახაკთა ტერიტორიებთან. მაგრამ იმის შიშით, რომ პროლეტარიატსა და რევოლუციურ გარნიზონს შეეძლოთ ხელი შეეშალათ გაქცევისათვის, მთავრობამ დაადგინა არ ეცნობებინა თავისი გადაწყვეტილება წინაპარლამენტისათვის, მაგრამ შეემზადებინა საზოგადოებრივი აზრი წინასწარი მოლაპარაკების გზით. სხდომაზე სხვათა შორის წამოიჭრა საკითხი — გადაეყვანათ თუ არა მოსკოვში საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი — ექრძო ორგანიზაციაა, მის გადასვლას არავინ არ გაუწევს წინააღმდეგობას, მაგრამ მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ კისრულობს მისთვის ბინის მონახვეს. საბჭოების წვრილბურჟუაზიულმა ლიდერებმა თავისი სამსახური უკვე შეასრულეს და პატრონები თავიდან იშორებდნენ მათ პანლურით, როგორც არასაპირო მსახურებს.

დროებითი მთავრობის შიში გამართლდა. ბოლშევიკების პარტია სადარაჯოზე აღმოჩნდა. მან განუმარტა მასებს მანევრი მთავრობისა, რომელმაც ამოცანად დაისახა ჩაებარებინა რევოლუციური დედაქალაქი გერმანელი ჯარებისათვის, ისე როგორც ამასწინათ ჩააბარეს რიგა, გერმანელთა ხიშტებით გაესრისა რევოლუცია პეტროგრადში, ხოლო შემდეგ ხელი მიეყო რევოლუციის ჩახშობისათვის: სთელს ქვეყანაში.

ბურჟუაზიის სწორედ ეს გეგმა წანოროშა რომიანკომ. მოსკოვში „საზოგადო მოღვაწეების“ ყრილობაზე პეტროგრადის ჩაბარების წინადადებით გამოსვლისას რომიანკომ ასე განმარტა ამ ღონისძიების აუცილებლობა:

„შიშობენ, რომ პეტროგრადში დაილუპებიან ცენტრალური დაწესებულებანი. ამაზე მე ვუპასუხებ, რომ ძალიან მოხარული ვარ, თუ ყველა ეს დაწესებულება დაილუპება, რადგან მათ ბოროტების გარდა არაფერი არ მოუტანიათ რუსეთისათვის... რიგის ჩაბარების შემდეგ იქ (ე. ი. რიგაში. რ ე დ.) ისეთი წესრიგი დამყარდა, როგორც არასოდეს არ უნახავთ: დახვრიტეს ათი კაცი — მეთაურები, დააბრუნეს გოროდოვოები, ქალაქი სრულ უშიშროებას განიცდის, განათებულია“².

დედაქალაქის რევოლუციური მუშები და ჯარისკაცები გადამწყვეტი პროტესტით გამოვიდნენ. მასების ზეგავლენით კვლავ დაფაცურდნენ წვრილბურჟუაზიული შუამავლები, ისინი არწმუნებდნენ მთავრობას ხელი აეღო მოსკოვში გადასვლაზე.

აწარმოებდა რა მანევრირებას, დროებითმა მთავრობამ კვლავ მიმართა „მოთაფვლას“. 6 ოქტომბერს, როდესაც გაჩაღებული იყო პროტესტები ევაკუაციის წინააღმდეგ, მთავრობამ დაადგინა დაეთხოვა IV სახელმწიფო სათათბი-

რო — კონტრრევოლუციის გავლენიანი კერა. მუშები დიდიხანია, რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მოითხოვდნენ ამ შავრაზმული ბუდის გარეკას. აღმოჩნდა მთავრობის მოქმედებით იმდენად დიდი იყო, რომ კერენსკი იძულებული გახდა 12 ოქტომბერს გამოცხადებულიყო წინაპარლამენტის სხდომაზე, თავდაცვის კომისიაში და განეცხადებინა, რომ იგი არამც თუ აპირობს პეტროგრადიდან წასვლას, არამედ აქვე მოიწვევს დამფუძნებელ კრებას. კომისიამ მიიღო დამამშვიდებელი რეზოლუცია, რომელიც დაპირებას იძლეოდა მთავრობის სახელით უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაეცვა პეტროგრადი, და მან წინადადება შესცა კერენსკის დაუყოვნებლივ მიემართა სათანადო მოწოდებით მოსახლეობისადმი.

სანამ წინაპარლამენტში კერენსკი მუშტს იცემდა მკერდზე და რევოლუციის ერთგულებას ფიცულობდა, კულისებს იქით გრძელდებოდა მზადება დედაქალაქიდან გასაქცევად. დროებითი მთავრობის კანცელარიამ სწორედ ამ დღეს დაამუშავა ევაკუაციის გეგმა. და თუ თვით კონცელარიაც კი მზად იყო გასამგზავრებად, შეგვიძლიათ წარმოიდგინოთ, რა რაჟ შორს წასულა საქმე გეგმის შესრულების მხრივ.

მეორე დღეს, 13 ოქტომბერს, კერენსკიმ უკვე თვით წინაპარლამენტის სხდომაზე, გაილაშქრა რა პეტროგრადიდან მთავრობის გაქცევის ხმების წინააღმდეგ, განაცხადა, რომ პრესამ დაამახინჯა მთავრობის განზრახვა, რომელსაც თითქოს არასოდეს არ განუხილავს „მტრისათვის პეტროგრადის ჩაბარების შესაძლებლობის საკითხი“¹.

ასე, ყველას თვალწინ სტყუოდნენ, თავს იძვრენდნენ, ცილს სწამებდნენ, ამშვიდებდნენ, ხოლო ჩუმ-ჩუმად დაუინებით ამზადებდნენ დედაქალაქის ჩაბარებას.

გათავხედებული კონტრრევოლუცია აშკარად გამოვიდა თავისი პროგრამით. 30 სექტემბერს მოსკოვში შესდგა სხდომა „საზოგადო მოღვაწეთა თათბირის“ საბჭოსი; იგი არჩეული იყო ჯერ კიდევ კორნილოვის ავანტურამდე „საზოგადო მოღვაწეთა“ I ყრილობაზე, რომელიც აერთიანებდა ყველა ძალას „ანარქისტთან“ საბრძოლველად. 12 ოქტომბრისათვის დასახული იყო „საზოგადო მოღვაწეთა“ ახალი ყრილობის მოწვევა. მ. როძინაკო, „თათბირის“ ერთერთი უაღრესად აქტიური ხელმძღვანელი, ყრილობის შესახებ ამბობდა:

„მე უდიდეს მნიშვნელობას ვაწერ „საზოგადო მოღვაწეთა“ მომავალ, 12 ოქტომბრის ყრილობას, რომელმაც აშკარად, ხმაშაღლა და გაბედულად უნდა სთქვას ყველაფერი, რაც ხდება. მან უნდა სთქვას, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია ორ სკამს შუა ჯდომა. ან ბოლშევიკები ან ხსნის სამინისტრო!“²

როძინაკომ აშკარად აღიარა, რომ „თათბირის“ მთავარ ამოცანას წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა ბოლშევიზმის ლიკვიდაცია. ამ ლოზუნგით ჩატარდა მთელი მეორე, „თათბირი საზოგადო მოღვაწეებისა“. „თათბირზე“ გამოვიდნენ გენერლები — ბრუსილოვი და რუზსკი. ორივენი აღნიშნავდნენ ნგრევას არმიაში და მოითხოვდნენ ბრძოლის გადამწყვეტ ზომებს.

გენერალი ბრუსილოვი მოუწოდებდა ორგანიზაციისაკენ, ყველას გაერთიანებისაკენ, ვისაც სურს „წესრიგი“:

„როდესაც თქვენ ორგანიზებული და ძლიერი იქნებით, თქვენ პატივისცემით მოგუპყრობიან, თქვენი შიში ექნებათ და დადგება ის წესრიგი, რაც ჩვენ ყველას ასე გვწყურია“¹.

ძალთა ორგანიზაციაზე ლაპარაკობდა აგრეთვე პირველი მომხსენებელი ყრილობაზე ა. ს. ბელორუსოვი. განხილულმა საკითხებმა, ერთად აღებულია, მოგვცეს კონტრრევოლუციის პროგრამა.

„პირველ და ძირითად ამოცანას, — ამბობდა მომხსენებელი, — წარმოადგენს იმ ელემენტების ორგანიზებულობის გადიდება, რომლებიც გაერთიანებულნი არიან თათბირში, ამჟამად არსებული ჩანასახის გადაქცევა ხშირ ქსელად, რომელიც დაფარავს მთელ ქვეყანას და გააერთიანებს ყველა სახელმწიფოებრივად და ნაციონალურად მოაზროვნეს“².

მიწის საკითხზე გამოვიდა მიწათმფლობელთა სრულიად-რუსეთის კავშირის წარმომადგენელი დიმიტრენკო, რომელმაც მთავრობას მოსთხოვა გადამწყვეტი ბრძოლა გლეხთა მოძრაობასთან.

კონტრრევოლუციამ უარი სთქვა აგრარული საკითხის არა მარტო რაიმე გადაჭრაზე, არამედ დაეინებით მოითხოვდა კიდევ, რომ მთელი მიწა მემამულეებს დარჩენოდათ. მიწათმფლობელთა კავშირი მოითხოვდა დროებითი მთავრობისაგან:

1) რომ მას საჩქარო წესით გამოეცა კანონი მემამულეებისათვის გლეხების მიერ დარბევებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ;


2) უკუეგდო არჩევითი კომისრების ინსტიტუტი და ადგილებზე კომისრები დაენიშნა ცენტრიდან პასუხისმგებლობით მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე;

3) რომ კომისრებს უზრუნველყოფილი ჰქონოდათ მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონების დაცვის შესაძლებლობა, რისთვისაც მათ უნდა მისცემოდათ რეალური ძალა.

სამხედრო საკითხში „თათბირის“ დელეგატებმა იგივე პროგრამა წამოაყენეს, როგორც კორნილოვმა: გენერალიტეტის ძალაუფლების აღდგენა და კომისრებისა და საარმიო კომიტეტების ლიკვიდაცია. „თათბირმა“ მოითხოვა დაუყოვნებლივ აღედგინათ სამხედრო სალამის მიცემა, აღედგინათ ყველა საფეხურის უფროსთა დისციპლინარული ძალაუფლება. რეზოლუცია მოითხოვდა ოფიცერთა კორპუსის გაწმენდას

„მისი შემარცხენელი ელემენტისგან, რომელიც უკანასკნელ დროს მონაწილეობს ჯარისკაცთა მასების ყველა მოძრაობაში“³.

„თათბირის“ დელეგატები მოითხოვდნენ, რომ არმიისა და ფლოტის ოფიცერთა კავშირი აღეარებინათ სახელმწიფო დაწესებულების უფლებებით მოსილად. კონტრრევოლუციონერები მოითხოვდნენ დროებითი მთავრობისაგან დაებრუნებინათ არმიაში თებერვლის რევოლუციის შემდეგ დათხოვნილი გენერლები და ოფიცრები.



„დამოუკიდებელი“ პრემიერი.

კარიკატურა ვ. დენისა.

ამრიგად, მიმდინარე პოლიტიკის ძირითადი საკითხების მიხედვით „საზოგადო მოღვაწეთა თათბირმა“ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებიც საესვებით თანაგმთხვევოდნენ კორნილოვის წინადადებებს.

ყრილობამ არამც თუ აღადგინა კორნილოვის პროგრამა, არამედ დასახა ორგანიზაციის ფორმაც, რომელსაც შეეძლო დასახული პროგრამის შესრულება.

„გამოსავალი ერთია, — ამბობდა ყრილობაზე მომხსენებელი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხის შესახებ, — კონსტიტუციურ გარანტიათა შეჩერება და დროებით იმაზე გადასვლა, რასაც საგანგებო წესებს უწოდებენ. გამოსავალი მძიმეა, მაგრამ ზოგიერთ მომენტში — გარდაუვალი. მაგრამ ამ სამხედრო წესების შემოღება, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ ადგილობრივ ორგანოებს, თუნდაც მათ ეწოდებოდეს მკუთათა დეპუტატების საბჭოები ან ეგრეთწოდებული რევოლუციური დემოკრატიის

სხვა ორგანოები... ასეთი წესები მტკიცედ უნდა იყოს ნორმირებული კანონით და მას ერთი კაცი უნდა ანხორციელებდეს“ *.

სამხედრო დიქტატურა — აი რას უნდა ეხსნა ქვეყანა რევოლუციისაგან.

„საზოგადო მოღვაწეთა“ ყრილობის ერთდროულად მოსკოვში მიმდინარეობდა კადეტური პარტიის ყრილობა, ქალაქებისა და კოოპერაციის ყრილობა. მათი დელეგატები მონაწილეობას ღებულობდნენ „საზოგადო მოღვაწეთა“ ყრილობაში, რომლის პროგრამა მთელი კონტრრევოლუციის პროგრამად იქცა. საკმარისია მოვეყვანოთ მარტო მილიუკოვის მიერ დამუშავებული კადეტური პლატფორმის შინაარსი, რათა მივიღოთ ხალხის მტრების მოთხოვნათა ნათელი სურათი:

1. ომი საბოლოო გამარჯვებამდე მოკავშირეებთან შეთანხმებით. უარყოფა ყოველგვარი ანტიანექსიონისტური დემოკრატიული განცხადებებისა, თუნდაც ესერულ-მენშევიკურ განაწესისამებრ.

2. არმიის ბრძოლისუნარიანობის აღდგენა. გზა ამისაკენ არის — საარმიო კომიტეტების ფუნქციების დაყვანა სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციებამდე, უფროსთა დისციპლინარული ძალაუფლების დაწესება.

3. ხელისუფლების ერთიანობა და მისი დამოუკიდებლობა საბჭოებისაგან.

4. ხელისუფლების ძლიერება და სამხედრო ხასიათი.

5. ხელისუფლების აღდგენა პროვინციაში.

6. დამოუკიდებელი სასამართლო.

გამოაქვეყნეს რა თავისი პროგრამა, კორნილოველები შეუდგნენ რევოლუციური ჯარების გაყვანას პეტროგრადიდან ფრონტზე. პეტროგრაღის სამხედრო ოლქის შტაბმა დაგზავნა ბრძანება პეტროგრაღის გარნიზონის ნაწილების ხელახალი ფორმირებისა და ფრონტზე გაგზავნის შესახებ გადაუდებელ სამხედრო საჭიროებათა საბაბით.

რაკი არ მოხერხდა რევოლუციური დედაქალაქიდან გაქცევა — გადასწყვიტეს გაეწმინდათ იგი რევოლუციურ სამხედრო ნაწილებისაგან და გაეხსნათ თავისთვის ხელეზი. საქმე სწორედ რომ ხელეზის გახსნას ეხებოდა და არა თავდაცვას, ამას ადასტურებს მიწერ-მოწერა სამხედრო მინისტრსა და ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალს შორის.

„პეტროგრაღის გარნიზონის ჯარების გამოგზავნის ინიციატივა, — უპასუხებდა საიდუმლო დეპეშაში ჩრდილოეთის ფრონტის სარდალი გენერალი ჩერემისოვი სამხედრო მინისტრსა და შტაბის უფროსს გენერალ ღუბოვს, — მომდინარეობდა თქვენგან და არა ჩემგან. თქვენს წინადადებაზე... მე უპასუხე თანხმობით და გთხოვდით გამოგეგზავნათ ყველა ბრძოლისუნარიანი ნაწილი. როდესაც გამოირკვა, რომ პეტროგრაღის გარნიზონის ნაწილებს არ სურთ ფრონტზე წასვლა, ე. ი. რომ ისინი მოკლებული არიან ბრძოლის უნარს, მე კერძო ლაპარაკში თქვენს წარმომადგენელთან — ოფიცერთან — განვაცხადე, ვინაიდან ამ ნაწილებმა გამოამჟღავნეს, რომ მათ არ სურთ ფრონტზე წასვლა, ოპერატული თვალსაზრისით ისინი არ წარმოადგენენ განძს ჩვენთვის, რადგან, როგორც სჩანს, მათთან ჩვენ ბევრი დავიღარაბა გეგმდება მეტი... მაგრამ რადგან თქვენ გამოსთქვამთ სურვილს გააგზავნოთ ისინი ფრონტზე, მე უარი არ მითქვამს მათზე და არც ახლა ვამბობ უარს, თუ კი თქვენ კვლავინდებურად აუცილებლად სცნობთ პეტროგრაღიდან მათ გაყვანას...“

გენერალმა, რომლის განკარგულებაშიაც აგზავნიდნენ ჯარებს, გულახდილად განაცხადა, რომ ეს ნაწილები არ წარმოადგენენ ღირებულებას თავდაცვის მიზნებისათვის, მაგრამ იგი მათ მიიღებს მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობისათვის საჭიროა მათი თავიდან მოშორება.

მთავრობის ახალმა ზომამ ხალხში კიდევ უფრო მკვეთრი წინააღმდეგობა გამოიწვია, ვიდრე პეტროგრაღიდან გაქცევის ცდამ. პოლკებმა უარი განაცხადეს შტაბის ბრძანების შესრულებაზე, ხოლო ზოგიერთმა პოლკმა, მაგალითად, გვარდიის ფინეთის სათადარიგო პოლკმა, უნდობლობა გამოუცხადა დროებით მთავრობას და მოითხოვა ძალაუფლების გადაცემა საბჭოებისათვის.

დროებითი მთავრობის პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ თავი იჩინა შემთანხმებელთა გამცემლურმა ხასიათმა. იგემეს რა პანლური მთავრობის გაქცევის მზადებისას, მათ, როგორც ნაცემმა ძალებმა, კვლავ დაუწყეს ლოშნა პატრონის ჩემქმბს. 9 ოქტომბერს, პეტროგრაღიდან ჯარების გაყვანის შესახებ ბრძანების გამოქვეყნების დღეს, შეიკრიბა პეტროგრაღის საბ-

ქოს აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც ესერ-მენშევიკებმა (13 ხმა 12 წინააღმდეგ) გაიყვანეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა გარნიზონს „ეწარმოებინა ენერგიული მზადება პეტროგრადიდან გარნიზონის ნაწილების გაყვანის აუცილებლობის შემთხვევაში „მისი მისასვლელების დასაცავად“¹. დედაქალაქის დაცვის მოსაწყობად ესერ-მენშევიკები ურჩევდნენ აერჩიათ რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი.


აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის შემდეგვე დაუყოვნებლივ შეიკრიბა პეტროგრაღის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. დელეგატებმა დიდი უმრავლესობით უარყვეს მენშევიკური რეზოლუცია და მიიღეს ბოლშევიკების წინადადება:

„კერენსკის მთავრობა ღუპავს ქვეყანას... პეტროგრაღისა და ქვეყნის ხსნა დამოკიდებულია ძალაუფლების გადასვლაზე საბჭოების ხელში...“²

თორმეტ ოქტომბერს პეტროგრაღის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დახურულ სხდომაზე ყველა ხმებით ორი მოწინააღმდეგე მენშევიკის გარდა დადგენილ იქნა: არ იქნას გაყვანილი ჯარები პეტროგრადიდან და მოეწყოს საბჭოების სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. აქვე დამტკიცებული დებულების მიხედვით სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ამოცანას შეადგენდა: იმ ძალთა მინიმუმის განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელი იყო დედაქალაქის დასაცავად და რომლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ იქიდან გაყვანილი, პეტროგრაღისა და მისი მიდამოების გარნიზონთა აღრიცხვა და რეგისტრაცია, ქალაქის დაცვა კონტრრევოლუციურ დარბევათაგან, რევოლუციური დისციპლინის დაცვა მუშათა მანებსა და ჯარისკაცებში, მუშების შეიარაღება. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ პეტროგრაღის საბჭოს და ჯარისკაცთა სექციის პრეზიდიუმები, მთელი რიგი სამხედრო, მუშური და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. გადაწყდა მოწყობილიყო სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტთან საგარნიზონო თათბირი ნაწილებთან კავშირისათვის. 13 ოქტომბერს საბჭოს ჯარისკაცთა სექციამ 283 ხმის უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ, 23-მმა თავი შეიკავა, დაამტკიცა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ორგანიზაციის პროექტი.

თავს იცავდა რა კონტრრევოლუციის პროვოკაციული თავდასხმისაგან, რევოლუცია დაადგა შეტევის გზას. მუშების შეიარაღება და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შექმნა ნიშნავდა იერიშის მომზადებას ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ.

დროებითა მთავრობამ ეს ასეც გაიგო. იმავე ღამეს 13 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე აცნობეს სამხედრო-რევოლუციური საბჭოს შექმნა. პეტროგრაღის სამხედრო ოლქის მთავარსარდალმა პოლკოვნიკოვმა მოახსენა მას, თუ როგორ ჩატარდა დღე ყაზარმებსა და მუშათა უბნებში. დაადგინეს: მიღებულ იქნას მთელი რიგი ზომები დედაქალაქის დასაცავად, ბოლშევიკების გამოსვლა ჩახშობილ იქნას შეიარაღებული ძალით, კერენსკის გამგზავრება ფრონტზე გადაიდოს.



თ ა ვ ი მ ა თ ხ უ თ მ ა ტ ა .

კონფრკეპოლუსიის საბრძოლო ძალების განლაგება დიდი პროლეტარული რევოლუსიის წინ.

1.

ბურჟუაზიული დამკვირვებელი რაზმები.

როგებითი მთავრობა აგროვებდა საბრძოლო ძალებს რევოლუციის გასანადგურებლად. რარიგ სწრაფადაც არ ჰკარგავდნენ გენერალთა ზედაფენები ხელმძღვანელობას ჯარისკაცთა მიმართ, ბურჟუაზია მაინც ერთი წუთითაც არ ანებებდა თავს ცდებს გამოეყენებინა არმია ბრძოლაში რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. რევოლუციის ბედს სწვევტდა ფრონტი, სადაც თავმოყრილი იყო 10 მილიონამდე შეიარაღებული მუშა და გლეხი. ეს ერთნაირად ესმოდათ ბურჟუაზიასაც და ბოლშევიკებსაც. აი რატომ აწარმოებდა კონტრრევოლუცია ასეთ შეუპოვარ ბრძოლას არმიისათვის თვით ოქტომბრის რევოლუციამდე და აგრეთვე მის შემდეგაც.

ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტები კონტრრევოლუციამ პროპაგანდამოდებულად აღიარა, მაგრამ აღიარა რა ეს, რა თქმა უნდა, გულზე ხელი არ დაუკრეფია. გენერალიტეტი კვლავ ებლაუჰებოდა ნაწილების მიმართ ხელმძღვანელობის შენარჩუნების ყოველგვარ შესაძლებლობას. მაგრამ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებზე რევოლუცია იმდენად შორს წავიდა, რომ კერენსკის მთავრობასა და მხედრობას უკვე შეგნებული ჰქონდათ: მათი ცდა აქ უიშვლოა.

თითქმის ასევე უიშვლო იყო კონტრრევოლუციისათვის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.

სხვაგვარი მდგომარეობა იყო სხვა ფრონტებზე, განსაკუთრებით რუმინეთის ფრონტზე. კავკასიის ფრონტს, როგორც ქვეყნისაგან მოწყვეტილს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია.

რუმინეთის ფრონტი დაშორებული იყო რევოლუციურ და სამრეწველო ცენტრებს. რუმინეთის ფრონტის ჯარისკაცი, გარშემორტყმული მოსახლეობით, რომელსაც არ ესმოდა რუსული ენა, თავისი რეაქციული ოფიცრობის პირისპირ ჩნებოდა. ბოლშევიკურ გაზეთებს ფრონტზე არ უშვებდნენ, ჯარისკაცებს აწვდიდნენ ბურჟუაზიულ „საკითხავს“. ჯარისკაცი ი. ი. ვასილიევი, არმიის ერთერთი დელეგაციის წევრი, პეტროგრადიდან ჩამოსული, ასე ასწერს სურათს, რომელიც მან ფრონტზე ნახა:

„როდესაც რუმინეთის ფრონტზე ჩამოვედით, დავინახეთ, რომ ოფიცრები და შემთანხმებლები გაფაციცებით ემზადებიან შეტევისათვის, აწყობენ დამკვრელ ათასეულებს და სიკვდილის ათასეულებს. ჯარის ნაწილებში გამეფებული იყო ძველი რეჟიმი: არცერთი ბოლშევიკური გაზეთი, სწარმოებდა ბოლშევიკების გაშმაგებული დევნა. იქამდე მიდიოდნენ თავიანთ დევნაში, რომ თვით სახელწოდებას — „ბოლშევიკი“ განმარტავდნენ სიტყვა „ბოლშაკისაგან“, ე. ი. კულაკისაგან, ამბობდნენ რა, რომ „ბოლშევიკებს“ სურთ კვლავ ნიკოლოზ II-ის დაჯენა ტახტზე“¹.

რუმინეთის ფრონტის არმიის იზოლირება რევოლუციური გარემოსაგან ხელსაყრელს ხდიდა მას კონტრრევოლუციის მიზნებისათვის.

მაგრამ ძირითადი მაინც ამაში როდი მდგომარეობდა.

რუსეთის არმიის გვერდით, უფრო სწორად, მის ზურგში განაწილებულნი იყვნენ რუმინელთა ნაწილები. მათ ნაკლებად შეეხო რევოლუცია და ფრონტის სარდლის გენერალ შჩერბაჩოვის განკარგულებით მათ შექმნეს პოლიტიური კორდონი, რომელიც არ უშვებდა ფრონტზე „საექვო პირებს“. რუმინელები კახაკებთან ერთად ანაირალებდნენ მეთაურთა წინააღმდეგ გამოსულ ნაწილებს. რუმინელთა ტყვიამფრქვევებისა და ზარბაზმების მუქარით არა ერთხელ მოუყვანიათ „გონზე“, როგორც ცინიკურად განაცხადა გენერალმა შჩერბაჩოვმა, ყველაზე რევოლუციური პოლკები. რეაქციული სარდლობა ოცნებობდა გამოეყენებინა რუმინეთის ფრონტის არმია რევოლუციასთან საბრძოლველად. აქ იყრიდნენ თავს სხვა ფრონტებიდან გამოდევნილი ოფიცრები. რუმინელთა საფარ ქვეშ გენერალი შჩერბაჩოვი ადგენდა ოფიცერთა დამკვრელ რაზმებს; ზოგიერთმა მათგანმა შემდეგში მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო ომში თეთრ-გვარდიელთა მხარეზე.

მიუხედავად ამისა რევოლუციურმა მოძრაობამ აქაც ამოხეთქა ზედაპირზე. ბოლშევიკური განწყობილებანი შემოიტანეს აგვისტოში ციმბირიდან გამოგზავნილმა ეშელონებმა. თავისი როლი შეასრულა კორნილოვის ავანტურამაც: მან ერთი დარტყმით გამოამწეურა წინააღმდეგობა ოფიცრობასა და ჯარისკაცთა მასას შორის. სექტემბრის დამლევეს რუმინეთის ფრონტის ნაკრები ცნობები აღნიშნავდნენ იმასვე, რაც უკვე დიდიხანია იყო სხვა ფრონტებზე. აი, მაგალითად, პოლკოვნიკ დროზდოვსკის მოხსენება, სწორედ იმ დროზდოვსკისა, რომელიც შემდეგ მეთაურობდა ნაწილებს დენიკინთან, — მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო ფრონტის ერთერთ ყველაზე „მტკიცე“ ნაწილში.

„პოლკში დაიწყო ბოლშევიკური ლოზუნგების შემოქრა გაზეთ „პრახოის“, რ. ს.-დ. მ. პ-ის ჰელსინგფორსის კომიტეტის ორგანოს საშუალებით.

ზომების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ პოლკში არ მოხედეს გაზეთი, არ შეიძლება, რადგან იგი აღწევს პოლკში ფარული გზით, ფოსტით, წერილებით... უკანასკნელი კვირის განმავლობაში იყო ცალკეული ურჩობის რამდენიმე შემთხვევა და მასობრივი ურჩობის ცდები; ადგილი ჰქონდა წაქეზებას — არ შეესრულებინათ კანონიერი განკარგულებანი. ამ შემთხვევათა გამო სწარმოებს დაკითხვა, დამნაშავენი მიცემულნი იქნებიან სამართალში, მაგრამ დამწყებათა გამოვლინება მეტად ძნელდება მათი დამალვისა და მათდამი ჯარისკაცთა თანაგრძნობის გამო. მათი სამართალში გადაცემა იწვევს ყრუ უკმაყოფილებას ჯარისკაცებში; ყოველგვარ კანონიერ მოთხოვნას, რომელიც ზღუდას თავაშვებულებას, წესრიგის, კანონიერების ყოველგვარ მოთხოვნას ისინი „ძველ რეჟიმს“ უწოდებენ... გარყვნილი დაუსჯელობით, ჩინისადმი პატივისცემის წესის გაუქმებით, ჯარისკაცები ოფიცრებთან ლაპარაკის დროს ბედავენ წაუყენონ მათ თავხედური ბრალდებანი იმაში, რომ ოფიცრები მხარს უჭერენ ომს, რადგან დიდ ჯამაგირს ღებულობენ; ჯარისკაცთა წრეში კი მთავარი განწყობილება ისაა, რომ მათ არ სურთ ომი, არა აქვთ შეგნებულნი, უფრო სწორად, არ სურთ შეიგნონ ომის განგრძობის აუცილებლობა“¹.

როდესაც ამ დოკუმენტს კითხულობ, შეიძლება იფიქრო, რომ ლაპარაკია არა სექტემბრის დამლევაზე, არამედ რევოლუციის პირველ თვეებზე. ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებზე ასეთ ნაკრებ ცნობებს ადგენდნენ ჯერ კიდევ კორნელოვის გამოსვლამდე. სექტემბრის დამლევის იქ ლაპარაკი იყო არა „ცალკეულ შემთხვევებზე“ და არც „მასობრივი ურჩობის ცდებზე“, არამედ ჯარისკაცების სრულ გამოსვლაზე მორჩილებიდან. მაგრამ მასების გარეეოლუციონერების პროცესის გაჭიანურება სრულიადაც არ ნიშნავდა მის ლიკვიდაციას. რუმინეთის ფრონტი, მიუხედავად რეაქციისათვის ხელსაყრელი პირობებისა, წინააღმდეგ გენერალიტეტის და შემთანხმებლების ყველა ხრიკებისა დანარჩენი ფრონტების გზით მიდიოდა.

ის ზომები, რომლებსაც მიმართავდნენ არმიაში ესერები და მენშევიკები, აშკარად ვერ აღწევდნენ მიზანს: არმია მზარდი სისწრაფით თავისუფლდებოდა გენერალთა ზედაფენის ხელმძღვანელობისგან. საჭირო იყო სხვა საშუალებანი ამ პროცესის შესაჩერებლად. ფრონტის გენერალიტეტმა, რომელიც უარს არ ამბობდა წვრილბურჟუაზიულ შემთანხმებელთა სამსახურზე, გადასწყვიტა გამოეცადა ახალი ზომა: არმია, რომელიც რღვევას განიცდიდა, შეეხოკა დამკვერული რაზმების საშუალებით.

ჯერ კიდევ მაისში გენერალმა ბრუსილოვმა, რომელიც სარდლობდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს, პეტროგრადში გაგზავნა პოლკოვნიკი იასნიკოვი და „ფაქტიური მეზღვაური“ ბატკინი შუამდგომლობისათვის მოხალისეთა ათასეულების შესაქმნელად ფრონტის შევსებისათვის. გენერალს მიემგებნენ წვრილბურჟუაზიული ლიდერები: 16 მაისს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომიტეტთა ყრილობამ მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ აუცილებელია არმიის შევსება მოხალისეთა რაზმებით. გენერალმა ბრუსილოვმა დაუყოვნებლივ დაამტკიცა რეზოლუცია და იმავე დღეს დაადგინა დელეგაციის ცნობა,



გენერალი ალექსეევი.

კარაქატურა კუკინიქსისა.

რომ ამ იდეას მხარს უჭერს ფრონტი. თუ რამდენად ჩქარობდა კონტრრევოლუცია, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ ვერც კი მოასწრეს მოწმობების მიცემა დელეგატებისათვის.

ბრუსილოვის წინადადება სწრაფად აიტაცეს სხვა სარდლებმა: უკვე 18 მაისს გენერალი დენიკინი დეპეშით თხოვდა სამხედრო მინისტრს დაეშვათ შავი ზღვის მეზღვაურთა დელეგაცია პეტროგრადისა და მოსკოვის გარნიზონების სათადარიგო პოლკებში, რათა

„მხურვალე მოწოდების შემდეგ გამოეწვიათ... ათასეულში... შესვლის მსურველები...“ „სასურველია შევეუდგეთ მოქმედებას სამხედრო მინისტრის დაბრუნებამდე, ვინაიდან ყოველი დღე ძვირფასია“¹. —

ასე აჩქარებდა დენიკინი დამკვერელი ნაწილების ჩამოყალიბებას.

ოც მაისს, პირველი ინიციატივის გამოჩენის სულ ოთხი დღის შემდეგ, გენერალი ბრუსილოვი ატყობინებდა სამხედრო მინისტრსა და უმაღლეს მთავარსარდალს, რომ

„მე უკვე ფართო მასშტაბით ვატარებ ღონისძიებებს დამკვერელი ჯგუფების შესაქმნელად არმიათა ფრონტზე“².

ფრონტის გენერლების ინიციატივამ თითქოს ერთგვარი ექვი გამოიწვია. უმალეს მთავარსარდალ გენერალ ალექსეევში. ალექსეევს საეპკოდ მიაჩნდა ახლად ფორმირებული ნაწილების ვარგისობა. მაგრამ, როგორც სჩანს, უმალესი მთავარსარდალის ექვები მალე გაიფანტა, ვინაიდან დამკვრელი ათასეულებს შედგენა სწრაფად განვითარდა. პეტროგრადში შექმნილ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოხალისეთა არმიის შესადგენად; მან დაიწყო თავისი ვახუფილებების გახსნა მსხვილ ცენტრებში.

დამკვრელი ნაწილები მაშინვე გამოყვეს არმიათა მასიდან: მათ უკეთ ძეგბავდნენ და ამარაგებდნენ. მოხალისე-დამკვრელებს უტოვებდნენ თავიანთ ძველ თანამდებობებსა და ჯამაგირს, ხოლო სიკვდილის შემთხვევაში მათ ოჯახებს ენიშნებოდათ პენსია. დამკვრელ ათასეულებში მოქმედებდა შეცლილი წესდება და სრულიად არ ტარდებოდა ბრძანება № 1. დამკვრელ ნაწილებს მიაკუთვნეს განსაკუთრებული დროშა — შავ-წითელი, სადაც წითელი ფერი რევოლუციის სიმბოლო იყო, შავი კი ნიშნავდა მზადყოფნას სიკვდილისათვის, მაგრამ. რა თქმა უნდა, არა რევოლუციის, არამედ თავისი მეთაურისათვის, ვინაიდან დამკვრელი ფიცს იძლეოდა „უსიტყვოდ და უპროტესტოდ შეესრულებინა სამსახურსა და ბრძოლაში დანიშნული უფროსთა ყველა ბრძანება“.

არმიის მასამ მალე გამოიცნო იმ ახალ ფორმირებათა ხასიათი, რომელთა შექმნა დაიწყო და ხორციელდებოდა საბჭოების გარეშე. ფრონტის ზოლის მთელი რიგი საბჭოები გამოვიდნენ დამკვრელი ათასეულების შექმნის წინააღმდეგ. მათდამი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზები განსაკუთრებით ნათლად იყო ჩამოთვლილი პსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციაში.

„მოხალისეთა როგორც თვით შვეროვების წესი, — სწერდნენ პსკოველები. — ისე წესდებით მათთვის გათვალისწინებული უკეთესი მატერიალური უზრუნველყოფა არმიის მათ სხვა ამხანაგებთან შედარებით განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებენ ათასეულებს; წესდება ითვალისწინებს ათასეულთა ისეთ შინაგან ორგანიზაციას, რომელიც განსხვავდება ჯარისკაც-მოქალაქის უფლებათა დეკლარაციისაგან; ათასეულების შექმნის პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც გაურკვეველად არის ჩამოყალიბებული წესდებაში, ადვილად შეიძლება მიეცეს ისეთი განმარტება, რომელიც არ შეესაბამება რევოლუციური დემოკრატიის მისწრაფებებს; ათასეულების მდგომარეობის იზოლირება და მათი ამოკანების თავისებურებანი არ გამორიცხავენ აგრეთვე ისეთი მოქმედებების საფრთხეს იმათ მხრივ, რომლებიც არ თანაემთხვევიან არმიაში გაბატონებულ მიმდინარეობას“¹.

კლასობრივ აღლოს არ მოუტყუებია ჯარისკაცთა მასები: გენერლებმა მალე მიაგნეს იმ საიდუმლოებას, რომლის მეოხებით გაფანტულ იქნა გენერალ ალექსეევის ექვები. ივლისის გამოსვლის ლიკვიდაციის მეორე დღეს ბრუსილოვმა, რომელიც ამ დროს მთავარსარდალი გახდა, გაუგზავნა კორნილოვს, დენიკინს, შჩერბაჩოვს და სხვებს ცნობები მიმდინარე ამბების შესახებ. ბრუსილოვი ასე ამთავრებდა:

„ამბები ელვის სისწრაფით ვითარდებიან. როგორც სჩანს, სამოქალაქო ომი გარდუვალა და ყოველ წუთს შეიძლება წარმოიშვას... დაღა დრო ვიმოქმედოთ ენერგიულად... ვფიქრობ, რომ ამისათვის ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს ფორმირება, ანუ, უფრო სწორად, შერჩევა დისციპლინის მხრივ გამომდინარე და საიმედო ჯარებისა, რომელთაც შეუძლიათ გახდნენ ხელისუფლების დასაყრდენი, რომელნიც აღიარებენ და შეგნებულად წაგლენ არა პირადი უფლებების ხელში ჩაგდებას გზით, არამედ იმოქმედებენ სამშობლოს გადასარჩენად ანარქიისა და დაშლისაგან...“¹.

დამკვერელი ათასეულები იქმნებოდა არა გარეშე მტერთან საბრძოლველად, არამედ „ანარქიისა და დაშლის“ წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც უწოდებდნენ გენერლები რევოლუციას.

ახალ წამოწყებას მხარდაჭერას პირდებოდნენ წვრილბურჟუაზიული ლიდერებიც. ჩრდილოეთის ფრონტის კომისარმა სტანკევიჩმა ბრუსილოვის გეგმას დაუმატა წინადადება მოეწყობა ფრონტის ზურგში კორპუსი, თუ მთელი არმია არა, რომელიც სავსებით საიმედო იქნებოდა ბრძოლის უნარის მხრივ.


კონტრრევოლუციის მომავალმა ბელადებმა და გმირებმა სწრაფად მოჰკიდეს ხელი მთავარსარდლის დირექტივის შესრულებას. გენერალი შჩერბაჩოვი მოითხოვდა თვითუფლებო პოლკზე თითო დამკვერელი ათასეულის შექმნას.

უმალეს მთავარსარდლად დანიშნულმა გენერალმა კორნილოვმა მთლიანად ხელთ აიღო ეს საქმე თვითონ და მოითხოვა დამკვერელთა ფორმირების ცენტრის გადატანა უმაღლესი სარდლობის ბანაკში. კორნილოვის ავანტურის დასაწყისისათვის ფრონტებზე უკვე შექმნილი იყო 33 დამკვერელი ათასეული და 1 დივიზიონი: ჩრდილოეთის ფრონტზე იყო 7 ათასეული, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე — 14 და 1 პოლკი (3 ათასეული); დასავლეთის ფრონტზე იყო 7 ათასეული და 1 დივიზიონი; რუმინეთის ფრონტზე — 2 ათასეული.

მოითხოვდა რა წითელი გვარდიის გარეკასა და განიარაღებას, კონტრრევოლუცია ამზადებდა თავის თეთრ გვარდიას.

ფრონტზე დამკვერელები ტერორის ქვეშ აყენებდნენ არმიის ნაწილებს, ანიარაღებდნენ პოლკებს და ათასეულებს, რომლებიც უარს ამბობდნენ გადასულიყვნენ შეტევაზე. ზურგში ისინი ერეკებოდნენ დემონსტრაციებს, არბევდნენ მუშათა ორგანიზაციებს. კონტრრევოლუციის კლასობრივი რაზმები ხშირად პოლიტიკური პოლიციის როლსაც კისრულობდნენ. გენერლების ნებასურვილით იწყებოდა ომი თვით არმიის შიგნით. 1917 წლის 16 ივლისს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთერთმა დამკვერელმა ათასეულმა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დახვრიტა ორი მუშა ინჟინერ-მშენებელთა მეხუთე რაზმში, აიძულა რა მთელი რაზმი დასწრებოდა დახვრეტას. თეთრი გვარდია დიდი ხნით ადრე სამოქალაქო ომის დაწყებამდე გვიჩვენებდა ველური ტერორის, გაუსამართლებელი დახვრეტების, უსაზღვრო სისასტიკის ნიმუშებს.

კორნილოვის შეტევის მარცხმა შესცვალა კონტრრევოლუციის კლასობრივი სამხედრო დასაყრდენის შექმნის ფორმა და ხასიათი. მაგრამ კორნილოვშინის



პოლშევიკების დახვერტა დამკვრელ-კორნილოველების მიერ.
ნახ. დ. შვარინოვისა.

ზეარდნას არ შეუწყვეტია და ხანგრძლივადაც კი არ შეუჩერებია გამალეზული ჰოქშედება დამკვრელთა ფორმირების მხრივ. კონტრრევოლუციამ მხოლოდ ღროებით შეკვეცა თავისი ჰოქშედების გაქანება და უწინარეს ყოვლისა ცდილობდა შეენარჩუნებინა თეთრი გვარდიის კადრები. დამკვრელი ათასეულები კადაყავდათ სხვა რაიონებში, დროებით მათ უცხო პოლკებს უერთებდნენ, არადამკვრელ ნაწილებს უკავშირებდნენ ანდა სახელწოდებას უცვლიდნენ. ახალი „ნათლობა“ ხდებოდა დროებითი მთავრობის ლოცვა-კურთხევით და პირდაპირი მხარდაჭერით — რაც ზედმეტი საბუთია იმისა, რომ კერენსკის მთავრობა არანაკლები უფლებით, ვიდრე კადეტების ცენტრალური კომიტეტი ან უმაღლესი სარდლობის ბანაკი, წარმოადგენდა კონტრრევოლუციის შტაბს. სწორედ კორნილოვის გამოსვლის ლიკვიდაციის დღეს აღეჭყევი დეპეშით ატყობინებდა კერენსკის:

„ჩვენი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არის კორნილოვის დამკვრელი პოლკი სამი ათასეულის შემადგენლობით; მან არსებობის მოკლე დროის განმავლობაში მოიხვეჭა პატივისცემა თავისი სიმამაცით ბრძოლებში. პოლკისათვის მინიჭებული სახელი, უკანასკნელ დღეებში მისი გადაყ-

ვანა მოვილევში (სადაც იმყოფებოდა უმადლესი სარდლობის ბანაკი) განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს პოლკს არმიის სხვა ჯარის ნაწილებს შორის, რომლებიც, როგორც უნდა მოველოდეთ, დაუმსახურებელი უნდობლობითა და ეჭვით დაუწყებენ მზერას ამ პოლკს... შესაფერისად მ.მაჩნია არ იქნას დაშლილი ეს სულიერად მტკიცე ნაწილი და იგი გაიგზავნოს ან საფრანგეთში, ან სალონიკში ან უკიდურეს შემთხვევაში კავკასიის ფრონტზე...“¹.

გენერალ ალექსეევის თხოვნის პასუხად კერენსკიმ 6 სექტემბერს დეპეშით აცნობა უმადლესი სარდლობის ბანაკს:

„აუცილებლად ვთვლი კორნილოველთა სიკვდილის ათასეულის ახლავე გაყვანას მოგილევებიდან. გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება“².

კერენსკის კორნილოველთა ნაწილის დაშლაც კი არ მოუთხოვია, არამედ მხოლოდ ურჩევდა მის გაყვანას მოგილევებიდან. ეყრდნობოდა რა კერენსკის, ალექსეევემა გასცა ბრძანება გამოეცვალათ სახელი კორნილოველებისათვის, ეწოდებინათ მისთვის რუსეთის 1-ლი დამკვრელი პოლკი და მიევიღებინათ ჩეხოსლოვაკელთა დივიზიაში. სწორედ კერენსკის მიერ გადარჩენილმა ამ პოლკმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გზა გაიკაფა დონისაკენ და ჩგი თეთრი არმიის საუკეთესო ნაწილის — კორნილოველთა დივიზიის საფუძველი გახდა.

კორნილოვის გამოსვლის ლიკვიდაციამ ძალიან მოკლე დროით შეაფერხა თეთრი კადრების მომზადება. დროებითი მთავრობის საფარ ქვეშ კონტრარევოლუციამ მალე კვლავ გააჩაღა გამალებული საქმიანობა. უმადლესი სარდლობის ბანაკმა არამც თუ შეინარჩუნა დამკვრელი ათასეული, არამედ შეეცადა დაეკანონებინა ისინი და დამკვრელი ნაწილების ჩამომყალიბებელი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ნომინალურად-საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან შტაბის განყოფილებად გადააქცია.

ესერ-მენშევიკთა საფარ ქვეშ კონტრარევოლუცია შეეცადა მუშათა წრეშიაც შექრელიყო თავისი ნაწილების შესაქმნელად. სექტემბრის დამლევის პეტროგრადის ოლქის შტაბის უფროსი გენერალი ბაგრატიუნი ატყობინებდა ჩრდილოეთის ჯეგონტის შტაბს:

„პეტროგრადში შექმნილია ობუხოვის ქარხნის მონაღისეთა რაზმი. შესანიშნავი, სავსებით შემუქიდროებული და ორგანიზებული ნაწილია... უადრესად სასურსაველად ვთვლი რა ხსენებული სავსებით ჯანსაღი ნაწილის შენარჩუნებას, ცუშამდგომლობ გაგზავნოთ იგი ფრონტის რაიონში საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის... რაზმი დაახლოებით ათასი კაცისაგან შედგება...“³.

ჩქაროდნენ გაეყვანათ მუშათა რაზმი რევოლუციური დედაქალაქიდან, რადგან ეშინოდათ, რომ ბოლშევიკები ხელიდან გამოაცლიდნენ მას რეაქციას. მაგრამ მიუხედავად განმეორებითი დარწმუნებისა, რომ ნაწილი „შესანიშნავ, სავსებით ჯანსაღ მდგომარეობაშია“, ფრონტზე მაინც ეშინოდათ, ვი თუ „სავსებით ჯანსაღმა ნაწილმა“ თან არ მოიტანოს რევოლუციური ცენტრის გავარჯერებული ატმოსფერო. ჩრდილოეთის ფრონტმა გადაჭრით უარი სთქვა

მუშათა ათასეულის მიღებაზე და დაბეჯითებით მოითხოვდა მის დაშლას. ჩრდილოეთის ფრონტის შტაბის უფროსი წავიდა უკიდურეს დათმობაზე და წამოაყენა წინადადება შეეერთებინათ მუშათა ათასეული იმ დასახიჩრებულ მდომართა მერაზე რაზმთან, რომლებიც მთავრობის ერთგულ ნაწილთა შორის ირიცხებოდნენ. მაგრამ სანამ შტაბებს შორის მიწერ-მოწერა სწარმოებდა, რევოლუციამ ეს ათასეული ხელიდან გამოსტაცა რეაქციას. უმალღესი სარდლობის ბანაკის წინადადებას შეედგინათ პოლკი ობუხოვის მუშებისაგან მოხალისეთა ათასეულის საფუძველზე, მელანქოლიური პასუხი გასცეს: „უნდა ვიფიქროთ, რომ ამჟამად იგი წითელი გვარდიის შემადგენლობაში შევიდა“¹. რევოლუციური მოვლენები ისეთი ტემპებით ვითარდებოდა, რომლებიც უსწრებდნენ კონტრრევოლუციის ყოველგვარ ღონისძიებას.

ესერ-მენშევიკების დახმარებით დამკვრელ ათასეულებში ობუხოველთა ჩაბმის ცდების ჩავარდნას იმედები არ გაუცრუებია გენერლებისათვის. განაგრძობდა რა გამალებულ მოღვაწეობას დაქვერელი ათასეულების შესაქმნელად, კონტრრევოლუციამ შექმნა მათ მოსაწყობად შტაბების განყოფილებანი ქვეყნის 85 უმსხვილეს ცენტრში, რომ არ ჩავთვალოთ ფრონტის ზოლი. ოქტომბრის დაშლვისათვის კონტრრევოლუციის განკარგულებაში იყო 40 დამკვრელი ათასეული და ერთი დივიზიონი — 50 ათას შესანიშნავად შეიარაღებულ და მომარაგებულ მებრძოლზე მეტი.

დამკვრელი ათასეულები ადვილად შეიძლებოდა გადაესროლათ ფრონტის ყოველი ნაწილის წინააღმდეგ, მათ სწრაფად შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ საკვანძო ცენტრები და ხელი შეეშალათ რევოლუციური ნაწილების მოძრაობისათვის.

დამკვრელთა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ აგრეთვე გიორგის კავალერთა ათასეულები იმ ჯარისკაცებისაგან, რომელთაც საბრძოლო დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდათ ეგრეთწოდებული გიორგის ჯვარი. გიორგის კავალერთა ათასეულებად ჩამოყალიბება დაიწყო, დაახლოებით, დამკვრელი ნაწილების შექმნასთან ერთად. დროებითი მთავრობისათვის უეჭველ მხარდაჭერის პრინციპის მიხედვით შერჩეული გიორგის კავალრები დამკვრელებთან ერთად ანაირალებდნენ რევოლუციურ პოლკებს, ბრძოლების დროს ზურგიდან მოერეკებოდნენ ნაწილებს, თანახლდნენ მცველებად სამარშო ასეულებს. გიორგის კავალერთა ათასეულების ფორმირებას განაგებდა გიორგის კავალერთა კავშირი, რომელიც მუშაობდა სრული კონტაქტით უმალღესი სარდლობის ბანაკთან.

უმალღეს სარდლობის ბანაკში კორნილოვის მოსვლის შემდეგ გადაწყდა გიორგის კავალერთა ათასეულების ფორმირების ფართო ნიადაგზე დაყენება. 12 აგვისტოს კორნილოვმა უბრძანა ფრონტების მთავარსარდლებს ყოველ ფრონტთან ჩამოეყალიბებინათ გიორგის კავალრებისაგან თითო-თითო ქვეითი სათადარიგო პოლკი. გიორგის კავალერთა პოლკები დაბანაკებული იყვნენ პსკოვში, შინსკში, კიევსა და ოდესსაში და შეადგენდნენ ერთ ბრიგადას, რომლის უფროსი უშუალოდ ემორჩილებოდა გენერალ კორნილოვს, ხოლო თვით ბრიგადის შტაბი მოგილევი იმყოფებოდა.

გიორგის კავალერთა ათასეულებს, ისე როგორც დამკვრელ ათასეულებს, ჰქმნიდნენ რევოლუციისთან საბრძოლველად. მოგილევი დაბანაკებულმა ათა-

სეულმა მონაწილეობა მიიღო კორნილოვის ავანტურაში, მთელი რიგი სხვა ათასეულები დასძრეს რევოლუციის წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის გადამწყვეტ დღეებში, ხოლო კიევის გიორგის კავალერთა ათასეულმა გზა გაიკაფა დონისაკენ, სადაც კორნილოვის პოლკთან ერთად გახდა საფუძველი მოხალისეთა არმიისათვის.

ბურჟუაზია და სოციალ-შემთანხმებლები, ამზადებდნენ რა მუშებს რევოლუციის წინააღმდეგ, ცდილობდნენ შეექმნათ დამკვერილი ნაწილები თვით ინვალიდებიდან და ქალებიდანაც კი. იენისში პეტროგრადში შეიქმნა „სამშობლოს დახმარების ქალთა კავშირი“, რომელმაც მიმართა ქალებს მოწოდებით — შეექმნათ „სიკვდილის ათასეულები“ ფრონტზე საბრძოლველად. ბურჟუაზიულმა პრესამ აიტაცა ეს მოწოდება და თავისი გაქანებით განსაკუთრებული ძალის ავტაცია გააჩაღა ათასეულებში. პირველსავე თვეს ჩაეწერა დაახლოებით 500 ქალი. კერენსკის ცოლმა განაცხადა, რომ იგი მიდის ფრონტზე სათნოების დათ.

მაგრამ აურზაური „ქალთა სიკვდილის ათასეულების“ ირგვლივ მალე დაცხრა, ვინაიდან ქალთა ნაწილების უშუალო საბრძოლო მნიშვნელობა მეტად მცირე იყო. მათ ვერ უშველა ვერც უმაღლესი სარდლობის ბანაკის მხარდაჭერამ, ვერც კონტრრევოლუციის უდიდეს წარმომადგენელთა მონაწილეობამ მოძრაობაში. ქალთა მთელი მოძრაობა გამოიხატა ერთი ათასეულის შექმნაში და 17 ოქტომბერს გენერალური შტაბის მთავარმა სამმართველომ დაადგინა შეწყდეს ქალთა შეგროვება, ხოლო უკვე შექმნილი ათასეულები დაიშალოს.

ერთადერთი ჩამოყალიბებული ათასეული არც კი გასულა ფრონტზე — იქ მოქმედებდა, და ისიც ნაკლები წარმატებით, მხოლოდ რამდენიმე პატარა რაზმები. მაგრამ სამაგიეროდ ათასეულმა ოქტომბრის დღეებში მონაწილეობა მიიღო ზამთრის სასახლის დაცვაში.

ათასეულებისა და პოლკების შექმნა ინვალიდებისა, ანუ დასახიჩრებული მეომრებისაგან, როგორც ისინი თავის-თავს უწოდებდნენ, ნაკლები ხმაურით სწარმოებდა, მაგრამ შედეგები კი ისეთივე იყო.

მცირერიცხოვანმა რაზმებმა, რომელთა ჩამოყალიბებაც მოხერხდა, მცირე მონაწილეობა მიიღეს ფრონტზე ბრძოლაში, მაგრამ ისინი ფართოდ გამოიყენა კონტრრევოლუციამ ქვეყნის შიგნით.

2.

ოფიცერთა კორპუსი.

დამკვერელ რაზმებში კონტრრევოლუცია ხელავედა ქალას, რომლის დახმარებითაც მას სურდა შეეჩერებინა დაშლის გზაზე მდგომი არმია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა იგი რევოლუციისთან საბრძოლველად ზურგში. თვით არმიაში რეაქცია უწინარეს ყოვლისა ოფიცრობის შენარჩუნებისაკენ მიისწრაფოდა.

თებერვლის რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებით გენერალიტეტი შე-

ეცადა შეენარჩუნებინა არმიის მასები, შექმნა რა საერთო კომიტეტები ოფიც-რებისა და ჯარისკაცებისათვის.

მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. № 1 ბრძანებამ მოითხოვა კომიტეტების შექმნა მხოლოდ ჯარისკაცთა წარმომადგენლებისაგან და ამით ერთბაშად გამოაცალა ნიადაგი ოფიცრობის მნიშვნელობას არმიაში.

კონტრრევოლუციამ სხვა გზა იპოვა. უმაღლესი სარდლობის ბანაკთან და-არსებულ იქნა არმიისა და ფლოტის ოფიცრების კავშირის მთავარი კომიტეტი თითქოს ოფიცერთა პროფესიული ინტერესების დასაცავად. საქმით კავშირი ჯიბდა კონტრრევოლუციის ერთერთ უმსხვილეს პოლიტიკურ ორგანიზაციად. იგი ამხნევებდა ოფიცრებს, რომლებიც კინალამ დაიბნენ რევოლუციის მქუხარე დღეებში, აძლევდა მათ პოლიტიკურ გეზს, მატერიალურად ეხმარებოდა იმათ, ვინც განდევნილი იყო პოლიციიდან. კავშირის წესდებებში მისი მოღვაწეობის მთავარ ამოცანად აღიარებული იყო

„ბრძოლა ცალკე პირთა და ჯგუფთა ყოველგვარ პროპაგანდასთან, რომლის მიზანია არმიისა და ფლოტის საფუძვლის დაშლა, და აგრეთვე წინა-აღმდეგობის გაწევა ცალკე პირთა და ჯგუფთა გამოსვლებისათვის, რომელთა მიზანია არმიისა და ფლოტის საფუძვლის დაშლა...“²

კავშირის მოღვაწეობის ცენტრში მოექცა ბოლშევიკებთან ბრძოლა. ოფიცერთა კავშირის მთავარი კომიტეტი აგზავნიდა ათასობით მოწოდებებსა და რეზოლუციებს, რომლებიც მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ „ბოლშევიკურ ანარქიასთან“³. ბოლშევიკების პარტიასთან ახლო მდგომ ოფიცრებს აცხადებდნენ ხალხის მტრებად, გამცემლებად, ისინი შავ დეფაზე შექქნდათ. მთავარი კომიტეტი ყველა არმიას უგზავნიდა დეპეშებს და მოითხოვდა ეცნობებინათ მისთვის ბოლშევიკ-ოფიცრების სიები.

აღსანიშნავია, რომ კავშირი, ე. ი. ნომინალურად-საზოგადოებრივი ორგანიზაცია ნიმართავდა უშუალოდ შტაბების უფროსებს და ამასთან არ მალავდა თავის პოლიტიკურ ამოცანებს: მთავარი კომიტეტი დარწმუნებული იყო, რომ ის პირები, რომელთაც იგი მიმართავდა, უკვე მარტო თავისი მდგომარეობის გამო უნდა იზიარებდნენ კავშირის შეხედულებებს. ხოლო ზოდესაც მე-9 არმიის შტაბმა ექვი შეიტანა ამაში, მთავარმა კომიტეტმა მას ნოტაცია წაუკითხა:

„ოფიცერთა კავშირის მთავაკომიტეტს შეუძლია მხოლოდ განცვიფრება გამოსთქვას თქვენი უარის გამო მიწოდოთ მას ცნობები იმ ოფიცრების შესახებ, რომლებმაც თავი შეირცხვინეს ბოლშევიკური მოღვაწეობით“⁴.

ამასთან მთავარმა კომიტეტმა თავისი ნოტაციის ასლი ცნობისათვის გადაუგზავნა უმაღლესი სარდლობის ბანაკს, რათა ზედაფენების ყურადღება მიექცია ურჩ შტაბზე. საერთოდ კავშირი განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა უმაღლესი სარდლობის ბანაკში. არცერთი პოლიტიკური დოკუმენტი არ გამოდიოდა უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან მთავარი კომიტეტის ავტორიტეტული კონსულტაციის გარეშე. მაგალითად, მე-12 არმიის — სრულიადც არა ბოლშევიკური არმიის — კომიტეტი დეპეშით ატყობინებდა უმაღლესი სარდლობის ბანაკს:

„არსებული ცნობებით ყველა ოდნავ დემოკრატიული პროექტი, როდესაც იგი უმალეს სარდლობის ბანაკში ხვდება, იქიდან გამოდის დამახინჯებული სახით ოფიცერთა კავშირის უახლოესი მონაწილეობით“⁴¹.

მთავარი კომიტეტი გადაიქცა საკანონმდებლო ორგანოდ უმალესი სარდლობის ბანაკთან. ტყუილად კი არ იყო კავშირის თავმჯდომარედ გენერალი ალექსევი, შტაბის ყოფილი უფროსი ნიკოლოზ II-ის დროს.

კავშირი ტერორის ქვეშ აყენებდა ოფიცრებს, ბოიკოტით ემუქრებოდა იმათ, ვინც უარს ამბობდა გამხდარიყო მისი წევრი. ასეთი ღონისძიებებით კავშირმა მოახერხა ნოეცკა ოფიცრობის მეტრ წილი და გამოსულიყო კონტრრევოლუციის მსხვილ ორჯანოდ. არ იყო არცერთი რეაქციული წამოწყება არც არმიასა და არც ზურგში, რაშიაც ოფიცერთა კავშირს არ მიეღოს უღრესად აქტიური მონაწილეობა. თუ ლაპარაკი იყო სიკვდილით დასჯის აღდგენაზე — კავშირი ავზავნიდა უამრავ დეპუტატს, მუქარას, პეტრიციებს, მოხსენებებს, წერილებს, დაყენებით მოითხოვდა რა სიკვდილით დასჯის დაუყოვნებლივ შემოდებას. თუ საჭირო იყო ავტორიტეტის შექმნა გენერლისათვის, რომელსაც ასახელებდნენ დიქტატორად, — კავშირი გამოდიოდა მრჩეველის როლში, ავრცელებდა გენერლის ბიოგრაფიას, უგზავნიდა მას მისასაღმებელ დეპეშებს, პირდებოდა ყოველმხრივ მხარდაჭერას. და ყველაფერი ეს კეთდებოდა მთელი ოფიცრობის სახელით, თუმცა მისი გარკვეული ნაწილი მხარს არ უჭერდა კავშირის რეაქციულ პოლიტიკას, ხოლო ზოგიერთებს უკვე დიდიხანია კავშირი გაეწყვიტათ შემთანხმებლებთანაც კი.

ოფიცერთა კავშირმა უდიდესი კამპანია გააჩაღა კორნილოვის გამოსვლის შხადებისას, უღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო რა გენერალთა შეთქმულებაში. კავშირი მოლაპარაკებას აწარმოებდა კაზაკთა ზედაფენასთან, ავზავნიდა თავის წარმომადგენლებს გიორგის კავალერთა კავშირში, უკავშირდებოდა ბურჟუაზიის რეაქციულ ორგანიზაციებს პეტროგრადსა და მოსკოვში. მისი მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენის მოცემა შეუძლია რეზოლუციის, რომელიც მიღებულ იქნა მთავარი კომიტეტის გაერთიანებულ საგანგებო კრებაზე გიორგის კავალერთა კონფერენციასთან ერთად 1917 წლის 10 აგვისტოს:

„რუსეთის რევოლუციის დასაწყისშივე სამშობლოსათვის უცნობმა პირებმა, რომელთაც ხელმძღვანელობენ გერმანიიდან ჩამოსული „მეგობრები“, წამოაყენეს წინადადება გაგვეწოდებინა „მშური“ ხელი ჩვენი მოსიხლღ მტრების — ავსტრიულ-გერმანელთა ბანაკისათვის. ჩვენმა მტრებმა თავისი, რუსთა სისხლით შეღებილი ხელი ჩაატაცეს მათთვის გაწვილ ძმათა სისხლისმღვრელ ხელს და, გადმოვიდნენ რა ჩვენს მამა-პაპურ მიწა-წყალზე, ფეხით გასთელეს რუსეთისათვის პატიოსნად თავდადებულ მილიონ მებრძოლთა საფლავები. ჩვენი ქვეყანა ხუთი თვე ირანჯებოდა ძმათა სისხლისმღვრელი ხანძრის გამო და იგი მთელი მსოფლიოს სასაცილო გახდა...“⁴² — და ასე შემდეგ, ასევე პოგრომულ-პატრიოტული სულისკვეთების პანგზერზოლუცია თავდებოდა ფიციტ: ოფიცერთა კავშირი დაპირებას იძლეოდა ებრძოლნა მანამ,

„სანამ ჩენი მძლავრი კავშირით დაცული რუსეთი არ აღსდგება პატიოსანი სირცხვილიდან, გამარჯვებული დამარცხებებიდან, უხრწელი თავის სილიადესა და თავისუფლებაში“¹.

უმალესი სარდლობის ბანაკიდან ეს რეზოლუცია ეგზავნებოდა ყველა არმიას. უნიჟო გენერლები, რომელთაც დამარცხებიდან დამარცხებისაკენ მიჰყავდათ ჯარები, ფიცს იძლეოდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ, ოლონდ ნება დაერთოთ მათთვის აღედგინათ არმიაში ძველი ბატონყმური წყობილება და ყოფაცხოვრება. გამყიდველი ინტენდანტები, ქურდები, რომლებიც ძარცვავდნენ ჯარისკაცებს, ფიცს იძლეოდნენ პატიოსანი გაეხადათ არმია, ოლონდ კვლავ დაებრუნებინათ მათთვის უკონტროლო განკარგულება ჯარისკაცთა რაციონით. |

კორნილოვის ავანტურის ჩაყარნამ გამოამზეურა ოფიცერთა კავშირის კონტრრევოლუციური დედაარსი, გამოააშკარავა „დემოკრატიული“ ორგანიზაციის ხელმძღვანელების გენერლური სახე. არმიაში, რომელიც უკვე დიდხანია შეშფოთებით შესცქეროდა კავშირის მოღვაწეობას, აზვირთდა პროტესტის ტალღა. მრავალრიცხოვან რეზოლუციებში მოითხოვდნენ გაერეკათ ეს გენერალთა ბუდე და მისი ხელმძღვანელები სამართალში მიეცათ კორნილოვთან ერთად.

მაგრამ დროებით მთავრობას არ ჰქონდა განზრახული კავშირის დაშლა. მან იცოდა, რომ საარმიო კომიტეტებს რეზოლუციათა ნიაღვარი ზიანს ვერ მიაყენებდა ორგანიზაციას და იგი გაუძლებდა მას. ესერ-მენშევიკები, რომლებიც არმიის ზედაფენასა და მის ქვედაფენებს შორის წრიალებდნენ და უფრო პირველის წინაშე ცახცახებდნენ, ვიდრე მჭორეთა წინაშე, ხშირად ლებულობდნენ რეზოლუციებს მხოლოდდამხოლოდ მასების ზეგავლენით. შეიძლებოდა ლოდინი, მიუყჩება, სანამ ქალაქის წვიმა გადაივლიდა. სულ სხვა იყო ოფიცერთა კავშირის მიმართ ჯარისკაცთა სიძულვილის სტიქიური აფეთქება. ჯარისკაცთა პროტესტებმა აქა-იქ უღმობელ თვითგასამართლებათა ხასიათი მიიღო. ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით მატროსებმა, ათობით დახვრიტეს ყველაზე სიძულველი ოფიცრები.

მაგრამ აქ ოფიცერთა კავშირის მთავარ კომიტეტს მოეშველა მთავრობა. არქივებში დარჩა მეტად საინტერესო ჩანაწერი სამხედრო მინისტრის კაბინეტის უფროსის ბარანოვსკის საუბრისა პირდაპირი მავთულით გენერალ ლუკომსკისთან, კონტრრევოლუციის უთვალსაჩინოეს ხელმძღვანელთან. ბარანოვსკი დარიგებას აძლევდა გენერალ ლუკომსკის:

„საქიროდ მიმაჩნია პირადად ჩემი სახელით დავეუბატო, რომ, ვიცნობ რა ოფიცერთა კავშირის მუშაობას, დარწმუნებული ვარ, რომ კერენსკისა და ოფიცერთა კავშირის გზასავსებით ერთნაირია, მაგრამ გზის გავლის მეთოდები უაღრესად სხვადასხვაგვარია, და, კერძოდ, კომიტეტის მიერ არჩეული გზა პირდაპირ შეუძლებელი და დაუშვებელია, ვინაიდან მხოლოდ ართულებს მდგომარეობას და სიძნელეებს უქმნის კერენსკის მოღვაწეობას, საქმეს უფუჭებს თავის-თავსაც, რადგან პეტროგრადაში არა მარტო დემოკრატიულ ორგანოებში, არამედ ყველა

წრეში ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ კავშირის კომიტეტი უცნაურად მოქმედებს და რეაქციის ბუდეს წარმოადგენს...¹

აღმოჩნდა, რომ „რევოლუციური დემოკრატიის“ ბელადის კერენსკისა და ოფიცერთა კავშირის კომიტეტის „გზა სავსებით ერთნაირია“. ბარანოვსკის მხოლოდ ის არ მოსწონდა, რომ მთავარი კომიტეტი მოქმედებს პირდაპირ დიქტატურის მოსამზადებლად და ამით „სიძნელეებს უქმნის კერენსკის მოღვაწეობას“.

მთავრობას არ შეეძლო დასთანხმებოდა კავშირის დაშლას. ასეთ აქტს შეეძლო ჩამოეშორებინა არმიის გენერალიტეტი, რომელიც უამისოდაც უნდობლად იყო განწყობილი კერენსკისადმი. ოფიცერთა კავშირი ვადარჩა. მისმა მეთაურებმა დროებით შესწყვიტეს ახალი კადრების შეგროვება, იმედოვნებდნენ რა, რომ მალე მოჰკიდებდნენ ხელს ფართო პოლიტიკურ მუშაობას. მთავრობის ოპეის ქვეშ მყოფი ოფიცერთა კავშირი უმაღლესი სარდლობის ბანაკთან გადაიქცა კონტრრევოლუციური ძალების თავისებურ განმანაწილებელ-შემგროვებელ პუნქტად. კავშირის ხელმძღვანელმა გენერალმა ალექსეევმა დიდი მუშაობა გააჩაღა თეთრგვარდიელთა შესაგროვებლად და გადასასროლად დონისა და ყუბანის რაიონებში, კაზახთა ატამანის გენერალ კალედინის განკარგულებაში. კავშირის დელეგატები მიდიოდნენ ცალკე არმიებში, სარგებლობდნენ რა ოფიციალური მივლინებებით.

რევოლუციის ზრდასთან ერთად კავშირის მოღვაწეობა აქტიური და აშკარა ხდებოდა. ამასწინანდელი დარბევის შემდეგ წელში გამართულმა ოფიცრებმა აქა-იქ დაიწყეს კორნილოვისებური მოთხოვნებით გაპოსვლა. ზოგიერთ არმიასი შესდგა ოფიცერთა ყრილობები. მეთაურები მოითხოვდნენ ბოლშევიკებთან ბრძოლის გაძლიერებას და ოფიცერთა დევნის შეწყვეტას. თუ რამდენად გათამამდნენ კავშირის მოღვაწეები, შეიძლება დავინახოთ მე-10 არმიის ოფიცერთა ყრილობის რეზოლუციიდან:

„ვინაიდან არმიასი საყოველთაო ნგრევის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ჯარისკაცთა შორის დათესილი უნდობლობა ოფიცრებისადმი, ამიტომ დროებითმა მთავრობამ ნათლად და გარკვეულად, განსაკუთრებული აქტით ერთხელ კიდევ უნდა განაცხადოს თავისი ნდობა ოფიცრობისადმი, რომელიც პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას საშობლოსა და რევოლუციის წინაშე... ოფიცრობა ჯარისკაცის მტერი კი არ არის, არამედ რუსეთის რევოლუციის შეგობარია. არ მი ი ს რ ი გ ე ბ შ ი ა დ გ ი ლ ი ა რ უ ნ დ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბ რ ძ ო ლ ა ს, მ ა გ რ ა მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს წ ე ვ რ ე ბ ი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ნ ი ა რ ი ა ნ ე კ უ თ ვ ნ ო დ ნ ე ნ რ ო მ ე ლ ს ა ც ს უ რ თ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ პ ა რ ტ ი ა ს... ჩვენ მივმართავთ დროებით მთავრობას დაგვეხმაროს ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებითა და აქტიური ბრძოლით ბოლშევიკებთან, ისარგებლოს ამისათვის ცალკეული ნაწილებით, რომელთაც არ დაუყარავთ ბრძოლის უნარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ოფიცრობის ეს ახალი გმირობაც ვერ მიაღწევს მიზანს“².

წინასწარ გრძნობდნენ რა ვადამწყვეტ შეტაკებას, ოფიცრებმა დაიწყეს ლაპარაკი ამასწინანდელი თავისი სულისჩამდგმელის გენერალ კორნილოვის ენით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოფიცერთა კავშირის მუშაობა იუნკერთა სასწავლებლებსა და პრაპორშჩიკთა სკოლებში. სულ ძველ არმიასში ირიცხებოდა იუნკერთა 26 სასწავლებელი. მათი უმეტესობა იყო მსხვილ ცენტრებში: პეტროგრადში — 8, კიევში — 4, მოსკოვსა და ოდესაში — ორ-ორი. იუნკერთა ზუსტი რიცხვის დადგენა ძნელია — მათი შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა. მაგრამ საერთოდ სასწავლებელთა უფროსი კლასების მართა ერთი გამოშვება იძლეოდა სამი ათასზე მეტ ოფიცერს.

პრაპორშჩიკების სკოლა სულ 38 იყო. ისინი იმავე ქალაქებში იყვნენ, სადაც იმყოფებოდნენ იუნკერთა სასწავლებლები, ან მათ ახლო. ყველა სკოლის საერთო გამოშვება იძლეოდა 19 ათასამდე პრაპორშჩიკს.

ჯარისკაცთა მასის რევოლუციურ გავლენას დაშორებული სამხედრო სასწავლებლები და პრაპორშჩიკთა სკოლები მეტად ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენდნენ ოფიცერთა კავშირის მოღვაწეობისათვის.

მაიზიდა რა პირველ რიგში ამ სასწავლებლებისა და სკოლების მეთაურთა შემადგენლობა, რეაქცია მალე დაეუფლა იუნკერთა მასასაც. სკოლებში გაბატონებული იყო კონტრრევოლუციური განწყობილება. ესერ-მენშევიკებიც კი უმცირესობას შეადგენდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ბოლშევიკებზე, — ისინი ერთეულებად იყვნენ გაბნეულნი. იუნკრებს არ სჭირდებოდათ დაეფარათ თავისი შეხედულებანი „სოციალისტურ პარტიასა“ ნილაბჭევში. იუნკრება ასრულებდნენ კონტრრევოლუციის საუკეთესო დამკვერელი რაზმების როლს და პირველნი გამოვიდნენ იარაღით ხელში პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

8.

გუბრუაზიული ნაციონალური ფორმირება.

რარიგ გამალებითაც არ სწარმოებდა დამკვერელი ათასეულების ფორმირება, რამდენიმე ათეულ საიმედო რაზმებს უკვე აღარ შეეძლოთ რევოლუციის სწრაფი მსვლელობის შეჩერება. მით უფრო, რომ რევოლუცია ხშირად იჭრებოდა შერჩეულ თეთრ ათასეულებში. უმაღლესი სარდლობის ბანაკის მასალებში დარჩა იმ ნაწილების სიები, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ გამორიცხვა სიკვდილის ათასეულთა შემადგენლობიდან, რადგან მათ „თავი შეირცხვინეს“ იმით, რომ უარი სთქვეს წასულიყვნენ ფრონტზე ან შეეცრულებინათ საბრძოლო ბრძანება. სიებში გვხვდებიან დამკვერელი ნაწილებიც.

რევოლუციასთან საბრძოლველად საჭირო იყო მასობრივი საბრძოლო ძალები. რეაქცია ცდილობდა ეპოვნა ისინი ბურჟუაზიულ ნაციონალურ ფორმირებებში. მაგრამ ველიკორუსული რეაქცია მხარს უჭერდა ყოფილ ჩაგრულ ერთა სრულიადაც არა ყველა ფორმირებას, არამედ მხოლოდ იმათ, რომლებიც უშუალოდ არ ემუქრებოდნენ კოლონიური იმპერიის მთლიანობას. პოლონე-

თი, მაგალითად, დაკავებული იყო გერმანიის არმიებით. პოლონელი ნაწილების ფორმირება რუსეთის ბურჟუაზიის ხელთ აძლევდა დამატებით საშუალებებს გერმანიასთან საბრძოლველად: ნაციონალური აღზენების ექსპლოატაციით პოლონელები შეიძლებოდა წარემართათ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. აქედან — არაერთნაირი დამოკიდებულება სხვადასხვა ნაციონალურ ფორმირებათა მიმართ: უკრაინელებს განსაკუთრებით ხელს უშლიდნენ; პოლონელებს ყოველნაირად მხარს უჭერდნენ და ახალისებდნენ. მაგრამ ორივე შემთხვევაში მეთაურთა კადრების ფრთხილი შერჩევით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთ ხელში ნაციონალური ნაწილები.

პოლონურ ფორმირებათაგან უკვე ივლისში ფრონტზე იყო:

1. პოლონელთა მსროლელი დივიზია ოთხი სამათასეულიანი პოლკის შეზადგენლობით.
2. ულანთა პოლკი ოთხი ესკადრონისაგან.
3. პოლონელთა ქვეითი სათადარიგო პოლკი.
4. საინჟინერო ასეული.

ყველა ნაწილი შედიოდა მე-7 არმიის შემადგენლობაში გარდა სათადარიგო პოლკისა, რომელიც დაბანაკებული იყო ბელგოროდში კურსკის გუბერნიაში. სამხედრო სამინისტროს გეგმით განზრახული იყო პოლონელთა დივიზიის შეესება ნორმალურ ტიპამდე, პოლონელთა ასეთივე მეორე დივიზიის შექმნა, ორი დივიზიის არტილერიით შეჭურვა და მათი პოლონელთა კორპუსად გაერთიანება. კორპუსის ფორმირებას თან სდევდა მნიშვნელოვანი სიძნელენი. პოლონელი პრაღეტარები და გლეხები რუსებზე ნაკლებ როდი იყვნენ მოცულნი რევოლუციით. პოლონელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც ხელთ იგდო ფორმირების ხელმძღვანელობა, გამოდიოდნენ რევოლუციური ელემენტები. ჯერ კიდევ აპრილში, იმ მომენტში, როდესაც პოლონურმა ბურჟუაზიამ გადმოისროლა ლოზუნგი „პოლონელთა ცალკე არმია რუსეთში“, პოლონელი ინტერნაციონალისტთა პეტროგრადის ჯგუფმა განაცხადა, რომ „პოლონელთა ცალკე არმია რუსეთში“¹ არ შეიძლება წარმოადგენდეს პოლონელი მუშებისა და ჯარისკაცების ლოზუნგს.

პოლონელი ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, ცდილობდნენ რა გაეფანტათ ნაციონალისტური გაბრუება და ემხილათ პოლონელთა კორპუსის ხელმძღვანელების კლასობრივი დედაარსი. საქმე მივიდა მღელვარებამდე პოლონელთა სათადარიგო პოლკში, სადაც 27 ივლისს რევოლუციურმა მასამ გააძევა პოლკოვნიკი ვინიციკი და იგი შესცვალა არჩეული მეთაურით პოდპორუჩიკ იაცკევიჩით. კორანილოვმა ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ ჩაეჭრათ მოძრაობა და დეპეშით აცნობა კერენსკის:

„რაც შეეხება ზომების მიღებას უწყსრივობის შესაწყვეტად პოლონელთა სათადარიგო პოლკში, რომელიც დაბანაკებულია ბელგოროდში, საქაროდ ვთვლი დაევალოს ეს პოლონელთა კორპუსის მეთაურს გენერალ-ლიტენანტს დოვბორ-მუსნიციკს, რისთვისაც მის განკარგულებაში გადაცემულ უნდა იქნას სამხედრო ძალა“².

კორპუსის მეთაური შეუდგა პოლკის გადაქრით გაწმენდას. 400-ზე მეტი ჯარისკაცი თითქოს პოლონელთა სამსახურზე უარის თქმის გამო ფრონტზე გაიგზავნა. ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცებს აპატიმრებდნენ და სამართალში აძლევდნენ „საბრძოლო ბრძანებათა დარღვევისათვის“.

ანგარიშების გასწორების ცარიელტულმა მეთოდებმა აღშფოთება გამოიწვია წვრილბურჟუაზიულ წრეებშიაც კი. თვით საეინკოვიც კი, რომელიც მაშინ სამხედრო სამინისტროს მმართველი იყო, შეეკითხა კორნილოვს, შესაფერია თუ არა დოვბორ-მუნსნიცკის დატოვება კორპუსის მეთაურად. მაგრამ დოვბორ-მუნსნიცკის სიმტკიცე სწორედ რომ მისი პოლიტიკური კეთილსამედლობის შესანიშნავი ატესტატი იყო. კორნილოვმა სავინკოვს უპასუხა:

„პოლონელთა კორპუსი სდგება მოხალისეებისაგან, ამიტომ მასში მოხედრა შეუძლიათ მხოლოდ იმ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც დასთანხმდებიან შეასრულონ გენერალ დოვბორ-მუნსნიცკის მიერ წაყენებული მოთხოვნები. ამ გენერალს, როგორც მტკიცე ადამიანს და ჩინებულ საბრძოლო უფროსს მე მძალა ვაყენებ და ვთვლი, რომ იგი განსაკუთრებით სასურველია როგორც პოლონელთა მოხალისე კორპუსის მეთაური“¹.

ოქტომბრისთვის კორპუსში ირიცხებოდა დაახლოებით 17 ათასი ჯარისკაცი, მათგან — 1200 ოფიცერი და მოხელე. ამ რიცხვში არ შესულა სათადარიგო პოლკი, სადაც დრო და დრო ჯარისკაცთა რაოდენობა 16 ათასამდე აღიოდა.

კონტრრევოლუციის ვარაუდში პოლონელთა კორპუსს საპატიო ადგილი ეკმირა. „პოლონელები დაგვირდნენ თავიანთი კორპუსის გამოგზავნას. უეჭველად იქნება“² — ასე ამბობდა, კრასნოვის გადმოცემით, კერენსკი, აჩქარებდა რა კონტრრევოლუციურ რაზმებს დაძრულაყენენ აჯანყებით მოცული რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ.

სხვა ნაციონალური ნაწილებიდან, რომელთაც კონტრრევოლუცია თავის აქტივში ითვლიდა, უნდა დავასახელოთ „ველური დივიზია“, რომელიც გადაკეთდა კორპუსად კორნილოვის აჯანყების მომენტში. კავკასიის მთიელ ეროვნებათაგან შემდგარ დივიზიაში დაახლოებით ათას ხუთასამდე მებრძოლი იყო.

რევოლუცია თითქმის არ შეხებია ცარიზმის დროს არსებულ ნაციონალურ ნაწილებს. „ველური დივიზიის“ პოლკებში კომიტეტები ან სრულიად არ იყო ანდა ისინი კაპტენარმუსების შემოწმებას აწარმოებდნენ. მეთაურთა ძალაუფლება „საგვარეულო“ უფლებას ეყრდნობოდა. პოლკებში მეფობდა სასტიკი დისციპლინა, თვით ცემაც კი. „ველური დივიზიიდან“ გამოქცეულ ჯარისკაცთა ჯგუფი დაკითხულ იქნა საბჭოს მიერ და მან დახატა თვითნებობისა და სხვადასხვა ტომთა შორის შუღლის ისეთი სურათი, როგორსაც მხოლოდ მეფის არმია იცნობდა.

კორნილოვის აჯანყების მარცხმა გზა გაუხსნა რევოლუციას კავკასიის ნაწილებისაკენ. რეაქციამ გადასწყვიტა გაეგზავნა ეს ნაწილები მშობლიურ ადგილებში, ფიქრობდა რა, რომ ნაციონალური ბურჟუაზია შესძლებდა რევოლუციის გავლენის შესწყვეტას ნაწილებში.

პირველ უკრაინულ—ჰაიდამაკურ—ფორმირებათა სტიქიური შექმნა დაიწყო ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის დღეებში. მარტისა და აპრილის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ზურგში და აგრეთვე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან გარნიზონებში პეტროგრადსა, მოსკოვსა, ყაზანსა და სხვა ქალაქებში თვითნებურად იქმნებოდა სპეციალური უკრაინული ჯარის ნაწილები ყვითელ-ციხფერი დროშებითა და კოკარდებით. კიევში ჩამოყალიბდა ბოგდან ხმელნიცკის სახელობის განსაკუთრებული უკრაინული პოლკი, რომლის რიგებში შევიდა მოქმედი არმიის ჯარისკაცთა საგრძნობი რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა უკრაინულმა — ბოგდანის — პოლკმა მიიღო დროებითი მთავრობისადმი ნდობის რეზოლუცია, დროებითი მთავრობა მაინც საჭიროდ სთვლიდა ბოლო მოვლო დაწყებული მოძრაობისათვის. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალმა გენერალმა ბრუსილოვმა დეპეშით მოითხოვა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ კიევში ფრონტიდან უკრაინულ ჯარისკაცთა ღალატელობა, ხოლო ურზობის შემთხვევაში „დაეშალათ პოლკი“ და შეეწყვიტათ დაწყებული „უწყობანი“¹ თუნდაც იარაღით.

მაგრამ რევოლუციური მოძრაობის ზრდამ მაის-ივნისში აიძულა დროებითი მთავრობა წასულიყო მთელ რიგ დათმობებზე უკრაინული ბურჟუაზიის მიმართ. ამზადებდა რა არმიას შეტევისათვის გალიციის ფრონტზე, კერენსკის მთავრობა პირველად შეეცადა გამოეყენებინა უკრაინული ფორმირებანი რევოლუციურ მოძრაობასთან და ბოლშევიზმთან საბრძოლველად.

უკრაინულ მეომართა პარაკლისები, ლიტანიები კიევში, საგრძნობი გავლენა მათზე ოფიცრობისა, უკრაინელთა დაახლოება დონის კაზაკობასთან და, რაც მთავარია, კულაკების მნიშვნელოვანი პროცენტი პირველ უკრაინულ ფორმირებებში — ყველაფერი ეს ნებას აძლევდა დროებით მთავრობას იმედი ჰქონებოდა, რომ უკრაინული პოლკები კარგი იარაღი აღმოჩნდებოდა ბურჟუაზიის ხელში.

ათ მაისს სრულიად-რუსეთის სალაშქრო კომიტეტის დელეგაცია იმავე მატარებლით, რომელშიაც კერენსკი იმყოფებოდა, გაემგზავრა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გენერალ ბრუსილოვთან. როგორც სამხედრო მინისტრი, ისე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი საესებით კეთილსასურველად მოეპყრნენ უკრაინული ჯარის ნაწილების შექმნის საკითხს. სამხედრო მინისტრმა დაამტკიცა უკრაინული სალაშქრო კომიტეტი და ნება დართო შეექმნათ უკრაინულ კაზაკთა პირველი, ბოგდან ხმელნიცკის სახელობის, პოლკი. გენერალი ბრუსილოვი თავის მხრით დაჰპირდა მათ, რომ გამოყოფდა ფრონტზე სამ განსაკუთრებულ კორპუსს, რათა ისინი შეეცნოთ მხოლოდდამხოლოდ უკრაინელებით.

რუსეთის ბურჟუაზიის გაშლილმა შეტევამ თებერვლის რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ, ცენტრში და ადგილებზე იმ დიდმპყრობელურ განწყობილებათა გაძლიერებამ, რომლებიც ძირფესვიანად მტრული იყო თვით ზომიერ ნაციონალურ მოთხოვნათა მიმართაც კი, აიძულა დროებითი მთავრობა შეენელებინა უკრაინული ნაწილების ფორმირების ტემპები. ახალ კონფლიქტში დროებით მთავრობასა და ცენტრალურ რადას შორის უკრაინული

ნაწილები საშიშ ძალად ხდებოდნენ. ამიტომ 1917 წლის აგვისტოსა და სექტემბერში სამხედრო სარდლობამ, არ დართო რა ახალ ფორმირებათა ნება, სცადა ფრონტზე გაეყვანა უკვე შექმნილი უკრაინული ნაწილები. ამ ღონისძიებით მთავრობა იმედოვნებდა განეიარაღებინა ცენტრალური რადა და დაეუძღურებინა მისი მომხრეები.

ამიტომ არც კორნილოვი, არც უმაღლესი სარდლობის ბანაკი არ სარგებლობდნენ რევოლუციასთან საბრძოლველად უკრაინული ნაწილებით და საესეებით ეყრდნობოდნენ კახაკებს, ნაწილობრივ პოლონელებს და ყველაზე უფრო დამკვრელებს და იუნკრებს.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის წინ საშინელმა საფრთხემ აიძულა რუსეთის ბურჟუაზია ეძებნა დახმარება, მართალია ნაკლები წარმატებით, სწორედ იმ ჰაიდიამაკური პოლკებისაგან, რომელთა შექმნას მისი მთავრობა ამასწინათ ყოველნაირად აბრკოლებდა.

რეაქცია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჩეხო-სლოვაკთა ნაწილებს. მათი ფორმირება ავსტრიელ სამხედრო ტყვეთაგან და გაპოქეულთაგან დაიწყო ჯერ კიდევ მეფის მთავრობამ. მაგრამ რევოლუციამდე ეს საქმე საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა. ეგრეთწოდებული ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის განსაკუთრებული დადგენილება კრძალავდა ნაწილების დაკომპლექტებას სამხედრო ტყვეებისაგან. მაგრამ იგივე ტრიბუნალი კრძალავდა გაზების გამოყენებას, მიუხედავად ამისა ამ დადგენილებისათვის არავის არ გაუწევია ანგარიში. ამ შემთხვევაში თვითმპყრობელობას ეშინოდა, რომ გერმანიას არ შეექმნა განსაკუთრებული არმია პოლონელი ტყვეებისაგან. მეორე მხრით, ინგლისელები და ფრანგები აღმატებულად უცქეროდნენ ჩეხო-სლოვაკთა რაზმების ფორმირებას. „მოკავშირეებს“, რომლებიც დაჰპირდნენ დამოუკიდებელი ჩეხო-სლოვაკური რესპუბლიკის შექმნას, ეშინოდათ თვითმპყრობელობის მეტისმეტი გავლენისა ახალ სახელმწიფოს საქმეებზე.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩეხო-სლოვაკთა ფორმირება უფრო სწრაფად წარიმართა: ანტანტის გენერლები იმედოვნებდნენ, რომ ჩეხო-სლოვაკთა რაზმებში იპოვნიდნენ დასაყრდენს რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1917 წლის 24 მარტს სამხედრო საბჭომ დაამტკიცა დებულება ავსტრიელ სამხედრო ტყვეებიდან ჩეხო-სლოვაკთა რაზმების ფორმირების შესახებ.

ჩეხო-სლოვაკთა ჯარების ორგანიზაციის სისწრაფე პირდაპირ დამოკიდებული იყო არმიის გახარწნაზე: აპრილში ჰქმნიდნენ მხოლოდ რაზმებს, აგვისტოში უკვე დაიწყეს მთელი კორპუსის დაკომპლექტება. ჩეხო-სლოვაკთა ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარემ მასარიკმა მიმართა უმაღლესი სარდლობის ბანაკს წინადადებით დაეჩქარებინათ ფორმირება. მასარიკი ითხოვდა დაეწესებინათ ამისათვის საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა უმაღლესი სარდლობის ბანაკთან და ჩეხო-სლოვაკების ფორმირებათა უმაღლეს სარდლობასთან. ნაციონალურმა საბჭომ შემთავნებულთა აქტიური დახმარებით და ანტანტის აქტიური მხარდაჭერით განავითარა დიდი კამპანია სამხედრო ტყვეების შესაგროვებლად. 23 აგვისტოსათვის კორპუსში, ჩეხო-სლოვაკთა პირველ და მეორე დივიზიაში, ირიცხებოდა 25 ათასი მებრძოლი არტილერიის ჩაუთვლელად.

კორპუსის ნაწილებში შემოღებული იყო ფრანგული სამხედრო წესდება, ზოლო მეთაურთა შემადგენლობა გაუთანასწორეს რუსეთის არმიის ოფიცრებს.

კორნილოვშინის ლიკვიდაციის შემდეგ კორპუსის ფორმირება მნიშვნელოვანად დაჩქარდა. გენერალ კორნილოვის გეგმით პეტროგრადისა და მოსკოვის წინააღმდეგ განზრახული იყო დაეძრათ ჩეხო-სლოვაკები კორნილოველებთან ერთად. ჩეხების გამოყენება განზრახული იყო აგრეთვე ბოლშევიკების წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის დღეებშიაც. გენერალ ალექსეევის წერილიდან ჩვენ ვტყობობთ, რომ მ ნოემბერს — ოქტომბრის ამბების ორი კვირის შემდეგ — აპირებდნენ ჩეხო-სლოვაკთა ნაწილების გადაყენას დონთან ახლოს, რათა ისინი კაზაკებთან ერთად გამოსულიყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

თუ რა იმედებს ამყარებდა კონტრრევოლუცია ჩეხო-სლოვაკებზე, ამაზე მსჯელობა შეიძლება კორნილოვის იმ წერილის მიხედვით, რომელიც მოჰყავს თავის მემორებში გენერალ დენიკინს. როდესაც გენერალმა კორნილოვმა გაიგო, რომ პეტროგრადში მოხდა რევოლუცია, მან ბიხიევს საპატიმროდან შემდეგი „ბრძანება“ გაუგზავნა დუხონინს უმაღლესი სარდლობის ბანაკში:

„ვითვალისწინებ რა ამბების შემდეგ მსვლელობას, — გადმოსცემდა კორნილოვი თავის გეგმას, — ვფიქრობ, რომ თქვენ აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა მიიღოთ ისეთი ზომები, რომლებიც მტკიცედ უზრუნველყოფენ უმაღლესი სარდლობის ბანაკს და შექმნიან ხელსაყრელ პირობებს მოახლოებულ ანარქიასთან შემდგომი ბრძოლის ორგანიზაციისათვის.

ასეთ ზომებად მე მიმაჩნია:

1. ერთერთი ჩეხური პოლკის და პოლონელ ულანთა პოლკის დაუყოვნებლივ გადაყენა მოგილევში.

2. ორშის, სმოლენსკის, ჟლობინის და გომელის დაკავება პოლონელთა კორპუსის ნაწილების მიერ, ამასთან უკანასკნელის დივიზიების გაძლიერება არტილერიით ფრონტის კაზაკთა ბატარიების ხარჯზე.

3. ორშა — მოგილევ — ჟლობინის ხაზზე თავმოყრა ჩეხო-სლოვაკთა ყველა ნაწილისა, კორნილოველთა პოლკისა პეტროგრადსა და მოსკოვში მათი გადაყენის საბაბით და კაზაკთა 1 — 2 დივიზიისა ყველაზე მტკიცე დივიზიათა რიცხვიდან.

4. იმავე რაიონში ინგლისელთა დ ბელგიელთა ყველა ჯაფშნიანი მანქანის თავმოყრა, ამასთან მათი მომსახურე პირები შეცვლილი უნდა იქნას მხოლოდდამხოლოდ ოფიცრებით.

5. თავმოყრა მოგილევში და ერთერთ მის მახლობელ პუნქტში შაშხანების, ვაზნების, ტყვიამფრქვევების, ავტომატური თოფების და ხელყუმბარების მარაგისა, რაც საიმედოდ უნდა იქნეს დაცული, იმ ოფიცრებისა და მოხალისეებისათვის დასარიგებლად, რომლებიც აუცილებლად ხსენებულ რაიონში მოიყრიან თავს.

6. მტკიცე კავშირისა და ზუსტი შეთანხმების დამყარება დონის, თერგის და ყუბანის ლაშქართა ატამანებთან და პოლონელთა და ჩეხო-სლოვაკთა კომიტეტებთან...

აი ის მოსაზრებანი, რომელნიც აუცილებლად მიმაჩნდა მომეხსენებინა. თქვენთვის; ამას ვუმატებ, რომ საჭიროა გადაწყვეტილების მიღება დროის დაუქარგავად“¹.

როგორც ვხედავთ, კონტრრევოლუცია სამოქალაქო ომის პირველი დღეებიდანვე დიდ იმედებს ამყარებდა ბურჟუაზიულ ნაციონალურ ფორმირებებზე: მათ ჰქონდათ მინდობილი პირველი დარტყმა.

სხვათაშორის, მეფის გენერლები რევოლუციასთან ბრძოლაში იმთავითვე დაადგნენ უცხოეთის ინტერვენციის გზას, ცდილობდნენ რა დაყრდნობოდნენ უცხოეთის ჯარებს—ანტანტის ჯაგშნიან ავტომანქანებს, ჩეხო-სლოვაკთა კორპუსს. ეს ჯერ მხოლოდ ჩანასახი იყო — სამოქალაქო ომი მხოლოდ იწყებოდა. შემდეგში უცხოეთის ინტერვენციამ განსაკუთრებული როლი შეასრულა რუსეთის სამოქალაქო ომში.

4.

კ ა ზ ა კ ი ბ ი.

კონტრრევოლუციის ყველაზე რეალურ დასაყრდენად მიაჩნდა კაზაკთა ნაწილები, რომელთაც კაზაკთა ლაშქრის კავშირის საბჭო ხელმძღვანელობდა.

ჯერ კიდევ კორნილოვის ამბოხების დროს ორენბურგის კაზაკთა ლაშქრის ატამანს დუტოვის დეველებული ჰქონდა მოეწყო თითქოსდა „ბოლშევიკების აჯანყება“ პეტროგრადში და ამ პროვოკაციის შემდეგ გაენადგურებინა ბოლშევიკური პარტია. ამავე დროს დონის კაზაკთა ლაშქრის ატამანს უნდა მოეწყო შეტევა დონბასიდან მოსკოვზე.

კორნილოვის ავანტურის ჩავარდნის შემდეგ დროებითმა მთავრობამ კვალის დასაფარავად დაადგინა დაეპატიმრებინა კალედინი და სამართალში მიეცა იგი კორნილოვის შეთქმულებაში თანამონაწილეობისათვის.

დიდი სალაშქრო „კრუგის“ წინასწარმა თათბირმა, რომელიც შეიკრიბა 3 სექტემბერს ნოვოჩერკასკში, დაადგინა არ გაეცა თავისი ატამანი. კერენსკიმ ჰაშინვე უკლო კილოს და დასთანხმდა გაუქმებინა დაპატიმრება, მაგრამ მოითხოვა, რომ კალედინი გამოცხადებულიყო უმალღესი სარდლობის ბანაკში. საგამომძიებლო კომისიისათვის ჩვენების მისაცემად. ამ გარემოებამ, რომ კერენსკიმ ასე იოლად შესცვალა შრისხანება წყალობით, მხოლოდ ხაზი გაუსვა. იმას, რომ დროებითი მთავრობა მაგარ-მაგარ სიტყვებსა და „რევოლუციურ“ ექსტებს მიმართაედა მხოლოდ თვალის ასახვევად. 5 სექტემბერს დიდმა სალაშქრო კრუგმა კალედინს ოვაცია გაუმართა და დაადგინა ფეხზე დგომით მოესმინა მისი სიტყვა. სალაშქრო კრუგმა კალედინის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას უწოდა „ლაჩართა დაბნეული გონების ნაყოფი“².

კალედინს მხარი დაუჭირა კონტრრევოლუციის ყველა ორგანიზაციამ. კაზაკთა საგანგებო დელეგაციამ ინახულა კერენსკი და მინისტრები და დაეინებით მოითხოვა კალედინის სრული გამართლება. დონის კაზაკთა და კაზაკთა

ლაშქრობის კავშირის საბჭოს წარმომადგენლებმა რუსეთში მყოფი ინგლისელი ელჩი ბიუკენენიც კი ინახულეს. ელჩმა დელეგაციას განუცხადა, რომ ინგლისი დიდად აფასებს კაზაკთა დამსახურებას.

კალედინის სახით ბუკრეუზია ამზადდება ახალ დიქტატორს. „კალედინი — აი მომენტის ადამიანი“, ასე გამოხატა კონტრარევოლუციის საერთო იმედები იმპერიალისტების უდიდესმა გაზეთმა „ნიუ-იორკ-ტაიმსმა“.

ოქტომბრის რევოლუციის წინ მთავრობის კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იყო კორნილოვის საქმეზე, გამოაცხადა, რომ კალედინს არავითარი კავშირი არ ჰქონია ამბოხებასთან.

დიქტატორობის კანდიდატმა მიიღო სრული შესაძლებლობა ხელი მოეკიდა კონტრარევოლუციური ძალების ორგანიზაციისათვის. მისი ხელმძღვანელობით შექმნილ იქნა ახალი სახელმწიფო, ეგრეთწოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი ყუბანის, თერგის, დონის კაზაკების და ასტრახანის ლაშქართა, ჩრდილო-კავკასიის მთიელების და დონის ოლქისა და ასტრახანის გუბერნიის ხალხებისაგან.

კერენსკის დაუყოვნებლივ აცნობეს, რომ საადგილმამულო კომიტეტები ძიუღებელია კაზაკთა ოლქებისათვის. კაზაკთა ზედაფენამ მოითხოვა შეეჩერებინათ მათი ორგანიზაცია და მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი ნოვოჩერკასკიდან გაეწვიათ პეტროგრადში. ამავე დროს არა კაზაკთა მოსახლეობას შეპირდნენ, რომ მმართველობაში მონაწილეობისათვის მოწვეულნი იქნებოდნენ მისი წარმომადგენლებიც.

ფრონტის ზოლში კავალერიის გამოკვების შეუძლებლობის საბაბით კაზაკთა და მთიელ ეროვნებათა ნაწილები გადაჰყავდათ დონსა და ყუბანში. სათადარიგო ქვეითი პოლკები კი, რომელთა რევოლუციური განწყობილება აფერხებდა კონტრარევოლუციის მომზადებას, პირიქით, გაჰყავდათ კაზაკთა ოლქებიდან.

ამზადებდა რა დარტყმას რევოლუციაზე, უმძლესი სარდლობის ბანაკი მთელ ფრონტებს აშიშვლებდა.

დროებითი მთავრობა ხალისით უჭერდა მხარს დონში კონტრარევოლუციის მთელ მოსამზადებელ მუშაობას. სათადარიგო ქვეითი პოლკების გამო მთავრობის თავმჯდომარე დეპეშით ატყობინებდა დუხონინს:

„გთხოვთ გასცეთ განკარგულება კაზაკთა ოლქებიდან სათადარიგო ქვეითი პოლკების გაყვანის შესახებ და აცნობოთ ეს ლაშქართა მთავრობას და კაზაკთა ნაწილებს, რომლებიც ფრონტზე იმყოფებიან, და განსაკუთრებით პლასტუნებს, რათა ისინი დამშვიდებიან ეწეოდნენ სამსახურს“.

ამრიგად კერენსკიმ პირდაპირ აღიარა, რომ კაზაკთა ოლქებიდან სათადარიგო პოლკები გაჰყავდათ კაზაკთა დასამშვიდებლად.

თვით გენერალ დუხონინსაც კი, რომელსაც ვერავითარ ლიბერალიზმს ვერ უსაყვედურებ, მოერიდა კერენსკის დეპეშის მთლიანად გადაცემა. ატყობინებდა რა მთავრობის მეთაურის ბრძანებას, დუხონინი სწერდა.

„სათადარიგო ნაწილების მომავალი შემცირების გამო უმაღლესი მთავარსარდალი შუამდგომლობს, რათა სათადარიგო ქვეითი პოლკები დაუყოვნებლივ იქნან გაყვანილი კაზაკთა ოლქებიდან“¹.

„სინდისიერმა“ გენერალმა მხოლოდ ოდნავ დაფარა კონტრრევოლუციის გულმოდგინე დამცველის ყბედი გულახდილობა, როდესაც გაყვანის მიზეზად წამოაყენა სათადარიგო ნაწილების შემცირება, მაგრამ თვითონ კი მეტად ენერგიულად სწმენდდა კაზაკთა ტერიტორიებს და ეხმარებოდა კონტრრევოლუციური ძალების კონცენტრირებას დონში. დონსა და ყუბანში თავს უყრიდნენ კაზაკთა ნაწილებს, იქითკენვე აპარებდნენ კორნილოვის ავანტურაში გარეულ ოფიცრებს, აგზავნიდნენ ათი ათასობით შაშხანებს, არტილერიის მთელ ტრანსპორტებს.

იზისდა მიხედვით, რაც ცენტრალური რუსეთის სამრეწველო რაიონები სულ უფროდაუფრო ხდებოდნენ რევოლუციის ბაზად, კაზაკთა ტერიტორიები კონტრრევოლუციის ბუდედ იქცეოდნენ.

„ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დასაწყისში, — ამბობს სტალინი, — დაისახა ერთგვარი გეოგრაფიული გამიჯვნა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის შორის. სამოქალაქო ომის შემდგომი განვითარების მსვლელობაში რევოლუციისა და კონტრრევოლუციის რაიონები საბოლოოდ გამოირკვა. შინაგანი რუსეთი მისი სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრებით (მოსკოვი და პეტროგრადი), ნაციონალური მხრით ერთგვაროვანი, უმთავრესად რუსი მოსახლეობით, გადაიქცა რევოლუციის ბაზად. რუსეთის განაპირა მხარეები კი, უმთავრესად სამხრეთისა და აღმოსავლეთის განაპირა მხარეები, მოკლებულნი მნიშვნელოვან სამრეწველო და კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებს, ნაციონალური მხრით უაღრესად სხვადასხვაგვაროვანი მოსახლეობით, რომელიც შესდგება, ერთი მხრით, პრივილეგიურ კაზაკ-კოლონიზატორებისაგან და, მეორე მხრით, არასრულუფლებიანი თათრებისა, ბაშკირებისა, ყირგიზებისა (აღმოსავლეთით), უკრაინელებისა, ჩაჩნებისა, ინგუშებისა და სხვა მუსლიმანურ ხალხებისაგან, გადაიქცა კონტრრევოლუციის ბაზად.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ რუსეთის მებრძოლი ძალების ასეთ გეოგრაფიულ განაწილებაში არაფერია არაბუნებრივი. მართლაც: სხვა ვინდა უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ბაზა, თუ არა პეტროგრად-მოსკოვის პროლეტარიატი? სხვას ვიღას შეეძლო ყოფილიყო დენიკინ-კოლჩაკური კონტრრევოლუციის დასაყრდენი, თუ არა რუსეთის იმპერიალიზმის ძველთაძველი იარაღი — კაზაკობა, რომელიც სარგებლობდა პრივილეგიებით და ორგანიზებული იყო სამხედრო წოდებად და რომელიც დიდხინიდანვე ეწეოდა არარუს ხალხთა ექსპლოატაციას“².

კონტრრევოლუციის ამხედრებას ფრონტის ზურგის წინააღმდეგ.

თუ კონტრრევოლუციურ ფორმირებათა მსვლელობა ფრონტსა და ოლქებში წარმატების ერთგვარ იმედებს უნერგავდა გენერლებს, რევოლუციის ზრდა ამ იმედებს აცამტვერებდა. ზურგიდან ფრონტისაკენ ნიაღვარივით მიედინებოდა რევოლუციური ლიტერატურა, მოდიოდნენ შეგვებანი, რომელთაც თან მოჰქონდათ გავარვარებული ატმოსფერა. სამრეწველო ცენტრებიდან ჩამოდიოდნენ მუშათა დელეგაციები, მათ თან მოჰქონდათ რევოლუციის მგზნებარე ლოზუნგები. ფრონტზე თავისი დროებითი წარმატებების უზრუნველყოფა კონტრრევოლუციას შეეძლო მხოლოდ ფრონტის იზოლირებით ზურგისაგან.

უკვე დიდიხანაა, რევოლუციის დასაწყისიდანვე, ცდილობდნენ აემხედრებინათ არმია მუშების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა გაათვრებულ კამპანიას ეწეოდა რეასათიანი სამუშაო დღის დაწესების წინააღმდეგ. მუშებს აბრალებდნენ გამცემლობას, მათ მაგალითად უსახავდნენ ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს, რომლებიც ყველაფერს სამშობლოს სწირავენო. ჯარისკაცებს ჩასჭურჩულებდნენ, რომ მუშები უამრავ ფულს ხვეტენ, სუქლებიან მუშა-ხელის სიმცირის გამო. ნგრევას, სასურსათო კრიზისს, საბრძოლო იარაღების ნაკლებობას ფრონტზე იმით ხსნიდნენ, რომ პროლეტარებს არ სურთ რვა საათზე მეტი იმუშაონ დღეში.

აქა-იქ მოახერხეს ჯარისკაცების ამხედრება მუშების წინააღმდეგ. ფრონტიდან პეტროგრადისაკენ დაიძრნენ ჯარისკაცთა დელეგაციები რეზოლუციებით, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ მუშებს ხელი აეღოთ „უზომო მოთხოვნებზე“. მაგრამ როდესაც ჯარისკაცთა დელეგაციები მიდიოდნენ ქარხნებში, როდესაც ჯარისკაცები უახლოვდებოდნენ პროლეტარებს, ისინი რწმუნდებოდნენ ბურჟუაზიის პროვოკაციულ პოლიტიკაში. დელეგაციები ფრონტზე სულ სხვაგვარი განწყობილებით ბრუნდებოდნენ. ცდილობდნენ რა ბურჟუაზიის ცილისწამების გაქარწყლებას, მუშებმა, თავის მხრივ, მოითხოვეს ჯარისკაცთა დელეგაციების გამოგზავნა. ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაცია პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცებს, რომელნიც გაეცნენ ფაბრიკებს, ათასობით აგზავნიდა ფრონტზე და იქ ისინი ამხელდნენ კამპანიის პროვოკაციულ ხასიათს.

ბურჟუაზიის ცილისწამებლურმა გამოსვლებმა საწინააღმდეგო შედეგები გამოიღო. ფრონტისა და ზურგის დაპირისპირების ნაცვლად მათ შეამქიდროვეს ჯარისკაცები და მუშები ერთიან ბრძოლაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

„თქვენს ფარისევლურ ძახილს: „ჯარისკაცებო — სანგრებში, მუშებო — დაზვებთან!“ — სწერდნენ გვარდიელი-გრენადერები, — ჩვენ ვუპასუხებთ: თქვენ კი, ბატონო კაპიტალისტებო, სკივრებისაკენ! გახსენით ისინი. ხალხი ღვრიდა და ღვრის სისხლსა და ოფლს, თქვენ კი გაიღეთ ფული თქვენს მიერ ატეხილი საშინელი მსოფლიო ომის ლიკვიდაციისათვის!..“¹

რაც უფრო სწრაფად ეცლებოდა ნიადაგი ფეხქვეშ ბურჟუაზიას, მით უფ-

რო თავგამოდებით ცდილობდა იგი გაეთხარა უფსკრული ფრონტსა და ზურგს შორის. ცოფმორეული კადეტური პრესა ვაპყვიროდა, რომ ყველა უბედურების წყარო ზურგია. 150 ბურჟუაზიული და ესერულ-მენშევიკური სამხედრო გაზეთი ერთხმად იმეორებდა ამავე მოსაწყენ და ბოროტ სიმღერას.

შტაბის კომანდები, სადაც მოიკალათეს ბურჟუაზიის შვილებმა, უამრავ ფრონტის ახლომყოფ ორგანიზაციათა თანამშრომლებმა; საავადმყოფოები და ლაზარეთები, დაწესებულებანი, სადაც ისხდნენ ყოფილი ვეჟილები, მხელეები, ერობათა მუშაკები; შტაბები, საწყობები და მომმარაგებელი ორგანიზაციები — ყველა ისინი თხზავდნენ საპროტესტო რეზოლუციებს, აწყობდნენ ცრუ გამოსვლებს ზურგის წინააღმდეგ. სამხედრო გაზეთებიდან რეზოლუციები ვადადიოდა დედაქალაქთა ბურჟუაზიულ პრესაში და იქ იბეჭდებოდა სათაურით: „ფრონტის ხმა“.

აი „ფრონტის“ ერთერთი ასეთი რეზოლუცია:

„№-ის ქვეითი დივიზიის შტაბის, საკომენდანტო ასეულის და შტაბთან არსებული კომანდების კომიტეტის საერთო კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ კრება ყოველგვარ დაუმორჩილებლობას რევოლუციური მთავრობის ნებისადმი, დემოკრატიის უმრავლესობის ნებისადმი — მისი ცენტრალური კომიტეტების სახით — სთვლის რევოლუციის საქმის დალატად, პირდაპირ მუქარად სამშობლოს მიმართ. სამშობლო განსაცუდელშია არა მარტო აქ, ფრონტზე, არამედ კიდევ უფრო ზურგში. მხოლოდ იქიდან მოვიდა არმიის გახრწნა. არმია გახრწნეს გამცემლებმა ზურგიდან. დაე ზურგი არმიასთან ერთად დაემორჩილოს რკინისებურ რევოლუციურ დისციპლინას. დაე საერთო საქმის მოღალატენი და გამცემლები, დამოუკიდებლად იმისა, სამხედრო პირია იგი თუ არა, ზურგში გასამართლებულ იქნან იმავე კანონების მიხედვით, როგორც ფრონტზე“¹.

კამპანია სულ უფროდაუფრო ფართოვდებოდა და ყველაფერს აყრუებდა ყვირილითა და გოდებით. მისი გაქანება და აღებული ნოტის სიმძლვე მოწმობდა, რომ რეაქცია ამ ხმაურით ფარავს მზადებას უაღრესად სერიოზული მოქმედებებისადმი. ეს მალე ცხადი გახდა. სახელმწიფო თათბირზე მოსკოვში გენერალი ალექსეივი გამოვიდა სიტყვით ზურგის წინააღმდეგ:

„ის, რაც ზურგში იმყოფება, არ არის ჩაბმული სასარგებლო მუშაობაში. ყველაფერი უმოქმედობს... ისინი სრულიად არ არიან მომზადებული ჯარისკაცთა ანბანური საქმისათვის. ჯერ კიდევ ამ ახლო ხანებში ისინი არსებობდნენ როგორც მტკიცე მთლიანობა, შემქმნირებული ერთი ცეშენტით — სამშობლოს სიყვარულით... და ომის ბოლომდე მიყვანის აუცილებლობის შეგნებით“².

მთელს უწყსრიგობას პოლკებში გენერალი ზურგის აგიტატორთა გავლენით. ხსნიდა, ის ჰყვებოდა, რომ ერთერთ პოლკში დაბრუნდა ზურგის აგიტატორთა კურსებზე გაგზავნილი ჯარისკაცი და მან მოაწყო გამოსვლა მეთაურთა შემადგენლობის წინააღმდეგ.

გენერალ ალექსეევის, კონტრრევოლუციის ერთერთი ყველაზე აქტიურა ორგანიზატორის, მანევრს მხარი დაუჭირა „რუსეთის რევოლუციის ბებია“, როგორც ესერებმა უწოდეს ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას, რომელიც ნამდვილად კონტრრევოლუციის ერთერთი ყველაზე აქტიური ხელშემწყობი იყო.

„ჩვენი არმიის უბედურება, — ბანს აძლევდა იგი ალექსეევის, — იმდენად ფრონტზე კი არ არის, რამდენადაც ზურგში. ჩვენი ზურგი თითქმის სამი წელიწადია უსაქმოდ არის. იგი მოწყენილია, იგი იხრწნება. და აი ეს უკვე გამოცდილების მქონე ადამიანები, რომლებიც უკვე იყვნენ იქ პეტროგრადსა და მოსკოვში სხვადასხვა საბჭოებში და რომლებმაც იციან, თუ რა ხდება არმიაში, — მათი ნახევარი, კარგა ნახევარი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს ზურგში და მოაწყოს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ვერაფერს მიაღწევთ“¹.

ბებერმა ესერმა ქალმა ამხილა ის, რაც დამალა უფრო გამოცდილმა გენერალმა. ზურგს ლაგამი უნდა ამოსდოს არმიამ, ფრონტმა უნდა გამოჰყოს ხალხი ზურგისათვის ლაგამის ამოსადებად, ფრონტისა და ზურგის დაპირისპირება იმისათვის დასკირდათ, რომ დაემალათ და გაემართლებინათ კორნილოვშინის მომზადება.

კორნილოვის გამოსვლის განადგურებამ საფუძვლიანად ჩასცა მახვილი ზურგის წინააღმდეგ ფრონტის ამხედრების პროვოკაციულ პოლიტიკას. კამპანიის ძველი ფორმით განგრძობა შეუძლებელი გახდა: რევოლუციამ გამოაშკარავა მისი რაობა. მაგრამ კონტრრევოლუციას ხელი არ აუღია თავის მიზნებზე — ფრონტის დაპირისპირებაზე ზურგისათვის, — მაგრამ იგი შეეცადა მიეღწია ამისათვის უკვე რამოდენიმედ სხვა ფორმით.

ერთერთ გადამწყვეტ ძალას, რომელთაც რევოლუცია ეყრდნობოდა, წარმოადგენდნენ სათადარიგო ნაწილები ქალაქებში. ამ ნაწილებში ირიცხებოდა დაახლოებით მილიონ ნახევარი ჯარისკაცი. ზურგის გარნიზონები შესდგებოდნენ ან 1896 წლის მეორე თანრიგის მოლაშქრეთაგან, ან 1894 წლის წვევა-დედთაგან, ბოლოს, უკანასკნელი წლების გაწვევის ახალგაზრდობისაგან. გარნიზონების ნაწილს შეადგენდნენ მოკეთებული დაქირლები. სათადარიგო ნაწილების უკვე თვით შემადგენლობა აადვილებდა რევოლუციურ პროპაგანდას მათ შორის. ახლად მობილიზებული ახალგაზრდობა და მუშაობას მოწყვეტილი ოჯახთა მამები 40 წლისა და მეტი ასაკისა წარმოადგენდნენ მეტად მგრძობიარე გარემოს, რომელიც გამოელოდა რევოლუციისაგან დიდ ცვლილებებს თავის ბედ-იღბალში. მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, იმდენად ნაწილთა შემადგენლობაში კი არ იყო, რამდენადაც ირგვლივ არსებულ ვითარებაში. გარნიზონები, განსაკუთრებით პეტროგრადისა, მოსკოვისა და სხვა მსხვილი ქალაქებისა, იმყოფებოდნენ ბოლშევიკური გაზეთებისა და რევოლუციური პროლეტარიატის მუდმივ გავლენის ქვეშ. სათადარიგო ჯარისკაცები მუშებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მიტინგებში, დემონსტრაციებში, გამოსვლებში მთავრობის წინააღმდეგ. სათადარიგო პოლკებში ბოლშევიკები აწარმოებდნენ დაძაბულ მუშაობას.

სათადარიგო პოლკებიდან რევოლუციური გავლენა ვრცელდებოდა ფრონტზე სამარშო ასეულებისა და სხვა სახის შევსებათა მეოხებით, რომლებსაც არმიაში აგზავნიდნენ. სათადარიგო ნაწილები ქალაქებში წარმოადგენდნენ რევოლუციის, მისი სააგიტაციო ძალის დასაყრდენს. მათგან ლებულობდნენ მუშები სამხედრო ინსტრუქტორებს, ხოლო ზშირად იარაღსაც, პარტია სათადარიგო ნაწილებში ჰკრებდა თავის წევრებს და აგიტატორებს საფრონტო ნაწილებში სამუშაოდ.

ქალაქთა გარნიზონების მიმხრობა კონტრრევოლუციისათვის ნიშნავდა რევოლუციის შერყევას ზურგში და ფრონტის დაცვას რევოლუციური ზემოქმედებისაგან. ზურგის გარნიზონებისათვის ბრძოლა ბურჟუაზიისათვის გახდა არმიისათვის ბრძოლის, რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალურ ნაწილად. გენერლების გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ ყველაზე რევოლუციური ნაწილები გაეყვანა უდიდესი ქალაქებიდან ფრონტზე და ისინი „საიმედო“ ნაწილებით შეეცვალა. უმაღლესი სარდლობის ბანაკში, თითქმის ბრძანებით, ყოველი მხრიდან დაიწყო მოთხოვნების გზავნა შევსების მისაღებად. კავკასიის ფრონტიც კი, სადაც ფაქტიურად შესწყდა საბრძოლო მოქმედებანი, გზავნიდა ერთი მეორეზე დებუშებს:

„კავკასიის ფრონტი შუამდგომლობს, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოგვაწოდოთ 100 ათასი დაკომპლექტება. კეთილინებთ და ამ ციფრის ანგარიშში რაც შეიძლება სასწრაფოდ გადმოგზავნეთ პეტროგრადის გარნიზონის მესამე კატეგორიის 20 ათასი ჯარისკაცი, გარდა ამისა აუცილებელია გადმოგზავნოთ 30 ათასი კაცი შინაგანი ოლქების სათადარიგო პოლკებიდან მთლიან სათადარიგო პოლკებისა ან სამარშო ასეულების სახით...“².

აქ უკვე პირდაპირ არის აღნიშნული, თუ საიდან უნდა გამოეგზავნათ შევსებაში: პეტროგრადის გარნიზონიდან, რომელიც ყველაზე რევოლუციური გარნიზონი იყო, 20 ათასი კაცი, ხოლო სხვა ქალაქებიდან — მთელი პოლკები. მიუხედავად იენისის შეტევის მარცხისა ფრონტზე და თითქმის სრული მიწყნარებისა საბრძოლო მოქმედებათა მხრივ, ფრონტისაკენ შეუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდნენ სამარშო ასეულები. შევსებათა მეტი წილი გზოდანვე დეზერტირობდა, მაგრამ კონტრრევოლუციის მიერ დასახული ამოცანა სრულდებოდა: ზურგის გარნიზონები დნებოდნენ, ხოლო მათთან ერთად ერთგვარად სუსტდებოდა რევოლუციის ბაზაც.

ზურგის გარნიზონები მცირდებოდნენ არა მარტო სამარშო ასეულების ზარჯზე. სათადარიგო პოლკები ყოველგვარი საბაზით გაჰყავდათ ქალაქებიდან. მაგალითად, შავი ზღვის ფლოტის სარდლის ჩივილს, რომ მე-45 ქვეითი სათადარიგო პოლკი ნიკოლაევიში სრულიად გაიხრწნა, შედეგად მოჰყვა გენერალ ლუხონინის განკარგულება:

„სასურველია მე-45 ქვეითი სათადარიგო პოლკის დაუყოვნებლივ გაყვანა ნიკოლაევიდან...“².

სათადარიგო ნაწილები პირველ რიგში იქიდან გაჰყავდათ, სადაც განსა-

